

სამოქალაქო კოდექსის კომენტარი

წიგნი VII

მუხ. 1106-1305⁹



giz Deutsche Gesellschaft
für Internationale
Zusammenarbeit (GIZ) GmbH



თინათინ წებულის სახელობის
სახელმწიფო და
საპარტოის ინსტიტუტი



სამოქალაქო კოდექსის კომენტარი

წიგნი VII

საოჯახო სამართალი

თბილისი
2021

მთავარი რედაქტორები
ლადო ქანტურია
გიორგი რუსიაშვილი

რედაქტორები
ლადო სირდაძე
თამარ ზარანდია

ავტორები:

გიორგი რუსიაშვილი (მუხ. 1106-1140, 1143-1195, 1197-1205, 1206-1209, 1212, 1214, 1218, 1221-1230, 1234-1237, 1239, 1245-1261)

სამართლის დოქტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი

თეიმურაზ ბიგვავა (მუხ. 1106-1140, 1143-1150, 1152-1157, 1212, 1214, 1218, 1221-1230, 1234-1237)

იურიდიული ფირმა „ბიგვავა ბატიაშვილის“ მმართველი პარტნიორი, ადვოკატი

გონა ოყრეშიძე (მუხ. 1141, 1151, 1197 შეს., 1212-1222, 1229, 1231-1238)

იურიდიული ფირმა „ბიგვავა ბატიაშვილის“ პარტნიორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მონვეული ლექტორი, ადვოკატი

ნინო ქავშაია (მუხ. 1142, 1145, 1146, 1158-1164, 1168-1170, 1182, 1183, 1185, 1186, 1190, 1196, 1205¹, 1206, 1211, 1240-1244)

იურიდიული ფირმა „ბიგვავა ბატიაშვილის“ იურისტი

გიორგი მელაძე (მუხ. 1158, 1163)

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მონვეული ლექტორი, საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს მთავარი სპეციალისტი, ადვოკატი

ზვიად ბატიაშვილი (მუხ. 1159-1162, 1164-1195, 1197-1205, 1206-1209)

იურიდიული ფირმა „ბიგვავა ბატიაშვილის“ მმართველი პარტნიორი, ადვოკატი

ლადო სირდაძე (მუხ. 1275-1304¹)

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, KnowledgeTools International GmbH-ის სამართლის ინჟინერი

ხატია პაპიძე (მუხ. 1275-1304¹)

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის წამყვანი სპეციალისტი, ადვოკატი

გიორგი ჟორჟოლიანი (მუხ. 1305⁷-1305⁹)

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მონვეული ლექტორი, იურიდიული ფირმა „ბი ეს ეიჩ“-ის იურისტი, ადვოკატი

წინამდებარე კომენტარი შექმნილია იურიდიული ფირმა „ბიგვავა ბატიაშვილის“ ფინანსური მხარდაჭერით.

წინამდებარე პუბლიკაცია გამოიცემა გერმანიის საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის ფონდის (IRZ) ფინანსური მხარდაჭერით.

გერმანიის საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის ფონდი (IRZ) შეიქმნა 1992 წელს და ამ დროიდან გერმანიის იუსტიციის ფედერალური სამინისტროს დაკვეთით დახმარებას უწევს პარტნიორ სახელმწიფოებს სამართლებრივი რეფორმების გატარებაში. ასეთი პროცესების მხარდაჭერა წარმოადგენს IRZ-ის ამოცანას, რომლის ფარგლებშიც ცენტრალური მნიშვნელობა ენიჭება პარტნიორი სახელმწიფოს ინტერესებს.

საქართველოსთან IRZ-ის თანამშრომლობა ეფუძნება საქართველოს და გერმანიის იუსტიციის სამინისტროთა 2005 წლის შეთანხმებას, რომლის განხორციელებაც 2006 წლიდან მიმდინარეობს. თანამშრომლობის მთავარი სფეროებია: საერთაშორისო შეთანხმებებისა და ხელშეკრულებების იმპლემენტაცია ქართულ კანონმდებლობასა და სამართალში, საკონსულტაციო საქმიანობა სისხლის სამართალში და სასჯელსრულების სფეროში და პრაქტიკოსი იურისტების განგრძობითი იურიდიული განათლება.

წინამდებარე კომენტარი შექმნილია GIZ-ის (Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit) ფინანსური მხარდაჭერით. 1993 წლიდან GIZ-ი საქართველოში ხელს უწყობს სამართლისა და იუსტიციის რეფორმების გატარებას. სხვა ღონისძიებებთან ერთად GIZ-ი ზრუნავს იურიდიული ლიტერატურის შექმნასა და სამართლის პოპულარიზაციაზე. GIZ-ი არ იღებს პასუხისმგებლობას ნაშრომის შინაარსობრივი მხარის სისწორეზე.



giz Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ) GmbH



მთავარი რედაქტორები
ლადო ქანტურია
გიორგი რუსიაშვილი

რედაქტორები
ლადო სირდაძე
თამარ ზარანდია

ენობრივი რედაქტორი
ლიზი ძაგნიძე

ტექნიკური რედაქტორი
დავით მაისურაძე



ISBN 978-9941-8-1812-7

- © შესაბამისი კომენტარის ავტორები, 2021;
- © იურიდიული ფირმა „ბიგვავა ბატიაშვილი“, 2021;
- © ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2021;
- © თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, 2021;
- © გერმანიის საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის ფონდი (IRZ), 2021;
- © გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), 2021.

გამოცემის ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ვებგვერდზე: lawlibrary.info/ge

კომენტარის განახლებადი ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ვებგვერდზე: www.civilcode.ge

კომენტარის ციტირება შესაძლებელია შემდეგნაირად:

ავტორი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი VII, ქანტურია/რუსიაშვილი (რედ.), 2021, მუხლი, ველის ნომერი

წინათქმა

საოჯახო სამართალი სამოქალაქო სამართლის მნიშვნელოვანი ნაწილია, რაც სახელმწიფოდ ორგანიზებულ საზოგადოებაში ოჯახის განსაკუთრებული ადგილითა და შესრულებული ფუნქციით აიხსნება. სამოქალაქო სამართლის პირველი კოდიფიკაციები, როგორცაა საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი (1804 წ.) ან ავსტრიის ზოგადი სამოქალაქო კოდექსი (1811 წ.), საოჯახო სამართლით იწყება. მათ საფუძველზე შექმნილ სამოქალაქო კოდექსებში საოჯახო სამართალს პირველი წიგნი ეძღვნება. კოდიფიკაციის ამ სისტემას საფუძვლად უდევს იუსტინიანეს „ინსტიტუციები“, რომელიც საოჯახო სამართალს ასევე პირველ წიგნს უძღვნის. საოჯახო სამართლის ადგილი სამოქალაქო სამართალში, რომელიც გერმანიის სამოქალაქო კოდექსით განისაზღვრა (1896 წ.), ეყრდნობა იუსტინიანეს „დიგესტების (პანდექტების)“ სისტემას, რომელშიც საოჯახო სამართალი ვალდებულებით სამართალსა და მემკვიდრეობის სამართალს შორის არის მოთავსებული. საქართველოს სამოქალაქო კოდექსში საოჯახო სამართლის ადგილი სწორედ ამ სისტემის გამოხატულებაა.

კოდიფიცირებული სამოქალაქო სამართლის მქონე ქვეყნებიდან საბჭოთა კავშირი ერთადერთი იყო, რომელმაც სამოქალაქო კოდექსებიდან ამოიღო საოჯახო სამართალი და ცალკე საქორწინო და საოჯახო სამართლის კოდექსის ფორმა მისცა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შემუშავებისას უპირატესობა მიენიჭა კლასიკური სამოქალაქო კოდექსების სისტემას და საოჯახო სამართალმა სამოქალაქო კოდექსში დაიდო ბინა.

სამოქალაქო კოდექსის წინამდებარე კომენტარი მომზადებულია სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებიდან ჩამოყალიბებული ქართული სამოსამართლო სამართლის საფუძველზე, ქართული თუ უცხოური იურიდიული ლიტერატურისა და შედარებითი სამართლის მასალების გამოყენებით. იგი სრულყოფილად ასახავს თანამედროვე ქართული საოჯახო სამართლის მიღწევებსა თუ გამოწვევებს და წარმოადგენს მაღალ დონეზე შესრულებულ კვლევას. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია გერმანული თუ საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკა, რომელსაც ორიენტირის ფუნქცია აქვს და რომელიც ქართველ იურისტებს უდავოდ გაუწევს დახმარებას იმ საკითხების გადაწყვეტისას,

რომლებზეც ქართულ სასამართლო პრაქტიკას ჯერ პასუხი არ გაუცია. აქვე აუცილებელია იმის აღნიშვნა, რომ ქართული და უცხოური სამართლის მიდგომები ზოგ საკითხში განსხვავდება ერთმანეთისაგან. მაგალითად, ქორწინებისა და ოჯახის ცნებები. საყურადღებოა უცხოური სასამართლო პრაქტიკა ისეთ საკითხებში, როგორცაა მშობლების ვალდებულება არჩინონ შვილები უმაღლეს სასწავლებელში სწავლის დასრულებამდე და სამუშაოს დანყებამდე (მაგალითად, 1222-ე მუხლის კომენტარი).

საოჯახო სამართალში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შემდეგ ეს პირველი სრულყოფილი კომენტარია, რომელშიც განხილულია როგორც სამოქალაქო კოდექსის სიახლეები, ამ რეფორმებით გამოწვეული სირთულეები, ისე საოჯახო სამართალში მიღებული სპეციალური კანონები, როგორცაა, მაგალითად, 2017 წლის 4 მაისის კანონი „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ (1216-ე მუხლის კომენტარი).

კომენტარი ყურადღებას უთმობს თანამედროვე მედიცინის მიღწევების გავლენას საოჯახო სამართალში, როგორცაა ბავშვის წარმოშობის დადგენა, სუროგატი დედის როლი და ადგილი საოჯახო ურთიერთობებში. ეს საკითხები კომენტარში გაანალიზებულია როგორც ქართული სამართლის, ისე შესაბამისი საერთაშორისო პრაქტიკის საფუძველზე.

ცალკე აღნიშვნის ღირსია კომენტარის სტრუქტურა, რომელიც მკითხველს შესაძლებლობას აძლევს იოლად იპოვოს და გაეცნოს ყოველი მუხლიდან გამომდინარე რელევანტურ საკითხებს. მაგალითად, მეუღლეთა ურთიერთრჩენის მოვალეობათა ანალიზისას გამოკვლეულია თითქმის ყველა არსებითი საკითხი (1182-1186-ე მუხლების კომენტარები). ციტირების წესი და ლიტერატურული წყაროები უზრუნველყოფენ მოხმობილი აზრებისა თუ შეხედულებების სათანადოდ გადამონმების შესაძლებლობას.

დაბოლოს, კომენტარი დაწერილია ახალი თაობის ქართველი იურისტების მიერ პროფესორ გიორგი რუსიაშვილის ხელმძღვანელობით. დარწმუნებული ვარ, რომ ეს გამოცემა საოჯახო სამართალით დაინტერესებული საზოგადოების სამაგიდო წიგნი გახდება.

ლადო ქანტურია,

2021 წლის ოქტომბერი

წინასიტყვაობა

„სამოქალაქო კოდექსის კომენტარი“ მისი გამოცემის დღიდან იქცა ამ დარგის მთავარ ტექსტად და პრაქტიკული თუ სამეცნიერო დისკურსის განუყოფელ ნაწილად. მოხარული ვარ, რომ მკითხველს ამჯერად უკვე „სამოქალაქო კოდექსის კომენტარის“ მეშვიდე წიგნს (საოჯახო სამართალი) წარვუდგენთ.

საოჯახო სამართალი არის კერძო სამართლის ნაწილი, რომელიც ყველაზე კარგად ასახავს საზოგადოებაში მიმდინარე მნიშვნელოვან პროცესებს. ოჯახი, როგორც საზოგადოების ფუნდამენტური რგოლი, მუდმივი და ცვალებადია. განსხვავებული იყო მისი ფუნქციები სხვადასხვა დროსა და ცივილიზაციებში. დღეს, განსაკუთრებით დასავლეთ ევროპულ ქვეყნებში ამ მიმართებით მნიშვნელოვანი ცვლილებები: ოჯახი, როგორც სამართლებრივი კონსტრუქცია, კონკურირებს წყვილების თანაცხოვრების სხვა ფორმებთან და სუსტდება განქორწინებების რაოდენობათა ზრდით. ევროპის ქვეყნების ნაწილში ერთნაირსქესიანთა ქორწინების შემოღებით შეიცვალა ოჯახის ბუნება და სტრუქტურა. შვილებს შორის თანასწორობის აღიარებამ ნაშალა განსხვავებები ქორწინებასა და მის გარეშე დაბადებულ შვილებთან მიმართებით, ხოლო მედიცინის მიღწევებმა დღის წესრიგში დააყენა ხელოვნური განაყოფიერებისა და სხვა მსგავსი საკითხების სამართლებრივი მოწესრიგების აუცილებლობა.

საოჯახო ურთიერთობები ასევე არ არის განცალკევებული ამ ცვლილებებისაგან: ქორწინების ცნება და პირობები, ქორწინების შეწყვეტა და ბათილობა, მეუღლეთა უფლება-ვალდებულებანი, მეუღლეთა ურთიერთრჩენის ვალდებულებანი, ურთიერთობები მშობლებს, შვილებსა და სხვა ნათესავებს შორის და მშობლების ავტორიტეტი ასევე განიცდის თავისუფლებისა და თანასწორობის ძლიერ გავლენას. ევროპული დინამიკით ნაკარნახევი პიროვნული უფლებები და თავისუფლებები სულ უფრო იმკვიდრებს ადგილს საოჯახო ურთიერთობებში. ხშირ შემთხვევაში ეს საკითხები არ აისახება პოზიტიურ სამართალში, მაგრამ, უფრო მეტად, განსაკუთრებით კი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სამოსამართლო სამართლის გავლენით, მნიშვნელოვან ადგილს იკავებს საოჯახო სამართლის დოქტრინაში.

თანამედროვე საოჯახო სამართალი არის ბალანსის ძიება ინდივიდუალური ბედნიერებისაკენ სწრაფვისა და პასუხისმგებლობის

გრძნობის, საკუთარი უფლებებისა და სხვათა უფლებების აღიარებისა და პატივისცემის, ნების ავტონომიურობისა და სახელმწიფოსა და ოჯახის დაცვის ინტერესებს შორის. ყველაფრის მიუხედავად, ოჯახი რჩება საზოგადოების ქვაკუთხედად, რაც ანიჭებს საოჯახო სამართალს თავის განსაკუთრებულ მნიშვნელობასა და მუდმივ თანამედროვეობას.

საოჯახო სამართლის კომენტარების ეს წიგნი განკუთვნილია პრაქტიკოსი იურისტებისათვის, მკვლევრებისა და სტუდენტებისათვის. კომენტარების შემუშავების თანამედროვე მეთოდების გამოყენებით მასში გადმოცემულია საოჯახო სამართლის ფუძემდებლური საკითხები. კომენტარში გამოყენებულია სასამართლო პრაქტიკა, რაც ზრდის ამ ნაშრომის ღირებულებას, მათ შორის, საუნივერსიტეტო სწავლების ფარგლებში.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი 2019 წლიდან უკვე თავად ახორციელებს სამოქალაქო კოდექსის კომენტარის პროექტს და მომავალშიც უზრუნველყოფს მის ერთიან ტექსტობრივ კორპუსად ჩამოყალიბებას და ახალი გამოცემების ადაპტირებას სამართლის მეცნიერებასა თუ სასამართლო პრაქტიკაში არსებულ ტენდენციებთან, იმგვარად, რომ კომენტარმა სამომავლოდაც შეინარჩუნოს მნიშვნელოვანი ადგილი იურიდიული ლიტერატურის ნუსხაში.

თამარ ზარანდია

პროფესორი, სამართლის დოქტორი,
იურიდიული ფაკულტეტის დეკანი

აზრავნიატურების საძიებელი

ა.შ.	ასე შემდეგ
გვ.	გვერდი
გსკ	გერმანიის სამოქალაქო კოდექსი
დის.	დისერტაცია
იხ.	იხილეთ
კომენტ.	კომენტარი
მაგ.	მაგალითად
მუხ.	მუხლი
რედ.	რედაქტორი
სკ	სამოქალაქო კოდექსი
სუს	საქართველოს უზენაესი სასამართლო
სუსგ	საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება
შდრ.	შეადარეთ
შეს.	შესავალი
Art.	Artikel, article
AT	Allgemeiner Teil
Aufl.	Auflage
Bd.	Band
BGB	Bürgerliches Gesetzbuch
BGH	Bundesgerichtshof
BGHZ	Entscheidungen des Bundesgerichtshofs in Zivilsachen
BVerfG	Bundesverfassungsgericht
BVerfGE	Entscheidungen des Bundesverfassungsgerichts
Diss.	Dissertation
ed.	editor
f.	folgende
ff.	fortfolgende
HGB	Handelsgesetzbuch
Hrsg.	Herausgeber
Komm.	Kommentar
LG	Landesgericht
MüKo	Münchener Kommentar
NJW	Neue Juristische Wochenschrift
NJW-RR	Neue Juristische Wochenschrift – Rechtsprechungs-Report
OLG	Oberlandesgericht
p.	page
pp.	pages
S.	Seite
Rn.	Randnummer
usw.	und so weiter
Vol.	Volume
ZPO	Zivilprozessordnung

სარჩევი

წინათქმა.....	VI
წინასიტყვაობა	IX
აბრევიატურების საძებელი.....	XI

წიგნი მეხუთე საოჯახო სამართალი

პარი პირველი ქორწინება

თავი პირველი დაქორწინების წესი და პირობები

მუხლი 1106. ქორწინების ცნება	1
მუხლი 1107. დაქორწინების პირობები.....	8
მუხლი 1108. საქორწინო ასაკი	10
მუხლი 1109. დასაქორწინებელ პირთა თანხმობა. ნიშნობა	12
მუხლები 1110–1119 (ამოღებულია)	17
მუხლი 1120. ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებანი.....	19
მუხლები 1121–1122 ¹	23
მუხლი 1123. განქორწინების დაუშვებლობა.....	24
მუხლები 1124–1126 (ამოღებულია)	28
მუხლი 1127. განქორწინების საქმეთა განხილვა სასამართლოს მიერ	29
მუხლი 1128. გადაწყვეტილების მიღება შვილების საცხოვრებელი ადგილისა და მათი რჩენის შესახებ	34
მუხლი 1129. გადაწყვეტილების მიღება მეუღლის რჩენის თაობაზე	34
მუხლი 1130. გადაწყვეტილების მიღება მეუღლეთა ქონების გაყოფის თაობაზე.....	37
მუხლები 1131–1134 (ამოღებულია)	38
მუხლი 1135. ქორწინების აღდგენა გარდაცვლილად გამოცხადებული ან უგზოუკვლოდ აღიარებული მეუღლის დაბრუნებისას.....	39
მუხლი 1136–1139 ¹ (ამოღებულია).....	41

თავი მესამე **ქორწინების ბათილობა**

მუხლი 1140. ქორწინების ბათილობის საფუძველი	42
მუხლი 1141. ქორწინების ნამდვილობის პრეზუმფცია	45
მუხლი 1142. საქორწინო ასაკს მიუღწეველ პირთან ქორწინების ბათილობა.....	49
მუხლი 1143. ქორწინების ცნობა ბათილად დაქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებების გამო	53
მუხლი 1144. იძულებითი ქორწინების ბათილად ცნობა	55
მუხლი 1145. ფიქციური ქორწინების ბათილად ცნობა	57
მუხლი 1146. ქორწინების ბათილობის მომენტი	60
მუხლი 1147. კეთილსინდისიერი მეუღლისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება.....	61
მუხლი 1148. ქორწინების ბათილად ცნობა მხოლოდ სასამართლოს მიერ..	62
მუხლი 1149. ქორწინების ბათილობის დაუშვებლობა მეუღლეთა გარდაცვალების შემდეგ.....	62
მუხლი 1150. ხელახალი დაქორწინება ბათილი ქორწინებისას.....	62

თავი მეოთხე **მეუღლეთა უფლებები და მოვალეობები**

I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1151. ქორწინების რეგისტრაციის მნიშვნელობა.....	63
მუხლი 1152. მეუღლეთა თანასწორუფლებიანობა	65
მუხლი 1153. დისკრიმინაციის აკრძალვა	68

II. პირადი უფლებები

მუხლი 1154. (ამოღებულია).....	70
მუხლი 1155. საოჯახო საკითხების ერთობლივი გადაწყვეტა	70
მუხლი 1156. საქმიანობის არჩევის თავისუფლება	73
მუხლი 1157. საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევა	74

III. კანონით დადგენილი ქონებრივი უფლებები და მოვალეობები

მუხლი 1158. მეუღლეთა თანასაკუთრება	75
მუხლი 1159. თანასაკუთრებაში არსებული ქონების მართვა ურთიერთშეთანხმებით	80
მუხლი 1160. თანასაკუთრებაში არსებული ქონების განკარგვა ურთიერთშეთანხმებით	84
მუხლი 1161. მეუღლეთა ინდივიდუალური საკუთრება	93
მუხლი 1162. ქორწინების განმავლობაში შეძენილი ინდივიდუალური სარგებლობის ნივთები	99
მუხლი 1163. მეუღლის ქონების გადაქცევა მეუღლეთა თანასაკუთრებად	102
მუხლი 1164. მეუღლეთა საერთო ქონების გაყოფა	107
მუხლი 1165. პროფესიული საქმიანობისათვის საჭირო ნივთების ბედი თანასაკუთრების გაყოფისას	110
მუხლი 1166. წილის კომპენსაცია საკუთრების გაყოფისას	117
მუხლი 1167. საერთო ქონების გაყოფა ქორწინების განმავლობაში	119
მუხლი 1168. არასრულწლოვანი შვილების ინტერესების გათვალისწინება თანასაკუთრების გაყოფისას	120
მუხლი 1169. მეუღლეთა საერთო ვალების გაყოფის წესი	128
მუხლი 1170. ერთ-ერთი მეუღლის ვალის დაფარვის წესი	132
მუხლი 1171. თანასაკუთრებაში არსებული ქონების გაყოფის მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა	135

IV. მეუღლეთა სახელშეკრულებო ქონებრივი ურთიერთობები

მუხლი 1172. საქორწინო ხელშეკრულება	136
მუხლი 1173. საქორწინო ხელშეკრულების დადება	140
მუხლი 1174. ხელშეკრულების ფორმა	141
მუხლი 1175. საქორწინო ხელშეკრულების დადება შეზღუდული	

ქმედუნარიანობის მქონე პირის მიერ.....	143
მუხლი 1176. საქორწინო ხელშეკრულების შინაარსი.....	144
მუხლი 1177. საოჯახო ხარჯების განწესის წესი	149
მუხლი 1178. საქორწინო ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობათა შეზღუდვა.....	149
მუხლი 1179. მოვალეობები, რომელთა შეცვლაც საქორწინო ხელშეკრულებით დაუშვებელია	150
მუხლი 1180. საქორწინო ხელშეკრულების შეწყვეტა.....	155
მუხლი 1181. საქორწინო ხელშეკრულების პირობების შეცვლა სასამართლოს მიერ	157

თავი მესამე

მეუღლეთა ურთიერთრჩენის მოვალეობა

მუხლი 1182. სარჩოს მიღებაზე უფლებამოსილი პირი.....	159
მუხლი 1183. შრომისუუნარო მეუღლის უფლება სარჩოზე	168
მუხლი 1184. რჩენის მოვალეობისაგან განთავისუფლება სასამართლოს მიერ	169
მუხლი 1185. სარჩოს ოდენობის განსაზღვრა	175
მუხლი 1186. სარჩოს მიღების უფლების მოსპობა.....	183

კარი მეორე

მშობლების, შვილებისა და სხვა ნათესავების ურთიერთობა

თავი პირველი

შვილების წარმოშობის დადგენა

მუხლი 1187. მშობლებისა და შვილების უფლება-მოვალეობათა წარმოშობის საფუძვლები	184
მუხლი 1188. შვილის წარმოშობის დადგენა მამის გარდაცვალებისას	188
მუხლი 1189. დაქორწინებული მშობლებისაგან შვილის წარმოშობის დადასტურება	189

მუხლი 1190. ერთმანეთთან დაუქორწინებელი მშობლებისგან შვილის ნარმოშობის დადგენა	191
მუხლები 1191–1193'	209
მუხლი 1194. შვილის სახელის განსაზღვრა	211
მუხლი 1195. შვილის გვარის განსაზღვრა	213
მუხლი 1196. შვილის გვარის გამოცვლა	217

თავი მეორე

მშობლების უფლებები და მოვალეობები შვილების მიმართ

1197-ე მუხლის შესავალი	223
მუხლი 1197. მშობელთა თანასწორუფლებიანობა შვილების მიმართ.....	237
მუხლი 1198. მშობელთა მოვალეობანი შვილების მიმართ.....	241
მუხლი 1198¹. არასრულწლოვნის უფლება დაცვაზე	250
მუხლი 1199. ბავშვის ინტერესების დაცვა.....	256
მუხლი 1200. შვილების აღზრდა მშობლების ურთიერთშეთანხმებით	258
მუხლი 1201. არასრულწლოვანი შვილის საცხოვრებელი ადგილი მშობლების განქორწინებისას	263
მუხლი 1202. განქორწინებული ან ცალ-ცალკე მცხოვრები მშობლების უფლებები და მოვალეობები შვილების მიმართ	265
მუხლი 1203. პაპისა და ბებულის უფლებები არასრულწლოვანი შვილიშვილების მიმართ.....	267
მუხლი 1204. არასრულწლოვანი შვილის დაბრუნების მოთხოვნის უფლება	270
მუხლი 1205. მშობლის უფლებებისა და მოვალეობების შეზღუდვა.....	272
მუხლი 1205¹. მშობლის უფლებებისა და მოვალეობების შეჩერება.....	275
მუხლი 1206. მშობლის უფლებებისა და მოვალეობების ჩამორთმევა.....	278
მუხლი 1207. მშობლისუფლებამოვალეობაჩამორთმეული პირის შვილის უფლებები.....	284
მუხლი 1208. (ამოღებულია)	285
მუხლი 1209. მშობლის უფლებებისა და მოვალეობების აღდგენა.....	285

მუხლი 1210. (ამოღებულია).....	287
მუხლი 1211. მშობლის უფლებებისა და მოვალეობების გადაცემა	287

თავი მესამე

მშობლებისა და შვილების საალიმენტო მოვალეობანი

მუხლი 1212. შვილების რჩენის მოვალეობა	292
მუხლი 1213. ალიმენტის ოდენობის განსაზღვრა მშობლების მიერ	302
მუხლი 1214. ალიმენტის ოდენობის განსაზღვრა სასამართლოს მიერ	309
მუხლი 1215. დამატებით ხარჯებში მონაწილეობის მოვალეობა	322
მუხლი 1216. მეურვეობას ან მზრუნველობას გადაცემული შვილების შენახვის ხარჯები	325
მუხლი 1217. სასამართლოს განჩინება შვილის შესანახი სახსრების გადახდევინების შესახებ	327
მუხლი 1218. შვილების მოვალეობა მშობლების მიმართ	330
მუხლი 1219. შვილების მონაწილეობა შრომისუუნარო მშობლების რჩენაში	340
მუხლი 1220. შვილების მონაწილეობა დამატებით ხარჯებში	343
მუხლი 1221. სარჩელი ალიმენტის ოდენობის შემცირების შესახებ	343
მუხლი 1222. ალიმენტის ოდენობის შეცვლა მატერიალური თუ ოჯახური მდგომარეობის შეცვლის გამო	353

თავი მეოთხე

ოჯახის სხვა წევრების საალიმენტო მოვალეობანი

მუხლი 1223. და-ძმების ურთიერთრჩენის მოვალეობა	359
მუხლი 1224. შვილიშვილის საალიმენტო მოვალეობა შრომისუუნარო პაპისა და ბებუის მიმართ	362
მუხლი 1225. პაპისა და ბებუის საალიმენტო მოვალეობანი შვილიშვილების მიმართ	364
მუხლი 1226. მამინაცვლისა და დედინაცვლის საალიმენტო მოვალეობა ..	366

მუხლი 1227. გერის საალიმენტო მოვალეობა.....	368
მუხლი 1228. (ამოღებულია).....	368
მუხლი 1229. საალიმენტო მოვალეობანი ფაქტობრივი აღმზრდელის მიმართ.....	369
მუხლი 1230. ალიმენტის ოდენობის განსაზღვრის წესი	371
მუხლი 1231. ალიმენტის ოდენობის შეცვლა	376

თავი მეხუთე **ალიმენტის გადახდისა და გადახდევინების წესი**

მუხლი 1232. ალიმენტის გადახდა ნებაყოფლობით	380
მუხლი 1233. სამუშაოს მიმცემი ორგანიზაციის ადმინისტრაციის მოვალეობა ალიმენტის გადახდისას.....	380
მუხლი 1234. ალიმენტის გადახდევინების მოთხოვნა	381
მუხლი 1235. ალიმენტის დავალიანების გადახდევინება	386
მუხლი 1236. ალიმენტის დავალიანების განსაზღვრა	386
მუხლი 1237. ალიმენტის გადახდისგან გათავისუფლება.....	387
მუხლი 1238. საალიმენტო ვალდებულების შეწყვეტა	391

თავი მეთექვსე **შვილება**

მუხლი 1239. ცნება	393
მუხლი 1240. შვილად აყვანის დადასტურება აღმზრდელის გარდაცვალებისას	403
მუხლი 1241. შვილად აყვანის დაუშვებლობა ბავშვის გარდაცვალებისას	407
მუხლი 1242. გადაწყვეტილების მიღება შვილად აყვანის შესახებ.....	408
მუხლი 1243. წარმომადგენლის მეშვეობით შვილად აყვანის დაუშვებლობა	415
მუხლი 1244. შვილად აყვანის შესახებ გადაწყვეტილების რეგისტრაცია .	415
მუხლი 1245. მშვილებელი	418
მუხლი 1246. შვილად აყვანა მეუღლეების მიერ.....	419
მუხლი 1247. მეუღლის თანხმობა ბავშვის შვილად აყვანისას.....	422

მუხლი 1248. შვილება ერთ-ერთი მეუღლის მიერ.....	424
მუხლი 1249. (ამოღებულია).....	425
მუხლი 1250. მშვილებლის ასაკი.....	426
მუხლი 1251. მშობლის თანხმობა ბავშვის გაშვილებაზე.....	429
მუხლები 1252–1254.....	430
მუხლი 1255. ბავშვის თანხმობა გაშვილებაზე.....	431
მუხლი 1256. უარი გაშვილებაზე.....	434
მუხლები 1257, 1258. (ამოღებულია).....	435
მუხლი 1259. ნაშვილების ნათესაური ურთიერთობანი.....	436
მუხლი 1260. ნაშვილების ურთიერთობანი ბიოლოგიურ მშობლებთან.....	437
მუხლი 1261. შვილად აყვანის შედეგები.....	441
მუხლები 1262–1274. (ამოღებულია).....	444

პარი მესამე
მეურვეობა, მზრუნველობა და მხარდაჭერა

თავი პირველი
ზოგადი დებულებანი

მუხლი 1275. მეურვეობის, მზრუნველობისა და მხარდაჭერის ცნებები....	446
მუხლი 1276. მეურვეობა.....	457
მუხლი 1277. მზრუნველობა.....	459
მუხლი 1277 ¹ . მხარდაჭერა.....	463
მუხლი 1278. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოები.....	469
მუხლი 1279. ბავშვისთვის მეურვეობისა და მზრუნველობის დანესება	470
მუხლი 1280. მხარდამჭერის (მხარდამჭერების) დანიშვნა.....	475
მუხლი 1281. მეურვის ან მზრუნველის დანიშვნა.....	488
მუხლი 1282. მეურვის ან მზრუნველის დანიშვნის წესი.....	499
მუხლი 1283. პირი, რომელიც მეურვედ, მზრუნველად ან მხარდამჭერად არ შეიძლება დაინიშნოს.....	509
მუხლები 1284, 1285. (ამოღებულია).....	511
მუხლი 1286. ქონების მეურვის დანიშვნა.....	512

მუხლი 1287. მეურვისა და მზრუნველის უფლებები	515
მუხლი 1288. მეურვეობისა და მზრუნველობის შესრულება უსასყიდლოდ.....	516
მუხლი 1289. მეურვის, მზრუნველისა და მხარდამჭერის მოვალეობები ...	519
მუხლი 1290. მეურვისა და მზრუნველის წარმომადგენლობითი უფლებამოსილება.....	526
მუხლი 1291. სამეურვეო არასრულწლოვან პირებთან ერთად ცხოვრების მოვალეობა	533
მუხლი 1292. მხარდამჭერის მოვალეობა მხარდაჭერის დანიშვნის საფუძვლის არარსებობისას ან შეცვლისას	537
მუხლი 1293. მეურვისა და მზრუნველის თანხმობა, მხარდამჭერის მონაწილეობა გარიგების დადებისას	541
მუხლი 1294. მეურვისა და მზრუნველის უფლებამოსილებათა შეზღუდვა.....	547
მუხლი 1295. მალფუჭებადი ქონების გასხვისების წესი.....	558
მუხლი 1296. ჩუქების დაუშვებლობა სამეურვეო პირის სახელით	558
მუხლი 1297. მეურვისა და მზრუნველის მხრიდან წარმომადგენლობის დაუშვებლობა	562
მუხლი 1298. მეურვისა და მზრუნველის მოქმედებათა გასაჩივრება	569
მუხლი 1299. მეურვისა და მზრუნველის გათავისუფლება მათი მოვალეობებისაგან.....	573
მუხლი 1300. მოვალეობათა არასათანადოდ შესრულების შედეგები	578
მუხლი 1301. მზრუნველის/მხარდამჭერის მოვალეობისაგან განთავისუფლე- ბა სამზრუნველო პირის/მხარდამჭერის თხოვნით/მოთხოვნით	583
მუხლი 1302. მეურვეობის შეწყვეტის საფუძვლები.....	587
მუხლი 1303. მეურვეობის შეწყვეტა სამზრუნველო ასაკისათვის მიღწევის გამო	589
მუხლი 1304. მზრუნველობის შეწყვეტის საფუძვლები	592
მუხლი 1304¹. მხარდაჭერის შეწყვეტის საფუძვლები.....	596
მუხლი 1305. მეურვეობისა და მზრუნველობის საკითხების გასაჩივრება სასამართლოში.....	598

თავი მესამე
მეურვის, მზრუნველისა და მხარდამჭერის საქმიანობაზე
ზედამხედველობა

მუხლები 1305¹–1305⁶ 598

თავი მეოთხე
არამართლზომიერად გადაადგილებული ან
არამართლზომიერად დაკავებული ბავშვის დაბრუნების და
ბავშვთან ურთიერთობის უფლებები

მუხლი 1305⁷. ამ თავში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება 604

მუხლი 1305⁸. არამართლზომიერად გადაადგილებული/დაკავებული ბავშვის
დაბრუნება ან ბავშვთან ურთიერთობის უფლების გამოყენება 609

მუხლი 1305⁹. საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ბავშვის დაბრუნება ან
ბავშვთან ურთიერთობის უფლების გამოყენება 612

ბიბლიოგრაფია 614

წიგნი მესამე
საოჯახო სამართალი

პირი პირველი
ქორწინება

თავი პირველი
დაქორწინების წესი და პირობები

მუხლი 1106. ქორწინების ცნება

ქორწინება არის ოჯახის შექმნის მიზნით ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირი, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში (შემდგომ – სააგენტოს ტერიტორიული სამსახური).

საქართველოს 2004 წლის 24 ივნისის კანონი №179 - სსმ I, №19, 15.07.2004 წ., მუხ.79
საქართველოს 2005 წლის 28 დეკემბრის კანონი №2626 - სსმ I, №3, 16.01.2006წ., მუხ.20
საქართველოს 2012 წლის 25 მაისის კანონი №6317 – ვებგვერდი, 19.06.2012წ.

I. ზოგადი	2
II. ოჯახის ცნება და მისი სოციალური ფუნქცია.....	2
1. ქალისა და მამაკაცის ერთობა	3
2. კავშირი მთელი დარჩენილი ცხოვრების განმავლობაში.....	4
III. სამართლებრივი ვალდებულებები	4
1. პიროვნული ურთიერთობები	5
2. ქონებრივი ურთიერთობები	6
3. თანაქმედებისა და დახმარების ვალდებულება.....	6
4. მოთხოვნების წაყენება.....	7
5. ზღვარი.....	7
6. განხორციელება.....	7
IV. ქორწინების რეგისტრაცია	7

I. ზოგადი

- 1 ქორწინებად მოიხსენიება თავისუფალ ნებას დამყარებული კავშირი ქალისა და მამაკაცისა, რომელიც პასუხობს 1106-ე და მომდევნო მუხლებში მოცემულ სპეციალურ წინაპირობებს.¹ ქორწინება საქართველოში წარმოადგენს პიროვნულ გარიგებას. ორივე მხარე უნდა იყოს ქორწინებაუნარიანი და ერთდროულად გამოხატოს შესაბამისი ნება. ნების გამოხატვა არ შეიძლება მოხდეს პირობადებულად.
- 2 გარდა უკვე ხსენებული ქორწინებაუნარიანობისა, ქორწინების წინაპირობებია: ქორწინების აკრძალვის არარსებობა, ნების პირადად გამოხატვა შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს წინაშე, თანამყოფ პირთა მიერ, მისი რეგისტრაცია.
- 3 ქორწინების შედეგად წარმოშობილი ურთიერთობა კონცენტრირებული წრეების ვიზუალური ხატის გამოყენების მეშვეობით შესაძლოა, პირობითად, დაიყოს სამ წრედ. ეს არის შიდა წრე (ინტიმური სფერო, მაგ., სექსუალური კონტაქტი) შუალედური წრე (პიროვნული სფერო, ყოფითი ერთობა მეუღლეთა შორის) და გარე წრე (მაგ., ალიმენტის გადახდა, ქონების მართვა და ა. შ.). ქორწინებას სამართლებრივი შედეგები აქვს ამ სამივე სფეროში, თუმცა სამართლებრივად განხორციელებად მოთხოვნებს წარმოშობს მხოლოდ გარე წრეში.

II. ოჯახის ცნება და მისი სოციალური ფუნქცია

- 4 ოჯახის ცნება და მისი ფუნქცია მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული არსებულ სოციალურ და ეკონომიკურ ფაქტორებზე და მუდმივად იცვლება.² ოჯახის დღემდე უცვლელი ბირთვული ფუნქცია ცალსახად მდგომარეობს შთამომავლობის მოვლის, აღზრდისა და სოციალიზაციისათვის მყარი საფუძვლის შექმნაში და ამასთან დაკავშირებით ვერაფერს შეცვლის იდეოლოგია თუ მოდური ტრენდები.

¹ შენგელია, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1106, გვ. 23; შენგელია/შენგელია, საოჯახო სამართალი, მეორე გამოცემა, 2011, გვ. 58.

² შენგელია/შენგელია, საოჯახო სამართალი, მეორე გამოცემა, 2011, გვ. 10; Schwenzler, Grundlinien eines modernen Familienrechts aus rechtsvergleichender Sicht, RabelsZ 2007, 705.

დროთა განმავლობაში ოჯახის ცნებამ ცვლილება განიცადა.³ ეს, პირველ რიგში, შეეხო მის სტრუქტურას. დიდი ოჯახების⁴ (რამდენიმე თაობა ერთ ქვრქვეშ) ჩანაცვლებას მომცრო ოჯახის (მხოლოდ მშობელი და შვილი, მარტოხელა მშობელი ან მხოლოდ მეუღლეები) მოდელით თან სდევს ოჯახის ფუნქციის დაკნინება. თავდაპირველი, ანტიკური პერიოდიდან მოყოლებული მოდელი, რომლის ფარგლებში ოჯახი იყო სანარმოო, სამოსახლო და ეკონომიკური ერთობა, დღესდღეობით გარდაქმნილია სამომხმარებლო ერთობად განათლებისა და აღზრდის ფუნქციის ნარჩენებით.⁵

5

ბავშვის პირველი სოციალიზაცია ხდება ოჯახის ფარგლებში. თუმცა ყველა სხვა ამოცანა ძირითადად სახელმწიფოზეა გადაბარებული და ეს პროცესი კიდევ გრძელდება: მოხუცებზე ზრუნვასთან ერთად (მოხუცთა თავშესაფრები), თანდათან ბავშვებზე ზრუნვასაც სულ უფრო და უფრო მეტად იღებს საკუთარ ხელში სახელმწიფო (საბავშვო ბაღები, ბაგა-ბაღები ახალშობილთათვის). ფეხს იკიდებს მოსაზრება, რომ მესამე პირები უკეთესი აღზრდელებიც კი არიან ბავშვისათვის. სახელმწიფოს ეს გაზრდილი მონაწილეობა გაზრდილი გადასახადების ფორმით აისახება გადასახადების გადამხდელებზე. ოჯახის ორიგინალური ფუნქციების რეპრივატიზირება მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩანს შესაძლებელი, თუ ორივე მშობელი მიიღებს მონაწილეობას ბავშვის აღზრდაში და, ამავდროულად, ორივეს ექნება დამოუკიდებელი შემოსავალი, რაც თანამედროვე ცხოვრების რიტმისა და შრომითი ბაზრის მოთხოვნებიდან გამომდინარე შეუძლებელი ამოცანა ჩანს.

6

1. ქალისა და მამაკაცის ერთობა

მიუხედავად თანამედროვე დასავლური ტენდენციებისა, ქართველმა კანონმდებელმა შეგნებულად არ გააფართოვა ქორწინებისა და ოჯახის ცნება და არ გაავრცელა ის ერთნაირსქესიანთა მიერ შექმნილ კავშირზე. ქორწინება, როგორც ქალისა და მამაკაცის ერთობა,⁶ დაფიქსირდა კონსტიტუციაშიც (კონსტიტუციის 30 I მუხლი).

7

³ *შენგელია*, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1106, გვ. 23.

⁴ *ბეჯია*, ოჯახის განვითარების სოციალური პრობლემები, 1980, გვ. 25.

⁵ *ჩიკვაშვილი*, საოჯახო სამართალი, 2004, გვ. 18.

⁶ *შენგელია*, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1106, გვ. 23; *შენგელია/შენგელია*, საოჯახო სამართალი, მეორე გამოცემა, 2011, გვ. 59.

2. კავშირი მთელი დარჩენილი ცხოვრების განმავლობაში

- 8 ქორწინება არის ქალისა და მამაკაცის ისეთი კავშირი, რომელიც იდება მთელი დარჩენილი ცხოვრების განმავლობაში ერთად ყოფნის მიზნით. მართალია, ეს პრინციპი კანონში გამყარებული არ არის და განქორწინების შესაძლებლობის დაშვებით მეტწილად რელატივირებულია, თუმცა ის მაინც ნაგულისხმებია 1106-ე მუხლში, გამომდინარე იქიდან, რომ, თუ მეუღლეები ურთიერთშეთანხმებით თავიდანვე მხოლოდ გარკვეული დროის განმავლობაში აპირებენ საქორწინო ურთიერთობაში შესვლას, ეს ქორწინება შეიძლება გაბათილდეს, როგორც ფიქციური (1145). დაუშვებელია პირობადებული ან ვადიანი ქორწინება, ისევე, როგორც ბათილია ქორწინებიდან გასვლის დათქმის შეთანხმება.

III. სამართლებრივი ვალდებულებები

- 9 მეუღლეებს ეკისრებათ ვალდებულება, შექმნან და შეინარჩუნონ ოჯახური ერთობა.⁷ ამ ვალდებულების განუხორციელებლობა შეიძლება გახდეს ოჯახის ჩაშლის მიზეზი 1127-ე მუხლის გაგებით.⁸ თუ მეუღლეები ურთიერთშეთანხმებულად არ აპირებენ ამ ოჯახური ერთობის შექმნას, ქორწინება გაუქმებადია 1145-ე მუხლის მიხედვით. ოჯახური ერთობის კონკრეტული მოწყობა მეუღლეთა დისპოზიციის საგანია, გარდა საოჯახო ბირთვული ვალდებულებისა, რომელსაც განეკუთვნება, მაგალითად, ორმხრივი ერთგულების ვალდებულება. სხვა მხრივ, 1106-ე მუხლი არ აწესებს და არ სახავს ოჯახური თანაცხოვრების პარადიგმას; იქნება ეს ერთ ჭერქვეშ ცხოვრება თუ განცალკევებით ცხოვრება, მრავალშვილიანი ოჯახი თუ ოჯახი შვილების გარეშე და ა. შ. იმის განსასჯელად, არის თუ არა სახეზე ოჯახური ერთობა, გასათვალისწინებელია ინდივიდუალური კრიტერიუმები, როგორებიც არის მეუღლეთა ფინანსური მდგომარეობა, ხასიათი, ასაკი, ჯანმრთელობა და ა. შ. კონკრეტულ შემთხვევებში ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს პიროვნული და ქონებრივი ურთიერთობები მეუღლეთა შორის.⁹

⁷ *შენგელია/შენგელია*, საოჯახო სამართალი, მეორე გამოცემა, 2011, გვ. 64.

⁸ BGH NJW 1987, 1761.

⁹ *შენგელია/შენგელია*, საოჯახო სამართალი, მეორე გამოცემა, 2011, გვ. 63.

1. პიროვნული ურთიერთობები

მეუღლეთა პიროვნულ ურთიერთობებს (1155-ე და მომდევნო მუხლები) განეკუთვნება მეუღლეთა ურთიერთსიყვარულისა და პატივისცემის ვალდებულება,¹⁰ მეორე მხარის პოზიციის გაგების მზაობა და მეორე მეუღლის პიროვნული და პირადი სფეროს პატივისცემა. გამომდინარე აქედან, აუცილებელია პირადი მიმონერის საიდუმლოების დაცვა. უკითხავად ხმისა და ვიდეოგამოსახულების ჩანწერა ან მესამე პირისათვის ბინაში თვალთვალის შესაძლებლობის მინიჭება დაუშვებელია.¹¹ ოჯახის წევრებს ერთმანეთის მიმართ თანადგომა და ყურადღება ევალებათ. მათ აქვთ სისხლისსამართლებრივი გარანტიის ფუნქცია ერთმანეთის მიმართ, თუმცა ის არ მთავრდება ოჯახის დასრულებასთან ერთად, არამედ მოქმედებს მას შემდეგაც, რაც მეუღლეები ერთმანეთს საბოლოოდ შორდებიან.¹²

10

მეუღლემ უნდა გაითვალისწინოს მეორე მეუღლის ნათესავების ინტერესები, მაგრამ არ არის ვალდებული ითმინოს მათი ჩასახლება მეუღლეთა საერთო ბინაში. მეუღლეთა ერთგულება წარმოადგენს ნამდვილ სამართლებრივ ვალდებულებას^{13, 14} ამის საპირისპიროდ, საკამათოა, განეკუთვნება თუ არა ბავშვის ჩასახვისა და დაბადების ვალდებულება ოჯახური ერთობიდან წარმომდგარ სამართლებრივ ვალდებულებათა რიცხვს.¹⁵

11

მეუღლეები ვალდებულნი არიან ჰქონდეთ საერთო ქერი. ერთ ქერქვეშ ცხოვრების გარეშე არ იქმნება ოჯახური ერთობა 1106-ე მუხლის გაგებით. თუმცა მეუღლეს, დასაშვებია, რომ ჰქონდეს მეორე საცხოვრებელი ადგილი. 1106-ე მუხლიდან გამომდინარე ეს ვალდებულებები არ მოქმედებენ გარე ურთიერთობაში. მაგალითად, საერთო ბინის ქირავნობის ხელშეკრულების მოშლა ნამდვილია მაშინაც კი, როდესაც ის მეუღლეთა შიდა ურთიერთობაში ვალდებულების დარღვევას წარმოადგენს.¹⁶

12

¹⁰ RGZ 97, 61.

¹¹ BGH NJW 1970, 1848.

¹² BGH NJW 2003, 3214.

¹³ Roth, in Münchener Kommentar BGB, 8. Auflage 2019, § 1353 Rn. 40.

¹⁴ ისევე, როგორც მეუღლესთან სექსუალურ კონტაქტში შესვლის ვალდებულება. იხ. ამასთან დაკავშირებით BGH NJW 1967, 1079..

¹⁵ შდრ. BGH FamRZ 2001, 542.

¹⁶ OLG Frankfurt a. M. ZMR 2014, 279.

2. ქონებრივი ურთიერთობები

- 13** ოჯახური ერთობიდან გამომდინარე ქონებრივი ურთიერთობები (1158-ე და მომდევნო მუხლები), პირველ რიგში, ეხება ბინისა და სამეურნეო საგნების გამოყენებას,¹⁷ საიდანაც გამომდინარეობს ფლობის უფლება 172 I მუხლის მიხედვით. ქორწინება შეიძლება იყოს არაპირდაპირი მფლობელობის მიმნიჭებელი ურთიერთობა 155 III, 186 II, ვარ. 2 მუხლის გაგებით.¹⁸ ოჯახური ერთობიდან გამომდინარეობს ორივე მხარის ვალდებულება, მიანოდონ ერთმანეთს ინფორმაცია ქონების მდგომარეობასთან დაკავშირებით, რამაც მათ შესაძლებლობა უნდა მისცეს, იმსჯელონ ოჯახის ეკონომიკური ბაზისის შესახებ. ამასთან, მეუღლეებს არ აწევთ ვალდებულება ამ ქონებრივი მდგომარეობის ზუსტი აღწერისა და შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენისა.¹⁹ როგორც ქორწინებაში არსებული ვალდებულების წაგრძელება, მეუღლეებს განქორწინების შემდეგაც ეკისრებათ თანამონაწილეობა მეორე მეუღლის მიერ წარსადგენ საგადასახადო დეკლარაციის შედგენაში.
- 14** გარდა აღნიშნულისა, მეუღლეებს ეკისრებათ ერთმანეთისათვის თანადგომისა და რჩევის მიცემის ვალდებულება სამართლებრივ და ქონებრივ საკითხებში.

3. თანაქმედებისა და დახმარების ვალდებულება

- 15** ოჯახური ერთობა გამონაკლისის სახით შეიძლება წარმოშობდეს მეორე მეუღლისათვის ვალდებულებას, დაეხმაროს მეუღლეს მის პროფესიულ თუ სამეწარმეო საქმიანობაში, ასევე თანაქმედებას ოჯახის ეკონომიკური ბაზისის შექმნაში.²⁰ ეს მოთხოვნა სარჩოს ხასიათს ატარებს, რის გამოც, ერთ-ერთი მეუღლის მოკვლის შემთხვევაში, ცოცხლად დარჩენილ მეუღლეს შეიძლება წარმოეშვას დელიქტური მოთხოვნა მკვლელის მიმართ (1006).

¹⁷ BGHZ 71, 222; BGH NJW 2004, 3041.

¹⁸ BGH NJW 1979, 977.

¹⁹ BGH NJW 2015, 156; BGH NJW 2012, 3635.

²⁰ BGH NJW 1974, 2045.

4. მოთხოვნების წაყენება

მეუღლეთა მიერ ერთმანეთისათვის მოთხოვნების წაყენება, ზოგადად, წინააღმდეგობაში არ მოდის ოჯახური ერთობის პრინციპთან.²¹ მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში შეიძლება ერთ-ერთ მეუღლეს აეკრძალოს მეორის წინააღმდეგ მოთხოვნების წაყენება და მოეთხოვოს სხვაგვარად იზრუნოს ზიანის აღმოფხვრაზე.²² **16**

5. ზღვარი

ზემოთ აღწერილ მოთხოვნათა ზღვარი გამომდინარეობს მეუღლეთა შორის მიღწეული შეთანხმებიდან, უფლების ბოროტად გამოყენებიდან და ოჯახის ჩაშლის შემთხვევიდან. **17**

6. განხორციელებადობა

მეუღლეთა პიროვნული ვალდებულებები არ არის განხორციელებადი იძულების წესით, განსხვავებით ქონებრივი ვალდებულებებისაგან, როგორც არის, მაგალითად, ზიანის ანაზღაურების ვალდებულება იმავე პიროვნული ვალდებულების დარღვევის გამო. **18**

IV. ქორწინების რეგისტრაცია

1106-ე მუხლის თანახმად, ქორწინება რეგისტრირდება სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში. ხოლო, 1151-ე მუხლის თანახმად, მხოლოდ რეგისტრირებული ქორწინება წარმოშობს მეუღლეთა უფლება-მოვალეობებს.²³ შესაბამისად, დავის შემთხვევაში, სააგენტოს ჩანაწერი ხდება გადამწყვეტი მნიშვნელობის - თუნდაც მხარეები ფაქტობრივად ერთობლივად ეწეოდნენ საოჯახო მეურნეობას და ერთმანეთს მეუღლეებად მიიჩნევდნენ. **19**

იხ. 1151-ე მუხლის კომენტარი.

²¹ BGHZ 61, 101.

²² BGH FamRZ 1988, 476.

²³ *შენგელია/შენგელია*, საოჯახო სამართალი, მეორე გამოცემა, 2011, გვ. 70; *შენგელია*, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1106, გვ. 26.

მუხლი 1107. დაქორწინების პირობები

დაქორწინებისათვის აუცილებელია:

- ა) საქორწინო ასაკი;**
- ბ) დასაქორწინებელ პირთა თანხმობა.**

I. ზოგადი 8

II. ქორწინებაში შესვლის წინაპირობები..... 8

 1. ფორმა 9

 2. მოხელის თანაქმედების ვალდებულება..... 9

I. ზოგადი

1 1107-ე მუხლი აწესრიგებს სამოქალაქო ქორწინების პრინციპს. სახელმწიფოს მიერ აღიარებულ ქორწინებაში შესვლა შესაძლებელია მხოლოდ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სამოქალაქო რეესტრის დეპარტამენტის ტერიტორიული სამსახურის წინაშე ნების გამოხატვით (სამოქალაქო აქტების შესახებ კანონის 4 I, 48-ე მუხლები, იუსტიციის მინისტრის № 462 ბრძანების 9 I ა.ა) მუხლი, იუსტიციის მინისტრის № 501 ბრძანების 2 I ა) მუხლი). საეკლესიო ქორწინება არ არის აღიარებული სახელმწიფოს მიერ.¹

იხ. საქორწინო ასაკთან² დაკავშირებით 1108-ე მუხლის კომენტარი.

II. ქორწინებაში შესვლის წინაპირობები

2 ქორწინებაში შესვლა ხდება დაქორწინების მსურველთა ნების გამოხატვით,³ რომელიც მიმართულია ამ ურთიერთობის წარმოშობისაკენ. ნიშნობა არ წარმოადგენს მის წინაპირობას. ნების გამოხატვის პიროვნული ხასიათი გამორიცხავს წარმომადგენლისა და შიკრიკის მეშვეობით მის გამოხატვას. ამ პრინციპის დარღვევა წარმოშობს გაუქმებად

¹ *შენგელია/შენგელია*, საოჯახო სამართალი, მეორე გამოცემა, 2011, გვ. 70.

² სხვადასხვა ქვეყანაში მოქმედ საქორწინო ასაკთან დაკავშირებით იხ. *შენგელია/შენგელია*, საოჯახო სამართალი, მეორე გამოცემა, 2011, გვ. 74.

³ *შენგელია/შენგელია*, საოჯახო სამართალი, მეორე გამოცემა, 2011, გვ. 78.

(1140 I) ქორწინებას წარმოდგენილ პირთან. ნების გამოხატვა არ შეიძლება მოხდეს პირობადებულად ან ვადიანად, პირობის ან ვადის დათქმა არანამდვილია.

1. ფორმა

ფორმის მხრივ ქორწინების გარიგების დასადავად აუცილებელია ორივე მხარის ერთობლივი გამოცხადება სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სამოქალაქო რეესტრის დეპარტამენტში. დისტანციური ნების გამოხატვა და არათანმყოფ პირთა შორის ამ ნების გამოხატვის მისვლა დაუშვებელია. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სამოქალაქო რეესტრის დეპარტამენტის მოხელე მზად უნდა იყოს ამ ნების გამოხატვის მიღებისათვის. ნების გამოხატვა უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით.

3

2. მოხელის თანაქმედების ვალდებულება

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სამოქალაქო რეესტრის დეპარტამენტის მოხელეს, თუ სახეზეა 1107-ე და მომდევნო მუხლების წინაპირობები, ევალება თანაქმედება ქორწინების გარიგების დადებაში. მას აქვს თანაქმედებაზე უარის თქმის უფლება, თუ ცალსახად სახეზეა ქორწინების გამაუქმებელი გარემოება 1140-ე და მომდევნო მუხლების მიხედვით. მაგალითად, მას არ ევალება მონაწილეობა მიიღოს იმ ფიქციური ქორწინების გაფორმებაში, რომელიც მხოლოდ ბინადრობის უფლების მოპოვებისკენაა მიმართული.

4

მუხლი 1108. საქორწინო ასაკი

1. ქორწინება დაიშვება 18 წლის ასაკიდან.

2. შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე სრულწლოვანი პირის ქორწინება დაიშვება მზრუნველის წინასწარი წერილობითი თანხმობით.

3. (ამოღებულია - 16.12.2015, №4649).

საქართველოს 2011 წლის 20 დეკემბრის კანონი №5568 - ვებგვერდი, 28.12.2011წ.

საქართველოს 2015 წლის 16 დეკემბრის კანონი №4649 - ვებგვერდი, 28.12.2015წ.

I. ზოგადი

1 მოცემული დანაწესი შეიცავს პიროვნულ წინაპირობას ქორწინებისათვის. ქორწინებაუნარიანია მხოლოდ ის პირი, რომელმაც მიაღწია 18 წელს. ეს დანაწესი უკანასკნელი ცვლილებების შემდეგ უგამონაკლისოდ მოქმედებს.¹ ნორმა, რომელიც მშობლების ან სხვა კანონიერი წარმომადგენლების წინასწარი წერილობითი თანხმობის ან სასამართლოს მიერ გაცემული თანხმობის შემთხვევაში ნაწილობრივ ქმედუნარიანსაც მიიჩნევდა ქორწინებაუნარიან პირად, კანონიდან უკვალოდ ამოიშალა.² მოცემული დანაწესის დარღვევა 1140 I, 1142 მუხლის მიხედვით ითვლება ქორწინების გაუქმების საფუძვლად.

II. ქორწინების ასაკი

2 პირი ქორწინებაუნარიანი ხდება სრულწლოვანების მიღწევასთან ერთად. კანონის ამჟამინდელი რედაქციით არასრულწლოვან პირთა დაქორწინება აკრძალულია ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე. წარსულში

¹ უახლეს საკანონმდებლო ცვლილებებამდე მოქმედ რეგულაციასთან დაკავშირებით იხ. *შენგელია*, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1108, გვ. 30; *შენგელია/შენგელია*, საოჯახო სამართალი, მეორე გამოცემა, 2011, გვ. 73.

² შდრ. ამის საპირისპიროდ BVerfG NJW 2003, 1383; OLG Brandenburg FamRZ 2011, 216.

მოქმედი ნორმის მიხედვით (1108 II) დასაშვები იყო გამონაკლის შემთხვევებში თექვსმეტი წლის ასაკიდან დაქორწინება მშობლების ან სხვა კანონიერი წარმომადგენლების წინასწარი წერილობითი თანხმობით, არაპატივისცემის მიზეზით ამ თანხმობაზე უარის თქმის შემთხვევაში მას გასცემდა სასამართლო.³ ამჟამად ეს წესი აღარ მოქმედებს, რის მიზანსაც ბავშვებს შორის ქორწინებებისათვის ხელის შეშლა წარმოადგენს. დღეის მდგომარეობით პირთან, რომელსაც არ მიუღწევია 18 წლის ასაკისათვის, შეუძლებელია ქორწინებაში შესვლა. ამ წესის დარღვევის შემთხვევაში სახეზეა ე. წ. „არარა ქორწინება“,⁴ რომელსაც არ მოჰყვება არანაირი სამართლებრივი შედეგები. სრულწლოვანების დადგომის შემდეგ ამ ტიპის არარა ქორწინების დადასტურება შეუძლებელია, რადგან დადასტურების წინაპირობაა გაუქმებადი და არა არარა ქორწინება.⁵

თუმცა ეს რეგულაცია ვერ მოიცავს და ვერ კრძალავს სხვადასხვა რელიგიური თუ ტრადიციული მოქმედების (მაგ., ჯვრისწერის) ფარგლებში ქორწინების მსგავსი ურთიერთობის წარმოშობას.⁶

3

³ *შენგელია/შენგელია*, საოჯახო სამართალი, მეორე გამოცემა, 2011, გვ. 73.

⁴ BT-Drs. 18/12086, 22.

⁵ D. Schwab, Die verbotene Kinderehe, FamRZ 2017, 1371; 1142 III მუხლი, რომლის ამოშლაც კანონმდებელს გამორჩა საქორწინო ასაკის რეფორმის ფარგლებში, სწორედ ამ მიზეზის გამო ყურადღების მიღმა უნდა იქნეს დატოვებული და აქ სხვა შედეგს ვერ გამოიწვევს.

⁶ D. Schwab, Die verbotene Kinderehe, FamRZ 2017, 1374; *შენგელია*, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1107, გვ. 27.

მუხლი 1109. დასაქორწინებელ პირთა თანხმობა. ნიშნობა

1. დასაქორწინებელ პირთა წინასწარი თანხმობა (ნიშნობა) არ წარმოშობს შემდგომში დაქორწინების ვალდებულებას.

2. ნიშნობა არ არის სასამართლოში იძულებითი დაქორწინების მოთხოვნის შესახებ სარჩელის წარდგენის საფუძველი.

3. ნიშნობასთან დაკავშირებული საჩუქრები დაუქორწინებლობის შემთხვევაში მხარეებს უკან უბრუნდებათ.

I. ზოგადი.....	12
II. წინაპირობები.....	13
1. არასრულწლოვნის ნიშნობა	13
2. ნების ნაკლი	14
III. სამართლებრივი შედეგები, 1109 II.....	14
IV. საჩუქრის უკან დაბრუნება.....	14
1. წინაპირობები.....	15
2. კონდიქციური უკუმოთხოვნა.....	15

I. ზოგადი

1 ნიშნობის ცნება,¹ ერთი მხრივ, აღნიშნავს ქორწინების შეპირებას (ნიშნობას) და, მეორე მხრივ, ამით წარმოშობილ სამართალურთიერთობას. ნიშნობის სამართლებრივი ბუნება საკამათოა.² პირველ რიგში, ეს ეხება სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნაწილის იმ ნორმების გამოყენებას, რომლებიც ნების გამოხატვას აწესრიგებენ. დღეს უკვე გადალახული „რეალური ფაქტის თეორია“ ნიშნობის წინაპირობად მიიჩნევა და მხარეთა რეალურ თანხმობას, მათ შორის, ნების გამოხატვის გარეშე. გაბატონებული მოსაზრება – „ხელშეკრულების თეორია“ – ნიშნობის საფუძვლად მიიჩნევს ხელშეკრულებას – ქორწინების მომამზადებელ, საოჯახოსამართლებრივ ხელშეკრულებას.³ „ნდობიდან გამონეული პასუხიმგებლობის შესახებ მოძღვრება“⁴ ნიშნობას განმარტავს, როგორც კანონისმიერ ვალდებულებით ურთიერთობას და ავლებს პარალელს წინარე სახელშეკრულებო ურთიერთობასთან.

¹ *შენგელია/შენგელია*, საოჯახო სამართალი, მეორე გამოცემა, 2011, გვ. 78.
² *Gernhuber/Coester-Waltjen*, Familienrecht, 6. Aufl., München 2010, § 8 Rn. 3 ff.
³ RGZ 98, 14; BGHZ 28, 378.
⁴ *Dethloff*, Familienrecht, 32 Aufl., München 2018, § 2 Rn. 5.

II. წინაპირობები

ხელშეკრულების თეორიის მიხედვით, ნიშნობის წინაპირობაა დანიშნულთა ნების გამოხატვა.⁵ ხელშეკრულების კონკლუდენტური დადება შესაძლებელია, მაგალითად, ბეჭდების გაცვლით ან ქორწინების სამზადისის დაწყებით.⁶ ჯვრისნერის რიტუალის თარიღის დანიშვნა, საქორწინო მოსაწვევების დაგზავნა. წარმომადგენლობა 103-ე და მომდევნო მუხლების მიხედვით გამორიცხულია, რადგან ნიშნობა პირადად განსახორციელებელი აქტია, თუმცა დასაშვებია შიკრიკის გამოყენება.

2

1. არასრულწლოვნის ნიშნობა

მას შემდეგ, რაც, არასრულწლოვანთა შორის ქორწინების აკრძალვის მიზნიდან გამომდინარე, საქორწინო ასაკმა 18 წლამდე აიწია და გამოწვევის გარეშე იკრძალება არასრულწლოვან პირთა შორის ქორწინება, კანონი არ შეიცავს მინიმალურ ასაკს ნიშნობის მსურველთათვის.⁷ ანუ, მართალია, არასრულწლოვანს არ ძალუძს შევიდეს ნამდვილ ქორწინებაში, თუმცა ეს მას არ უშლის ხელს ამ ქორწინების შეპირებაში.⁸

3

ნიშნობის შემთხვევაზე შესაბამისად გამოიყენება 63-ე და მომდევნო მუხლები. არასრულწლოვანს შეუძლია მხოლოდ კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით დადოს ნიშნობის შეთანხმება (64 I).⁹ ამით ის დაცულია ნაჩქარევად მიღებული გადაწყვეტილებისაგან. თუ არასრულწლოვნის დანიშნული მოგვიანებით უარს ამბობს ნიშნობაზე, კანონისმიერ წარმომადგენელს მაინც შეუძლია მოიწონოს (101) და ამით გამოიწვიოს 1109-ე მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგები.¹⁰

4

⁵ *შენგელია/შენგელია*, საოჯახო სამართალი, მეორე გამოცემა, 2011, გვ. 82.

⁶ AG Neumünster FamRZ 2000, 817.

⁷ D. Schwab, Die verbotene Kinderehe, FamRZ 2017, 1373; ნიშნობის ასაკის ისტორიული მიმოხილვისთვის იხ. *ნადარეიშვილი*, ძველი ქართული საოჯახო სამართალი, 1996, გვ. 19; *შენგელია*, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1109, გვ. 32.

⁸ *Wellenhofer*, in BeckOGK, BGB, 2018, § 1297 Rn. 35.

⁹ თუმცა ნიშნობის შეთანხმების დადებისას საკუთარი ნება არასრულწლოვანმა პირადად უნდა გამოავლინოს და არა წარმომადგენლის დახმარებით.

¹⁰ *Gernhuber/Coester-Waltjen*, Familienrecht, 6. Aufl., München 2010, § 8 Rn. 11 f.

2. ნების ნაკლი

- 5** ნიშნობაზე შესაბამისად გამოიყენება 56-ე მუხლი. ნამდვილია „თაღლითი მექორნილის“ ნიშნობის შეპირება, თუ ნების არასერიოზულობა მეორე მხარისათვის შეუმჩნეველი დარჩა. ამის საპირისპიროდ, ბათილია მოჩვენებითი ნიშნობა 56 I მუხლის მიხედვით.

III. სამართლებრივი შედეგები, 1109 II

- 6** გაბატონებული მოსაზრების მიხედვით, მიუხედავად 1109 I მუხლის განსხვავებული ფორმულირებისა, ნიშნობა წარმოშობს დაქორწინების სამართლებრივ ვალდებულებას,¹¹ თუმცა ქორწინების ნეგატიური თავისუფლებიდან გამომდინარე, 1109 II მუხლის მიხედვით და მისი დაცვისათვის ქორწინება ვერ იქნება სასამართლო წესით გამოძალვადი, ანუ ვერ იქნება იძულების წესით განხორციელებადი.¹²
- 7** ნიშნობა წარმოშობს ზოგად ურთიერთდახმარების ვალდებულებას.¹³
- 8** ნიშნობა არ წარმოშობს რჩენის ვალდებულებებს ან სულაც მემკვიდრეობის უფლებას¹⁴ და არ წარმოშობს პროცესუალურ პრივილეგიებს, როგორც არის დანიშნულის საწინააღმდეგოდ ჩვენების მიცემაზე უარი და ა. შ.

IV. საჩუქრის უკან დაბრუნება

- 9** 1109 III მუხლის მიხედვით, ნიშნობასთან დაკავშირებული საჩუქრები დაუქორწინებლობის შემთხვევაში მხარეებს უკან უბრუნდებათ.¹⁵

¹¹ *Roth*, in *Münchener Kommentar*, BGB, 18. Aufl., 2019, § 1297 Rn. 17.

¹² *შენგელია*, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1109, გვ. 31; *შენგელია/შენგელია*, საოჯახო სამართალი, მეორე გამოცემა, 2011, გვ. 82.

¹³ როგორცაა, მაგალითად, თვითმკვლელობაში ხელის შეშლა. იხ. ამასთან დაკავშირებით: BGH NJW 1960, 1821.

¹⁴ *შენგელია/შენგელია*, საოჯახო სამართალი, მეორე გამოცემა, 2011, გვ. 82.

¹⁵ *შენგელია*, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1109, გვ. 34; *შენგელია/შენგელია*, საოჯახო სამართალი, მეორე გამოცემა, 2011, გვ. 82.

1. წინაპირობები

ეს ნორმა საკმაოდ მწირი და ზოგადი წინაპირობებით (ქორწინების ჩაშლა) ანესებს საკმაოდ საგრძნობ შედეგს (მიღებული საჩუქრის დაბრუნებას). ის, რომ ეს დანაწესი არასრულყოფილია, ნათლად ჩანს მის შესაბამის გერმანულ ანალოგთან შეპირისპირებისას. გსკ-ის 1298-ე პარაგრაფი საჩუქრის დაბრუნების ვალდებულებას ანესებს იმ შემთხვევისათვის, როდესაც დანიშნული უმიზეზოდ (საკუთარი მიზეზით) გადის ნიშნობის ხელშეკრულებიდან¹⁶ და ამით შლის ქორწინებას (და არა, მაგალითად, დანიშნულის გარდაცვალებისას) და ამასთან, დაბრუნების ვალდებულებას ავრცელებს, უშუალოდ საჩუქრის გარდა, ასევე ყველა იმ ხარჯზე, რომლებიც მეორე მხარემ გაიღო ნიშნობასთან დაკავშირებით. აუცილებელია, ქართული დანაწესიც ამ პრიზმაში განიმარტოს.

10

ჩუქების ქვეშ მოაზრება ყოველგვარი მატერიალური და არამატერიალური ქონების გადაცემა, რომელიც ნიშნობის ჩაშლის შემდეგ საფუძველს კარგავს. ჩუქებას არ წარმოადგენს დანიშნულის რჩენა, მაგალითად, როგორცაა სტომატოლოგთან ვიზიტის დაფინანსება, რომლის განხორციელებაც ხდება არა ქორწინების მოლოდინით, არამედ არსებული თანაცხოვრების ფარგლებში.¹⁷

11

2. კონდიქციური უკუმოთხოვნა

საკითხავია, 1109 III მუხლი, რომელიც ითვალისწინებს ქორწინების ჩაშლის შემთხვევაში ნიშნობის ფარგლებში მიღებული საჩუქრების დაბრუნებას, მოთხოვნის დამოუკიდებელი საფუძველია და მხოლოდ სამართლებრივი შედეგების ნაწილში უნდა შეივსოს კონდიქციური სამართლის დანაწესებით (979-ე და მომდევნო მუხლები) თუ წარმოადგენს მხოლოდ მითითებას კონდიქციურ სამართალზე, რის გამოც უკუმოთხოვნისათვის სახეზე უნდა იყოს კონდიქციური მოთხოვნის წინაპირობები და მისი გამომრიცხავი გარემოებები გამომრიცხავენ უკუმოთხოვნას.

12

13

¹⁶ შენგელია/შენგელია, საოჯახო სამართალი, მეორე გამოცემა, 2011, გვ. 82.

¹⁷ BGH FamRZ 2005, 1152.

ერთი მოსაზრების¹⁸ მიხედვით, 1109 III მუხლი უნდა გავიგოთ, როგორც გარიგების საფუძვლის მოშლის ქვეშემთხვევა და მასზე კონდიქციური სამართლის დანაწესები მხოლოდ უკუმოთხოვნის ფარგლებს დადგენის ნაწილში ვრცელდება, ხოლო ისეთი ნორმები, როგორცაა, მაგალითად, 976 II ან 977 II მუხლები, საერთოდ არ უნდა გავრცელდეს. მაგალითად, თუ ნიშნობის პერიოდში დანიშნულმა მეორე მხარეს გაუკეთა საჩუქარი, რომლის უკუმოთხოვნა წინააღმდეგობაში მოდის ზნეობის ნორმებთან, 977 II დ) მუხლი მასზე არ გავრცელდება და მას მაინც შეეძლება გადაცემულის უკან დაბრუნება, ან იმ დანიშნულსაც შეეძლება საკუთარი საჩუქრის უკან გამოთხოვა, რომელმაც თავად და სრულებით გაცნობიერებულად ჩაშალა ეს ნიშნობა. ამ შედეგის გამორიცხვა შეიძლებოდა 977 II მუხლის გამოყენებით, თუმცა თუ 1109 III მუხლზე მხოლოდ 979-ე და მომდევნო ნორმები ვრცელდება, 977-ე მუხლი ამ შემთხვევაში თამაშგარეთ რჩება.

- 14** ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, უფრო გამართლებული ჩანს მოცემული მოთხოვნის კონდიქციის არა მხოლოდ შედეგებზე, არამედ ასევე წინაპირობებზე მითითებად, ანუ კონდიქციურ მოთხოვნად აღქმა, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს კონდიქციური მოთხოვნის წინაპირობებს და რომელზეც ვრცელდება კონდიქციის გამომრიცხავი შემადგენლობები, როგორებიცაა, მაგალითად, 976 II და 977 II მუხლები.

¹⁸ Lüderitz/Dethloff, Familienrecht, 28. Aufl., München 2006, § 2 Rn. 17.

მუხლი 1117. (ამოღებულია)

საქართველოს 2004 წლის 24 ივნისის კანონი №179 - სსმ I, №19, 15.07.2004 წ., მუხ.79
საქართველოს 2011 წლის 20 დეკემბრის კანონი №5568 - ვებგვერდი, 28.12.2011 წ.

მუხლი 1118. (ამოღებულია)

საქართველოს 2009 წლის 11 ივლისის კანონი №1393 - სსმ I, №21, 03.08.2009წ., მუხ.111

მუხლი 1119. (ამოღებულია)

საქართველოს 2004 წლის 24 ივნისის კანონი №179 - სსმ I, №19, 15.07.2004 წ., მუხ.79
საქართველოს 2005 წლის 28 დეკემბრის კანონი №2626 - სსმ I, №3, 16.01.2006წ., მუხ.20
საქართველოს 2011 წლის 20 დეკემბრის კანონი №5568 - ვებგვერდი, 28.12.2011 წ.

მუხლი 1120. ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებანი

1. დაქორწინება არ დაიშვება:

ა) იმ პირთა შორის, რომელთაგან თუნდაც ერთი დაქორწინებულია სხვასთან;

ბ) პირდაპირ აღმავალი ან დამავალი შტოს ნათესავეებს შორის;

გ) ბიოლოგიურ და არაბიოლოგიურ და-ძმას შორის;

დ) მშვილებელსა და ნაშვილებს შორის;

ე) იმ პირებს შორის, რომელთაგან თუნდაც ერთი მხარდაჭერის მიმღებია და რომლებსაც არ დაუდიათ ამ კოდექსის 1172-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული საქორწინო ხელშეკრულება.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილის „ბ“, „გ“, „დ“ ქვეპუნქტები გამოიყენება მაშინაც, როცა ნათესაური ურთიერთობა მოიშალა გაშვილების შედეგად.

*საქართველოს 2007 წლის 18 დეკემბრის კანონი №5624 - სსმ I, №48, 27.12.2007წ., მუხ. 414
საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილება №2/4/532,533 – ვებგვერდი, 28.10.2014წ.*

საქართველოს 2015 წლის 20 მარტის კანონი №3339 - ვებგვერდი, 31.03.2015წ.

I. ზოგადი	19
II. ორმაგი ქორწინება, 1120 I ა)	20
III. ნათესაობა, არაბიოლოგიური და-ძმა, 1120 I ბ), 1120 გ)	20
IV. შვილების (ადოპციის) მეშვეობით წარმოშობილი და გაუქმებული ნათესაობა, 1120 I დ)	21
1. მშვილებელი და ნაშვილები	21
2. ნაშვილები და სხვა, შვილების შედეგად დანათესავებული პირი	22

I. ზოგადი

1120-ე მუხლი შეიცავს ქორწინების ამკრძალავ გარემოებას.¹ ამ გარემოების არსებობისას მარეგისტრირებელ ორგანოს არ აქვს უფლება

1

¹ *შენგელია/შენგელია, საოჯახო სამართალი, მეორე გამოცემა, 2011, გვ. 83.*

დაარეგისტრიროს ქორწინება, ხოლო დარეგისტრირების შემთხვევაში ქორწინება გაუქმებადია (1143).

II. ორმაგი ქორწინება, 1120 I ა)

- 2 ქორწინება არ შეიძლება მოხდეს იმ პირებს შორის, რომელთაგანაც ერთ-ერთი (ან ორივე) იმყოფება სხვა პირთან ქორწინებაში.² ეს წესი შეზღუდულად მოქმედებს მეუღლის შეცდომით გარდაცვლილად გამოცხადების შემთხვევაში (1135 I).
- 3 1120 I ა) მუხლი ემსახურება კანონში მონოგამიის პრინციპის³ გამყარებას, რის გამოც, აუცილებელია, რომ სხვა პირთან ახალ ქორწინებაში შესვლამდე მეუღლეებს შორის ქორწინება, განქორწინების ან სხვა მიზეზის გამო, იყოს შეწყვეტილი.
- 4 მეორე ქორწინება გაუქმებადია მაშინაც კი, როდესაც პირველი ქორწინების განქორწინებით დასრულების ან მისი გაუქმების, მეორე ქორწინებამდე მიღებული, გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შედის მხოლოდ მეორე ქორწინების შემდეგ. მეორე ქორწინება გაუქმებადია ასევე იმ შემთხვევაში, როდესაც პირველი ქორწინებიდან გაყრა ან მისი გაუქმების გადაწყვეტილება მეორე ქორწინების შემდეგ მიიღება, ან პირველი ქორწინება მთავრდება მეუღლის გარდაცვალებით მეორე ქორწინების შემდეგ.
- 5 ქორწინების მოცემული აკრძალვის დარღვევა სანქციონირდება 1140 I, 1143 I მუხლებით.

III. ნათესაობა, არაბიოლოგიური და-ძმა, 1120 I ბ), 1120 გ)

- 6 ქორწინება აკრძალულია პირდაპირი (აღმავალი თუ დაღმავალი) შტოს (ბიოლოგიურ, *arg. ex* 1120 I დ) ნათესავეებს შორის, დამოუკიდებ-

² *შენგელია*, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1120, გვ. 50; *შენგელია/შენგელია*, საოჯახო სამართალი, მეორე გამოცემა, 2011, გვ. 83.

³ *შენგელია/შენგელია*, საოჯახო სამართალი, მეორე გამოცემა, 2011, გვ. 83.

ზღად სიახლოვის ხარისხისა, ისევე, როგორც არაბიოლოგიურ თუ ბიოლოგიურ და-ძმას შორის.⁴ სამართლებრივად არ არის გამორიცხული ქორწინება ბიძაშვილ-მამიდაშვილებს შორის, რადგან ისინი არ მოიაზრებიან ზემოთ ხსენებული გაგებით ნათესავებად, თუმცა საქართველოში ის ეწინააღმდეგება საზოგადოებაში დამკვიდრებული მორალის ნორმებს.⁵

დასახელებული საფუძვლებით ქორწინება აკრძალულია სამედიცინო და მორალური ასპექტებიდან გამომდინარე⁶ და, ამგვარად, მოიცავს როგორც ბიოლოგიურ, ისე სამართლებრივ ნათესაობას. თუ სახეზეა სამართლებრივი ნათესაობა, 1120 I ბ) მუხლი აქტიურდება მაშინაც კი, როდესაც ბიოლოგიური ნათესაობა მოცემული არ არის. 1120 I გ) მუხლი მოიცავს შემთხვევებს, როდესაც არსებობს ან ბიოლოგიური ნათესაობა, ან სამართლებრივი და კრძალავს ამ პირებს შორის ქორწინებას. აკრძალვის დარღვევა სანქციონირდება 1140 I, 1143 I მუხლებით.

7

IV. შვილების (ადოპციის) მეშვეობით წარმოშობილი და გაუქმებული ნათესაობა, 1120 I დ)

1. მშვილებელი და ნაშვილები

ქორწინება აკრძალულია იმ პირებს შორის, რომელთაც, მართალია, არ აკავშირებთ სისხლით ნათესაობა, თუმცა აკავშირებთ შვილების გზით წარმოშობილი ნათესაობა (1120 I დ).⁷ ეს წესი არ მოქმედებს იმ შემთხვევაში, როდესაც შვილების ურთიერთობა გაუქმდა. ზემოთ ხსენებული შემთხვევების მსგავსად, ამ აკრძალვის დარღვევაც წარმოადგენს ქორწინების ბათილად ცნობის საბაბს.

8

როგორც ბიოლოგიური, ისე ადოპციის შედეგად წარმოშობილი ნათესაობის გამო ქორწინების აკრძალვა ძალაში რჩება ასევე ერთ-ერთი (ან ორივე) პირის გაშვილების შემდეგაც, 1120 II.

9

⁴ *შენგელია*, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1120, გვ. 50.

⁵ *ნადარეიშვილი*, ძველი ქართული საოჯახო სამართალი, 1996, გვ. 10; *შენგელია*, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1120, გვ. 52.

⁶ *შენგელია/შენგელია*, საოჯახო სამართალი, მეორე გამოცემა, 2011, გვ. 86.

⁷ *შენგელია*, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1120, გვ. 51.

2. ნაშვილები და სხვა, შვილების შედეგად დანათესავებული პირი

- 10** საკითხავია, დასაშვებია თუ არა ქორწინება შვილების შედეგად დანათესავებულ სხვა პირებს შორის, მაგალითად, ნაშვილებსა და მშვილებლის მამას შორის. ერთი შეხედვით, ამგვარი ქორწინება შესაძლებელი უნდა იყოს; კანონი ამომწურავად ასახელებს იმ პირებს, ვის შორისაც შვილად აყვანის ურთიერთობის გამო ქორწინება არ დაიშვება: ესაა ბიოლოგიური და არაბიოლოგიური და-ძმა (მუხ. 1120 I დ) და მშვილებელ-ნაშვილები (1120 I ე). თუმცა, ამ საკითხის გადასაწყვეტად საკმარისი არ არის კანონის სიტყვასიტყვითი გაგება ან მხოლოდ დოგმატური პერსპექტივის მოშველიება, არამედ აუცილებელია აქცენტის გაკეთება საზოგადოებაში არსებულ კულტურულ და მენტალურ წარმოდგენებზე, კერძოდ იმაზე, არის თუ არა საზოგადოებაში ამგვარი ქორწინებითი კავშირი დასაშვებად მიჩნეული. ამ შეკითხვას ცალსახად უარყოფითი პასუხი უნდა გაეცეს. ნაშვილებსა და მის არაბიოლოგიურ ნათესავებს შორის ქორწინება ისეთივე გაკიცხვადია, როგორც ბიოლოგიურ ნათესავებს შორის საქორწინო კავშირი, დამოუკიდებლად ნათესაობის ხარისხისა. გარდა ამისა, სრული ადოპციის პრინციპის თანახმად (იხ. 1259-ე მუხლის კომენტარი), ნაშვილები მთლიანად ინკორპორირდება ახალ ოჯახში და მას ნათესაური კავშირი აკავშირებს არა მხოლოდ უშუალოდ მშვილებელ მშობლებთან, არამედ ასევე ყველა სხვა ნათესავთან, აქედან გამომდინარე სამართლებრივი შედეგებით. ამიტომაც, 1120 I ბ) მუხლი, სულ მცირე, ანალოგიით უნდა გავრცელდეს ასევე შვილების შედეგად წარმოშობილ ნათესაობაზეც.

მუხლი 1121. (ამოღებულია)

საქართველოს 2011 წლის 20 დეკემბრის კანონი №5568 - ვებგვერდი, 28.12.2011 წ.

თავი მეორე

ქორწინების შეწყვეტა

მუხლი 1122. ქორწინების შეწყვეტის საფუძვლები

ქორწინება წყდება:

- ა) ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალებით;
- ბ) კანონით დადგენილი წესით ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვლილად გამოცხადებით;
- გ) განქორწინებით.

მუხლი 1122¹. ქორწინების შეწყვეტა ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალების ან გარდაცვლილად გამოცხადების შედეგად

1. ქორწინება შეწყვეტილად ითვლება ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალების თარიღიდან.

2. ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილებაში გარდაცვალების ზუსტი თარიღის მითითების არარსებობის შემთხვევაში ქორწინება შეწყვეტილად ითვლება სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის მომენტიდან.

საქართველოს 2011 წლის 20 დეკემბრის კანონი №5568 - ვებგვერდი, 28.12.2011 წ.

მუხლი 1123. განქორწინების დაუშვებლობა

1. განქორწინება ხდება სასამართლო წესით, თუ მეუღლეებს შორის არსებობს დავა, სხვა შემთხვევაში – სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში.

2. ცოლის ორსულობის დროს და ბავშვის დაბადებიდან ერთი წლის განმავლობაში ქმარს უფლება არა აქვს ცოლის თანხმობის გარეშე აღძრას საქმე განქორწინებაზე.

*საქართველოს 2004 წლის 24 ივნისის კანონი №179 - სსმ I, №19, 15.07.2004 წ., მუხ.79
 საქართველოს 2005 წლის 28 დეკემბრის კანონი №2626 - სსმ I, №3, 16.01.2006წ., მუხ.20
 საქართველოს 2007 წლის 28 დეკემბრის კანონი №5672 - სსმ I, №1, 03.01.2008წ., მუხ.4
 საქართველოს 2011 წლის 20 დეკემბრის კანონი №5568 - ვებგვერდი, 28.12.2011 წ.*

I. ზოგადი	24
II. განქორწინების დაუშვებლობა 1123 II მუხლი მიხედვით	24
III. 1123 II მუხლის ანალოგიით გამოყენება	25

I. ზოგადი

1 მეუღლეთა განქორწინება ხდება სასამართლო წესით, თუ მათ შორის არსებობს დავა, ხოლო სხვა შემთხვევაში – უშუალოდ მარეგისტრირებული ორგანოს მიერ (1123 I).¹ გარდა აღნიშნულისა, 1123 II მუხლი შეიცავს ე. წ. „განქორწინების დაუშვებლობის დათქმას“ ანუ შემთხვევას, როდესაც განქორწინება დაუშვებელია.² მოცემული დანაწესი ანალოგიაუნარიანია (იხ. ქვევით).

II. განქორწინების დაუშვებლობა 1123 II მუხლი მიხედვით

2 ე. წ. „დაუშვებლობის დათქმის“ მეშვეობით აკრძალულია „უდროო“ დროს განქორწინება. კერძოდ, ცოლის ორსულობის დროს და ბავშვის

¹ შენგელია, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1123, გვ. 59.

² შენგელია, ქორწინება და მეუღლეთა უფლება-მოვალეობანი, 1999, გვ. 39.

დაბადებიდან ერთი წლის განმავლობაში ქმარს უფლება არა აქვს ცოლის თანხმობის გარეშე აღძრას საქმე განქორწინებაზე.³ ამ დათქმის მიზანს არ წარმოადგენს ქორწინების ხანგრძლივი დროის განმავლობაში შენარჩუნება, არამედ იმის აღკვეთა, რომ ქმარმა მიატოვოს უმწეო მდგომარეობაში მყოფი ცოლი, რომელსაც მოცემული მომენტისათვის არ შეუძლია საკუთარ თავზე (ფინანსური) პასუხისმგებლობის აღება და ბავშვის საუკეთესო ინტერესებზე ზრუნვა.

III. 1123 II მუხლის ანალოგიით გამოყენება

1123 II მუხლი შეიცავს მხოლოდ ერთ გამონაკლისს, სხვა შემთხვევაში ზოგადად დაშვებული, ცალმხრივი (მხოლოდ ერთი მეუღლის ნების საფუძველზე) განქორწინების თავისუფლებიდან. საკითხავია, დასაშვებია თუ არა ამ დანაწესის ანალოგიით გავრცელება სხვა შემთხვევებზე, მაგალითად, შემთხვევაზე, როდესაც, მართალია, ბავშვის დაბადებიდან გასულია ერთ წელზე მეტი, თუმცა მცირეწლოვანი თუ არასრულწლოვანი შვილის საუკეთესო ინტერესები მოითხოვს ქორწინების გარკვეული ვადით შენარჩუნებას. გსკ-ის 1168 I პარაგრაფში სწორედ ამ შემთხვევაზე კეთდება აქცენტი. 1123 II მუხლის ანალოგიაუნარიანობა უნდა დაეფუძნოს იმ მოსაზრებას, რომ ოჯახის სიმყარე უზრუნველყოფილია კონსტიტუციით და, გარდა ამისა, კანონში ცალკე და სპეციალური ადგილი აქვს მიჩენილი ბავშვის საუკეთესო ინტერესებისათვის ზრუნვას. გამომდინარე აქედან, თუ არასრულწლოვან ან მცირეწლოვან შვილს აქვს, მაგალითად, მონყვლადი ფსიქიკა ან რაიმე სხვა მენტალური თუ ფიზიკური პრობლემა, დასაშვებია უნდა იყოს განქორწინების გადადება, როგორც დედის, ისე მამის ინიციატივის საფუძველზე, 1123 II მუხლის ანალოგიით. ეს შემთხვევა, პირველ რიგში, გულისხმობს ბავშვის ფსიქიკისათვის და ზოგადად ჯანმრთელობისათვის განქორწინების შედეგად „გადაულახავი წინააღმდეგობის“ წარმოშობას და არა იმ სირთულეებს, რომლებიც მუდამ თან ახლავს მშობლების განქორწინებას.

გადაულახავი წინააღმდეგობა სახეზეა, თუ მშობლების განქორწინება მო-

³ შენგელია, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1123, გვ. 59.

ცემულ მომენტში მნიშვნელოვნად გააუარესებს შვილის ფსიქიკურ ჯანმრთელობას ან შექმნის მისი მხრიდან სუიციდის საფრთხეს.⁴ მხოლოდ ეკონომიკური ინტერესი საკმარისი არ არის. გადაულახავი წინალობა უნდა ეხებოდეს მეუღლეთა საერთო შვილებს, რომლებიც მცირეწლოვნები ან არასრულწლოვნები არიან. საერთო შვილების ქვემო იგულისხმება ასევე ნაშვილებიც. მენტალური წინალობა გერისათვის საკმარისი არ არის. ამის საპირისპიროდ, თუ საფრთხე ემუქრება იმ მეუღლის შვილის ფსიქიკას, რომელიც აპირებს განქორწინებას, ეს საკმარისი მიზეზია ამ განქორწინების გადადებისათვის. განქორწინებაზე უარი უნდა იყოს ერთადერთი საშუალება ბავშვის საუკეთესო ინტერესის განხორციელებისა. თუ არსებობს ამ ინტერესის განხორციელების სხვა გზები – დასაშვებია მეუღლეთა გაყრა. ამიტომაც, გაყრა მაშინაც კი დასაშვებია, თუ ამის შედეგად ერთ-ერთ მეუღლეს მოუწევს საკუთარ სამუშაოზე უარის თქმა და მთელი დროის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე შვილის მოვლისათვის დათმობა, რადგან ეს პრობლემები გადალახვადია შესაბამისი ალიმენტის განსაზღვრის გზით.⁵

- 5** გაყრაზე უარი, 1123 II მუხლის ანალოგიით, დასაშვებია ასევე იმ შემთხვევაში, როდესაც ეს წარმოშობს გადაულახავ წინალობას არა არასრულწლოვანი შვილის, არამედ მეორე მეუღლის ფიზიკური თუ ფსიქიკური ჯანმრთელობისათვის. ამ შემთხვევაში ანალოგია ეფუძნება ისევე კანონით გამყარებულ მეუღლეთა ურთიერთზრუნვის ვალდებულებას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს დროის კონკრეტულ მომენტში გაყრის შეუძლებლობა. ამგვარი დაუშვებლობა შეიძლება განპირობებული იყოს მეორე მეუღლის მძიმე დაავადებით, განსაკუთრებით მაშინ, თუ სავარაუდოა მისი გარდაცვალება უახლოეს პერიოდში⁶ ან არსებობს თვითმკვლელობის საფრთხე იმ მეუღლისა, რომელიც უარს ამბობს გაყრაზე.⁷ ქორწინების ძალაში დატოვებასთან დაკავშირებულმა არგუმენტებმა ცალსახად და ერთმნიშვნელოვნად უნდა გადაწონოს მეორე მხარის ინტერესი გაყრის მიმართ. არასაკმარისია, რომ გაყრა იმ მხა-

⁴ OLG Hamburg FamRZ 1986, 469.

⁵ OLG Bamberg FamRZ 2005, 810.

⁶ OLG Brandenburg FamRZ 2010, 1803.

⁷ KG FamRZ 1983, 1133.

რისათვის, რომელიც უარზეა, დაკავშირებული იყოს ისეთ ჩვეულ, უარყოფით მომენტებთან, როგორცაა ეკონომიკური დანაკლისები.⁸ განქორწინების გადადება დაუშვებელია მაშინაც კი, თუ ის ამის შედეგად სიღარიბის ზღვარს მიღმა აღმოჩნდება და სოციალური დახმარების იმედად უნდა იყოს.⁹ ეს შედეგი არ დგება არც მაშინ, როდესაც განქორწინება გამოიწვევს ბავშვზე მზრუნველობისა და ბავშვთან ყოფნის უფლების შეზღუდვას¹⁰ ან ყოფილი მეუღლის უცხოეთში გადასვლასთან დაკავშირებულ უსიამოვნებებს,¹¹ ან საზოგადოების თვალში ცუდად წარმოჩენას.¹² ასევე არასაკმარისია, ზოგადად, თანაცხოვრების ჩაშლიდან გამომდინარე სირთულეები; აუცილებელია, რომ სირთულე უშუალოდ განქორწინებიდან გამომდინარეობდეს.¹³ საჭიროა, რომ ხსენებული გაუსაძლისი წინალობა ქარწყლებოდეს განქორწინების მომენტის გადანევით. ამ დროსაც იგივეა ძალაში, რაც ბავშვების შემთხვევაში (იხ. ზემოთ).

აუცილებელია, რომ მეორე მხარე უარს აცხადებდეს გაყრაზე იმ მიზეზით, რომ ჯერ კიდევ ჰქონდეს იმედი და მიზნად ისახავდეს ოჯახური თანაცხოვრებისა და ზოგადად ქორწინების შენარჩუნებას. სხვა შემთხვევაში, 1123 II მუხლის გამოყენება გამორიცხულია.¹⁴ გარდა ამისა, გაყრაზე უარის დროს სასამართლო ვალდებულია გაითვალისწინოს ასევე მეორე მხარის მოთხოვნილებები და საჭიროებები და ანონ-დანონოს ამ საჭიროებებსა და ხსენებულ გადაულახავ სირთულეს შორის (სსკ-ის 354 I მუხლი). მაგალითად, გაყრა ნებისმიერ შემთხვევაში დასაშვებია, თუ მეორე (გაყრის მსურველი) მეუღლეს ზუსტად ისევე მიდრეკილი სუიციდისაკენ (ქორწინების ძალაში დატოვების შემთხვევაში), როგორც მეუღლე, რომელიც გაყრაზე უარს ამბობს.

6

⁸ BGH NJW 1981, 2516; BGH NJW 1984, 2353; OLG Düsseldorf FamRZ 1980, 780.

⁹ OLG Bamberg FamRZ 2005, 810.

¹⁰ OLG Frankfurt NJW-RR 2002, 577.

¹¹ OLG Köln FamRZ 1995, 997; OLG Nürnberg FamRZ 1996, 35.

¹² OLG Hamm FamRZ 1977, 802.

¹³ OLG Brandenburg FamRZ 2009, 1223.

¹⁴ BGH FamRZ 1985, 905.

მუხლი 1124. (ამოღებულია)

საქართველოს 2004 წლის 24 ივნისის კანონი №179 - სსმ I, №19, 15.07.2004 წ., მუხ.79
საქართველოს 2005 წლის 28 დეკემბრის კანონი №2626 - სსმ I, №3, 16.01.2006წ., მუხ.20
საქართველოს 2007 წლის 28 დეკემბრის კანონი №5672 - სსმ I, №1, 03.01.2008წ., მუხ.4
საქართველოს 2009 წლის 11 ივლისის კანონი №1393 - სსმ I, №21, 03.08.2009წ., მუხ.111
საქართველოს 2010 წლის 15 დეკემბრის კანონი №4055 - სსმ I, №76, 29.12.2010 წ., მუხ.499
საქართველოს 2011 წლის 20 დეკემბრის კანონი №5568 - ვებგვერდი, 28.12.2011 წ.

მუხლი 1125. (ამოღებულია)

საქართველოს 2004 წლის 24 ივნისის კანონი №179 - სსმ I, №19, 15.07.2004 წ., მუხ.79
საქართველოს 2005 წლის 28 დეკემბრის კანონი №2626 - სსმ I, №3, 16.01.2006წ., მუხ.20
საქართველოს 2011 წლის 20 დეკემბრის კანონი №5568 - ვებგვერდი, 28.12.2011 წ.

მუხლი 1126. (ამოღებულია)

საქართველოს 2007 წლის 28 დეკემბრის კანონი №5672 - სსმ I, №1, 03.01.2008წ., მუხ.4

მუხლი 1127. განქორწინების საქმეთა განხილვა სასამართლოს მიერ

1. განქორწინების საქმეებს სასამართლო განიხილავს სასარჩელო წარმოების წესით, რომელიც დადგენილია საქართველოს სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსით.

2. სასამართლო იღებს ზომებს მეუღლეთა შესარიგებლად; მას უფლება აქვს გადადოს საქმის განხილვა და მეუღლეებს დაუნიშნოს ვადა შესარიგებლად, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს ექვს თვეს.

3. განქორწინება მოხდება, თუ სასამართლო დაადგენს, რომ მეუღლეთა შემდგომი ერთად ცხოვრება და ოჯახის შენარჩუნება შეუძლებელია, მიუხედავად შესარიგებლად მიღებული ზომებისა.

4. განქორწინების შესახებ გადაწყვეტილების გამოტანისას სასამართლო, როცა აუცილებელია, იღებს ზომებს მცირეწლოვანი შვილებისა და შრომისუნარო მეუღლის ინტერესების დასაცავად.

5. განქორწინების შესახებ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე განსახორციელებელ განქორწინების რეგისტრაციაზე არ ვრცელდება ამ კოდექსის 142-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადა.

საქართველოს 2018 წლის 27 ივნისის კანონი №2635 – ვებგვერდი, 06.07.2018წ.

- I. ზოგადი30
- II. გაყრის საფუძველი დავის არსებობისას30
 - 1. ოჯახის შენარჩუნების შეუძლებლობა, 1127 III.....31
 - 2. ოჯახური ერთიანობის აღდგენის ნაკლებსავარაუდოობა.....32

I. ზოგადი

- 1** მოცემული დანაწესი, პირველ რიგში, ეხება და აწესრიგებს სახელმწიფოს ინტერესს ქორწინების გაუქმების კონტროლთან დაკავშირებით. ქართული სამართლის მიხედვით, გამორიცხულია ე. წ. კერძო განქორწინება. ამდენად, თუ საერთაშორისო დავებისას გამოსაყენებელი სამართალი არის ქართული, უცხოეთში განქორწინება უნდა მოხდეს სასამართლოს გადაწყვეტილებით ან სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში (1123), მაშინაც კი, როდესაც ამ ქვეყნის სამართალი იცნობს კერძო გაყრას. სხვა ტიპის განქორწინების ცნობა დაუშვებელია.¹ ამის საპირისპიროდ, ქვეყნის შიგნით სასამართლო წესით ან სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში გაყრა უნდა მოხდეს მაშინაც კი, როდესაც გადაწყვეტია ის მართლწესრიგი, რომელიც კერძო გაყრას იცნობს. ამ შემთხვევაში კერძო განქორწინება უნდა გაცხადდეს სასამართლოს წინაშე ან სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში, რომელსაც გამოაქვს საბოლოო ვერდიქტი.²
- 2** განქორწინების საქმეებს სასამართლო განიხილავს სასარჩელო წარმოების წესით, რომელიც დადგენილია საქართველოს სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსით (1127 I).³

II. გაყრის საფუძველი დავის არსებობისას

- 3** დავის არსებობისას (1123 I მუხლის 1-ლი ვარიანტი) 1127-ე მუხლში გაცხადებული გაყრის ერთადერთი და მთავარი საფუძველია ოჯახის შენარჩუნების შეუძლებლობა (ოჯახის ჩაშლა).⁴ რაც, ჩვეულებრივ, მხოლოდ მაშინ უნდა მიიჩნიოს სასამართლომ მოცემულად, თუ მეუღლეები უკვე გარკვეული ხანია განცალკევებით ცხოვრობენ (იხ. ამასთან დაკავშირებით ქვევით). მხარეებს არ ხელენიფებათ შესაბამისი შეთანხმებით გაამძაფრონ (გაამარტივონ) გაყრის წინაპირობები ან საერთოდ გამორიცხონ გაყრის შესაძლებლობა, რადგან, კანონში განერილი ამ წინაპირობით, კანონმდებელი აღკვეთს იმის შესაძლებლობას,

¹ BGHZ 176, 365; BGHZ 110, 267; BayObLG FamRZ 2003, 381; KG FPR 2002, 304.

² *შენგელია/შენგელია*, საოჯახო სამართალი, მეორე გამოცემა, 2011, გვ. 110.

³ *შენგელია/შენგელია*, საოჯახო სამართალი, მეორე გამოცემა, 2011, გვ. 117.

⁴ *შენგელია*, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1127, გვ. 66.

რომ ძალაში დარჩეს ქორწინება, როდესაც რეალურად ოჯახი უკვე აღარ არსებობს და თანაცხოვრების მიზანი ჩაიშალა.⁵

დასაშვებია შეთანხმება ცალკეულ გარემოებებზე, რომლებიც ჩაითვლება გაყრისათვის გადამწყვეტად ან პირიქით, მაგალითად, მეუღლეთა განცალკევებით ცხოვრება, სამუშაო ადგილიდან გამომდინარე, არ უნდა იყოს გაგებული, როგორც საოჯახო თანაცხოვრების ჩაშლა.⁶

4

1. ოჯახის შენარჩუნების შეუძლებლობა, 1127 III

1127 III მუხლი წარმოდგენს განქორწინების სამართლის ცენტრალურ დანაწესს, რადგან ის შეიცავს იმ ერთადერთ საფუძველს, რომლის არსებობის შემთხვევაშიც არის დასაშვები გაყრა. ქართული განქორწინების სამართალი მისდევს ოჯახის ჩაშლის პრინციპს და უშვებს გაყრას ყოველთვის, როდესაც ოჯახის შენარჩუნება შეუძლებელია. ამასთან, მიუხედავად კანონში შესაბამისი რეგულაციის არარსებობისა, აუცილებელია, რომ ამ ოჯახის ჩაშლაზე მიმანიშნებელ გარემოებად აღებულ იქნეს მეუღლეთა განცალკევებით ცხოვრება, საიდანაც, რა თქმა უნდა, დასაშვებია გამონაკლისები (იხ. ზევით). ეს დათქმა არაპირდაპირ უკავშირდება ასევე 1127 II მუხლში მონესრიგებულ შესარიგებელ ვადასაც. შესარიგებელი ვადა ზოგადად აზრს მოკლებულია, თუ მეუღლეები უკვე ისედაც განცალკევებით ან სხვა პირებთან ცხოვრობენ (თუმცა სასამართლოს, რა თქმა უნდა, მაინც შეუძლია მისი დანიშვნა).

5

როგორც ზემოთ აღინიშნა, განქორწინება დასაშვებია, თუ ოჯახი ჩაიშალა და მისი შენარჩუნება შეუძლებელია. არის თუ არა ეს სახეზე, სასამართლომ (დავის არსებობისას) უნდა დაადგინოს კონკრეტული შემთხვევის ყოველი ცალკეული მომენტის გათვალისწინებით. მტკიცების ტვირთს იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლებიც ამართლებენ განქორწინებას, ატარებს პირი, რომელმაც შესაბამისი განაცხადით მიმართა სასამართლოს. ამ შემთხვევაში მეორე მხარემ უნდა

6

⁵ BGH NJW 1990, 703; OLG Hamm FamRZ 1991, 443.

⁶ შდრ. BGHZ 1997, 304.

ამტიკიცოს ის გარემოებები, რომლებიც, პირიქით, ოჯახის შენარჩუნების შესაძლებლობაზე მიანიშნებენ. სასამართლოსათვის ნათელი უნდა გახდეს, თუ რის გამო ითვლება ოჯახი ჩაშლილად. მხოლოდ ახსნა-განმარტება, რომ მეუღლეები გარკვეული დროის განმავლობაში ცალ-ცალკე ცხოვრობენ, საკმარისი არ არის.⁷

- 7** ოჯახის ჩაშლა გულისხმობს, რომ მეუღლეთა შორის აღარ არსებობს ოჯახური ერთობა. ოჯახური ერთობა მოიცავს უფრო მეტს, ვიდრე მხოლოდ თანაცხოვრებას. ამიტომაც ის შეიძლება არსებობდეს მაშინაც კი, როდესაც მეუღლეები განცალკევებით ცხოვრობენ ცალ-ცალკე ბინებში. ეს ძალაშია განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ერთ ქერქვეშ თანაცხოვრების არარსებობა გამონვეულია გარეშე ფაქტორებით, როგორცაა სამუშაო ან პატიმრობა. თუ ერთ-ერთი მეუღლე ისე მძიმედ დაავადდება ფსიქიკურად, რომ კარგავს აღქმას, თუ რა არის ოჯახი, აქედან ავტომატურად არ გამომდინარეობს, რომ ოჯახური ერთიანობა მათ შორის ჩაშლილია.⁸

8 2. ოჯახური ერთიანობის აღდგენის ნაკლებსავარაუდოობა

გარდა ხსენებულისა, აუცილებელია, რომ ოჯახური ერთიანობის აღდგენა სამომავლოდ ნაკლებსავარაუდო იყოს. აქ საქმე ეხება პროგნოზირებას სასამართლოს მიერ, რომლის გადასინჯვაც უმაღლესი ინსტანციის მიერ მხოლოდ შეზღუდულადაა შესაძლებელი.⁹ სასამართლო ამონმებს იმას, არის თუ არა სამომავლოდ სავარაუდო, რომ მეუღლეები შექმნიან ერთობას, რომელიც შეესატყვისება ოჯახის კანონისმიერ პარადიგმას, ანუ იქნება დამყარებული ურთიერთსიყვარულზე, პატივისცემაზე და ა. შ. შემონმების მასშტაბი ობიექტურია. ამიტომაც პროგნოზი შეიძლება იყოს ასევე ნეგატიურიც, მაგალითად, მაშინ, თუ მეუღლეები ცდილობენ ოჯახური ერთიანობის შექმნას, მაგრამ ეს არ გამოსდით მუდმივი ღალატის გამო ერთი ან ორივე მხრიდან.

- 9** გარემოებები, რომლებიც ოჯახური ერთობის ჩაშლაზე მეტყველებენ და მის განახლებას შეუძლებლად წარმოაჩენენ, შემდეგია: მუდმივი

⁷ OLG Saarbrücken OLGR 2004, 516.

⁸ BGH FPR 2002, 143.

⁹ BGH NJW 1978, 1810.

ღალატი ერთი ან ორივე მეუღლის მხრიდან, ცემა ან შეურაცხყოფა ერთ-ერთი მეუღლის მიერ, მუდმივი კამათი, მეუღლის ნათესავებზე თავდასხმა, აბსოლუტური გულგრილობა მეორე მეუღლის მიმართ. თუ ეს გარემოებები სახეზეა, მაშინ ნეგატიურ პროგნოზს ვერ შეცვლის გამოჩენილი მცირედი ყურადღება თუ შერიგების მცდელობა. განსაკუთრებით მაშინ, თუ ეს ყველაფერი მხოლოდ მესამე პირთა დასანახად ხდება, მაგალითად, საავადმყოფოში მონახულება ავადმყოფობის დროს.¹⁰

¹⁰ OLG Schleswig FamRZ 1977, 802.

მუხლი 1128. გადაწყვეტილების მიღება შვილების საცხოვრებელი ადგილისა და მათი რჩენის შესახებ

1. როცა მეუღლენი არ არიან შეთანხმებული განქორწინების შემდეგ შვილების საცხოვრებელ ადგილსა და მათ სარჩენად გადასახდელ სახსრებზე, სასამართლო მოვალეა განქორწინებასთან ერთად განსაზღვროს ისიც, თუ რომელი შვილი რომელ მშობელთან დარჩეს და რომელ მშობელს რა ოდენობით უნდა გადახდეს სარჩო (ალიმენტი).

2. ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, საჭიროებისამებრ, საქმეში მონაწილეობის მისაღებად ჩაბმულ უნდა იქნეს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო.

იხ. 1202-ე და 1214-ე მუხლების კომენტარი.

მუხლი 1129. გადაწყვეტილების მიღება მეუღლის რჩენის თაობაზე

იმ მეუღლის თხოვნით, რომელსაც უფლება აქვს მიიღოს სარჩო მეორე მეუღლისაგან, სასამართლო ვალდებულია, განქორწინების საქმის გადაწყვეტასთან ერთად, განსაზღვროს იმ სახსრების ოდენობა, რაც უნდა გადახდეს მეორე მეუღლეს.

I. პირადი პასუხიმგებლობის პრინციპი	34
II. განქორწინების შემდეგ სარჩოს გადახდის მოთხოვნის მინიჭება	35
1. 1182-ე, 1183-ე მუხლების წინაპირობების არსებობა	35
2. რჩენის ვალდებულების გაუქმება	36

I. პირადი პასუხიმგებლობის პრინციპი

1 მეუღლეებმა, ზოგადად, გაყრის შემდეგ ისევ თავად უნდა ირჩინონ თავი. სარჩოს გადახდის მოთხოვნა ყოფილი მეუღლის მიმართ განიხი-

ლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა 1182-ე მუხლის მე-2 ვარიანტში მოცემული ერთ-ერთი საფუძველი.¹ შრომისუუნარობის შემთხვევაში (1182-ე მუხლის მე-2 ვარიანტის ა) ქვეპუნქტი) ის დამდგარი უნდა იყოს ქორწინების დროს ან გაყრიდან ერთი წლის განმავლობაში (1183).

II. განქორწინების შემდეგ სარჩოს გადახდის მოთხოვნის მინიჭება

1. 1182-ე, 1183-ე მუხლების წინაპირობების არსებობა

განქორწინების შემდეგ სარჩოს გადახდის მოთხოვნა მონესრიგებულა 1183-ე მუხლში, რომელიც უთითებს 1182-ე მუხლის მე-2 ვარიანტის ა) ქვეპუნქტში ნახსენებ შრომისუუნარობაზე იმ დათქმით, რომ ის დამდგარია ქორწინების პერიოდში ან განქორწინებიდან ერთი წლის განმავლობაში. 1183-ე მუხლი არ ეხება 1182-ე მუხლის მე-2 ვარიანტის ბ) ქვეპუნქტში მონესრიგებულ შემთხვევას, კერძოდ, ცოლის ორსულობასა და ბავშვის დაბადებიდან სამი წლის გავლას. ეს, პირველ რიგში, განპირობებულია იმით, რომ ამ პერიოდის დასაწყისში ქმარს საერთოდ არ შეუძლია განქორწინების მოთხოვნა (1123 II) და, გარდა ამისა, ის, რომ სარჩოს გადახდის ვალდებულება, განქორწინების შემდეგ, ამ სიტუაციაში ქმარს აწევს, თავისთავად იგულისხმება ნორმის ტელეოლოგიური განმარტებიდან. რა თქმა უნდა, 1183-ე მუხლის ანალოგიით ქმარს სარჩოს გადახდა არ ეკისრება, თუ ცოლი სხვისგანაა ორსულად და ა. შ.

დასაშვებია 1182-ე მუხლის მე-2 ვარიანტში მოცემული მოთხოვნების კომბინირება იმგვარად, რომ ნაწილობრივი სარჩოს გადახდის ვალდებულება მთლიანი სარჩოს მიცემის ვალდებულებად გარდაიქმნას. მაგალითად, თუ ყოფილ ცოლს ბავშვის დაბადებიდან სამი წლის განმავლობაში (1182-ე მუხლის მე-2 ვარიანტის ბ) ქვეპუნქტი) შეიძლება ზოგადად დაკისრებოდა არასრული განაკვეთით დასაქმება, თუმცა ესეც გამორიცხულია მისი ასაკიდან გამომდინარე (1182-ე მუხლის მე-

¹ შენგელია, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1129, გვ. 70.

2 ვარიანტის ა) ქვეკუნქტი). ეს შემთხვევა ჩვეულებრივ სახეზეა ბავშვის შვილების შემთხვევაში (შდრ. მუხ. 1182 22-ე ველი) ან თუ ის ვერ პოულობს შესაბამის არასრულ შტატიან განაკვეთს.²

- 4** მეუღლე, რომელიც ითხოვს სარჩოს, ამას რეალურად უნდა საჭიროებდეს - მას არ უნდა შეეძლოს თავად ირჩინოს თავი საკუთარი შემოსავლებიდან (1183). განქორწინებული მეუღლისთვის ხანგრძლივი დროით სარჩოს დანიშვნა არ უნდა იყოს უსამართლო; ეს სახეზეა, მაგალითად, მაშინ, როცა მისი შრომისუუნარობა და საკუთარ თავზე ზრუნვის უნარი გაუარესდა იმ გარემოების გამო, რომელსაც ქორწინებასთან არაფერი აქვს საერთო. მეუღლე, რომელსაც ეკისრება სარჩოს გადახდა, თავად უნდა იყოს შრომისუუნარიანი და შემოსავლის მქონე (შდრ. 1185).
- 5** გარდა ამისა, სარჩოს გადახდის მოთხოვნა არ უნდა იყოს 1185-ე მუხლის მიხედვით შემცირებული ან 1186-ე მუხლის მიხედვით საერთოდ მოსპობილი, ან გამორიცხული ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპის საფუძველზე (8 III)³.
- 6** სარჩოს ოდენობა განისაზღვრება 1185-ე მუხლის მიხედვით, ჩვეულებრივ, განქორწინების შედეგად წარმოშობილი ქონებრივი მდგომარეობის მიხედვით. იხ. ამ მუხლის კომენტარი.

2. რჩენის ვალდებულების გაუქმება

- 7** რჩენის ვადიანი ვალდებულება უქმდება ამ ვადის გასვლის შემდეგ ან იმ გარემოების გაქარწყლების შემდეგ, რომელიც გახდა მისი გაცემის საფუძველი, ასევე ზემოთ მოყვანილი წინაპირობებიდან ერთ-ერთის არარსებობისა და სარჩოს მიმღები მეუღლის ხელახლა დაქორწინების შემთხვევაში (1186).

² BGHZ 179, 43; BGH FamRZ 2010, 869.

³ BGHZ 84, 280; BGHZ 103, 62.

მუხლი 1130. გადაწყვეტილების მიღება მეუღლეთა ქონების გაყოფის თაობაზე

1. მეუღლეების ან ერთ-ერთი მათგანის თხოვნით, სასამართლო ვალდებულია განქორწინების საქმის გადაწყვეტასთან ერთად განიხილოს იმ ქონების გაყოფის საკითხი, რომელიც წარმოადგენს მეუღლეთა თანასაკუთრებას.

2. თუ ასეთი გაყოფა ეხება მესამე პირის უფლებებს, დავა ქონების გაყოფის შესახებ არ შეიძლება გადაწყდეს განქორწინების საქმესთან ერთად.

ქონების გაყოფასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებას, 1158-ე და მომდევნო მუხლების მიხედვით, ერთ-ერთი მეუღლის მოთხოვნის საფუძველზე, იღებს სასამართლო განქორწინების საქმის გადაწყვეტასთან ერთად (1130 I). თუ საქმე ეხება მესამე პირის უფლებებს (მეუღლეთა საერთო ქონებიდან კონკრეტული ნივთი იმყოფება მესამე პირთან და მისი ვინდიცირებაა აუცილებელი, დაქირავებული ბინის ერთი მეუღლისათვის მიკუთვნების საკითხი და ა. შ.), ქონების გაყოფა გადაწყდება არა განქორწინების საკითხთან ერთად, არამედ ცალკე სასამართლო წარმოების ფარგლებში, რომელშიც ჩართული იქნება ასევე ეს მესამე პირიც.¹

1

¹ შენგელია, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1130, გვ. 70.

მუხლი 1131. (ამოღებულია)

*საქართველოს 2005 წლის 28 დეკემბრის კანონი №2626 - სსმ I, №3, 16.01.2006წ., მუხ.20
საქართველოს 2011 წლის 20 დეკემბრის კანონი №5568 - ვებგვერდი, 28.12.2011 წ.*

მუხლი 1132. (ამოღებულია)

*საქართველოს 2004 წლის 24 ივნისის კანონი №179 - სსმ I, №19, 15.07.2004 წ., მუხ.79
საქართველოს 2005 წლის 28 დეკემბრის კანონი №2626 - სსმ I, №3, 16.01.2006წ., მუხ.20
საქართველოს 2011 წლის 20 დეკემბრის კანონი №5568 - ვებგვერდი, 28.12.2011 წ.*

მუხლი 1133. (ამოღებულია)

საქართველოს 2011 წლის 20 დეკემბრის კანონი №5568 - ვებგვერდი, 28.12.2011 წ.

მუხლი 1134. (ამოღებულია)

*საქართველოს 2004 წლის 24 ივნისის კანონი №179 - სსმ I, №19, 15.07.2004 წ., მუხ.79
საქართველოს 2005 წლის 28 დეკემბრის კანონი №2626 - სსმ I, №3, 16.01.2006წ., მუხ.20
საქართველოს 2011 წლის 20 დეკემბრის კანონი №5568 - ვებგვერდი, 28.12.2011 წ.*

მუხლი 1135. ქორწინების აღდგენა გარდაცვლილად გამოცხადებული ან უგზო-უკვლოდ აღიარებული მეუღლის დაბრუნებისას

1. თუ გამოჩნდება კანონით დადგენილი წესით გარდაცვლილად გამოცხადებული ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებული მეუღლე, რომელთანაც ქორწინება შეწყვეტილი იყო ამ საფუძველზე, და გაუქმდება სასამართლოს გადაწყვეტილება მისი გარდაცვლილად გამოცხადების ან უგზო-უკვლოდ აღიარების შესახებ, სააგენტოს ტერიტორიულმა სამსახურმა ქორწინება შეიძლება აღადგინოს მეუღლეთა ერთობლივი განცხადებით, ხოლო თუ ისინი სასამართლო წესით იყვნენ განქორწინებულნი, სასამართლო მათი განცხადებით აუქმებს გადაწყვეტილებას განქორწინების შესახებ.

2. ქორწინება არ შეიძლება აღდგეს, თუ გარდაცვლილად გამოცხადებული ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებული პირის მეუღლე უკვე დაქორწინებულია სხვა პირზე.

*საქართველოს 2004 წლის 24 ივნისის კანონი №179 - სსმ I, №19, 15.07.2004 წ., მუხ. 79
საქართველოს 2005 წლის 28 დეკემბრის კანონი №2626 - სსმ I, №3, 16.01.2006წ., მუხ. 20*

1135-ე მუხლი ითვალისწინებს გაუქმებული ქორწინების აღდგენის შესაძლებლობას იმ შემთხვევაში, თუ გარდაცვლილად ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად გამოცხადებული მეუღლე ცოცხალი აღმოჩნდება და გამორიცხავს ამის შესაძლებლობას მაშინ, როდესაც გარდაცვლილად გამოცხადებულის მეუღლე უკვე დაქორწინებულია სხვა პირზე.¹

ახალ ქორწინებაში შესვლით წინა ქორწინება გაუქმებულად ითვლება.²

კანონის სიტყვასიტყვითი გაგებით, ეს შედეგი დგება უგამონაკლისოდ, მაშინაც კი, როდესაც ცოცხლად დარჩენილმა და მისმა ახალმა მეუღლემ დაქორწინებისას იცოდნენ, რომ გარდაცვლილად ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებული მეუღლე რეალურად ცოცხალი იყო, რაც საკმაოდ გაუმართლებელია² და შეიძლება დაკორექტირდეს

¹ *შენგელია*, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1135, გვ. 76.

² შდრ. გსკ-ის 1319 II პარაგრაფი.

ნორმის ტელეოლოგიური განმარტების გზით ან, 1143 I, 1145 I მუხლების საერთო ანალოგიის მიხედვით, ესეთი ქორწინება სასამართლო წესით ბათილად ცნობადად ჩაითვალოს.

მუხლი 1136. ხელახალი დაქორწინების უფლება

განქორწინებულ მეუღლეებს უფლება აქვთ ხელახლა დაქორწინდნენ.

მუხლი 1137. (ამოღებულია)

*საქართველოს 2004 წლის 24 ივნისის კანონი №179 - სსმ I, №19, 15.07.2004 წ., მუხ.79
საქართველოს 2005 წლის 28 დეკემბრის კანონი №2626 - სსმ I, №3, 16.01.2006წ., მუხ.20
საქართველოს 2011 წლის 20 დეკემბრის კანონი №5568 - ვებგვერდი, 28.12.2011 წ.*

მუხლი 1138. (ამოღებულია)

*საქართველოს 2004 წლის 24 ივნისის კანონი №179 - სსმ I, №19, 15.07.2004 წ., მუხ.79
საქართველოს 2005 წლის 28 დეკემბრის კანონი №2626 - სსმ I, №3, 16.01.2006წ., მუხ.20
საქართველოს 2011 წლის 20 დეკემბრის კანონი №5568 - ვებგვერდი, 28.12.2011 წ.*

მუხლი 1139. (ამოღებულია)

*საქართველოს 2004 წლის 24 ივნისის კანონი №179 - სსმ I, №19, 15.07.2004 წ., მუხ.79
საქართველოს 2005 წლის 28 დეკემბრის კანონი №2626 - სსმ I, №3, 16.01.2006წ., მუხ.20
საქართველოს 2010 წლის 9 მარტის კანონი №2719 - სსმ I, №12, 24.03.2010წ., მუხ.56
საქართველოს 2011 წლის 20 დეკემბრის კანონი №5568 - ვებგვერდი, 28.12.2011 წ.*

მუხლი 1139¹. (ამოღებულია)

*საქართველოს 2010 წლის 1 ოქტომბრის კანონი №3657 - სსმ I, №53, 11.10.2010 წ., მუხ.341
საქართველოს 2011 წლის 20 დეკემბრის კანონი №5568 - ვებგვერდი, 28.12.2011 წ.*

თავი მესამე

ქორწინების ბათილობა

მუხლი 1140. ქორწინების ბათილობის საფუძველი

1. ქორწინება შეიძლება ცნობილ იქნეს ბათილად, თუ დარღვეულია 1107-ე, 1108-ე და 1120-ე მუხლებით დაწესებული პირობები და, თუ ქორწინების რეგისტრაცია მიზნად არ ისახავდა ოჯახის შექმნას (ფიქციური ქორწინება).

2. ქორწინება შეიძლება ბათილად ცნოს მხოლოდ სასამართლომ.

I. ზოგადი	42
II. ქორწინების ბათილობის საფუძველები	43
III. პროცედურა	43

I. ზოგადი

1 დაქორწინებისას ნაკლს – ქორწინების კანონით გათვალისწინებული პოზიტიური წინაპირობების არარსებობას ან ქორწინების გამომრიცხავი, ნეგატიური წინაპირობების არსებობას – მივყავართ ე. წ. ბათილად ცნობად ქორწინებასთან,¹ რომელიც მისი ასეთად ცნობის შემდეგ აქარწყლებს მეუღლეთა უფლება-მოვალეობებს უკუქცევითი ძალით² და ასეთ დროს განქორწინებაც შეუძლებელია.³ ქორწინების ბათილად ცნობა ხდება კანონიერ ძალაში შესული გარდამქმნე-

¹ შენგელია/შენგელია, საოჯახო სამართალი, მეორე გამოცემა, 2011, გვ. 130.

² ჯორბენაძე, საოჯახო სამართლის საფუძველები, კრებულში „სამართლის საფუძველები“, 1977, გვ. 485.

³ BGH FamRZ 2003, 841.

ლი გადაწყვეტილებით (1148), ქორწინების მომენტიდან (1146 I, გამო-
ნაკლისი: 1141-ე მუხლი, როდესაც მეუღლეებმა არ იცოდნენ ბათილო-
ბის საფუძვლის არსებობის შესახებ).⁴

1140-ე და მომდევნო მუხლებში ამომწურავადაა მოცემული ქორწინების ბათილობის მოთხოვნის განმარტებელი გარემოებები. ბათილობის შედეგები განერილია 1146-ე, 1147-ე მუხლებში. ეს შედეგები შეიძლება იყოს უფრო ხელსაყრელი, ვიდრე განქორწინების სამართლებრივი შედეგები. ბათილად ცნობის მოთხოვნა დასაშვებია უკვე განქორწინების გზით დასრულებული ქორწინების შემთხვევაშიც.

2

II. ქორწინების ბათილობის საფუძვლები

ქორწინების ბათილობის საფუძვლები მოცემულია, ერთი მხრივ, თავად 1140-ე მუხლში 1107, 1108-ე და 1120-ე მუხლებზე მითითებით და, მეორე მხრივ, 1142-ე და მომდევნო მუხლებში. ბათილობის საფუძვლებია: საქორწინო ასაკის მიუღწეველ პირთან ქორწინება⁵ (1142, 1140 I, 1107 ა)); შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე სრულწლოვანთან ქორწინება მზრუნველის წინასწარი თანხმობის გარეშე (1140 I, 1108 II); ორმაგი ქორწინება (1120 ა)); ნათესავეებს შორის ქორწინება (1120 ბ)); ბიოლოგიურ თუ არაბიოლოგიურ და-ძმას შორის ქორწინება (1120 გ));⁶ მშვილებელსა და ნაშვილებს შორის ქორწინება (1120 დ)); მხარდაჭერის მიმღებთან ქორწინება საქორწინო კონტრაქტის დადების გარეშე (1120 ე)); იძულებით დაქორწინება (1144)⁷ და ფიქციური ქორწინება (1145).

3

III. პროცედურა

ქორწინების ბათილად ცნობის მოთხოვნის უფლება აქვთ: საქორწინო ასაკს მიუღწეველ პირთან ქორწინებისას არასრულწლოვან მეუღლეს, მის მშობლებს ან მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს

4

⁴ *შენგელია*, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1140, გვ. 83

⁵ *შენგელია/შენგელია*, საოჯახო სამართალი, მეორე გამოცემა, 2011, გვ. 132.

⁶ *შენგელია/შენგელია*, საოჯახო სამართალი, მეორე გამოცემა, 2011, გვ. 134.

⁷ *შენგელია/შენგელია*, საოჯახო სამართალი, მეორე გამოცემა, 2011, გვ. 133.

(1142 II); 1120-ე მუხლით გათვალისწინებული სხვა შემთხვევებისას მეუღლეებს და იმ პირებს, რომელთა უფლებებიცაა დარღვეული ამ დაქორწინებით, აგრეთვე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს (1143 II მუხლის მე-2 ვარიანტი); ფიქციური ქორწინებისას სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურს, ხოლო თუ ერთ-ერთი მეუღლე დაქორწინდა ისე, რომ მიზნად არ ისახავდა ოჯახის შექმნას, ასეთი სარჩელის აღძვრა მეორე მეუღლესაც შეუძლია (1145 II). ყველა სხვა შემთხვევაში ქორწინების ბათილად ცნობის მოთხოვნის უფლება აქვს იმ მეუღლეს, რომლის პიროვნებასაც უკავშირდება ბათილობის საფუძველი (მაგალითად, იძულებულ მეუღლეს 1144-ე მუხლის შემთხვევაში).

მუხლი 1141. ქორწინების ნამდვილობის პრეზუმფცია

თუ მეუღლეებმა დაქორწინებისას არ იცოდნენ ქორწინების დამაბრკოლებელი იმ გარემოების შესახებ, რომელიც მათი ქორწინების ბათილობის საფუძველია, ქორწინება წყდება სასამართლოში ამ გარემოების დადგენის მომენტიდან, მაგრამ ამ დრომდე ქორწინება წარმოშობს ყველა იმ სამართლებრივ შედეგს, რასაც ნამდვილი ქორწინება.

I. ზოგადი	45
II. გამოყენების სფერო	45
1. კეთილსინდისიერი მეუღლის დაცვა	45
2. არცოდნის ვარაუდი	46
III. მტკიცების ტვირთი	47

I. ზოგადი

1141-ე მუხლის სახელწოდებაა ქორწინების ნამდვილობის პრეზუმფცია.¹ აღნიშნული პრეზუმფცია ცნობილია საოჯახო და მემკვიდრეობით სამართალში, მათ შორის, სხვა ქვეყნების სამართლის სისტემებისათვისაც. ქართველმა კანონმდებელმა 1141-ე მუხლში გაითვალისწინა ქორწინების ნამდვილობის პრეზუმფციის კონკრეტული, ქართული სამართლის რეალობას მორგებული ვარიანტი.

1

II. გამოყენების სფერო

1. კეთილსინდისიერი მეუღლის დაცვა

1141-ე მუხლის თანახმად დაცულია ის მეუღლე, რომელმაც არ იცის ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებების შესახებ.² შესაბამისად, იგი მოქმედებს კეთილსინდისიერად და გააჩნია ლეგიტიმური ნდობა ქორწინების ნამდვილობის მიმართ. ასეთ დროს კანონმდებელი იცავს

2

¹ *შენგელია/შენგელია*, საოჯახო სამართალი, მეორე გამოცემა, 2011, გვ. 131.

² *შენგელია*, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1141, გვ. 84.

კეთილსინდისიერი მეუღლის ინტერესებს და აძლევს მას შესაძლებლობას ისარგებლოს ყველა იმ ქონებრივი თუ არაქონებრივი უფლებით, რომლებიც მას ნამდვილი და კანონიერი ქორწინების შემთხვევაში ექნებოდა. მაგალითად, თუკი ქორწინების პერიოდში მეუღლეებმა შეიძინეს ქონება, ხოლო შემდეგში გამოვლინდება ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებები, რის გამოც ქორწინება ბათილად იქნება ცნობილი, შექმნილ ქონებაზე მაინც გავრცელდება მეუღლეთა თანასაკუთრების რეჟიმი, თუკი ქორწინების ბათილობის საფუძვლები მათთვის უცნობი იყო, მიუხედავად იმისა, რომ ქორწინების ბათილად ცნობა გამორიცხავს, მაგალითად, მემკვიდრედ ყოფნის უფლებას.³

- 3** 1141-ე მუხლი, სისტემურად, მოთავსებულია ქორწინების ბათილობის თავში და მოსდევს 1140-ე მუხლს, რომელიც ადგენს ქორწინების ბათილობის საფუძვლებს. შესაბამისად, 1141-ე მუხლი გამოიყენება შემდეგ შემთხვევებში: (ა) დარღვეულია საქორწინო ასაკი; (ბ) ქორწინება განხორციელდა დასაქორწინებელი პირის თანხმობის გარეშე; (გ) სრულწლოვანი ქმედუნარიანი პირი დაქორწინდა მზრუნველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე; (დ) პირი დაქორწინდა ისე, რომ ჯერ კიდევ იმყოფება სხვა ქორწინებაში; (ე) დაქორწინებული პირები არიან ერთმანეთის აღმავალი ან დაღმავალი შტოს ნათესავები, ბიოლოგიური ან არაბიოლოგიური და-ძმა ან მშვილებელი და ნაშვილები; და (ვ) დაქორწინებულ პირთაგან ერთ-ერთი მაინც არის მხარდაჭერის მიმღები და მათ ქორწინების რეგისტრაციამდე არ გაუფორმებიათ საქორწინო ხელშეკრულება.

2. არცოდნის ვარაუდი

- 4** 1141-ე მუხლის დისპოზიციიდან პირდაპირ არ იკითხება გაბათილებად ქორწინებაში მყოფი მეუღლის კეთილსინდისიერების ვარაუდი. კერძოდ, პრეზიუმირება იმისა, რომ მან არ იცოდა ქორწინების ბათილობის საფუძვლის არსებობის შესახებ, რაც ამ გარემოებას მეორე მხარის სამტკიცებელს გახდიდა. მიუხედავად ამისა, გამომდინარე იქიდან, რომ სამოქალაქო სამართლის ნორმები, რომლებიც იცავენ კეთილსინდისიერ მხარეს, ყოველთვის კონსტრუირებულია იმგვარად, რომ

³ სუსგ № ას-708-662-2017, 11/01/2018.

ეს კეთილსინდისიერება ივარაუდება (შდრ. 64 II, 79 II მუხლის მე-2 ვარიანტი, 185, 187 I მუხლის 1-ლი ვარიანტი და ა. შ.) და, ზოგადად, მისი გამაქარნყლებელი, ნეგატიური გარემოებები (ცოდნა) რთულად დამტკიცებადია, მიზანშეწონილია, 1141-ე მუხლიდან გამომდინარე, პრეზიუმირება იმისა, რომ მეუღლე კეთილსინდისიერია. ეს შეესატყვისება ასევე ნორმის სათაურსაც.

III. მტკიცების ტვირთი

პრაქტიკაში, როგორც წესი, ამ ტიპის დავები წარმოიშობა ორ მეუღლეს (ან მათ მემკვიდრეებს) შორის, რომელთაგან ერთი მხარე (მეუღლე პირველი ქორწინებიდან) ამტკიცებს, რომ მეორე ქორწინება იყო ბათილი 1120 I ა) მუხლის საფუძველზე, ხოლო მოპასუხე მხარე (მეუღლე მეორე ქორწინებიდან) ამტკიცებს, რომ მან დაქორწინების მომენტში არ იცოდა ქორწინების ბათილობის საფუძვლის არსებობის შესახებ, რის გამოც მის მიმართ ქორწინება ითვლება ნამდვილად და წარმოშობს ყველა იმ ქონებრივ და არაქონებრივ უფლებას, რომლებსაც ნამდვილი ქორწინება.

5

1141-ე მუხლიდან გამომდინარე პრეზუმფციის გასაქარნყლებლად სათანადო მტკიცებულებებით უნდა დადასტურდეს მეუღლე(ებ)ის მიერ ქორწინების ბათილობის საფუძვლების ცოდნა დაქორწინების მომენტში. ამასთან, 1141-ე მუხლის გამოყენების შემთხვევაშიც მოქმედებს მტკიცებითი სამართლის ყველა ის ზოგადი პრინციპი, რომლებითაც სასამართლოები ხელმძღვანელობენ სხვა საქმეებში. მაგალითად, ერთ-ერთ საქმეზე რაიონულმა სასამართლომ არასაკმარისად მიიჩნია 1141-ე მუხლის თანახმად მეუღლის ცოდნის დამადასტურებლად მონმეთა ჩვენება, ვინაიდან, სასამართლოს განმარტებით, „მონმეები ან გარდაცვლილი მამკვიდრებლისადმი ზედმეტად სუბიექტურად და ნეგატიურად იყვნენ განწყობილი.“⁴ მსგავსი პოზიცია გაიზიარა სხვა საქმეზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლომაც, რომელმაც მონმის ჩვენება მეუღლის მიერ ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებების ცოდნის შესახებ არასაკმარის მტკიცებულებად მიიჩნია,

6

⁴ სუსგ № ას-708-662-2017, 11/01/2018.

ვინაიდან მონუმეს გააჩნდა სუბიექტური და მიკერძოებული დამოკიდებულება განსახილველი საქმის მიმართ, იყო რა იგი მოსარჩელის დედა და საქმის შედეგით პირდაპირ დაინტერესებული პირი.⁵

⁵ სუსგ № ას-564-535-2013, 07/10/2013.

მუხლი 1142. საქორწინო ასაკს მიუღწეველ პირთან ქორწინების ბათილობა

1. იმ პირთან ქორწინება, რომელსაც საქორწინო ასაკისათვის არ მიუღწევია და არც საქორწინო ასაკი ჰქონია შემცირებული, შეიძლება ცნობილ იქნეს ბათილად, თუ ამას მოითხოვს იმ მეუღლის ინტერესები, რომელიც დაქორწინდა საქორწინო ასაკის მიღწევამდე.

2. ამ საფუძვლით ქორწინების ბათილად ცნობის მოთხოვნის უფლება აქვს არასრულწლოვან მეუღლეს, მის მშობლებს ან მეურვეს (მზრუნველს), აგრეთვე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს.

3. თუ საქმის განხილვის მომენტისათვის არასრულწლოვანმა მეუღლემ საქორწინო ასაკს მიაღწია ან ორსულადაა, მაშინ ქორწინება შეიძლება ცნობილ იქნეს ბათილად მხოლოდ მისი მოთხოვნით.

I. ნორმის მიზანი.....	49
II. მეუღლის ინტერესები.....	50
III. მოთხოვნის სუბიექტი	51
1. საქორწინო ასაკის მიღწევამდე ან ორსულობის არარსებობისას	51
2. საქორწინო ასაკის მიღწევის შემდეგ ან ორსულობისას.....	51

I. ნორმის მიზანი

ნორმის მიზანია ქორწინების ბათილობის ერთ-ერთი საფუძვლის - მეუღლის საქორწინო ასაკს მიუღწევლობის - დადგენა. 1142-ე მუხლი გამოიყენება იმ შემთხვევაშიც, თუ ორივე მეუღლე ქორწინების მომენტში არ აკმაყოფილებდა მინიმალური საქორწინო ასაკის მოთხოვნას, ესე იგი, არ იყო 18 წლის (12 II). მუხლში ნახსენები „არც ასაკი ჰქონია შემცირებული“ საკანონმდებლო ხარვეზს უნდა მიენეროს, რომლითაც მინიმალურ საქორწინო ასაკთან დაკავშირებული ცვლილების კვალდაკვალ (იხ. მუხ. 1108 მე-2 ველი) კანონის ტექსტის სხვა ნაწილები ცვლილების შესაბამისად რედაქტირებული არ ყოფილა (კანონის სხვა ხარვეზისთვის იხ. 12 III).¹

1

¹ რეფორმამდელ მონესრიგებასთან დაკავშირებით იხ. *შენგელა*, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1142, გვ. 86.

- 2** დანანესს აქვს იგივე ფუნქცია ქორწინების ნამდვილობასთან მიმართებით, რაც 63-67-ე მუხლებს გარიგებებთან მიმართებით. პირის შეზღუდული ქმედუნარიანობის სამართლებრივი შედეგი მის მიერ გამოვლენილი გარიგების ნების მერყევადა ბათილობაა, ხოლო ქორწინებისთვის - ქორწინების ბათილობის მოთხოვნის წარმოშობა. ამით კანონმდებელი ადგენს ქორწინების სამართლებრივ რეჟიმში შესვლასთან დაკავშირებით არასრულწლოვნის ნების (1107 ბ)) არასაკმარისობის ვარაუდს.
- 3** ნორმის პრაქტიკული დანიშნულება მცირეა, რადგან არასრულწლოვანთა ქორწინების უმრავლესობა, ჩვეულებრივ, ისედაც არ რეგისტრირდება. აღნიშნული დანანესი, ფაქტობრივად, ასრულებს მხოლოდ ამგვარი კავშირის რეგისტრირების დაუშვებლობის ან მარეგისტრირებელი ორგანოს შეცდომის აღმოფხვრის ფუნქციას - სერვისების განვითარების სააგენტო არ დაარეგისტრირებს ქორწინებას, თუ პირთა მიერ წარმოდგენილი პირადობის მოწმობებით (იუსტიციის მინისტრის №18 ბრძანების 39 I ა) მუხლი) დგინდება ერთ-ერთი ან ორივე მხარის არასრულწლოვანება.

II. მეუღლის ინტერესები

- 4** არასრულწლოვნის დაცვის აბსოლუტური და ხისტი ბუნების გამო, უმნიშვნელოა ის, მიიღებდა თუ არა იმავე გადაწყვეტილებას არასრულწლოვანი ქორწინების მომენტში წლოვანებისადმი წაყენებული მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში.
- 5** არასრულწლოვანთა დაცვის აბსტრაქტულობიდან გამომდინარე და ნორმის სიტყვასიტყვითი მნიშვნელობის საწინააღმდეგოდ, ქორწინება უნდა ბათილდებოდეს ყოველთვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღნიშნული (ქორწინების ბათილობა) ეწინააღმდეგება მის ინტერესებს. ამას საპროცესოსამართლებრივი მიზანი აქვს: საპირისპირო შემთხვევაში (ნორმის სიტყვასიტყვითი განმარტებით) იმის მტკიცების ტვირთი, რომ ქორწინება ეწინააღმდეგება არასრულწლოვნის ინტერესებს, მოსარჩელის მხარეზე იქნებოდა, რაც არათანმიმდევრულია. აღნიშნული არ შეესაბამება კანონმდებლის გადაწყვეტილებას, რომელიც უშვებს არასრულწლოვნის მიერ გამოხატული თანხმობის (1107 ბ))

არასაკმარისობის ვარაუდს. ამის საწინააღმდეგოდ, გამართლებულია, მოპასუხეს დაეკისროს ვალდებულება, დაამტკიცოს, რომ ქორწინების შენარჩუნება არ ხელყოფს მისი მეუღლის ინტერესებს. ამდენად, არასრულწლოვნის ინტერესი არის არა მოსარჩელის მტკიცების საგანში შემავალი გარემოება, არამედ შესაგებელი, რომელიც მოპასუხეს ენიჭება ქორწინების ბათილად ცნობის დაუშვებლობაზე მითითებისთვის.

III. მოთხოვნის სუბიექტი

1. საქორწინო ასაკის მიღწევამდე ან ორსულობის არარსებობისას

საქორწინო ასაკის მიღწევამდე ან იმ შემთხვევაში, თუ არასრულწლოვანი ორსულად არ არის, ქორწინების ბათილობის მოთხოვნის უფლება, თავად არასრულწლოვანი მეუღლის გარდა, აქვთ მის კანონიერ წარმომადგენელსა (მშობელს/მეურვეს/მზრუნველს) და მეურვეობისა და მზრუნველობის სააგენტოს. კანონიერ წარმომადგენლებს აქვთ არასრულწლოვანი მეუღლის განსაკუთრებული უფლებამოსილების გარეშე წარმოდგენის უფლება (1198 VI, 1290). სუბიექტთა წრის გაფართოება გამონვეულია არასრულწლოვნის ინტერესის დაცვის მიზნებით.

6

2. საქორწინო ასაკის მიღწევის შემდეგ ან ორსულობისას

საქორწინო ასაკის მიღწევა ემთხვევა ქმედუნარიანობის მოპოვების მომენტს (12 II), ამიტომ ამ ზღურბლს მიღმა ქორწინების ბათილობის მოთხოვნის არასრულწლოვანი მეუღლის გარდა სხვა ნებისმიერი პირისთვის მინიჭება შეეწინააღმდეგებოდა ქმედუნარიანობის სამართლებრივ შედეგებს (12 I).

7

მეორე წინაპირობა, რომელსაც კანონი ასახელებს არასრულწლოვნის კანონიერი წარმომადგენლებისთვის ქორწინების ბათილობის მოთხოვნის უფლების ჩამორთმევისთვის – არასრულწლოვნის ფეხმძიმობაა. კანონმდებლის ეს გადაწყვეტილება საკმაოდ პრობლემურია. თუკი პირველი წინაპირობა ქორწინების ბათილობის უფლებას უტოვებს

8

მხოლოდ არასრულწლოვან მეუღლეს, მის მიერ ქმედუნარიანობის მოპოვებიდან გამომდინარე, რაც ლოგიკურია, აბსურდულია დაშვება, რომ ფეხმძიმობის ფაქტი პირის ემანსიპაციის საფუძველია. ერთი შეხედვით, კანონმდებელს შეიძლება ამოძრავებდეს ქორწინების მაქსიმალურად შენარჩუნების მოტივაცია ჯერ არ დაბადებული ბავშვის ინტერესების სრულყოფილად დაცვისთვის. თუმცა ასეთი მიდგომა გაუმართლებლად უჭერს მხარს ჯერ კიდევ არარსებული სუბიექტის ინტერესების დაცვას სხვა პირის დაცვის ინტენსიურობის შესუსტების ხარჯზე. გარდა ამისა, შეუძლებელია არსებობდეს მდგომარეობა, რომელშიც ბავშვისთვის ხელსაყრელია იმ ქორწინებაში აღზრდა, რომლის შენარჩუნება არ შეესაბამება არასრულწლოვანი დედის ინტერესებს.

მუხლი 1143. ქორწინების ცნობა ბათილად დაქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებების გამო

1. ქორწინება, რომელიც გაფორმდება 1120-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დარღვევით, შეიძლება სასამართლომ ბათილად ცნოს.

2. თუ საქმის განხილვის მომენტისათვის აღარ არსებობს დაქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებები, სასამართლოს შეუძლია ქორწინება ცნოს ნამდვილად ამ გარემოებათა მოსპობის მომენტიდან. ასეთი საფუძვლით ქორწინების ბათილად ცნობის მოთხოვნის უფლება აქვთ მეუღლეებს და იმ პირებს, რომელთა უფლებებიცაა დარღვეული ამ დაქორწინებით, აგრეთვე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებს.

3. მხარდაჭერის მიმღებთან ქორწინების ბათილობის შესახებ საქმის განხილვისას აუცილებელია საქმეში იმ მხარდამჭერის ჩაბმა, რომელიც მისი მეუღლე არ არის, ასეთის არსებობის შემთხვევაში, აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ჩაბმა.

საქართველოს 2015 წლის 20 მარტის კანონი №3339 - ვებგვერდი, 31.03.2015წ.

I. ზოგადი 53
 II. ბათილობის გამორიცხვა..... 54

I. ზოგადი

1143 I მუხლის უთითებს 1120-ე მუხლში მოცემულ ბათილობის საფუძვლებზე (იხ. ასევე 1140-ე მუხლის კომენტარი) და არეგულირებს ქორწინების ბათილად ცნობის წესს. 1143 II 1 მუხლი უთითებს ბათილად საცნობი ქორწინების დადასტურების შესაძლებლობაზე, ხოლო 1143 III მუხლი კი შეიცავს სპეციალურ რეგულაციას მხარდაჭერის მიმღებთან ქორწინების გაუქმების პროცედურასთან დაკავშირებით.

1

- 2** 1143 II 2 მუხლი ცოტათი ამოვარდნილია რეგულატორული სისტემატიკიდან, კერძოდ ის მიემართება არა 1143 II 1 მუხლს, არამედ 1143 I მუხლს და ანესრიგებს იმ პირთა წრეს, რომელთაც შეუძლიათ მოითხოვონ გარიგების ბათილობა იქ გათვალისწინებული საფუძვლით.

II. ბათილობის გამორიცხვა

- 3** 1143 II მუხლის მიხედვით, თუ საქმის განხილვის მომენტისათვის აღარ არსებობს დაქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებები, სასამართლოს შეუძლია ქორწინება ცნოს ნამდვილად ამ გარემოებათა მოსპობის მომენტიდან. ეს დანაწესი ითვალისწინებს დადასტურებას გაუქმებადი ქორწინებისა, რის შემდეგაც მისი ბათილად ცნობა უკვე შეუძლებელია. ეს შემთხვევა გვაქვს სახეზე, მაგალითად, სრულწლოვანება მიღწეულის მხრიდან არასრულწლოვანებისას დადებული ქორწინების დადასტურების შემთხვევაში. დადასტურების უფლება აქვს მხოლოდ იმ პირს, რომლის პიროვნებიდან გამომდინარეც იყო გარიგება გაბათილებადი. დადასტურება ცალკე აღებული საკმარისი არ არის, აუცილებელია სასამართლოს გადანყვეტილება ამასთან დაკავშირებით, რის შემდეგაც ქორწინების ბათილობა იმავე საფუძვლით გამორიცხულია.
- 4** დადასტურებას წარმოადგენს ნებისმიერი ქცევა, რომელშიც გაცხადებულია ქორწინების გაბათილების უფლებამოსილების მქონე პირის ნება, ძალაში დატოვოს ქორწინება. მხარდაჭერის მიმღებ პირს დადასტურების გაცხადების უფლება აქვს მხოლოდ ამ მხარდაჭერის მეშვეობით (1143 III მუხლის ანალოგიით).
- 5** სასამართლოს შეუძლია ასევე, მეუღლეთა მხრიდან დადასტურების გარეშეც, თავისით მიიღოს ქორწინების ძალაში დატოვების გადანყვეტილება. ამ გადანყვეტილების საფუძველს, ჩვეულებრივ, წარმოადგენს ის გარემოება, რომ ქორწინების გაუქმება მეუღლეს მძიმე მდგომარეობაში ჩააგდებდა (სასიკვდილო დაავადების განვითარება, სუიციდისაკენ მიდრეკილება).¹

¹ D. Schwab, Die verbotene Kinderehe, FamRZ 2017, 1369.

მუხლი 1144. იძულებითი ქორწინების ბათილად ცნობა

1. იძულების შედეგად მომხდარი დაქორწინების შემთხვევაში მეუღლეს (მეუღლეებს) შეუძლია აღძრას სარჩელი ქორწინების ბათილად ცნობის შესახებ.

2. იძულებით დაქორწინების ფაქტი უნდა დაადგინოს სასამართლომ.

I. იძულებით შემდგარი ქორწინება

1144-ე მუხლი ითვალისწინებს იძულებით შემდგარი ქორწინების ბათილობას. იძულება იდენტიურია 85-ე მუხლში მონესრიგებული იძულებისა გარიგებების სამართლიდან და უნდა აკმაყოფილებდეს შესაბამის წინაპირობებს. იძულებითი ქორწინების ბათილობის გადანყვეტილების გამოტანა შეუძლია მხოლოდ სასამართლოს.¹ სარჩელის აღძვრის უფლება აქვს მხოლოდ იძულებულ მეუღლეს. თუ იძულება ორივე მეუღლის მიმართ განხორციელდა (მესამე პირის მხრიდან) მაშინ გაბათილების უფლებამოსილებით სარგებლობს ორივე მეუღლე.

1

II. მოტყუებით შემდგარი ქორწინება

ქორწინების ბათილობის საფუძვლებში არ არის ნახსენები მოტყუების შედეგად შემდგარი ქორწინება. ეს ხარვეზი 1144-ე მუხლის ანალოგიით გამოყენებით უნდა აღმოიფხვრას. მოტყუება შეიძლება მოხდეს ასევე დუმილითაც, თუ მეუღლეს დაქორწინებამდე ეკისრებოდა კონკრეტული გარემოების გამჟღავნების ვალდებულება.² მოტყუება შეიძლება ეხებოდეს უშვილობის გაუმჟღავნებლობას, თუ ეს მეორე მეუღლისათვის გადამწყვეტი მომენტია ქორწინებაში შესვლისათვის.³ გამჟ-

2

¹ შენგელია, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1144, გვ. 90.

² მაგალითად, ორსულობით განპირობებული ქორწინების შემთხვევაში, ორსული მეუღლე ვალდებულია გაუმჟღავნოს მეორე მხარეს, რომ ბავშვის ჩასახვის პერიოდში სხვა პირთანაც ჰქონდა სექსუალური ურთიერთობა და შეიძლება სწორედ ეს სხვა პირი იყოს ბავშვის მამა, OLG Karlsruhe NJW-RR 2000, 737.

³ OLG Stuttgart NJW 2004, 2247.

ღავენების ვალდებულება არსებობს ასევე ნასამართლეობასთან დაკავშირებით, თუ პრობაციის პერიოდი ჯერ კიდევ მიმდინარეობს,⁴ ასევე, წარსულში პროსტიტუციით დაკავებასთან დაკავშირებით.⁵ მოტყუება არ არის სახეზე მეორე პირის პიროვნულ მახასიათებელთან დაკავშირებით უბრალო შეცდომის შემთხვევაში (მაგალითად, ფიცხი ხასიათი).

⁴ AG Kulmbach NJW 2002, 2112.

⁵ OLG Brandenburg NJW 2006, 2862.

მუხლი 1145. ფიქციური ქორწინების ბათილად ცნობა

1. ქორწინება, რომელიც მოხდა ისე, რომ მიზნად არ ისახავდა ოჯახის შექმნას, შეიძლება ცნობილ იქნეს ბათილად.

2. ფიქციური ქორწინების ბათილად ცნობის შესახებ სარჩელის აღძვრის უფლება აქვს სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურს, ხოლო თუ ერთ-ერთი მეუღლე დაქორწინდა ისე, რომ მიზნად არ ისახავდა ოჯახის შექმნას, ასეთი სარჩელის აღძვრა მეორე მეუღლესაც შეუძლია.

3. ქორწინება არ შეიძლება ცნობილ იქნეს ფიქციურად, თუ რეგისტრირებულ პირებს სასამართლოს მიერ საქმის განხილვამდე ფაქტობრივად უკვე შექმნილი აქვთ ოჯახი.

საქართველოს 2004 წლის 24 ივნისის კანონი №179 - სსმ I, №19, 15.07.2004 წ., მუხ.79

საქართველოს 2005 წლის 28 დეკემბრის კანონი №2626 - სსმ I, №3, 16.01.2006წ., მუხ.20

I. ზოგადი	57
II. ფიქციური ქორწინება	57
III. დაინტერესებული მხარე	58
IV. ოჯახის შედგომა	59

I. ზოგადი

ფიქციურად ითვლება ქორწინება, რომელშიც შესვლა ხდება ოჯახის შექმნის განზრახვის გარეშე.¹ ეს განზრახვა შეიძლება არ ჰქონდეს ერთ-ერთ მეუღლეს ან მათგან არ ჰქონდეს არც ერთს. **1**

ფიქციურობის საბაზით ქორწინების ბათილად ცნობა შეუძლია მხოლოდ სასამართლოს (1148). **2**

II. ფიქციური ქორწინება

როგორც წესი, ფიქციური ქორწინების მიზანს წარმოადგენს რაიმე მატერიალური სარგებლის მიღება, მოქალაქეობის მოპოვება ან რაიმე **3**

¹ შენგელია, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1145, გვ. 91.

მსგავსი მიზანი, რომელიც არ უკავშირდება ოჯახის შექმნას. მაგალითად, ერთ-ერთი მეუღლის მიწაზე შენობის აღმართვისა და მასზე საერთო საკუთრების წარმოშობის ან ცალკე კომლად რეგისტრირების გამარტივების მიზანი.² ისეთი მიზანი, როგორცაა შვილის კანონიერ ქორწინებაში შექმნა, საკმარისია ქორწინების არაფიქციურად ჩათვლისათვის, რადგან ის სწორედ რომ პირდაპირ კავშირშია ოჯახურ თანაცხოვრებასთან. მაშინაც კი, როდესაც ოჯახის შექმნისას ერთ-ერთი მეუღლე მხოლოდ ბავშვის გაჩენასა და შემდეგ განქორწინებას ისახავს მიზნად, ქორწინება მაინც არაფიქციურად უნდა ჩაითვალოს, სულ მცირე, ბავშვის ინტერესების დაცვის მიზნით.

III. დაინტერესებული მხარე

- 4** ქორწინების ფიქციურად ცნობის მოთხოვნის უფლება აქვს სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურს, ასევე მეუღლეს, რომელიც ქორწინებაში შევიდა ოჯახის შექმნის განზრახვით, თუ მეორე მხარეს ამგვარი განზრახვა არ ჰქონია (1145 II). სუბიექტთა წრის გაფართოება დაუშვებელია, ამიტომ პრობლემურია სხვა სუბიექტის მიერ ქორწინების ბათილობის მოთხოვნის მიჩნევა მხოლოდ საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევად, რომლის გამოც გადაწყვეტილება უქმდება მხოლოდ მაშინ, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი, სსკ-ის 393 III მუხლის მიხედვით.³ მაგალითად, ფიქციურობაზე მითითებით ქორწინების ბათილობას ვერ მოითხოვს ვერც გარდაცვლილი მეუღლის მემკვიდრე, რომელსაც შეიძლება მეორე მეუღლის მემკვიდრეთა რიცხვიდან გამორიცხვის მიზანი ამოძრავებდეს.⁴ ამასთან, მითითება იმაზე, რომ გარდაცვლილ მეუღლეს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეეძლო გამოეხატა ქორწინებაზე თანხმობა, არ უტოლდება ფიქციურობის საბაბით ქორწინე-

² სუსგ № ას-376-625-08, 2008 წლის 21 ოქტომბერი.

³ სუსგ № 13კ/793, 2001 წლის 24 იანვარი.

⁴ მაგალითის ფაქტობრივი გარემოებებისთვის იხ. სუსგ № ას-1088-1323-04, 2005 წლის 7 აპრილი.

ბის ბათილობის მოთხოვნას, არამედ წყდება სკ-ის 1140, 1107, 58 II მუხლების მიხედვით.⁵ ასეთ შემთხვევებში მოთხოვნის სუბიექტთა წრე უნდა განისაზღვროს სკ-ის 1143 II 2 მუხლის ანალოგიით.

სსენებულმა დაინტერესებულმა პირმა, იმისათვის, რომ ქორწინება ცნობილ იქნეს ფიქციურად, უნდა დაამტკიცოს, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზეა არა მხოლოდ უბრალო დავა და კამათი მეუღლეებს შორის, არამედ ის, რომ ერთ-ერთ ან ორივე მეუღლეს დაქორწინების მომენტში არ ჰქონია ოჯახის შექმნის მიზანი. მხოლოდ მოწმის ჩვენება, რომ მეუღლეთა ურთიერთობა ქორწინებაში შესვლის შემდეგ არ შეცვლილა უკეთესობისაკენ და რომ ისინი მუდმივად ჩხუბობენ, ვერ ჩაითვლება უპირობო მტკიცებულებად და სასამართლოს მიერ უნდა შეფასდეს სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში. ამის საპირისპიროდ, მტკიცებულება, რომელიც ადასტურებს, რომ მეუღლეები ერთობლივად უძღვებიან საოჯახო მეურნეობას, ერთობლივად ყიდულობენ სხვადასხვა ნივთს ოჯახის საჭიროებებისათვის, აკეთებენ სახლის რემონტს, ჩვეულებრივ, ადასტურებს მათ განზრახვას, შექმნან ოჯახი და, ამგვარად, ქორწინების ფაქტობრივად არსებობას.

5

IV. ოჯახის შედგომა

1145 III მუხლის მიხედვით, ქორწინების ბათილად ცნობა ფიქციურობის საბაზით დაუშვებელია, თუ რეგისტრირებულ პირებს სასამართლოს მიერ საქმის განხილვამდე ფაქტობრივად უკვე შექმნილი აქვთ ოჯახი.⁶ ამის დასადაგენად აუცილებელია ოჯახური თანაცხოვრობის სხვადასხვა ფაქტორის შეფასება. ისინი ცალსახად და ერთმნიშვნელოვნად უნდა ამტკიცებდნენ მეუღლეთა შორის ოჯახის შედგომას (ჩამოყალიბებას). ასეთ ცალსახა და უპირობო ფაქტორად ჩაითვლება, მაგალითად, საერთო შვილის ყოლა და მასზე ფაქტობრივი ზრუნვა ორივე მეუღლის მხრიდან.

6

⁵ სუსგ № 3კ-491-03, 2003 წლის 20 მაისი.

⁶ *შენგელია*, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1145, გვ. 92.

მუხლი 1146. ქორწინების ბათილობის მომენტი

1. ბათილად ცნობილი ქორწინება ბათილად ითვლება ქორწინების რეგისტრაციის დღიდან და არ წარმოშობს მეუღლეთა უფლებებსა და მოვალეობებს.

2. იმ პირთა ქონებრივი ურთიერთობები, რომელთა ქორწინებაც ბათილად იქნა ცნობილი, წესრიგდება საერთო საკუთრების შესახებ ამ კოდექსით დადგენილი წესით.

3. ქორწინების ბათილად ცნობის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანისას სასამართლოს უფლება აქვს, იმ მეუღლეს, რომელმაც არ იცოდა და არც შეეძლო სცოდნოდა ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებების არსებობის შესახებ (კეთილსინდისიერი მეუღლე), მიაკუთვნოს მეორე მეუღლისაგან სარჩოს მიღების უფლება 1182-ე და 1186-ე მუხლების მიხედვით, ხოლო ქორწინების ბათილად ცნობამდე შეძენილი ქონების გაყოფისას გამოიყენოს 1158-ე და 1171-ე მუხლებით გათვალისწინებული წესები.

4. ქორწინების ბათილად ცნობა არ ხელყოფს ასეთი ქორწინების შედეგად დაბადებულ ბავშვთა უფლებებს.

1 ქორწინების გაბათილება ხდება *ex tunc*-მოქმედებით,¹ რაც ნიშნავს იმას, რომ ის არ წარმოშობს მეუღლეთა შორის ქონებრივ და პიროვნულ ურთიერთობებს (1146 I). ქორწინებაში შეძენილი არ გარდაიქმნება საერთო ქონებად 1158-ე მუხლების მიხედვით, არამედ თანასაკუთრებად 953-ე და მომდევნო მუხლების მიხედვით (1146 II). კეთილსინდისიერი მეუღლე, რომელმაც არ იცოდა ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოების არსებობის შესახებ, ინარჩუნებს მეორე მეუღლისაგან სარჩოს მოთხოვნის უფლებას (1146 III) და უფლებას გამოიყენოს ქონების გაყოფისათვის 1158-ე და მომდევნო მუხლები, მიუხედავად ქორწინების *ex tunc*-მოქმედებით გაბათილებისა.²

¹ *შენგელია*, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1146, გვ. 93.

² *შენგელია/შენგელია*, საოჯახო სამართალი, მეორე გამოცემა, 2011, გვ. 139.

მუხლი 1147. კეთილსინდისიერი მეუღლისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება

კეთილსინდისიერ მეუღლეს, რომელსაც ქონებრივი ზიანი მიადგა იმ ქორწინების შედეგად, რომელიც ბათილად იქნა ცნობილი, უფლება აქვს მოითხოვოს ამ ზიანის ანაზღაურება.

1147-ე მუხლი წარმოადგენს ზიანის ანაზღაურების დამოუკიდებელ საფუძველს. მის საფუძველზე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება ენიჭება კეთილსინდისიერ მეუღლეს არაკეთილსინდისიერი მეუღლის მიმართ.¹ კეთილსინდისიერად ითვლება მეუღლე, რომელმაც არ იცოდა ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებების არსებობის შესახებ. მაგალითად, მოტყუებულ ქალს, რომელმაც არ იცოდა, რომ მასთან ქორწინებაში მხოლოდ ფიქტიურად შედიან ან ის ფაქტი, რომ ქმარი უკვე იმყოფება სხვა ქორწინებაში, ამგვარი ქორწინების გაბათილების შემდეგ, შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება. **1**

1147-ე მუხლით ანაზღაურდება ე. წ. ნეგატიური ინტერესი, ანუ კეთილსინდისიერი მეუღლე უნდა იქნეს ჩაყენებული ისეთ მდგომარეობაში, როგორშიც იქნებოდა გაბათილება ქორწინებაში რომ არ შესულიყო. მაგალითად, თუ მოტყუებულმა ცოლმა გაყიდა საკუთარი მანქანა, რათა ამით დაეფინანსებინა საქორწინო მოგზაურობა, ქორწინების გაბათილების შემდეგ მას აუნაზღაურდება ამ მანქანის ღირებულება. **2**

1147-ე მუხლი მოიცავს მხოლოდ მატერიალურ ზიანს, რაც ნიშნავს იმას, რომ კეთილსინდისიერი მეუღლე ვერ მოითხოვს კომპენსაციას იმ ემოციური ტკივილისათვის, რომელიც მან განიცადა გაბათილება ქორწინებაში შესვლით.² აბსოლუტური სიკეთის ხელყოფისა ან დამცავი ნორმის დარღვევის არარსებობის გამო გამორიცხულია ასევე დელიქტური პასუხისმგებლობაც. **3**

¹ შენგელია, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1147, გვ. 95.

² მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნასთან დაკავშირებით იხ. ჩიკვაშვილი, საოჯახო სამართალი, 2004, გვ. 264.

მუხლი 1148. ქორწინების ბათილად ცნობა მხოლოდ სასამართლოს მიერ

არავის არ შეუძლია მიუთითოს ქორწინების ბათილობაზე, თუ ქორწინება სასამართლოს მიერ ბათილად არ იქნა ცნობილი.

მუხლი 1149. ქორწინების ბათილობის დაუშვებლობა მეუღლეთა გარდაცვალების შემდეგ

არ შეიძლება მოთხოვილ იქნეს ქორწინების გაბათილება ორივე მეუღლის გარდაცვალების შემდეგ.

- 1 ნორმა კრძალავს ქორწინების ბათილობის მოთხოვნას იმ შემთხვევაში, თუ ორივე მეუღლე გარდაცვლილია.¹ აღნიშნული გამომდინარეობს იქიდან, რომ ქორწინება სამართლებრივ შედეგს იწვევს, პირველ რიგში, მეუღლეებს შორის, ამიტომ ამ ურთიერთობაზე ზემოქმედება მათი პიროვნული უფლებამოსილებაა.²
- 2 1149-ე მუხლი მოიცავს პირთა გარდაცვლილად გამოცხადების შემთხვევებსაც. თუმცა გარდაცვლილად გამოცხადებული პირის დაბრუნება შესაძლებელს გახდის, გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების შემდეგ (23 I), ქორწინების ბათილობის მოთხოვნას.

მუხლი 1150. ხელახალი დაქორწინება ბათილი ქორწინებისას

ის პირები, რომელთა ქორწინებაც გაბათილდა, შეიძლება ხელახლა დაქორწინდნენ საერთო წესით, თუკი აღარ იქნება ის საფუძველი, რომლის გამოც ქორწინება გაბათილდა.

¹ *შენგელია/შენგელია*, საოჯახო სამართალი, მეორე გამოცემა, 2011, გვ. 143.

² *შენგელია*, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1149, გვ. 97.

თავი მეოთხე

მეუღლეთა უფლებები და მოვალეობები

I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1151. ქორწინების რეგისტრაციის მნიშვნელობა

მეუღლეთა უფლება-მოვალეობებს წარმოშობს მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებული ქორწინება.

საქართველოს 2004 წლის 24 ივნისის კანონი №179 - სსმ I, №19, 15.07.2004 წ., მუხ.79

საქართველოს 2005 წლის 28 დეკემბრის კანონი №2626 - სსმ I, №3, 16.01.2006წ., მუხ.20

საქართველოს 2010 წლის 1 ოქტომბრის კანონი №3657 - სსმ I, №53, 11.10.2010 წ., მუხ.341

გამომდინარე იქიდან, რომ ოჯახი საზოგადოების და ამავედროულად ამ საზოგადოებაში ინდივიდის მთავარ დასაყრდენს წარმოადგენს, სახელმწიფოს აქვს განსაკუთრებული ინტერესი მისი კონტროლის მიმართ.¹ ამიტომაც სამოქალაქო კოდექსი არ იცნობს და არ აღიარებს ე. წ. კერძო ქორწინებებს, სახელმწიფო ორგანოს მონაწილეობის გარეშე და არ უკავშირებს მათ კანონით გათვალისწინებულ სამართლებრივ შედეგებს, როგორცაა მეუღლეთა უფლება-მოვალეობების წარმოშობა. ქორწინებისათვის აუცილებელია ორივე მხარის ნების გამოხატვა მარეგისტრირებული ორგანოს წინაშე – საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში.

1

ქორწინების რეგისტრაციაზე უფლებამოსილი ორგანოებია: სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო, დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში – საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომა-

2

¹ შენგელია, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1145, გვ. 99.

ტიური წარმომადგენლობა, მესამე სახელმწიფოს დიპლომატიურ წარმომადგენლობაში შექმნილი საქართველოს ინტერესთა სექცია, საკონსულო დანესებულება და ნოტარიუსი (სამოქალაქო აქტების შესახებ კანონის 4 I, 48-ე მუხლები). წარმომადგენლობა (103-ე და მომდევნო მუხლები) ნების გამოხატვისას დაუშვებელია.

- 3** მიუხედავად იმისა, რომ პრაქტიკაში ხშირია შემთხვევა, როცა მხარეები ფაქტობრივ საქორწინო ურთიერთობაში იმყოფებიან და ქორწინებას არ არეგისტრირებენ,² სერვისების განვითარების სააგენტოში რეგისტრაციის გარეშე ქართული კანონმდებლობა ქორწინებას არ აღიარებს. იგივე პრაქტიკა დადგენილი საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ.³

² სუსგ № ას-7-7-2016, 16/03/2016, სუსგ №ას-480-454-2014, 08/05/2015, სუსგ №ას-681-637-2010, 25/01/2011.

³ სუსგ № 3კ/716-01, 26/09/2001; სუსგ №ას-1160-2018, 08/10/2018 („არარეგისტრირებული ქორწინება არ წარმოშობს შექმნილ ქონებაზე რაიმე სახის უფლებას“); სუსგ №ას-7-7-2016, 16/03/2016, სადაც საკასაციო სასამართლო არ დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს განმარტებას, რომ მიუხედავად ქორწინების რეგისტრაციის ფაქტის არარსებობისა, მხარეებს შორის საქორწინო ურთიერთობების წარმოშობის მომენტად მათი ფაქტობრივი ქორწინების თარიღი უნდა ყოფილიყო მიჩნეული).

მუხლი 1152. მეუღლეთა თანასწორუფლებიანობა

საოჯახო ურთიერთობებში მეუღლეები სარგებლობენ თანაბარი პირადი და ქონებრივი უფლებებით და ეკისრებათ თანაბარი მოვალეობანი.

I. ზოგადი	65
II. ქონებრივი თანასწორობა	65
III. არაქონებრივი ურთიერთობები.....	67

I. ზოგადი

კონსტიტუციის 30-ე მუხლში ნახსენები უფლებრივი თანასწორობა მეუღლეთა შორის არ წარმოადგენს მე-11 მუხლში დაფიქსირებული თანასწორობის ზოგადი პრინციპის მხოლოდ გამეორებას. ის შეიცავს მკაცრ აკრძალვას ქორწინების ფარგლებში ერთი მეუღლის მხრიდან მეორის მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობისა.¹ ეს, პირველ რიგში, კრძალავს მეუღლეთა შორის როლების არაკონსენსუალურ არჩევასა და განაწილებას.² მოცემული დანაწესი აუქმებს ოჯახურ პარადიგმას, სადაც მხოლოდ მამაკაცი მუშაობს, ქალი კი “სახლის საქმეებითა” დაკავებული და არ ძალუძს სოციუმის მიერ ამ თავს მოხვეული როლიდან გამოსვლა.³

ნორმიდან არ წარმოდგება კონკრეტული მოთხოვნა მეორე მეუღლის მიმართ, არამედ არის მხოლოდ ის პრიზმა, რომელშიც უნდა განიმარტოს მეუღლეთა ქონებრივი და არაქონებრივი უფლებები და მოვალეობები.

II. ქონებრივი თანასწორობა

თანასწორუფლებიანობა ნიშნავს იმას, რომ მხოლოდ ის არგუმენტი, **3**

¹ *შენგელია/შენგელია*, საოჯახო სამართალი, მეორე გამოცემა, 2011, გვ. 148.

² *Gernhuber/Coester-Waltjen, Familienrecht*, 6. Aufl, München 2009, 44.

³ ოჯახში ქალთა უფლებრივი მდგომარეობის ისტორიული ანალიზისთვის იხ. *ნადარეიშვილი*, ძველი ქართული საოჯახო სამართალი, 1996, გვ. 32.

რომ ერთი მეუღლე მეტს გამოიმუშავებს, ვერ იქნება გადამწყვეტი მოტივი მეორე მეუღლის იძულებისა, უარი თქვას საკუთარ პროფესიაზე, არამედ ეს საკითხი კონსენსუსის მეშვეობით უნდა გადაწყდეს, რადგან საკუთარი პროფესიით მუშობა არის უფრო მეტი, ვიდრე მხოლოდ მატერიალურ შემოსავალზე ზრუნვა და მეუღლეებს ზუსტად თანაბრად აქვთ ამ ტიპის არამატერიალური მოთხოვნები. ამ ნიადაგზე წარმოშობილი კონფლიქტი შეერაცხება იმ მეუღლეს, რომელმაც ამ პრინციპს გადააბიჯა და შესაბამისად გაითვალისწინება განქორწინების დავის ფარგლებში, იქნება ეს ქონების გაყოფა, თუ სარჩოს მიცემა.

- 4** გარდა ამისა, მეუღლეთა შორის თანასწორობა გულისხმობს იმას, რომ ქალის მიერ ნებაყოფლობით არჩეული დიასახლისის როლი, რომელიც არ აძლევს მას შემოსავლის ქონის საშუალებას, ზუსტად ისევე დასაფასებელია ქონებრივ ურთიერთობებში და აუცილებელია მისი გათვალისწინება საერთო ქონების გაყოფისას, ანუ მისთვის მატერიალური ექვივალენტის მონახვა, რაც კონკრეტდება 1158-ე მუხლის ფარგლებში. თუმცა თავად 1158-ე მუხლიც შეიძლება განიმარტოს 1152-ე მუხლის პრიზმაში, კერძოდ, იმგვარად, რომ არა მხოლოდ აუცილებელია ქალის არაანაზღაურებადი შრომისათვის მატერიალური ექვივალენტის მონახვა, არამედ ეს არაანაზღაურებადი საოჯახო საქმიანობა ქონებრივ კატეგორიებში უნდა გაიზომოს მეორე მეუღლის ანაზღაურებადი შრომის მასშტაბით და არა დიასახლისის ფიქტიური შრომითი შემოსავლის მიხედვით: თუ ქმარი გამოიმუშავებს 5000 ლარს თავისი პროფესიული საქმიანობიდან, მეუღლის საოჯახო საქმეების შესრულების ღირებულება არ შეიძლება იყოს 500 ლარი მხოლოდ იმის გამო, რომ მისი პროფესიული საქმიანობა სწორედ ამგვარად არის შეფასებული. გამომდინარე იქიდან, რომ ქმრის მაღალანაზღაურებადი საქმიანობა სწორედ მეუღლის მიერ მისთვის სახლის საქმეების ტვირთის მოხსნის შედეგად გახდა შესაძლებელი, აუცილებელია თანაშენადადი მასშტაბის მონახვა. თუმცა, ამავდროულად, ანაზღაურებადი საქმიანობით დაკავებულ მეუღლეს უნდა შეუნარჩუნდეს მისი პიროვნული მახასიათებლებით განპირობებული შრომითი სარგო ასევე მეუღლეთა ქონებრივი მონაწილეობის გამოთვლისას საერთო დოვლათის დაგროვებაში. მაგალითად, თუ ქმარი არის განსაკუთრებული უნარებისა და სახელის მქონე ასტროფიზიკოსი და ამიტომაც მისი შემოსავა-

ლი სამჯერ მეტია ჩვეულებრივი ასტროფიზიკოსის შემოსავალთან შედარებით, მეუღლის საოჯახო საქმეების ღირებულება გამოითვლება არა ამ სამმაგი ხელფასიდან, არამედ ამ პროფესიის სტანდარტული წარმომადგენლის ხელფასიდან.

იხ. დამატებით 1155-ე მუხლის კომენტარი.

5

ტრადიციული ოჯახის ფარგლებში დიასახლისისა და მარჩენალი ქმრის როლებთან გამომშვიდობება გულისხმობს ასევე იმას, რომ კაცის მიერ დიასახლისის სამუშაოს შესრულებაზე ზუსტად ისევე პრივილეგირდება და უთანაბრდება ანაზღაურებად საქმიანობას, როგორც საპირისპირო როლური განაწილების შემთხვევაში.

6

დაუშვებელია ერთი მეუღლის მხრიდან მეორის იძულება, უარი თქვას, აირჩიოს ან შეიცვალოს კონკრეტული პროფესია (1156, იხ. ამ მუხლის კომენტარი). სანქცია ამ შემთხვევაშიც არის საოჯახოსამართლებრივ დავაში ამ იძულების განმახორციელებელი მეუღლის არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩაყენება. განსაკუთრებით ექსტრემალურ შემთხვევებში ამგვარი იძულება შეიძლება, 1152-ე მუხლზე დაყრდნობით, გაყრის საფუძველიც კი გახდეს.

7

III. არაქონებრივი ურთიერთობები

თანასწორუფლებიანობა ვრცელდება მეუღლეთა შორის როგორც ქონებრივ, ისე არაქონებრივ ურთიერთობებზე, როგორც არის, მაგალითად, მშობლის ზრუნვა – ბავშვის აღზრდასთან დაკავშირებული გადამწყვეტილების მიღება, შვილის სახელის, ადგილსამყოფელისა და განათლების ტიპის შერჩევა და ა. შ. თუ ქონებრივ ურთიერთობებში თანასწორობა სწორედ ქალების ემანსიპაციისაკენაა მიმართული, არაქონებრივში ის ნაწილობრივ აფართოებს კაცების უფლებათა სფეროსაც. მაგალითად, ქართული სამართალი, გერმანულისაგან განსხვავებით, არ აღიარებს ქალის ექსკლუზიურ ზრუნვის უფლებას მთელ რიგ შემთხვევებში და ორივე მშობლის საერთო (თანასწორი) ზრუნვის ვალდებულებას მიიჩნევს ამოსავალ პარადიგმად.

8

მუხლი 1153. დისკრიმინაციის აკრძალვა

დაქორწინებისას და საოჯახო ურთიერთობებში არ დაიშვება უფლებათა პირდაპირი ან არაპირდაპირი შეზღუდვა, პირდაპირი ან არაპირდაპირი უპირატესობის მინიჭება წარმოშობის, სოციალური და ქონებრივი მდგომარეობის, რასობრივი და ეროვნული კუთვნილების, სქესის, განათლების, ენის, რელიგიისადმი დამოკიდებულების, საქმიანობის სახეობისა და ხასიათის, საცხოვრებელი ადგილისა და სხვა გარემოებათა მიხედვით.

- 1 1153-ე მუხლი აკონკრეტებს 1152-ე მუხლში ჩამოყალიბებულ თანასწორობის პრინციპს და კრძალავს დისკრიმინაციას.¹ ამით ის გვამისამართებს „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონთან იმ თავისებურებით, რომ ამ ნორმის დაცვის ობიექტი არის მეუღლე, ხოლო ადრესატი - მეორე მეუღლე. მეუღლეთა შორის დაუშვებელია რაიმე ტიპის დისკრიმინაცია წარმოშობის, სოციალური და ქონებრივი მდგომარეობის, რასობრივი და ეროვნული კუთვნილების, სქესის, განათლების, ენის, რელიგიისადმი დამოკიდებულების და ა. შ. გარდა ამისა, ასევე დაუშვებელია პირდაპირი ან არაპირდაპირი უპირატესობის მინიჭება.²
- 2 ოჯახის ფარგლებში დისკრიმინაციის აღმოფხვრა საკმაოდ რთული ამოცანაა, ამ ფაქტის არსაჯაროობიდან გამომდინარე, რომელიც მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში იჩენს თავს და გამოდის სამსჯავროზე.
- 3 1152-ე მუხლისაგან განსხვავებით, დანანესი ატარებს არა მხოლოდ სახელმძღვანელო ხასიათს და გამოდგება არა მხოლოდ სხვა ნორმების განმარტებისას, არამედ შეიძლება გახდეს საკმარისი საფუძველი გაყრისათვის და გაყრის მიზეზი შეერაცხებოდეს იმ მეუღლეს, რომელმაც გამოავლინა ეს დისკრიმინაციული მოპყრობა. მაგალითად: მეუღლისათვის საკუთარ აღმსარებლობაში ხელის შეშლა, შვილის საკუთარ გვარზე გადმოყვანა და მამის გვარზე უარის თქმა იმ მიზეზით, რომ მამა

¹ *შენგელია/შენგელია*, საოჯახო სამართალი, მეორე გამოცემა, 2011, გვ. 148.

² *შენგელია*, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1153, გვ. 103.

ეთნიკურ უმცირესობას განეკუთვნება, მეუღლის იძულება უარი თქვას საკუთარ გვარზე, რელიგიის შეცვლის იძულება, აღმსარებლობის გარეგანი ნიშნების დათმობის იძულება ან, პირიქით, სხვა აღმსარებლობის მიღებისა თუ ამ სხვა აღმსარებლობისადმი კუთვნილების გამომხატველი რეკვიზიტების ტარების იძულება (მაგალითად, ჩადრის), საკუთარ ენაზე საუბრის აკრძალვა და ა. შ.

II. პირადი უფლებები

მუხლი 1154. (ამოღებულია)

საქართველოს 2011 წლის 20 დეკემბრის კანონი №5568 - ვებგვერდი, 28.12.2011 წ.

მუხლი 1155. საოჯახო საკითხების ერთობლივი გადაწყვეტა

შვილების აღზრდისა და ოჯახის სხვა საკითხებს მეუღლეები ერთად წყვეტენ.

I. ზოგადი	70
II. საოჯახო მეურნეობის გაძღოლა ერთ-ერთი მეუღლის მიერ.....	70
1. წინაპირობები	71
2. პირადი პასუხისმგებლობის პრინციპი	71

I. ზოგადი

1 სამოქალაქო კოდექსი არ იძლევა სახელმძღვანელო ხაზს და პარადიგმას მეუღლეთა მიერ შვილების აღზრდასა და ოჯახური მეურნეობის გაძღოლასთან დაკავშირებით (იხ. 1106-ე მუხლის კომენტარი) და ამტკიცებს იმ პრინციპს, რომ ეს მეუღლეთა შორის კონსენსუსის საფუძველზე გადასაწყვეტი საკითხია.¹ მათ თავისუფლად შეუძლიათ ურთიერთშეთანხმებით აირჩიონ ტრადიციული ოჯახური მოდელი (დიასახლისი ცოლი და მომუშავე ქმარი, იხ. ქვევით), შეატრიალონ ეს მოდელი ან მოახდინონ გარკვეული ელემენტების კომბინირება. ორივე მეუღლეს აქვს პროფესიის თავისუფლად არჩევის უფლება (1156).

II. საოჯახო მეურნეობის გაძღოლა ერთ-ერთი მეუღლის მიერ

2 მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე საზოგადოებაში სულ უფრო იშვიათი ხდება ტრადიციული ოჯახური მოდელი, როდესაც ქალი მხოლოდ დიასახლისის ფუნქციებს კისრულობს, საერთოდ არ მუშაობს და

¹ შენგელია, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1155, გვ. 104.

ქმარი კი, პირიქით – მხოლოდ მუშაობს და ოჯახის საქმეებში არ ერევა, საოჯახო მეურნეობის გაძღოლა მაინც ძირითადად ცოლის მხრებზე გადადის, მაშინაც კი, როდესაც მას მაინც უწევს ოჯახის შემოსავალზე ზრუნვის მიზნით სამუშაოზე გასვლა.

1. წინაპირობები

ერთ-ერთი მეუღლისათვის (ძირითადად, როგორც ზევით აღინიშნა, ცოლისათვის) საოჯახო მეურნეობის ფუნქციების გადაკისრების წინაპირობაა ამასთან დაკავშირებული რეალური კონსენსუსი მეუღლეთა შორის, რომელიც არ ატარებს ხელშეკრულების ხასიათს და ნებისმიერ დროს გამოხმობადია. თუმცა, ამავდროულად, ერთობლივი გადანყვეტილებით ნაკისრი ეს როლი და ფუნქცია, ცალმხრივად ვერ იქნება დათმობილი და შეცვლილი, თუ ოჯახი დამოკიდებულია მეორე მხარის მიერ მოპოვებულ შემოსავალზე და ამ მიზეზით მას არ ძალუძს დაუყოვნებლივ იკისროს დიასახლისის ფუნქციები.² ასევე მესამე პირთა წინაშე ნაკისრმა ვალდებულებებმა შეიძლება განაპირობოს ერთ-ერთი მეუღლისათვის შემოსავლის შოვნის მოვალეობის დაკისრება და გავლენა იქონიოს როლების განაწილებაზე.³ მაგალითად, თუ ქმარს ჰყავს შვილები პირველი ქორწინებიდან, რომელთა რჩენის ვალდებულებაც მას აკისრია, მან მხოლოდ მაშინ შეიძლება იკისროს მეორე ქორწინების ფარგლებში საოჯახო მეურნეობის გაძღოლა და ბავშვების მოვლა, თუ არსებობს თანაბარწონიანი ეკონომიკური მოსაზრებები (მაგ., ცოლის შემოსავალი არის გაცილებით უფრო მაღალი) ან სხვა გარემოებები (შერყეული ჯანმრთელობა), რომლებიც ამართლებენ ამჟამინდელი როლების გადანაწილებაზე უარის თქმას.

3

2. პირადი პასუხისმგებლობის პრინციპი

საოჯახო მეურნეობით დაკავებული მეუღლე არ წარმოადგენს მეორე მეუღლის „შესრულების დამხმარეს“ 396-ე მუხლის გაგებით და არ

4

² Wacke, Änderungen der allgemeinen Ehwirkungen durch das 1. EheRG, FamRZ 1977, 518.

³ BGH NJW 1987, 1550.

ემორჩილება მის მითითებებს. კონსენსუსის საფუძველზე ნაკისრი „საოჯახო საქმეების“ გაძღოლა ითვლება რჩენის ვალდებულების შესრულებად და ამ მეუღლის სიცოცხლის ბრალეული ხელყოფა წარმოადგენს დელიქტს (1006) მეორე მეუღლის მიმართ.⁴

⁴ *Diederichsen*, Die allgemeinen Ehwirkungen nach dem 1. EheRG und Ehevereinbarungen, NJW 1977, 217.

მუხლი 1156. საქმიანობის არჩევის თავისუფლება

თითოეულ მეუღლეს თავისუფლად შეუძლია აირჩიოს საქმიანობა და პროფესია.

ზოგადად თითოეულ მეუღლეს შეუძლია თავისუფლად და დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება იმ საქმიანობასა თუ პროფესიასთან დაკავშირებით, რომლითაც ის სამომავლოდ დაკავდება.¹ ვალდებულება, გაითვალისწინოს მეორე მეუღლის აზრი თანაბრად ეხება ორივე მეუღლეს, თუმცა ცალკეულ შემთხვევებში არათანაბარი ხარისხით. მაგალითად, ერთ-ერთი კრიტერიუმი შეიძლება იყოს გამოსადეგობა პროფესიისათვის, თუ, მაგალითად, ქმარი ფლობს უმაღლეს პროფესიულ განათლებას და ცალსახაა, რომ უფრო მაღალანზღაურებად სამუშაოზე შეიძლება დასაქმდეს და ამასთან ოჯახში რამდენიმე მცირენლოვანი შვილია, რომლებიც მოვლას საჭიროებენ, ცოლს შეიძლება დაეკისროს ოჯახური ერთობიდან გამომდინარე ვალდებულება, დაკავდეს საშინაო საქმეებით და უარი თქვას არაპროფესიულ, ქმრის სამუშაოსთან შედარებით გაცილებით დაბალანაზღაურებად სამუშაოზე.

1

ერთ-ერთი მეუღლის ვალდებულება დაკავდეს შემოსავლის მომტანი საქმიანობით შეიძლება გამომდინარეობდეს 1106-ე მუხლიდან (ოჯახური ერთობისა და ოჯახის საჭიროებების გათვალისწინების პრინციპი, იხ. ამ მუხლის კომენტარი).²

2

¹ *შენგელია*, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1156, გვ. 105.

² იქვე.

მუხლი 1157. საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევა

თითოეულ მეუღლეს თავისი შეხედულებისამებრ შეუძლია აირჩიოს საცხოვრებელი ადგილი, თუ ეს არ ეწინააღმდეგება ოჯახის ინტერესებს.

- 1 1157-ე მუხლში, ერთი მხრივ, დაფიქსირებულია მეუღლეთა მიერ საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევის პრინციპი, თუმცა ის ამავდროულად ზღვარდადებულია ოჯახის ინტერესებით.¹
- 2 ამ ურთიერთდაპირისპირებული პრინციპების (საცხოვრებლის თავისუფლად არჩევა – ოჯახის ინტერესების გატარება) მორიგება შემდეგნაირად არის შესაძლებელი: მეუღლეები ვალდებული არიან ჰქონდეთ საერთო ქერი. ერთ ქერქვეშ ცხოვრების გარეშე არ იქმნება ოჯახური ერთობა 1106-ე მუხლის გაგებით. თუმცა მეუღლეს თავისუფლად შეიძლება ჰქონდეს მეორე საცხოვრისი (შდრ. მუხ. 1106 მე-12 ველი), განსაკუთრებით თუ ეს გამომდინარეობს მისი სამუშაოს ადგილმდებარეობიდან ან ხასიათიდან, ან რაიმე სხვა (სამართლებრივი თუ მორალური) ვალდებულებიდან (მაგალითად, ავადმყოფი დედის მოსავლელად მასთან გადასვლა).
- 3 თუ მეუღლე ყოველგვარი ხელშესახები მიზეზის გარეშე უარს ამბობს მეორე მეუღლესთან ერთ ქერქვეშ ცხოვრებაზე და ცალკე გადადის, ამან შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს ოჯახური ერთობის არსებობა.

¹ შენგელია, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1157, გვ. 107; ისტორიული მიმოხილვისთვის იხ. ნადარეიშვილი, ძველი ქართული საოჯახო სამართალი, 1996, გვ. 36.

III. კანონით დადგენილი ქონებრივი უფლებები და მოვალეობები

მუხლი 1158. მეუღლეთა თანასაკუთრება

1. მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შექმნილი ქონება წარმოადგენს მათ საერთო ქონებას (თანასაკუთრებას), თუ მათ შორის საქორწინო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

2. ასეთ ქონებაზე მეუღლეთა თანასაკუთრების უფლება წარმოიშობა მაშინაც, თუ ერთ-ერთი მათგანი ეწეოდა საოჯახო საქმიანობას, უვლიდა შვილებს ან სხვა საპატიო მიზეზის გამო არ ჰქონია დამოუკიდებელი შემოსავალი.

I. ზოგადი	75
II. საერთო საკუთრების წარმოშობა	75
III. სამართლებრივი კონსტრუქცია	77
IV. სანივთსამართლებრივი კონცეფცია	77
V. გამონაკლისი საერთო საკუთრებად გადაქცევის წესიდან, 1158 II	77
VI. ნორმის დატვირთვა საპროცესო სამართალში	79

I. ზოგადი

1158-ე და მომდევნო მუხლები იძლევა კანონისმიერი ქონებრივი რეჟიმის, კერძოდ, „საერთო საკუთრების რეჟიმის“ დეფინიციას, აწესრიგებს მის წარმოშობას, განსხვავებულ ქონებრივ მასებს, რომლებიც არსებობს მის ფარგლებში და, ზოგადად, აფორმებენ მის სამართლებრივ კონცეფციას.

1

II. საერთო საკუთრების წარმოშობა

საქორწინო ხელშეკრულებით სპეციალური ქონებრივი რეჟიმის შეთანხმების გარეშე, მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შექმ-

2

ნილი ქონება ხდება მათი საერთო ქონება, თუ ის არ განეკუთვნება გამოცალკევებულ ქონებას (1161, 1162). 1151-ე მუხლი მეუღლეთა უფლება-მოვალეობების წარმოშობას მხოლოდ რეგისტრირებულ ქორწინებას უკავშირებს და პირთა მარტოოდენ თანაცხოვრება ამავე შედეგის გამოსაწვევად საკმარისი არ არის. მეუღლეთა თანასაკუთრების წარმოშობის საფუძველს არ წარმოადგენს არც ქორწინება ეკლესიური წესით.¹ ქორწინების რეგისტრაციის აუცილებლობიდან გამონაკლისი არ დაიშვება არც არასრულწლოვნის სასარგებლოდ.²

3 ქორწინების განმავლობაში შექმნილი ქონების წყარო, ზოგადად, არანაირ როლს არ თამაშობს (გამონაკლისი: 1161 ბ).³ საერთო ქონების ნაყოფი და ასევე გამოცალკევებული ქონების ნაყოფი განეკუთვნება საერთო ქონებას. გარდა ამისა, საერთო ქონებასვე განეკუთვნება: სახელფასო მოთხოვნა (რამდენადაც ყადაღაუნარიანია – მასზე შეიძლება მიექცეს იძულებითი აღსრულება), მოთხოვნები დელიქტიდან, უსაფუძვლო გამდიდრებიდან, დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებიდან და რეალაქტით, მაგალითად, გადამუშავების შედეგად მოპოვებული.

4 მიკუთვნება საერთო ქონებისადმი ხდება კანონის ძალით ერთ-ერთი მეუღლის მიერ ქონებაზე საკუთრების მოპოვების მომენტიდან,⁴ გარიგებისმიერი აქტის გარეშე, რის გამოც შეუძლებელია კეთილსინდისიერი შექმნა.

5 ქორწინებაში შექმნილის და, ამგვარად, საერთო ქონების, მხოლოდ ერთი მეუღლის სახელზე რეგისტრაციის შემთხვევაში, რეესტრის ჩანაწერი ხდება არასწორი და უნდა ჩასწორდეს. ჩასწორების მოთხოვნა გამომდინარეობს თავად 1158-ე მუხლიდან და ავალდებულებს მეუღლეს თანაქმედებას ამ ჩასწორების პროცესში.

¹ სუსგ № 3კ/1272-01, 2002 წლის 3 აპრილი.

² შდრ. სუსგ № ას-7-7-2016, 2016 წლის 16 მარტი.

³ თუმცა 1161 ბ) მუხლით ინდივიდუალურ საკუთრებას მიკუთვნებული ქონების განკარგვით მიღებული თანხით შექმნილი ქონება საერთო საკუთრების რეჟიმში ექცევა, სუსგ № ას-324-308-2011, 2011 წლის 6 ივნისი.

⁴ და არა ნივთის შექმნის მავალდებულებელი ხელშეკრულების დადების მომენტიდან, შდრ. № ას-33-483-06, 2006 წლის 8 სექტემბერი, სადაც სასამართლო მნიშვნელობას სწორედ ამ უკანასკნელს და არა ნივთზე საკუთრების ქორწინების შემდეგ რეგისტრაციის ფაქტს ანიჭებს.

III. სამართლებრივი კონსტრუქცია

საერთო საკუთრებად ქცევის სამართლებრივი კონსტრუქცია საკამათოა.⁵ დოგმატურად ყველაზე გამართულია გამჭოლი მოპოვება,⁶ ანუ ქონების ჯერ ერთი მეუღლის საკუთრებად ქცევა და მხოლოდ ამის შემდეგ მისი გადაქცევა საერთო საკუთრებად. თუმცა პრაქტიკული მოსაზრებები ამართლებენ პირდაპირ საერთო საკუთრებად ქცევის გადანყვეტას. მაგალითად, მიწის ნაკვეთზე (საერთო) საკუთრების შეძენისას ზედმეტია, ჯერ ერთ-ერთი მეუღლის სახელზე რეგისტრაცია და შემდეგ საერთო საკუთრებად გადარეგისტრირება, არამედ დასაშვებია პირდაპირ საერთო საკუთრებად რეგისტრაცია.⁷

6

IV. სანიუთოსამართლებრივი კონცეფცია

ისევე, როგორც სხვა თანაზიარი საკუთრების რეჟიმის დროს, აქაც, მეუღლეებს არ აქვთ გამოცალკევებადი წილი საკუთრებაში, რომლის დამოუკიდებლად განკარგვა მათ ხელუნიფებათ. მეუღლეებს არ აქვთ არც ცალკეული კვოტა, საერთო საკუთრებიდან გამომდინარე მოთხოვნასთან დაკავშირებით და კრედიტორს არ ძალუძს მათ წინაშე ამ წილის მიმართ გაქვითვა. ვალდებულება ამ წილის გასხვისებასთან დაკავშირებით ბათილია, თუმცა შეიძლება განიმარტოს, როგორც ვალდებულება საერთო ქონების გაყოფის მოთხოვნის დათმობისა (შდრ. 1170 I).

7

V. გამონაკლისი საერთო საკუთრებად გადაქცევის წესიდან, 1158 II

1158 II მუხლის მიხედვით, ქორწინებაში შექმნილ ქონებაზე საერთო საკუთრების წარმოშობას ხელს არ უშლის ის გარემოება, რომ მხოლოდ

8

⁵ Hofmann, Zum Erwerb einzelner Gegenstände durch einen Ehegatten für das Gesamtgut der Gütergemeinschaft, FamRZ 1972, 117; BGHZ 82, 348.

⁶ Gernhuber/Coester-Waltjen, Familienrecht, 6. Aufl., München 2010, § 38 Rn. 26 f.

⁷ BGHZ 82, 350.

ერთი მეუღლეა შემოსავლის მომტანი საქმიანობით დაკავებული, ხოლო მეორე უძღვება საოჯახო საქმეებს, უვლის ბავშვებს ან სხვა საპატრიო მიზეზით არ აქვს ეს შემოსავალი. ეს ჩამონათვალი არაამომწურავია, უფრო ზუსტად კი, „საპატრიო მიზეზის“ ღია ცნება იძლევა მის ქვეშ სხვადასხვა შემთხვევების სუბსუმციის შესაძლებლობას, როდესაც გამართლებულია საერთო საკუთრების წარმოშობა, მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ ერთ მეუღლეს ჰქონდა შემოსავალი. კანონი დამატებით არ განმარტავს ერთ-ერთი მეუღლის მიერ დამოუკიდებელი შემოსავლის არქონის საპატრიო მიზეზის ცნებას, თუმცა, სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, მასში მოიაზრება „მეუღლის ნების სანინააღმდეგო“ მიზეზით, მაგალითად, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, შემოსავლის არქონა.⁸

9 ამგვარად, 1158 II მუხლში ჩამოთვლილი მიზეზები შეიძლება ორ ჯგუფად გაიყოს. პირველში ერთიანდება ის შემთხვევები, როდესაც, მართალია, მეუღლეს არ აქვს შემოსავალი, თუმცა იმით, რომ უძღვება საოჯახო მეურნეობას, ათავისუფლებს მეორეს შესაბამისი საზრუნავისაგან და ამით არაპირდაპირ მაინც შეაქვს წვლილი ქონების დაგროვებაში. მეორე ჯგუფს განეკუთვნება შემთხვევები, როდესაც მეუღლეს საერთოდ ვერანაირი წვლილი ვერ შეაქვს საერთო დოვლათის დაგროვებაში, თუმცა ეს იმგვარი საპატრიო მიზეზით არის განპირობებული, რომ ოჯახის, როგორც ურთიერთზრუნვაზე დამყარებული პიროვნული ერთობის, პარადიგმას შეესატყვისება, რომ მეორე მეუღლემაც იკისროს მისი ამ მდგომარეობაში ყოფნის ტვირთი და მასაც „გაუნაწილოს“ დაგროვებული, ამ დაგროვებულზე თანასაკუთრების წარმოშობის ფორმით.

10 თუმცა 1158 II მუხლიდან უკუდასკვნით გამომდინარეობს, რომ, თუ მეუღლის მხრიდან საერთო ქონებაში შენატანის განუხორციელებლობა არ არის გამართლებული არც ერთი ზემოთ ხსენებული მიზეზით, შეძენილ ქონებაზე თანასაკუთრება არ წარმოიშობა. თუმცა ეს ნესი, გამომდინარე იქიდან, რომ მეუღლეთა საერთო ქონების ჩამოყალიბება (თუ მათ შორის სპეციალური ქონებრივი რეჟიმი არ არის შეთანხმებული) ოჯახური თანაცხოვრების ერთ-ერთ ქვაკუთხედს წარმოადგენს,

⁸ სუსგ № ას-290-276-2013, 2013 წლის 23 დეკემბერი.

მხოლოდ აბსოლუტურ გამონაკლის შემთხვევებში უნდა იქნეს გამოყენებული.

VI. ნორმის დატვირთვა საპროცესო სამართალში

1158-ე მუხლი ადგენს მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შექმნილი ქონების თანასაკუთრებად არსებობის პრეზუმფციას. ამდენად, დავის შემთხვევაში, ქორწინების განმავლობაში ქონების შექმნის ფაქტი საკმარისი საფუძველია ქონების მეუღლეთა თანასაკუთრებად მიჩნევისთვის.⁹ სანინალმდეგო გარემოების მტკიცების ტვირთი ეკისრება იმ მხარეს (მეუღლეს), რომელიც ქორწინების განმავლობაში შექმნილი ქონების ინდივიდუალურ საკუთრებად ქცევაზე აპელირებს და მტკიცების საგანში შემავალ გარემოებებზე შეიძლება მოვიხილოთ 1158 I (საქორწინო ხელშეკრულების არსებობა), 1158 II (მეორე მეუღლის დამოუკიდებელი შემოსავლის არარსებობის საპატიო მიზეზის გამორიცხვა)¹⁰, ასევე 1161, 1162, 1165-ე მუხლებით გათვალისწინებული შემადგენლობები.

11

⁹ სუსგ № ას-1426-1346-2017, 2018 წლის 2 მარტი ; სუსგ № ას-7-7-2016, 2016 წლის 16 მარტი.

¹⁰ სუსგ № ას-290-276-2013, 2013 წლის 23 დეკემბერი.

მუხლი 1159. თანასაკუთრებაში არსებული ქონების მართვა ურთიერთშეთანხმებით

თანასაკუთრებაში არსებულ ქონებაზე მეუღლეებს აქვთ თანაბარი უფლებები. ამ ქონების ფლობა, სარგებლობა და განკარგვა ხორციელდება მეუღლეთა ურთიერთშეთანხმებით.

I. ზოგადი	80
II. ურთიერთშეთანხმებით მართვა	80
III. პასუხისგება.....	82

I. ზოგადი

- ქორწინებაში შექმნილის საერთო საკუთრებად გადაქცევა 1158 I მუხლის მიხედვით წარმოშობს სამ საკითხს: ამ ქონების მართვის, პასუხისმგებლობისა და გაუქმების საკითხს, რაც შესაბამისად არის მოწესრიგებული 1159-ე-1160-ე, 1170-ე და 1164-ე-1169-ე მუხლებში.
- საერთო ქონების მართვა (ფლობა, სარგებლობა და განკარგვა), 1159-ე მუხლის მიხედვით, ხდება მეუღლეთა შორის ურთიერთშეთანხმებით.¹

II. ურთიერთშეთანხმებით მართვა

- ურთიერთშეთანხმებით მართვის პირობებში საერთო ქონება შეიძლება განიკარგოს მხოლოდ ერთობლივად. სასამართლო დავა, რომელიც ეხება ამ საერთო ქონებას, წარმოებული უნდა იქნეს ასევე ერთობლივად. მეუღლეებს აქვთ ერთობლივი თანამფლობელობა ამ ქონებაზე. გამომდინარე იმ სირთულეებიდან, რომლებსაც ამგვარი ერთობლივი მართვა წარმოშობს, თითოეული მეუღლე ვალდებულია, მიიღოს

¹ შენგელია, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1159, გვ. 109.

თანამონაწილეობა შესაბამის მოქმედებებში. გამონაკლისის სახით თანაქმედების ეს ვალდებულება შეიძლება ჩანაცვლდეს სასამართლოს მიერ.

ერთი მეუღლის მიერ დადებული მავალდებულებელი გარიგებების მხარე ავტომატურად არ ხდება მეორე მეუღლე, მაშინაც კი, როდესაც ის საერთო ქონებაში შემავალ საგანს ეხება. ამიტომაც, პრობლემურია უზენაესი სასამართლოს მიდგომა, რომლითაც ერთი მეუღლის მიერ დადებული (ვალდებულებითი) ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავა შეიძლება წამოიწიოს მეორე მეუღლემაც, თუ ის საერთო საკუთრებაში არსებულ ნივთს უკავშირდებოდა.² პირველი და მეორე ინსტანციების მსჯელობა იმასთან დაკავშირებით, რომ ნარდობით გათვალისწინებული შედეგი დადგა მეორე მეუღლისთვისაც და ამიტომ მას შეეძლო მოეთხოვა მენარდისგან სახელშეკრულებო ზიანის ანაზღაურება, დაუსაბუთებელია, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ ნივთი მოქცეული იყო მეუღლეთა საერთო საკუთრების რეჟიმში, ნარდობის ხელშეკრულების მხარეს მხოლოდ ერთი მათგანი წარმოადგენდა. განსაკუთრებული საინვითოსამართლებრივი რეჟიმის დანიშნულებაა ქორწინების შემდეგ ერთ-ერთი მეუღლის ქონებაში მოხვედრილი სიკეთის მეორე მეუღლისთვის მიკუთვნებაც, მაგრამ არა მეუღლეების ერთმანეთთან პიროვნული გაიგივება. კონტრაჰენტმა ერთ მეუღლესთან გარიგების დადებით დამატებით მეორე მეუღლეს არ უნდა მიიღოს გარიგების მხარედ, რადგან ეს არ წარმოადგენს არც ერთი საინვითოსამართლებრივი პოზიციის შინაარსს და არც მეუღლეთა შორის საერთო ქონების რეჟიმის არსებობით არის გამართლებული. ამ ლოგიკით, ისიც შეიძლება დავუშვათ, რომ მესაკუთრე უნდა აღიჭურვოს იმ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა მოთხოვნით, რომლებიც არაუფლებამოსილმა პირმა მის ნივთთან დაკავშირებით დადო, მხოლოდ იმიტომ, რომ ის მესაკუთრეა, რაც არასწორია. ხელშეკრულებაში არჩართული მეუღლე მისი საკუთრების დელიქტურ დაცვას უნდა დასჯერდეს.

იხ. დეტალურად 1160-ე მუხლის კომენტარში.

² სუსგ № ას-515-2020, 2020 წლის 10 დეკემბერი.

III. პასუხისგება

- 6** საერთო ქონების პასუხისგების ნაწილში ერმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს კანონის ძალით წარმოშობილი ვალდებულებები და გარიგებისმიერი ვალდებულებები. საერთო ქონება პასუხს აგებს კანონის ძალით წარმოშობილი ვალდებულებებისათვის, მაგალითად, დელიქტიდან ან უსაფუძვლო გამდიდრებიდან, ამასთან, უსაფუძვლო გამდიდრების შემთხვევაში, იმ გარიგებიდან, რომელიც მეორე მეუღლის თანხმობას საჭიროებდა (ამ თანხმობის არარსებობის პირობებში) მხოლოდ მაშინ – თუ ეს საერთო ქონება უსაფუძვლოდ გაიზარდა (1170 III).
- 7** გარიგებების საფუძველზე, საერთო ქონების რეჟიმის არსებობის პირობებში, საერთო ქონება პასუხს აგებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს გარიგება დადებულია მეუღლეების მიერ ერთობლივად ან ერთი მეუღლის მიერ მეორე მეუღლის თანხმობით. ასევე იმ შემთხვევებში, როდესაც, გამონაკლისის სახით, მეუღლეს ჰქონდა დამოუკიდებლად მოქმედების უფლება.
- 8** ვალდებულებები, რომლებიც წარმოიშობა ინდივიდუალურ ქონებასთან დაკავშირებული უფლებებიდან ან მისი ფლობიდან, ვერ იქნება საერთო ქონების პასუხისმგებლობის საფუძველი. იხ. 1161-ე მუხლის კომენტარი.
- 9** საერთო ქონების პასუხისმგებლობის პირობებში, საერთო მართვიდან გამომდინარე, მეუღლეები ასევე პირადად და სოლიდარულად აგებენ პასუხს. თუ საერთო საკუთრება საკმარისი არაა ვალდებულების დაკმაყოფილებისთვის, კრედიტორს შეუძლია გადაწვედეს ერთ-ერთი მეუღლის ინდივიდუალურ საკუთრებასაც.³ სოლიდარული მოვალეების რეგრესის დროს (473) გარე ურთიერთობაში შესრულებული ვალი შუაზე იყოფა და შემსრულებელ მეუღლეს უფლება აქვს მოითხოვოს მეორისაგან სანახევრო შესრულება (1169-ე მუხლის ანალოგიით). მეუღლის მიერ საერთო ვალის თავდებობით უზრუნველყოფა პირობითია (96) და სამართლებრივ ძალას იძენს მხოლოდ საერთო ვალის გაყოფის შემთხვევაში, რის შემდეგაც თავდები მეუღლე უზრუნველყოფს

³ სუსგ № ას-1646-2018, 2019 წლის 22 მარტი.

მეორე მეუღლისთვის მიკუთვნებულ ვალს.⁴ იხ. მეუღლეთა პირად პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით 1170-ე მუხლის კომენტარი.

⁴ შდრ. სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომლითაც საერთო ვალიდან გამომდინარე უკუმოთხოვნა 905-ე მუხლის საფუძველზე უარყოფილია არა საერთო ვალის მეუღლის მიერ თავდებობით უზრუნველყოფის შეუძლებლობის გამო, არამედ იმიტომ, რომ მეუღლის მიერ გადახდილი თანხა არ აჭარბებდა მის წილს ვალდებულებაში, სუსგ № ას-525-499-2013, 2013 წლის 8 ივლისი. მხედველობიდანაა გამორჩენილი ის, რომ საერთო ვალზე პასუხისმგებლობა ერთიანი ბუნებისაა და მეუღლე ვერ გახდება მეორე მეუღლის თავდები მანამ, სანამ საერთო ვალი არ გაიყოფა.

მუხლი 1160. თანასაკუთრებაში არსებული ქონების განკარგვა ურთიერთშეთანხმებით

1. იმ ქონების განკარგვა, რომელიც მეუღლეთა თანასაკუთრებაშია, ხდება მეუღლეთა შეთანხმებით, მიუხედავად იმისა, თუ რომელი მეუღლე განკარგავს ამ ქონებას.

2. მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების განკარგვა-სთან დაკავშირებით ერთის მიერ დადებული გარიგება ვერ იქნება ბათილად ცნობილი მეორის მოთხოვნით იმ საფუძველზე, რომ:

- ა) მან არ იცოდა გარიგების შესახებ;
- ბ) ის არ ეთანხმებოდა გარიგებას.

3. მეუღლეს, როგორც თანამესაკუთრეს, უფლება აქვს, მოითხოვოს ქონების განკარგვით მიღებული სარგებელი.

საქართველოს 2007 წლის 29 ივნისის კანონი №5127 - სსმ I, №27, 17.07.2007წ., მუხ.260

I. ერთობლივი მართვის ცნება	84
II. ფლობა	85
III. სასამართლო დავა	85
IV. თანაქმედების ვალდებულება	86
V. ერთი მეუღლის მიერ განხორციელებული განკარგვა	86
1. განკარგვის გარიგება	87
2. „ოჯახის საჭიროებების დასაფარად“	88
3. მცირე მოცულობის განკარგვა	89
4. სამართლებრივი შედეგები	90
5. განკარგვით მიღებული სარგებელი, 1160 III	90
VI. კავშირი 312 I, 187 მუხლებთან	92

I. ერთობლივი მართვის ცნება

1 მეუღლეთა მიერ საერთო ქონების ერთობლივად მართვის ცნება მოიცავს მათ ფლობას, განკარგვას, სარგებლობასა და მასთან დაკავშირებულ სასამართლო დავაში მონაწილეობას. ამ ცნებით მოცულია სა-

ერთო ქონებასთან დაკავშირებული ისეთი მოქმედებები, როგორებიცაა ხმის უფლების გამოყენება სამეწარმეო საზოგადოებაში და ამ ქონების სარჩოდ გამოყენებასთან დაკავშირებული ღონისძიებები.¹

ვალდებულებითი გარიგებები, პირველ რიგში, ავალდებულებენ უშუალოდ მოქმედ მეუღლეს, ხოლო საერთო ქონებაზე ვრცელდება მხოლოდ მეორე მეუღლის მხრიდან თანხმობის გაცხადების შემდეგ. საერთო ქონებისათვის რაიმე ნივთის შემატება არ მოითხოვს მეორე მეუღლის თანხმობას. გამოსატყუი ნების მიღების კომპეტენცია აქვს თითოეულ მეუღლეს დამოუკიდებლად. გამონაკლისს არ წარმოადგენს არც მოშლა, რომელიც შეიძლება მხოლოდ ერთ მეუღლეს მიუვიდეს, და არც ოფერტით ბოჭვა.² მოთხოვნების წაყენება შეუძლია მხოლოდ ორივე მეუღლეს ერთობლივად.

2

II. ფლობა

მეუღლეთა მიერ საერთო ქონების ფლობა უნდა მოხდეს ერთობლივად, ანუ თანამფლობელობის სახით. თუმცა ის არ წარმოიშობა *ipso iure*, არამედ მხოლოდ ერთი (მფლობელი) მეუღლის მხრიდან მისი მინიჭების შემდეგ, რისი ვალდებულებაც მფლობელ მეუღლეს გააჩნია. მფლობელობის დაცვაზე უფლებამოსილია თითოეული მეუღლე. ეს დაცვა შესაძლებელია ასევე მეორე მეუღლის მიმართაც განხორციელდეს.³

3

III. სასამართლო დავა

საკუთრებიდან წარმოშობილი მოთხოვნების სასამართლო წესით წაყენების უფლებამოსილება მეუღლეებს აქვთ მხოლოდ ერთობლივად. აუცილებელია ორივე მეუღლის მონაწილეობა სასამართლო პროცესში.⁴ იგივე წესი მოქმედებს ამ ქონების წინააღმდეგ წარმოებული

4

¹ BGHZ 111, 255.

² *Gaul/Althammer*, in: Soergel, BGB, 13. Aufl., § 1450 Rn. 14.

³ *Gaul/Althammer*, in: Soergel, BGB, 13. Aufl., § 1450 Rn. 11.

⁴ *Baur*, Zivilprozessuale Fragen zum Gleichberechtigungs- und zum Familienrechtsänderungsgesetz 1961, FamRZ 1962, 510.

დავის შემთხვევაშიც. ამასთან, მეუღლე მეორე მეუღლის თანხმობის გარეშე ვერ დადებს მორიგების აქტს, რომელიც შეიცავს პირობას პირადი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეუღლეთა თანასაკუთრებაზე იძულებითი რეალიზაციის მიქცევის შესახებ.⁵

IV. თანაქმედების ვალდებულება

- 5** თანაქმედების (თანამონაწილეობის) ვალდებულება წარმოადგენს მნიშვნელოვან დანამატსა და შემაჯავებელს საერთო ქონების ერთობლივი მართვის პრინციპისა. თუ მეუღლე არ იღებს მონაწილეობას ამ მართვაში, რისი ვალდებულებაც მას აწევს, ის პასუხს აგებს მეორე მეუღლის წინაშე.⁶ თუმცა ეს თანაქმედების ვალდებულება სასამართლო წესით გამოძალვადი არ არის.⁷
- 6** იხ. მეუღლეთა საერთო და პირადი ვალების დაფარვის წესთან დაკავშირებით 1170-ე მუხლის კომენტარი.

V. ერთი მეუღლის მიერ განხორციელებული განკარგვა

- 7** 1160 II მუხლის მიხედვით, ერთი მეუღლის მიერ განხორციელებული საერთო ქონების ნაწილის განკარგვა ვერ იქნება ბათილი მხოლოდ იმის გამო, რომ მეორე მეუღლემ არ იცოდა გარიგების შესახებ და არ ეთანხმებოდა მას. დანაწესი შეიცავს მხოლოდ ჩამონათვალს იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს განკარგვა ძალაში რჩება მიუხედავად მეორე მეუღლის პროტესტისა. ნორმის მიზნიდან და საერთო საკუთრების ინსტიტუტის სისტემური განმარტებიდან გამომდინარეობს, რომ ეს განკარგვა მაინც შეიძლება გაბათილდეს რაიმე სხვა გარემოების საფუძველზე, რაც, მართალია, თავად ნორმაში ნახსენები არ არის, თუმცა იგულისხმება.
- 8** გერმანიაში აღნიშნული პრობლემა მოწესრიგებულია Schlüssel-

⁵ სუსგ № 3კ-309-03, 2003 წლის 11 აპრილი.

⁶ Baur, Zivilprozessuale Fragen zum Gleichberechtigungs- und zum Familienrechtsänderungsgesetz 1961, FamRZ 1962, 42.

⁷ Gaul/Althammer, in: Soergel, BGB, 13. Aufl., § 1451 Rn. 5.

gewalt-ის ინსტიტუტის ფარგლებში⁸ (გსკ-ის 1357), რისი გადმოტანაც პრინციპის დონეზე საქართველოშიც აუცილებელია, წინააღმდეგ შემთხვევაში 1160 II მუხლი, საბოლოო ჯამში, თითოეულ მეუღლეს საშუალებას მისცემდა შეუზღუდავად განეკარგა საერთო ქონება, მიუხედავად მეორე მეუღლის პროტესტისა. ამ რეცეფციის ფარგლებში, ზემოხსენებული არგუმენტებიდან გამომდინარე, ტელეოლოგიური განმარტების გზით, 1160 II მუხლით გათვალისწინებული განკარგვის წინაპირობა უნდა იყოს ის, რომ ეს განკარგვა ხდებოდეს და აუცილებელი იყოს ოჯახის საჭიროებების დაკმაყოფილებისათვის (**zur angemessenen Deckung des Lebensbedarfs der Familie**). ეს დაშვება გამართლებულია მეუღლეთა თანასაკუთრების ინსტიტუტის მთლიანი სისტემატიკით, პირველ რიგში, ცალსახა დიქოტომიით საერთო და ინდივიდუალურ საკუთრებას შორის. თუმცა მთავარ ხელმოსაჭიდს 1160 II მუხლში ამ წინაპირობის ამოსაკითხად მაინც 1170 II მუხლი წარმოადგენს, რომლის თანახმადაც, ერთ-ერთი მეუღლის ინდივიდუალური ვალის დაფარვა საერთო ქონებიდან მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ ვალი მოხმარდა „მთელი ოჯახის საერთო ინტერესებს“. ყოველი განკარგვა ხორციელდება რაიმე ვალდებულებითი კაუზის (მაგ., ნასყიდობა, ნარდობა და ა. შ.) საფუძველზე, რომელიც წარმოადგენს ვალს 1170 II მუხლის გაგებით. შესაბამისად, აბსურდული იქნებოდა, მეუღლის მიერ რაიმე ნივთის საერთო ქონებიდან პირდაპირ აღება და მისით საკუთარი, იმ ინდივიდუალური ვალის დაფარვა, რომელიც იკისრა ოჯახის საჭიროების მიღმა, ნამდვილი ყოფილიყო 1160 II მუხლის მიხედვით და, ამავდროულად, ყოფილიყო დაუშვებელი გადახდა 1170 II მუხლით.

1. განკარგვის გარიგება

მოცემული დანაწესი ეხება მხოლოდ განკარგვის გარიგებებს,⁹ რო-

9

⁸ თუმცა გერმანიაში **Schlüsselgewalt** ეხება მხოლოდ მავალდებულებელ გარიგებებს, რომლითაც იბოჭება ასევე მეორე მეუღლეც.

⁹ იხ. განკარგვის გარიგებებთან დაკავშირებით *მაისურაძე*, განკარგვით ხელყოფის კონდიქცია ქართულ და გერმანულ სამართალში, შედარებითი სამართლის ჟურნალი 8/2020, 12-ე და მომდევნო გვერდები; *რუსიაშვილი*, გამიჯვნის პრინციპი ქართულ სანივთო სამართალში, შედარებითი სამართლის ჟურნალი 1/2019, 20-ე

მელიც ხორცილდება ერთი მეუღლის მიერ საერთო ქონებასთან დაკავშირებით. დოგმატურად ეს დანაწესი შეიძლება გაგებულ იქნეს, როგორც წარმომადგენლობის უფლებამოსილების მინიჭება განკარგვითი გარიგების დადებისას: მეუღლე, რომელიც დებს ამ გარიგებას, ამავდროულად წარმოადგენს მეორე მეუღლეს და გარიგება იდება ორივეს სახელით, თუმცა ეს გადაწყვეტა საკმაოდ შორს დგას ნორმის სიტყვასიტყვითი განმარტებიდან და, გარდა ამისა, თუ ამ შემთხვევაში წარმომადგენლობითი უფლებამოსილებაა მინიჭებული, ის გამოხმობადიც უნდა იყოს, რასაც ნორმა არ ითვალისწინებს. ამიტომაც რეგულაცია უნდა გავიგოთ, როგორც მეუღლისთვის ოჯახის საჭიროებების დასაფარად საერთო ქონების საკუთარი სახელით განკარგვის უფლებამოსილების მინიჭება.

2. „ოჯახის საჭიროებების დასაფარად“

- 10** საგნის განკარგვა საერთო ქონებიდან უნდა ხდებოდეს ოჯახის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. ეს ცნება კავშირშია სარჩოს მინიჭების მოთხოვნის მასშტაბთან 1182-ე, 1185-ე მუხლების მიხედვით, ასევე 1170 II მუხლთან.¹⁰ ამიტომაც, საჭიროებებს განეკუთვნება: თანხის მოპოვება საკვების, აგრეთვე ტანსაცმლის, საოჯახო მეურნეობისთვის აუცილებელი ნივთების, სათამაშოებისა და სასაწავლო მასალის შესაძენად, მხოლოდ ოჯახის წევრებისათვის. გარდა ამისა, ამ კატეგორიაში ექცევა, მაგალითად, ოჯახის დასასვენებლად წაყვანისათვის თანხის გამოსათავისუფლებლად ან ელექტრომომმარაგებელთან¹¹ თუ ტელესაკომუნიკაციო კომპანიასთან¹² გარიგების დადებისათვის ნივთის განკარგვაც. ასევე: ადვოკატისთვის მომსახურების საფასურის გადახდა იმ დავაზე, რომლის შედეგებიც მთლიანი ოჯახისათვის დგება¹³, საოჯახო მანქანის გარემონტების საფასურის გადახდა¹⁴ და

და მომდევნო გვერდები; *რუსიაშვილი*, კაზუსები სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, 2015, 257-ე და მომდევნო გვერდები.

¹⁰ BGHZ 94, 1.

¹¹ BGH NJW-RR 2013, 897; *Luther*, Vom Ende der Schlüsselgewalt, FamRZ 2016, 271.

¹² BGH NJW 2004, 1593.

¹³ OLG Düsseldorf FamRZ 2011, 35.

¹⁴ LG Freiburg FamRZ 1988, 1052.

ოჯახის წევრების ჯანმრთელობის დაზღვევის ხელშეკრულების ფარგლებში სადაზღვევო შენატანის განხორციელება. ამავე კატეგორიაში უნდა გაერთიანდეს სამომხმარებლო გარიგებების შესრულება, თუ ისინი ოჯახის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ემსახურება.¹⁵

3. მცირე მოცულობის განკარგვა

დიდი მოცულობის გარიგებები (სახლის შეძენა), რომელთა შეჩერებაც და უკუქცევაც უპრობლემოდ არის შესაძლებელი, 1160 II მუხლის ქვეშ არ ერთიანდება. მეუღლეს არ აქვს უფლება, ოჯახური ერთობის გვერდზე გადადებით, ამგვარ მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით, გადაწყვეტილება დამოუკიდებლად მიიღოს და განკარგოს მის მასპოვებლად ოჯახის საერთო საკუთრება. თუ რა ჩაითვლება „დიდი მოცულობად“ უნდა გადანყდეს ოჯახის მატერიალური მდგომარეობიდან და კოოპერაციის ხარისხიდან გამომდინარე.¹⁶ ამიტომაც, ჩვეულებრივ, 1160-ე მუხლი არ გამოიყენება და განკარგვა ბათილია ზოგადი დანაწესების მიხედვით, თუ ის ხდება მოგზაურობის თანხების აკუმულირებისათვის, თუ მოგზაურობასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება მანამდე ყოველთვის საერთო კონსენსუსის საფუძველზე მიიღებოდა.¹⁷ იგივე ითქმის მშენებლობაში ფულის დაბანდებასთან დაკავშირებით.¹⁸ სახლის შესაძენად დაქირავებული მაკლერისათვის პროვიზიის გადახდა ასევე აღარ წარმოადგენს ოჯახის საჭიროებას, თუ ამ სახლის შეძენა მანამდე მეუღლეებს შორის შეთანხმებული არ ყოფილა.¹⁹ ასევე: ბინის ქირავნობის ხელშეკრულების დადება, სატელეფონო კომუნიკაცია სხვა ქვეყანაში, განსაკუთრებით მაღალ ფასად, რომელიც აღემატება ოჯახის ფინანსურ შესაძლებლობებს.²⁰

11

¹⁵ *Löhnig*, Verbrauchergeschäfte mit Ehegatten - zum Verhältnis von Verbraucherschutz und Schlüsselgewalt, FamRZ 2001, 135.

¹⁶ BGHZ 94, 1.

¹⁷ OLG Köln FamRZ 1991, 434.

¹⁸ BGH FamRZ 1989, 35.

¹⁹ OLG Oldenburg FamRZ 2011, 37.

²⁰ BGH NJW 2004, 1593.

4. სამართლებრივი შედეგები

- 12** ზემოთ აღწერილი წინაპირობების საფუძველზე განხორციელებული განკარგვის სამართლებრივი შედეგია მისი სანივთოსამართლებრივი ნამდვილობა, როგორც მეუღლის, ასევე მესამე პირების წინაშე.
- 13** ამ წინაპირობების არარსებობის შემთხვევაში ბათილია მთლიანი განკარგვა. პრობლემურია სასამართლო პრაქტიკის მიერ, მაგალითად, არაუფლებამოსილი მეუღლის მიერ მეორის თანხმობის გარეშე განხორციელებული და ამავდროულად მოჩვენებითი განკარგვის მხოლოდ 1/2 ნაწილში ბათილად ცნობის შესაძლებლობის დაშვება მხოლოდ იმიტომ, რომ სარჩელი აღძრულია მეორე მეუღლის მიერ უძრავი ნივთის 1/2 მიკუთვნებასთან დაკავშირებით.²¹ ერთი მხრივ, ეს არასწორია იმიტომ, რომ გარიგება მოჩვენებითი შეიძლება იყოს მხოლოდ მისი მთელი მოცულობით და არა სანახევროდ (62), გარდა ამისა, ეს გადაწყვეტა ეწინააღმდეგება მეუღლეთა თანაზიარი თანასაკუთრების ბუნებას. თანაზიარ საკუთრებაში არ არსებობს რაიმე ფორმით გამოყოფადი, თუნდაც იდეალური, წილი კონკრეტულ საგნებზე, რომლის განკარგვაც დამოუკიდებლად იქნებოდა შესაძლებელი. ამიტომაც, იმ შემთხვევაშიც კი, როცა განკარგვის ბათილობის საფუძველია მეორე მეუღლის თანხმობის არარსებობა და არა, მაგალითად, გარიგების მოჩვენებითობა, ბათილია მთლიანი განკარგვა.²²

5. განკარგვით მიღებული სარგებელი, 1160 III

- 14** განკარგვით მიღებული სარგებლის დასადგენად გამოიყენება არაუფლებამოსილი პირის მიერ ნამდვილი განკარგვით მიღებული „რაიმეს“ ცნება 982 I მუხლის მიხედვით. შესაბამისად, პრობლემურია სააპელაციო და საკასაციო სასამართლოების გადაწყვეტა, რომლითაც

²¹ სუსგ № ას-8-2020, 2020 წლის 2 ივლისი, სუსგ № ას-571-879-09, 2010 წლის 30 აპრილი.

²² სუსგ № 2ბ/1473-12, 2012 წლის 3 ივლისი. განკარგვის გარიგების მხოლოდ 1/2 ნაწილში ბათილობის არგუმენტი ვერ იქნება ვერც ის, რომ ხელშეკრულება ბათილად უნდა იყოს ცნობილი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც ის მეუღლის ინტერესებს შეეხო, შდრ. სააპელაციო სასამართლოს პოზიციას, სუსგ № ას-63-58-2013, 2013 წლის 11 თებერვალი.

ქონებრივ სარგებლად არ ყოფილა მიჩნეული მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ერთ-ერთი მეუღლის მიერ სხვა პირის ქონებაზე გაცვლის შედეგად მიღებული ქონება, იმ დასაბუთებით, რომ განკარგული ნივთის საბაზრო ღირებულება არ აღემატებოდა გასაცვლელი ქონების ანალოგიურ მონაცემს.²³ 1160 III მუხლის მიხედვით მიღებული სარგებლის გადაცემას არ გამორიცხავს, მაგალითად, არც ის, რომ ქონების განკარგვით მიღებული თანხით მეუღლემ უძრავი ნივთი იყიდა და განკარგულ და შემდეგ შეძენილ ნივთს შორის ღირებულების სხვაობა ვერ დგინდება.²⁴ ამ შემთხვევაში მეუღლეს აქვს განკარგვის შედეგად დაკარგული თანასაკუთრების საკომპენსაციოდ ამ საკუთრების სანაცვლოდ მიღებულზე თანასაკუთრების დადგენის მოთხოვნა, თუ ის ისედაც არ განეკუთვნება მათ თანასაკუთრებას. მაგალითად, საერთო თანხის სესხად გაცემისას შეძენილი მოთხოვნა იქცევა მეუღლეთა თანასაკუთრებად.²⁵

მეორე მეუღლეს ენიჭება ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა იმ შემთხვევისთვის, როდესაც მეუღლე ნივთს განკარგავს მის საბაზრო ღირებულებაზე ნაკლებად.²⁶ ამ შემთხვევაში მოთხოვნა ეყრდნობა არა 1160-ე ან 982-ე, არამედ 992-ე მუხლს და ქონებრივი დანაკლისი ნივთის საბაზრო ღირებულების ნახევარს უტოლდება.

15

სარგებლის ნახევრის მოთხოვნა ქარწყლდება მაშინ, როცა მიღებული სარგებელი ხმარდება მეუღლეთა საერთო ვალის დაფარვას.²⁷

16

²³ სუსგ № ას-733-733-2018, 2018 წლის 11 ივლისი.

²⁴ შდრ. სუსგ № ას-733-733-2018, 2018 წლის 11 ივლისი.

²⁵ სუსგ № 28/1473-12, 2012 წლის 3 ივლისი.

²⁶ სუსგ № ას-1136-1067-2012, 2013 წლის 11 თებერვალი, თუმცა პრობლემურია სასამართლოს დაშვება, რომ 1160-ე მუხლით უნდა დაბრუნდეს უშუალოდ მოპოვებული სარგებელი და 982-ე მუხლით - მოპოვებული სარგებლის ღირებულება დაბრუნების შეუძლებლობის გამო. ამის საპირისპიროდ, 1160-ე მუხლი წარმოადგენს ხელყოფის კონდიქციის სპეციალურ დანაწესს. მოცემულ შემთხვევაში გამართლებული არაა არც 985-ე მუხლის მოშველიება და, მით უფრო, თეორიულადაც კი მისი 411-ე მუხლთან შეპირისპირება იმაზე გაუგებარი მითითებით, რომ მიუღებელი სარგებლის ანაზღაურებისთვის აუცილებელი არაა ზიანის მიმყენებლის ბრალის დადასტურება.

²⁷ სუსგ № ას-94-2020, 2020 წლის 23 სექტემბერი.

VI. კავშირი 312 I, 187 მუხლებთან

- 17** 1160-ე მუხლი არ ადგენს ერთ-ერთი მეუღლისგან ნივთის კეთილსინდისიერად მოპოვების სპეციალურ წესს და, ქართული სასამართლოების მიერ ერთხმად აღიარებული მიდგომის საპირისპიროდ, არც 312 I, 187-ე მუხლებით დადგენილ რეგულაციას არ იმეორებს.²⁸ 312 I, 187 მუხლები ეხება საკუთრების მოპოვებას განმკარგავის არაუფლებამოსილების პირობებში, რაც საერთოდ არ წარმოადგენს 1160-ე მუხლის მოქმედების სფეროს, რომელიც ადგენს ერთ-ერთი მეუღლის განკარგვის უფლებამოსილების წინაპირობებს მეორე მეუღლის თანხმობის არარსებობისას. 1160-ე მუხლით მესამე პირი ნივთს იძენს უფლებამოსილი განმკარგავისგან, შესაბამისად, საკუთრების მოპოვების ის ხარვეზი, რომლის ამოსავსებადაც საჭირო იქნებოდა შემძენის კეთილსინდისიერება, ამ შემთხვევაში საერთოდ არ არსებობს.
- 18** 1160-ე მუხლის მიღმა მეუღლის თანხმობის გარეშე განკარგვისას მეორე მეუღლე ითვლება არაუფლებამოსილად და ასეთ შემთხვევაში მესამე პირი უფლებას მოიპოვებს მხოლოდ მისი კეთილსინდისიერების შემთხვევაში (312 I ან 187). არაკეთილსინდისიერი შემძენია პირი, რომელმაც იცის (ან უნდა სცოდნოდა - მოძრავი ნივთების შემთხვევაში²⁹) განმკარგავის ოჯახური მდგომარეობისა³⁰ და ნივთის მეუღლეთა ქორწინების პერიოდში შეძენის შესახებ. ოჯახური ურთიერთობა განმკარგავ მეუღლესა და შემძენს შორის აფუძნებს შემძენის არაკეთილსინდისიერების ვარაუდს.³¹

²⁸ შდრ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება № 2ბ/211-12, 2012 წლის 29 მარტი, № ას-565-536-2014, 2015 წლის 22 ივლისი.

²⁹ შდრ. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება № 2ბ/1473-12, 2012 წლის 3 ივლისი, სადაც სასამართლო არასწორად იყენებს უხეში გაუფრთხილებლობის სტანდარტს უძრავი ნივთის მოპოვებასთან დაკავშირებით.

³⁰ თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება № 2ბ/211-12, 2012 წლის 29 მარტი.

³¹ სუსგ № ას-1563-1466-2012, 2013 წლის 4 თებერვალი.

მუხლი 1161. მეუღლეთა ინდივიდუალური საკუთრება

თითოეული მეუღლის საკუთრებას წარმოადგენს:

ა) ქონება, რომელიც თითოეულ მათგანს ეკუთვნოდა დაქორწინებამდე;

ბ) ქონება, რომელიც ქორწინების განმავლობაში მიღებულია მემკვიდრეობით ან ჩუქებით.

I. ზოგადი	93
II. ჩუქება.....	93
III. სხვა უსასყიდლო გარიგებები	95
IV. „მეუღლეთა შორის ჩუქება“.....	95
1. გამიჯვნა ჩუქებისაგან	95
2. უკუმოთხოვნა.....	96
V. არაგადაცემადი სიკეთეები.....	97
VI. ქონებრივი რეჟიმი.....	98

I. ზოგადი

მოცემული დანაწესი აყალიბებს იმ საფუძვლებს, რომელთა მიხედვითაც უნდა მოხდეს მეუღლეთა პირადი საკუთრების გამიჯვნა მათი თანასაკუთრებისაგან.¹ მეუღლეთა ინდივიდუალური საკუთრება რჩება საერთო ქონების მიღმა. პირველ რიგში, 1161-ე მუხლის მიხედვით, მას განეკუთვნება ქონება, რომელიც მეუღლეს ეკუთვნოდა ქორწინებამდე ან შეიძინა ქორწინების შემდეგ იმ სახსრებით, რაც მას ქორწინებამდე ეკუთვნოდა.² გარდა ამისა, მეუღლეთა ინდივიდუალურ საკუთრებას წარმოადგენს ქორწინების ფარგლებში ჩუქებით და მემკვიდრეობით მიღებული ქონება.

1

II. ჩუქება

იმისათვის, რომ ნივთის მიკუთვნება მოხდეს ერთ-ერთი მეუღლის ქონებისადმი, აუცილებელია, რომ მჩუქებელი მიზნად ისახავდეს სწო-

2

¹ *შენგელია/შენგელია*, საოჯახო სამართალი, მეორე გამოცემა, 2011, გვ. 154.

² *შენგელია*, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1161, გვ. 112.

რედ ერთი და არა ორივე მეუღლის დასაჩუქრებას. პრობლემურია სასამართლოს მიდგომა, რომლითაც ჩუქებით მიღებული ქონება ავტომატურად ინდივიდუალური საკუთრების ობიექტადაა მიჩნეული.³ ცალკეულ შემთხვევებში შეიძლება იყოს საკმაოდ რთული იმის განსაზღვრა, თუ კონკრეტულად რომელი მეუღლის დასაჩუქრება მოხდა. თუმცა იმ შემთხვევაში, როდესაც არ არსებობს მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ, რომ ჩუქების ხელშეკრულება შედგა მხოლოდ ერთ-ერთ მეუღლესთან, ჩუქებით მიღებული ქონება მეუღლეთა თანასაკუთრება ხდება. მტკიცების ტვირთი, რომ სახეზეა მხოლოდ ერთი მეუღლის სასარგებლოდ განხორციელებული ჩუქება, აწევს იმ მეუღლეს, რომლის ინტერესებშიც ეს შედის.

- 3** დასაჩუქრებულის განსაზღვრისას ასევე გაითვალისწინება საჩუქრის სამეურნეო დანიშნულება. მაგალითად, თუ საჩუქრად გადაცემულია საოჯახო დანიშნულების ნივთები, ავეჯი, ჭურჭელი და ა. შ., სავარაუდოა, რომ ეს ნივთები მჩუქებლის მიერ განსაზღვრული იყო ორივე მეუღლისათვის და, შესაბამისად, წარმოადგენენ მათ საერთო საკუთრებას. მჩუქებლის ნება, იზრუნოს მეუღლეთა ოჯახის კეთილდღეობისათვის, სხვა გარემოებებთან ერთობლიობაში შეიძლება დადასტურდეს, მაგალითად, იმით, რომ მთელი ოჯახი საცხოვრებლად გადავიდა ერთ-ერთი მეუღლისთვის ნაჩუქარ სახლში⁴ ან მეუღლეებმა ნაჩუქარი ფულით საერთო საცხოვრებელი შეიძინეს.⁵ ამის საპირისპიროდ, თუ საჩუქრად ინდივიდუალური მოხმარების საგნების გადაცემა მოხდა (მაგალითად, მაჯის საათი, სამკაული და ა. შ.), მაშინ ისინი, ჩვეულებრივ, წარმოადგენენ იმ მეუღლის საკუთრებას, რომელიც სარგებლობს ამ ნივთით.

³ სუსგ № ას-733-733-2018, 2018 წლის 11 ივლისი.

⁴ შდრ. სუსგ № ას-7-7-2016, 2016 წლის 16 მარტი.

⁵ სუსგ № ას-963-2018, 2019 წლის 25 აპრილი, თუმცა დაუსაბუთებელია ამ დასკვნის გამოტანა მხოლოდ იმის საფუძველზე, რომ ფული გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული ნივთია და 1161 ბ) მუხლის ქვეპუნქტის შედეგის დასაყენებლად მჩუქებელს თავად უნდა შეეძინა ინდივიდუალური ნიშნით განსაზღვრული ნივთი, რომელსაც შემდეგ ერთ-ერთ მეუღლეს აჩუქებდა.

III. სხვა უსასყიდლო გარიგებები

მეუღლეთა ინდივიდუალურ საკუთრებას განეკუთვნება ასევე ყველა იმ გარიგებით მიღებული ქონება, რომლებიც თავისი არსით ჩუქების დარ, უსასყიდლო გარიგებას წარმოადგენს. ამ ტიპის გარიგებებს განეკუთვნება, გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში ფართოდ გავრცელებული ქონების განსახელმწიფოებრიობის შემთხვევები, მაგალითად, პრივატიზაცია.⁶ გამონაკლისია შემთხვევა, როდესაც ბინა საკუთრებაში მიღებულია მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვლის № 107 დადგენილების მოქმედების პირობებში, რადგან დასახელებული აქტი უფლების ერთი პირისთვის მიკუთვნებასთან ერთად ადგენდა მასთან მცხოვრები ოჯახის წევრების საკუთრებასაც.⁷ საკუთრების აღიარების მუდმივმოქმედი კომისიის გადაწყვეტილებით მოპოვებული ქონება მეუღლეთა საერთო საკუთრება ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ქონების დაუფლების აქტი, რომელმაც შექმნა საკუთრების აღიარების წინაპირობა, ქორწინების განმავლობაში შედგა.⁸

4

IV. „მეუღლეთა შორის ჩუქება“

1. გამიჯვნა ჩუქებისაგან

მეუღლეთა შორის ჩუქება (ehebedingte Zuwendung) (გამონაკლისის სახით, ასევე მეორე მეუღლის ნათესავის მიერ განხორციელებული ჩუქებაც⁹) ექვემდებარება სპეციალურ ქონებრივ რეჟიმს და არ წარმოადგენს ჩუქებას 524-ე მუხლის გაგებით და ასევე 1161 ბ) მუხლის მიხედვით ვერ მიემატება მეუღლეთა ინდივიდუალურ ქონებას.¹⁰ ამ გადაწყვეტის უკან დგას ის მოსაზრება, რომ ამ ტიპის ურთიერთობის ფარგლებში ქონებრივი სიკეთეების მინიჭება ემსახურება არა მეორე მხარის

5

⁶ სუსგ № 314-296-2010, 2010 წლის 28 ივნისი, თუმცა შდრ. № ას-1154-1299-08, 2009 წლის 2 ივლისი, სუსგ № 3კ-328-02, 2002 წლის 1 მაისი.

⁷ სუსგ № ას-427-405-2012, 2012 წლის 4 ივნისი, სუსგ № ას-1035-1228-08, 2009 წლის 23 მარტი, სუსგ № ას-1201-1221-2011, 2011 წლის 8 დეკემბერი.

⁸ სუსგ № ას-569-540-2015, 2016 წლის 1 ივლისი.

⁹ მაგალითად, მეუღლის დედის მიერ ნაჩუქარი ბეჭედი, შდრ. სუსგ N 3კ-446-03, 2003 წლის 15 აპრილი, სადაც ეს ნივთი მეუღლის ინდივიდუალურ საკუთრებად ჩაითვალა.

¹⁰ BGHZ 116, 167; BGH, NJW-RR 90, 386, 387.

უსასყიდლოდ გამდიდრებას, არამედ იმ მიზანს, რომ ჩუქება ხელს შეუწყობს საოჯახო ერთობის მონყობას, შენარჩუნებასა და უზრუნველყოფას. ის ხორცილდება იმ განცდით და მოლოდინით, რომ ეს საოჯახო ერთობა იქნება მყარი, სულ მცირე, გასტანს გარკვეული, მნიშვნელოვანი პერიოდის განმავლობაში და თავად მჩუქებელ მეუღლესაც ექნება ამ ჩუქების საგნით სარგებლობის შესაძლებლობა. სწორედ ეს წარმოდგენა განაპირობებს ამ ჩუქების საფუძველს. მეუღლეთა შორის ჩუქების მიზანი განპირობებულია ოჯახური ერთიანობის გამყარების სურვილით და ამიტომაც არ ითვლება უსასყიდლოდ.¹¹ იგივე ეხება მეუღლეთა თანასაკუთრების რეჟიმში მოქცეული ნივთის მეუღლისთვის ჩუქებას, რომლის მოჩვენებითად მიჩნევა (მით უფრო, მხოლოდ 1/2 ნაწილში), სასამართლოს პოზიციის საპირისპიროდ,¹² შეუძლებელია: დადებული გარიგება საერთოდ არ უნდა შეფასდეს ჩუქებად 524-ე მუხლის გაგებით.

- 6** თუ, ამის საწინააღმდეგოდ, რაიმე ქონებრივი სიკეთის გადაცემა ხდება მეორე მეუღლის უსასყიდლოდ დაჯილდოების მიზნით, დამოუკიდებლად ზემოთ ხსენებული კონტექსტისა, მაშინ სახეზეა ჩვეულებრივი ჩუქება.¹³
- 7** მეუღლეთა შორის ჩუქება შემოსაზღვრულია მხოლოდ კონკრეტული საგნების გადაცემით, თუ, ამის საპირისპიროდ, ერთ-ერთი მეუღლე ნივთის განმავლობაში მეორე მეუღლის ფულით, ნივთობრივი და შრომითი შესრულებებით აგროვებს საოჯახო ქონების შესაძენ კაპიტალს, აქ სახეზე აღარ არის მეუღლეთა შორის ნაჩუქრობა.

2. უკუმოთხოვნა

- 8** როგორც ზემოთ აღინიშნა, მეუღლეთა შორის ჩუქება არ წარმოადგენს ნაჩუქრობას 521-ე მუხლის გაგებით, არამედ არის მიძღვნა ოჯახური ერთობის საფუძველზე, რომელიც ოჯახის ჩაშლის შემთხვევაში

¹¹ შდრ. სუსგ № ას-960-1162-08, 2009 წლის 2 აპრილი.

¹² სუსგ № ას-259-2019, 2019 წლის 2 აგვისტო.

¹³ BGHZ 116, 167.

შეიძლება უკუქცევს არა 529 I ან II,¹⁴ არამედ 398-ე მუხლის მიხედვით,¹⁵ რადგან, როგორც ზემოთ აღინიშნა, ოჯახური ერთიანობის გაგრძელება წარმოადგენს მის განმაპირობებელ საფუძველს ამ დანაწესის გაგებით. თუმცა 398-ე და მომდევნო მუხლებით უკუქცევა გამოირიცხულია, თუ გამცემ მეუღლეს შეუძლია გადაცემული, საერთო ქონების გაყოფის ფარგლებში, უკან მოითხოვოს 1164-ე, 1168-ე მუხლების მიხედვით, რის გამოც უკუქცევის ეს მოდუსი მხოლოდ მაშინ გამოიყენება, როდესაც გადაცემული მეორე მეუღლის ინდივიდუალური საკუთრება ხდება, რომელზეც ხსენებული გაყოფის მოთხოვნა არ ვრცელდება.

V. არაგადაცემადი სიკეთეები

საერთო ქონებისაგან გამოსაცალკევებელია არაგადაცემადი სიკეთეები. სიკეთეები, რომელთა სხვისთვის გადაცემაც გარიგების ფარგლებში შეუძლებელია, ასევე ვერ იქცევა მეუღლეთა საერთო საკუთრებად 1158 I მუხლის მიხედვით. ამგვარი სიკეთეებია: უზუფრუქტი, ხელფასის ის ნაწილი, რომელზეც არ შეიძლება მიექცეს იძულებითი აღსრულება, პიროვნული უფლება, მოთხოვნა, რომელიც დათმობაუუნაროა (მათ შორის გარიგებისმიერი აკრძალვის გამო). საერთო საკუთრებად ვერ იქცევა და, მით უფრო, ნატურით ვერ გაიყოფა ვინკულირებული წილი,¹⁶ ისევე, როგორც კომპლემენტარის წილი და წილი სპს-ში რადგან, თუკი საპირისპირო დადგენილი არ არის, მათზე მესაკუთრის ცვლილება პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილების გარეშე დაუშვებელია¹⁷ (უკუდასკვნა „მენარმეთა შესახებ“ კანონის 43 I მუხლიდან).

9

¹⁴ შდრ. სუსგ № ას-1183-2018, 2019 წლის 5 აპრილი, სადაც სასამართლო არც კი აძლევს შეფასებას კასატორის მითითებას ჩუქების მიზანთან (საქორწინო ურთიერთობის გაგრძელება) დაკავშირებით.

¹⁵ იხ. ამასთან დაკავშირებით, რუსიაშვილი, კაზუსები სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბილისი 2015, 70-ე და მომდევნო გვერდი.

¹⁶ სუსგ № ას-605-579-2016, 2017 წლის 17 თებერვალი. თუმცა შდრ. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებას, სუსგ № ას-1489-1405-2012, 2013 წლის 11 თებერვალი, სადაც სასამართლო ამის კვლევის საჭიროებას არ ახსენებს და საზოგადოებაში წილს ავტომატურად ხლეჩს მოსარჩელის სასარგებლოდ.

¹⁷ სუსგ № ას-97-93-2012, 2012 წლის 28 ივნისი.

VI. ქონებრივი რეჟიმი

- 10** ინდივიდუალური საკუთრება რჩება მეუღლეთა ერთპიროვნულ და შეუზღუდავ მმართველობაში. გამომდინარე იქიდან, რომ ზემოთ ხსენებული არაგადაცემადი სიკეთეები მხოლოდ მათი ამ ხასიათის გამო არ ხდება საერთო საკუთრება, მათი სუროგატები და მათგან მიღებული ნაყოფი საერთო საკუთრებად იქცევა (თუ, რა თქმა უნდა, ისინი, თავის მხრივ, გადაცემადია).

მუხლი 1162. ქორწინების განმავლობაში შექმნილი ინდივიდუალური სარგებლობის ნივთები

ინდივიდუალური სარგებლობის ნივთები, ძვირფასეულობის გარდა, თუნდაც ქორწინების განმავლობაში იყოს შექმნილი მეუღლეთა საერთო თანხებით, ჩაითვლება იმ მეუღლის საკუთრებად, რომელიც სარგებლობს ამ ნივთებით.

I. ინდივიდუალური სარგებლობის ნივთები	99
II. ძვირფასეულობა	99
III. გარკვეული ღირებულების მქონე ნივთები	101
IV. მტკიცების ტვირთი	101

I. ინდივიდუალური სარგებლობის ნივთები

მოცემული დანაწესის თანახმად, ინდივიდუალური მოხმარების საგნები, მაშინაც კი, თუ ისინი შექმნილია მეუღლეთა საერთო სახსრებით, ითვლება იმ მეუღლის საკუთრებად, რომელიც მათით სარგებლობს.¹ ამ ნორმის გაგებით, „ინდივიდუალური სარგებლობის“ ნივთებს განეკუთვნება ისეთი პირადი მოხმარების საგნები, როგორებიცაა ტანსაცმელი, ფეხსაცმელი,² საათი, ნათლობის ჯვარი,³ ხერხემლის გასაღვარჯიშებელი მოწყობილობა,⁴ თუ ის მხოლოდ ერთ მეუღლეს სჭირდება, და ა. შ. ამგვარად, ეს ნივთები წარმოადგენენ თითოეული მეუღლის ინდივიდუალურ საკუთრებას.

1

II. ძვირფასეულობა

გამონაკლისს ზემოთ მოყვანილი წესიდან წარმოადგენს ძვირფასეულობა.⁵ „ძვირფასეულობის“ ცნება არ უნდა გავიგოთ ვიწროდ, არამედ მისით მოცულია ყველა ფუფუნების საგანი, რომელსაც აქვს

2

¹ *შენგელია/შენგელია*, საოჯახო სამართალი, მეორე გამოცემა, 2011, გვ. 154.

² *შენგელია*, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1162, გვ. 113.

³ სუსგ № 3კ-446-03, 2003 წლის 15 აპრილი.

⁴ სუსგ № ას-964-922-2013, 2013 წლის 29 ნოემბერი.

⁵ *შენგელია*, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1162, გვ. 113; *შენგელია/შენგელია*, საოჯახო სამართალი, მეორე გამოცემა, 2011, გვ. 160.

მნიშვნელოვანი ღირებულება, რაც არ არის გამონკვეული მხოლოდ მისი ფუნქციური დატვირთვით. ეს განმარტება განპირობებულია იმით, რომ დანაწესის მიზანია, მეუღლეებს ჰქონდეთ შესაძლებლობა, დამოუკიდებლად ფლობდნენ, სარგებლობდნენ და განკარგავდნენ იმ ნივთებს, რომლებზეც ისინი მიჯაჭვულნი არიან მათი ყოველდღიური ცხოვრების წესიდან გამომდინარე და, გარდა ამისა, განქორწინების შემდეგაც სრულად და განუყოფლად შეუნარჩუნდეთ ყველა ეს საგანი. ამის საპირისპიროდ, თუ ნივთს ამგვარი ფუნქციური დატვირთვა არ გააჩნია, მაგრამ, ამავდროულად, აქვს ისეთი არაუმნიშვნელო ღირებულება, რომ შეიძლება ჩაითვალოს მეუღლეთა საერთო ქონების დაგროვების პროცესში ინვესტირების საგნად, უშუალოდ მეუღლეთა თუ მესამე პირების მხრიდან, მაშინ ის ამ საერთო ქონების რეჟიმს უნდა დაექვემდებაროს.

3 ამგვარად, მაშინაც კი, როდესაც ფუფუნების საგნით მხოლოდ ერთი მეუღლე სარგებლობს, მასზე ვრცელდება საერთო საკუთრების რეჟიმი და არ წარმოადგენს კონკრეტული მეუღლის პირად საკუთრებას. შესაბამისად, ეს მეუღლე ვალდებულია ქონების გაყოფისას მისცეს მისი ღირებულების ნახევარი მეორე მეუღლეს.

4 ცალკეულ შემთხვევებში შეიძლება პრობლემური იყოს იმის დადგენა, თუ რა განეკუთვნება ძვირფასეულობასა და ფუფუნების საგნებს ზოგადად ან კონკრეტული ოჯახისათვის. მაგალითად, ჩაითვლება თუ არა საქორწინო ბეჭედი ან ძვირფასი თვლებით მოოჭვილი მობილური ძვირფასეულობად. კანონი არ იძლევა ძვირფასეულობის ლეგალურ დეფინიციას და არც ღირებულებით თამასას, რომლის შემდეგაც შესაძლებელია ნივთის ასეთად დაკვალიფიცირება. გამომდინარე აქედან, ყველაზე გამართლებულ კრიტერიუმს კონკრეტული ოჯახის მატერიალურ მდგომარეობაზე და დაგროვებულ დოვლათზე ორიენტირება წარმოადგენს და ასევე იმის განსაზღვრა, აქვს თუ არა ნივთს რაიმე ფუნქციური დატვირთვა, რომლითაც შეიძლება სარგებლობდეს ერთ-ერთი მეუღლე. მაგალითად, თუ მეუღლეს აქვს რამდენიმე ძვირფასი თვლებით მოოჭვილი მობილური ტელეფონი, რის საპირწონედაც, ასევე მეორე მეუღლე იყენებს ყოველდღიურ გარდერობში ძვირფას სამკაულებს და ამ ნივთების შეძენა მათ მიერ ჩაფიქრებული არ იყო, როგორც ინვესტიცია საოჯახო კაპიტალის დაგროვების ფარგლებში, არც ერთი და არც მეორე არ უნდა ჩაითვალოს ძვირფასეულობად 1168-ე

მუხლის გაგებით. ამის საპირისპიროდ, ხელმოკლე ოჯახის შემთხვევაში თითოეული ღირებულებული სამკაული შეიძლება ძვირფასეულობად იქნეს მიჩნეული.

III. გარკვეული ღირებულების მქონე ნივთები

ზოგადად, ინდივიდუალურ საკუთრებად ველარ ჩაითვლება ასევე ის ნივთები, რომლებიც, მიუხედავად იმისა, რომ არ წარმოადგენენ ფუნქციების საგნებს, ანუ მათი ფუნქციურობა განაპირობებს ღირებულებას, თუმცა სწორედ ამ ფუნქციურობიდან გამომდინარე გარკვეული, არაუმნიშვნელო ღირებულებისაა. მაგალითად, მოცემული დანანესის გაგებით, ინდივიდუალური მოხმარების საგნად ვერ ჩაითვლება ავტომანქანა, ავტოფარეხი, სახლი (სადაც ერთ-ერთმა მეუღლემ სახელოსნო მოაწყო) ან სანარმო (რომელსაც ასევე მხოლოდ ერთი მეუღლე უძღვება) და ა. შ. ეს გადანყვეტა გამომდინარეობს იმ გარემოებიდან, რომ დანანესი ინდივიდუალური სარგებლობის ქვეშ მხოლოდ წვრილ, ყოფით მიზნებს მოიაზრებს. პროფესიული საქმიანობა (შდრ. 1165 3) და მსგავსი ტიპის ფართომასშტაბიანი აქტივობა, რომლის უზრუნველმყოფი მატერიალური ბაზაც ცალსახად საოჯახო კაპიტალის მდგენელია, მის ქვეშ არ მოიაზრება.

5

თუმცა აქაც ძალაში რჩება ზემოთ, მე-4 ველში გამოთქმული მოსაზრებები.

6

IV. მტკიცების ტვირთი

სადავო ნივთის ერთ-ერთი მეუღლის ინდივიდუალური საკუთრებისთვის მიკუთვნების ტვირთს ატარებს ამაზე მიმთითებელი მეუღლე. მითითება იმაზე, რომ ნივთი ინდივიდუალური სარგებლობისათვის არის განკუთვნილი (მაგ., მამაკაცის საათი), არ არის საკმარისი აღნიშნული ფაქტის დასადგენად და ნივთის ინდივიდუალურ საკუთრებად მიჩნევისათვის.⁶

7

⁶ შდრ. სუსგ № ას-1426-1346-2017, 2018 წლის 2 მარტი.

მუხლი 1163. მეუღლის ქონების გადაქცევა მეუღლეთა თანასაკუთრებად

თითოეული მეუღლის ქონება შეიძლება ჩაითვალოს მეუღლეთა თანასაკუთრებად, თუ დადგინდება, რომ ქორწინების განმავლობაში განეული ხარჯების შედეგად ამ ქონების ღირებულება მნიშვნელოვნად გადიდდა (გადაგემარება, მშენებლობის დასრულება, გადაკეთება და სხვა). მოცემული წესი არ გამოიყენება, თუ საქორწინო ხელშეკრულებით სხვა რამ იქნება გათვალისწინებული.

I. მეუღლის ქონების გადაქცევა მეუღლეთა თანასაკუთრებად 102

1. ნივთები, რომლებზეც გამოიყენება 1163-ე მუხლი..... 103

2. ღირებულების მნიშვნელოვანი ზრდა..... 104

 ა) ობიექტურ ღირებულებაზე ორიენტირება 104

 ბ) რემონტი და სხვა ხარჯები..... 105

3. მეორე მეუღლის მიერ განეული შრომა..... 106

I. მეუღლის ქონების გადაქცევა მეუღლეთა თანასაკუთრებად

1 მოცემული დანაწესი ასახელებს იმ საფუძველს, რომლის არსებობის შემთხვევაში თითოეული მეუღლის საკუთრება შეიძლება ცნობილ იქნეს მათ თანასაკუთრებად, ანუ იმ წინაპირობას, რომლის შემდეგობითაც ერთი მეუღლის ინდივიდუალური საკუთრება ტრანსფორმირდება მათ საერთო საკუთრებად.¹ 1163-ე მუხლის მიხედვით, ერთი მეუღლის საკუთრება გარდაიქმნება თანასაკუთრებად, თუ დადგინდება, რომ მეორე მეუღლის მიერ ქორწინების განმავლობაში განეული ხარჯების შედეგად ამ ქონების ღირებულება მნიშვნელოვნად გაიზარდა.²

2 1163-ე მუხლი წარმოადგენს თანასაკუთრების მოპოვების ორიგინარულ, ანუ თავდაპირველ საფუძველს და, ამ გაგებით, დგას 193-ე და მომდევნო მუხლებში გათვალისწინებული შემადგენლობების გვერდით. ეს ნიშნავს იმას, რომ თანასაკუთრებად გადაქცევა ხდება ავტომატურად, მხარეთა ნებისაგან დამოუკიდებლად, ხარჯების განეუვას-

¹ *შენგელია*, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1163, გვ. 114.

² *შენგელია/შენგელია*, საოჯახო სამართალი, მეორე გამოცემა, 2011, გვ. 161.

თან ერთად, კერძოდ იმ მომენტიდან, როდესაც ხარჯების შედეგად გადიდებული ღირებულება მიაღწევს „მნიშვნელოვანი ზრდის“ თამასას. ხარჯების გამწვანევი მეუღლე ვერ უკუაგდება თანასაკუთრებას და ვერ მოითხოვს დანახარჯების ანაზღაურებას დანახარჯების კონდიქციით (987) – 1163-ე მუხლი წარმოადგენს საფუძველს კონდიქციური სამართლის გაგებით.³ ვერც მეორე მეუღლე, რომელმაც ამ ტრანსფორმაციის შედეგად დაკარგა ერთპიროვნული საკუთრება, ვერ მოითხოვს თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენას, დანახარჯების ანაზღაურების ან მიმატებულის წაღების სანაცვლოდ.

მოცემული დანაწესის გაგებით „ხარჯების“ ცნების ქვეშ მოიაზრება ასევე შეუღლებამდე განეული ხარჯებიც, თუ ისინი განეულია უშუალოდ მოახლოებული ქორწინების კონტექსტში. **3**

1. ნივთები, რომლებზეც გამოიყენება 1163-ე მუხლი

1163-ე მუხლი გამოიყენება მეუღლეთა საერთო სარგებლობის ხანგრძლივად გამოიყენებადი ნივთების მიმართ, როგორებიცაა: სახლი, აგარაკი, მანქანა, ძვირადღირებული ხელსაწყოები და დანადგარები ან, მაგალითად, სანარმო. თუ ერთი მეუღლე შეაკეთებს მეორე მეუღლის უბრალო მაჯის საათს, რომელიც ამის გარეშე გადასაგდებად იყო გამზადებული, ეს, რა თქმა უნდა, არ აქცევს მას მეუღლეთა საერთო საკუთრებად. **4**

სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, უძრავი ნივთების შემთხვევაში 1163-ე მუხლის გამოიყენება მხოლოდ მაშინ, როდესაც ხარჯების გამწვანევის მეუღლე საჯარო რეესტრში მესაკუთრედაა რეგისტრირებული. ამ მოსაზრების მიხედვით, უძრავ ნივთზე, მეუღლის რეგისტრირებული პოზიციის გარეშე, ხარჯების გაღება არ წარმოშობს მეუღლეთა საერთო საკუთრებას მაშინაც კი, როდესაც უძრავი ნივთი წარმოადგენს **5**

³ შდრ. № ას-525-499-2013, 2013 წლის 8 ივლისი, სადაც სასამართლო აკმაყოფილებს მეუღლის მიერ გაღებულ ხარჯებს იმ ნაწილის გამოკლებით, რომელიც წარმოადგენდა მეუღლეთა საერთო სახსრებს; იხ. სუსგ № ას-870-816-2012, 2012 წლის 2 ივლისი, სადაც სააპელაციო სასამართლო მოთხოვნის საფუძველად 987-ე მუხლზეც მიუთითებს.

სამკვიდროს, რომელზეც მეუღლეს უფლება აქვს.⁴ ამ პრაქტიკის გაზიარება საკმაოდ პრობლემური ჩანს, რადგან მოცემული დანაწესი არ უკავშირდება რეგისტრაციისადმი არსებული ნდობის დაცვას და არც სხვა რაიმე ფორმით ეხება მას.

2. ღირებულების მნიშვნელოვანი ზრდა

- 6** იმ ღონისძიებების მაგალითად, რომელთა შედეგადაც იზრდება ღირებულება, კანონმდებელი ასახელებს: გადაგვემარებას, მშენებლობის დასრულებასა და გადაკეთებას. ამ სამაგალითო ჩამონათვალის გაგრძელება შეიძლება შემდეგი ღონისძიებებით: კაპიტალური რემონტი,⁵ რეკონსტრუქცია, მნიშვნელოვანი დანადგარებით აღჭურვა და ა. შ. აუცილებელია, რომ ყველა ეს ღონისძიება „მნიშვნელოვნად“ ზრდიდეს ქონების ღირებულებას.

ა) ობიექტურ ღირებულებაზე ორიენტირება

ღირებულების ქვეშ იგულისხმება მხოლოდ საბაზრო და არა აფექციური (სამოყვარულო) ღირებულება. მაგალითად, თუ მეუღლე მიაშენებს მეორე მეუღლის აგარაკს ვერანდას, რაც ოჯახის ყველა სხვა წევრის სურვილი იყო, თუმცა რეალურად არაფრით არ ზრდის ქონების ღირებულებას, აქ საერთო საკუთრებად ტრანსფორმაცია არ მოხდება. ნივთის ღირებულების მნიშვნელოვან ზრდაში თავისთავად მოიაზრება ის, რომ ხარჯების განევის შედეგად ის არსებითად გადაკეთდა და ამ კრიტერიუმის ცალკე გამოყოფას, სასამართლოს პოზიციის საწინააღმდეგოდ,⁶ არანაირი პრაგმატული დანიშნულება არ გააჩნია. ხარჯების გაღების შედეგად უძრავი ნივთის ფართობის ცვლილება აუცილებელი არ არის.⁷

⁴ სუსგ № 3კ-1135-02, 2002 წლის 11 თებერვალი.

⁵ შენგელია, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1163, გვ. 114.

⁶ სუსგ № ას-1094-1336-04, 2005 წლის 22 მარტი.

⁷ იხ. სუსგ № ას-1440-1358-2012, 2013 წლის 8 აპრილი, სადაც კასატორის იმაზე მითითების მიუხედავად, რომ გაუმჯობესების შედეგად უძრავი ნივთის ფართობი არ შეცვლილა, სასამართლომ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად ცნო.

იმის დადგენა, მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა ნივთის ღირებულება, უნდა მოხდეს უშუალოდ გაზრდილი წილისა და ნივთის მანამდე არსებული ღირებულების გათვალისწინებით და არა ოჯახის მატერიალური მდგომარეობის მიხედვით. მაგალითად, თუ დუხჭირი მატერიალური მდგომარეობის მქონე ოჯახში ერთი მეუღლე გაზრდის მეორე მეუღლის 40 000 ლარიან ქონების ღირებულებას 5 000 ლარით, მიუხედავად იმისა, რომ ეს 5 000 ლარი ამ ოჯახისათვის, ცალკე აღებული, მნიშვნელოვანი თანხაა, ნივთის ღირებულებასთან მიმართებით ის მაინც ვერ ჩაითვლება მნიშვნელოვან ზრდად.

სასურველია, თუ სასამართლო პრაქტიკა შეიმუშავებს კრიტერიუმს იმის განსასჯელად, თუ არსებულ და გაზრდილ ღირებულებებს შორის რა თანაფარდობა ჩაითვლება მნიშვნელოვან ზრდად მოცემული დანაწესის გაგებით. **7**

ბ) რემონტი და სხვა ხარჯები

იმ ქონების მიმდინარე რემონტი, რომელიც ერთ-ერთ მეუღლეს ეკუთვნის, არ შეიძლება ქონების საერთო საკუთრებად აღიარების საფუძველი გახდეს.⁸ მიმდინარე რემონტის შემთხვევებზე ქართული სასამართლო პრაქტიკა ასახელებს სახლის სახურავის გამოცვლას, ფანჯრების გამოცვლას, სახლის კედლების შელესვას და სხვა ისეთ სარემონტო მოქმედებებს, რომელთა შედეგადაც ქონების გაბარიტები არ იცვლება, არ ხდება მისი გადაგეგმარება ან გადაკეთება.⁹ აღნიშნულის საპირისპიროდ, ოთახების გადატიხვრა, იატაკის და ქერის გაკეთება, რომლითაც ქონება კარკასული მდგომარეობიდან საცხოვრებლად ვარგის მდგომარეობაში გადავიდა, ერთ-ერთი მეუღლის ინდივიდუალური ქონების მეუღლეთა თანასაკუთრებად ტრანსფორმაციისთვის საკმარის საფუძველად იქნა მიჩნეული.¹⁰

ნივთის გაუმჯობესება, რომელიც მისი მასშტაბით ვერ აღწევს 1163-ე მუხლის თამასას, უნდა ჩაითვალოს მეუღლეთა შორის ჩუქების კონსტელაციის დარ შემთხვევად, რომელიც შეიძლება უკუიქცეს **8**

⁸ სუსგ № ას-1078-1345-09, 2010 წლის 11 იანვარი.

⁹ სუსგ № ას-1078-1345-09, 2010 წლის 11 იანვარი.

¹⁰ სუსგ № ას-72-2019, 2019 წლის 19 აპრილი.

398-ე და მომდევნო მუხლის მიხედვით (იხ. მუხ. 1161 მე-5 და მომდევნო ველები).

3. მეორე მეუღლის მიერ განუული შრომა

- 9** 1163-ე მუხლში მოხსენიებული „ხარჯები“ მოიცავს ასევე „არამატერიალურ დანახარჯებსაც“ – შრომით ძალას. არ აქვს მნიშვნელობა, შრომას უშუალოდ მეუღლე იღებს თუ მისი დავალების საფუძველზე მოქმედი მესამე პირი.
- 10** აუცილებელი არ არის, გაღებული ხარჯები იყოს ქორწინების განმავლობაში მოპოვებული ქონების ნაწილი.¹¹

¹¹ შდრ. სუსგ № ას-1094-1336-04, 2005 წლის 22 მარტი, სადაც სასამართლო ერთ-ერთ გამამწყვეტ კრიტერიუმად მიიჩნევს იმის დადგენას, გაიზარდა თუ არა ნივთის ღირებულება ქორწინების განმავლობაში მოპოვებული სახსრებით.

მუხლი 1164. მეუღლეთა საერთო ქონების გაყოფა

მეუღლეთა საერთო ქონება თითოეული მეუღლის მოთხოვნით შეიძლება გაიყოს როგორც ქორწინების განმავლობაში, ისე მისი შეწყვეტის შემდეგ.

I. ზოგადი	107
II. ქონების გაყოფა ქორწინების განმავლობაში.....	107
III. საერთო ქონების გაყოფის მოთხოვნა	108
IV. საერთო ქონების რეჟიმის გაუქმება - ლიკვიდაციის სტადია.....	109

I. ზოგადი

საერთო ქონების რეჟიმის დამთავრების შემდეგ იწყება ამ ქონების გაყოფის ეტაპი. ჩვეულებრივ, ეს ხდება ქორწინების დასრულების შემდეგ და ეხება მთლიან ქონებას,¹ თუმცა შესაძლებელია ქონების გაყოფა ქორწინების განმავლობაშიც, საერთო ქონების რეჟიმის გაუქმების გარეშეც (1167). ამ შემთხვევაში გაყოფის საგანია მხოლოდ ის კონკრეტული ნივთები, რომლებზეც მიუთითებს ერთი ან ორივე მხარე. **1**

როგორც ქორწინების განმავლობაში, ისე ქორწინების დამთავრების შემდეგ ქონების გაყოფისას მოქმედებს 1165-ე და მომდევნო მუხლები. გაყოფა გამორიცხულია, თუ განქორწინებისას მეუღლემ უარი თქვა მის ქონებრივ პრეტენზიებზე² (448). **2**

II. ქონების გაყოფა ქორწინების განმავლობაში

მეუღლეთა საერთო ქონების გაყოფა ყველაზე ხშირად ხდება განქორწინების შემდეგ,³ თუმცა პირველი მეორეზე არ არის დამოკიდებული. ქორწინების განმავლობაში ქონების გაყოფის მიზეზი შეიძლება მრავალგვარი იყოს: ერთი მეუღლის სურვილი, გამოყოს საკუთარი ნი- **3**

¹ შენგელია, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1164, გვ. 116.

² სუსგ № ას-1020-1257-04, 2005 წლის 25 მარტი.

³ შენგელია/შენგელია, საოჯახო სამართალი, მეორე გამოცემა, 2011, გვ. 162.

ლი საერთო ქონებიდან, რათა განკარგოს ის დამოუკიდებლად ან გაისტუმროს მისი მეშვეობით პირადი ვალები. ქონების გაყოფას შეიძლება საფუძვლად ედოს საოჯახო ურთიერთობების ფაქტობრივი შეწყვეტაც ან სხვა მსგავსი მოტივი.⁴

- 4** საერთო ქონების გაყოფის მოთხოვნა შეიძლება წარადგინოს ასევე ერთ-ერთი მეუღლის კრედიტორმაც, რომელიც მიზნად ისახავს იძულებით აღსრულებას საერთო საკუთრებაში მის წილზე. ამავე მიზანს ემსახურება ისიც, რომ კრედიტორს წარმოეშობა გარდაქმნითი⁵ სარჩელის აღძვრის უფლება, მოვალის საკუთრების იმ უძრავ ნივთზე რეგისტრაციის მოთხოვნით, რომელზეც რეგისტრირებულ პოზიციას მხოლოდ მისი მეუღლე ფლობს.

III. საერთო ქონების გაყოფის მოთხოვნა

- 5** მხოლოდ ერთი მეუღლის (მაგალითად, მოშლის ტიპის) ნების გამოხატვა, ცალკე აღებული, ვერ ამთავრებს საერთო ქონების რეჟიმს ვერც ზოგადად და ვერც კონკრეტულ ნივთებთან მიმართებით. საერთო ქონების გაყოფისათვის აუცილებელია ან მეუღლეთა შეთანხმება, ან სასარჩელო წარმოება, რომლის ფარგლებშიც უკვე სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას ქონების გაყოფასთან დაკავშირებით (1165 1).
- 6** თუ ქონების ნაწილის გაყოფა ხდება ქორწინების განმავლობაში, ის, თუ როგორი იყო წილების გადანაწილება, გაითვალისწინება ასევე მოგვიანებით დანარჩენი ქონების გაყოფის შემთხვევაში. მაგალითად, თუ პირველ ეტაპზე ერთ-ერთმა მეუღლემ მიიღო გაყოფილი ქონების უმეტესი წილი, მოგვიანებით ეს უნდა დაკომპენსირდეს იმით, რომ დარჩენილი ქონების გაყოფისას მისი წილი იქნება ნაკლები, ვიდრე მეორე მეუღლისა.

⁴ შენგელია, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1164, გვ. 116.

⁵ და არა ალიარებითი, შდრ. სუსგ № ას-102-95-2015, 2015 წლის 15 აპრილი, სუსგ № ას-128-125-2011, 2011 წლის 21 მარტი, სუსგ № ას-1154-1299-08, 2009 წლის 2 ივლისი.

IV. საერთო ქონების რეჟიმის გაუქმება - ლიკვიდაციის სტადია

საერთო ქონების რეჟიმის „გაუქმება“ ან „დასრულება“ ჯერ კიდევ არ ნიშნავს ამ ქონებრივი რეჟიმის სრულ დამთავრებას; ამის საპირისპიროდ, ჯერ კიდევ რჩება ძალაში საერთო ქონებით ბოჭვა, რომელიც ემსახურება ამ ქონების განაწილებას. თუმცა ლიკვიდაციის სტადიაზე, განსხვავებით ამ რეჟიმის არსებობისაგან, დაუშვებელია მონაწილეთა ორმხრივ ნდობაზე აპელირება. ამიტომაც, აქ მოქმედებს იმათგან განსხვავებული წესები საერთო ქონების მართვისას, რომლები მოქმედებდა რეჟიმის გაუქმებამდე.⁶ მაშინაც კი, თუ საერთო ქონება მანამდე მხოლოდ ერთი მეუღლის მიერ იმართებოდა, ამჯერად მეუღლეები მას ერთობლივად მართავენ. გარდა ამისა, მათ მიმართ გამოხატული ნება ნამდვილი ხდება მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც ორივე მეუღლეს მიუვა.

7

ის, რასაც მეუღლე ლიკვიდაციის სტადიაზე მოიპოვებს, აღარ ემატება საერთო ქონებას; საერთო ქონებას ემატება მხოლოდ ის, რისი მოპოვებაც ხდება საერთო ქონებისათვის მიკუთვნებული უფლების საფუძველზე, მაგ., მოთხოვნის პროცენტები, დივიდენდები ან ქირა საერთო ქონებას მიკუთვნებული ნაკვეთიდან, სუროგატი ამ საერთო ქონების განადგურების ან დაკარგვის შედეგად, ან გარიგების საფუძველზე, რომელიც ეხება საერთო ქონებას (მაგ., ნასყიდობის ფასი საერთო ქონებიდან გასხვისებული ნივთისათვის).

8

⁶ Brudermüller, in: Palandt, BGB-Kommentar, 73. Auflage 2014, § 1472 Rn. 1.

მუხლი 1165. პროფესიული საქმიანობისათვის საჭირო ნივთების ბედი თანასაკუთრების გაყოფისას

მეუღლეთა თანასაკუთრების გაყოფა ხდება მეუღლეთა ურთიერთშეთანხმებით, ხოლო, თუ ასეთი შეთანხმება არ არის მიღწეული, მაშინ – სასამართლოს მიერ. სასამართლო განსაზღვრავს, თუ რომელი ნივთი რომელ მეუღლეს უნდა მიეკუთვნოს. პროფესიული საქმიანობისათვის საჭირო ნივთები (მუსიკალური ინსტრუმენტები, საექიმო მოწყობილობა, ბიბლიოთეკა და ა. შ.), თუნდაც ქორწინების პერიოდში იყოს შექმნილი მეუღლეთა საერთო სახსრებით, გადაეცემა იმ მეუღლეს, რომელსაც ეს ნივთები თავისი საქმიანობისათვის სჭირდება.

I. ზოგადი 110

II. გაყოფის შეთანხმება 111

III. გაყოფა სასამართლო გადაწყვეტილებით 112

IV. პროფესიული საქმიანობისათვის საჭირო ნივთების გადაბარების უფლება 114

 1. გადაბარების უფლების შინაარსი 114

 2. გადაბარების უფლების გამოყენება 115

 3. გადაბარების უფლების შედეგები 116

I. ზოგადი

1 დანაწესი ხაზს უსვამს ქონების გაყოფასთან დაკავშირებული კერძოავტონომიური შეთანხმების უპირატესობას კანონისმიერ რეგულაციებთან მიმართებით.

2 გარდა ამისა, საერთო ქონების გაყოფა ექვემდებარება სპეციალურ წესებს: მისთვის დამახასიათებელია ის, რომ თითოეულ მეუღლეს, საერთო ვალების დაფარვის შემდეგ, შეუძლია აიღოს ის ნივთი, რომელიც მას სჭირდება პროფესიული საქმიანობისათვის,¹ კუთვნილ წილს აღმატებული ღირებულების ანაზღაურების სანაცვლოდ (1165 3, 1166). დარჩენილი ქონება, განსხვავებული შეთანხმების არარსებობის პირობებში, მეუღლეებს შორის შუაზე იყოფა (1168 I) და მისი განაწი-

¹ შენგელია, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1165, გვ. 118.

ლება უნდა მოხდეს თანაზიარი საკუთრების გაყოფის წესების მიხედვით.

თუ მხარეები ვერ ახერხებენ ურთიერთშეხამებით საერთო ქონების გაყოფას, მაშინ მათ შორის დავას წყვეტს სასამართლო (1165 1).² **3**

II. გაყოფის შეთანხმება

თუ მეუღლეთა შორის არ არსებოს ქონებრივი დავა, ქონების გაყოფა შეიძლება მოხდეს ნებაცემობით. ამ შემთხვევაში მეუღლეები დებენ ქონების გაყოფის შესახებ შეთანხმებას. **4**

გაყოფის შეთანხმება მეუღლეთა შორის, რომელიც წარმოადგენს ვალდებულებით გარიგებას საერთო ქონების რეჟიმის დასრულების შემდეგ, მეუღლეთა საერთო საკუთრებაში არსებული საგნებისა და ქონებრივი ღირებულებების გაყოფასთან დაკავშირებით, არ საჭიროებს იმ ფორმას, რომელიც გათვალისწინებულია საქორწინო ხელშეკრულებისათვის 1174-ე მუხლის მიხედვით³ და შეიძლება, ზოგადად, ფორმის დაუცველად დაიდოს. თუმცა ის შეიძლება ფორმასავალდებულო იყოს, თუ მოიცავს ისეთ მავალდებულებელ და განკარგვით გარიგებებს, რომელთათვისაც, თავის მხრივ, დანესებულია სპეციალური ფორმა (მაგ., 311¹). ამ შემთხვევაში მთლიანი გაყოფის შეთანხმება ხდება ფორმასავალდებულო (62). გარდა ამისა, სამომავლო დავის თავიდან აცილების მიზნით, ზოგადად, სასურველია, თუ გაყოფის შეთანხმებას, სულ მცირე, წერილობითი ფორმა ექნება. **5**

ქართულ სამოქალაქო სამართალში მოქმედი გამიჯვნის პრინციპის⁴ მიხედვით, გაყოფის შეთანხმება უნდა შესრულდეს სანივთო სამართლებრივი უფლების გადაცემის აქტების მეშვეობით, რომლის ფარგლებშიც მეუღლეთა თანაზიარი ერთობა გადასცემს განაწილებულ ქონებას ერთ-ერთ მათგანს. განკარგვის აქტმა უნდა მოიცვას მთლიანი საგანი და არა მხოლოდ იმ თანამესაკუთრის თანაზიარი წილი, რომელიც **6**

² *შენგელია/შენგელია*, საოჯახო სამართალი, მეორე გამოცემა, 2011, გვ. 164.

³ RGZ 89, 293.

⁴ *რუსიაშვილი*, გამიჯვნის პრინციპი ქართულ სანივთო სამართალში, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, 1/2019, 20.

მას კარგავს.⁵ მხოლოდ ამ შემთხვევაში ჩაითვლება გაყოფა აღსრულებულად.⁶

- 7** ზემოთ აღწერილი შეთანხმების შემთხვევაში, ქონების გაყოფა ხდება მის შესაბამისად. მეუღლეებს ამ შემთხვევაში ხელენიფებათ გაყონ ქონება როგორც თანაბარ, ისე განსხვავებულ წილებად, თუმცა აუცილებელია, რომ წილთა განსხვავებულობა არ ხელყოფდეს მესამე პირთა, მაგალითად, არასრულწლოვანი შვილების, უფლებებს. ამ შემთხვევაში თითოეულ მეუღლეს უფლება აქვს მოითხოვოს წილის გაზრდა **1168 II** მუხლის მე-2 ვარიანტის მიხედვით. სხვა შემთხვევაში გაყოფის შეთანხმებასთან ერთად თითოეული მეუღლე კარგავს **1168 II, III** მუხლიდან გამომდინარე მოთხოვნებს. გარდა ამისა, გაყოფის შეთანხმების შინაარსის კონტროლთან მიმართებით მოქმედებს **54-ე** მუხლი. მაგალითად, ის ითვლება ამორალურად: თუ წილთა თანაფარდობა არის აშკარად უსამართლო და განპირობებული ერთი მეუღლის უუნარობით, დაიცვას მოცემულ სიტუაციაში საკუთარი ინტერესები; გაყოფის მიზანია, ერთ-ერთი მეუღლის კრედიტორებმა ვეღარ მიაქციონ მის ქონებაზე აღსრულება და ა. შ.
- 8** აღნიშნულის გარდა, ქორწინების განმავლობაში გაყოფისას, შეთანხმება შეიძლება ეხებოდეს მხოლოდ მეუღლეთა არსებულ და არა სამომავლო ქონებას – რადგან სამომავლო ქონების ბედის გადაწყვეტა მხოლოდ საქორწინო შეთანხმებით არის შესაძლებელი. ყველა ის ნივთი, რომელთაც მეუღლეები გაყოფის შეთანხმების შემდეგ მოიპოვებენ, საერთო ქონებას წარმოადგენს.

III. გაყოფა სასამართლო გადაწყვეტილებით

- 9** სასამართლო გადაწყვეტილება ქონების გაყოფასთან დაკავშირებით მიიღება მხარის სარჩელის საფუძველზე, რომლითაც ერთ-ერთი

⁵ *Gernhuber/Coester-Waltjen*, Familienrecht, 6. Aufl., München 2010, § 38 Rn. 151.

⁶ *Münch*, in Münchener Kommentar BGB, 8. Auflage 2019, § 1474 Rn. 5.

მხარე ითხოვს მეორისაგან, დაეთანხმოს მის მიერ წარმოდგენილ გაყოფის გეგმას.⁷ ნების გამოხატვის ფიქცია ხდება სასამართლოს გადანყვეტილებით.

მოსამართლეს არ აქვს უფლება, საკუთარი ინიციატივით გაანაწილოს გასაყოფი საგნები; მას შეუძლია მხოლოდ გაიზიაროს სასარჩელო მოთხოვნა, მიანიჭოს იმაზე ნაკლები, ვიდრე ამას ითვალისწინებდა განმცხადებლის მიერ შემოთავაზებული გეგმა ან მთლიანად უკუაგდოს სარჩელი.⁸ სასამართლოს შეუძლია მხოლოდ შეუნყოს ხელი მხარეს საკუთარი მითითებებით, დააყენოს სწორი შუამდგომლობები იმ შემთხვევისათვის, თუ მისი სარჩელი არ იქნება სრულად დაკმაყოფილებული.⁹ გაყოფის შესახებ განცხადების დაკმაყოფილების შემთხვევაში მეუღლეებს შორის წარმოიშობა ვალდებულებითი სახელშეკრულებო ურთიერთობა; მეორე მეუღლის თანხმობა ჩანაცვლებულია სასამართლოს გადანყვეტილებით.

10

საერთო ქონების გაყოფა კანონისმიერი დანაწესების მიხედვით სასამართლოს გადანყვეტილების საფუძველზე შეიძლება დაიყოს შემდეგ ეტაპებად:

11

1. საერთო ქონების შემადგენლობის დადგენა (1158, 1163), სუროგატების ჩათვლით.

- საერთო ქონებაში შემავალი საგნების დადგენა: გამორიცხვა იმისა, რაც განეკუთვნება ცოლის ან ქმრის ინდივიდუალურ საკუთრებას, ასევე არასრულწლოვანი შვილების ქონების გამორიცხვა.
- საერთო ქონების ყველა პოზიციის შეფასება, რაც, ზოგადად, საბაზრო ღირებულების მიხედვით ხდება, თუმცა ამასთან შეფასების თარიღად მიიჩნევა საბოლოო გაყოფის დღე.
- საერთო ვალდებულებების დადგენა. ამასთან, ეს ვალდებულებები საერთო ქონების რეჟიმის დასრულების შემდეგ თავიდან ვეღარ წარმოიშობა.

⁷ BGH FamRZ 1988, 814.

⁸ BGH FamRZ 1988, 814.

⁹ Klein, Wegweiser zur Auseinandersetzung einer Gütergemeinschaft, FuR 1995, 166.

2. საერთო ქონებიდან ცალკეული ნივთების გადაბარების უფლების გამოყენება ერთ-ერთი მეუღლის მიერ (1165 3).

3. კომპენსაციის მოთხოვნების წარდგენა იმ ნივთებისათვის, რომლებიც ერთ-ერთ მეუღლეს რჩება 1165 3 მუხლის მიხედვით.

4. ცალკეული საგნების, რომლებიც ნატურით არ არის გაყოფადი და მათზე არც გადაბარების უფლება არსებობს, გაყოფისთვის მომზადება გასხვისებისა და აუქციონზე გატანის გზით (იხ. მუხ. 1168 1-ლი ველი).

5. გასაყოფი მასის დადგენა და მისი გაყოფა.

IV. პროფესიული საქმიანობისათვის საჭირო ნივთების გადაბარების უფლება

1. გადაბარების უფლების შინაარსი

12 1168 I მუხლის მიხედვით, საერთო ქონების გაყოფის წესიდან არსებობს გამონაკლისი, 1165 3 მუხლში მოწესრიგებული „გადაბარების უფლების“ სახით. ამ დანაწესის თანახმად, თითოეულ მეუღლეს შეუძლია დაიტოვოს პროფესიული საქმიანობისათვის საჭირო ნივთები, როგორებიც არის მუსიკალური ინსტრუმენტები, საექიმო მოწყობილობა, ბიბლიოთეკა და ა. შ. ეს წესი მოქმედებს მაშინაც, როდესაც ეს ნივთები ქორწინების პერიოდშია შექმნილი მეუღლეთა საერთო სახსრებით.

13 მოცემული ნორმა აწესებს მხოლოდ გადაბარების უფლებას და არა მის ვალდებულებას. გადაბარების უფლება არ არის პიროვნული უფლება და, ამგვარად, არის მემკვიდრეობით გადაცემადი.¹⁰ შესაბამისად, მისი გამოყენება შეუძლია ასევე ანდერძის აღმასრულებელსაც.¹¹ ის შეიძლება გამოიყენოს ასევე კრედიტორმაც, რომელიც სააღსრუ-

¹⁰ RGZ 85, 5.

¹¹ შდრ. *Münch*, in *Münchener Kommentar BGB*, 8. Auflage 2019, § 1477 Rn. 7.

ლებო წარმოებათა შესახებ კანონის 55-ე და მომდევნო მუხლების მიხედვით აყადალებს მისი მოვალის თანაზიარი საკუთრების გაყოფის მოთხოვნას და შემდეგ ახორციელებს მას თავის სასარგებლოდ.¹²

გადაბარების უფლება არსებობს მხოლოდ მაშინ, როდესაც სახეზეა მისი წინაპირობები მთლიან ნივთთან და არა მხოლოდ მის ერთ ნაწილთან მიმართებით.¹³ გადასაბარებელი საგნის მხოლოდ სუროგატებთან მიმართებით გადაბარების უფლება არ არსებობს.¹⁴ თუ გადაბარების უფლების წინაპირობები ერთდროულად შესრულებულია ორივე მეუღლის მხარეზე (მაგ., ნივთი, რომელიც ორივე მათგანს სჭირდება პროფესიული საქმიანობისათვის), მაშინ ეს უფლებები ერთმანეთს ორმხრივად აქარწყლებს.¹⁵

14

2. გადაბარების უფლების გამოყენება

გადაბარების უფლება წარმოადგენს გარდაქმნით უფლებას, რომლის გამოყენება ხდება ცალმხრივი, არაფორმასავალდებულო¹⁶, მაგრამ მიღებასავალდებულო და გამოუხმობადი ნების გამოხატვით მეორე მეუღლის ან მისი მემკვიდრის მიმართ.¹⁷ ის შეიძლება გაცხადდეს ასევე პირობადებულად, მაგალითად, იმ დათქმით, რომ მეორე მხარე თანახმაა მის სანაცვლოდ შეთავაზებულ კომპენსაციაზე.¹⁸

15

თუ გადასაბარებელ საგანზე პრეტენზიას აცხადებს მეუღლეთა საერთო კრედიტორი, გადაბარება გამორიცხული უნდა იყოს.¹⁹

16

გადაბარება არ არის კონკრეტულ ვადაზე მიბმული და შეიძლება გაცხადდეს მანამ, სანამ ნივთი ჯერ კიდევ ეკუთვნის საერთო ქონებას.²⁰

17

¹² *Finke*, in RGRK-BGB, 12. Aufl. 1984 § 1477 Rn. 13.

¹³ BGH NJW-RR 1986, 1132.

¹⁴ OLG Hamburg OLGE 7, 405.

¹⁵ *Brüdermüller*, in Palandt BGB Kommentar, 75. Aufl., 2016, § 1477 Rn. 2.

¹⁶ OLG München FamRZ 1988, 1275: გადაბარების უფლება არაფორმასავალდებულოა მაშინაც კი, როდესაც მინის ნაკვეთებს ეხება; *Münch*, in Münchener Kommentar BGB, 6. Auflage 2013, § 1477 Rn. 8.

¹⁷ *Münch*, in Münchener Kommentar BGB, 6. Auflage 2013, § 1477 Rn. 8.

¹⁸ *Münch*, in Münchener Kommentar BGB, 6. Auflage 2013, § 1477 Rn. 8.

¹⁹ BGH NJW1985, 3068.

²⁰ *Münch*, in Münchener Kommentar BGB, 6. Auflage 2013, § 1477 Rn. 9.

3. გადაბარების უფლების შედეგები

- 18** გადაბარების უფლების გამოყენებას არ აქვს სანივთო ეფექტი, არამედ მხოლოდ ავალდებულებს მეუღლეს იმ მოქმედების განხორციელებას, რომელიც საჭიროა სანივთოსამართლებრივი ცვლილებისათვის, რათა გადამბარებელი პირი გახდეს ერთპიროვნული მესაკუთრე ან ერთპიროვნულად უფლებამოსილი შესაბამის საგანზე. ამგვარად, გადაბარების უფლების გამოყენების გარდა, აუცილებელია შესაბამისი სანივთო გარიგების დადება და რეგისტრაცია საჯარო რეესტრში (183). თანამფლობელობისა და თანამმართველობის უფლებები, საკუთრების გადაცემის მომენტამდე, ორივე თანამესაკუთრეს ასევე ერთობლივად ეკუთვნით.²¹

²¹ OLG Hamm FamRZ 1979, 810.

მუხლი 1166. წილის კომპენსაცია საკუთრების გაყოფისას

თუ საერთო ქონების გაყოფისას ერთ-ერთ მეუღლეს გადაეცემა ისეთი ნივთები, რომელთა ღირებულებაც მის კუთვნილ წილს აღემატება, მაშინ მეორე მეუღლეს მიეცემა შესაბამისი ფულადი ან სხვაგვარი კომპენსაცია.

1166-ე მუხლი ეხება შემთხვევას, როდესაც, ერთ-ერთი მეუღლის მიერ 1165 3 მუხლით გათვალისწინებული „გადაბარების“ უფლების გამოყენების შედეგად, ის იღებს ნივთს ან ნივთებს, რომელთა ღირებულებაც მის კუთვნილ წილს აღემატება. ამ შემთხვევაში მან მეორე მეუღლეს უნდა გადაუხადოს შესაბამისი ფულადი ან ნივთობრივი კომპენსაცია.¹

„გადაბარების“ უფლების გამოყენებასთან ერთად დაუყოვნებლივ წარმოიშობა და ვადამოსულია გადამბარებლის ვალდებულება, აუნაზღაუროს მეორე მეუღლეს მის წილს აღემატებული ღირებულება.² თუ ხელშეკრულებით განსაზღვრული არ არის, დროის რომელი მომენტი განისაზღვრება გადასაბარებელი ნივთის ღირებულება, მაშინ გადამწყვეტია არა გადაბარების უფლების გამოყენების მომენტი, არამედ, დანაწესის სიტყვასიტყვითი გაგებიდან გამომდინარე, სანივთო გადაცემის აქტის მომენტი.³ შეფასებისას გაითვალისწინება მხოლოდ საბაზრო ღირებულება.⁴ ეს წესი მოქმედებს ასევე სასოფლო-სამეურნეო საწარმოს შემთხვევაში.⁵ თუ მეუღლეები ვერ თანხმდებიან ქონების ღირებულებასთან დაკავშირებით, მისი ღირებულება უნდა დაადგინოს ექსპერტმა. საჭიროების შემთხვევაში, ღირებულება სასამართლო წესით უნდა დადგინდეს. ამასთან, ღირებულების გამოთვლის მეთოდის არჩევა მოსამართლის კომპეტენციაა.

აუცილებელი არ არის კომპენსაციის ფულით გადახდა. დასაშვებია, რომ გადამბარებელმა მეუღლემ სანაცვლოდ უარი თქვას სხვა ნივთზე

¹ *შენგელია*, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1166, გვ. 119.

² BGHZ 171, 24; BGH NJW 2008, 2983.

³ BGHZ 171, 24: მიწის ნაკვეთების შემთხვევაში გადამწყვეტია საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტი; BGH NJW-RR 1986, 1066.

⁴ BGH NJW-RR 1986, 1066.

⁵ BGH NJW-RR 1986, 1066.

საერთო ქონებიდან და დაუტოვოს ის მეორე მეუღლეს ან შესთავაზოს მას საერთო ქონების მიღმა სულ სხვა ქონება.

- 4** გადაბარების უფლების წინააღმდეგ მეორე მეუღლეს აქვს დაკავების უფლება 369-ე მუხლის მიხედვით, სანამ გადამბარებელი არ გადაიხდის კომპენსაციას.⁶

⁶ BGHZ 171, 24.

მუხლი 1167. საერთო ქონების გაყოფა ქორწინების განმავლობაში

თუ საერთო ქონების გაყოფა ხდება ქორწინების განმავლობაში, მაშინ ქონების ის ნაწილი, რომელიც არ გაყოფილა, და აგრეთვე ქონება, რომელსაც ისინი შეიძენენ მომავალში, ჩათვლება მეუღლეთა თანასაკუთრებად, თუკი საქორწინო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

იმ შემთხვევაში, თუ მეუღლეთა საერთო ქონების გაყოფა ხდება ქორწინების დასრულების გარეშე, გასათვალისწინებელია, რომ, თუ ამ დროს არ იდება საქორწინო ხელშეკრულება, საერთო საკუთრების უფლება არ წყდება – ხდება მხოლოდ ამ მომენტამდე მოპოვებული ქონების (ან მისი ნაწილის) გაყოფა. გაყოფის შემდეგ მოპოვებული ქონება ისევ მეუღლეთა თანასაკუთრებად გადაიქცევა,¹ ანუ, მის მიმართ მოქმედებს ყველა ის წესი, რომლებიც გათვალისწინებულია კანონისმიერი ქონებრივი რეჟიმით.

1

იხ. ქორწინების განმავლობაში საერთო ქონების გაყოფის განმარტარობებელ მოტივებთან და წესთან დაკავშირებით 1164-ე მუხლის კომენტარი.

2

¹ *შენგელია*, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1167, გვ. 120.

მუხლი 1168. არასრულწლოვანი შვილების ინტერესების გათვალისწინება თანასაკუთრების გაყოფისას

1. იმ ქონების გაყოფისას, რომელიც მეუღლეთა თანასაკუთრებას წარმოადგენს, მეუღლეთა წილი თანაბარია, თუ მათ შორის შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

2. სასამართლოს შეუძლია გადაუხვიოს მეუღლეთა წილის თანაბრობის საწყისს არასრულწლოვანი შვილების ინტერესების ან ერთ-ერთი მეუღლის ყურადსაღები ინტერესების გათვალისწინებით; კერძოდ, ერთ-ერთი მეუღლის წილი შეიძლება გადიდდეს იმის გათვალისწინებით, რომ მასთან ცხოვრობენ არასრულწლოვანი შვილები, რომ ის შრომისუუნაროა, ანდა – თუ მეორე მეუღლე ხარჯავდა საერთო ქონებას ოჯახის ინტერესების საზიანოდ.

3. აღნიშნული საფუძვლით სასამართლოს შეუძლია თითოეული მეუღლის საკუთრებად ცნოს ის ქონება, რომელიც შეძენილია თითოეული მათგანის მიერ ქორწინების ფაქტობრივი შეწყვეტის ან მათი ცალ-ცალკე ცხოვრების დროს.

I. თანასაკუთრების გაყოფის წესი.....	120
II. თანაბარ წილად გაყოფის პრინციპი, 1168 I.....	121
1. გასაყოფი მასის დადგენა.....	121
2. გაყოფის მასშტაბი.....	121
III. გამონაკლისები თანაბარ წილად გაყოფის პრინციპიდან, 1168 II, III.....	122
1. არასრულწლოვანი შვილების ინტერესები.....	123
2. ერთ-ერთი მეუღლის ყურადსაღები ინტერესები.....	124
3. საერთო ქონების გაფლანგვა.....	125
4. ქორწინების ფაქტობრივად შეწყვეტის ან განცალკევებით ცხოვრების დროს შეძენილი ქონება.....	126
IV. 1168 II, III მუხლის ანალოგიით გამოყენება.....	127

I. თანასაკუთრების გაყოფის წესი

1 მეუღლეთა საერთო ქონების გაყოფა ხდება თანაზიარი უფლებების გაყოფის წესების (963-ე და მომდევნო მუხლები) მიხედვით. ამ დანაწესებიდან მეუღლეთა ქონების გაყოფისას არ მოქმედებს მხოლოდ

965-ე მუხლი, რადგან მას განდევნის 1169-ე მუხლის სპეციალური დანაწესი.¹ ამგვარად, გაყოფა ზოგადად ხდება ნატურით (963) და – თუ ეს შეუძლებელია – საგნის გაყიდვითა და ამონაგების განაწილებით (964 I 1). მიწის ნაკვეთები (რომლებზეც შენობაა წამომართული), ცალკეულ შემთხვევებში, ამ გაგებით ნატურით გაყოფადი არ არის და, ამდენად, საჭიროა მათი იძულებით აუქციონზე გატანა გაყოფადი ამონაგების მისაღებად (964 I 2); შესაბამისად, აუქციონზე გასხვისებამდე გაყოფის განხორციელება შეუძლებელია.² მოთხოვნები, რამდენადაც შესაძლებელია, უნდა იქნეს რეალიზებული და შესაბამის მატერიალურ აქტივად გარდაქმნილი.³

II. თანაბარ წილად გაყოფის პრინციპი, 1168 I

1168 I მუხლი ადგენს მეუღლეთა თანასაკუთრების თანაბარ წილად გაყოფის პრინციპს. **2**

1. გასაყოფი მასის დადგენა

გაყოფის წინაპირობაა, პირველ რიგში, გასაყოფი მასის დადგენა. ეს მასა შედგება ყველა იმ მატერიალური და არამატერიალური ქონებრივი აქტივისაგან, რომლებიც მოიპოვება მეუღლეთა თანასაკუთრებაში. ამ მასას უნდა მიემატოს ის ვალები, რომლებიც ერთ მეუღლეს მართებს საერთო ქონების მიმართ. **3**

2. გაყოფის მასშტაბი

ზემოხსენებული წესის საფუძველზე გამოთვლილი ქონებრივი მასა მეუღლეთა შორის იყოფა შუაზე,⁴ დამოუკიდებლად იმისა, თუ რამდენი **4**

¹ *Münch*, in *Münchener Kommentar*, 8. Aufl., 2019, BGB, § 1477 Rn. 2.

² BGH FamRZ 1988, 816; თუმცა შდრ. სუსგ Ne ას-156-581-06, 2006 წლის 31 ოქტომბერი.

³ RGZ 65, 7.

⁴ *შენგელია*, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1168, გვ. 122.

ხანი გრძელდებოდა ქორწინება⁵ ან რამდენი შემოიტანა თითოეულმა მეუღლემ ქორწინებაში, ან მოიპოვა მის განმავლობაში.⁶ 50 %-იანი წილი აქვს ასევე იმ მეუღლესაც, რომელიც საერთოდ არ მუშაობდა, რადგან დაკავებული იყო საოჯახო მეურნეობით ან ზრუნავდა ბავშვებზე, ან არ მუშაობდა სხვა საპატიო მიზეზის გამო.

- 5** გამონაკლისს ანესებს 1165 3 მუხლი და თავად 1168-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები.

III. გამონაკლისები თანაბარ წილად გაყოფის პრინციპიდან, 1168 II, III

- 6** 1168 II, III მუხლი არეგულირებს გამონაკლისებს მეუღლეთა საერთო ქონების თანაბარ წილად გაყოფის პრინციპიდან.⁷ საერთო ქონება მეუღლეთა შორის შუაზე არ გაიყოფა, თუ ეს ეწინააღმდეგება არასრულწლოვანი შვილების ან ერთ-ერთი მეუღლის ყურადსაღებ ინტერესებს.⁸ ეს წესი, რომელიც წინადადების შემდეგ ნაწილში კონკრეტდება, საკმაოდ ზოგადია და მოიცავს ყველა იმ შემთხვევას, როდესაც შუაზე გაყოფა შეიძლება უსამართლო იყოს არასრულწლოვანი შვილების ან ერთ-ერთი მეუღლის ინტერესების გათვალისწინებით.
- 7** არასრულწლოვნის ინტერესების დაცვის გარდა, სასამართლოს არ აქვს უფლება საკუთარი ინიციატივით გაუზარდოს წილი მხარეს, რომელიც ამას არ ითხოვს.
- 8** მოცემული დანაწესი წარმოადგენს კეთილსინდისიერების პრინციპის დაკონკრეტებას სპეციალურად ამ ურთიერთობისათვის, რის გამოც მის გვერდით კეთილსინდისიერების ზოგადი დათქმის (8 III) გამოყენებისათვის ადგილი აღარ რჩება.

⁵ RG WarnR 1925 Nr. 58.

⁶ Thiele in Staudinger BGB, 18. Aufl., 2018, § 1476 Rn. 1.

⁷ შენგელია, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1168, გვ. 122.

⁸ შენგელია/შენგელია, საოჯახო სამართალი, მეორე გამოცემა, 2011, გვ. 167.

1. არასრულწლოვანი შვილების ინტერესები

მეუღლეთა საერთო ქონება არ გაიყოფა თანაბარ წილად და ერთ-ერთ მეუღლეს დარჩება იმაზე უფრო მეტი, ვიდრე მეორეს, თუ ამას მოითხოვს არასრულწლოვანი შვილების ან თვითონ ამ მეუღლის ყურადსაღები ინტერესი.⁹ ამგვარი აუცილებლობა ყველაზე ხშირად არსებობს სახლის ან ბინის გაყოფის შემთხვევაში.¹⁰ მისი მიზანია, რომ იმ სიტუაციაში, როდესაც მეუღლეებს აქვთ მხოლოდ ერთი საერთო ბინა, სადაც ცხოვრობს, მაგალითად, სამი საერთო შვილი, არ მოხდეს ქონების გაყოფა მხოლოდ მეუღლეთა შორის, არასრულწლოვანი შვილების, რომლებიც, ჩვეულებრივ, არ ფლობენ ბინაზე უფლებას, ინტერესების გათვალისწინების გარეშე.

9

შვილების ქვეშ იგულისხმება მხოლოდ საერთო არასრულწლოვანი შვილები, მათ შორის ნაშვილები. 1168 II მუხლის მიზნებისთვის შვილების რაოდენობას მნიშვნელობა არ ენიჭება.¹¹

10

დანაწესში ნახსენები არასრულწლოვნის ინტერესების ცნება უნდა განიმარტოს ბავშვის უფლებათა კოდექსის 5 IV მუხლის – „ბავშვის საუკეთესო ინტერესების“¹² – პრიზმაში. 1168 II მუხლის მე-2 ვარიანტი აქცენტს აკეთებს არასრულწლოვნის თანაცხოვრებაზე ერთ-ერთ მშობელთან, რაც ლოგიკურია – გაცილებით უფრო მეტი ხარჯი და მატერიალური მოთხოვნილებები, ბავშვზე ზრუნვიდან გამომდინარე, წარმოემოხა სწორედ იმ მშობელს, რომელთანაც შვილი ცხოვრობს. თუმცა აუცილებელია, რომ ეს ხარჯები და მატერიალური მოთხოვნილებები არ იყოს სრულად მოცული და გათვალისწინებული ალიმენტის გამოთვლისას. კერძოდ, საქმე ეხებოდეს ისეთ მოთხოვნილებებს, რომლებსაც ალიმენტი ვერ ფარავს¹³ – მაგალითად, მანქანის ყოლის აუცილებლობა ქალაქგარეთ მცხოვრები მარტოხელა დედის შემთხვევაში. ამასთან, მხოლოდ მოსარჩელის მითითება იმაზე, რომ მასთან არასრულწლოვანი შვილები ცხოვრობენ, საკმარისი არაა წილთა თანაბრობის

11

⁹ შენგელია, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1168, გვ. 122.

¹⁰ უძრავი ნივთის განკარგვით მიღებულ სარგებელზე 1168 II მუხლის გამოყენებისთვის იხ. სუსგ № ას-733-733-2018, 2018 წლის 11 ივლისი.

¹¹ სუსგ № ას-708-1000-05, 2005 წლის 6 ოქტომბერი.

¹² შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 11 ივლისის განჩინება № ას-733-733-2018.

¹³ იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს მსჯელობა, სუსგ № ას-605-579-2016, 2017 წლის 17 თებერვალი, აღწერილობითი ნაწილი, 56-ე პუნქტი.

პრინციპიდან გადახვევისთვის - დამატებით უნდა დასაბუთდეს არასრულწლოვანი შვილ(ებ)ის კონკრეტული ინტერესი, რომელიც დაცვას იმსახურებს.¹⁴ ეს შეიძლება იყოს, მაგალითად, არასრულწლოვანი შვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა.¹⁵

12 გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მოცემული დანაწესი ადგენს პრინციპს, თუ როდის უნდა დარჩეს ერთ მეუღლეს უფრო „მეტი“, ვიდრე მეორეს, ამიტომაც არგუმენტი, რომ ნივთი შეიძლება გასხვისდეს და ამონაგებით მოხდეს იმავე ფუნქციის, თუმცა უფრო დაბალი ღირებულების, ნივთის შეძენა და დანარჩენი გადაეცეს მეორე მეუღლეს (მაგ., უფრო იაფფასიანი მანქანის შეძენა), არ გამოდგება.

13 ზოგადად, დანაწესის მიზანს არ წარმოადგენს საერთო შვილისათვის სამომავლო კაპიტალის შენარჩუნება-დაგროვების უზრუნველყოფა, რადგან შვილები ორივე მეუღლისაგან ქონებას მემკვიდრეობით თანაბრად იღებენ. თუმცა თუ ერთ მეუღლეს ჰყავს სხვა ქორწინებაში ან ქორწინების გარეშე შეძენილი შვილები, მოცემულმა არგუმენტმაც შეიძლება გარკვეული მნიშვნელობა შეიძინოს – ის, რაც მეუღლეებმა ერთობლივი შრომით დააგროვეს მათ საერთო შვილებს უნდა დარჩეთ, შესაბამისად, ქონება იმ მეუღლეს უნდა დარჩეს, რომლისგანაც უფრო სავარაუდოა, რომ ის გადავა საერთო შვილებზე.

14 გამონაკლისის სახით, ბავშვის საუკეთესო ინტერესები შეიძლება მოითხოვდეს, რომ საგანი იმ მეუღლეს გადაეცეს, რომელთანაც არ იცხოვრებს არასრულწლოვანი შვილი. მაგალითად, ცეცხლსასროლი იარაღის ან სამიში ცხოველის შემთხვევაში.

2. ერთ-ერთი მეუღლის ყურადსაღები ინტერესები

15 ასევე მეუღლის „ყურადსაღები ინტერესის“ ქვეშ, რომლის დამაკონკრეტებელ მაგალითადაც 1168 II მუხლის მე-3 ვარიანტში შრომისუნარობაა მოყვანილი, იგულისხმება ისეთი საჭიროებები, რომლებიც

¹⁴ სუსგ № ას-752-703-2017, 2017 წლის 31 ივლისი.

¹⁵ სუსგ № ას-733-733-2018, 2018 წლის 11 ივლისი.

მხოლოდ 1183-ე მუხლის შესაბამისად ალიმენტის გადახდით არ იფარება. ეს დანაწესი ძირითადად ეხება ხანგრძლივი ავადმყოფობის, უნარშეზღუდულობისა და სხვა მსგავს შემთხვევებს, თუმცა შრომისუნარობა არ უნდა იქნეს განმარტებული მხოლოდ უნარის არქონის გამო დასაქმების შეუძლებლობის გაგებით, არამედ ამ დანაწესით მოცულია ასევე ის კონსტელაციები, როდესაც მეუღლე ვერ ახერხებს დასაქმებას, მაგალითად, დეკვალიფიკაციის გამო, რომელიც მან განიცადა ბავშვების მოვლისა და საოჯახო საქმეების გაძლოლიდან გამომდინარე. ან, მაგალითად, თუ ქმარმა თავის დროზე თავად მოსთხოვა ცოლს სამუშაოსათვის თავის დანებება, ის ველარ მიუთითებს მის დაუსაქმებლობაზე, როგორც ისეთ არასაპატიო გარემოებაზე, რომელმაც არ უნდა გამოიწვიოს ცოლის სასარგებლოდ წილის გაზრდა.

3. საერთო ქონების გაფლანგვა

შემდეგ გამონაკლისად, შუაზე გაყოფის პრინციპიდან, კანონმდებელი ასახელებს ქორწინების განმავლობაში ერთი მეუღლის მიერ საერთო ქონების დახარჯვას ოჯახის ინტერესების საზიანოდ.¹⁶ ამისათვის აუცილებელია, ქონებრივ დანახარჯს არაფერი აღარ ჰქონდეს საერთო ოჯახის ინტერესებთან. ასეთია: აზარტული თამაშები, ძვირადღირებული და ოჯახის ფინანსურ მდგომარეობასთან შეუთავსებელი ჰობი და ა. შ.

16

ფლანგვას განეკუთვნება ასევე მხოლოდ სპეკულაციური შანსის რეალიზების მცდელობა ვითომდა ოჯახის ინტერესებში. მაგალითად, კაზინოში თამაში მოგებულით ოჯახის ვალების დაფარვის მიზნით. თუმცა ეს შემთხვევა აღარ ექცევა 1168 II მუხლის მე-4 ვარიანტის გამოყენების სფეროში, თუ მეორე მეუღლეს თანახმა იყო ოჯახის ქონების ამგვარი ფორმით დახარჯვაზე, რადგან ეს დანაწესი ეხება მხოლოდ პირადი პასუხისმგებლობით მოქმედების შემთხვევებს.

17

თუ საერთო ქონების გაცემის შედეგად ხდება მეტნაკლებად ტოლფასი სუროგატის დაბრუნება ამ ქონებაში, ეს შემთხვევა ველარ მოექ-

18

¹⁶ შენგელია, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1168, გვ. 122.

ცევა 1168 II მუხლის მე-4 ვარიანტის ქვეშ. მაგალითად, თუ ერთი მეუღლე ოჯახის ფულით იყიდის მანქანას, რომელსაც ის მოგვიანებით დაამტვრევს, ეს არ შეიძლება გახდეს მისთვის წილის ჩამოკლების საფუძველი, რადგან საერთო ქონება აქ არ შემცირებულა ქონების განიავების შედეგად.

4. ქორწინების ფაქტობრივად შეწყვეტის ან განცალკევებით ცხოვრების დროს შექმნილი ქონება

- 19** 1168 III განავრცობს იმ შემთხვევათა ჩამონათვალს, როდესაც დასაშვებია საერთო ქონების შუაზე გაყოფის პრინციპიდან გადახვევა. კერძოდ, სასამართლოს შეუძლია თითოეული მეუღლის საკუთრებად ცნოს ის ქონება, რომელიც შექმნილია თითოეული მათგანის მიერ ქორწინების ფაქტობრივი შეწყვეტის ან მათი ცალ-ცალკე ცხოვრების დროს.¹⁷
- 20** 1341-ე მუხლის ანალოგიით, ქორწინება ფაქტობრივად შეწყვეტილი უნდა იყოს ქონების შექმნამდე, სულ მცირე, 3 წლით ადრე.¹⁸ ქორწინების ფაქტობრივად შეწყვეტის ქვეშ მოიაზრება ის, რომ მეუღლეთა შორის ოჯახური ერთობა (იხ. მუხ. 1106 მე-9 და მომდევნო ველები) გამოუსწორებლად და შეუქცევადად არის ჩაშლილი და ოფიციალური განქორწინებისთვის მეუღლეები მხოლოდ კონკრეტულ მომენტსლა ელოდებიან. ცალ-ცალკე ცხოვრებაც ამავე მიზეზით უნდა იყოს განპირობებული. სასამართლო მოცემულ დანაწესს იყენებს ასევე იმ შემთხვევაზეც, როდესაც მეუღლეები უკვე განქორწინებული არიან კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებით, მაგრამ სამოქალაქო რეესტრისთვის განქორწინების რეგისტრაციის მოთხოვნით ჯერ არ მიუმართავთ,¹⁹ თუმცა აქ, ალბათ, უფრო უპრიანი ჩანს ქორწინების არა ფაქტობრივად, არამედ უკვე სამართლებრივად შეწყვეტილად ჩათვლა.

¹⁷ შენგელია, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1168, გვ. 122.

¹⁸ სუსგ № ას-1155-1084-2012, 2013 წლის 14 იანვარი.

¹⁹ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 27 მაისის გადაწყვეტილება № 28/500-09.

IV. 1168 II, III მუხლის ანალოგიით გამოყენება

1168 II, III მუხლი წარმოადგენს კეთილსინდისიერების პრინციპის დაკონკრეტებას მეუღლეთა საერთო ქონების გაყოფის შემთხვევებისათვის. ამიტომაც, 1168 II მუხლის 1-ელ ვარიანტში ნახსენები „ყურადსაღები ინტერესის“ ცნება შეიძლება განიმარტოს უფრო ფართოდ და არ ამოიწუროს მხოლოდ იმ ჩამონათვალით, რომელიც მოცემულია ამ ნაწილის შემდგომ ვარიანტებში. **21**

გარდა ამისა, 1168-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილის საერთო ანალოგიით, შესაძლებელია შუაზე გაყოფის პრინციპიდან გადახვევა ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც საერთო ქონების ამგვარი განაწილება შეუთავსებელი იქნებოდა კეთილსინდისიერების პრინციპთან. **22**

თუ მთლიანი ქონება ან მისი ნაწილი ერთ-ერთი მეუღლის მიერ არის შეძენილი, მაშინ, როდესაც მეორე მეუღლე არც მუშაობდა და არც საოჯახო მეურნეობას უძღვებოდა (მიუხედავად შესაბამისი უნარის ქონისა), შუაზე გაყოფის პრინციპიდან გადახვევის საფუძველია უკვე 1168 II მუხლის მე-4 ვარიანტიდან გამომდინარე უკუდასკვნა – თუ ერთობლივად შეგროვებული საერთო ქონების „განიავების“ გამო მეუღლე უნდა „დაისაჯოს“ წილის შემცირებით, ამის ტოლფასი საქციელია ქონების შეგროვებაზე საერთოდ უარის თქმა. ამგვარად, ერთ-ერთი მეუღლის წილი უნდა შემცირდეს ასევე იმ შემთხვევაში, როდესაც ის ხანგრძლივი დროის განმავლობაში არ იღებდა შემოსავალს არასაპატიო მიზეზით. **23**

მუხლი 1169. მეუღლეთა საერთო ვალების გაყოფის წესი

მეუღლეთა საერთო ვალები მათ შორის იყოფა საერთო ქონებაში თითოეულის კუთვნილი წილის თანაზომიერად.

I. საერთო ვალები.....	128
II. განუყოფელი ვალები	129
1. სოლიდარული პასუხისმგებლობა	129
2. ქონების რეალიზაცია.....	130

I. საერთო ვალები

1 მეუღლეთა საერთო ვალების გაყოფის მიმდინარეობის ფარგლებში გამოსაყოფია რამდენიმე სტადია: პირველ რიგში, უნდა გაიყოს აქტივები, რათა დადგინდეს ის წილი, რომლის მიხედვითაც ხდება თითოეული მეუღლისათვის საერთო ვალების მიკუთვნება. საერთო ვალების გაყოფა კრედიტორების ინტერესებშია, თუმცა ნაწილობრივ ეხება ასევე გაყოფაში მონაწილე მეუღლეების ინტერესებსაც, რათა ისინი გათავისუფლდნენ დარჩენილი ვალებისათვის პასუხისმგებლობისაგან და ზუსტად იცოდნენ, თუ ამ ვალის რა ნაწილისათვის უნევთ პასუხისგება.¹ მეუღლის სარჩელს, რომელიც ეყრდნობა 1169-ე მუხლს, ქართული სასამართლო აღიარებდად მიიჩნევს (სსკ-ის 180-ე მუხლი),² რაც ასე ერთმნიშვნელოვანი არ არის, გამომდინარე იქიდან, რომ სარჩელის საგანი გარდაქმნილია.³

2 დაუშვებელია ვალის გაყოფისას ვალის შინაარსის ცვლილება, მაგალითად, მეუღლისთვის პერიოდულად შესასრულებელი საკრედიტო

¹ *Gaul/Althammer*, in: Soergel, BGB, 13. 2013, Aufl., § 1475 Rn. 2.

² თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება № 23/6774-14, 2016 წლის 17 თებერვალი.

³ თუკი სასამართლოს ეს შეფასება მოტივირებულია სსკ-ის 180-ე მუხლისკენ გზის გაკაფვით, ის სამართლებრივი საშუალება, რომელიც ავსებს გარდაქმნითი სარჩელის მონესრიგების ვაკუუმს, უნდა იყოს არა გარდაქმნითი სარჩელის აღიარებით სარჩელად მიჩნევა, არამედ სსკ-ის 180-ე მუხლის ანალოგია.

დავალიანების ერთბაშად გადახდის დაკისრება.⁴

204-ე მუხლის შესაბამისად, ვალის გაყოფისათვის საჭიროა კრედიტორის თანხმობა. ამ თანხმობის არარსებობის შემთხვევაში ვალი შეიძლება გაიყოს მხოლოდ სასამართლო წესით.

II. განუყოფელი ვალები

1. სოლიდარული პასუხისმგებლობა

თუ ვალი განუყოფელია, მაგალითად, მეუღლეთა მიერ ერთობლივი მომსახურების განევა, მისი დაფარვა უნდა მოხდეს ამ ქონების გაყოფამდე. საპირისპირო დაშვება: ჯერ ქონების გაყოფა, ხოლო განუყოფელი საერთო ვალებისათვის მეუღლეთა სოლიდარული პასუხისმგებლობის ძალაში დატოვება, წინააღმდეგობაში მოვიდოდა ამ გაყოფის მიზანთან. კერძოდ, გაყოფის მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ მეუღლეთა (ინდივიდუალურ საკუთრებად ქცეული) ქონებრივი მასები საბოლოოდ დაშორიშორდნენ და გამოეყონ ერთმანეთს. ეს კი შეუძლებელია, თუ ისინი კვლავაც საერთო ვალდებულებით იქნებიან ერთმანეთში გადახლართული. ამ შემთხვევაში არსებობს, მაგალითად, საფრთხე იმისა, რომ ერთმა მეუღლემ გაანიავოს გაყოფის შემდეგ საკუთარი წილი და მეორემ, ვალის გადამხდელმა მეუღლემ, კრედიტორის წინაშე ამ ვალის დაფარვის შემდეგ მისგან რეგრესის გზით (473) ვერაფერი მიიღოს ამ ქონების არარსებობის გამო. 1164-ე და მომდევნო მუხლების მიხედვით გაყოფის არსი კი ისაა, რომ მეუღლეებმა აღარ წარუდგინონ ერთმანეთს გაყოფილ ქონებასთან დაკავშირებით მოთხოვნები და ერთმა საკუთარი წილის განიავებით მეორეს ვერ ავნოს.

3

ამ ვალდებულებისათვის მეუღლეები პასუხს აგებენ როგორც სოლიდარული მოვალეები პირადად, მათ შორის ის მეუღლეც, რომელიც მანამდე მისთვის პასუხს არ აგებდა, მაგალითად, იმის გამო, რომ მეორე მეუღლე მართავდა საერთო ქონებას. საერთო ქონების განუყოფელი ვალების გასტუმრებამდე მეუღლეს, რომლისგანაც მეორე მეუღლე

4

⁴ შდრ. სუსგ № ას-605-579-2016, 2017 წლის 17 თებერვალი.

ითხოვს თანხმობას გაყოფაზე, შეუძლია უარი თქვას გაყოფის გეგმაზე.⁵ ეს მაშინ არის სახეზე, თუ მოსარჩელემ (გაყოფის მსურველმა მეუღლემ) მეორე მხარის წინაშე იკისრა საერთო ქონებიდან გამომდინარე ვალდებულებების დაფარვა და კრედიტორებმა ამაზე თანხმობა განაცხადეს.⁶

5 473-ე მუხლის მიხედვით, მეუღლეთა შორის რეგრესისას წილი განისაზღვრება 1169-ე მუხლის შესაბამისად.

6 თუ მეუღლეთა საერთო ვალდებულება არ არის ვადამოსული და შეუძლებელია მისი ვადაზე ადრე შესრულება ან ვალდებულება არის სადავო, მეუღლეებმა უნდა გადაინახონ მის დასაფარად საჭირო ქონება, რომელიც რჩება მათ საერთო საკუთრებაში.⁷

2. ქონების რეალიზაცია

7 თუ საერთო განუყოფელი ვალების დაფარვას არ ყოფნის ის ფულადი აქტივები, რომლებიც მეუღლეებს აქვთ საერთო საკუთრებაში, უნდა მოხდეს საერთო ქონებაში შემავალი ნივთების რეალიზაცია. აქ მოქმედებს თანაზიარი ქონების გაყოფის წესები,⁸ ანუ, თუ მეუღლეები ვერ ახერხებენ ან ვერ თანხმდებიან გაყიდვის მეშვეობით რეალიზაციაზე და ნატურით გაყოფა გამორიცხულია, მოძრავი ნივთები უნდა გასხვისდეს გირაოს რეალიზაციის წესების მიხედვით, ხოლო მიწის ნაკვეთი – იძულებითი აუქციონის გზით (964). იძულებითი აუქციონის ჩატარების მოთხოვნა შეუძლია თითოეულ მეუღლეს. თუმცა, თუ მეუღლეს აქვს საერთო ქონებიდან ნივთის მისთვის მიკუთვნების უფლება 1165 3 მუხლის მიხედვით, ეს უფლება წარმოადგენს მესამე პირის უფლებას, რომელიც შეიძლება ხელს უშლიდეს გასხვისებას, თუ იგი ამის შესახებ განაცხადებს სააღსრულებო წარმოებათა შესახებ კანონის 32-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით. იძულებითი აუქციონი, მიკუთვნების უფლების მიუხედავად, მაშინ არის დასაშვები, როდესაც საერთო

⁵ BGH FamRZ 1985, 905; BGH FamRZ 1988, 815.

⁶ BGH FamRZ 1988, 815.

⁷ შდრ. გსკ-ის 1475 I 2 პარაგრაფი.

⁸ Klein, Wegweiser zur Auseinandersetzung einer Gütergemeinschaft, FuR 1995, 166.

ვალდებულება სხვაგვარად ვერ დაიფარება, გარდა ნივთების რეალიზაციისა.⁹

1165 3 მუხლით მიკუთვნებული ქონების ღირებულება გამოიქვითება გაყოფის შედეგად მიკუთვნებული ქონების ღირებულებიდან. **8**

⁹ BGH FamRZ 1985, 904; BGH FamRZ 1987, 44.

მუხლი 1170. ერთ-ერთი მეუღლის ვალის დაფარვის წესი

1. ერთ-ერთი მეუღლის ვალის დასაფარავად გადახდევინება შეიძლება მოხდეს მისი ქონებიდან ან/და თანასაკუთრებაში მისი წილიდან, რომელსაც იგი მიიღებდა ქონების გაყოფის შემთხვევაში.

2. აღნიშნული ვალების გამო მეუღლეთა საერთო ქონებიდან გადახდევინება შეიძლება მაშინ, თუ სასამართლო დაადგენს, რომ, რაც ვალდებულებით იყო მიღებული, გამოყენებულია მთელი ოჯახის საერთო ინტერესებისათვის.

3. ერთ-ერთი მეუღლის დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას მეუღლეთა თანასაკუთრებიდან გადახდევინება შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუკი განაჩენით დადგინდება, რომ ეს ქონება შექმნილია დანაშაულის ჩადენის შედეგად მიღებული სახსრებით.

I. პასუხისმგებლობის სტრუქტურა 1170-ე მუხლის მიხედვით	132
II. მეუღლეთა პირადი ვალდებულებები და პასუხისმგებლობა.....	134
III. დისპოზიციურობა	134
IV. იძულებითი აღსრულების მიქცევა საერთო ქონებაზე.....	134

I. პასუხისმგებლობის სტრუქტურა 1170-ე მუხლის მიხედვით

1 1170-ე მუხლი შეიცავს მეუღლეთა ინდივიდუალური ვალების დაფარვის წესს.¹ ამ დანაწესის პირველი ნაწილის მიხედვით, ერთ-ერთი მეუღლის ვალის დასაფარავად გადახდევინება შეიძლება მოხდეს მისი ქონებიდან ან/და თანასაკუთრებაში მისი წილიდან, რომელსაც იგი მიიღებდა ქონების გაყოფის შემთხვევაში.² ეს ფორმულირება საკმაოდ ბუნდოვანია და ქმნის შთაბეჭდილებას, რომ გადახდევინება ხდება მეუღლის წილიდან საერთო ქონებაში, რომელიც რეალურად არ არსებობს, გამომდინარე იქიდან, რომ საერთო ქონება წარმოადგენს თანაზიარ და არა წილობრივ თანასაკუთრებას, სადაც თითოეულ მეუღლეს გაყოფამდე (თუნდაც აბსტრაქტულად) გამოცალკავებადი წილიც კი არ ეკუთვნის, საიდანაც მოხდებოდა გადახდევინება. გარდა ამისა, ეს

¹ *შენგელია/შენგელია*, საოჯახო სამართალი, მეორე გამოცემა, 2011, გვ. 168.

² *შენგელია*, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1170, გვ. 125.

დანანესი პირდაპირი გაგებისას წინააღმდეგობაში მოდის მეორე ნაწილთან, სადაც საუბარია იმაზე, რომ პირდაპირი გადახდევინება შეიძლება მოხდეს მხოლოდ აღებული ვალის ოჯახის ინტერესებისათვის გამოყენების შემთხვევაში.

ამიტომაც 1170 I მუხლი უნდა გავიგოთ იმგვარად, რომ მეუღლის პირადი ვალისათვის გადახდევინება ხდება არა საერთო საკუთრებაში არსებული აბსტრაქტული წილიდან, არამედ საერთო საკუთრების გაყოფასთან (1164) და კონკრეტული წილის მიღებასთან დაკავშირებული მოთხოვნიდან. ანუ კრედიტორს, თუ მოვალე მეუღლის პირადი ქონება ვალის დასაფარად საკმარისი არ არის, შეუძლია „მისწვდეს“ 1164-ე მუხლიდან გამომდინარე გაყოფის მოთხოვნას, დააყადალოს ის იძულებითი აღსრულების ფარგლებში, გაყოს ქონება და შემდეგ მოითხოვოს ამ გაყოფილი წილიდან დაკმაყოფილება.

ვალის ოჯახის ინტერესებისთვის გამოყენების შემთხვევაში, პასუხს აგებს საერთო ქონება (1170 II).³ ქართული კანონმდებელი არ აწესებს ერთ-ერთი მეუღლის მიერ ნაკისრი ვალდებულების ოჯახის ინტერესებისთვის გამოყენების ვარაუდს⁴ და ვალის ოჯახის მიზნებისთვის გამოყენებაზე მიმთითებელი ატარებს ამის დამტკიცების ტვირთს.⁵ ვალის ოჯახის ინტერესების გამოყენების შემთხვევებზე ითვლება: კომუნალური გადასახადები, ოჯახისათვის საყოფაცხოვრებო ნივთების შექენა, შვილებისათვის განათლების მიცემა,⁶ შვილის⁷ ან საკუთარი მკურნალობა,⁸ საერთო უძრავი ნივთის შექენა.⁹

დანაშაულით მოპოვებული ქონების შემთხვევაში პასუხს აგებს კო-

³ შენგელია, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1170, გვ. 125.

⁴ სუსგ № ას-516-489-2015, 2015 წლის 17 ივნისი, თუმცა პრობლემურია სუსგ № ას-1035-1228-08, 2009 წლის 23 მარტი, რომლის მიხედვითაც, მეუღლის სამეწარმეო საქმიანობა ავტომატურად ოჯახის საერთო ინტერესებს ემსახურება 1170 II მუხლის გაგებით.

⁵ სუსგ № ას-1029-964-2012, 2012 წლის 23 ივლისი, სუსგ № 1334-1254-2017, 2018 წლის 18 მაისი, სუსგ № ას-1646-2018, 2019 წლის 22 მარტი, სუსგ № ას-315-300-2016, 2016 წლის 17 ივნისი.

⁶ სუსგ № 3კ/519-01, 2001 წლის 29 ივნისი.

⁷ სუსგ № ას-981-922-2012, 2012 წლის 24 სექტემბერი.

⁸ სუსგ № ას-516-489-2015, 2015 წლის 17 ივნისი.

⁹ სუსგ № ას-372-356-2016, 2017 წლის 3 იანვარი, სუსგ № 3კ/990-01, 2002 წლის 16 იანვარი.

ნკრეტული საერთო საკუთრებაში არსებული ნივთი თუ ნივთები, რომელთა შეძენაც მოხდა დანაშაულებრივი გზით.¹⁰

- 5** იხ. საერთო ქონების პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით მუხ. 1159 მე-6 და მომდევნო ველები.

II. მეუღლეთა პირადი ვალდებულებები და პასუხისმგებლობა

- 6** მეუღლეები ყოველთვის აგებენ პასუხს თავ-თავიანთი პირადი ქონებით (ინდივიდუალური ნივთები, ქორწინებამდე არსებული ქონება, რომელიც არ გახდა საერთო საკუთრება) პირადი ვალდებულებისათვის, გარდა ამისა, ასევე მეორე მეუღლის ვალდებულებისათვის, თუ საქმე ეხება სოლიდარულ ვალდებულებას.

III. დისპოზიციურობა

- 7** ზემოთ განმარტებული პრინციპების მიხედვით პასუხისმგებლობა არ არის დისპოზიციური და არ შეიძლება შეიცვალოს საქორწინო შეთანხმებით. თუმცა კონკრეტული გარიგებების ფარგლებში მეუღლეებს შეუძლიათ შეზღუდონ მესამე პირის წინაშე პასუხისმგებლობა მხოლოდ საერთო ქონებიდან ან მხოლოდ ინდივიდუალური ქონებიდან პასუხისმგებლობით.¹¹

IV. იძულებითი აღსრულების მიქცევა საერთო ქონებაზე

- 8** საერთო ქონებაზე იძულებითი აღსრულების მისაქცევად კრედიტორი საჭიროებს სააღსრულებო ფურცელს ორივე მეუღლის წინააღმდეგ. მაგრამ, ამის მიუხედავად, მას შეუძლია უჩივლოს მხოლოდ ერთ მეუღლეს საერთო ქონებიდან წარმომდგარი ვალდებულებისათვის და პასუხი აგებინოს მისი ინდივიდუალური ქონებით.¹²

¹⁰ *შენგელია*, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1170, გვ. 126.

¹¹ *Tiedtke, Gesamthand- und Gesamtschuldklage im Güterstand der Gütergemeinschaft*, FamRZ 1975, 538

¹² *Tiedtke, Gesamthand- und Gesamtschuldklage im Güterstand der Gütergemeinschaft*, FamRZ 1975, 538.

ერთ-ერთი მეუღლის პირად კრედიტორს უფლება აქვს დააყადალოს საერთო ქონების გაყოფის მოთხოვნა, მაგრამ არა მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონება.¹³ დაუშვებელია ერთ-ერთი მოვალის წინააღმდეგ სააღსრულებო ფურცლის მოპოვების გზით მეუღლეთა საკუთრებაში არსებული ნივთის რეალიზაციის მოთხოვნა,¹⁴ რადგან ეს ეწინააღმდეგება თანაზიარი საკუთრების ბუნებას. ასეთ შემთხვევაში კრედიტორს არ აქვს არც განუყოფელი ნივთის 1/2-ის დაყადაღების უფლება.¹⁵ კონტრარგუმენტად არ გამოდგება დაშვება იმისა, რომ კრედიტორი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ამონაგები თანხის მხოლოდ 50%-ს გამოიყენებს, რადგან მანამ, ვიდრე ამას სასამართლო განსაზღვრავს, უცნობია, მიიღებდა თუ არა მეუღლე რაიმეს ქონების გაყოფისას ან თუ მიიღებდა, რა იქნებოდა მისთვის მიკუთვნებული ქონების ოდენობა.¹⁶ ასეთ შემთხვევაში კრედიტორმა უნდა დააყადალოს საერთო ქონების გაყოფის მოთხოვნა, რომელიც მას მეორე მეუღლისადმი გააჩნია (სააღსრულებო წარმოებათა შესახებ კანონის 55-ე და შემდგომი მუხლები) და სასარჩელო წარმოებით მოითხოვოს მეუღლეთა ქონების გაყოფა (იხ. მუხ. 1164 მე-5 ველი).

მუხლი 1171. თანასაკუთრებაში არსებული ქონების გაყოფის მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა

განქორწინებულ მეუღლეთა თანასაკუთრების ქონების გაყოფის თაობაზე მოთხოვნებისათვის დადგენილია ხანდაზმულობის სამნობიანი ვადა.

¹³ სუსგ № ას-1887-2018, 2019 წლის 15 მარტი.

¹⁴ შდრ. სუსგ № ას-1501-2019, 2021 წლის 12 თებერვალი, სადაც საერთო საკუთრებაში მოქცეული ნივთი, მოსარჩელის პრეტენზიების მიუხედავად, პირდაპირ მიექცა სარეალიზაციოდ. თუმცა თავის ამ გადაწყვეტაში უზენაესი სასამართლო თანმიმდევრული არ არის. იდენტური გარემოებებისა და განსხვავებული შედეგისთვის იხ. სუსგ № ას-569-540-2015, 2016 წლის 1 ივლისი.

¹⁵ შდრ. № ას-180-169-2017, 2018 წლის 19 ივლისი, სუსგ № ას-621-588-2015, 2016 წლის 3 ივნისი, სუსგ № ას-927-877-2015, 2016 წლის 16 თებერვალი.

¹⁶ შდრ. სუსგ № 1426-1346-2017, 2018 წლის 2 მარტი, სადაც სააპელაციო სასამართლოს ეს თანმიმდევრული მსჯელობა უარყოფილია იმაზე მითითებით, რომ საგადასახადო ორგანოს ჰქონდა ნივთის 1/2-ის დაყადაღების უფლება.

IV. მეუღლეთა სახელშეკრულებო ქონებრივი ურთიერთობები

მუხლი 1172. საქორწინო ხელშეკრულება

1. მეუღლეებს შეუძლიათ დადონ საქორწინო ხელშეკრულება, რომლითაც განისაზღვრება მათი ქონებრივი უფლებები და მოვალეობები როგორც ქორწინების განმავლობაში, ისე განქორწინებისას.

2. საქორწინო ხელშეკრულება ქორწინების რეგისტრაციამდე უნდა დაიდოს, თუ ერთ-ერთი მეუღლე მაინც მხარდაჭერის მიმღებია. საქორწინო ხელშეკრულების დადების პროცესში აუცილებელია მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს, აგრეთვე მხარდამჭერის ჩაბმა იმ ნაწილში, რომელიც განსაზღვრულია სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილებით.

3. მხარდაჭერის მიმღებთან დადებული საქორწინო ხელშეკრულების შესრულებისას მხარდამჭერის მიერ თავისი მოვალეობების განხორციელებაზე ზედამხედველობისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს.

4. მხარდაჭერის მიმღებთან დადებული საქორწინო ხელშეკრულება იმაზე მეტად არ უნდა ზღუდავდეს მის ქონებრივ უფლებებს, ვიდრე ეს განსაზღვრულია სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილებით.

5. თუ საქორწინო ხელშეკრულება მხარდამჭერსა და მხარდაჭერის მიმღებს შორის იდება, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო მხარდაჭერის მიმღებს მისი დადების პროცესში დროებით მხარდამჭერად მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს უფლებამოსილ პირს უნიშნავს.

საქართველოს 2015 წლის 20 მარტის კანონი №3339 - ვებგვერდი, 31.03.2015წ.

I. ზოგადი	137
II. ქონებრივი რეჟიმის მონყოლა საქორწინო ხელშეკრულებით	138
III. ხელშეკრულების დადება და მისი ნამდვილობა	138
IV. მოქმედება მესამე პირთა მიმართ	139

I. ზოგადი

1172-ე-1181-ე მუხლები ანესრიგებენ საქორწინო ხელშეკრულების მეშვეობით მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების რეგლამენტირების შესაძლებლობას.¹ საქორწინო ხელშეკრულების მეშვეობით მეუღლეს ხელნიფებათ კანონიერი ქონებრივი რეჟიმისაგან (1158-ე და მომდევნო მუხლები) განსხვავებული ქონებრივი რეჟიმის დადგენა. **1**

საქორწინო ხელშეკრულების შემთხვევაშიც, ისევე, როგორც ყველა სხვა ხელშეკრულების დროს, მოქმედებს კერძო ავტონომიის პრინციპი, რომელიც იზღუდება, ზოგადი წესების გარდა,² ასევე 1172-ე და მომდევნო მუხლებში მოცემული რეგულაციით. **2**

საქორწინო ხელშეკრულების მოქმედების არეალი შეიძლება გადაიკვეთოს მეუღლეთა შორის დადებულ სხვა გარიგებებთან. საქორწინო ხელშეკრულებით ქონებრივი რეჟიმის მონესრიგება არ გამოორიცხავს მხარეებს შორის იმავე საგანთან დაკავშირებით სხვა გარიგებების დადებას. ამ ტიპის ხელშეკრულებების კონკურენცია საქორწინო ხელშეკრულების რეგლამენტაციასთან წარმოშობს შემდეგ საკითხს: უთანაბრდება თუ არა მათი რეგულაცია, ფუნქციურად და მხარეთა განზრახვის მიხედვით, საქორწინო ხელშეკრულებას – თუ ეს ასეა, აუცილებელია 1174-ე მუხლში განერილი ფორმის დაცვა. თუ მეუღლეები ცხოვრობენ კანონისმიერ (1158-ე და მომდევნო მუხლები) ქონებრივ რეჟიმში, საერთო საკუთრებად ქცეული ქონების ცალკე გამოყოფა და ერთი მეუღლისათვის მიკუთვნება დასაშვებია მხოლოდ საქორწინო ხელშეკრულებით.³ **3**

¹ *შენგელია/შენგელია*, საოჯახო სამართალი, მეორე გამოცემა, 2011, გვ. 173.

² *შენგელია*, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1172, გვ. 128.

³ BGHZ 65, 79. მეუღლეთა შორის ჩუქების კონსტელაცია არ აყენებს საქორწინო ხელშეკრულების სამართლებრივ შედეგს, სუსგ № ას-960-1162-08, 2009 წლის 2 ნოემბერი.

II. ქონებრივი რეჟიმის მონყობა საქორწინო ხელშეკრულებით

- 4** ქართველი კანონმდებელი მეუღლეებს ორ არჩევანს სთავაზობს: არ დადონ საქორწინო ხელშეკრულება და მაშინ მათ შორის წარმოიშობა საერთო ქონების კანონისმიერი რეჟიმი (1158-ე და მომდევნო მუხლები),⁴ რომლის დროსაც ქორწინების განმავლობაში მოპოვებული (ცალკეული გამონაკლისების გარდა) იქცევა მეუღლეთა საერთო ქონებად, ან დადონ საქორწინო ხელშეკრულება და, 1176-ე მუხლით გათვალისწინებულ ფარგლებში, თავად შეიმუშაონ მათთვის ხელსაყრელი ქონებრივი რეჟიმი.

III. ხელშეკრულების დადება და მისი ნამდვილობა

- 5** საქორწინო ხელშეკრულების დადება და მისი ნამდვილობა წესრიგდება სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნაწილის მიხედვით, თუმცა გასათვალისწინებელია 1174-ე მუხლში დაფიქსირებული ფორმა და შეზღუდული ქმედუნარიანის მიერ ამ ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებული სპეციალური რეგულაცია (1175); გარდა ამისა, შინაარსობრივი მოთხოვნები – 1176-ე, 1179-ე მუხლები, იხ. დეტალურად ამ მუხლების კომენტარი. საქორწინო ხელშეკრულება შეიძლება საცილო გახდეს ასევე ამ ზოგადი წესების მიხედვით. მაგალითად, იძულების გამო, თუ ერთმა მომავალმა მეუღლემ თავის მოკვლის მუქარით აიძულა მეორე, დაედო ეს გარიგება.⁵
- 6** გარდა ამისა, საქორწინო ხელშეკრულების დადება შეუძლიათ მხოლოდ მეუღლეებს ან დანიშნულებს,⁶ ამ უკანასკნელ შემთხვევაში ის მხოლოდ დაქორწინების შემდეგ იძენს ძალას (1173 II).⁷
- 7** იხ. დადების მომენტთან და ხანგრძლივობასთან დაკავშირებით 1173-ე მუხლის კომენტარი.

⁴ *შენგელია*, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1171, გვ. 129.

⁵ BGH NJW-RR 1996, 1282.

⁶ *შენგელია/შენგელია*, საოჯახო სამართალი, მეორე გამოცემა, 2011, გვ. 175.

⁷ BayObLGZ 1957, 51.

IV. მოქმედება მესამე პირთა მიმართ

ქორწინება და ქორწინების განმავლობაში მეუღლეთა ქონებრივი რეჟიმი განაპირობებენ ასევე მესამე პირებთან ხელშეკრულების დადების უფლებამოსილებას (1160 II). თუ მეუღლეები ათანხმებენ ცვლილებას ამ ქონებრივ რეჟიმში ან უკუაქცევენ კანონისმიერი პარადიგმიდან მათ მიერ შეთანხმებულ გადახვევას, გათვალისწინებული უნდა იქნეს მესამე პირთა ინტერესები – ჰქონდეთ ზუსტი წარმოდგენა იმასთან დაკავშირებით, თუ რისი უფლებები აქვს და რისი უფლებები არ აქვს მეუღლეს, რომელთანაც ის შედის ურთიერთობაში. სამწუხაროდ, ქართული სამართალი, გერმანულისაგან განსხვავებით, არ ითვალისწინებს საქორწინო ხელშეკრულების გასაჯაროების შესაძლებლობას, მისი რეგისტრაციის გზით. ამ მოცემულობაში კი, პუბლიკაციის მომენტის გარეშე, მეუღლეთა შორის შეთანხმებას ვერ ექნება ძალა მესამე პირთა წინაშე და ამ პირთა მიმართ ისევ კანონისმიერი პარადიგმა უნდა დარჩეს ძალაში (მაგალითად, 1160 II მუხლი).

8

მუხლი 1173. საქორწინო ხელშეკრულების დადება

1. საქორწინო ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს როგორც ქორწინების რეგისტრაციამდე, ისე მისი რეგისტრაციის შემდეგ ნებისმიერ დროს.

2. საქორწინო ხელშეკრულება, რომელიც დაიდო ქორწინების რეგისტრაციამდე, ძალაში შედის ქორწინების რეგისტრაციიდან.

- 1 1173 | მუხლის მიხედვით, საქორწინო ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს როგორც ქორწინების რეგისტრაციამდე,¹ ასევე მის შემდეგ. ხელშეკრულება მთავრდება ქორწინების გაუქმებასთან ერთად ან მისი გამაუქმებელი ხელშეკრულების დადებით. ამ გამაუქმებელი ხელშეკრულების დადება მეუღლეებს შეუძლიათ დროის ნებისმიერ მომენტში (1180).
- 2 ქორწინებამდე დადებული ხელშეკრულება ძალაში შედის მხოლოდ დაქორწინების შემდეგ და უქმდება მისი ჩაშლის შემთხვევაში, ამასთან, ჩაშლა სახეზეა, თუ მომავალმა მეუღლეებმა გაურკვეველი ვადით გადადეს ქორწინება, სხვა პირზე იქორწინეს და ა. შ., მაშინაც კი, როდესაც ეს ქორწინება საბოლოოდ მაინც შედგა, თუმცა მეუღლეების საერთო ნებიდან აღარ იკითხება კავშირი მანამდე დადებულ საქორწინო ხელშეკრულებასა და საბოლოოდ მაინც შემდგარ ქორწინებას შორის.
- 3 საქორწინო ხელშეკრულების დადებისათვის აუცილებელია, რომ პირები, სულ მცირე, დანიშნული მაინც იყვნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში მოქმედებს 56 | მუხლი, დამოუკიდებლად შემდგომში ამ პირებს შორის ქორწინების შედგომა-არშედგომისა.

¹ შენგელია, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1173, გვ. 129.

მუხლი 1174. ხელშეკრულების ფორმა

საქორწინო ხელშეკრულება იდება წერილობით და დასტურდება სანოტარო წესით.

I. მიზანი.....	141
II. მოქმედების სფერო.....	141
III. ორივე მხარის ერთდროული თანამყოფობა.....	141
IV. ფორმის ნაკლი.....	142

I. მიზანი

საქორწინო ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს მხოლოდ წერილობით და დადასტურდეს სანოტარო წესით.¹ 1174-ე მუხლში განწერილი ამ ფორმასავალდებულოებით უზრუნველყოფილ უნდა იქნეს მხარეთა გაფრთხილება (დაცვა ნაჩქარევი გადაწყვეტილებებისაგან), სიცხადე, მტკიცების გამარტივება და ნოტარიუსის მიერ მხარეთათვის რჩევა-დარიგების მიცემა.

1

II. მოქმედების სფერო

ფორმასავალდებულოება ვრცელდება ასევე წინარე საქორწინო ხელშეკრულებასა (327 III 2)² და გაუქმების ხელშეკრულებაზე³.

2

III. ორივე მხარის ერთდროული თანამყოფობა

ფორმის დაცვისათვის აუცილებელი ნოტარიული დადასტურება უნდა მოხდეს ორივე მხარის ერთდროული თანამყოფობის პირობებში. მხოლოდ ერთი მხარის მიერ წერილობით შედგენილი დოკუმენტის ნოტარიუსთან წაღება და დადასტურება საკმარისი არ არის. თუმცა დასაშვებია გარიგების დადასტურების პროცესში წარმომადგენლობა.

3

¹ შენგელია, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1174, გვ. 130.

² BGH FamRZ 1966, 492.

³ OLG Frankfurt a. M. FamRZ 2001, 1524.

წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მინიჭება არ არის ფორმალ-სავალდებულო (107 II).

IV. ფორმის ნაკლი

- 4** ფორმის ნაკლი იწვევს საქორწინო ხელშეკრულების ბათილობას 59 I, ვარ. 1 მუხლის მიხედვით.

მუხლი 1175. საქორწინო ხელშეკრულების დადება შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირის მიერ

შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირს ქორწინების რეგისტრაციამდე შეუძლია დადოს საქორწინო ხელშეკრულება მხოლოდ კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით.

1 მოცემული დანაწესი ანესრიგებს შეზღუდული ქმედუნარიანის, ანუ არასრულწლოვნის მიერ საქორწინო ხელშეკრულების დადების წესს. არასრულწლოვანს საქორწინო ხელშეკრულების დადება შეუძლია მხოლოდ კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით.

2 მიუხედავად იმისა, რომ არასრულწლოვანი ვერ შევა ქორწინებაში და ეს წესი უგამონაკლისოდ მოქმედებს, კანონი მას მაინც ანიჭებს კანონიერი წარმომადგენლის მეშვეობით საქორწინო ხელშეკრულების დადების შესაძლებლობას. ამგვარი ასინქრონულობა დიდი ალბათობით კანონმდებლის გამორჩენითაა განპირობებული, რომელსაც დაავინწყდა საოჯახო სამართლის რეფორმის ფარგლებში ამ დანაწესის ამოშლა ან გადაკეთება:¹ ალოგიკურია, რომ სამართალი „არ ანდობდეს“ არასრულწლოვანსა და მის წარმომადგენელს ქორწინებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობასა და კომპეტენციას, თუმცა ამავდროულად ანიჭებდეს მათ საქორწინო ხელშეკრულების დადების უფლებას, რითიც შეიძლება მეტწილად განპირობებული იყოს მომავალი თანაცხოვრების განმავლობაში ქონებრივი და, არაპირდაპირ, ასევე, პიროვნული უფლებებიც.

3 მაგალითად, გერმანიაში, იმავე სარეფორმო პაკეტის ფარგლებში („ბავშვთა დაცვა ნაადრევი ქორწინებისაგან“), უკვალოდ ამოიშალა ასევე არასრულწლოვნის მიერ კანონიერი წარმომადგენლის მეშვეობით საქორწინო ხელშეკრულების დადების შესაძლებლობა.²

¹ რეფორმამდელ მონესრიგებასთან დაკავშირებით იხ. *შენგელია*, სკ-ის კომენტარი, *ჭანტურია (რედ.)*, 2000, მუხ. 1175, გვ. 133.

² შდრ. გსკ-ის 1411-ე პარაგრაფი.

მუხლი 1176. საქორწინო ხელშეკრულების შინაარსი

1. საქორწინო ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს როგორც უკვე არსებულ, ისე მომავალში შეძენილ ქონებაზე.

2. საქორწინო ხელშეკრულებით მეუღლეებს შეუძლიათ შეცვალონ მეუღლეთა საერთო საკუთრებისათვის კანონით დადგენილი წესი.

3. მეუღლეებს შეუძლიათ გააერთიანონ მთელი თავიანთი ქონება, რომელშიც ჩაირიცხება ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონებაც (საერთო ქონება), ანდა მთლიანად ან ნაწილობრივ თქვან უარი ამგვარ გაერთიანებაზე და დაადგინონ თითოეულის წილობრივი ან განცალკევებული საკუთრება ქონებაზე.

I. ზოგადი	144
II. საქორწინო ხელშეკრულების შინაარსი: ქონებრივი რეჟიმები.....	144
III. კერძო ავტონომიის ზღვარი საქორწინო ხელშეკრულებისას	145
1. იმპერატიული დანაწესები	145
2. სახელშეკრულებო თავისუფლების ზოგადი ჩარჩო	146
ა) შინაარსის კონტროლი	146
ბ) ცალკეული პირობის ბათილობა, 62-ე მუხლი.....	146
გ) უფლების განხორციელების კონტროლი, 8 III.....	147
დ) სამართლებრივი შედეგი.....	147

I. ზოგადი

1 1176-ე მუხლი აწესრიგებს საქორწინო ხელშეკრულებით მეუღლეთა ქონებრივი რეჟიმის რეგლამენტაციას კერძო ავტონომიის პრინციპის საფუძველზე.¹ მასში განერილია, თუ რა შინაარსის უნდა იყოს საქორწინო ხელშეკრულება.

II. საქორწინო ხელშეკრულების შინაარსი: ქონებრივი რეჟიმები

2 1176-ე მუხლის მიხედვით, ცალსახად დასაშვებია 1158-ე და მომდევნო მუხლებში მოცემული „საერთო ქონებრივი რეჟიმისაგან“ გადახვევა, როგორც ერთი, ისე მეორე მიმართულებით – მთლიანი ქონების

¹ შენგელია/შენგელია, საოჯახო სამართალი, მეორე გამოცემა, 2011, გვ. 187.

(არა მხოლოდ ქორწინების განმავლობაში შექმნილის) გაერთიანებულ ქონებად ქცევა (1176 III, ვარ. 1) ან, პირიქით, სრული ქონებრივი სეპარაციის რეჟიმის შერჩევა (1176 III, ვარ. 2).² ასევე დასაშვებია ამ ორი მოცემულობის კომბინირება: ცალკეული ტიპის საგნების გაერთიანებულ ქონებად ქცევა და დანარჩენის ისევ მეუღლეთა ინდივიდუალურ საკუთრებაში დატოვება. ხელშეკრულებაში დასაშვებია ასევე საოჯახო ხარჯების განწესის წესის რეგლამენტაციაც (1177).

საქორწინო ხელშეკრულებით შეიძლება განისაზღვროს, მთლიანი ქონებრივი რეჟიმის გარდა, ასევე, კანონისმიერი ქონებრივი რეჟიმის ფარგლებში საერთო ქონების მართვის განსხვავებული წესი (1176 II). **3**

რაც იკრძალება, ეს არის ე. წ. „ფანტაზიის ნაყოფი-ქონებრივი რეჟიმები“³, რომელიც წარმოადგენს არა კანონით აღიარებული ქონებრივი რეჟიმების კომბინაციას, არამედ სრულებით სხვა, მეუღლეთა მიერ მოფიქრებულ ქონებრივ წესრიგს (მაგალითად, მთლიანი ქონება პირველი ხუთი წლის განმავლობაში ერთი მეუღლის საკუთრებად ჩაითვალოს, ხოლო მომდევნო ათი წლის განმავლობაში – მეორე მეუღლის). ამ ტიპის ქონებრივი რეჟიმის მოუხელთებლობისა და მათი მომწესრიგებელი კანონისმიერი პარადიგმის არარსებობიდან გამომდინარე, ამასთან, ქონებრივი რეგლამენტაციის სიცხადის აუცილებლობის გათვალისწინებით, ამგვარი ფანტასმაგორული რეჟიმის შეთანხმება დაუშვებელია. კერძო ავტონომიის მოცემული შეზღუდვიდან გამომდინარე, საუბრობენ საქორწინო ხელშეკრულებით ქონებრივი რეჟიმის რეგულირების „ტიპოლოგიურ განერილობაზე“.⁴ **4**

III. კერძო ავტონომიის ზღვარი საქორწინო ხელშეკრულებისას

1. იმპერატიული დანაწესები

საქორწინო ხელშეკრულების შემთხვევაში კერძო ავტონომია, პირველ რიგში, ზღვარდადებულია⁵ ქონებრივი კუთვნილების შემცველი **5**

² შენგელია, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1176, გვ. 135.

³ შდრ. *Kanzleiter*, in *Münchener Kommentar BGB*, 8. Auflage 2019, § 1408 Rn. 13.

⁴ *Kanzleiter*, in *Münchener Kommentar BGB*, 8. Auflage 2019, § 1408 Rn. 13; OLG Schleswig NJW-RR 1996, 134.

⁵ შენგელია/შენგელია, საოჯახო სამართალი, მეორე გამოცემა, 2011, გვ. 188.

შეთანხმების მოქმედების ნაწილში, რადგან ეს მოქმედება, სამოქალაქო ბრუნვის ინტერსებიდან გამომდინარე, უნდა დაექვემდებაროს სავითოსამართლებრივი მოწყობის ჩარჩოებს. გარდა ამისა, კერძო ავტონომია არ ვრცელდება ქონებრივი რეჟიმის იმ ტიპის რეგლამენტაციებზე, რომლებიც იმპერატიულად იცავენ ერთ-ერთ მეუღლეთაგანს ან მესამე პირებს: საერთო ქონების პასუხისმგება ვალებისათვის არ შეიძლება შეიზღუდოს კრედიტორის მიმართ ეფექტით.

2. სახელშეკრულებო თავისუფლების ზოგადი ჩარჩო

- 6** მეუღლეებს შეუძლიათ თავისუფლად შეცვალონ კანონისმიერი დანაწესები,⁶ ქონების საერთო საკუთრებად გადაქცევის, ამ საერთო ქონების გაყოფის ან ქორწინების შემდგომი სარჩოს გადახდის წესთან დაკავშირებით. შეუძლიათ მთლიანად შეცვალონ გაყრის შემდგომი მავალდებულებელი მოთხოვნების პროგრამა.⁷

ა) შინაარსის კონტროლი

- 7** იხ. ამასთან დაკავშირებით 1179-ე მუხლის კომენტარი.

ბ) ცალკეული პირობის ბათილობა, 62-ე მუხლი

- 8** აქცევს თუ არა რომელიმე კონკრეტული პირობის ბათილობა მთლიან ხელშეკრულებას ბათილად, უნდა გადაწყდეს 62-ე მუხლის საფუძველზე. მთლიანი ხელშეკრულება ბათილია, თუ, საქორწინო ხელშეკრულების ერთიანობაში შეფასებისას, ის ცალსახად არახელსაყრელია ერთ-ერთი მხარისათვის და ეს შინაარსი ვერ იქნება გამართლებული მეორე მხარის ინტერესებით. მაგალითად, მთლიანად ბათილია ისეთი საქორწინო ხელშეკრულება, რომელშიც მეუღლე უარს ამბობს თავის ყველა მოთხოვნაზე მეორე მეუღლის მიმართ.⁸

⁶ *შენგელია*, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1176, გვ. 135.

⁷ BGH NJW 2004, 933; BGH NJW 2013, 457; FamRZ 2017, 887.

⁸ BGH FamRZ 2017, 884.

საქორწინო და მემკვიდრეობითი ხელშეკრულებების ერთმანეთთან გადამხმარებას 62-ე მუხლი არ მოქმედებს.⁹ **9**

გ) უფლების განხორციელების კონტროლი, 8 III

მაშინაც კი, როდესაც საქორწინო ხელშეკრულების რაიმე პირობა ნამდვილია, მასზე მითითება შეიძლება წარმოადგენდეს ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპის ხელყოფას (8 III). მაგალითად, როდესაც განქორწინების სამართლებრივი შედეგების გამორიცხვა ცალსახად და ერთმნიშვნელოვნად მხოლოდ ერთი მხარის ინტერესების ხელმყოფ სურათს გვაძლევს.¹⁰ ამ შეფასებისათვის გადამწყვეტი მომენტი არის ოჯახის ჩაშლის მომენტი.¹¹ გადამწყვეტია ის გარემოება, რომ თავდაპირველად მიუღწეველი მიერ ერთსულოვნად დაგეგმილი ტვირთის განაწილება რეალურად აცდენილია იმას, რაც ამ მომენტში სახეზეა.¹² მაგალითად, რჩენის მოთხოვნა ხელშეკრულებაში გამორიცხული იყო, რადგან, მხარეთა მიერ მიღწეული შეთანხმების საფუძველზე, მეორე მეუღლეს უნდა ყოფილიყო შემოსავლის მომტანი საქმიანობით დაკავებული, თუმცა ქორწინების მიმდინარეობისას მან ამაზე უარი თქვა და ბავშვების აღზრდით დაკავდა.¹³ გარდა ამისა, ეს ცვლილება სახეზეა ერთ-ერთი მეუღლის მძიმე დაავადებისას.¹⁴ **10**

დ) სამართლებრივი შედეგი

საქორწინო ხელშეკრულების ბათილობის სამართლებრივი შედეგია იმ პარადიგმის აღდგენა, რომელიც მეუღლეთა მოთხოვნილებებსა და ინტერესებს ყველაზე მეტად შეესატყვისება.¹⁵ **11**

⁹ BGHZ 29, 131.

¹⁰ BGH NJW 2015, 53.

¹¹ BGH NJW 2005, 139; BGH NJW 2005, 2390.

¹² BGH NJW 2005, 139.

¹³ BGH NJW 2013, 461.

¹⁴ BGH NJW 2008, 1080.

¹⁵ BGH NJW 2013, 383; BGH NJW 2015, 54.

- 12** საქორწინო ხელშეკრულებაზე დასაშვებია გარიგების საფუძვლის მოშლის ინსტიტუტის გამოყენება (398).

მუხლი 1177. საოჯახო ხარჯების განევის წესი

მეუღლეებს უფლება აქვთ საქორწინო ხელშეკრულებით განსაზღვრონ შემოსავლებში მონაწილეობის პირობები, თითოეულის მიერ საოჯახო ხარჯების განევის წესი და ქონება, რომელიც გადაეცემა თითოეულ მეუღლეს ქორწინების შეწყვეტისას.

იხ. 1176-ე მუხლის კომენტარი.

მუხლი 1178. საქორწინო ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობათა შეზღუდვა

საქორწინო ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები და მოვალეობები შეიძლება შეიზღუდოს განსაზღვრული ვადით ან და ამა თუ იმ პირობების დადგომით.

მიუხედავად არასტანდარტული ფორმულირებისა, მოცემული დანაწესი ეხება საქორწინო ხელშეკრულების გარკვეული ვადით ან პირობადებულად დადებას. გამომდინარე იქიდან, რომ საქორწინო ხელშეკრულებაზე ვრცელდება ზოგადი წესები გარიგებების შესახებ, ის შეიძლება იყოს გარკვეულ ვადაზე ან პირობაზე (90-ე და მომდევნო მუხლები) დამოკიდებულად დადებული.¹

1

¹ შენგელია, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1178, გვ. 137.

მუხლი 1179. მოვალეობები, რომელთა შეცვლაც საქორწინო ხელშეკრულებით დაუშვებელია

1. საქორწინო ხელშეკრულებით არ შეიძლება შეიცვალოს მეუღლეთა ურთიერთრჩენის მოვალეობა, მშობლების უფლება-მოვალეობანი შვილების მიმართ, საალიმენტო მოვალეობანი და – დავის შემთხვევაში – სასამართლოში მიმართვის უფლება.

2. ხელშეკრულებით ასევე არ შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ისეთი პირობები, რომლებიც მძიმე მდგომარეობაში აყენებენ ერთ-ერთ მეუღლეს.

I. ზოგადი 150

II. საქორწინო ხელშეკრულების შინაარსის კონტროლი 1179 I, II მუხლის საფუძველზე..... 150

 1. „დაცული ბირთვული სფეროს“ შესახებ მოძღვრება..... 151

 2. დამატებითი გარემოებები 153

I. ზოგადი

1 1179-ე მუხლი იმპერატიულად ანებს იმას, თუ რისი შეცვლა არ შეიძლება საქორწინო ხელშეკრულებით.¹ ეს არის: 1. მეუღლეთა ურთიერთრჩენის მოვალეობა; 2. მშობლების უფლება-მოვალეობანი შვილების მიმართ; 3. საალიმენტო მოვალეობანი და – დავის შემთხვევაში – სასამართლოსათვის მიმართვის უფლება (1179 I)

1179 II მუხლი არის ღია დათქმა, რომელიც სამართლის შემფარდებელს საშუალებას აძლევს პირველი ნაწილით გაუთვალისწინებელ შემთხვევებშიც კი არანამდვილად გამოაცხადოს საქორწინო ხელშეკრულება, თუ მიიჩნევს, რომ მისი პირობები მძიმე მდგომარეობაში აყენებს ერთ-ერთ მეუღლეს.

II. საქორწინო ხელშეკრულების შინაარსის კონტროლი 1179 I, II მუხლის საფუძველზე

2 განქორწინების შემდგომ წარმოშობილი მოთხოვნების არაიმპერატიულობამ არ უნდა გამოიწვიოს ამ განქორწინების სამართლებრივი

¹ შენგელია, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1179, გვ. 139.

შედეგების დაცვის მიზნის ჩაშლა.² 1179 I, II მუხლის მიხედვით, კერძო ავტონომიის ზღვარს ამ შემთხვევაში წარმოადგენს სამართლებრივი შედეგების იმგვარი მოწყობა, რომელიც მხოლოდ ცალმხრივად ანაწილებს ვალდებულებათა ტვირთს და ვერ იქნება გამართლებული ოჯახური ურთიერთობის თავისებურებით.³ ის წარმოადგენს დავალდებულებული მეუღლისათვის ისეთ ტვირთს, რომლის ზიდვა მას არ შეიძლება მოეთხოვოს.⁴ გადამწყვეტი დროითი მომენტი არის საქორწინო ხელშეკრულების დადების მომენტი.⁵

ამგვარი ცალმხრივად დატვირთვის დასაადგენად აუცილებელია ინდივიდუალური შემთხვევის მთლიანობაში შეფასება; განსაკუთრებით, შემოსავლებისა და ქონებრივი მდგომარეობის, დაგეგმილი თუ უკვე განხორციელებული ცხოვრების დონისა და ამ შეთანხმების გავლენისა მეუღლესა თუ შვილებზე.⁶ სუბიექტური თვალსაზრისით, გასათვალისწინებელია ხელშეკრულებით დასახული მიზანი და სხვა მამოძრავებელი მოტივები.⁷

3

1. „დაცული ბირთვული სფეროს“ შესახებ მოძღვრება

განქორწინებისას მეუღლისათვის მინიჭებულ პოზიციებზე უარი საქორწინო ხელშეკრულებაში უნდა შეფასდეს განქორწინების სამართლებრივი თანმდევი შედეგების კანონისმიერი სისტემატიკის ფარგლებში.⁸ ამგვარ შეფასებაში ყველაზე მეტს იწონის სარჩოს გადახდის მოთხოვნა ბავშვზე მზრუნველი მეუღლისათვის ან ქონების გაყოფის იმგვარი წესის შეთანხმება, რომლის შედეგებიც არასრულწლოვან შვილებზეც აისახება (1179 I, ვარ 1, 2): გამომდინარე იქიდან, რომ ბავშვის ინტერესებს ეხება საქმე, კანონისმიერი რეგულაციები ამ ნაწილში ყველაზე ნაკლებ დისპოზიციურია (1168), თუმცა სარჩოს სიდიდისა და ხანგრძლივობის მოდიფიკაციები (ასევე მთლიანი გამორიცხვა) არ არის

4

² BGH NJW 2015, 53.

³ *შენგელია*, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1179, გვ. 139.

⁴ BGH NJW 2004, 934; BGH NJW 2005, 138.

⁵ BGH NJW 1991, 914; NJW 2004, 935.

⁶ BGH NJW 2004, 935.

⁷ BGH NJW 2004, 935; BGH NJW 2013, 1360.

⁸ BGH NJW 2004, 930.

სრულებით შეუძლებელი, მაგალითად, იმ შემთხვევაში, როდესაც მეუღლებს არ აქვთ ბავშვის ყოლის სურვილი.⁹

- 5** გარდა ამისა, განქორწინების სამართლებრივი შედეგების ამ „ბირთვულ სფეროს“ განეკუთვნება სარჩოს გადახდის მოთხოვნა ასაკისა და დაავადებიდან გამომდინარე: ის ასევე მხოლოდ ნაწილობრივ ექვემდებარება მხარეთა დისპოზიციას.¹⁰ თუმცა, აქაც, მათზე უარის თქმა არ არის სრულებით გამორიცხული, თუ ქორწინება უკვე ხანშიშესულ ასაკში შედგა¹¹ ან უფლებაშეკვეცილ მეუღლეს თავადაც შესწევს უნარი ირჩინოს თავი ცხოვრების ბოლომდე.¹²
- 6** შემდგომ საფეხურებზე მოთავსებული სამართლებრივი პოზიციები უფრო მეტად ექვემდებარება დისპოზიციას. საქორწინო ხელშეკრულებით მათი გადახდის წესის შეცვლა თითქმის თავისუფლად არის შესაძლებელი. მაგალითად, სარჩო შემოსავლის არქონის გამო (1183).¹³ 1183-ე მუხლი წარმოადგენს დისპოზიციურ დანაწესს, თუ საქორწინო ხელშეკრულების დადების მომენტში მეორე მეუღლის მატერიალური სიდუხჭირე სავარაუდო არ ყოფილა.
- 7** „ბირთვულ სფეროს“ არ განეკუთვნება ქორწინების განმავლობაში შექმნილი საერთო ქონების გაყოფასთან დაკავშირებული წესები და ის ამ გაგებით ყველაზე მეტად ექვემდებარება სახელშეკრულებო დისპოზიციას.¹⁴
- 8** 1179 I მუხლით გათვალისწინებული შემთხვევა, ჩვეულებრივ, სახეზეა, როდესაც ბირთვულ სფეროს მიკუთვნებული რეგულაცია, მთლიანად ან ნაწილობრივ, გამორიცხულია მეუღლისათვის საკომპენსაციოდ დამატებითი სარგებლის მინიჭების¹⁵ (მაგალითად, სიცოცხლის და-

⁹ BGH FamRZ 2013, 195.

¹⁰ BGH NJW 2013, 457; BGH FamRZ 2017, 886.

¹¹ BGH NJW 2004, 934.

¹² BGH NJW 2005, 1372; BGH FamRZ 2017, 886.

¹³ BGH NJW 2005, 1372.

¹⁴ BGH NJW 2013, 457.

¹⁵ BVerfG NJW 2001, 959.

ზღვევის ხელშეკრულების დადება, საიდანაც მეუღლეს აქვს მოთხოვნის უფლება,¹⁶ მეუღლის საპენსიო ფონდში შენატანების განხორციელება¹⁷ და ა. შ.) ან ზოგადად რაიმე გამართლების გარეშე.¹⁸

2. დამატებითი გარემოებები

1179 II მუხლით მონესრიგებული შემადგენლობის დაშვებისათვის მხოლოდ ხელშეკრულების ობიექტური შინაარსი საკმარისი არ არის. აუცილებელია დამატებითი გარემოებების არსებობა. ეს შეიძლება ემყარებოდეს დარღვეულ პარიტეტს ქორწინების ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მოლაპარაკებებისას, როდესაც ერთი მეუღლეა დომინანტი, მაგალითად: მეორე მეუღლის მძიმე მდგომარეობის გამოყენება, მისი სოციალური ან ეკონომიკური დამოკიდებულება მეორე მეუღლეზე, ინტელექტუალური უპირატესობა.¹⁹

მძიმე მდგომარეობის გამოყენება განსაკუთრებით ხშირია განქორწინების სამართლებრივი შედეგების მომწესრიგებელი საქორწინო ხელშეკრულებების შემთხვევაში, მეუღლის ქორწინებამდე დაორსულების პირობებში. თუმცა ორსულობა არის მხოლოდ ერთი მითითება მეუღლის დაქვემდებარებულ მდგომარეობასა და ხელშეკრულებაში მეორე მეუღლის ინტერესების ცალმხრივად გათვალისწინებისათვის ფართო ასპარეზზე.²⁰ ქონებრივად არაპარიტეტული მდგომარეობის კომპენსაციას შეიძლება წარმოადგენდეს ის ფაქტი, რომ მეორე მეუღლე ფლობს პროფესიულ კვალიფიკაციას და ქორწინების განმავლობაში მას ექნება საკუთარი შემოსავალი, რომელიც მხოლოდ მას რჩება.²¹ მძიმე მდგომარეობა სახეზეა ასევე მაშინაც, როდესაც ერთ-ერთ მეუღლეს, მისი წარმომავლობის გამო, ემუქრება უცხოეთში ექსტრადიცია ან სხვა, რაიმე მსგავსი საფრთხის შემცველი ღონისძიება.²² იგივე შეი-

¹⁶ BGH NJW 2004, 936.

¹⁷ BGH NJW 2005, 1372.

¹⁸ BGH NJW 2004, 935.

¹⁹ BGH FamRZ 2013, 195; BGH FamRZ 2017, 887.

²⁰ BVerfG NJW 2001, 958; BVerfG NJW 2001, 2248.

²¹ BVerfG NJW 2001, 958; BVerfG NJW 2001, 2248; BGH NJW 2005, 2389.

²² BGH BeckRS 2018, 1591 Rn. 21.

ძლება ითქვას ხელშეკრულების მხოლოდ ქორწინების დღეს გამოჩენი-
სა და მასზე ხელის არმონერის შემთხვევაში ქორწინების ჩაშლით და-
მუქრებისას.

1179 II მუხლის შემთხვევის არსებობა შეიძლება განპირობებული იყოს ასევე მესამე პირთა ინტერესების ხელყოფით. მაგალითად, რჩე-
ნაზე უარის თქმა, თუ ეს ტვირთად დაანება სახელმწიფოს (სოციალუ-
რი დახმარება).²³ ასევე ბავშვის ინტერესების ხელყოფა მეუღლის რჩე-
ნაზე უარის თქმით.²⁴ ამორალურია, ასევე, მატერიალური საჭიროების
მქონე მეუღლის, რომელიც უცხოელია და მხოლოდ ქორწინების წყა-
ლობით მოიპოვა საქართველოში ბინადრობის უფლება, დახმარების
გარეშე დატოვება.²⁵

- 11** ამის საპირისპიროდ, ამორალურობა არ არის სახეზე, თუ მეუღლე-
ბი უარს ამბობენ ქორწინებაში შექცევის საერთო ქონებად ქცევასა
და შემდგომში მის გაყოფაზე, თუ ნათელია, რომ ერთ-ერთი მეუღლე
რეალურად ბევრს ვერაფერს ვერ შემატებს ამ საერთო ქონებას.²⁶

²³ BGH FamRZ 2009, თუმცა ამგვარი ხელყოფა არ არის სახეზე, თუ ორივე მეუღლე
სოციალურ დახმარებას იღებს, BGH NJW 2007, 904.

²⁴ BVerfG NJW 2001, 960.

²⁵ BGH NJW 2007, 908.

²⁶ BGH NJW 2008, 1076.

მუხლი 1180. საქორწინო ხელშეკრულების შეწყვეტა

1. საქორწინო ხელშეკრულება შეიძლება შეიცვალოს ან შეწყდეს ნებისმიერ დროს მეუღლეთა ურთიერთშეთანხმებით.

2. ცალმხრივი უარი საქორწინო ხელშეკრულებაზე დაუშვებელია.

3. საქორწინო ხელშეკრულება წყდება განქორწინებისას.

I. საქორწინო ხელშეკრულების შეწყვეტა

მეუღლეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე საქორწინო ხელშეკრულება ნებისმიერ დროს შეიძლება შეწყდეს ან შეიცვალოს, ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა ხელშეკრულება (შეცვლა/გაუქმების ხელშეკრულება).¹ ამ გაუქმების ან შეცვლის ხელშეკრულებისათვის აუცილებელია იმავე ფორმის დაცვა, რომელიც საქორწინო ხელშეკრულების დადებისათვის, კერძოდ, მისი წერილობითი ფორმით დადება და სანოტარო წესით დადასტურება (1174). ცალმხრივი უფლება საქორწინო ხელშეკრულების შეწყვეტისა, გასვლის ფორმით, არ არსებობს, თუმცა, რა თქმა უნდა, დასაშვებია ნების ნაკლის გამო შეცილება.

საქორწინო ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს გარკვეული ვადით, რომლის ამონურვის შემდეგაც ის შეწყდება (1178), თუმცა, ჩვეულებრივ, ეს შეწყვეტა ქორწინების დასრულებით ხდება.

II. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შეწყვეტა და განქორწინება

ზოგადი წესების თანახმად, მხარეთა ვალდებულება წყდება ხელშეკრულების შეწყვეტასთან ერთად. როგორც ზემოთ აღინიშნა, საქორწინო ხელშეკრულების საფუძველი შეიძლება იყოს მისი გაუქმება მხარეთა მიერ, რომელსაც 1180 III მუხლი ავსებს დამატებითი შეწყვეტის

¹ შენგელია, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1180, გვ. 140.

საფუძვლით – განქორწინებით. ამ შემთხვევაში საქორწინო ხელშეკრულების დამოუკიდებლად შეწყვეტის საფუძველი არ არსებობს - ის განქორწინების რეგისტრაციასთან ერთად ავტომატურად გაუქმებულად ითვლება და მასთან ერთად წყდება მისგან გამომდინარე ვალდებულებები. გამონაკლისს წარმოადგენს ის ვალდებულებები, რომლებიც გათვალისწინებული იყო საქორწინო ხელშეკრულებაში სწორედ განქორწინების შემთხვევისათვის:² მაგალითად, ვალდებულებები, რომლებიც უკავშირდება ქონების განაწილებას, ერთ-ერთი მეუღლის რჩენა და ა. შ.

² *შენგელია*, სკ-ის კომენტარი, *ჭანტურია* (რედ.), 2000, მუხ. 1180, გვ. 141

მუხლი 1181. საქორწინო ხელშეკრულების პირობების შეცვლა სასამართლოს მიერ

დაინტერესებული მეუღლის განცხადების საფუძველზე, პატივსაღები მიზეზების არსებობისას, სასამართლოს შეუძლია შეცვალოს საქორწინო ხელშეკრულების ის პირობები, რომლებიც უკიდურესად არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებენ ერთ-ერთ მეუღლეს.

1181-ე მუხლის მიხედვით, დასაშვებია, რომ სასამართლომ, დაინტერესებული მეუღლის განცხადების საფუძველზე, შეცვალოს საქორწინო ხელშეკრულება, კერძოდ, მისი ის პირობები, რომლებიც უკიდურესად არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ერთ-ერთ მეუღლეს. აუცილებელია, რომ ამის მიმართ მეუღლეს ჰქონდეს პატივსაღები ინტერესი.¹

1

პირველ რიგში, საკითხავია, თუ რა ტიპის შეცვლის უფლებას ითვალისწინებს მოცემული ნორმა, რადგან სამოქალაქო კოდექსი იცნობს ხელშეკრულების ცალკეული პირობების ბათილობისა თუ ტრანსფორმაციის სხვა ინსტრუმენტებსაც, როგორც არის, მაგალითად, ამორალური პირობის ბათილობა 54-ე მუხლის მიხედვით (როდესაც დანარჩენი ხელშეკრულება ძალაში რჩება 62-ე მუხლის მიხედვით) ან ხელშეკრულების მისადაგება 398-ე მუხლის შესაბამისად. კანონმდებლის მიზანი 1181-ე მუხლის შექმნით ვერ იქნებოდა ამ დანაწესების დუბლირება საოჯახო სამართალში, რადგან ეს ნორმები ისედაც მოქმედებენ საქორწინო ხელშეკრულების მიმართ. ამის საპირისპიროდ, მოცემული დანაწესი უნდა იქნეს გაგებული იმგვარად, რომ ის ანიჭებს მეუღლეს მისადაგების მოთხოვნის უფლებას იმაზე უფრო ნაკლები წინაპირობების საფუძველზე, რაც აუცილებელია 398-ე მუხლის მიხედვით მისადაგებისათვის. მაგალითად, იმ შემთხვევებში, როდესაც საერთოდ არ არის სახეზე გარემოების ცვლილება ან ორმხრივი წარმოდგენის გაცუდება, რაც წარმოადგენს აუცილებელ წინაპირობას 398-ე მუხლით მისადაგებისათვის. თუ 398-ე მუხლის მიხედვით ერთი მხარე ვერ გადაა-

2

¹ შენგელია, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1180, გვ. 142.

კისრებს მეორეს იმ რისკს, რომელიც მისი გამოსათვლელი და გასათვალისწინებელი იყო, ეს შეიძლება, გარკვეულ ფარგლებში, დასაშვები იყოს 1181-ე მუხლის მეშვეობით. პირობის ცვლილების ზღვარს წარმოადგენს 62-ე მუხლი.

თავი მეხუთე

მეუღლეთა ურთიერთრჩენის მოვალეობა

მუხლი 1182. სარჩოს მიღებაზე უფლებამოსილი პირი

მეუღლეები მოვალენი არიან მატერიალურად დაეხმარონ ერთმანეთს. ასეთ დახმარებაზე უარის თქმისას ან/და სარჩოს მიცემის შესახებ მეუღლეთა შორის შეთანხმების არარსებობისას სასამართლო წესით სარჩოს მიღების უფლება აქვთ:

ა) შრომისუუნარო მეუღლეს, რომელიც მატერიალურ დახმარებას საჭიროებს;

ბ) ცოლს ორსულობის პერიოდში და ბავშვის დაბადებიდან სამი წლის განმავლობაში.

I. ზოგადი	159
II. სარჩოს მოთხოვნის უფლება 1182 2 ა) მუხლი მიხედვით	160
1. წინაპირობები	160
2. სამუშაოს ვერპოვნა	161
III. მატერიალური დახმარების საჭიროება	162
1. შემოსავალი	162
2. ფიქტიური შემოსავალი	163
3. ქონება	164
IV. სარჩოს მოთხოვნის უფლება 1182 2 ბ) მუხლის მიხედვით	165
1. წინაპირობები	166
2. სარჩოს გადახდის მოთხოვნის გაგრძელება	166
V. კავშირი 1006-ე მუხლთან	167

I. ზოგადი

1182 1 მუხლში გამყარებულია მეუღლეთა მატერიალური ურთიერთდახმარების ვალდებულება.¹ ნებაყოფლობით დახმარებაზე უარის თქმის შემთხვევაში დახმარების საკითხს წყვეტს სასამართლო.

¹ შენგელია, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1182, გვ. 144.

II. სარჩოს მოთხოვნის უფლება 1182 2 ა) მუხლი მიხედვით

- 2** 1182 2 ა) მუხლის მიხედვით, როგორც ქორწინების, ისე განქორწინების შემდეგ (1183), შემოსავლის მქონე მეუღლე ვალდებულია არჩინოს მეორე მეუღლე, რომელიც ამ მატერიალურ დახმარებას საჭიროებს.² მართალია, დანანესი საუბრობს შრომისუუნარობაზე,³ თუმცა ეს ცნება ფართოდ უნდა განიმარტოს და მოიცვას არა მხოლოდ უნარის არარსებობით, არამედ, ასევე, სხვა გარეშე ფაქტორებით გამოწვეული უმუშევრობის შემთხვევებიც.
- 3** სარჩოს მოთხოვნის უფლება 1182 2 ა) მუხლის მიხედვით უკან იხევს ამავე ნაწილის მეორე ქვეპუნქტით სარჩოს მოთხოვნის წინაშე. ამიტომაც, თუ მეუღლეს ენიჭება სარჩოს მოთხოვნის უფლება 1182 2 ბ) მუხლით, 1182 2 ა) მუხლის შესაბამისად სარჩოს მოთხოვნა გამორიცხულია. თუმცა ეს ორივე მოთხოვნა კომბინირებადია იმ შემთხვევაში, როდესაც ცოლს მხოლოდ იმგვარი სამუშაოს პოვნა შეუძლია, რომელიც მის მატერიალურ მოთხოვნილებებს მხოლოდ ნაწილობრივ ფარავს.

1. წინაპირობები

- 4** 1182 2 ა) მუხლის მიხედვით, სარჩოს გადახდის წინაპირობაა ერთ-ერთი მეუღლის შრომისუუნარობა,⁴ რაც, როგორც ზემოთ აღინიშნა, უნდა განიმარტოს ფართოდ, კერძოდ კი, იმგვარად, რომ მოიცვას ასევე ზოგადად სამუშაოს ვერპოვნით გამოწვეული დაუსაქმებლობა, რადგან დანანესის მიზანია არა მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მეუღლის დახმარება, არამედ ზოგადად მეუღლეთა ურთიერთ-რჩენის ვალდებულების დანესება მაშინ, როდესაც ერთ მეუღლეს აქვს შემოსავალი, ხოლო მეორე მეუღლე, გარემოებებიდან გამომდინარე, ვერ ახერხებს თავის რჩენას.
- 5** ამგვარად, მოცემული ნორმის გამოყენების პირველი წინაპირობაა ის გარემოება, რომ სარჩენი მეუღლე ვერ პოულობს სამსახურს და არ

² შენგელია, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1182, გვ. 145.

³ შენგელია/შენგელია, საოჯახო სამართალი, მეორე გამოცემა, 2011, გვ. 189.

⁴ იქვე.

შეუძლია საკუთარი შემოსავლით თავის რჩენა. ლოგიკურად და დანა-
წესის მიზნიდან გამომდინარე, ეს გულისხმობს იმას, რომ მას ამგვარი
სამუშაო ჰქონდა ქორწინებამდე ან სამუშაოს შოვნა მისთვის ზოგადად
შეუძლებელია შეზღუდული შესაძლებლობის გამო. თუმცა, ცალკე
აღებული, მაგალითად, მეორე ხარისხის შშმ პირის სტატუსიც კი არ
შეიძლება იქნეს აპრიორი მიჩნეული მატერიალური დახმარების საჭი-
როების დამადასტურებელ საკმარის მტკიცებულებად.⁵

2. სამუშაოს ვერპოვნა

როგორც აღინიშნა, მოცემული დანაწესით მოცულია ასევე შემთხ-
ვევა, როდესაც მეუღლე ვერ პოულობს სამუშაოს. სამუშაოს „ვერპოვ-
ნა“ არ გულისხმობს მხოლოდ იმას, რომ მეუღლე (თუ ყოფილი მეუღ-
ლე) პასიურად ელოდება შესაბამისი შესაძლებლობის გამოჩენას, არა-
მედ აქტიურად ეძებს მას. მან უნდა იღონოს ყველაფერი, რასაც გააკე-
თებდა პირი, რომელსაც არ აქვს სარჩოს მოთხოვნის უფლება, რათა
გამოვიდეს დუხჭირი მდგომარეობიდან. არასაკმარისია მხოლოდ შესა-
ბამისი ვაკანსიების გადათვალიერება ან დასაქმებასთან დაკავშირე-
ბით განცხადების გახეთქი დაბეჭდვა. მან უნდა იაქტიუროს, რაც მოი-
ცავს დროებით არაანაზღაურებად (სტაჟიორის) შტატზე დათანხმება-
საც. თუ მისი მხრიდან სახეზე არ არის ამგვარი ანგარიშგასაწიფი აქ-
ტივობა, სარჩოს მოთხოვნის უფლება გამორიცხულია. ეს სახეზეა მა-
შინ, როდესაც ის საერთოდ პასიური რჩება ან შეგნებულად მოქმედებს
პოტენციური დამსაქმებლისათვის ცუდი შთაბეჭდილების შესაქმნე-
ლად (არასრული დოკუმენტაცია, გასაუბრებაზე არგამოცხადება, არა-
გონივრული ხელფასის მოთხოვნა), რათა ამით თავიდან აირიდოს და-
საქმება. მტკიცების ტვირთს ამ შემთხვევაში ატარებს სარჩოს მომთ-
ხოვნი,⁶ რაც მოიცავს ასევე დროებითი და მინისამსახურების პოვნის
შეუძლებლობის მტკიცებასაც.⁷ ამგვარად, სარჩოს მომთხოვნმა უნდა
დააკონკრეტოს და დაამტკიცოს, თუ რა ზომები მიიღო იმისათვის, რა-
თა ეშოვნა სამუშაო. განსხვავებული წესი მოქმედებს იმ შემთხვევაში,
თუ ზოგადად შრომითი ბაზრის ზედაპირული ანალიზიდანაც ნათელია,

6

⁵ სუსგ № ას-1076-1328-05, 2006 წლის 9 მარტი.

⁶ BGH NJW 1987, 899.

⁷ BGH FamRZ 2012, 517.

რომ მეუღლე მისი კვალიფიკაციით შესაბამის სამუშაოს ვერ იშოვნოდა.⁸ თუმცა, პირიქით, ზეკვალიფიციურობის არგუმენტი, რის გამოც მეუღლე უკუაგდებას გარკვეული ტიპის სამუშაოს შემოთავაზებას, არ გაითვალისწინება. თუ მეუღლე ვერ შოულობს სრულგანაკვეთიან სამუშაოს, მან არ უნდა ითაკილოს ნაწილობრივზე დათანხმება.⁹

7 რჩენის ვალდებულება არსებობს სამუშაოს ძიების მთლიანი პერიოდის განმავლობაში. ის არ არის კონკრეტული დროის მონაკვეთით შემოსაზღვრული.

8 თუ მეუღლე შოულობს ისეთ სამუშაოს, რომლითაც სრულად არ ძალუძს თავის რჩენა, **1182 2 ა)** მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნა გარდაიქმნება არასრული, დამატებითი სარჩოს მიცემის მოთხოვნად, შემოსავლის შესავსებად იმ ზღვრამდე, რომელიც საკმარისია საარსებოდ.

III. მატერიალური დახმარების საჭიროება

9 პირადი პასუხისმგებლობის პრინციპიდან გამომდინარე, მეუღლემ, ქორწინებაში თუ მის შემდეგ, პირველ რიგში, თავის რჩენისათვის საკუთარი შემოსავალი და ქონება უნდა გამოიყენოს და მხოლოდ ამის შეუძლებლობის შემთხვევაში მიმართოს მეორე მეუღლეს დასახმარებლად. ამიტომაც, არ არსებობს სარჩოს გადახდის მოთხოვნა **1182 2 ა)** და **ბ)** მუხლების მიხედვით მანამ, სანამ ხსენებული შემოსავალი და ქონება საკმარისია თავის რჩენისათვის.¹⁰

1. შემოსავალი

10 შემოსავლის ქვეშ იგულისხმება ყველა ის შემოსავალი, რომელიც მოაქვს მეუღლის შრომით თუ სამეწარმეო საქმიანობას. მათ შორის,

⁸ BGH FamRZ 2011, 1851.

⁹ OLG Köln FamRZ 2005, 458; BGH FamRZ 2012, 517.

¹⁰ *შენგელია*, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1182, გვ. 145.

ხელფასი, პრემიები ან სხვაგვარი გრატიფიკაცია.¹¹ ეს, მართალია, ნორმის სიტყვასიტყვითი გაგებიდან პირდაპირ არ გამომდინარეობს, თუმცა შეესატყვისება მის მიზანს.¹²

შემოსავალს განეკუთვნება ასევე მოგება ქონებიდან (პროცენტები, ქირა, დივიდენდები), მაშინაც კი, როდესაც მეუღლეს ეს ქონება მხოლოდ განქორწინების შედეგად ქონების გაყოფით ერგო.¹³ **11**

მესამე პირების მხრიდან ნებაყოფლობითი შემონირულობები ასევე განეკუთვნება შემოსავალს ზემოთ მოყვანილი გაგებით. ამის ქვეშ მოიაზრება არა მხოლოდ ფულადი საჩუქარი, არამედ ყოველგვარი მატერიალური ღირებულების მქონე შეღავათი, მაგალითად, საცხოვრისი, რომელსაც სთავაზობს პირი, რომელთანაც გადავიდა გაშორებული მეუღლე საცხოვრებლად.¹⁴ შემოსავალს განეკუთვნება სტიპენდიებიც, მაშინაც კი, როდესაც არ არსებობს მათი გადახდის იძულების წესით განხორციელებადი მოთხოვნა. **12**

სოციალური დახმარებები და სხვა შესრულებები სახელმწიფოს მხრიდან, ზოგადად, ასევე განეკუთვნება შემოსავალს.¹⁵ სახელმწიფო დახმარების ქვეშ მოაზრება, მაგალითად, ბინის მიცემა სახელმწიფოს მხრიდან, ბინის ქირის გადახდა და ა. შ.¹⁶ **13**

2. ფიქტიური შემოსავალი

ფიქტიური შემოსავალი სარჩენ პირს მხოლოდ მაშინ შეეარაცხება და გამოიქვეითება სარჩოს მიღების მოთხოვნიდან, თუ სარჩენი პირი ხელიდან უშვებს მისი მიღების შესაძლებლობას, მიუხედავად იმისა, რომ ეს მოეთხოვებოდა (იხ. ზემოთ).¹⁷ **14**

¹¹ OLG Brandenburg FamRZ 2012, 8.

¹² BT-Drs. 7/4361, 32.

¹³ BGH FamRZ 86, 441.

¹⁴ BGH NJW 1983, 683.

¹⁵ BGHZ 1983, 278; OLG Stuttgart FamRZ 1996, 415; OLG Hamburg FamRZ 1992, 1308.

¹⁶ BGH FamRZ 1980, 771; BGH 1982, 587.

¹⁷ BGH FamRZ 1993, 1304; BGH FamRZ 1988, 927.

3. ქონება

- 15** სარჩენმა პირმა სარჩოს მოთხოვნამდე საკუთარი მატერიალური მოთხოვნილებების დასაფარად უნდა გამოიყენოს თავისი ქონება. ქონების ქვეშ მოიაზრება ნებისმიერი ღირებულების მქონე საგანი, რომლის მესაკუთრეც ის არის და რომელიც მის განკარგულებაშია. წვრილმანი ნივთების (ტანსაცმელი, ბიჟუტერია და ა. შ.) რეალიზაცია საჭირო არ არის. ამ გაგებით, ქონებაში არ მოიაზრება „შავი დღისთვის“ გადანახული ფული ან სხვა ნივთები. ქონების შემადგენლობა უმნიშვნელოა; შეიძლება საქმე ეხებოდეს ერთ ან რამდენიმე ნივთს, ან ნივთთა ერთობას, ფულს, ან სხვა, ღირებულების მქონე ნივთებს. უმნიშვნელოა ასევე ქონების მოპოვების წყარო (მემკვიდრეობა, ჩუქება და ა. შ.).
- 16** ქონების რეალიზაცია არ უნდა იყოს ეკონომიკურად წამგებიანი. მაგალითად, სარჩენ პირს არ შეიძლება მოეთხოვოს აქციების გასხვისება ფინანსური კრიზისისას, რომელიც მნიშვნელოვანად ამცირებს მათ ღირებულებას, თუ სავარაუდოა, რომ უახლოეს მომავალში აქციების ღირებულება გაიზრდება. ასევე გამორიცხულია კოლექციის დანაწევრებისა და ცალ-ცალკე ნივთებად გაყიდვის მოთხოვნა, თუ კოლექცია ერთიანობაში გაცილებით მეტი ღირებულებისაა, მაგრამ მისი კლიენტი ჯერჯერობით არ ჩანს. ეკონომიკურად მოგებიანი სვლა ყოველთვის სარგებლობს უპირატესობით, მაშინაც კი, როდესაც მისი განხორციელება მეტ დროს მოითხოვს.¹⁸
- 17** რეალიზაცია არ უნდა იყოს უსამართლო, რაც იზომება ორმხრივი ეკონომიკური ინტერესების გათვალისწინებით. სარჩენს რეალიზაცია არ მოეთხოვება, თუ მეორე მეუღლეს მისი რჩენის ხარჯების დაფარვა მარტივად შეუძლია საკუთარი შემოსავლებიდან.¹⁹ იმ საკითხის დასადგენად, თუ რამდენად შეიძლება სარჩოს მომთხოვნს მოეთხოვოს ქონების რეალიზაცია, მნიშვნელობას იძენს ასევე ქონების წარმომავლობა. მაგალითად, ოჯახური რელიკვიები არ უნდა გასხვისდეს, თუ სახეზეა სხვა ქონებრივი ღირებულების მქონე საგნები ან მეორე მეუღლეს მარტივად შეუძლია რჩენის ხარჯების დაფარვა.

¹⁸ BGH NJW 1992, 1046; BGH NJW 1998, 754.

¹⁹ OLG Hamburg FamRZ 1996, 292; OLG Hamm FamRZ 2012, 1950.

ამგვარად, მეორე მეუღლის წინააღმდეგ მიმართული სარჩოს გადახდის მოთხოვნა მცირდება ან საერთოდ გამოირიცხებულია, თუ სარჩენს საკუთარი ქონებიდან და შემოსავლებიდან შეუძლია თავის რჩენა, რის ქვეშაც, როგორც ზემოთ აღინიშნა, მოიაზრება მათი რეალიზაციაც. **18**

IV. სარჩოს მოთხოვნის უფლება 1182 2 ბ) მუხლის მიხედვით

მოცემული დანაწესი სარჩოს მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად თანაბრად გამოიყენება როგორც ქორწინების პერიოდში, ასევე განქორწინების შემდეგ (იხ. 1183 მუხლის კომენტარი), თუმცა ის სწორედ ამ უკანასკნელ შემთხვევაში იძენს პრაქტიკულ მნიშვნელობას. მის შესაბამისად, ცოლს ორსულობის პერიოდში და ბავშვის დაბადებიდან სამი წლის განმავლობაში აქვს სასამართლო წესით სარჩოს მოთხოვნის უფლება.²⁰ **19**

ორსული ცოლისა და სამ წლამდე ასაკის ბავშვის დედისათვის სარჩოს გადახდის მოთხოვნა რანგით ჩამორჩება და უკან იხევს არასრულწლოვანი შვილისათვის სარჩოს გადახდის ვალდებულების წინაშე, თუმცა წინ უსწრებს ყველა სხვა საოჯახოსამართლებრივ რჩენის მოთხოვნას. **20**

გაუმართლებელია, მეუღლეს დაეკისროს 1182 ბ) მუხლით სარჩოს გადახდა ცოლის სასარგებლოდ, თუ ეს, ყოველთვიურ ხელფასთან ამ ვალდებულების თანაფარდობის გათვალისწინებით, გაართულებს არასრულწლოვანი შვილების საალიმენტო ვალდებულების შესრულებას. მაგალითად, თუ ცოლი მეუღლისგან ითხოვს ორი არასრულწლოვანი შვილის აღსაზრდელად, მათ სრულწლოვანებამდე, ყოველთვიური ალიმენტისა და უმცროსი შვილის დაბადებიდან სამი წლის განმავლობაში სარჩოს გადახდას. მართალია, ის წარმოადგენს 1182 2 ბ) მუხლით განსაზღვრული მოთხოვნის უფლებამოსილ პირს, თუმცა, თუ ცოლის რჩენის ვალდებულება გაართულებს შვილებისთვის ალიმენტის გადა- **21**

²⁰ *შენგელია*, სკ-ის კომენტარი, *ჭანტურია* (რედ.), 2000, მუხ. 1182, გვ. 146; *შენგელია/შენგელია*, საოჯახო სამართალი, მეორე გამოცემა, 2011, გვ. 191.

ხდას, რომელიც ისედაც მოპასუხის თვიური ხელფასის ნახევარს შეადგენს,²¹ ეს მოთხოვნა მას შეიძლება შემცირებული ოდენობით ან საერთოდ არ დაუკმაყოფილდეს.

1. წინაპირობები

22 მოთხოვნის გამოყენების წინაპირობაა ცოლის ორსულობა ან მეუღლეთა საერთო შვილის, მათ შორის, ნაშვილების, არსებობა, რომელზეც ზრუნავს დედა.²² არასაკმარისია შვილის არსებობა წინა ქორწინებიდან თუ წინარე ურთიერთობიდან. ამის საპირისპიროდ, უმნიშვნელოა, თუ როდის დაიბადა საერთო შვილი, ქორწინებამდე თუ ქორწინების შემდეგ. ამიტომაც, ეს დანაწესი მაშინაც კი გამოიყენება, როდესაც შვილი დაიბადა ქორწინებამდე ან საერთოდ განქორწინების შემდეგ. თუმცა ეს ნორმა არ მოქმედებს იმ შემთხვევაში, როდესაც ბავშვის ჩასახვა მხოლოდ განქორწინების შემდეგ მოხდა.²³ მოცემული დანაწესის გამოყენება უნდა გამოირიცხოს, თუ შვილი მხოლოდ იმიტომ ითვლება საერთო შვილად, რომ ქმარმა არ განაცხადა მამობის შეცდომის შესახებ.²⁴

2. სარჩოს გადახდის მოთხოვნის გაგრძელება

23 1182 2 ბ) მუხლის ანალოგიითა და ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპის საფუძველზე, რჩენის ვალდებულება უნდა გაგრძელდეს, თუ ის, ბავშვზე ზრუნვის ხასიათიდან და ქორწინების ხანგრძლივობიდან გამომდინარე, სამართლიანობას შეესაბამება. გერმანიაში ეს შემადგენლობა თავად კანონშია მოწესრიგებული (გსკ-ის 1570 II პარაგრაფი) და მას საფუძვლად უდევს გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განვითარებული არგუმენტი, რომ კონსტიტუციით უზრუნველყოფილი ოჯახის დაცვა განაპირობებს იმას, რომ დაქორწინებული ან განქორწინებული მშობელი უფრო უკეთეს

²¹ სუსგ № ას-131-131-2018, 2018 წლის 19 ივლისი, სუსგ № 3კ-1285-02, 2002 წლის 28 ოქტომბერი.

²² *შენგელია/შენგელია*, საოჯახო სამართალი, მეორე გამოცემა, 2011, გვ. 189.

²³ BGH NJW 1998, 1065.

²⁴ კერძოდ, ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც მამობის დადგენის სამოქალაქო აქტის ჩანაწერში ბავშვის მამად მითითებული პირი მისი ბიოლოგიური მამა არ არის (არსებობს მამობის დადგენის სამოქალაქო აქტის ბათილობის საფუძველი „სამოქალაქო აქტების შესახებ“ კანონის 39-ე მუხლის შესაბამისად).

მდგომარეობაში უნდა ჩავაყენოთ, ვიდრე დაუქორწინებელი მშობელი, საიდანაც გამომდინარეობს ასევე ქორწინების ფარგლებში გაჩენილი შვილების არაპირდაპირი პრივილეგირება.²⁵

V. კავშირი 1006-ე მუხლთან

1182-ე მუხლით მოთხოვნის შესაძლებლობა გაითვალისწინება **24** 1006-ე მუხლის მიხედვით წარმოშობილი ვალდებულების ფარგლების დადგენისას – გარდაცვლილის მეუღლე და შვილები წარმოადგენდნენ იმ პირებს, რომელთა რჩენაც გარდაცვლილს ევალებოდა. 1006-ე მუხლიდან წარმომდგარი სარჩოს გადახდის ვალდებულება წყდება გარდაცვლილი მარჩენალის მეუღლის დასაქმების ან ქორწინების შემდეგ.²⁶

პრობლემურია სასამართლო პრაქტიკა, რომელიც სარჩენი პირის **25** შრომისუნარიანობის მტკიცების ტვირთს დელიქტური მოთხოვნის მოვალეს აკისრებს და პასუხისმგებლობის თავიდან ასაცილებლად მოპასუხეს (დელიქტის ჩამდენს) ავალდებულებს იმის დამტკიცებას, რომ მარჩენალის მეუღლე ფლობდა რაიმე პროფესიას, ჰქონდა ობიექტური შესაძლებლობა, აღეზარდა არასრულწლოვანი შვილები და თან ემუშავა.²⁷ თუკი სარჩოს მომთხოვნს მეუღლესთან დავისას დაეკისრებოდა 1182-ე მუხლის წინაპირობების არსებობის დადასტურების ვალდებულება, ეს შედეგი არ შეიძლება შეიცვალოს, 1006-ე მუხლიდან გამომდინარე, ვალდებული პირის საუარესოდ. არ არსებობს მტკიცების ტვირთის განსხვავებული განაწილების აუცილებლობა: სარჩენი პირის ინტერესები უფრო მეტად არ იმსახურებს დაცვას, თუ ის სარჩოს არ იღებს, არა სხვა ნებისმიერი მიზეზის, არამედ მარჩენალის სხვისი მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედებით გარდაცვალების გამო.

²⁵ BVerfG NJW 2007, 1755.

²⁶ სუსგ № ას-889-839-2015, 2015 წლის 26 ნოემბერი.

²⁷ სუსგ № ას-786-753-2016, 2016 წლის 12 ოქტომბერი, სუსგ № ას-889-839-2015, 2015 წლის 26 ნოემბერი.

მუხლი 1183. შრომისუუნარო მეუღლის უფლება სარჩოზე

შრომისუუნარო მეუღლე, რომელსაც დახმარება სჭირდება მეუღლისაგან, სარჩოს მიღების უფლებას ინარჩუნებს განქორწინების შემდეგაც, თუ იგი შრომისუუნარო გახდა განქორწინებამდე, ან ერთი წლის განმავლობაში განქორწინების დღიდან.

- 1** განქორწინების შემდეგ მეუღლეს, რომელიც შრომისუუნარო გახდა განქორწინებამდე ან განქორწინებიდან ერთი წლის განმავლობაში, მეორე, შემოსავლის მქონე მეუღლემ უნდა გადაუხადოს სარჩო.¹ იხ. დეტალურად 1182-ე მუხლის კომენტარი.

¹ შენგელია, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1183, გვ. 147.

მუხლი 1184. რჩენის მოვალეობისაგან განთავისუფლება სასამართლოს მიერ

სასამართლოს შეუძლია გაათავისუფლოს მეუღლე რჩენის მოვალეობისაგან ან განსაზღვრული ვადით შეცვალოს ეს მოვალეობა, თუ მეუღლეები ქორწინებაში იმყოფებოდნენ ხანმოკლე დროით, ან-და მატერიალური დახმარების მომთხოვნმა მეუღლემ უღირსი საქციელი ჩაიდინა სარჩოს გადამხდელის მიმართ, აგრეთვე, თუ მატერიალური დახმარების მომთხოვნი მეუღლის შრომისუუნარობა გამონვეულია ალკოჰოლური სასმელების ან ნარკოტიკული ნივთიერებების გამოყენებით ან მის მიერ განზრახი დანაშაულის ჩადენით.

I. ზოგადი 169

II. ცალკეული შემადგენლობები 170

 1. ხანმოკლე ქორწინება, 1184 ვარ. 1 170

 2. უღირსი საქციელი, 1184 ვარ. 2 171

 3. საკუთარი ნებით გამონვეული სიდუხჭირე, 1184 ვარ. 3 172

 4. დანაშაული, 1184 ვარ. 4 173

I. ზოგადი

კანონმდებელი, მოცემული დანაწესის გათვალისწინებით, აღიარებს, რომ შეიძლება არსებობდეს შემთხვევები, როდესაც მეუღლეს უბრალოდ არ შეიძლება მოეთხოვოს სარჩოს გადახდა მეორე მეუღლისათვის („გაუმართლებელი შემთხვევები“).¹ აქაც, ისევე, როგორც მთლიან თავში, კანონმდებელი არ ასხვავებს ქორწინებაში და განქორწინების შემდეგ მოსათხოვ სარჩოს შორის, თუმცა 1184 ვარ. 1 მხოლოდ განქორწინების შემდეგ სარჩოს გადახდას ეხება.

1

1184-ე მუხლში ჩამოთვლილი შემთხვევები ერთიანდება სარჩოს გადახდის უსამართლობის ცნების ქვეშ.² ეს შემადგენლობები ამომწურავია, თუმცა, „უღირსი საქციელის“ ღია ცნების გამოყენებით, კანონმდებელი სამართლის შემფარდებელს უტოვებს ასპარეზს ნორმის ფართოდ განმარტებისათვის (იხ. ქვევით).

2

¹ *შენგელია/შენგელია*, საოჯახო სამართალი, მეორე გამოცემა, 2011, გვ. 193.
² *Brüdermüller*, in Palandt BGB Kommentar, 75. Aufl., 2016, § 1579, Rn. 1 ff.

- 3** სამართლებრივი შედეგის სახით დანაწესი ითვალისწინებს სარჩოს გადახდის საერთოდ გამორიცხვას ან მის დროითი ჩარჩოთი შემოზღუდვას.³ თუ რომელი შედეგი დგება, დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ხარისხით სრულდება კონკრეტული შემადგენლობა და გადანაცვტილებას ამასთან დაკავშირებით იღებს მოსამართლე. ამავდროულად, „გაუმართლებლობის შემადგენლობის“ აღმოფხვრა, ჩვეულებრივ, ყველაზე მსუბუქი სანქციით უნდა მოხდეს.⁴
- 4** ჩვეულებრივ, სანქცია არის სარჩოს სამომავლოდ დაკარგვა, თუმცა განსაკუთრებით მწვავე შემთხვევებში მას შეიძლება ჰქონდეს უკუქცევითი ძალაც.⁵

II. ცალკეული შემადგენლობები

1. ხანმოკლე ქორწინება, 1184 ვარ. 1

- 5** სარჩოს გადახდისაგან გათავისუფლების ან უვადო სარჩოს მაგივრად ვადიანის დანესების ოთხი საფუძვლიდან პირველია ხანმოკლე ქორწინება. ქორწინების დრო აითვლება დაქორწინებიდან განქორწინებამდე ან განქორწინების დავის წამონყებამდე, რომელიც, თავის მხრივ, შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს, თუმცა ქორწინების პერიოდს უკვე აღარ განეკუთვნება.⁶ ქორწინება ხანმოკლეა, თუ ის არ აჭარბებს სამ წელს.⁷ ეს ზღვარი არ არის აბსოლუტური.⁸ განსაკუთრებით ორიდან ოთხ წლამდე შუალედში, ყოველი ცალკეული შემთხვევის განსჯის შედეგად უნდა დადგინდეს, თუ რამდენად მიენდნენ მეუღლეები თავის ამ სტატუსს და გაითვალისწინეს ის ცხოვრების შემდგომი ეტაპის დაგეგმვისას.⁹ მნიშვნელობას იძენს ასევე მეუღლეთა ასაკი. თუ დაქორწინება ხდება უკვე ხანშიშესულ ასაკში, ამ შემთხვევაში, ხანმოკლე ქო-

³ *შენგელია*, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1184, გვ. 148.

⁴ *Brüdermüller*, in Palandt BGB Kommentar, 75. Aufl., 2016, § 1579, Rn. 1 ff.

⁵ BGH FamRZ 2004, 612.

⁶ *Brüdermüller*, in Palandt BGB Kommentar, 75. Aufl., 2016, § 1579, Rn. 7.

⁷ *Brüdermüller*, in Palandt BGB Kommentar, 75. Aufl., 2016, § 1579, Rn. 8.

⁸ BGH NJW 1981, 754; BGH NJW 1982, 2064.

⁹ OLG Celle FamRZ 1979, 708.

რწინების განმსაზღვრელი ზღვარი შეიძლება სამ წელზე ბევრად ნაკლები იყოს.¹⁰ ეს ზღვარი ზევით იწევს იმ შემთხვევაში, როდესაც ქორწინება მხოლოდ რჩენის მიზნით ხდება.

2. უღირსი საქციელი, 1184 ვარ. 2

1184 ვარ. 2 მუხლში მოცემული უღირსი საქციელი გულისხმობს მარჩენალი მეუღლის მძიმე შეურაცხყოფას. შეურაცხყოფად არ შეიძლება იყოს მიჩნეული გაუფრთხილებლობით ჩადენილი ქმედება. შეურაცხყოფას განეკუთვნება მრავალგზის ლალატი ქორწინების პერიოდში,¹¹ მაშინაც კი, როდესაც მის შედეგად არ წარმოიშობა ხანგრძლივი ურთიერთობა სხვა პირთან.¹² ამ უკანასკნელ შემთხვევაში თავისთავად ცხადად არის სახეზე ამ ტიპის შეურაცხყოფა,¹³ მაშინაც კი, როდესაც ურთიერთობა სექსუალურ ხასიათს არ ატარებს,¹⁴ მაგრამ მოცემული შემადგენლობის ცენტრალურ შემთხვევად მაინც ქორწინების განმავლობაში ხანგრძლივი დროით სექსუალური პარტნიორის გაჩენა რჩება, რაც მოიცავს ასევე განცალკევებით ცხოვრების პერიოდსაც.¹⁵ ქორწინების დამთავრების შემდეგ პარტნიორის გაჩენა უმნიშვნელოა, თუმცა შეიძლება ინვესტის ფიქტიური შემოსავლების გამოქვითვას (იხ. მუხ. 1182 მე-12 და მე-14 ველები).

6

1184 ვარ. 2 მუხლის ქვეშ ექცევა ასევე უმიზეზო უარი ოჯახურ თანაცხოვრებაზე,¹⁶ სექსუალურ ურთიერთობაზე,¹⁷ სხვისგან შეძენილი შვილების სარჩოს გადამხდელის შვილებად გასაღება,¹⁸ მარჩენალზე ან მის ნათესავებზე თავდასხმა, მაშინაც კი, როდესაც ის არაა მოცული

7

¹⁰ BGH NJW 1982, 823.

¹¹ *შენგელია*, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1184, გვ. 149.

¹² BGH FamRZ 1983, 670.

¹³ OLG Koblenz FPR 2002, 446:

¹⁴ KG FamRZ 1989, 868; KG FamRZ 1990, 407.

¹⁵ BGH NJW 1981, 1214; BGH NJW 1982, 2664.

¹⁶ BGH FamRZ 1990, 492.

¹⁷ OLG Hamm FamFR 1912, 347.

¹⁸ BGH NJW 1912, 1443.

ამ დანაწესის მე-4 ვარიანტით. 1184 ვარ. 2-ის გაგებით, უღირს საქციელად ითვლება ასევე მარჩინალის დამცირება მძიმე ბრალდებებითა და შეურაცხყოფებით.¹⁹

- 8** უღირსი საქციელი უნდა იყოს ცალმხრივი, რის გამოც, დანაწესის გამოყენება გამორიცხულია, თუ თავად სარჩოს გადამხდელსაც ზუსტად იმავე ტიპის ქმედება შეერაცხება სარჩენის წინაშე ან ეს ქმედება მისი თანაბრალეულობით იყო გამონწვეული (მაგალითად, სხეულის ორმხრივი დაზიანებები).

3. საკუთარი ნებით გამონწვეული სიდუხჭირე, 1184 ვარ. 3

- 9** სარჩოზე უარის ან მისი მხოლოდ გარკვეული ვადით მინიჭების საფუძველია საკუთარი ნებით გამონწვეული სიდუხჭირე (1184 ვარ. 3), კერძოდ, ალკოჰოლის ან ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარების გამო, რაც განვრცობაუნარიანია.²⁰ სარჩოს მოთხოვნის უფლების მქონემ, სულ მცირე, გაუფრთხილებლობით უნდა ჩაიგდოს თავი ისეთ მდგომარეობაში, როდესაც უკვე აღარ შეუძლია თავის რჩენა და მესამე პირის მხრიდან დახმარებაზე დაამოკიდებული. ნებაყოფლობით გამონწვევა უნდა ეხებოდეს თავის რჩენის უუნარობას; ის, ცალკე აღებული, არ გამომდინარეობს იქიდან, რომ მეუღლის საქციელმა გამოიწვია გაყრა ან თავად მეუღლე არის გაყრის ინიციატორი.
- 10** მოცემულ შემადგენლობას განეკუთვნება მოგების მომტანი საქმიანობის საკუთარი ნებით დათმობა,²¹ არსებული ან განქორწინების შემდეგ მინიჭებული ქონების ნებით გაფლანგვა,²² პროფესიული განათლების მიღებაზე უარის თქმა.²³ ამავე კატეგორიაშია განსახილველი ალკოჰოლისა და ნარკოტიკების მოხმარება²⁴, თუ პირი განზრახ არიდებს თავს მკურნალობას. თუმცა ეს უკანასკნელი გულისხმობს იმას,

¹⁹ OLG Brandenburg NZFam 2015, 1013.

²⁰ *შენგელია*, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1184, გვ. 149.

²¹ OLG Köln FamRZ 1985, 930.

²² OLG Karlsruhe FamRZ 1983, 506.

²³ OLG Hamburg FamRZ 1991, 445.

²⁴ BGH NJW 1981, 2805.

რომ სარჩენ პირს შესწევს ამ დამოკიდებულების გაცნობიერების უნარი.

ნორმა ანალოგიით უნდა გავრცელდეს შეგნებულად/გაუფრთხილებლობით დაინფიცირებისა და ავტოავარიების შემთხვევებზე. თუმცა ამ შემთხვევაშიც აუცილებელია, რომ სარჩოს მომთხოვნი პირი განზრახ არიდებდეს თავს თერაპიას, თუ ეს შეუძლებელია დაინფიცირებისგან გამონვეულ შეზღუდულ შესაძლებლობას და ბრალეული ავტოავარიისგან გამონვეული მატერიალური სიდუხჭირის საფრთხე თავიდანვე გათვლადი იყო. არასაკმარისია ყოფითი რისკები, რომლებიც თან ახლავს სპორტულ აქტივობას ან (ბრალის გარეშე თუ მსუბუქი გაუფრთხილებლობით გამონვეულ) ავტოსაგზაო შემთხვევებს.

11

4. დანაშაული, 1184 ვარ. 4

დანაშაულის დეფინიციისათვის აუცილებელია მისი სისხლისსამართლებრივი ცნების მოხმობა. მცდელობა ან თანამონაწილეობა საკმარისია. აუცილებელია ქმედების მთლიანობაში შეფასება და კონკრეტული შემთხვევის ყველა თავისებურების გათვალისწინება. რაც უფრო მჭიდრო კავშირია დანაშაულსა და საოჯახოსამართლებრივ ბმას შორის, მით უფრო მარტივია ამ შემადგენლობის შესრულება. სისხლისსამართლებრივი დანაშაული ჩადენილი უნდა იყოს მარჩენალის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ და ამ პირთაგან ერთ-ერთი უნდა დაზიანდეს დანაშაულის შედეგად. არ არის აუცილებელი, რომ ისინი მთავარი დაზარალებულები იყვნენ; ზიანის სიმძიმე გაითვალისწინება სამართლიანობის მოსაზრებებით ნაკარნახევი შეფასებითი მსჯელობისას. ქმედება უნდა იყოს ბრალეულად ჩადენილი.²⁵ არ არის აუცილებელი, რომ სარჩოს გადამხდელი უკვე გასამართლებული იყოს მის მიერ ჩადენილი ქმედების გამო. თუმცა, თუ სისხლისსამართლებრივი საქმე სასამართლომ უკვე განიხილა, გამოტანილ მსჯავრს მბოჭავი ძალა აქვს. მოყვანილი შემადგენლობის ქვეშ ექცევა: ტყუილი სასამართლოს

12

²⁵ BGH NJW 1982, 100.

წინაშე, განსაკუთრებით, თავად სარჩოსთან დაკავშირებული დავისას;²⁶ სხეულის დაზიანება,²⁷ სექსუალური ძალადობა პარტნიორის ან მისი შვილების მიმართ, მძიმე ხასიათის შეურაცხყოფა ან ბრალდება,²⁸ გამოძალვა²⁹ და ქურდობა,³⁰ რომელმაც ზიანი მიაყენა სარჩოს გადახდაზე ვალდებულ პირს. არასაკმარისია სხეულის მსუბუქი დაზიანებები ორმხრივი კამათისას.

²⁶ BGH NJW 1997, 1439.

²⁷ OLG Düsseldorf FamRZ 1983, 585.

²⁸ OLG Hamm FamRZ 1995, 808.

²⁹ KG FamRZ 1992, 571.

³⁰ OLG Hamm FamRZ 94, 168.

მუხლი 1185. სარჩოს ოდენობის განსაზღვრა

1. მეუღლის სასარგებლოდ გადასახდელი სარჩოს ოდენობა განისაზღვრება ყოველთვიურად გადასახდელი ფულადი თანხის სახით მეუღლეთა მატერიალური და ოჯახური მდგომარეობის გათვალისწინებით.

2. ერთ-ერთი მეუღლის მატერიალური ან ოჯახური მდგომარეობის შეცვლისას თითოეულ მეუღლეს აქვს უფლება სარჩელით მიმართოს სასამართლოს სარჩოს ოდენობის შეცვლის შესახებ.

I. ზოგადი	175
II. მატერიალური და ოჯახური მდგომარეობა, 1185 I	176
1. შუაზე გაყოფის პრინციპი.....	176
2. გამონაკლისები შუაზე გაყოფის პრინციპიდან	177
3. ქორწინებისას განეული დანახარჯების გამოკლება.....	177
4. მინიმალური სარჩო	178
III. ქორწინების დროს არსებული „ოჯახური მდგომარეობა“.....	178
IV. მატერიალური და ოჯახური მდგომარეობის გამოთვლის მომენტი და მისი ცვლილება, 1185 II.....	180

I. ზოგადი

როგორც ქორწინების განმავლობაში (1182 2 ა), ისე განქორწინების შემდეგ (1183), გადასახდელი ყოველთვიური სარჩოს ოდენობა მოიცავს მთლიან ყოფით, ცხოვრებისეულ ხარჯებს. მას არ განეკუთვნება საერთო შვილების რჩენის ხარჯები, რადგან ეს ცალკე საალიმენტო ვალდებულების საგანია. უმნიშვნელოა, წარმოადგენს თუ არა ეს ყოფითი ხარჯები ყოველდღიურ ხარჯებს თუ განსაკუთრებულ ხარჯებს (მაგ., მოტეხილი ფეხის მკურნალობა).¹

1

¹ BGH FamRZ 1983, 29; OLG Hamm FamRZ 1997, 296.

II. მატერიალური და ოჯახური მდგომარეობა, 1185 I

2 სარჩოს ოდენობა განისაზღვრება მატერიალური და ოჯახური მდგომარეობით.² ამაში, უმთავრესად, იგულისხმება ქორწინების პერიოდში არსებული მდგომარეობა, მაშინაც კი, როდესაც სარჩოს გადახდა განქორწინების შემდეგ ხდება (1183).³ ამიტომაც, პირველ რიგში, სწორედ ეს ქორწინებისას არსებული მატერიალური მდგომარეობა უნდა დადგინდეს, რათა შესაძლებელი იყოს ოჯახის ცხოვრების სტანდარტის განსაზღვრა. გადამწყვეტია მსგავსი ტიპის ოჯახის საშუალო სტატისტიკური სტანდარტი. მსგავსების დადგენისას აქცენტი კეთდება წევრთა რაოდენობასა და შემოსავალზე. თავად მსგავსების დადგენა კი აუცილებელია იმისათვის, რათა ამოსავალი არ იყოს ოჯახის ისეთი ინდივიდუალური მოთხოვნილებები, რომლებიც ყოველგვარ ნორმას აცდენილია. ამ სტანდარტის საფუძველზე უნდა დადგინდეს, თუ რა რაოდენობის თანხა ჰქონდათ მეუღლეებს ყოველთვიურად თავის სარჩენად. სწორედ ეს თანხა წარმოადგენს ამოსავალ კაპიტალს სარჩოს განსაზღვრისათვის გადამწყვეტი ცხოვრების სტანდარტის დასადგენად.

1. შუაზე გაყოფის პრინციპი

3 ის, რაც ერთ მეუღლეს ეკუთვნის სარჩოს სახით, არის, ჩვეულებრივ, ნახევარი იმ თანხისა, რომელიც ყოველთვიურად ორივეს განკარგულებაშია, რადგან, ზოგადად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გამართული ოჯახური თანაცხოვრების დროს მეუღლეები ერთმანეთს უყოფენ იმას, რაც აქვთ.⁴ თუმცა ამ პრინციპიდან დაიშვება იმდენი გამონაკლისი, რომ საბოლოო ჯამში პრაქტიკაში ის თავად წარმოდგება გამონაკლისად და მისი მკაცრად დაცვა მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც არც ერთი მეუღლე არ მუშაობს და არ ფლობს რაიმე შემოსავალს.⁵

² შენგელია, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1184, გვ. 149.

³ *Brüdermüller*, in *Palandt BGB Kommentar*, 75. Aufl., 2016, § 1578, Rn. 3.

⁴ განსხვავებით ქართული სასამართლო პრაქტიკისგან, რომელიც ყურადღებას მხოლოდ მარჩენალის ფინანსურ შესაძლებლობაზე ამახვილებს, სუსგ № 3კ-1285-02, 2002 წლის 28 ოქტომბერი.

⁵ BGH FamRZ 1981, 1166.

2. გამონაკლისები შუაზე გაყოფის პრინციპიდან

მთავარი გამონაკლისი შუაზე გაყოფის პრინციპიდან მდგომარეობს იმაში, რომ სასამართლო პრაქტიკით აღიარებულია ე. წ. „შემოსავლის მქონის ბონუსი“, რომლის მიხედვითაც, „ფულის შემომტან მარჩენალს“ უნდა დარჩეს იმაზე მნიშვნელოვნად უფრო მეტი, ვიდრე მეორე მეუღლესა თუ ყოფილ მეუღლეს.⁶

4

გარდა ამისა, სარჩოს განსაზღვრისათვის არ გამოიყენება ის შემოსავალი, რომელსაც მეუღლეები იყენებენ ქონების დაგროვებისათვის. ამ ფულის დაგროვება ხდება სარეზერვოდ და არ პოულობს გამომხატულებას შესაბამის დანახარჯებში. ამის გამო, ისინი არ განსაზღვრავენ ცხოვრების დონეს ქორწინების განმავლობაში. ამგვარი სარეზერვო კაპიტალის ქვეშ მოიაზრება დანახარჯები, აქციებში ან უძრავ ქონებაში დაბანდებული კაპიტალი, ასევე, სიცოცხლის დაზღვევა.⁷ თუმცა ეს არ მოქმედებს იმ ფულის მიმართ, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მისით დროში განგრძობადი სარგებლობა, მაგალითად, დანახარჯი საერთო სახლისათვის, მანქანისათვის ან საოჯახო ტექნიკისათვის. ამ შემთხვევაში დანახარჯი გამოიყენება ცხოვრების ხარისხის ასამაღლებლად და უნდა იქნეს გათვალისწინებული ასევე სარჩოს გამოთვლისას.

5

იმ შემთხვევებში, როდესაც ხანგრძლივი ორიენტირება ქორწინებაში არსებულ მდგომარეობაზე უსამართლო იქნებოდა, მაგალითად, ხანმოკლე (არა 1184-ე მუხლის გაგებით) ქორწინება, ქონებრივად რადიკალურად განსხვავებულ პირებს შორის, სარჩოს ოდენობა განისაზღვრება არა ქორწინებაში არსებული მატერიალური და ოჯახური მდგომარეობით, არამედ იმით, თუ რა შეესატყვისება სარჩენის ყოფით მოთხოვნილებებს.

6

3. ქორწინებისას განუღებელი დანახარჯების გამოკლება

შუაზე გაყოფის პრინციპიდან შემდეგ გამონაკლისს წარმოადგენს

7

⁶ BGH FamRZ 1989, 842; BGH FamRZ 1990, 503; BGH FamRZ 1991, 304; *შენგელია*, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1185, გვ. 150.

⁷ *Brüdermüller*, in Palandt BGB Kommentar, 75. Aufl., 2016, § 1578, Rn. 7; BGH NJW 92, 1045.

შემთხვევა, როდესაც განქორწინების შემდეგ გარკვეული დანახარჯების გაღება ზედმეტი ხდება. ეს შეიძლება იყოს ხარჯები საერთო მოგზაურობისათვის, საჩუქრები მეორე მხარის ნათესავებისათვის, ამ ნათესავების რჩენა და ა. შ. ასევე შემთხვევა, როდესაც ყოფილი მეუღლე უფრო ახლოს გადადის თავის სამუშაო ადგილთან და ამით სახლში დაბრუნების ხარჯები უქმდება. ასევე საერთო საცხოვრისად გამოყენებული უძრავი ქონების გადასახადი, რომელიც განქორწინების შემდეგ მხარეებმა გაყიდეს.⁸ ამ დროს დარჩენილი პოზიტიური სალდო ემატება გასაყოფ თანხას.

4. მინიმალური სარჩო

- 8 სარჩოს მიზმა ქორწინებაში არსებულ ოჯახურ მდგომარეობაზე ნიშნავს იმას, რომ არ ხდება დადგენა და ორიენტირება იმაზე, თუ რა წარმოადგენს სარჩენი, განქორწინებული მეუღლის პირველადი ყოფითი მოთხოვნილებების დამფარავ მინიმალურ სარჩოს.⁹ თუ ქორწინების დროს ოჯახური მდგომარეობა იყო იმგვარი, რომ ამ აუცილებელი მოთხოვნილებების დაფარვა გარანტირებული არ იყო, ეს ძალაში რჩება მისი დამთავრების შემდეგაც.

III. ქორწინების დროს არსებული „ოჯახური მდგომარეობა“

- 9 როგორც ზემოთ აღინიშნა, ის, თუ რა განეკუთვნება ქორწინების პერიოდში არსებულ ოჯახურ მდგომარეობას, განისაზღვრება ობიექტური შედარებით მსგავს სოციალურ პირობებში მყოფ სხვა ოჯახებთან. უმნიშვნელოა ოჯახური თანაცხოვრების მონაცემების ინდივიდუალური წესი, არამედ გადამწყვეტია, თუ როგორ ფუნქციონირებს მსგავსი შემოსავლის სტრუქტურს მქონე სხვა, საშუალო სტატისტიკური ოჯახი

⁸ OLG Hamm FamRZ 90, 886.

⁹ BGHZ 109, 72; BGH NJW 1995, 963.

და როგორ იკმაყოფილებს საკუთარ მოთხოვნილებებს.¹⁰ განსაკუთრებით მომჭირნე ან განსაკუთრებით მფლანგველი ცხოვრების სტილი ყურადღების მიღმა უნდა დარჩეს.

ქორწინების დროს არსებული „ოჯახური მდგომარეობა“ განისაზღვრება, ერთი მხრივ, შემოსავლებით და არსებული ქონებით, რამდენადაც ის უდევს საფუძვლად სარჩოს გამოთვლას (იხ. ზემოთ), და, მეორე მხრივ, გაღებული დანახარჯებით. გამომდინარე იქიდან, რომ სარჩოს განსაზღვრის გადანყვეტილება წარმოადგენს პროექციას იმ ურთიერთობებისა, რომლებიც გადამწყვეტი იყო ქორწინების განმავლობაში, არასაკმარისია იმის მტკიცება, რომ ეს ქონებრივი მდგომარეობა იარსებებდა ოდესმე, დროის აბსტრაქტულ მომენტში. ამის საპირისპიროდ, აუცილებელია, რომ ეს მდგომარეობა ოჯახური თანაცხოვრების განმავლობაში ყოფილიყო ხანგრძლივად არსებული.¹¹

შემოსავალი, რომლითაც იზომება ქორწინების განმავლობაში არსებული მატერიალური მდგომარეობა, არის ის მთლიანი შემოსავალი, რომელიც მეუღლეების განკარგულებაშია ოჯახური თანაცხოვრების პერიოდში, მათი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.¹² თუ ამ შემოსავალს მხოლოდ ერთი მეუღლე გამოიმუშავებს და მეორე მეუღლე ოჯახური მეურვეობის გაძღოლითაა დაკავებული, მაშინ შემოსავლის გამოსათვლელად გაითვალისწინება არა მხოლოდ გამომმუშავებელი მეუღლის ხელფასი, არამედ ასევე მეორე მეუღლის მხრიდან ამ „სახლის საქმეების“ გაძღოლის ღირებულება, რადგან მასაც შეაქვს წვლილი ცხოვრების არსებული სტანდარტის შენარჩუნებაში. სამეურნეო საქმეების შესრულების ღირებულების გამოთვლის სირთულეებს გერმანული სასამართლო თავიდან ირიდებს იმგვარად, რომ მისი ღირებულება განისაზღვრება იმის მიხედვით, რასაც იღებს ამ მეურნეობის გამძღოლი მეუღლე შემოსავლის სახით ქორწინების შემდეგ წამოწყებული საქმიანობით.¹³ თუ რა წყაროდან ხდება შემოსავლის მიღება, ზოგადად, უმნიშვნელოა (ქონების შემოსავალი, შემოსავალი საქმიანობიდან, შემოსავალი დაზღვევიდან¹⁴). გამოთვლისას არ გაითვალისწინება

¹⁰ *Brüdermüller*, in Palandt BGB Kommentar, 75. Aufl., 2016, § 1578 Rn. 7; BGH NJW 1983, 1733; BGH FamRZ 1997, 281; BGH FamRZ 07, 1532.

¹¹ BGHZ 89, 110; BGH FamRZ 1985, 161.

¹² BGH NJW 1982, 2439; BGH NJW 1983, 683.

¹³ BGH FamRZ 2004, 1173; BGH FamRZ 2003, 434; BGH NJW 2001, 2254.

¹⁴ OLG Hamm NJWE-FER 1998, 195.

შემოსავალი იმ საქმიანობიდან, რომლის წამოწყებაც მეუღლეებს არ შეიძლება მოეთხოვოთ (მაგალითად, ტაქსის მძღოლობა სრულგანაკვეთიანი სამუშაოსაგან თავისუფალ დროს, ღამის საათებში¹⁵), რადგან ის, ნებისმიერ დროს შეიძლება შეწყდეს და ვერ იქნება ოჯახის მატერიალური მდგომარეობის განმაპირობებელი ხანგრძლივი ფაქტორი.¹⁶

12 ასევე ფიქტიური შემოსავალი (იხ. მუხ. 1182 მე-14 ველი) ვერ იქნება გადამწყვეტი ოჯახური მდგომარეობის განსასაზღვრად.¹⁷ განსხვავებით მატერიალური საჭიროებისაგან (იხ. მუხ. 1182 მე-9 და მომდევნო ველები), მატერიალური მდგომარეობის გამოსათვლელად გადამწყვეტია რეალური მდგომარეობა და არა ის, თუ რა იარსებებდა, მეუღლეები ჯეროვნად რომ მოქცეულიყვნენ.

13 მოგების მომტანი საქმიანობიდან შემოსავალს უთანაბრდება სოციალური დახმარებების სახით მიღებული, რომელიც იკავებს მის ადგილს, ასევე მიზნობრივად გადახდილი სოციალური დახმარების თანხა (მაგალითად, ბინის ქირავნობის თანხა). ამის საპირისპიროდ, კერძო მესამე პირების შემონირულობები უმნიშვნელოა და არ გაითვალისწინება სარჩოს გამოთვლისას, თუ ისინი მხოლოდ შემონირულობის მიმღებებს ხმარდება. ამგვარ შემონირულობებს განეკუთვნება ასევე უპროცენტო სესხი.¹⁸

IV. მატერიალური და ოჯახური მდგომარეობის გამოთვლის მომენტი და მისი ცვლილება, 1185 II

14 1185 II მუხლის მიხედვით, ერთ-ერთი მეუღლის მატერიალური ან ოჯახური მდგომარეობის შეცვლისას, თითოეულ მეუღლეს აქვს უფლება სარჩელით მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს სარჩოს

¹⁵ შდრ. მაგალითისათვის OLG Schleswig FamRZ 1996, 217; OLG Stuttgart FamRZ 1995, 1487: ბავშვის აღზრდის გვერდით ნაკისრი დროებითი სამუშაო ან სხვა სრულგანაკვეთიანი სამუშაოს, რომელიც სრულად გაითვალისწინება შემოსავლის გამოთვლისას, გვერდით წამოწყებული დროებითი საქმიანობა.

¹⁶ BGH FamRZ 1983, 146; OLG München FamRZ 1996, 169.

¹⁷ Brüdermüller, in Palandt BGB Kommentar, 75. Aufl., 2016, § 1578, Rn. 6; BGH NJW 97, 735.

¹⁸ BGH FamRZ 2005, 967.

ოდენობის გადახედვა.

განქორწინების შემდეგ სარჩოს დანიშვნისას გადამწყვეტია ოჯახური მდგომარეობა, რომელიც არსებობდა განქორწინების მომენტში (გადანწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა),¹⁹ მაშინაც კი, როდესაც მას წინ უძღოდა განცალკევებით ცხოვრების ხანგრძლივი პერიოდი.²⁰

15

დროის ერთ კონკრეტულ მომენტზე მიბმა არადაამაკმაყოფილებელია იმდენად, რამდენადაც ოჯახური მდგომარეობის განმაპირობებელი შეიძლება იყოს ასევე სამომავლო ფაქტორები, რასაც ანგარიშს უწევს 1185 II მუხლი.²¹ ასევე, გერმანიის ფედერალური სასამართლოს პრაქტიკა ითვალისწინებს იმ სამომავლო გარემოებებს, რომელთა დადგომაც სავარაუდო იყო განქორწინების კანონიერ ძალაში შესვლის მომენტისათვის და განაპირობებდა ოჯახურ მდგომარეობას.²² შეცვლილ ოჯახურ მდგომარეობას ნებისმიერ შემთხვევაში განეკუთვნება ბავშვის რჩენის ხარჯების გაუქმება, რადგან ბავშვების გაზრდა და მოუკიდებელ პიროვნებად ჩამოყალიბება წარმოადგენს ბუნებრივ მოვლენას, რომელსაც ყველა მშობელი იღებს სათვალავში. იგივე წესი მოქმედებს გარკვეული ასაკის მიღწევასთან ერთად მომვლელის საჭიროების შემთხვევაში, ოღონდ მხოლოდ მაშინ, თუ ეს უკვე გაყრის მომენტისათვის იყო პროგნოზირებადი.²³ მატერიალური მდგომარეობის შეცვლის განმაპირობებელია ასევე კარიერული წინსვლა ან სამენარმეო საქმიანობის გაფართოება,²⁴ მაშინაც კი, როდესაც ის განქორწინების შემდეგ ხდება. წინაპირობაა მხოლოდ ის, რომ ეს წინსვლა შეესაბამება გარემოებათა პროგნოზირებად განვითარებას.²⁵

16

გასათვალისწინებელი ცვლილების ზღვარს წარმოადგენს იმგვარი გარემოებით განპირობებული ცვლილება, რომელსაც არაფერი აქვს

17

¹⁹ *Brüdermüller*, in Palandt BGB Kommentar, 75. Aufl., 2016, § 1578, Rn. 13 ff.; BGHZ 89, 108; BGH NJW 1982, 1869; BGH NJW 1987, 1555; OLG Hamm NJWE-FER 1998, 6; დავის გარეშე განქორწინების შემთხვევაში – განქორწინების რეგისტრაციის მომენტი „სამოქალაქო აქტების შესახებ“ კანონის 55-ე და მომდევნო მუხლების მიხედვით.

²⁰ BGH NJW 1981, 753.

²¹ *შენგელია*, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1185, გვ. 150.

²² BGH NJW 87, 1555; BGH NJW 1988, 2034; BGH NJW 1990, 3020.

²³ *Brüdermüller*, in Palandt BGB Kommentar, 75. Aufl., 2016, § 1578, Rn. 20.

²⁴ OLG Karlsruhe FamRZ 1988, 507.

²⁵ BGH NJW 1986, 720; OLG Nürnberg FamRZ 1985, 393.

საერთო ქორწინებასთან და არ არის მისით განპირობებული. ასეთ გარემოებებს განეკუთვნება მოულოდნელი დანინაურება.²⁶

²⁶ OLG Hamm FamRZ 2008, 1446.

მუხლი 1186. სარჩოს მიღების უფლების მოსპობა

მეუღლისაგან სარჩოს მიღების უფლება მოისპობა, თუ აღარ არსებობს 1182-ე და 1183-ე მუხლებით გათვალისწინებული საფუძვლები, აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ სარჩოს მიმღები მეუღლე ხელახლა დაქორწინდა.

1182-ე და 1183-ე მუხლებით გათვალისწინებული შემადგენლობის მოსპობასთან ერთად აღარ არსებობს არც სარჩოს გადახდის მოთხოვნა (1186 ვარ. 1). ამ დანაწესებში გათვალისწინებული წინაპირობების გაუქმებასთან ერთად სარჩოს მოთხოვნა უქმდება ავტომატურად, სამართლო გადაწყვეტილების გარეშე. მარჩენალს შეუძლია აღარ გადაიხადოს სარჩო შემდგომი პერიოდისათვის.

1

ხელახლა დაქორწინება ასევე წარმოადგენს სარჩოს მოთხოვნის გაუქმების საფუძველს (1186 ვარ. 2),¹ დამოუკიდებლად 1182-ე და 1183-ე მუხლებით გათვალისწინებული წინაპირობების არსებობისა. სარჩოს მოთხოვნის ეს გამაქარწყლებელი საფუძველი მოქმედებს უგამონაკლისოდ, ანუ სარჩოს მოთხოვნა მაშინაც კი უქმდება, როდესაც მეუღლე ორსულადაა ან საერთო შვილის დაბადებიდან არ გასულა სამი წელი (შდრ. 1182 ბ). მოცემული გადაწყვეტა არის პირადი პასუხისმგებლობის პრინციპის გაგრძელება. მეორე, ხელახალი ქორწინებით მეუღლე წყვეტს ყოველგვარ კავშირს წინა ქორწინებასთან და წინა მეუღლესთან და ვეღარ მიუთითებს ამ წინა ქორწინებით განპირობებულ რჩენის საჭიროებაზე.²

2

მუდმივი პარტნიორის გაჩენა არ უთანაბრდება 1186 ვარ. 2-ში გათვალისწინებულ საფუძველს. ეს შეიძლება გახდეს მხოლოდ სასამართლო წესით ამ მოთხოვნისაგან გათავისუფლების ან შემცირების საფუძველი (1184, 1185, იხ. ამ მუხლების კომენტარი).

3

¹ შენგელია, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1186, გვ. 151.

² იგივე ეხება 1006-ე მუხლიდან გამომდინარე სარჩოს გადახდის ვალდებულებას, სუსგ № ას-889-839-2015, 2015 წლის 26 ნოემბერი, იხ. მუხ. 1182 24-ე და მომდევნო ველი.

პარი მეორე

მშობლების, შვილებისა და სხვა ნათესავების ურთიერთობა

თავი პირველი

შვილების წარმოშობის დადგენა

მუხლი 1187. მშობლებისა და შვილების უფლება-მოვალეობათა წარმოშობის საფუძვლები

მშობლებისა და შვილების ურთიერთუფლება-მოვალეობებს საფუძვლად უდევს შვილების წარმოშობა, რაც დადასტურებულია კანონით დადგენილი წესით.

I. ზოგადი	184
II. საკუთარი წარმოშობის ცოდნის უფლება	185
III. მტკიცება პროცესზე	186
IV. დედობა	186

I. ზოგადი

1 1187-ე და მომდევნო მუხლები აწესრიგებენ შვილის წარმოშობის დადგენის წინაპირობებსა და წესს. დედა არის ქალი, რომელიც შობს შვილს.¹ მამობა წარმოიშობა ბავშვის დედასთან ქორწინების საფუძველზე (1189) ან აღიარებისა თუ სასამართლო წესით დადგენის გზით (1190).²

2 წარმომავლობას მნიშვნელობა აქვს ნათესაობრივი ურთიერთობების განსაზღვრისათვის (1197-ე და მომდევნო მუხლები). გარდა ამისა, წარმოშობა, როგორც სპეციალური ტიპის ნათესაური კავშირი, აფუძნებს მშობელსა და შვილს შორის ურთიერთობას³ და აქვს შედეგები,

¹ შენგელია, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1187, გვ. 154.

² იქვე.

³ შენგელია/შენგელია, საოჯახო სამართალი, მეორე გამოცემა, 2011, გვ. 197.

მაგალითად, ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის (20 II), რჩენის (1212-ე და მომდევნო), ბავშვის გვარისა (1195) და მშობლის ზრუნვის უფლებებთან მიმართებით.

II. საკუთარი წარმოშობის ცოდნის უფლება

პირის უფლება, იცოდეს საკუთარი წარმოშობის შესახებ, გამყარებული და დაცულია ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-8 მუხლით⁴ და გამომდინარეობს კონსტიტუციის მე-12, 9 I მუხლებიდან. მასთან შეუთავსებელია დანაწესები, რომლებიც საკუთარი წარმოშობის სასამართლო წესით დადგენის უფლებას ცოდნისაგან დამოუკიდებელ გამომრიცხავ ვადას უკავშირებენ.⁵ ამას ანგარიშს უწევს 1190 VII მუხლი. გარდა ამისა, 1190 II, III მუხლში მოწესრიგებულია ბავშვის, მამისა და დედის ყოვლისმომცველი უფლება, (დანარჩენი ორი პირის ნებისაგან) დამოუკიდებლად, სასამართლო წესით, მოითხოვოს გენეტიკური წარმომავლობის დადგენა.

შვილის უფლება, იცოდეს საკუთარი წარმომავლობა, შეიძლება წარმოშობდეს დედის მიმართ მოთხოვნის უფლებას, 1197 2 მუხლის ანალოგიით, ბიოლოგიური მამის ვინაობის დასახელებასთან დაკავშირებით.⁶ ამ უფლების გამოყენების მინიმალური ასაკი არ არსებობს.⁷ მისი გამოყენების წინაპირობაა ის გარემოება, რომ შვილის ინტერესები უნდა გადანონიდნენ დედის კონსტიტუციის მე-12, 9 I მუხლებით დაცულ უფლებას პირად სფეროზე; ამასთან, მოსამართლეს აქვს ფართო ასპარეზი განსჯისათვის.⁸ მართალია, მოჩვენებით მამას არ აქვს ამ ინფორმაციის მოთხოვნის უფლება დედისაგან იმ მიზნით, რომ შემდეგ შვილის რჩენისათვის გადახდილი ფული მოითხოვოს რეგრესის წესით ბიოლოგიური მამისაგან, მაგრამ შვილის შემთხვევაში წინა პლანზე

⁴ იხ. კონვენციის აღნიშნულ მუხლთან დაკავშირებით Guide on Article 8 of the European Convention on Human Rights, European Court of Human Rights, https://echr.coe.int/documents/guide_art_8_eng.pdf (02.10.2021).

⁵ BVerfGE 90, 263.

⁶ *Brudermüller*, in: Palandt, 74. Aufl. 2015, Vor. § 1591 Rn. 2.

⁷ *Löhnig*, *Anfechtung der Vaterschaft durch den leiblichen Vater*, NJW 2015, 1105.

⁸ *Eidenmüller*, *Der Auskunftsanspruch des Kindes gegen seine Mutter auf Benennung des leiblichen Vater*, JuS 1998, 789.

დგას არა ფინანსური ინტერესები, არამედ შვილის კონსტიტუციური უფლების უზრუნველყოფა.⁹ თუ ბავშვის ჩასახვა მოხდა ჰეტეროლოგიური განაყოფიერების გზით, შესაძლებელია 8 III მუხლიდან გამომდინარეობდეს მოთხოვნა რეპროდუქციული მედიცინის მუშაკის მიმართ სპერმის დონორის გამხელასთან დაკავშირებით; აქაც, ამ მოთხოვნის წაყენებისათვის მინიმალური ასაკი არ არსებობს.¹⁰ თუ ექიმისათვის შეუძლებელია ამ ინფორმაციის გაცემა, მაგალითად, შესაბამისი აქტების განადგურების გამო, შეიძლება სახეზე გვექონდეს მოთხოვნა მორალური ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით ზოგადი პიროვნული უფლების ხელყოფის გამო.

III. მტკიცება პროცესზე

- 5 სასამართლოს პროცესზე წარმოშობის მტკიცების ტვირთის საკითხი თამაშობს მნიშვნელოვან როლს, როგორც მამობის პოზიტიური მტკიცებისას, როდესაც უნდა დამტკიცდეს წარმომავლობა კონკრეტული პირისაგან, ასევე, მამობის ნეგატიური მტკიცებისას, როდესაც უნდა დამტკიცდეს, რომ კონკრეტული პირი არ არის შვილის ბიოლოგიური მამა.
- 6 იხ. დეტალურად მუხ. 1190, მე-17 და მომდევნო ველები.

IV. დედობა

- 7 დედად, 1187-ე მუხლის გაგებით, ითვლება მხოლოდ მშობელი ქალი.¹¹ კვერცხუჯრედის გაცემის შემთხვევაში, გადამწყვეტია ჩანასახის მატარებელი ორგანიზმი და არა ამ კვერცხუჯრედის გამცემი.¹² დედობის დადგენა მამობის დადგენის მომწესრიგებელი დანაწესების ანალოგიით დაუშვებელია.¹³

⁹ *Löhnig*, Vermögensbezogene Informationspflichten unter getrennt lebenden Ehegatten und vorzeitiger Ausgleich des Zugewinns bei vorzeitiger Aufhebung der Zugewinnsgemeinschaft, NZFam 2015, 359.

¹⁰ BGH NJW 2015, 1100.

¹¹ *შენგელია*, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1187, გვ. 154.

¹² BGH NJW 2018, 471.

¹³ BGH NJW 2018, 471: დაუშვებელია დედობის აღიარება.

დედობის შეცილება, განსხვავებით მამობის შეცილებისაგან, ასევე დაუშვებელია. დედობის დადგენა არაუკუქცევადია. კვერცხუჯრედის ან ემბრიონის გაცემის შემთხვევაში, იმ ქალსა და ბავშვს შორის, რომლის კვერცხუჯრედიდანაც წარმოიშვა ბავშვი, არ არსებობს დედაშვილური ურთიერთობა, გამომდინარე იქიდან, რომ გენეტიკური წარმოშობა არის მხოლოდ ფაქტი და არ წარმოშობს სამართლებრივ ურთიერთობას.¹⁴

8

¹⁴ *Gaul*, Die Neuregelung des Abstammungsrechts durch das Kindschaftsrechtsreformgesetz, FamRZ 1997, 1464.

მუხლი 1188. შვილის წარმოშობის დადგენა მამის გარდაცვალებისას

მამის გარდაცვალების შემთხვევაში ბავშვი დაქორწინებული მშობლებისაგან წარმოშობილად ჩაითვლება, თუ იგი დაიბადა მამის გარდაცვალებიდან არა უგვიანეს ათი თვისა.

I. მამობა ქმრის გარდაცვალების შემთხვევაში

- 1 ბავშვის დედასთან ქორწინებაში მყოფი გარდაცვლილი ქმარი, 1188-ე მუხლის მიხედვით, ითვლება ბავშვის მამად, თუ ეს ბავშვი დაიბადა მისი გარდაცვალებიდან არაუგვიანეს 10 თვისა.¹ მოცემული წესი არ მოქმედებს განქორწინების გზით ქორწინების გაუქმებისას. ეს განპირობებულია იმით, რომ, არსებული ქორწინებისას ქმრის გარდაცვალების შემთხვევაში, უფრო სავარაუდოა, რომ სწორედ ის იყოს ბავშვის მამა, ვიდრე უკვე ჩაშლილი ოჯახის შემთხვევაში, რაც წარმოადგენს განქორწინების წინაპირობას.

II. დედის ხელმეორედ დაქორწინება

- 2 თუ ბავშვის დედა ხელმეორედ დაქორწინდება ქმრის გარდაცვალებასა და ბავშვის დაბადებას შორის დროის მონაკვეთში, ამ შემთხვევაში 1188-ე მუხლის ტელეოლოგიური რედუქციაა აუცილებელია, რადგან ვარაუდი, რომ სწორედ გარდაცვლილია ბავშვის მამა, უკვე აღარ მოქმედებს. ბავშვის მამად ითვლება ახალი მეუღლე, რომელთან ქორწინების ფარგლებშიც დაიბადა ეს ბავშვი.

¹ შენგელია, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1188, გვ. 154.

მუხლი 1189. დაქორწინებული მშობლებისაგან შვილის წარმოშობის დადასტურება

შვილის წარმოშობა დაქორწინებული მშობლებისაგან დასტურდება მეუღლეთა ერთობლივი ან ერთ-ერთი მათგანის განცხადებით, ბავშვის დაბადებისა და მშობელთა ქორწინების დამადასტურებელი დოკუმენტებით.

I. მამობა.....	189
II. ბავშვის დაბადება ქორწინების ფარგლებში	189
III. ხელოვნური განაყოფიერება.....	190

იხ. დედობასთან დაკავშირებით 1187-ე მუხლის კომენტარი.

1

I. მამობა

მამობა, წარმოშობის სამართლის მიხედვით, შეიძლება ემყარებოდეს: 1. ქორწინებას ბავშვის მშობელ დედასთან (1189); 2. თუ მეუღლეები ერთმანეთთან დაქორწინებულნი არ არიან – მამობის აღიარებას (1190 1); 3. სასამართლო წესით მამობის დადგენას (1190 II-VI).

2

II. ბავშვის დაბადება ქორწინების ფარგლებში

წარმოშობის სამართლის მიხედვით, ბავშვი წარმოადგენს იმ მამაკაცის შვილს, რომელიც დედასთან ქორწინებაში იმყოფება,¹ თუ ბავშვი დაიბადა ამ ქორწინების განმავლობაში. უმნიშვნელოა, არის თუ არა ქორწინება გაბათილებადი ან მოგვიანებით რეალურად გაბათილდა.² უმნიშვნელოა, ასევე, ქორწინებამდელი ჩასახვა – ქორწინების განმავლობაში დაბადებული ბავშვი მაინც დედასთან დაქორწინებული მამაკაცის შვილად ითვლება. განქორწინების ან ქორწინების გაუქმების შემდეგ დაბადება არ წარმოშობს მეუღლე მამაკაცის მამობას, მაშინაც

3

¹ შენგელია, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1189, გვ. 155.

² OLG Jena FamRZ 2014, 579.

კი, თუ ბავშვის ჩასახვა ქორწინების განმავლობაში მოხდა, რადგან ამ შემთხვევაში ვერ იქნება გამორიცხული, რომ ბავშვი სხვა მამაკაცისაგან იყოს ჩასახული.

- 4** მამის გარდაცვალებით ქორწინების გაუქმებისას მოქმედებს 1188-ე მუხლი.

III. ხელოვნური განაყოფიერება

- 5** ქორწინების განმავლობაში, ჰომოლოგიური (მამის სპერმის მეშვეობით) განაყოფიერებით ჩასახვის შემთხვევაში, მოქმედებს ზემოთ მოყვანილი წესები.³ გარდა ამისა, ბავშვი წარმოადგენს დაქორწინებული მამის შვილს, მაშინაც კი, როდესაც ხელოვნური განაყოფიერებისას სხვა მამაკაცის სპერმა იქნა გამოყენებული (ჰეტეროლოგიური განაყოფიერება). ამ კატეგორიაში ექცევა ასევე შემთხვევები, როდესაც ეს განაყოფიერება არასტანდარტული სამედიცინო პროცედურის ფარგლებში ხდება, ექიმის მონაწილეობის გარეშე.⁴ ამ დროს მამობის შეცნობა გამორიცხულია.

³ *შენგელია/შენგელია*, საოჯახო სამართალი, მეორე გამოცემა, 2011, გვ. 201.

⁴ OLG Hamm NJW 2007, 3734; OLG Oldenburg FamRZ 2015, 67.

მუხლი 1190. ერთმანეთთან დაუქორწინებელი მშობლებისგან შვილის წარმოშობის დადგენა

1. ერთმანეთთან დაუქორწინებელი მშობლებისგან შვილის წარმოშობა დგინდება მშობელთა ერთობლივი განცხადებით და ბავშვის დაბადების დამადასტურებელი დოკუმენტით.

2. მშობელთა ერთობლივი განცხადების არარსებობის ან მისი წარდგენის შეუძლებლობის შემთხვევაში ბავშვის მამობა შეიძლება დადგინდეს სასამართლო წესით ერთ-ერთი მშობლის, ბავშვის მეურვის (მზრუნველის) ან იმ პირის განცხადების საფუძველზე, რომლის კმაყოფაზედაც იმყოფება ბავშვი, აგრეთვე თვით ბავშვის განცხადებით მის მიერ სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ.

3. ბავშვის მამობის დადგენის საკითხს სასამართლო წყვეტს ბიოლოგიური (გენეტიკური) ან ანთროპოლოგიური გამოკვლევის შედეგების (მტკიცებულებების) შესაბამისად, რომელიც შეეხება ბავშვის მამობის განსაზღვრის საკითხს.

4. თუ ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული საფუძვლით ბავშვის მამობის დადგენა შეუძლებელია, სასამართლო მხედველობაში იღებს ბავშვის დედისა და მამობის დადგენის შესახებ განმცხადებელი პირის (განცხადებაში მითითებული პირის) ერთად ცხოვრებასა და საერთო მეურნეობის წარმოებას ბავშვის

დაბადებამდე ან/და მათ მიერ ბავშვის ერთად აღზრდის ან/და რჩენის ფაქტებს, ანდა სხვა დამამტკიცებელ საბუთებს ან/და გარემოებებს, რომლებიც სავსებით ადასტურებს განცხადებაში მითითებული პირის მიერ ბავშვის მამობის აღიარებას.

5. (ამოღებულია – 20.12.2011, №5568).

6. ერთმანეთთან დაუქორწინებელი მშობლებისგან შვილის წარმოშობა კანონით განსაზღვრული წესით ასევე შეიძლება დაადგინოს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანომ პირის გარკვეულ დროსა და ვითარებაში დაბადების იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენისას.

7. პირს, რომელსაც აქვს დასაბუთებული ვარაუდი, რომ თვითონ არის ბავშვის მამა, შეუძლია სადავო გახადოს ამ მუხლის შესაბამისად სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში ბავშვის მამის შესახებ შესრულებული ჩანაწერი ერთი წლის განმავლობაში იმ დროიდან, როდესაც გაიგო ან უნდა გაეგო აღნიშნული ჩანაწერის თაობაზე.

8. სასამართლოს შეუძლია უარი თქვას ბავშვის მამობის დადგენაზე, თუ მისი დადგენა ეწინააღმდეგება ბავშვის ინტერესებს.

9. ამ მუხლით გათვალისწინებული წესით ბავშვის მამობის დადგენისას მშობლებისა და მათი ნათესავების მიმართ ბავშვებს აქვთ ისეთივე უფლებები და მოვალეობები, როგორც ერთმანეთთან დაქორწინებული მშობლებისგან წარმოშობილ შვილებს.

*საქართველოს 2004 წლის 24 ივნისის კანონი №179 - სსმ I, №19, 15.07.2004 წ., მუხ.79
 საქართველოს 2005 წლის 28 დეკემბრის კანონი №2626 - სსმ I, №3, 16.01.2006წ., მუხ.20
 საქართველოს 2010 წლის 1 ოქტომბრის კანონი №3657 - სსმ I, №53, 11.10.2010 წ., მუხ.341
 საქართველოს 2011 წლის 9 დეკემბრის კანონი №5445 – ვებგვერდი, 20.12.2011წ.
 საქართველოს 2011 წლის 20 დეკემბრის კანონი №5568 - ვებგვერდი, 28.12.2011 წ.*

I. ზოგადი	193
II. მამობის აღიარება, 1190 I	193
1. მამობის აღიარების სამართლებრივი ბუნება	193
2. თანხმობა	194
ა) დედის თანხმობა	194
ბ) ბავშვის თანხმობა.....	194
გ) ვადა	195
3. ქმედუნარიანობა	195
4. ფორმა	195
5. უფლების ბოროტად გამოყენება	195
6. არანამდვილობა.....	196
III. მამობის დადგენა სასამართლო წესით.....	196
1. 1190 II-VI მუხლის სისტემატიკა.....	196
2. მამობის სასამართლო წესით დადგენა, 1190 II-IV	197
ა) განმცხადებელი პირი	197
ბ) პროცედურა, 1190 III	198
3. მამობის დადგენა 1190 IV მუხლის მიხედვით	199
4. მამობის შეცილება, 1190 VII	201
ა) ამჟამინდელი (სამართლებრივი) მამის შეცილება.....	201

აა) შეცილების გამორიცხვა.....	202
ბბ) გამომრიცხავი ვადა	202
ბ) ბიოლოგიური მამის შეცილება	204
გ) დედის შეცილების უფლება	204
დ) ბავშვის შეცილების უფლება.....	206
5. შეცილების საფუძველი.....	206
6. გადანყევტილების მოქმედება	207
IV. ბავშვის ინტერესების დაცვის დათქმა, 1190 VIII.....	207

I. ზოგადი

მიუხედავად დამაბნეველი სათაურისა, 1190-ე მუხლი ეხება მამობის დადგენის საკითხს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მშობლები ერთმანეთთან დაქორწინებულნი არ არიან.¹ დედობის დადგენისათვის ძალაში რჩება 1187-ე მუხლი (იხ. ამ მუხლის კომენტარი). **1**

თუ ბავშვის დაბადების მომენტისათვის დედა არ იმყოფება ქორწინებაში ან 1187-ე და მომდევნო მუხლების საფუძველზე დადგენილი მამობის შეცილება მოხდა, მამობა შეიძლება დადგინდეს მისი აღიარების გზით 1190 I მუხლის საფუძველზე. აღიარების გარეშე მამობის დადგენის გზა არის სასამართლო წესით მისი დადგენა, 1190 II და მომდევნო ნაწილების მიხედვით. **2**

II. მამობის აღიარება, 1190 I

1. მამობის აღიარების სამართლებრივი ბუნება

როგორც ზემოთ აღინიშნა, მამობის აღიარების² საფუძველი არის 1190 I მუხლი. **3**

თავად აღიარება არის ცალმხრივი,³ ფორმასავალდებულო, არამიღებასავალდებულო პიროვნული გარიგება. ის არ შეიძლება მოხდეს ვადიანად ან პირობადებულად. მესამე პირის მიერ განხორციელებული **4**

¹ შენგელია, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1190, გვ. 156.

² შენგელია/შენგელია, საოჯახო სამართალი, მეორე გამოცემა, 2011, გვ. 205.

³ შენგელია, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1190, გვ. 157.

ალიარება განქორწინების პროცესის მიმდინარეობისას მერყევად ბათილია და ნამდვილი ხდება განქორწინების გადანყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლასთან ერთად.⁴ ალიარება შეიძლება მოხდეს უკვე ბავშვის დაბადებამდე და ასევე მისი გარდაცვალების შემდეგ.⁵ თუმცა პრენატალური (დაბადებამდელი) ალიარება ნამდვილი ხდება მხოლოდ ბავშვის დაბადების შემდეგ.⁶ ალიარება შეუძლია მხოლოდ მამაკაცს.

2. თანხმობა

ა) დედის თანხმობა

- 5** 1190 I მუხლის მიხედვით, მამის მხრიდან ალიარება საჭიროებს დედის თანხმობას („ერთობლივი განცხადება“⁷), რომელიც ამ შემთხვევაში მოქმედებს არა ბავშვის კანონისმიერი წარმომადგენლის, არამედ ე.წ. „საკუთარი უფლებამოსილებიდან“ გამომდინარე: ალიარება ეხება მის სამართლებრივ მდგომარეობას. თანხმობის ჩანაცვლება შეუძლებელია. მისი არგაცემის შემთხვევაში მამობის დადგენა შესაძლებელია მხოლოდ სასამართლო წესით (1190 II და მომდევნო ნაწილები). თანხმობის გაცხადება არ შეიძლება მოხდეს პირობადებულად ან მხოლოდ გარკვეული ვადით. ის არის პიროვნული გარიგება, არამიღებასავალდებულო და მისი გაცხადება შეიძლება ბავშვის დაბადებამდეც.

ბ) ბავშვის თანხმობა

- 6** 1190 I მუხლის ანალოგიით, ბავშვის თანხმობა მხოლოდ იმ შემთხვევებშია აუცილებელი, როდესაც დედას ჩამორთმეული აქვს ბავშვზე ზრუნვის უფლება (მაგ., ზრუნვის უფლება გადაცემული აქვს მეურვეს ან მზრუნველს) და მოიცავს ასევე მამის დადგენასაც. შვილის თანხმობა საჭიროა ასევე მაშინაც, როდესაც ის სრულწლოვანია („სამოქალაქო აქტების შესახებ“ კანონის 35 I მუხლი).

⁴ BGH NJW 2004, 1595.

⁵ BayObLG FamRZ 2001, 1544.

⁶ BGH FamRZ 2016, 1851.

⁷ შენგელია, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1190, გვ. 157.

შვილის თანხმობა აუცილებელია დედის თანხმობასთან ერთად. **7**

გ) ვადა

თანხმობის გაცემასთან დაკავშირებით რაიმე ვადა განწერილი არ არის. **8**

3. ქმედუნარიანობა

მამაკაცი, რომელიც აღიარებს მამობას, უნდა იყოს ქმედუნარიანი.⁸ **9**
შეზღუდულად ქმედუნარიანს მამობის აღიარება შეუძლია მხოლოდ კანონიერი წარმომადგენლის მეშვეობით. მხარდაჭერის მიმღებს ჭირდება მისი მხარდამჭერის თანხმობა.

4. ფორმა

მამობის აღიარება და დედის თანხმობა არის ფორმასავალდებულო **10**
და მოითხოვს წერილობით ფორმას, რადგან მხოლოდ ამ ფორმით არის შესაძლებელი მიმართვა აღიარების კომპეტენციის მქონე სახელმწიფო ორგანოსადმი (სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო, სამოქალაქო აქტების შესახებ კანონის 4 | ა) მუხლი, 31-ე მუხლი).

5. უფლების ბოროტად გამოყენება

115-ე მუხლის მიხედვით, უნდა გამორიცხოს მამობის აღიარების **11**
უფლების ბოროტად გამოყენება, რომელიც ხორციელდება მხოლოდ იმ მიზნით, რომ პირმა მოიპოვოს, მაგალითად, ქვეყანაში ცხოვრების უფლება ან სარჩო. უფლების ბოროტად გამოყენება გამორიცხულია, თუ ამდღარეული ბავშვის ბიოლოგიური მამაა.

⁸ შენგელია, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1190, გვ. 158.

6. არანამდვილობა

- 12** მამობის აღიარება არანამდვილია, თუ დარღვეულია ზემოთ მოყვანილი რომელიმე წინაპირობა. სხვა მხრივ, განზრახ ან შეცდომით განხორციელებული აღიარებაც ნამდვილია.⁹ ამით აღიარებას განსაკუთრებული მდგრადობა ენიჭება.
- 13** სხვა პირის მამობის პირობებში განხორციელებული აღიარება მერყევად ბათილია და ნამდვილი ხდება, თუ ქარწყლება ამჟამინდელი პირის მამობა, მაგალითად, შეცილების მეშვეობით.¹⁰

III. მამობის დადგენა სასამართლო წესით

- 14** მამობის სასამართლო წესით დადგენა მოწესრიგებულია 1190 II-VI მუხლში.¹¹

1. 1190 II-VI მუხლის სისტემატიკა

- 15** უფლებამოსილი პირის (1190 II, იხ. ქვემოთ) განცხადების საფუძველზე სასამართლო ადგენს ბავშვის მამობას, შესაბამისი გენეტიკური ექსპერტიზის დასკვნის ან ანთროპოლოგიური გამოკვლევის საფუძველზე (1190 III). თუ ამ მტკიცებულებების მეშვეობით მამობის დადგენა შეუძლებელია, სასამართლო მხედველობაში იღებს ისეთ ირიბ მტკიცებულებებს, როგორცაა განმცხადებელი პირის ბავშვის დედასთან თანაცხოვრება, საერთო მეურნეობა, ბავშვის აღზრდა, რჩენა და ა. შ. (1190 IV).¹²
- 16** მშობელთა ერთობლივი განაცხადის საფუძველზე (ხოლო დედის გარდაცვალების შემთხვევაში – მხოლოდ მამის განცხადების საფუძველზე) მამობის დადგენის კომპეტენცია აქვს ასევე სამოქალაქო აქტების

⁹ OLG Köln NJW 2002, 902.

¹⁰ OLG Frankfurt a. M. FamRZ 2016, 920.

¹¹ *შენგელია*, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1190, გვ. 158.

¹² *შენგელია*, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1190, გვ. 159.

რეგისტრაციის ორგანოს - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სამოქალაქო რეესტრის დეპარტამენტის ტერიტორიული სამსახურს (1190 VI, სამოქალაქო აქტების შესახებ კანონის 4 I ა) მუხლი, იუსტიციის მინისტრის № 462 ბრძანების 9 I ა.ა) მუხლი, იუსტიციის მინისტრის № 501 ბრძანების 2 I ა) მუხლი).

2. მამობის სასამართლო წესით დადგენა, 1190 II-IV

ა) განმცხადებელი პირი

ბავშვის მამობის სასამართლო წესით¹³ დადგენის მოთხოვნის უფ- 17
ლება აქვს მშობლებს (სამართლებრივი და არა ბიოლოგიური გაგე-
ბით), მეურვეს/მზრუნველს, პირს, რომლის კმაყოფაზეც იმყოფება ბა-
ვშვი და თავად ბავშვს, სრულწლოვანების მიღწევის მომენტიდან.¹⁴ თი-
თოეულ ამ პირს უფლება აქვს მოითხოვოს თანხმობა (100) სავარაუდო
მამისაგან გენეტიკური წარმომავლობის გამოკვლევის ფარგლებში გე-
ნეტიკური მასალის აღებასთან დაკავშირებით.

სარჩელის საგანი იდენტურად არ მიიჩნევა იმ შემთხვევაში, როდეს- 18
საც სრულწლოვანი პირი ითხოვს მამობის დადგენას მას შემდეგ, რაც
ეს საკითხი დედის მიერ უკვე უშედეგოდ იყო ინიცირებული.¹⁵ არასწო-
რია მამობის დადგენაზე სასამართლოს უარი იმაზე მითითებით, რომ
მოსარჩელე, სრულწლოვანი პირი, ვერ ასაბუთებს, რამ შეუშალა ხელი
გარდაცვლილს, დაედასტურებინა საკუთარი მამობა.¹⁶

მაშინაც კი, როდესაც სრულწლოვანი პირი პირველ (უშედეგოდ და- 19
სრულებულ) დავაშიც იყო ჩართული, საქმის განხილვის ახალ საფუძე-
ლად ითვლება მოგვიანებით გენეტიკური ექსპერტიზის ჩატარების შე-
საძლებლობა, მეცნიერული მიღწევების შედეგად. ეს გადაწყვეტა სა-
ბუთდება გენეტიკური ექსპერტიზის შესაძლებლობამდე გაჩენილი პი-
რების მოგვიანებით დაბადებულ პირებთან უფლებრივი გათანაბრების

¹³ *შენგელია/შენგელია*, საოჯახო სამართალი, მეორე გამოცემა, 2011, გვ. 207.

¹⁴ *შენგელია*, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1190, გვ. 159.

¹⁵ ასეთ შემთხვევაში მამობის დადგენაზე უართან დაკავშირებით იხ. სუსგ № ას-1045-980-2012, 2012 წლის 2 ოქტომბერი.

¹⁶ სუსგ № 3კ-272-02, 2002 წლის 10 მაისი.

მოსაზრებებით.¹⁷

- 20** 1190 II მუხლში მოხსენიებულია მხოლოდ სამართლებრივი მშობლები, ამიტომაც სავარაუდო გენეტიკური მამა (ბიოლოგიური მამა) ამ დანაწესის თანახმად მამობის დადგენას ვერ მოითხოვს, მან ჯერ უნდა გამოიყენოს მამობის შეცდომების პროცედურა 1190 VII მუხლის მიხედვით. ამის საფუძველი მდგომარეობს იმაში, რომ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის ისე დაადგენდა საკუთარ მამობას, რომ არ იკისრებდა ამასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს, განსაკუთრებით, რჩენის ვალდებულებას.¹⁸

ბ) პროცედურა, 1190 III

- 21** ბავშვის მამობის დადგენის საკითხს სასამართლო წყვეტს გენეტიკური ექსპერტიზის საფუძველზე,¹⁹ რაც გულისხმობს შემდეგი ტიპის დასკვნებს: ა) სისხლის ჯგუფის გამოკვლევა, რომელიც უკავშირდება სისხლის განსაზღვრული მახასიათებლების მემკვიდრეობითობას და იძლევა საშუალებას გამოირიცხოს კონკრეტული პირის მამობა, თუ ბავშვის სისხლში არ ფიქსირდება არც მისი და არც დედისათვის დამახასიათებელი ეს ნიშნები; ბ) HLA-დასკვნა იკვლევს სისხლის თეთრი უჯრედების ანტიგენს; გ) DNA-დასკვნა ანალიზს უკეთებს უჯრედის გარკვეული ბირთვული მოლეკულების სტრუქტურას; ამ უკანასკნელი მეთოდის საიმედოობის გამო, ყველა სხვა დანარჩენმა მეთოდმა დღესდღეობით მნიშვნელობა დაკარგა. უმნიშვნელოა მამის არგუმენტი, რომ დასკვნა, რომელიც ადგენს ნათესაურ კავშირს 99.9999%-იანი ალბათობით, მაინც ტოვებს ნათესაური კავშირის არარსებობის მცირე ალბათობას.²⁰
- 22** სარეზერვოდ გამოიყენება ასევე ანთროპოლოგიური მტკიცებულებები (კანის ფერი, ნაკვთები და ა. შ.)

¹⁷ სუსგ № ას-1045-980-2012, 2012 წლის 2 ოქტომბერი.

¹⁸ *Wellenhofer*, Das neue Gesetz zur Klärung der Vaterschaft unabhängig vom Anfechtungsverfahren, NJW 2008, 1188.

¹⁹ *შენგელია*, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1190, გვ. 160.

²⁰ სუსგ № ას-461-2019, 2019 წლის 26 ივლისი.

მამობის დადგენის მოთხოვნის ადრესატები, ზოგადად, ვალდებულნი არიან გასცენ თანხმობა გენეტიკურ ექსპერტიზაზე და ითმინონ გენეტიკური მასალების მათგან აღება. გერმანიისაგან განსხვავებით, სადაც თანხმობა შეიძლება ჩანაცვლდეს სასამართლოს განკარგულებით და აქვს იგივე მოქმედება, რაც უშუალოდ კონკრეტული პირის ნების გამოხატვას,²¹ ქართული კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ნიმუშების იძულებით აღების შესაძლებლობას ბიოლოგიური საექსპერტო კვლევისათვის, ამიტომ, ასეთ შემთხვევაში, სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის იმგვარად გადანაწილებით, რაც მოცემულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 169 IV მუხლში, კერძოდ, ამ დანაწესის მიხედვით, თუ მხარე არასაპატიო მიზეზით არ ასრულებს ექსპერტის მითითებებს ან სხვაგვარად ხელს უშლის ექსპერტიზის ჩატარებას, მონინაალმდევე მხარის პოზიცია ითვლება დადასტურებულად.²²

23

მასალის აღება უნდა მოხდეს მეცნიერების ზოგადად აღიარებული პრინციპების მიხედვით. მოთხოვნით მოცული არ არის გამოკვლევის გარკვეული სტანდარტის მიხედვით განხორციელება. ეს თავად მოთხოვნის მფლობელის ზრუნვის საგანია. ამგვარად, ის ვალდებულია წარადგინოს ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც შეესატყვისება სასამართლო ექსპერტიზის სტანდარტს.

24

ექსპერტიზაზე თანხმობა არ ექვემდებარება ხანდაზმულობას და არ არის კონკრეტულ ვადებზე მიბმული.²³ მისი მოთხოვნა შეიძლება მას შემდეგაც, რაც გავიდა მამობის შეცილების ვადა (1190 VII).

25

3. მამობის დადგენა 1190 IV მუხლის მიხედვით

რეალურად აქ საქმე ეხება მამობის არა აბსოლუტური სიზუსტით დადგენას, არამედ მხოლოდ პრეზიუმირებას: ჩამოთვლილი გარემოე-

26

²¹ OLG Jena NJW-RR 2010, 300. თანხმობის გაცემისას ბავშვს წარმოადგენენ მისი მშობლები ან დედა, OLG Koblenz NJW-RR 2013, 1351.

²² სუსგ № ას-593-561-2014, 2015 წლის 10 სექტემბერი.

²³ OLG Nürnberg FamRZ 2014, 1214.

ბების საფუძველზე, მაგალითად, იმის საფუძველზე, რომ პირი თანაცხოვრობდა ბავშვის დედასთან ამ ბავშვის ჩასახვის დროისთვის, ივარაუდება, რომ სწორედ ის არის მისი მამა.

27 მე-4 ნაწილით გათვალისწინებული ირიბი მტკიცებულებების აუცილებლობა დგება მხოლოდ მაშინ, როდესაც გენეტიკური და ანთროპოლოგიური ექსპერტიზა ცალსახა სურათს არ იძლევა. ამდენად, თუ გენეტიკური ექსპერტიზა კატეგორიულად გამორიცხავს პირებს შორის ნათესაურ კავშირს, **1190 IV** მუხლში მითითებული გარემოებების არსებობას მნიშვნელობა არ ენიჭება,²⁴ და, პირიქით, თუ გენეტიკურმა ექსპერტიზამ პირის მამობა დაადგინა, მხედველობაში არ მიიღება მამის მითითება იმაზე, რომ მოსარჩელეს არ დაუდასტურებია **1190 IV** მუხლით გათვალისწინებული გარემოებები.²⁵ ამ ექსპერტიზებით მეტ-ნაკლებად ცალსახა სურათის შექმნის შემთხვევაში, მოთხოვნის წამყენებელმა უნდა დაასაბუთოს დამატებითი მტკიცებულებების მოშველიების საჭიროება. ეს საჭიროება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში შეიძლება იყოს სახეზე. კერძოდ მაშინ, თუ ექსპერტიზა არასწორად ჩატარდა და ახალი ექსპერტიზის ჩატარება კი შეუძლებელია ან ამ ექსპერტიზის სანდოობის ხარისხი მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება სტანდარტად მიჩნეულს.²⁶ სხვა მტკიცებულებების კვლევის აუცილებლობის უარყოფა ან იმ ექსპერტის მოწვევასა და დაკითხვაზე სასამართლოს უარი, რომელმაც დასკვნა შეადგინა, არ შეიძლება შეფასდეს პროცესუალურ დარღვევად მამობის დადგენის პროცესში.²⁷

28 **1190 IV** მუხლი აქტუალურია განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც მოთხოვნილია გარდაცვლილი პირისგან წარმომავლობის დადგენა კანონისმიერი მემკვიდრის სტატუსის მისაღებად.²⁸ მოსარჩელემ

²⁴ სუსგ № ას-1061-1091-2011, 2011 წლის 13 ოქტომბერი.

²⁵ სუსგ № ას-1008-944-2012, 2012 წლის 24 სექტემბერი, რომლითაც უზენაესმა სასამართლომ დაუშვებლად ცნო ამ განმარტების შემცველ გადაწყვეტილებაზე შეტანილი საკასაციო საჩივარი.

²⁶ BGH FamRZ 2017, 222.

²⁷ იხ. სუსგ № ას-815-773-2013, 2014 წლის 10 თებერვალი, რომლითაც უზენაესმა სასამართლომ, სხვებთან ერთად ამ არგუმენტით, შეტანილი საკასაციო საჩივარი დაუშვებლად ცნო.

²⁸ მაგალითად, იხ. № ას-1825-1799-2011, 2012 წლის 3 თებერვალი.

მამობის დადგენა შეიძლება დააფუძნოს მოწმეთა ჩვენებებსა და წერილობით მტკიცებულებებს: მოსარჩელის დაბადების მოწმობას, საშუალო განათლების ატესტატს, დიპლომს, სადაც მამად მითითებულია მოსარჩელის მიერ დასახელებული პირი, პირად წერილებს, რომლებშიც სავარაუდო მამა მოსარჩელეს შვილად მოიხსენიებს.²⁹

4. მამობის შეცილება, 1190 VII

1190 VII მუხლი მამობის შეცილების უფლებით აღჭურავს პირს, რომელსაც აქვს დასაბუთებული ვარაუდი, რომ თვითონ არის ბავშვის მამა.³⁰ ეს ნორმა შეცილების კონტექსტში ახსენებს მხოლოდ მამობის პრეტენდენტს და არ ავრცელებს ამ უფლებას სხვა პირებზე, რომლებსაც ასევე შეიძლება ჰქონდეთ ინტერესი მამობის შეცილებასთან დაკავშირებით, კერძოდ, მაგალითად, ამჟამინდელ მამას, რომელიც 1189-ე მუხლის საფუძველზე გახდა მამა და ეჭვი ეპარება საკუთარ მამობაში და სურს მასთან ერთად რჩენის ვალდებულებისაგანაც გათავისუფლდეს. შეცილების ინტერესი შეიძლება ჰქონდეს ასევე თავად ბავშვსაც. გამომდინარე აქედან, აუცილებელია დანაწესის ექსტენსიური განმარტების/ანალოგიის გზით მისი მოქმედების (მამობის შეცილების უფლების მინიჭების) ამ პირებზეც გავრცელება.³¹

29

ა) ამჟამინდელი (სამართლებრივი) მამის შეცილება

პირს, რომელიც გვევლინება ამჟამინდელ (სამართლებრივ) მამად, შეუძლია განაცხადოს შეცილება 1190 VII მუხლი მიხედვით, თუ აქვს ეჭვი, რომ მამა რეალურად სხვა პირია. შეცილების უფლება არის პი-

30

²⁹ იხ. სუსგ № 720-682-2013, 2014 წლის 9 იანვარი, რომლითაც უზენაესმა სასამართლომ დაუშვებლად ცნო ამ განმარტების შემცველ განჩინებაზე შეტანილი საკასაციო საჩივარი.

³⁰ შენგელია, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1190, გვ. 160.

³¹ შდრ. გსკ-ის 1592-ე პარაგრაფი.

რადი უფლება (მისი გადაცემა ან დელეგირება დაუშვებელია), შეუძლებელია მასზე უარის თქმა³² და ის მემკვიდრეობით არ გადადის. შეზღუდულად ქმედუნარიანი მამის შეცილება მოითხოვს მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობას და შეცილება უნდა ემსახუროდეს მის კეთილდღეობას. მხარდაჭერის მიღების შემთხვევაში ნებას გამოხატავს მხარდამჭერი. შეცილების უფლების გამოიყენება შეიძლება წარმომადგენდეს უფლების ბოროტად გამოყენებას, თუ სამართლებრივმა მამამ, დიდი ხნის განმავლობაში ამ შეცილების დაყოვნებით (როდესაც შეცილების ვადის დენა გაჩერებული იყო), ნათელყო, რომ არ აპირებდა მისით სარგებლობას.

ა) შეცილების გამორიცხვა

31 სამართლებრივი მამის მხრიდან შეცილება გამორიცხულია, თუ ბავშვის ჩასახვა მოხდა ხელოვნური განაყოფიერების საშუალებით მესამე პირის სპერმით (ჰეტეროლოგიური ინსემინაცია) და არა მხოლოდ დედამ, არამედ ასევე მანაც თანხმობა გამოთქვა ამ პროცედურაზე. ეს თანხმობა არ საჭიროებს რაიმე სპეციალურ ფორმას.³³ ის განაყოფიერების მომენტამდე თავისუფლად არის გამოსმობადი.³⁴ ბავშვის შეცილების უფლება ამ შემთხვევაშიც უცვლელად არის ძალაში.

32 გამორიცხულია ასევე ბიოლოგიური მამის მხრიდან შეცილება, თუ სამართლებრივ მამასა და ბავშვს შორის არსებობს მჭიდრო სოციალური და ოჯახური კავშირი.³⁵

ბ) გამომრიცხავი ვადა

33 ერთნაირი გამომრიცხავი ვადის დენა იწყება იმ მომენტიდან, როდესაც ამჟამინდელ მამას უნდა გაეგო იმ გარემოებების შესახებ, რომლებიც მისი ბიოლოგიური მამობის სანაწინააღმდეგოდ მეტყველებენ. ეს

³² BGHZ 2, 137.

³³ BGH FamRZ 2015, 2136.

³⁴ Janzen, Das Kinderrechtverbesserungsgesetz, FamRZ 2002, 786.

³⁵ BGH NJW 2007, 1677; BVerfG FamRZ 2008, 2257.

ვადა ვერ დაინყება ბავშვის დაბადებამდე. ცოდნის მოპოვებისათვის აუცილებელია ზუსტი ცოდნა, ანუ არ უნდა რჩებოდეს ეჭვი იმასთან დაკავშირებით, რომ მამა სხვა პირია – მეუღლის ლაღატი, ბავშვის განსხვავებული კანის ფერი, შეუსაბამოდ ხანგრძლივი პერიოდი უკანაკნელ სექსუალურ კონტაქტსა და ბავშვის დაბადების დღეს შორის.³⁶ მხოლოდ ეჭვის ქონა სხვის მამობასთან დაკავშირებით საკმარისი არ არის.³⁷ შეცდომით იმის დაჯერება, რომ შეცილება არ არის საჭირო, უმნიშვნელოა.

შეცილების უფლების მქონემ უნდა მიუთითოს იმ გარემოებებზე, საიდანაც გამომდინარეობს მისი პირველადი ეჭვი სხვის მამობასთან დაკავშირებით და წარმოადგინოს მათი დამადასტურებელი მტკიცებულებები; მხოლოდ მითითება საკმარისი არ არის.³⁸ ეს ერთნაირი ვადა არ ემსახურება ბიოლოგიური მამის დაცვას მისი მამობის დადგენისა და სარჩოს გადახდევინებისაგან,³⁹ რის გამოც, მასზე აპელირების უფლება ბიოლოგიურ მამას არ გააჩნია. პირველადი ეჭვი ვერ დაეყრდნობა მალულად გაკეთებულ ექსპერტიზას, რადგან ეს, პირადი საიდუმლოების უფლების დარღვევასთან ერთად, წარმოადგენს პიროვნულობის უფლების დარღვევასაც.⁴⁰ ასევე დედის უარი დნმ-ანალიზის ჩატარებასთან დაკავშირებით ან უარი ჩატარებული ანალიზის მოწონებაზე ვერ დააფუძნებს ამ პირველად ეჭვს.⁴¹ განსხვავებულადაა საქმე, თუ დედა ამ ექსპერტიზის პასუხის სანაცვლოდ აღიარებს, რომ სხვა პირებთანაც ჰქონდა სექსუალური კავშირი, თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, მალულად ჩატარებული ექსპერტიზა ბავშვის წარმომავლობასთან დაკავშირებით არ განაპირობებს ცოდნას 1190 VII მუხლის გაგებით და ამ მომენტიდან არ იწყება ვადის ათვლა. სასამართლო ექსპერტიზა ვერ ჩაითვლება დაუშვებელ მტკიცებულებად მხოლოდ იმიტომ, რომ განპირობებულია თავდაპირველი „მალული“ ექსპერტიზით.⁴²

34

³⁶ BGH NJW 2006, 1735.

³⁷ BGHZ 24, 134.

³⁸ BGH NJW 1998, 2976.

³⁹ OLG Koblenz FamRZ 2015, 1121.

⁴⁰ *Rittner/Rittner*, Rechtsdogma und Rechtswirklichkeit am Beispiel so genannter heimlicher Vaterschaftstests, NJW 2005, 945.

⁴¹ BGH NJW 2005, 498.

⁴² BGH NJW 2006, 1659.

- 35** ერთნლიანი ვადა ჩერდება იმ შემთხვევაში, თუ სამართლებრივ მამას შეცილებაზე მართლსაწინააღმდეგო მუქარით აალებინეს ხელი. დაუძღვევლ ძალას არ წარმოადგენს და ვადას არ აჩერებს სამართლებრივი რეგულაციების არცოდნა.⁴³
- 36** აბსოლუტური გამომრიცხავი ვადა არ არსებობს.

ბ) ბიოლოგიური მამის შეცილება

- 37** ბიოლოგიური მამის მხრიდან შეცილება უშუალოდ არის მოწესრიგებული 1190 VII მუხლში. ბიოლოგიური მამა უნდა უთითებდეს იმ გარემოებაზე, რომ ბავშვის ჩასახვის პერიოდში სწორედ მას ჰქონდა ბავშვის დედასთან სექსუალური ურთიერთობა. შეცილების უფლება, ზოგადად, აქვს ასევე სპერმის დონორსაც⁴⁴, თუმცა მას ეს უფლება არ აქვს, თუ ეს გამორიცხულია დონაციის ხელშეკრულებით.⁴⁵
- 38** გარდა ამისა, შეცილება გამორიცხულია, თუ ბავშვსა და სამართლებრივ მამას შორის არსებობს სოციალური და ოჯახური კავშირი ან ეს კავშირი სახეზე იყო მისი გარდაცვალების მომენტისათვის.⁴⁶ მტკიცების ტვირთს ამ სოციალური და ოჯახური კავშირის არარსებობისათვის ატარებს შემცილებელი. სამართლებრივ მამასთან სოციალური და ოჯახური ბმის არსებობის პირობებში, ბიოლოგიური მამის შეცილების უფლება მაშინაც კი გამორიცხულია, როდესაც მსგავსი ბმა მასაც აკავშირებს ბავშვთან.⁴⁷ შეცილების ვადასთან დაკავშირებით იხ. ზემოთ.

გ) დედის შეცილების უფლება

- 39** 1190 VII მუხლის ანალოგიით, ბავშვის დედას შეცილების უფლება აქვს ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც მამას ექნებოდა შეცილების უფლება. ბავშვის თანხმობა აუცილებელი არ არის, ისევე, როგორც არ

⁴³ BGH NJW 1975, 1466.

⁴⁴ BGH NJW 2013, 2589

⁴⁵ BGH NJW 2013, 2591.

⁴⁶ BVerfG FamRZ 2015, 817; BGH NJW-RR 2018, 68.

⁴⁷ BGH FamRZ 2018, 277.

არის აუცილებელი, რომ შეცილება ბავშვის ინტერესებს ემსახურებოდეს; შეცილება წარმოადგენს დედის საკუთარ უფლებას. რაც შეეხება ერთწლიანი ვადის დაწყებას,⁴⁸ შეცილების უფლების არსებობის გაცნობიერების შესაძლებლობისათვის („გაიგო ან უნდა გაეგო“) საკმარისია ერთჯერადი ექსტრამარიტალური სექსუალური კონტაქტი ისეთ პერიოდში, როდესაც შესაძლებელია ჩასახვა.

1188-ე მუხლის მიხედვით დადგენილი მამობა არ ქმნის განსხვავებულ მტკიცებით სტანდარტს დედის შეცილების მიზნებისთვის. ამდენად, შვილის დედის მეუღლისგან წარმომავლობის პრეზუმფცია არ შეიძლება გახდეს მტკიცების ტვირთის შეტრიალებაზე უარის თქმის საფუძველი (სსკ-ის 169 IV მუხლი), თუ სამართლებრივი მამა უარს ამბობს გენეტიკური ექსპერტიზის ჩატარებაზე. დედის მეუღლისგან შვილის წარმომავლობის ვარაუდის უშუალო სამართლებრივი შედეგი არის ის, რომ მამობის შესახებ ჩანაწერისთვის ერთ-ერთი მეუღლის განცხადება საკმარისია (მამობის დადგენის სიმარტივე, 1188) და არა მტკიცებითი პროცესის შემცილებელი დედისთვის გაუმართლებლად დამძიმება (მამობის შეცილების გართულება). გადანყვეტის არაგონივრულობას წარმოაჩენს ისიც, რომ შემცილებელ სამართლებრივ მამასაც მოუწევდა პრეზუმფციის გაქარწყლება, რომელიც ამ შემთხვევაში მის საწინააღმდეგოდ იმოქმედებდა. ამიტომ უზენაესი სასამართლო არასწორად უთითებს იმაზე, რომ გენეტიკურ ექსპერტიზაზე სამართლებრივი მამის მიერ უარის თქმისას მტკიცების ტვირთის სსკ-ის 169 IV მუხლის მიხედვით შეტრიალების წინაპირობა დედისა და სამართლებრივ მამას შორის ქორწინების არარსებობაა.⁴⁹ სსკ-ის 169 IV მუხლის მიზანი მხარის პოზიციის გაუთვალისწინებლობაა, როდესაც ის სამართალწარმოების პროცესს ხელს უშლის. ეს დანიშნულება უგულვებელყოფილი იქნებოდა, თუ სამართლებრივი მამისთვის არანაირი ნეგატიური შედეგი არ დადგებოდა და მას, ფაქტობრივად, გენეტიკურ ექსპერტიზაში მონაწილეობაზე უარის თქმის უფლება მიენიჭებოდა მხოლოდ იმიტომ, რომ ის დედასთან ქორწინებაში იმყოფება. 1188-ე

40

⁴⁸ იხ. სუსგ № ას-85-81-2017, 2017 წლის 27 ოქტომბერი, სადაც ერთწლიანი ვადის გასვლის გამო შეცილების უფლების მოსპობა სასამართლოს ყურადღების მიღმა დარჩა და მამის ჩანაწერის ცვლილებაზე მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა სხვა, გაუგებარი არგუმენტების მოშველიებით.

⁴⁹ სუსგ № ას-85-81-2017, 2017 წლის 27 ოქტომბერი, საპირისპირო გადანყვეტისთვის იხ. სუსგ № ას-593-561-2014, 2015 წლის 10 სექტემბერი.

მუხლი ემსახურება არა დედის მეუღლის საპროცესოსამართლებრივ პრივილეგირებას, არამედ მის ავტომატურად მამად რეგისტრაციას, ზედმეტი დოკუმენტაციის წარდგენისა და კვლევა-ძიების გარეშე.

დ) ბავშვის შეცილების უფლება

41 1190 VII მუხლის ანალოგიით, ასევე ბავშვსაც აქვს მამობის შეცილების უფლება, რომლის დამოუკიდებლად გამოყენებაც შეუძლია სრულწლოვანების მიღწევასთან ერთად. მანამდე შეცილების უფლება აქვს მხოლოდ მის წარმომადგენელს, თუმცა ეს წარმომადგენელი არ შეიძლება იყოს სამართლებრივი მამა ან მასთან დაქორწინებული დედა.⁵⁰ ამის საპირისპიროდ, კანონისმიერი წარმომადგენელი შეიძლება იყოს ერთპიროვნული მზრუნველობის უფლების მქონე დედა, რომელიც არ არის სამართლებრივ მამასთან დაქორწინებული.

42 ერთწლიანი გამომრიცხავი ვადა მოქმედებს ასევე ბავშვის მიერ გაცხადებული შეცილების შემთხვევაში.⁵¹ არასრულწლოვანი ბავშვის შემთხვევაში გადამწყვეტია იმ კანონიერი წარმომადგენლის მიერ ცოდნის მოპოვება, რომელსაც უფლება აქვს იყოს მისი წარმომადგენელი შეცილების პროცესზე.⁵² თუ კანონიერმა წარმომადგენელმა დროულად არ განაცხადა შეცილება, მაშინ შეცილების უფლება აქვს თავად ბავშვს სრულწლოვანების მიღწევასთან ერთად. ერთწლიანი ვადა გამოითვლება სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ შეცილების მომნიჭებული გარემოებების შესახებ ცოდნის მოპოვებიდან.

43 ერთწლიანი ვადის დენა შეიძლება დაიწყოს ხელმეორედ, მას შემდეგ, რაც ბავშვი მოიპოვებს ცოდნას იმ გარემოებების შესახებ, რომლებიც არსებულ მამობას ყოვლად მიუღებლად წარმოაჩენენ, მაგალითად, სამართლებრივი მამის მძიმე დანაშაული ბავშვის წინაშე.

5. შეცილების საფუძველი

⁵⁰ BGH FamRZ 2012, 859.

⁵¹ შდრ. № ას-1045-980-2012, 2012 წლის 2 ოქტომბერი, სადაც სასამართლო არ მსჯელობს აღნიშნულ წინაპირობაზე და, ამასთან ერთად, უთითებს, რომ ბავშვის ამ უფლებაზე ხანდაზმულობა არ ვრცელდება.

⁵² BGH FamRZ 2017, 124.

ყველა შეცილების უფლების მქონესთვის შეცილების საფუძველი საერთოა – ბავშვის სამართლებრივი მამა არ არის მისი ბიოლოგიური მშობელი, რაც მოიცავს ასევე მცდარ ან განზრახ არასწორ აღიარებასაც.

6. გადაწყვეტილების მოქმედება

იმ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლით, რომლის საფუძველზეც დადგინდა, რომ მამაკაცი არ არის ბავშვის მამა, 1189-ე მუხლის მიხედვით დადგენილი ან მანამდე, 1190 I, II მუხლებით აღიარებული, მამობა, ქარწყლდება „ყველა პირის მიმართ მოქმედებით“.⁵³ სამართლებრივი მდგომარეობა არის იმგვარი, მამაკაცის მამობას არც არასოდეს რომ ეარსება.

IV. ბავშვის ინტერესების დაცვის დათქმა, 1190 VIII

სასამართლოს შეუძლია, მხარეთა მიერ ამაზე მითითების არარსებობის პირობებშიც,⁵⁴ ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე, უარი თქვას მამობის დადგენაზე. ეს დანაწესი უზრუნველყოფს იმას, რომ მამობაზე პრეტენდენტის ინტერესებმა უკან დაიხიოს, თუ ის კოლიზიაში მოდის ბავშვის ინტერესებთან. ეს შეიძლება იყოს, მაგალითად, ბავშვის სუიციდის საფრთხე, ან უკვე არსებული დაავადების პროგრესირების საშიშროება.⁵⁵ თუმცა სტანდარტულ შემთხვევებში, როდესაც ამგვარი საფრთხე არ არსებობს, პრიორიტეტი მამობის გამორკვევის მსურველის ინტერესებს უნდა მიენიჭოს. ამიტომ არასწორია, 1190 VIII მუხლის საფუძველზე, მამობის დადგენის უპირველეს დანიშნულებად ყოველთვის ბავშვის ინტერესების მიჩნევა.⁵⁶

⁵³ *Hammermann*, in: Erman, BGB, 15. Aufl. 2017, § 1599 Rn. 20.

⁵⁴ სუსგ № ას-307-294-2015, 2015 წლის 3 ივნისი.

⁵⁵ BT-Drs. 16/6561, 13: დედის მხრიდან პროსტიტუციით დაკავება ჩასახვის პერიოდში.

⁵⁶ იხ. სუსგ 1160-1089-2012, 2012 წლის 22 ოქტომბერი, სადაც წარმოჩენილი სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა უპირველესად ეთმობა იმის კვლევას, შეესაბამება თუ არა მამობის დადგენა ბავშვის ინტერესებს.

- 47** მხოლოდ ის სირთულეები, რასაც იწვევს ამჟამინდელი (სამართლებრივი) მამის დაკარგვა ბავშვისათვის, 1190 VIII მუხლის წინაპირობებს ვერ აკმაყოფილებს.⁵⁷ ამდენად, დაუსაბუთებელია მამობის დადგენის ერთ-ერთ კონტრარგუმენტად იმის გამოყენება, რომ მამობის დადგენა გააქარწყლებს სამართლებრივი მამის მიერ ბავშვის რჩენის ვალდებულებას,⁵⁸ რადგან ეს არასაკმარისი საფუძველია მამობის დადგენის ინტერესის უკანა პლანზე გადაწევისთვის. ამის საპირისპიროდ, ბავშვის ინტერესებისადმი შეუთავსებლობის გამო მამობის არდადგენის საფუძვლად გამოდგება შემთხვევა, როდესაც ბიოლოგიური მამა მსჯავრდებულია, სხვა ქვეყანაში არიდებს თავს განაჩენის აღსრულებას და, შესაბამისად, ვერ შეძლებს ბავშვის აღზრდას.⁵⁹
- 48** გარდა აღნიშნულისა, მაშინაც კი, როდესაც არსებობს ბავშვის ინტერესების ხელყოფის საფრთხე, სასამართლომ, მამობის გამორკვევაზე სრულად უარის თქმის ნაცვლად, პირველ რიგში, ამ გამორკვევის გარკვეული ვადით გადაწევის შესაძლებლობით უნდა ისარგებლოს.

⁵⁷ OLG Koblenz NJW-RR 2013, 1350; OLG Karlsruhe FamRZ 2012, 1735.

⁵⁸ სუსგ № ას-307-294-2015, 2015 წლის 3 ივნისი.

⁵⁹ იხ. იგივე განჩინება.

მუხლი 1191. (ამოღებულია)

საქართველოს 2011 წლის 20 დეკემბრის კანონი №5568 - ვებგვერდი, 28.12.2011 წ.

მუხლი 1191¹. მარტოხელა მშობელი

1. მარტოხელა მშობელი არის ამ მუხლით გათვალისწინებული მარტოხელა დედის ან მარტოხელა მამის სტატუსის მქონე პირი.

2. მარტოხელა დედა არის პირი, რომელსაც ჰყავს ქორწინების გარეშე დაბადებული 18 წლამდე ასაკის შვილი, თუ ბავშვის დაბადების აქტის ჩანაწერში არ არის შეტანილი ჩანაწერი ბავშვის მამის შესახებ, აგრეთვე პირი, რომელსაც ჰყავს შვილად აყვანილი 18 წლამდე ასაკის ბავშვი და რომელიც ბავშვის შვილად აყვანის მომენტში არ იმყოფებოდა რეგისტრირებულ ქორწინებაში.

3. მარტოხელა მამა არის პირი, რომელსაც ჰყავს ქორწინების გარეშე დაბადებული 18 წლამდე ასაკის შვილი, თუ ბავშვის დაბადების აქტის ჩანაწერში არ არის შეტანილი ჩანაწერი ბავშვის დედის შესახებ, აგრეთვე პირი, რომელსაც ჰყავს შვილად აყვანილი 18 წლამდე ასაკის ბავშვი და რომელიც ბავშვის შვილად აყვანის მომენტში არ იმყოფებოდა რეგისტრირებულ ქორწინებაში.

4. მარტოხელა მშობლის სტატუსის გაუქმების საფუძველია ბავშვის დაბადების აქტის ჩანაწერში მეორე მშობლის შესახებ ჩანაწერის შეტანა, შვილის (შვილად აყვანილი პირის) მიერ 18 წლის ასაკის მიღწევა, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა გარემოება, რომელიც გამორიცხავს მარტოხელა მშობლის სტატუსის ქონას.

5. მარტოხელა მშობლის სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

6. მარტოხელა მშობლის სტატუსის დადგენისა და შესაბამის პირთა შესახებ მონაცემების წარმოების წესი განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული

ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანებით.

საქართველოს 2014 წლის 11 დეკემბრის კანონი №2892 - ვებგვერდი, 23.12.2014წ.

საქართველოს 2015 წლის 1 აპრილის კანონი №3422 - ვებგვერდი, 07.04.2015წ.

საქართველოს 2017 წლის 22 დეკემბრის კანონი №1819 – ვებგვერდი, 11.01.2018წ.

საქართველოს 2018 წლის 5 ივლისის კანონი №3076 – ვებგვერდი, 11.07.2018წ.

მუხლი 1191². მრავალშვილიანი მშობელი

1. მრავალშვილიანი მშობელი არის პირი, რომელსაც ჰყავს ოთხი ან მეტი შვილი ან/და ნაშვილები.

2. იმ მრავალშვილიანი მშობლის სოციალური დაცვის უზრუნველყოფის წესი და პირობები, რომელსაც ჰყავს ოთხი ან მეტი 18 წლამდე ასაკის შვილი ან/და ნაშვილები, განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

3. მრავალშვილიანი მშობლის სტატუსის დადგენისა და გაუქმების და შესაბამის პირთა შესახებ მონაცემების წარმოების წესი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

საქართველოს 2018 წლის 27 ივნისის კანონი №2606 – ვებგვერდი, 06.07.2018წ.

მუხლი 1192. (ამოღებულია)

საქართველოს 2011 წლის 20 დეკემბრის კანონი №5568 - ვებგვერდი, 28.12.2011წ.

მუხლი 1193. (ამოღებულია)

საქართველოს 2011 წლის 20 დეკემბრის კანონი №5568 - ვებგვერდი, 28.12.2011წ.

მუხლი 1193¹. ბავშვის მიტოვებულად აღიარება

ბავშვის მიტოვებულად აღიარების წესი განისაზღვრება „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ საქართველოს კანონით .

საქართველოს 2007 წლის 18 დეკემბრის კანონი №5624 - სსმ I, №48, 27.12.2007წ., მუხ.414
 საქართველოს 2009 წლის 18 დეკემბრის კანონი №2382 - სსმ I, №50, 31.12.2009წ., მუხ.399
 საქართველოს 2012 წლის 19 ივნისის კანონი №6494 – ვებგვერდი, 02.07.2012წ.

მუხლი 1194. შვილის სახელის განსაზღვრა

1. შვილს სახელს არქმევენ მშობლები ურთიერთშეთანხმებით.
2. (ამოღებულია - 19.06.2012, №6494)

საქართველოს 2007 წლის 18 დეკემბრის კანონი №5624 - სსმ I, №48, 27.12.2007წ., მუხ.414
 საქართველოს 2012 წლის 19 ივნისის კანონი №6494 – ვებგვერდი, 02.07.2012წ.

შვილის სახელის¹ განსაზღვრა წარმოადგენს მშობლების ზრუნვის უფლების დანამატს და მასთან დაკავშირებული დავა 1200-ე მუხლის საფუძველზე უნდა გადაწყდეს (იხ. ამ მუხლის კომენტარი). **1**

სახელის განსაზღვრის წინაპირობაა, რომ ის შეესატყვისებოდეს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს, არ ვნებდეს მის კეთილდღეობას, არ უქმნიდეს სირთულეებს მომავალ ცხოვრებაში, რის გამოც უკანა პლანზე იხვევს მხოლოდ ლინგვისტური კრიტერიუმები.² **2**

სახელის განსაზღვრისას მოქმედებს სქესის ცალსახა იდენტიფიკაციის პრინციპი, რაც ნიშნავს იმას, რომ მამრობითი სქესის წარმომადგენლებისათვის შერჩეულ უნდა იქნეს ბიჭის სახელი, ხოლო მდედრობითი სქესის წარმომადგენლებისათვის – გოგოს სახელი. გოგონას არ **3**

¹ შენგელია, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1194, გვ. 166; შენგელია/შენგელია, საოჯახო სამართალი, მეორე გამოცემა, 2011, გვ. 217.

² BVerfG FamRZ 2005, 2049.

შეიძლება მიენიჭოს მეორე ან მომდევნო სახელად კაცის სახელი, ხოლო ბიჭს – ქალის სახელი. გამონაკლისს წარმოადგენს შემთხვევა, როდესაც ქალის ან მამაკაცის სახელი ისტორიულად საპირისპირო სქესის შემთხვევაშიც გამოიყენებოდა. ნეიტრალური სახელების შემთხვევაში (დოდო, ვიკა, ემილი, გუკა) აუცილებელია სქესის მაიდენტიფიცირებელი მეორე სახელის თანდართვა. სახელი მარია, რომელიც ევროპულ ქვეყნებში ასევე კაცის სახელადაც გამოიყენება, საქართველოში დაბადებულ მამრობითი სქესის მოქალაქეს არ უნდა დაერქვას, რადგან ის აქ ცალსახად მდედრობითი სქესის სახელადაა ცნობილი.

- 4** სახელი არ შეიძლება იყოს ზოგადი, ზიზლის გამომწვევი ან ყოველგვარი აღმნიშვნელი შინაარსისაგან დაცლილი. დაუშვებელია გვარის სახელად გამოყენება,³ თუ შესაბამისი სიტყვა უკვე თავისთავად არ არის დამკვიდრებული ორივე მნიშვნელობით.

³ OLG Köln FPR 2002, 571; OLG Frankfurt StAZ 2000, 237.

მუხლი 1195. შვილის გვარის განსაზღვრა

1. შვილის გვარი განისაზღვრება მშობლების გვარის მიხედვით. თუ მშობლებს საერთო გვარი არა აქვთ, შვილს მიეკუთვნება დედის ან მამის გვარი, ან შეერთებული გვარი მშობლების შეთანხმებით.

2. (ამოღებულია - 19.06.2012, №6494)

*საქართველოს 2007 წლის 18 დეკემბრის კანონი №5624 - სსმ I, №48, 27.12.2007წ., მუხ.414
საქართველოს 2012 წლის 19 ივნისის კანონი №6494 – ვებგვერდი, 02.07.2012წ.*

I. ზოგადი213
 II. მშობლების საერთო გვარი, 1195 | 1.....213
 III. მშობლების განსხვავებული გვარი, 1195 | 2214
 1. საერთო ზრუნვის უფლება.....214
 2. საერთო ზრუნვის არარსებობა215

I. ზოგადი

დანანესი შვილის გვარის განსაზღვრისას მიჯნავს ორ შემთხვევას: როდესაც მშობლებს აქვთ საერთო გვარი და როდესაც მათ ეს საერთო გვარი არ აქვთ.¹ თუმცა მაშინ, როდესაც მშობლებს აქვთ განსხვავებული გვარები, რაც უფრო გავრცელებულ შემთხვევას წარმოადგენს, განსხვავება უნდა გაკეთდეს, საერთო ზრუნვის უფლებისა და მხოლოდ ერთ-ერთი მშობლის ზრუნვის უფლების არსებობისას, გვარის შერჩევის შემთხვევებს შორის.

1

II. მშობლების საერთო გვარი, 1195 | 1

1195 | 1 მუხლში მონესრიგებულია გვარის მინიჭება ყველაზე მარტივ შემთხვევაში, კერძოდ კი მაშინ, როდესაც მშობლებს საერთო გვარი აქვთ.² ამ შემთხვევაში არ არის აუცილებელი, ამ გვარის შვილზე

2

¹ *შენგელია/შენგელია*, საოჯახო სამართალი, მეორე გამოცემა, 2011, გვ. 217.

² *შენგელია*, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1195, გვ. 166.

გადასვლისათვის, რომ მშობლები გვარის მინიჭების მომენტში ჯერ კიდევ დაქორწინებულები იყვნენ, გადამწყვეტია მხოლოდ საერთო გვარის არსებობა. თუ მშობლები განქორწინებულნი არიან და ერთმა დაიბრუნა თავისი ქალიშვილობის/ვაჟიშვილობის გვარი, მოცემული დანაწესი არ გამოიყენება. ისევე როგორც იმ შემთხვევაში, როდესაც მშობლები ბავშვის დაბადების მომენტისათვის ჯერ კიდევ არ არიან ერთმანეთთან დაქორწინებულნი, თუმცა მოგვიანებით ქორწინდებიან და საერთო გვარს ირჩევენ. ამ შემთხვევაში გვარი განისაზღვრება 1195 I 2 მუხლის მიხედვით, თუმცა ქორწინების შემდეგ შეიძლება მისი შეცვლა.

- 3** შვილზე გადადის მხოლოდ გვარი. მეტსახელი ან გვარის თანმდევი სხვა დანამატი შვილის სახელის ნაწილი არ ხდება.

III. მშობლების განსხვავებული გვარი, 1195 I 2

- 4** 1195 I 2 მუხლი აწესრიგებს შემთხვევას, როდესაც მშობლებს საერთო გვარი არ აქვთ. ამ დროს მნიშვნელოვანია, აქვთ თუ არა მშობლებს საერთო ზრუნვის უფლება, თუ ის მხოლოდ ერთ მათგანს აქვს მინიჭებული.

1. საერთო ზრუნვის უფლება

- 5** საერთო გვარის არარსებობა თანაბრად არის გავრცელებული, როგორც დაუქორწინებელ ისე დაქორწინებულ წყვილებში, ასევე გაშორების შემდეგ ძველი გვარის დაბრუნების შემთხვევებში.
- 6** გარდა ამისა, დანაწესის გამოყენების წინაპირობაა, რომ მშობლებს ჰქონდეთ ერთობლივი ზრუნვის უფლება. ეს ყოველთვის სახეზეა, თუ მშობლები ერთად ცხოვრობენ, არიან დაქორწინებულნი და არც ერთს არ ჩამორთმევია მშობლის ზრუნვა (1206). გაშორების შემდეგ საერთო ზრუნვა ნარჩუნდება, თუ სასამართლოს წესით ერთ მშობელზე არ გადასულა ეს ზრუნვის უფლება. დაუქორწინებელი მშობლების შემთხვევაში აუცილებელია მამობის აღიარების ნების გამოხატვა უკვე ბავშვის დაბადებამდე.

ბავშვის გვარად ითვლება ის, რასაც მშობლები დააფიქსირებენ სამოქალაქო რეესტრის წინაშე. შეიძლება არჩეულ იქნეს ბავშვის დაბადების მომენტისათვის მამის ან დედის გვარი. დასაშვებია მშობლების შეერთებული გვარის არჩევა. ამის საპირისპიროდ, შეუძლებელია მშობლის წინა გვარის შერჩევა. მშობლების მიერ გვარის თავისუფალი არჩევის პრინციპი აღარ მოქმედებს, თუ მათ უკვე ჰყავთ საერთო შვილი, რომელსაც მიანიჭეს შესაბამისი გვარი. ამ შემთხვევაში მომდევნო შვილისათვისაც მხოლოდ ეს გვარი შეიძლება იქნეს შერჩეული. ეს შეზღუდვა არ არღვევს არც შვილის და არც მშობლის ძირითად უფლებას.³ ერთმანეთთან დაუქორწინებელი მშობლების შემთხვევაში მოცემული წესი მოქმედებს მხოლოდ მაშინ, თუ უკვე ბავშვის დაბადების მომენტისათვის მშობლებს ერთობლივი ზრუნვის უფლება აქვთ, ანუ უკვე დაბადებამდე მოხდა მამობის აღიარება.⁴ თუ ეს ასე არ არის, ბავშვს ენიჭება დედის გვარი.

7

გვარის მინიჭება უნდა მოხდეს ერთობლივი ნების გამოხატვით. დასაშვებია წარმომადგენლობა.

8

2. საერთო ზრუნვის არარსებობა

თუ ბავშვზე ზრუნვის უფლება აქვს მხოლოდ ერთ მშობელს, ზოგადი წესის თანახმად, შვილი იღებს ზრუნვის უფლების მქონე მშობლის გვარს. ერთპიროვნული ზრუნვა შვილზე მშობელს შეიძლება ჰქონდეს: განქორწინების შემდეგ სასამართლო წესით მხოლოდ მისთვის ამ ზრუნვის უფლების მინიჭებისას, ერთ-ერთი მშობლის გარდაცვალების შემთხვევაში, ან ზრუნვის უფლების ჩამორთმევისას. ერთპიროვნული ზრუნვის უფლება აქვს ასევე დედას, რომელიც ქორწინების გარეშე შობს შვილს და არ ხდება მამობის აღიარება მამის მიერ და არც სასამართლო წესით თანამზრუნველობის დადგენა. თუ მოცემულ შემთხვევაში მამა მხოლოდ ერთპიროვნული ზრუნვის უფლების მქონე დედის

9

³ BVerfG NJW 2002, 2861.

⁴ OLG Hamm FamRZ 2005, 1009.

გარდაცვალების შემდეგ მოიპოვებს ბავშვზე ზრუნვის უფლებას, მას არ აქვს მოგვიანებით ბავშვისთვის გვარის შეცვლის შესაძლებლობა.⁵

10 გამონაკლისის სახით, ბავშვი იღებს იმ მშობლის გვარს, რომელსაც არ ჰქონდა ზრუნვის უფლება. ამის წინაპირობაა, ერთპიროვნული ზრუნვის უფლების მქონე მშობელმა სამოქალაქო რეესტრის წინაშე განაცხადოს, რომ ბავშვი მეორე მშობლის გვარს იღებს.

11 გვარის შერჩევა შეიძლება ასევე მკვდრადშობილი ბავშვის შემთხვევაში.⁶

⁵ BGH FamRZ 2005, 1984.

⁶ OLG Düsseldorf FamRZ 15, 333; BayObLG FamRZ 2001, 1543.

მუხლი 1196. შვილის გვარის გამოცვლა

1. მშობლებს შორის ქორწინების შეწყვეტა არ იწვევს შვილის გვარის გამოცვლას.

2. მშობელს, რომელთანაც არასრულწლოვანი შვილი საცხოვრებლად დარჩა ქორწინების შეწყვეტის ან ბათილად ცნობის შემდეგ, უფლება აქვს, შვილის ინტერესების შესაბამისად, მიმართოს სასამართლოს შვილისთვის თავისი გვარის მიკუთვნების შესახებ. 10 წლამდე ბავშვის გვარის შეცვლისას, მისი სიმწიფის ხარისხის გათვალისწინებით, მხედველობაში მიიღება მისი სურვილი. 10 წლის ან 10 წელზე მეტი ასაკის ბავშვის გვარის შეცვლისთვის საჭიროა მისი თანხმობაც.

*საქართველოს 2019 წლის 20 სექტემბრის კანონი №5013 – ვებგვერდი, 27.09.2019წ.
საქართველოს 2020 წლის 21 მაისის კანონი №5913 – ვებგვერდი, 25.05.2020წ.*

- I. ზოგადი217
- II. შვილის გვარის შენარჩუნება 218
- III. შვილისთვის საკუთარი გვარის მიკუთვნების მოთხოვნა 218
 - 1. მოთხოვნის სუბიექტი 218
 - 2. შვილის ინტერესები 220
 - 3. შვილის სურვილის გათვალისწინება, შვილის თანხმობა 221
 - 4. მოთხოვნის განხილვის წესი 221

I. ზოგადი

ნორმა აწესრიგებს ქორწინების დასრულების შემდეგ შვილის გვარის შენარჩუნება-შეცვლის საკითხს. კერძოდ, 1196 I მუხლი ნარმოადგენს ზოგად დანაწესს, რომლის მიხედვითაც შვილის გვარი უცვლელი რჩება ქორწინების შეწყვეტის მიუხედავად,¹ ხოლო 1196 II მუხლი აფუძნებს მშობლის უფლებას, მოითხოვოს მისი გვარის შვილისთვის მინიჭება, თუ ეს უკანასკნელი მასთან ცხოვრობს.²

1196 II მუხლი არ გამოიყენება, თუ ბავშვი ატარებს სამართლებრივი 2

¹ *შენგელია*, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1196, გვ. 168.

² იქვე.

(მაგრამ არა ბიოლოგიური) მამის გვარს - ასეთ შემთხვევაში გვარის ცვლილება შესაძლებელია მოთხოვნილი იყოს მამობის შეცვლების ფარგლებში (1190),³ 1195-ე მუხლზე მითითებით. იმავე ნორმებს და არა განსახილველ მუხლს, ეფუძნება მამობის დადგენის შედეგად შვილის გვარის ცვლილების მოთხოვნაც.⁴

II. შვილის გვარის შენარჩუნება

- 3** გამომდინარე იქიდან, რომ შვილისთვის გვარის მინიჭება გამომდინარეობს მშობლებისა და შვილის და არა მეუღლეთა შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობიდან, ის არ შეიძლება ქარწყლდებოდეს ქორწინების შეწყვეტით.
- 4** 1196 I მუხლის მიზნებისთვის შეწყვეტაში მოიაზრება ქორწინების ბათილობაც: ქორწინების ბათილად ცნობისას შვილის გვარის ცვლილება ავტომატურად რომ დაიშვებოდეს, იმ მშობლისათვის, ვისთანაც შვილი ცხოვრობს, ამის მოთხოვნის უფლების მინიჭება, საჭირო არ გახდებოდა და 1196 II მუხლიც დანიშნულებას დაკარგავდა.

III. შვილისთვის საკუთარი გვარის მიკუთვნების მოთხოვნა

1. მოთხოვნის სუბიექტი

- 5** შვილისთვის საკუთარი გვარის მიკუთვნების მოთხოვნა, როგორც უკვე აღინიშნა, აქვს იმ მშობელს, ვისთანაც ცხოვრობს შვილი ქორწინების შეწყვეტის ან ბათილად ცნობის შემდეგ.⁵ ამ უფლებამოსილების წარმოშობა, 1196 II მუხლის მიხედვით, დამოკიდებულია ორ კუმულატიურ წინაპირობაზე: მშობლებს შორის ქორწინების დასრულებასა და

³ სუსგ № ას-85-81-2017, 2017 წლის 27 ოქტომბერი.

⁴ შდრ. სუსგ № ას-929-894-2016, 2017 წლის 12 ივნისი, სადაც აღწერილი სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა ასახელებს 1196 II მუხლსაც; იხ. სუსგ № ას-245-233-2017, 2017 წლის 6 ივნისი, სადაც 1196 II მუხლი სწორად არაა მიჩნეული მოთხოვნის დამფუძნებელ ნორმად.

⁵ *შენგელია*, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1196, გვ. 168.

შვილის საცხოვრებელ ადგილად ერთ-ერთი მშობლის საცხოვრისი დადგენაზე.

ქორწინების შეწყვეტისა და ბათილობის მოთხოვნის წინაპირობად მიჩნევა ნორმის მოქმედების სფეროდან საერთოდ გამორიცხავს იმ შემადგენლობას, რომელშიც შვილის მშობლები დაქორწინებული საერთოდ არ არიან. ამ გადაწყვეტას გამართლება არ აქვს: გაუგებარია, რატომ უნდა ასრულებდეს მშობლებს შორის ქორწინება რაიმე დანიშნულებას შვილის წარმოშობის დადგენის მიღმა სხვა რომელიმე საკითხის გადაწყვეტაში. მშობელსა და შვილს შორის ურთიერთობის საფუძველია შვილის მშობლისგან წარმომავლობა და არა მშობლების ქორწინების ფაქტი, რისი ფუნქციაც ამოიწურება შვილის მშობლისგან წარმომავლობის გამარტივებული წესის დადგენით.

6

გარდა ამისა, მშობელთა შორის ქორწინების არსებობისა და შემდგომ შეწყვეტის აუცილებლობა წინააღმდეგობრივია ნორმის მიზანთან, გვარის ცვლილების უფლება მიაკუთვნოს მას, ვინც შვილზე ზრუნვის ვალდებულებას უფრო მეტი ინტენსივობით ასრულებს.⁶ შვილის საცხოვრებელ ადგილად ერთ-ერთი მშობლის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა არ გულისხმობს მეორე მშობლისთვის შვილზე ზრუნვის უფლების ჩამორთმევას (რაც დასაშვებია მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, 1206) და მისი უფლება-მოვალეობების მეორე მეუღლის მიერ შეზღუდვა დაუშვებელია (1202 II). მაგრამ ეს არ ცვლის რეალურ მდგომარეობას, კერძოდ იმას, რომ, ჩვეულებრივ, შვილის რჩენისა და აღმზრდელობით პროცესში უფრო მეტად ჩართული იქნება ის მშობელი, რომელთანაც შვილი ცხოვრობს, და მეორე მშობელს აქვს მეტი შესაძლებლობა, თავი აარიდოს შვილის ცხოვრებაში მონაწილეობას იმ მოცულობით, რომელიც მას, შვილთან თანაცხოვრების არარსებობის მიუხედავად, მოეთხოვება. ამდენად, განსახილველი ნორმის მიზანია ბავშვის ინტერესის გათვალისწინება, კერძოდ, ის არ უნდა იყოს ვალდებული, ატაროს იმ მშობლის გვარი, რომელიც მის ვალ-

7

⁶ აღნიშნულს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება შვილის გვარის განსაზღვრის მომენტშიც. უარყოფილია შვილისთვის არათუ მამის, არამედ ორმაგი გვარის განსაზღვრის მიზანშეწონილობაც კი, მაშინ, როდესაც ბავშვს ერთი დღეც კი არ უცხოვრია მამასთან. შვილისთვის მამის გვარის მიკუთვნების ტრადიცია მხედველობაში არ მიიღება, იხ. სუსგ № ას-245-233-2017, 2017 წლის 6 ივნისი.

დებულებებს არ ასრულებს შვილის მეორე მშობელთან ცხოვრების საბაბით. კანონმდებელს ეს მოტივაცია უნდა ამოძრავებდეს უკლებლივ ყველა შემთხვევაში, როდესაც შვილს ორი მშობელი ჰყავს, მაგრამ ცხოვრობს ერთთან, მშობლების განცალკევებულად ცხოვრების განმაპირობებელი მიზეზის მიუხედავად. მთავარია, რომ მშობელთა განცალკევებით ცხოვრებით გამოიხატებოდეს ერთ ოჯახად ცხოვრების (1197 2) ნების არარსებობა: დროებით ცალ-ცალკე ცხოვრება საცხოვრებლის რემონტის, მეუღლის მივლინების ან სხვა მიზეზის გამო, ამ წინაპირობას ვერ აკმაყოფილებს.

- 8** გამომდინარე იქიდან, რომ დაუქორწინებელი მშობლებისგან წარმოშობილ შვილზე 1196-ე მუხლის გავრცელების ნორმაში ამოკითხვა გამოყენებული სიტყვების მნიშვნელობას სცდება (არ შეიძლება სიტყვები „საცხოვრებლად დარჩა ქორწინების შეწყვეტის ან ბათილად ცნობის შემდეგ“ მოიცავდეს ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც მშობლები დაქორწინებული არ ყოფილან), მისაღები შედეგი მიიღწევა არა ნორმის ექსტენსიური განმარტებით, არამედ მისი ანალოგიით გამოყენებით.
- 9** 1196 II მუხლის დაუქორწინებელ მშობლების შემთხვევაზე გამოყენების აუცილებლობაზე მიუთითებს სასამართლო პრაქტიკაც, რომელიც ამ მიდგომას ასაბუთებს დაქორწინებული და დაუქორწინებელი მშობლებისგან წარმოშობილი შვილების უფლებრივი გათანაბრებით (1190 IX).⁷

2. შვილის ინტერესები

- 10** შვილის გვარის ცვლილების მოთხოვნა შვილის ინტერესებს უნდა ემსახურებოდეს. ამ წინაპირობაში გამოიხატება ის, რომ შვილის ერთ მშობელთან ცხოვრების ფაქტი საკმარისი არაა მისი გვარის ცვლილებისთვის, არამედ დამატებით საჭიროა, მეორე მშობელი ნაწილობრივ ან საერთოდ არ ასრულებდეს მის კანონისმიერ ვალდებულებებს.
- 11** 1196-ე მუხლში გამყარებული „შვილის ინტერესების“ ცნების ქვეშ

⁷ სუსგ № ას-929-894-2016, 2017 წლის 12 ივნისი, თუმცა ამ გადაწყვეტილებაში აღწერილი ფაბულის შემთხვევაში 1196 II მუხლის მოთხოვნის დამფუძნებელ ნორმად მიჩნევა დაუსაბუთებელია, იხ. მითითება № 2.

არ უნდა მოიაზრებოდეს ისეთი მიზეზი, რომელიც არ უკავშირდება მეორე მშობლის მიერ ვალდებულების დარღვევას ან მის არამართლზომიერ ქცევას. მაგალითად, მხედველობაში არ უნდა იყოს მიღებული გვარის არაკეთილხმოვნების არგუმენტი. გვარის შეცვლის საწინააღმდეგოდ მოქმედებს ისეთი გარემოებები, როგორცაა, მაგალითად, გვარის სოციალურ წრეში ბავშვის იდენტიფიკაციისთვის გამოყენება.⁸

ამის საპირისპიროდ, გაითვალისწინება მშობელთან შვილის ასოციაციის არასასურველობა, თუ ეს გამონკვეულია მის მიერ ჩადენილი მაღალი საზოგადოებრივი საშიშროების მქონე დანაშაულით.

12

3. შვილის სურვილის გათვალისწინება, შვილის თანხმობა

შვილის მონაწილეობის გარეშე მისი გვარის ცვლილება დაუშვებელია. 10 წლამდე ეს გამოიხატება მისი სურვილის გათვალისწინებაში, ხოლო 10 წლის ან 10 წელზე მეტი ასაკის ბავშვის გვარის ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ მისი თანხმობით.⁹ 10 წლამდე პირის სურვილის მხედველობაში მიღება განპირობებულია იმით, რომ ობიექტური (სამართალშემფარდებლის) თვალსაწიერი შეიძლება საკმარისად არ მიიჩნევდეს მეორე მშობლის შვილის ცხოვრებაში მონაწილეობის ინტენსივობას, თუმცა თავად ბავშვი, შესაძლოა, მეორე მშობელს მაინც მისი ცხოვრების ნაწილად და მშობლის ფუნქციის სრულფასოვნად შემსრულებლად აღიქვამდეს.

13

10 წელი მიჩნეულია მონიფულობის საკანონმდებლო ზღვრად, რომლის მიღმაც ივარაუდება, რომ საკუთარი გვარის ცვლილების საკითხში შვილი თავად შეიძლება საკუთარი ინტერესების დაცვას, ცვლილებაზე თანხმობის გაცემით ან არგაცემით.

14

4. მოთხოვნის განხილვის წესი

შვილის გვარის ცვლილების მოთხოვნა განიხილება სასარჩელო წარმოების გზით,¹⁰ რომელშიც მოპასუხედ უნდა დასახელდეს მეორე

15

⁸ სუსგ № ას-245-233-2017, 2017 წლის 26 ივნისი.

⁹ *შენგელია*, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1196, გვ. 168.

¹⁰ *შენგელია*, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1196, გვ. 168.

მშობელი, რომლის გვარსაც შვილი მოთხოვნის წაყენების მომენტში ატარებს.

თავი მეორე

მშობლების უფლებები და მოვალეობები შვილების მიმართ

- I. ზრუნვის ფუნდამენტური უფლება.....223
 II. ბავშვთა უფლებების დაცვის სფეროში მოქმედი რეგულაციები231

I. ზრუნვის ფუნდამენტური უფლება

უპირველესად, კანონმდებელმა პასუხი უნდა გასცეს კითხვას, გააჩნიათ თუ არა ბავშვებს ზრუნვის ფუნდამენტური უფლება. ზოგადი პრინციპის თანახმად, ყველამ თავად უნდა ირჩინოს თავი და იზრუნოს საკუთარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე. მხოლოდ მას, ვისაც ამის უნარი არ შესწევს, შეიძლება ჰქონდეს დახმარების მოთხოვნის უფლება. თუმცა, მხოლოდ დახმარების საჭიროება, ცხადია, ავტომატურად არ გულისხმობს მისი მიღების უფლებას. უფლება, განსაკუთრებული ხასიათის დაცული ინტერესია, რომელიც, როგორც წესი, შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ისეთ ადამიანს, რომელსაც უნარი შესწევს დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობით განახორციელოს აღნიშნული უფლება. ამ მიდგომის თანახმად, რომელსაც „ნების“ ან „არჩევანის“ თეორიასაც უწოდებენ, უფლება წარმოადგენს არჩევანის გაკეთების შესაძლებლობას, რომელსაც იცავს და აღასრულებს კანონი.¹ ამ თვალსაზრისით ბავშვისათვის უფლებების მინიჭების დოგმატური დასაბუთება განსაკუთრებით პრობლემატურია, ვინაიდან მას არ გააჩნია სრული ქმედუნარიანობა და დამოუკიდებლად, საკუთარი პასუხისმგებლობით გადაწყვეტილების მიღების უნარი. აქედან გამომდინარე, ზოგიერთი ავტორი „ნების“ ზოგადი თეორიიდან გამონაკლისსაც უშვებს სპეციალურად ბავშვებისათვის, რომლებიც, მართალია, თავად ვერ ახერხებენ გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად რეალიზაციას,

1

¹ Archard D., *Children, Family and the State* (2003) 9; Griffin J., *Do Children Have Rights?* in Archard D./Macleod C., *The Moral and Political Status of Children* (2002) ch 2; Freeman M., *The Rights and Wrongs of Children* (1983), chs 2-3; Alston P./Parker S./Seymour J., *Children, Rights and the Law* (1992); Fortin J., *Children's Rights and the Developing Law* (2nd ed. 2003) ch 1; Guggenheim M., *What's Wrong with Children's Rights?* (2005).

თუმცა ამის გაკეთებაში მათ ეხმარებიან კანონით დადგენილი სრულწლოვანი პირები (როგორც წესი, მშობლები).²

2 „ნების“ თეორიისაგან განსხვავებულია „ინტერესის“ თეორია, რომლის თანახმად უფლებები იქმნება იმ მიზნით, რათა დაიცვას კონკრეტული სიკეთე, ინტერესი. უფლების შექმნა, ამ თვალსაზრისით, კანონის ძალით აიძულებს მესამე პირებს პატივი სცენ და თავი შეიკავონ კონკრეტული დაცული ინტერესის, სიკეთის შელახვისაგან.³ „ინტერესის“ თეორიისათვის უმნიშვნელოა, შეუძლია თუ არა უფლების მფლობელს მისი დამოუკიდებლად და პირადი პასუხისმგებლობით განხორციელება.⁴ ამ მხრივ, გამოსაყოფია ბავშვის სამი ძირითადი ინტერესი: (ა) ბავშვს აქვს უფლება მშობლების მხრიდან მიიღოს ისეთი მზრუნველობა, რაც აუცილებელია მისი ფიზიკური, ემოციური და ინტელექტუალური განვითარებისათვის; (ბ) ბავშვს გააჩნია თავისუფალი განვითარების ინტერესი, რათა უზრუნველყოფილ იქნას მისი სათანადო უნარჩვევებით აღჭურვა და სრულწლოვანების მიღწევისას ბავშვი საზოგადოებრივ ცხოვრებას შეხვდეს მომზადებული; (გ) მნიშვნელოვანია, დაცულ იქნას ბავშვის კერძო ავტონომია და ინდივიდუალობა, რათა მას მიეცეს შესაძლებლობა მისდოს მისთვის სასურველ და მისაღებ ცხოვრების წესს.⁵

3 იმის მიხედვით, თუ რომელ მიდგომას იზიარებს კანონმდებელი, განსხვავებულია ბავშვთა უფლებების დაცვის სფეროში მოქმედი რეგულაციების შინაარსი და მათი აღსრულების მექანიზმები. მაგალითად, როგორც წესი, ბავშვის ფიზიკური, ემოციური და ინტელექტუალური განვითარების ინტერესი უპირატესი მნიშვნელობისაა და კანონმდებელი უფრო ხშირად ზღუდავს ბავშვის თავისუფალი და ავტონომიური

² Hart H., Bentham on Legal Rights in *Simpson A.*, *Oxford Essays in Jurisprudence* (1973) 192.

³ Sreenivasan G., A Hybrid Theory of Claim-Rights, 25 *Oxford Journal of Legal Studies* 257 (2005) 259.

⁴ Campbell T., The Rights of the Minor: As Person, As Child, As Juvenile, As Future Adult, 6 *International Journal of Law and the Family* 1 (1992), 4–5.

⁵ Archard D., *Children, Family and the State* (2003), 9.

განვითარების ინტერესს.⁶ დღეისათვის გაბატონებული მიდგომა ბავშვთა უფლებებს ადამიანის ფუნდამენტურ, კონსტიტუციური მნიშვნელობის უფლებებად აღიარებს. შესაბამისად, ყველა ის რეგულატორული მექანიზმი, რომელიც ბავშვზე ზრუნვის ვალდებულების აღსასრულებლად არსებობს (მაგალითად, ალიმენტის გადახდის ვალდებულება), განიხილება, როგორც ბავშვის ფუნდამენტური უფლების განხორციელებისა და აღსრულების დამხმარე მექანიზმი.⁷

გარდა ამისა, კანონმდებელმა პასუხი უნდა გასცეს მეორე ფუნდამენტურ კითხვას: თუკი ბავშვს გააჩნია ზრუნვის ფუნდამენტური უფლება, ვინ არის ამ უფლების საპასუხო ვალდებულების მქონე სუბიექტი. ფართოდ აღიარებული მიდგომის თანახმად, ბავშვის უფლებას, მიიღოს დახმარება იმ დროის განმავლობაში, როცა მას არ შეუძლია საკუთარ თავზე ზრუნვა, შეესაბამება მშობლის საპასუხო ვალდებულება. ავტორთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ბავშვზე ზრუნვის ვალდებულების მშობელზე დაკისრება შეესაბამება საზოგადოებაში დამკვიდრებულ მორალურ ნორმებს, რომლებიც დამატებითი სამართლებრივი კონსტრუქციის გარეშეც ამართლებენ თავის თავს და არ საჭიროებენ განსაკუთრებულ მტკიცებასა და დასაბუთებას.⁸ ეს მიდგომა, ცხადია, ახალი არ არის. ჯერ კიდევ ცნობილი ინგლისელი სამართლისმცოდნე უილიამ ბლექსტონი მიუთითებს საკუთარ ნაშრომში „კომენტარები ინგლისის სამართალზე“ (პირველად გამოქვეყნდა 1765 წელს), რომ მშობლისა და შვილის ურთიერთობა ყველაზე უნივერსალურია სამყაროში.⁹ ბლექსტონის თანახმად, კანონიერ ქორწინებაში დაბადებული შვილების მი-

4

⁶ Arneil B., *Becoming versus Being: A Critical Analysis of the Child in Liberal Theory in David A. Macleod C.* (2002), 74.

⁷ Harris-Short S./Miles J., *Family Law Text, Cases, and Materials* (2nd ed. 2011), 559.

⁸ Altman S., *A Theory of Child Support*, 17 *International Journal of Law Policy and the Family* 173 (2003) 174; Houlgate L., *Ethical Theory and the Family in Meyers D./Kipnis K./Murphy C., Kindred Matters: Rethinking the Philosophy of the Family* (1993), 63–69.

⁹ Morrison W (ed.). *Blackstone's Commentaries on the Laws of England vol I* (2001), 343.

მართ მშობლებს გააჩნიათ სამი ძირითადი ვალდებულება: მათი შენახვის, დაცვისა და განათლების ვალდებულებები.¹⁰ აღნიშნული ვალდებულების საფუძვლად ბლექსტოუნი მიიჩნევდა ბუნებით სამართალს. მისი პოზიციით, ვინაიდან ბავშვი იზადება და საზოგადოების წევრი ხდება მშობელთა ნებაყოფლობითი მოქმედებით, სწორედ მათვე აკისრიათ ბავშვებზე ზრუნვის უპირველესი ვალდებულება. როგორც ნესი, იურისტებისა და სასამართლო პრაქტიკისათვის მშობლის ვალდებულების დასაბუთება თავისთავადია და დიდ მტკიცებას არ საჭიროებს.¹¹ როგორც არ უნდა იყოს მშობლებისათვის ბავშვზე ზრუნვის ვალდებულების დაკისრების დოგმატური დასაბუთება, ძირითადი არგუმენტაცია მაინც ემყარება მათ ბუნებრივ პოზიციებს: ვინაიდან ბავშვს გააჩნია ფუნდამენტური ზრუნვის უფლება, ხოლო მშობლები ბუნებრივად იმყოფებიან ბავშვთან განსაკუთრებულ ურთიერთობაში, ამიტომ, სწორედ მშობლებს გააჩნიათ ამ უფლების შესაბამისი ვალდებულება.¹² თუმცა, ცხადია, არსებობს განსხვავებული მოსაზრებებიც. შესაძლოა მშობლის ვალდებულების უაპელაციოდ, პრეზუმირებულად ვარაუდი მეტნილად შეესაბამება საზოგადოებაში დამკვიდრებულ წეს-ჩვეულებებს, თუმცა აღნიშნული, თავისთავად, არ წარმოადგენს უფლების დამფუძნებელ არგუმენტს.¹³

5 მას შემდეგ, რაც კანონმდებელი გადაწყვეტს უფლებისა და მისი საპასუხო ვალდებულების სუბიექტის საკითხს, მნიშვნელოვანია დადგინდეს ამ უფლების ძირითადი შინაარსი და ფარგლები. სხვადასხვა მართლწესრიგში განსხვავებულია როგორც უფლების შინაარსი, ისე მისი აღსრულების ადმინისტრირება.¹⁴ ოჯახური ვალდებულებები არ არის მსგავსი და მასზე გავლენას ახდენს ისეთი ფაქტორები, როგორცაა გენდერი, ეთნიკურობა, საზოგადოების ეკონომიკური და სოციალური

¹⁰ Pollock L., Parent-Child Relations in Kertzer D./Barbagli M., Family Life in Early Modern Times 1500–1789 (2001), 191.

¹¹ Goodman M./Oberman I./Wheat P., Rights and Obligations of Child Support, 7 Southwestern University Law Review №36 (1975).

¹² MacCormick N., Children's Rights: A Test-Case for Theories of Right in MacCormick N., Legal Right and Social Democracy: Essays in Legal and Political Philosophy (1982), 163.

¹³ Sheldon S., "Sperm bandits", Birth Control and the Battle of the Sexes, 21 Legal Studies 460 (2001), 480.

¹⁴ Finch J., Family Obligations and Social Change (1989), 242.

მდგომარეობა.¹⁵ მაგალითად, სულ რამდენიმე საუკუნის წინ დასავლური ცივილიზაციის ქვეყნებში ითვლებოდა, რომ ბავშვი თვითკმარი უნდა იყოს და ინახავდეს საკუთარ თავს ადრეული ასაკიდანვე. ბავშვების შრომის ასაკი იწყებოდა უკვე შვიდი წლიდან. პრეინდუსტრიულ საზოგადოებებში ბავშვები მნიშვნელოვან ეკონომიკურ რესურსს წარმოადგენდნენ და თანხის შემომტანებადაც ითვლებოდნენ ოჯახში.¹⁶ თუმცა ეს, ძირითადად, ღარიბ ოჯახებს ეხებოდა. მდიდარ ოჯახებში ბავშვები, ძირითადად კი, ბიჭები, მიიჩნეოდნენ ოჯახის საფუძვლად, რომელთა მეშვეობითაც საგვარეულო სიმდიდრე თაობიდან თაობას გადაეცემოდა.¹⁷ ყველა ეს განსხვავებული მიდგომა საზოგადოებაში განაპირობებდა განსხვავებული წესებისა და რეგულაციების დანერგვას.¹⁸ მაგალითად, ინგლისურ სამართალში განსხვავებულად წესრიგდებოდა სრულწლოვანების ასაკი იმის მიხედვით, თუ რომელ სოციალურ ფენას განეკუთვნებოდა ბავშვი: რაინდის შვილის სრულწლოვანების ასაკი 21 წელი იყო, ხოლო შედარებით დაბალი ფენის წარმომადგენლისა - 15.¹⁹ ყველა ეს გარემოება ასახავს საზოგადოების მიდგომას ბავშვთა უფლებების მიმართ და, საბოლოო ჯამში, განაპირობებს ამ უფლებების როგორც შინაარსს, ისე, მათი პრაქტიკაში რეალიზაციის მექანიზმების არსებობას.

ბავშვზე ზრუნვის ვალდებულების ცალკეული ელემენტების მშობლებს შორის გადანაწილება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება მშობლების განქორწინების შემდეგ, ვინაიდან, როგორც სტატისტიკა აჩვენებს, გაცილებით უფრო რთული და მეტი ფინანსური ტვირთის შემცველია ორი ოჯახის ცალ-ცალკე ცხოვრება, ვიდრე მეუღლეთა თანაცხოვრება. როგორც წესი, მშობლების განქორწინების შემდგომ მცირ-

6

¹⁵ *Maclean M./Eekelaar J.*, The Obligations and Expectations of Couples Within Families: Three Modes of Interaction, 26 *Journal of Social Welfare and Family Law* №117 (2004).

¹⁶ *Pollock L.*, Parent-Child Relations in *Kertzer D./Barbagli M.* (eds), *Family Life in Early Modern Times 1500–1789* (2001), 206.

¹⁷ *Pottage A.*, Proprietary Strategies: The Legal Fabric of Aristocratic Settlements, 61 *Modern Law Review* №162 (1998).

¹⁸ *Eekelaar J.*, Family Law and Social Control in *Eekelaar J./Bell J.* (ed), *Oxford Essays in Jurisprudence* (1987), 136.

¹⁹ *Holdsworth W.*, A History of English Law, vol III (3rd ed.1923) 510; *Pollock F./Maitland F.*, The History of English Law (2nd ed. 1898), 438.

დება იმ მშობლის კეთილდღეობის ინდექსი, რომელთანაც შვილი რჩება და, პირიქით, იზრდება იმ მშობლისა, რომელიც მარტო აგრძელებს ცხოვრებას.²⁰ აღნიშნული ფინანსური პრობლემების დაძლევა და მდგომარეობის გაუმჯობესება ყველაზე მეტად შესაძლებელია მაშინ, როდესაც მარტოხელა მშობელი თავიდან შედის ქორწინებით ურთიერთობაში და ქმნის ახალ ოჯახს.²¹ კანონმდებელი სამართლის პოლიტიკის დონეზე აკეთებს არჩევანს, თუ რა ფორმით და რა მოცულობით ჩაერიოს საზოგადოება ბავშვის მოვლის კერძო, შიდა ოჯახურ ურთიერთობებში და რა რესურსები გამოყოს მშობლების დასახმარებლად.²² მაგალითად, შედარებით ლიბერტარიანული შეხედულებების თანახმად, შვილებზე ზრუნვის ვალდებულება მხოლოდ ოჯახს ეკუთვნის და მასში საზოგადოების მონაწილეობა გაუმართლებელია.²³

7 გარდა საზოგადოების ჩართულობისა, კანონმდებელს უწევს პასუხი გასცეს კითხვას, რომელ მშობელს რა მოცულობით და რა ფორმით ეკისრება ბავშვზე ზრუნვის ვალდებულება.²⁴ ეს მხოლოდ ფინანსურ ვალდებულებას არ გულისხმობს, ვინაიდან ბავშვზე ზრუნვა არ შემოიფარგლება მხოლოდ ეკონომიკური ფექტებით.²⁵ შვილზე ზრუნვის მოვალეობები მშობლებს აიძულებთ გააკეთონ განსხვავებული ცხოვრებისეული არჩევანი, იქნება ეს განათლების თუ კარიერული კუთხით,

²⁰ *Betson D./Evenhouse E./Reilly S./Smolensky E.*, Trade-Offs Implicit in Child-Support Guidelines, 11 *Journal of Policy Analysis and Management* 1 (1992) 4; *Weitzman L.*, The Divorce Revolution: The Unexpected Social and Economic Consequences For Women And Children in America (1985); *Kelly S./Harding A.*, The Financial Impact of Divorce in Australia (2005).

²¹ *Eekelaar J.*, Family Law and Social Control in *Eekelaar J./Bell J.*, Oxford Essays in Jurisprudence (1987) 141; *Avellar A./Smock P.*, The Economic Consequences of the Dissolution of Cohabiting Unions, 67, *Journal of Marriage and Family* №315 (2005).

²² *Millar J./Warman A.*, Family Obligations in Europe (1996), 6-12.

²³ *George R.*, Who should bear the cost of children? *Public Affairs Quarterly* №1 (1987), 11.

²⁴ *Giampetro A.*, Mathematical Approaches to Calculating Child Support Payments: Stated Objectives, Practical Results and Hidden Policies, 20 *Family Law Quarterly* №373 (1986–87), 389.

²⁵ *Betson D./Evenhouse E./Reilly S./Smolensky E.*, Trade-Offs Implicit in Child-Support Guidelines, 11, *Journal of Policy Analysis and Management* 1 (1992), 18.

რაც, თავის მხრივ, აუცილებლად ახდენს გავლენას მათ შრომისუნარიანობაზე.²⁶ შესაბამისად, მშობლების ვალდებულების განსაზღვრისას კანონმდებელს უნევს მხედველობაში მიიღოს არა მხოლოდ ეკონომიკური მხარე, არამედ უფრო ფართო ჭრილში გადაწყვიტოს მშობლების რესურსების განაწილების საკითხი.²⁷ მაგალითად, თუკი ბავშვზე ზრუნვის ვალდებულების არსებობის მიზანი მხოლოდ ბავშვის არსებითი ინტერესების დაკმაყოფილება წარმოადგენს, მაშინ სარჩოს ოდენობის განსაზღვრისათვის გადამწყვეტია, სწორედ ბავშვის მოთხოვნილებები. მაგრამ, თუკი კანონმდებლის მიზანია დაიცვას ბავშვის უფრო ფართო მოლოდინები და ზრუნვის უფლებას განიხილავს, როგორც ბავშვის ფუნდამენტურ უფლებას, მაშინ სარჩოს ოდენობის განსაზღვრისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება, ასევე, მშობლის შემოსავალსაც.²⁸ ამ მიდგომის თანახმად, ბავშვს გააჩნია ლეგიტიმური მოლოდინი იმისა, რომ მშობელი მასაც გაუნაწილებს თავისი შემოსავლის გარკვეულ ნაწილს.

გარდა ამისა, კანონმდებელს უნევს განსაზღვროს ბავშვის საჭიროების ფარგლებიც: რა ითვლება ბავშვისათვის აუცილებლად, შეიძლება მისი გამოხატვა ფიქსირებული თანხით თუ იგი ცვალებადია მშობლის შემოსავლის და მისი სოციალური სტატუსის მიხედვით? ამ უკანასკნელი მიდგომით, მდიდარი ბავშვის „საჭიროებები“ უფრო მეტია, ვიდრე ღარიბის.²⁹ თუკი კანონმდებელი აირჩევს ფიქსირებულ მოდელს, ეს წარმოშობს კონკრეტულ ინდივიდუალურ საქმეში უსამართლო შედეგის მიღების საფრთხეს; ხოლო, მეორე მხრივ, თუკი კანონმდებელი აქცენტს დისკრეციასა და ზრუნვის პროპორციულ განაწილებაზე გააკე-

8

²⁶ *Bradbury R.*, The Price, Cost, Consumption and Value of Children SPRC Discussion Paper No 132 (2004), 17.

²⁷ *Schaeffer N.*, Principles of Justice in Judgments About Child Support, 69(1) Social Forces №157 (1990), 171.

²⁸ *Garrison M.*, Autonomy or Community? An Evaluation of Two Models of Parental Obligation, 86, California Law Review 41 (1998), 57-72.

²⁹ *Schaeffer N.*, Principles of Justice in Judgments About Child Support, 69(1) Social Forces №157 (1990), 161.

თებს, ამით შემცირდება კანონის წინასწარგანსაზღვრულობის ხარისხი, რაც ავტომატურად ზრდის სამართლის ადმინისტრირების ხარჯს.³⁰ თუკი კანონმდებელი აღიარებს ბავშვის უფლებას მიიღოს გარკვეული წილი მისი მშობლების შემოსავლიდან მაშინ, შესაძლებელია, სარჩოს ოდენობა გამოანგარიშებულ იქნას ორი ძირითადი მოდელის მიხედვით: (ა) „შემოსავლების გათანაბრების“ მოდელის თანახმად, სარჩოს ოდენობა უნდა დადგინდეს ისე, რომ ორივე ოჯახში (იგულისხმება მშობელთა დაშორების შედეგად შექმნილი ორი ოჯახი) ადამიანის საშუალო შემოსავალი გათანაბრდეს; ან (ბ) „შემოსავლების განაწილების“ მოდელის თანახმად მშობელმა საკუთარი შემოსავლის გარკვეული ნაწილი უნდა მოახმაროს ბავშვზე ზრუნვას.³¹ ნაკლებად სავარაუდოა, რომ პირველი მეთოდი მოიპოვებს საზოგადოების ფართო მხარდაჭერას, ვინაიდან, შესაძლოა, მან მშობელს დაუკარგოს შემოსავლის გაზრდის ინტერესი. „შემოსავლების განაწილების“ მეთოდი კი, როგორც ემპირიული ანალიზი აჩვენებს, უფრო პოლიტიკურად მისაღებია და კანონმდებლები სწორედ ამ მიდგომას ამჯობინებენ.

- 9** გარდა ამისა, კანონმდებელს უნევს არჩევანის გაკეთება, მშობლის რა ქონება და შემოსავალი მიიღოს მხედველობაში სარჩოს ოდენობის გამოსაანგარიშებლად და რა მოცულობით. მაგალითად, მიიღება თუ არა მხედველობაში ორივე მშობლის შემოსავალი, თუ გადამწყვეტია მხოლოდ იმ მშობლის შემოსავალი, რომელიც ბავშვთან არ ცხოვრობს?³² უნდა იყოს თუ არა დანესებული საალიმენტო ვალდებულების ზედა ზღვარი? რა გავლენა აქვს ალიმენტის ოდენობაზე მშობლის თავიდან დაქორწინებას ან ახალი სარჩენი პირის გაჩენას? ყველა ეს კითხვა პრაქტიკული მნიშვნელობისაა კანონმდებლისათვის ბავშვზე ზრუნვის ვალდებულების შინაარსის დადგენის მომენტში.

³⁰ *Jackson E./Wasoff F./Maclean M./Dobash R.*, Financial Support on Divorce: The Right Mixture of Rules and Discretion? 7 *International Journal of Law and the Family* 230 (1993), 233-252.

³¹ *Schaeffer N.*, Principles of Justice in Judgments About Child Support, 69(1) *Social Forces* №157 (1990), 161-162.

³² *Schaeffer N.*, Principles of Justice in Judgments About Child Support, 69(1) *Social Forces* №157 (1990), 160.

II. ბავშვთა უფლებების დაცვის სფეროში მოქმედი რეგულაციები

მშობლების მხრიდან შვილების რჩენის ვალდებულება უნივერსალურ ხასიათს ატარებს და განმტკიცებულია როგორც სხვადასხვა ქვეყნის ნაციონალურ კანონმდებლობებში, ისე საერთაშორისო ინსტრუმენტებში.³³ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის („გაერო“) 1948 წლის 10 დეკემბრის „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის“ 25 II მუხლის თანახმად, „დედობა და ჩვილი ყრმის ასაკი იძლევა განსაკუთრებული მზრუნველობითა და დახმარებით სარგებლობის უფლებას. ყველა ბავშვი, დაბადებული ქორწინებაში თუ ქორწინების გარეშე უნდა სარგებლობდეს ერთნაირი სოციალური დაცვით.“ უკვე 1989 წლის 20 ნოემბერს მიღებულ იქნა გაეროს კონვენცია „ბავშვის უფლებების შესახებ.“ დღეის მდგომარეობით, კონვენცია არის ბავშვთა უფლებების დაცვის ყველაზე ფართოდ აღიარებული და მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი.³⁴ კონვენცია აქცენტს აკეთებს ბავშვის უფლებებზე და არა მშობლების ვალდებულებებზე ბავშვების მიმართ.³⁵ ამ მხრივ, ზოგიერთი ავტორი გამოთქვამს კრიტიკას კონვენციის ტექსტის ზოგადი და ბუნდოვანი ფორმულირების გამო, რაც ქმნის პრაქტიკაში მისი აღსრულების პრობლემას.³⁶ ასეთ დროს განსაკუთრებით იზრდება ნაციონალური სასამართლოების როლი, სწორად განმარტონ კონვენცია და შეეცადონ, შიდაკანონმდებლობის ნორმების ინტერპრეტაციისას კონვენციით აღებული ვალდებულებებიც იქონიონ მხედველობაში.

10

კონვენცია ოჯახს განიხილავს საზოგადოების ყველაზე ფუნდამენტურ მდგენელ კომპონენტად და ბავშვებზე ზრუნვის ვალდებულებას, უპირველესად, მშობლებს აკისრებს. კონვენციის 27 II მუხლის თანახმად, „მშობელს (მშობლებს) ან ბავშვის აღმზრდელ სხვა პირებს აკისრიათ ძირითადი პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ თავიანთი შესაძ-

11

³³ *შენგელია*, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1197, გვ. 169.

³⁴ *Bueren V.G.*, *The International Law on the Rights of the Child* (1995); *Fottrell D.*, *Revisiting Children's Rights: 10 years of the UN Convention on the Rights of the Child* (2000); *Alston P./Tobin J.*, *Laying the Foundations for Children's Rights* (2005).

³⁵ *Eekelaar J.*, *The importance of thinking that children have rights*, 6 *International Journal of Law and the Family* №221 (1992), 234.

³⁶ *Fortin J.*, *Children's Rights and the Developing Law* (2nd ed. 2003) 12, 44.

ლებლობებისა და ფინანსური საშუალებების ფარგლებში უზრუნველყონ ბავშვის განვითარებისათვის საჭირო ცხოვრების პირობები.“ სახელმწიფო მოვალეა ხელი შეუწყოს მშობელს ამ ვალდებულების შესრულებაში, თუმცა, მშობელთან შედარებით, სახელმწიფოს დამხმარე როლი აკისრია.³⁷ კონვენციაში გათვალისწინებულია ისეთი ფუნდამენტური უფლებები, როგორებიცაა ბავშვის სიცოცხლის (მუხლი 6), ჯანმრთელობისა (მუხლი 24) და განათლების (მუხლი 28) უფლებები. ზოგადად, კონვენცია ბავშვს განიხილავს, როგორც საზოგადოების სრულუფლებიან წევრს, რომელიც არ შეიძლება აღქმულ იქნას, როგორც ობიექტი და ვინმეს (თუნდაც მშობლების) საკუთრება.³⁸ ბავშვის უფლებათა კონვენციის 27-ე მუხლის შესაბამისად, სახელმწიფოები ცნობენ ყოველი ბავშვის უფლებას, უზრუნველყოფილი იყოს ცხოვრების ისეთი დონით, რომელიც აუცილებელია მისი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი, ზნეობრივი და სოციალური განვითარებისათვის. ამავე კონვენციის 18-ე მუხლის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები ყველაფერს აკეთებენ, რათა უზრუნველყონ ბავშვის აღზრდასა და განვითარებაზე ორივე მშობლის საერთო და თანაბარი პასუხისმგებლობის პრინციპების აღიარება. მშობლებს ეკისრებათ ძირითადი პასუხისმგებლობა ბავშვის აღზრდასა და განვითარებაზე, ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესი წარმოადგენს მათი ზრუნვის მთავარ საგანს.³⁹

12 1966 წლის 16 დეკემბრის გაეროს საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ 23-ე მუხლში აღიარებს, რომ „ოჯახი საზოგადოების ბუნებრივი და ძირითადი უჯრედია და უფლება აქვს, დაცული იქნას საზოგადოების და სახელმწიფოს მიერ.“ ხოლო, 23 IV მუხლის ბოლო წინადადებაში ადგენს, რომ „განქორწინების შემთხვევაში გათვალისწინებული უნდა იყოს ყველა ბავშვის საჭირო დაცვა.“

13 მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთობები დაცულია ასევე ევროსაბჭოს 1950 წლის 4 ნოემბრის „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის“ კონვენციის მე-8 მუხლით. კერძოდ, კონვენციის 8 I მუხლის თანახმად, „ყველას აქვს უფლება, რომ დაცული იყოს

³⁷ Harris-Short S., Miles J., Family Law: Text, Cases and Materials (2011), 351-352; Harris N., Social security and the UN Convention on the Rights of the Child in Great Britain, 7 Journal of Social Security Law №9 (2000).

³⁸ სუსგ №ას-861-2019, 03/10/2019, სუსგ №ას-1141-1061-2017, 17/10/2017.

³⁹ სუსგ №ას-1008-944-2012, 24/09/2012.

მისი პირადი და ოჯახური ცხოვრება, საცხოვრისი და მიმონერა.“ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით კონვენციის 8 I მუხლში მითითებული „ოჯახური ცხოვრება“ ასევე მოიცავს მშობლებისა და შვილების ურთიერთობებს. სასამართლო საკუთარ არაერთ გადანყვეტილებაში განმარტავს აღნიშნული ურთიერთობების სხვადასხვა ასპექტებს. ევროსასამართლომ მშობლების ბავშვთან ურთიერთობასთან დაკავშირებულ დავებზე არაერთხელ აღნიშნა, რომ ბავშვის ინტერესები არის განსაკუთრებული მნიშვნელობის⁴⁰ და ბავშვის საუკეთესო ინტერესები უნდა იყოს როგორც მშობლის, ისე სახელმწიფოს უპირველესი საზრუნავი.⁴¹ ზოგიერთ შემთხვევაში, თავისი შინაარსიდან და სერიოზულობიდან გამომდინარე, ბავშვის ინტერესები გადანონის კიდეც მშობლების ინტერესებს.⁴² კონვენციის 8 I მუხლიდან გამომდინარე, მშობელს გააჩნია ზოგადი და უნივერსალური ვალდებულება, არ განახორციელოს ისეთი მოქმედებები, რომლებმაც, შესაძლოა, ზიანი მიაყენოს ბავშვის ჯანმრთელობასა და ნორმალურ განვითარებას.⁴³ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული გადანყვეტილებების მიხედვით, მშობელთა მხრიდან შვილებზე ზრუნვის დებულება ფართო განმარტებას ექვემდებარება და მასში მოიაზრება ოჯახური ცხოვრების ყველა ის ასპექტი, რომელიც დამკვიდრებულია დემოკრატიულ საზოგადოებაში და ემსახურება ამ საზოგადოების კეთილდღეობას, მათ შორისაა არასრულწლოვანთა ოჯახური ცხოვრების უზრუნველყოფის ასპექტიც.⁴⁴

გარდა აღნიშნულისა, ბავშვთა უფლებების დაცვის კუთხით მიღებულია არაერთი საერთაშორისო ინსტრუმენტი, რომელიც სხვადასხვა მიმართულებით იცავს ბავშვთა უფლებებს (შეიარაღებულ კონფლიქტში ბავშვების მონაწილეობის აკრძალვა, ბავშვთა პორნოგრაფიისა და ტრეფიკინგის აკრძალვა, ბავშვთა შრომითი უფლებების დაცვა, ბავშვ-

14

⁴⁰ Krasicki v. Poland, no. 17254/11, §83, 15 April 2014.

⁴¹ Gnahre v. France, n. 40031/98, §59, ECHR 2000-IX.

⁴² Sahin v. Germany [GC], no. 30943/96, §66, ECHR 2003-VIII.

⁴³ Scozzar and Giunta v. Italy [GC], no. 39211/98 and 41963/98, §169, ECHR 2000-VIII; P., C. And S. v. the United Kingdom. no. 56547/00, §177, ECHR 2002-VI.

⁴⁴ სუსგ №ას-1433-1353-2017, 09/02/2018, სუსგ №ას-1112-1047-2015, 04/03/2016.

თა სოციალური, კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური უფლებების დაცვა, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება და სპეციალური სასამართლოები და სხვ.).

- 15** 2019 წლის 20 სექტემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო „ბავშვის უფლებათა კოდექსი“ (გამოქვეყნების თარიღი 27/09/2019). კოდექსის პირველივე მუხლის თანახმად, „ამ კოდექსის მიზანია ბავშვის კეთილდღეობის უზრუნველყოფა საქართველოს კონსტიტუციის, ბავშვის უფლებათა კონვენციის, მისი დამატებითი ოქმებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებული სხვა საერთაშორისო სამართლებრივი აქტების ეფექტიანი იმპლემენტაციის ხელშეწყობით.“ ამით კოდექსმა დეკლარირებულად დაუჭირა მხარი ბავშვთა უფლებების სფეროში მოქმედ საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებს. აღნიშნული სტანდარტით უნდა იხელმძღვანელოს ყველა პირმა, რომელსაც უნევს ბავშვებთან ურთიერთობა და მათთან დაკავშირებით გადანყვეტილების მიღება: „ეს კოდექსი არის საკანონმდებლო აქტი, რომლითაც ხელმძღვანელობენ საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები, მუნიციპალიტეტის ორგანოები, სხვა ადმინისტრაციული ორგანოები, საერთო სასამართლოები, საჯარო და კერძო სამართლის სუბიექტები და ფიზიკური პირები ბავშვებთან და ბავშვის საკითხებთან დაკავშირებული საქმიანობის განხორციელებისა და გადანყვეტილების მიღების დროს“ (2 III მუხლი). კოდექსი საინტერესო განმარტებას შეიცავს ბავშვის საუკეთესო ინტერესთან დაკავშირებით: 3 თ) მუხლის თანახმად „ბავშვის საუკეთესო ინტერესები [არის] ბავშვის კეთილდღეობის, უსაფრთხოების, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, განვითარების, საზოგადოებრივი, ზნეობრივი და სხვა ინტერესები, რომლებსაც პრიორიტეტულად განსაზღვრავს მშობელი ამ კოდექსის, საქართველოს კონსტიტუციის, ბავშვის უფლებათა კონვენციის, მისი დამატებითი ოქმებისა და საქართველოს სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და ბავშვის ინდივიდუალური მახასიათებლების შესაბამისად, მისი მონაწილეობით და მისი მოსაზრების გათვალისწინებით.“ შესაბამისად, კოდექსის თანახმად ბავშვის საუკეთესო ინტერესები არ შემოიფარგლება, მხოლოდ, მისი ფინანსური ან, თუნდაც, ჯანმრთელობის ინტერესით, არამედ წარმოადგენს ყველა იმ მნიშვნელოვანი ასპექტის კომბინაციას, რაც ქმნის ბავშვის საცხოვრებელ გარემოს. კოდექსის თანახ-

მად „ბავშვს უფლება აქვს, მასთან დაკავშირებული ნებისმიერი გადამწყვეტილების მიღებისას უპირატესობა მიენიჭოს მის საუკეთესო ინტერესებს, რომლებიც ბავშვისთვის ინდივიდუალურად, ამ კოდექსის, საქართველოს კონსტიტუციის, ბავშვის უფლებათა კონვენციის, მისი დამატებითი ოქმებისა და საქართველოს სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად განისაზღვრება“ (5 I მუხლი). კოდექსი განამტკიცებს ბავშვის ფუნდამენტურ უფლებებს, როგორებიცაა: ბავშვის სიცოცხლისა და პიროვნული განვითარების უფლება (მე-6 მუხლი), ბავშვთა თანასწორობის უფლება (მე-7 მუხლი), ბავშვის უფლება მისი აზრის მოსმენასა და მონაწილეობაზე (მე-8 მუხლი), ბავშვის პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლება (მე-9 მუხლი), ბავშვის განათლების უფლება (მე-10 მუხლი), ბავშვის ჯანმრთელობის დაცვის უფლება (მე-11 მუხლი), ბავშვის უვნებელ გარემოში ცხოვრების, განვითარებისა და სოციალური დაცვის უფლება (მე-12 მუხლი), ბავშვის უფლება მართლმსაჯულებაზე (მე-13 მუხლი), ბავშვის აზრის, ინფორმაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებითა და ინტერნეტით სარგებლობის თავისუფლების უფლებები (მე-14 მუხლი), ბავშვის მიერ ინფორმაციის მიღების უფლება (მე-15 მუხლი), ბავშვის რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლებები (მე-16 მუხლი), ბავშვთა გაერთიანებისა და მშვიდობიანი შეკრების თავისუფლებები (მე-17 მუხლი), ბავშვის თამაშისა და დასვენების უფლება (მე-18 მუხლი), ბავშვის საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლება (მე-19 მუხლი), ბავშვის ინტელექტუალური შემოქმედების უფლება (მე-20 მუხლი), ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებაში ბავშვის მონაწილეობის უფლება (21-ე მუხლი). გარდა ამისა, კოდექსის 22-ე მუხლი პირდაპირ მიუთითებს, რომ „ეს კოდექსი არ უარყოფს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ ბავშვის სხვა უფლებებს.“ კოდექსის XII თავი ადგენს ბავშვთა უფლებების დაცვის სფეროში სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურის უფლებამოსილებებს, მათ შორის, ასევე საერთო სასამართლოების უფლებამოსილებებსაც. კოდექსის 95 I მუხლის თანახმად, „ბავშვის უფლებათა საკითხებზე საქართველოს საერთო სასამართლოები უზრუნველყოფენ სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალწარმოებების განხორციე-

ლებას ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების პრინციპების გათვალისწინებით, რომლებიც აღიარებულია ბავშვის უფლებათა შესახებ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით და დადგენილია ამ კოდექსით.“ ამასთან, მნიშვნელოვანი უფლებამოსილებები აქვს მინიჭებული იუსტიციის უმაღლეს საბჭოს (95 II მუხლი). გარდა ამისა, ბავშვთა უფლებების დაცვის სფეროში მნიშვნელოვან როლს ასრულებს სახალხო დამცველი. ის ახორციელებს კოდექსისა და ბავშვის უფლებების დაცვის სფეროში არსებული საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტების, ბავშვის უფლებათა კონვენციისა და სხვა საერთაშორისო სამართლებრივი აქტების აღსრულების მონიტორინგს (97 III ა) მუხლი).

მუხლი 1197. მშობელთა თანასწორუფლებიანობა შვილების მიმართ

შვილების მიმართ მშობლებს თანაბარი უფლება-მოვალეობები აქვთ. ბავშვს აქვს უფლება ცხოვრობდეს და იზრდებოდეს ოჯახში.

I. ზოგადი237
 II. ზრუნვის საერთო უფლებამოსილება238
 III. ზრუნვის ფარგლები238
 IV. ერთობლივად გამოყენება238
 V. სახელმწიფოს მხრიდან ჩარევა239
 VI. მშობლის ზრუნვის დასრულება239

I. ზოგადი

მშობლის ზრუნვა გამომდინარეობს კონსტიტუციის 5 IV 1 მუხლით **1** გამყარებული ოჯახის, როგორც სახელმწიფოს განსაკუთრებული ზრუნვის ობიექტის, დაცვის პრინციპიდან. მოცემული თავის ნორმები ემსახურება ოქროს შუალედის მოძებნას მშობლების უფლების დაცვა-სა და ბავშვის ინტერესს შორის, რომელიც მას აქვს ფიზიკურ თუ სულიერ განვითარებასთან დაკავშირებით. ამ ბალანსის ზედამხედველად სახელმწიფო გვევლინება, რის გამოც, ზრუნვის უფლება შეიცავს მთელ რიგ კონტროლის მექანიზმებსა და სასამართლოს მხრიდან რეგულირების შესაძლებლობას.

თუ ისტორიულად ზრუნვის უფლება მთლიანად მამას ჰქონდა მინიჭებული (მამის ძალაუფლების ნაწილი იყო) და, დედის სრული სამართლებრივი გათანასწორების შემდეგაც, აღიქმებოდა, როგორც ძალაუფლებას დაქვემდებარების ურთიერთობა, დღესდღეობით წინა პლანზე დგას მშობლების პასუხისმგებლობა ბავშვების წინაშე და მშობლის ზრუნვა, პირველ რიგში, აღიქმება, როგორც მოვალეობა ბავშვის წინაშე, რაც დაფიქსირებულია ასევე 1197-ე და მომდევნო მუხლებში.¹ **2**

¹ *შენგელია*, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1198, გვ. 170.

II. ზრუნვის საერთო უფლებამოსილება

- 3** მშობლების ვალდებულებიდან, იზრუნონ საკუთარ შვილებზე, გამომდინარეობს, რომ ზოგადად ორივეს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა შეასრულოს მისთვის კანონით დაკისრებული ეს ვალდებულება.² ამიტომაც, კანონმდებელმა, ყველა ბავშვთან მიმართებით, მშობლის ზრუნვის სტრუქტურა მოაწყო იმგვარად, რომ, ის, ზოგადად, ორივე მშობელს აქვს. თუ ბავშვი იბადება რეგისტრირებული ქორწინების ფარგლებში ან მშობლები ქორწინებიან მოგვიანებით, დედას და მამას კანონით ენიჭებათ საერთო ზრუნვის უფლება (არგუმენტი 1197-ე მუხლიდან). ამ ზრუნვის უფლებას ისინი ინარჩუნებენ ასევე განქორწინების შემდეგაც.
- 4** თუ ბავშვის მშობლები დაქორწინებულნი არ არიან მისი დაბადების მომენტისათვის, მშობლის ზრუნვა ზოგადად დედას აქვს, თუმცა მამას აქვს 1190-ე მუხლით მინიჭებული მამობის აღიარების შესაძლებლობა. ამით ის ბავშვის მიმართ მოიპოვებს იმავე ზრუნვის პოზიციებს, რაც ექნებოდა დედასთან დაქორწინებულ მამას.

III. ზრუნვის ფარგლები

- 5** 1197-ე მუხლის გაგებით მშობლის ზრუნვის ფარგლები მოიცავს: 1. პირად საკითხებზე ზრუნვას (პიროვნულ ზრუნვას, 1198 I-III, V); 2. მის ქონებზე ზრუნვას (1198 IV) და წარმომადგენლობას მესამე პირების წინაშე (1198 VI).³

IV. ერთობლივად გამოყენება

- 6** თუ მშობლებს ერთობლივად ეკუთვნით მშობლის ზრუნვის უფლებამოსილება, მათ ის ერთობლივად უნდა გამოიყენონ (1200). მშობლის ზრუნვის გადაცემა დაუშვებელია, თუმცა შესაძლებელია, კონკრეტული კომპეტენციების გამოყენების უფლების სხვა პირისათვის მინიჭება (1211). ერთობლივი ზრუნვა არ გულისმობს იმას, რომ მშობლებმა

² შენგელია, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1197, გვ. 169.

³ შენგელია, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1198, გვ. 171.

ყოველთვის ერთობლივად უნდა იმოქმედონ. ერთმანეთისათვის უფლებამოსილების დელეგირება – განსაკუთრებით, ყოველდღიურ ყოფით საკითხებში – დასაშვებია და პრაქტიკაში დამკვიდრებულია. საერთო ზრუნვის უფლებიდან გამომდინარეობს ურთიერთშეთანხმებით მოქმედების აუცილებლობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მშობლების ურთიერთსაწინააღმდეგო გადანყვეტილებები გარე ურთიერთობაში ერთმანეთს გაანეიტრალებდნენ. თუ მშობლები რაიმე საკითხთან დაკავშირებით შეთანხმებას ვერ ახერხებენ, აუცილებელია სასამართლოს მეშვეობით ერთი მშობლისათვის შესაბამისი ერთპიროვნული კომპეტენციის მინიჭება (1200 II). თუმცა ეს ცალკეული შემთხვევებით არის შემოსაზღვრული. თუ ამგვარი კონფლიქტი სისტემატიურ ხასიათს იღებს და ნათელი ხდება, რომ მშობლებს ერთობლივი ზრუნვის განხორციელება არ ძალუძთ, აუცილებელია ჩაერიოს სახელმწიფო და ერთ-ერთ მხარეს ეს ზრუნვის უფლება ჩამოართვას, იხ. ქვემოთ.

V. სახელმწიფოს მხრიდან ჩარევა

სახელმწიფოს მხრიდან ჩარევა ზრუნვის უფლებამოსილებაში დასაშვებია, თუ მშობლები თავიან ამ უფლებამოსილებას არ იყენებენ ბავშვის ინტერესების შესაბამისად.⁴ მათ შეიძლება ეს ზრუნვა შეეზღუდოთ (1205), შეუჩერდეთ (1205¹) ან ჩამოერთვათ (1206). ამ გადანყვეტილების მიღების ერთადერთი და ამოსავალი კრიტერიუმია ბავშვის კეთილდღეობა. მისთვის საფრთხის შექმნა განაპირობებს სახელმწიფოს მხრიდან ჩარევის აუცილებლობას და ზღუდავს მის ფარგლებს.

იხ. მშობლის უფლების შეზღუდვა, შეჩერება და ჩამორთმევასთან დაკავშირებით, 1205-ე და მომდევნო მუხლების კომენტარი.

VI. მშობლის ზრუნვის დასრულება

მშობლის ზრუნვა სრულდება, როდესაც ბავშვი მიაღწევს 18 წლის ასაკს. თუ პირს ამ ასაკის მიღწევის შემდეგაც არ ძალუძს საკუთარ თავ-

⁴ შენგელია, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1198, გვ. 172.

ვზე ზრუნვა, მას ენიშნება მხარდამჭერი 1280-ე და მომდევნო მუხლების მიხედვით. მშობლის ზრუნვა ავტომატურად არ გრძელდება. ის მთავრდება ასევე მაშინ, როდესაც ბავშვი გარდაიცვლება. ამ შემთხვევაში მშობლებმა მანამდე უნდა გააგრძელონ გარდაცვლილი შვილის გადაუდებელი საქმეების წარმოება, სანამ მემკვიდრეს არ შეეძლება თავად გაუძღვეს მათ. მშობლის ზრუნვა ასევე მთავრდება ზრუნვაზე უფლებამოსილი პირის გარდაცვალებით. ამ შემთხვევაში ის ერთპიროვნულად ეკუთვნის მეორე მშობელს.

- 9** იხ. ზრუნვის უფლების შინაარსთან და მისგან გამომდინარე კონკრეტულ უფლებამოსილებებთან დაკავშირებით 1198-ე მუხლის კომენტარი.

მუხლი 1198. მშობელთა მოვალეობანი შვილების მიმართ

1. მშობლები უფლებამოსილი და ვალდებული არიან, აღზარდონ თავიანთი შვილები, იზრუნონ მათი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი და სოციალური განვითარებისათვის, აღზარდონ ისინი საზოგადოების ღირსეულ წევრებად, მათი ინტერესების უპირატესი გათვალისწინებით.

1. დაუშვებელია არასრულწლოვანი ბავშვის აღზრდისას მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ აღზრდის ისეთი მეთოდების გამოყენება, რომლებიც არასრულწლოვნის ფიზიკურ ან/და ფსიქიკურ ტანჯვას იწვევს.

2. მშობლებს აქვთ ბავშვის რჩენის ვალდებულება.

3. მშობლებს უფლება აქვთ, განსაზღვრონ, თუ ვისთან და სად უნდა იცხოვროს შვილმა.

4. მშობლებს ევალებათ, დაიცვან თავიანთი არასრულწლოვანი შვილების უფლებები და ინტერესები, რაც მოიცავს შვილების ქონების მართვასა და გამოყენებას.

5. მშობლებს ენიჭებათ უფლება და ეკისრებათ ვალდებულება, ჰქონდეთ ურთიერთობა თავიანთ შვილებთან, განსაზღვრონ თავიანთ შვილებთან მესამე პირთა ურთიერთობის უფლება.

6. მშობლები არასრულწლოვანი შვილების კანონიერი წარმომადგენლები არიან და განსაკუთრებულ რწმუნებულებათა გარეშე გამოდინ მათი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად მესამე პირებთან ურთიერთობაში, მათ შორის, სასამართლოში.

*საქართველოს 2007 წლის 18 დეკემბრის კანონი №5624 - სსმ I, №48, 27.12.2007წ., მუხ.414
საქართველოს 2014 წლის 17 თებერვლის კანონი №2703 - ვებგვერდი, 31.10.2014წ.*

I. ზოგადი	242
II. უფლებებისა და ვალდებულებების ნაკრები	242
III. ერთობლივი ზრუნვა, 1198 I.....	244

IV. მცირეწლოვანი და არასრულწლოვანი შვილები	244
V. ზრუნვის უფლების შინაარსი	245
1. პიროვნებაზე ზრუნვა, 1198 I-III, V	245
2. ქონებაზე ზრუნვა, 1198 IV	246
VI. ზრუნვის უფლება ერთმანეთთან დაუქორწინებელი მშობლების შემთხვევაში ..	246
VII. კანონიერი წარმომადგენლობა, 1198 VI	247
1. ერთობლივი ზრუნვა.....	247
2. წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეზღუდვა და ჩამორთმევა	248

I. ზოგადი

- 1 1198-ე მუხლი შეიცავს მთავარ რეგულატორულ ბირთვს მშობლის ზრუნვის უფლების მონესრიგებისათვის.¹ ის ნათელყოფს, რომ მშობლის ზრუნვას აქვს მოვალეობის ხასიათი შვილის მიმართ და უფლებამოსილების ხასიათი მესამე პირებთან ურთიერთობაში. მოცემული დანაწესი შეიცავს ასევე ამ უფლებამოსილების დეფინიციას და განსაზღვრავს მის ძირითად შინაარსს.
- 2 ამ ურთიერთობის მოსაწესრიგებლად დამატებით გამოიყენება ბავშვის უფლებათა კოდექსი, რომელიც აყალიბებს ბავშვის საუკეთესო ინტერესების² გათვალისწინებისა და მის შესაბამისად მოქმედების იმპერატიულ მოთხოვნას (იხ. კოდექსის მე-5 მუხლი).

II. უფლებებისა და ვალდებულებების ნაკრები

- 3 მშობლის ზრუნვა არის ერთდროულად მოვალეობებისა და უფლებების მომნიჭებელი ურთიერთობა, რაც ცალსახად არის დაფიქსირებული 1198-ე მუხლში. მშობლები ზრუნვას ახორციელებენ არა როგორც საკუთარ უფლებას, არამედ ბავშვის ინტერესებში; იმისათვის, რათა ხელი შეუწყონ მის გონიერ და დამოუკიდებელ ადამიანად ჩამოყალიბებას.³ თუ ისინი ბოროტად იყენებენ ამ ზრუნვის უფლებას ან, თუ ნათელი ხდება, რომ მათ არ შესწევთ უნარი უზრუნველყონ ხსენე-

¹ შენგელია, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1198, გვ. 170.

² „საუკეთესო ინტერესების“ ცნებასთან დაკავშირებით იხ. ბავშვის უფლებათა კოდექსის 3 თ) და 5 II მუხლები.

³ შენგელია, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1198, გვ. 170.

ბული მიზნის მიღწევა, სახელმწიფოს შეუძლია ჩაერიოს საკუთარი კონტროლის ფუნქციიდან გამომდინარე (კონსტიტუციის 5 IV 1 მუხლი) და განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები, ზრუნვის უფლების სრულად ჩამორთმევის ჩათვლით.

ზრუნვის ვალდებულებითი ხასიათი კონსტატირებულია, პირველ რიგში, 1198 I მუხლში, რომელიც წარმოადგენს სახელმძღვანელო წესს აღზრდისათვის.⁴ ამ დანაწესის მიხედვით, მშობლებმა ბავშვის აღზრდისას უნდა გაითვალისწინონ მისი მზარდი მოთხოვნილებები და დამოუკიდებლად მოქმედების უნარი. რამდენადაც ბავშვს შესწევს შესაბამისი უნარი, მშობელი ვალდებულია ჰქონდეს მასთან კომუნიკაცია აღზრდასთან დაკავშირებულ საკითხებზე და შეეცადოს გადანყვეტილების მასთან შეთანხმებულად მიღებას.⁵ ამ პრინციპის ქვეშ იგულისმება, რომ აღზრდა უნდა ემყარებოდეს პარტნიორულ სანყისებს. ამით ბავშვს არ ენიჭება „ხმის უფლება“ ზემოთ ხსენებულ გადანყვეტილებებზე, არამედ მხოლოდ იკრძალება ბავშვის ყველა სურვილის უგულველმყოფი აღზრდის ავტორიტარული მოდელი. ამასთან, ასევე დაუშვებელია გადანყვეტილების მიღების კომპეტენციის ბავშვზე სრულად გადაკისრება, რადგან ამით მშობლები კარგავენ ყოველგვარ ავტორიტეტს.

ზრუნვის ვალდებულებითი ასპექტის მნიშვნელოვანი გამოვლინება ასევე 1198 V მუხლში დაფიქსირებული ბავშვის უფლება – ჰქონდეს ურთიერთობა ორივე მშობელთან და მათ მიერ შერჩეულ პირებთან.⁶ მშობლების ეს ვალდებულება მნიშვნელოვანი ხდება განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მშობლები ცალ-ცალკე იწყებენ ცხოვრებას და ზრუნვის უფლება მხოლოდ ერთს რჩება. ეს დანაწესი ნათელყოფს, რომ ამ დროს ერთი მშობლის გადანყვეტილებამ – წინ აღუდგეს მეორე მშობლის მიერ ბავშვის მონახულებას, შეიძლება გამოიწვიოს მინიჭებული ერთპიროვნული ზრუნვის უფლების კორექცია. ეს პრინციპი დაკონკრეტებულია ასევე 1202-ე II მუხლში. იგივე ითქმის მესამე პირებთან კონტაქტის ქონაზე. თუმცა აუცილებელია, რომ ამ მესამე პირებთან

⁴ შენგელია, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1198, გვ. 171.

⁵ იხ. ასევე ბავშვის უფლებათა კოდექსის მე-8 მუხლი.

⁶ იხ. ასევე ბავშვის უფლებათა კოდექსის 9 I მუხლი.

კონტაქტი იყოს ბავშვის ინტერესებისათვის სასარგებლო, ანუ, ამ პირებს უნდა ჰქონდეთ დადებითი ეფექტი ბავშვის განვითარებაზე. არ არის საკმარისი მხოლოდ უარყოფითი ეფექტის არქონა.

- 6** ყველა მესამე პირის მიმართ, სახელმწიფოს ჩათვლით, მშობლის ზრუნვა წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას. სახელმწიფოსათვის კონსტიტუციით მინიჭებული ჩარევის შესაძლებლობა (კონსტიტუციის 5 IV I მუხლი) შემოსაზღვრულია 1205-1206-ე მუხლების ვიწრო ჩარჩოებით. ასევე კერძო პირებთან მიმართებით, მშობლის ზრუნვა წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას 992-ე მუხლის გაგებით, რომლის ხელყოფამაც შეიძლება გამოიწვიოს სარჩოს გადახდისა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნების წარმოშობა.⁷

III. ერთობლივი ზრუნვა, 1198 I

- 7** მშობლის ზრუნვა, ზოგადად, ორივე მშობელს ერთობლივად ეკუთვნის.⁸ ეს წესი ნებისმიერ შემთხვევაში მოქმედებს მაშინ, თუ ისინი დაქორწინებულნი არიან ან დაქორწინებულნი იყვნენ, ან, თუ ისინი, მართალია, არ არიან დაქორწინებულნი, თუმცა მამობა აღიარებულია კანონიერი წესით (1189-ე და მომდევნო მუხლები). ერთპიროვნული ზრუნვა თავიდანვე აქვს მხოლოდ ქორწინებაში არმყოფ დედას, თუ შვილის ბიოლოგიურ მამას არ უღიარებია მამობა, მას მშობლის უფლება ჩამოერთვა (1206) ან გარდაცვლილია.
- 8** თუ ერთობლივი ზრუნვა სახეზე, მას მშობლები ახორციელებენ ერთობლივად და უნდა შეეცადონ განახორციელონ ის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე (1200 I). მშობლებს შორის გადაულახავი წინააღმდეგობის არსებობისას საკითხს წყვეტს სასამართლო (1200 II).

IV. მცირეწლოვანი და არასრულწლოვანი შვილები

- 9** ზრუნვის უფლება არსებობს მხოლოდ მცირეწლოვანი და არასრულწ-

⁷ BGHZ 111, 168.

⁸ შენგელია, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1197, გვ. 169.

ლოვანი შვილების მიმართ – დაბადებიდან სრულწლოვანების (12 II) მიღწევამდე. ის არ არსებობს ბავშვის მუცლად ყოფნის პერიოდში, თუმცა საკამათოა, აქვს თუ არა მასზე მითითებით მომავალ მამას დედისათვის ბავშვის მუცლად ყოფნის პერიოდში აბორტის აკრძალვის უფლება.⁹ სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ ზრუნვის უფლებამოსილების განხორციელება გამორიცხულია მაშინაც კი, როდესაც შვილს, ავადმყოფობის თუ უნარშეზღუდულობის გამო, არ შეუძლია საკუთარი საქმეების პირადად გაძღოლა. ამ შემთხვევაში მას ენიშნება მხარდამჭერი ან მზრუნველი, 1275-ე და მომდევნო მუხლების მიხედვით. სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ ზრუნვის უფლება არ გრძელდება არც იმ შემთხვევაში, როდესაც შვილი აგრძელებს მშობლების სახლში ცხოვრებას.

V. ზრუნვის უფლების შინაარსი

ზრუნვის უფლების შინაარსი მოიცავს ბავშვის პიროვნებასა და მის ქონებაზე ზრუნვას, ორივე გულისხმობს, ამავდროულად, ბავშვის წარმოდგენას შესაბამის საქმეებში. ყველა ამ გადანყვეტილების მიღება უნდა მოხდეს ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით.¹⁰ **10**

1. პიროვნებაზე ზრუნვა, 1198 I-III, V

პიროვნებაზე ზრუნვას, პირველ რიგში, განეკუთვნება მისი აღზრდა¹¹ (იხ. ზემოთ), მისი გვარის განსაზღვრა (1195-ე და მომდევნო მუხლი),¹² ასევე მისი სახელის განსაზღვრა, გადანყვეტილება სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებით, მათ შორის, სისხლის გადასხმასთან და ორსულობის გაგრძელებასთან დაკავშირებით, რელიგიური აღმსარებლობის არჩევა, თუ ბავშვს თავად არ შეუძლია ამ გადანყვეტილების მიღება. **11**

თუ ბავშვის პირადი საქმეების მოგვარება გარიგების დადებას გუ- **12**

⁹ შდრ. AG Köln FamRZ 1985, 519.

¹⁰ იხ. ბავშვის უფლებათა კოდექსის მე-5 და მომდევნო მუხლები.

¹¹ *შენგელია*, სკ-ის კომენტარი, *ჭანტურია* (რედ.), 2000, მუხ. 1198, გვ. 171.

¹² *შენგელია*, სკ-ის კომენტარი, *ჭანტურია* (რედ.), 2000, მუხ. 1195, გვ. 166.

ლისხმობს, მშობლები წარმოადგენენ მას ამ გარიგების დადებისას. პიროვნებაზე ზრუნვას განეკუთვნება ასევე გადანყვეტილება, ბავშვის მიერ რაიმე ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით, მონმედ გამოსვლა სასამართლოზე, თანაქმედება მამობის აღიარებაზე, ასევე: გადანყვეტილება მოქალაქეობის მიღება-დაკარგვასთან დაკავშირებით.

2. ქონებაზე ზრუნვა, 1198 IV

- 13** ქონებაზე ზრუნვის ქვეშ ექცევა ყველა ფაქტობრივი და სამართლებრივი მოქმედება, რომელიც მიმართულია ბავშვის ქონების შენარჩუნება-გაზრდისა და რეალიზაციისაკენ.¹³ მას განეკუთვნება მოთხოვნების წარდგენა სასამართლო წესით თუ მის მიღმა, ისევე, როგორც ბავშვის წინააღმდეგ წაყენებული მოთხოვნების „მოგერიება“. ბავშვის ქონებას განეკუთვნება, არსებული ქონების გარდა, ამ ქონების შემოსავალი და ასევე შემოსავალი მოგების მომტანი საქმიანობიდან, თუ მისი გამოყენება არ უნდა მოხდეს სარჩოს სახით. ქონებაზე ზრუნვა არ ვრცელდება იმ სიკეთეებზე, რასაც მშობლები და მესამე პირები მათი თანხმობით გადასცემენ ბავშვს თავისუფალ განკარგვაში ან კონკრეტული მიზნის მისაღწევად (65 I).
- 14** მშობლები, ბავშვის ქონებაზე ზრუნვის ფარგლებში, პასუხს აგებენ მხოლოდ *diligentia quam suis*, ანუ, საკუთარ საქმეებში გამოჩენილი გულისხმიერების მასშტაბით.¹⁴

VI. ზრუნვის უფლება ერთმანეთთან დაუქორწინებელი მშობლების შემთხვევაში

- 15** თუ ბავშვის დაბადების მომენტში მისი მშობლები ერთმანეთთან დაქორწინებულნი არ არიან, საერთო ზრუნვის უფლება წარმოიშობა იმ შემთხვევაში, თუ მამაკაცი მამობას აღიარებს 1190-ე მუხლის მიხედვით ან შესაბამისი სასამართლო გადანყვეტილებით ამ ზრუნვის უფლების მინიჭების შესახებ.

¹³ შენგელია, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1198, გვ. 172.

¹⁴ შდრ. გსკ-ის 1164-ე პარაგრაფი.

VII. კანონიერი წარმომადგენლობა, 1198 VI

დანანესი ანესრიგებს ბავშვის წარმომადგენლობას მესამე პირთა წინაშე.¹⁵ აქაც მოქმედებს პრინციპი, რომ მშობლებს წარმომადგენლობითი უფლებამოსილება ერთობლივად ეკუთვნით; მათ აქვთ ერთობლივი უფლებამოსილება.¹⁶ ერთპიროვნული უფლებამოსილება ერთ-ერთ მშობელს აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ვადის გადაცილების საფრთხე, ზრუნვის უფლების ჩამორთმევის, შეჩერების ან შეზღუდვისას (1206, 1205¹, 1205), ასევე, მეორე მშობლის მიმართ რჩენის მოთხოვნის წაყენებისას (იხ. ქვემოთ).

1. ერთობლივი ზრუნვა

ბავშვის წარმომადგენლობა არის მშობლის ზრუნვის ნაწილი. ამიტომაც, ის, ზოგადად, იმ მშობელს აქვს, რომელსაც ეკისრება ზრუნვის უფლება. თუ ზრუნვის უფლება მხოლოდ ერთ მშობელს აქვს დატოვებული, წარმომადგენლობაც მხოლოდ მას ეკუთვნის.

თუ ზრუნვა ორივე მშობელს აქვს მინიჭებული, მაშინ წარმომადგენლობა მშობელთა მხრიდან არის ერთობლივი წარმომადგენლობა, ანუ მშობლები მოქმედებენ ერთობლივად. ეს ნიშნავს იმას, რომ მათ ერთობლივად უნდა გამოხატონ ნება ბავშვის სახელით. შეუთანხმებლობის შემთხვევაში უნდა ეცადონ მიაღწიონ კონსენსუსს (1200 I). მხოლოდ მისი მიღწევის შეუძლებლობის შემთხვევაში ხდება ზრუნვის ერთ-ერთ მშობელზე დელეგირება (1200 II). დასაშვებია მშობლების მიერ ერთმანეთისათვის რწმუნებულების მინიჭება იმ შინაარსით, რომ ერთი მშობელი მოქმედებდეს ორივეს მაგივრად. ვადის გადაცილების ან მსგავსი ტიპის საფრთხის შემთხვევებში, როდესაც მეორე მშობლის თანხმობის მოპოვება უკავშირდება დახანებას, რომელიც ბავშვის ინტერესებთან შეუთავსებელია, თითოეული მშობელი უფლებამოსილია ერთპიროვნულად წარმოადგინოს ბავშვი. ამ ტიპის შემთხვევებს განეკუთვნება გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აუცილებლობა (მაგრამ არა

¹⁵ *შენგელია*, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1198, გვ. 171.

¹⁶ *შენგელია/შენგელია*, საოჯახო სამართალი, მეორე გამოცემა, 2011, გვ. 223.

ოპერაცია, რომელიც შეიძლება გადაიდოს მანამ, სანამ მეორე მშობლის თანხმობის მოპოვება გახდება შესაძლებელი). ამ დროს აუცილებელია მეორე მშობლის ინფორმირება პირველივე შესაძლებლობისთანავე.

19 ნების გამოხატვა, რომელიც ბავშვს უნდა მიუვიდეს, ნამდვილი ხდება ერთ-ერთ მშობელთან მისვლით.

20 საერთო მზრუნველობის არსებობის მიუხედავად, ერთ-ერთ მშობელს, რომელთანაც ცხოვრობს ბავშვი, აქვს ერთპიროვნული წარმოდგენის უფლებამოსილება მეორე მშობლის მიმართ სარჩოს მოთხოვნის წარდგენისას. ეს ეხება იმ სიტუაციას, როდესაც მშობლები განცალკევებით ცხოვრობენ, დამოუკიდებლად იმისა, არიან თუ არა დაქორწინებულნი. ის მშობელი, რომელთანაც იმყოფება ბავშვი, არ უნდა იყოს სარჩოს მიღების შესაძლებლობის მხრივ უარეს მდგომარეობაში ჩაყენებული იმ შემთხვევასთან შედარებით, საერთოდ რომ არ ეარსება ერთობლივ ზრუნვას. აღნიშნული დაშვების გარეშე, მეორე მშობელს ჯერ უნდა ჩამორთმეოდა ზრუნვის უფლებამოსილება, სანამ მის წინააღმდეგ შესაძლებელი იქნებოდა ბავშვის რჩენის მოთხოვნის წაყენება.

21 გარდა აღნიშნულისა, ზრუნვის უფლების მქონე მშობლები უფლებამოსილები არიან ერთპიროვნულად წარმოადგინონ შვილები ყოველდღიურ ყოფით საკითხებში.

2. წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეზღუდვა და ჩამორთმევა

22 მშობლების წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მთლიანად ჩამორთმევა დასაშვებია მხოლოდ 1206-ე მუხლით გათვალისწინებული წინაპირობების არსებობისას. ჩარევის წინაპირობას აქ წარმოადგენს ბავშვისა და წარმომადგენლის ინტერესებს შორის არსებული მნიშვნელოვანი კონფლიქტი. ეს მაშინ არის სახეზე, როდესაც ბავშვი არის კანონიერი წარმომადგენლის კრედიტორი, ან თუ მშობლები აცხადებენ, რომ არ გამოიყენებენ მამობის შეცილებას, მიუხედავად იმისა,

რომ მამაკაცი ცალსახად არ არის ბავშვის ბიოლოგიური მამა,¹⁷ ან როდესაც სამედიცინო დახმარების საჭიროების მქონე ბავშვის მშობლები უარს ამბობენ ამ დახმარების განევაზე.

მშობლების წარმომადგენლობითი უფლებამოსილება შეიძლება შეიზღუდოს 1205-1206-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევებში (იხ. ამ მუხლების კომენტარი), ასევე, ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც სპეციალური კანონით გათვალისწინებულია ბავშვის მიერ ნების პირადად გამოსატვის აუცილებლობა.

23

¹⁷ BayObLG FamRZ 94, 1196.

მუხლი 1198¹. არასრულწლოვნის უფლება დაცვაზე

1. არასრულწლოვანს აქვს მისი მშობლის/სხვა კანონიერი წარმომადგენლის მიერ უფლების ბოროტად გამოყენებისგან დაცვის უფლება. არასრულწლოვნის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დარღვევისას, მათ შორის, ორივე ან ერთ-ერთი მშობლის მიერ ბავშვის აღზრდასა და განათლებასთან დაკავშირებული მოვალეობების შეუსრულებლობისას ან არასათანადოდ შესრულებისას, ან მშობლის უფლების ბოროტად გამოყენებისას, არასრულწლოვანს უფლება აქვს, დამოუკიდებლად მიმართოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებს, ხოლო „მშობლის პასუხისმგებლობისა და ბავშვთა დაცვის ზომების შესრულებასთან დაკავშირებით იურისდიქციის, გამოსაყენებელი სამართლის, აღიარების, შესრულებისა და თანამშრომლობის შესახებ“ ჰააგის 1996 წლის 19 ოქტომბრის კონვენციით გათვალისწინებულ შემთხვევებში – ცენტრალურ ორგანოს და სასამართლოს. (ამოქმედდეს 2020 წლის 1 სექტემბრიდან)

2. ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებისთვისაც ცნობილი გახდა არასრულწლოვნის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დარღვევის შემთხვევები, ვალდებული არიან, მათ შესახებ შეატყობინონ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებს არასრულწლოვნის ფაქტობრივი ადგილსამყოფლის მიხედვით. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოები ვალდებული არიან, ამგვარი შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელონ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ღონისძიებები, ხოლო „მშობლის პასუხისმგებლობისა და ბავშვთა დაცვის ზომების შესრულებასთან დაკავშირებით იურისდიქციის, გამოსაყენებელი სამართლის, აღიარების, შესრულებისა და თანამშრომლობის შესახებ“ ჰააგის 1996 წლის 19 ოქტომბრის კონვენციით გათვალისწინებულ შემთხვევებში – მიმართონ ცენტრალურ ორგანოს.

2¹. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებში ჩართული სუბიექტისა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე სხვა სუბიექტის მიერ ბავშვზე ძალადობის გამოვლენის და ბავშვზე ძალადობის შესახებ ინფორმაციის შესაბამისი სახელმწიფო ორგანოსთვის მი-

წოდების ვალდებულების შეუსრულებლობა იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. „მშობლის პასუხისმგებლობისა და ბავშვთა დაცვის ზომების შესრულებასთან დაკავშირებით იურისდიქციის, გამოსაყენებელი სამართლის, აღიარების, შესრულებისა და თანამშრომლობის შესახებ“ ჰააგის 1996 წლის 19 ოქტომბრის კონვენციით განსაზღვრული ცენტრალური ორგანოა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფი.

საქართველოს 2003 წლის 20 ივნისის კანონი №2446 – სსმ I, №20, 11.07.2003 წ., მუხ.138
საქართველოს 2014 წლის 19 მარტის კანონი №2110 – ვებგვერდი, 01.04.2014წ.
საქართველოს 2014 წლის 17 ოქტომბრის კანონი №2703 - ვებგვერდი, 31.10.2014წ.
საქართველოს 2019 წლის 20 სექტემბრის კანონი №5013 – ვებგვერდი, 27.09.2019წ.
საქართველოს 2020 წლის 21 მაისის კანონი №5913 – ვებგვერდი, 25.05.2020წ.

I. ზოგადი	251
II. აღზრდა, განათლება და მშობლის უფლების ბოროტად გამოყენება.....	252
1. მოვლა	252
2. აღზრდა.....	252
3. მეთვალყურეობა	253
4. ადგილსამყოფლის განსაზღვრა.....	254
5. განათლება და პროფესიის არჩევა	254

I. ზოგადი

1198¹ მუხლი ზღვარს უდებს 1198-ე მუხლში განერილ მშობლის ზრუნვის უფლებამოსილებას და ამავდროულად აწესებს დაცვის სპეციალურ მექანიზმებს მშობლების მიერ მისი გადაბიჯების შემთხვევაში. თუ მშობლები ან ერთ-ერთი მათგანი ბავშვის აღზრდასა და განათლებასთან დაკავშირებულ მოვალეობებს არ/ან არასათანადოდ ასრულებს, ან ბოროტად იყენებს მშობლის უფლებას, არასრულწლოვანს უფლება აქვს მიმართოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს, ხოლო ჰააგის აღნიშნული კონვენციით გათვალისწინებულ შემთხვევაში – ცენტრალურ ორგანოს ან სასამართლოს (1198¹ I). ფიზიკური და იურიდიული პირები, რომელთათვისაც ცნობილი გახდა ზემოთ აღნიშნული ფაქტის შესახებ, ასევე ვალდებულნი არიან მიმართონ შესაბამის

1

ორგანოებს, წინააღმდეგ შემთხვევაში დადგება მათი პასუხისმგებლობის საკითხი, კანონით გათვალისწინებული წესით.

- 2** მოცემულ ურთიერთობას დამატებით ანესრიგებს ბავშვთა უფლებათა კოდექსი.

II. აღზრდა, განათლება და მშობლის უფლების ბოროტად გამოყენება

- 3** ბავშვის პიროვნებაზე ზრუნვის ვალდებულება მოიცავს ბავშვის მოვლას, აღზრდას, განათლების მიცემას, მის მეთვალყურეობასა და უფლებას მისი ადგილსამყოფლის განსაზღვრისა. სწორედ ამ ვალდებულებების დარღვევაზე აკეთებს 1198¹-ე მუხლი აქცენტს.

1. მოვლა

- 4** მოვლა არის ბავშვის კეთილდღეობასა და ფიზიკურ არსებობაზე ზრუნვა. მას განეკუთვნება სარჩოს მიცემა, სარჩოს მოთხოვნების წაყენება მესამე პირების წინააღმდეგ, ბავშვისთვის სოციალური დახმარების მოთხოვნა¹ და სამედიცინო დახმარების განევასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღება.

2. აღზრდა

- 5** აღზრდა არის ზრუნვა ბავშვის სულიერ, გონებრივ და ზნეობრივ განვითარებაზე. აქ მშობლების გადაწყვეტილებას ენიჭება უპირატესობა სახელმწიფოს მიერ დეკლარირებულ მიზნებთან მიმართებით. აღზრდა არის ოჯახის კერძო საქმე. სახელმწიფოს შეუძლია მხოლოდ ზედამხედველობა გაუწიოს მას და გააკონტროლოს, რომ მშობლებმა საკუთარი პოზიციები ბოროტად არ გამოიყენონ (კონსტიტუციის 5 IV 1 მუხლი).

¹ KG FamRZ 2015, 2079.

გამომდინარე აქედან, აღზრდის მიზნები და მეთოდები დასაშვებია, სანამ ისინი ბავშვის კეთილდღეობასა² და მესამე პირების უფლებებს ცალსახად და ერთმნიშვნელოვანად არ ხელყოფენ. აღზრდის მეთოდების სახით მშობლების განკარგულებაშია მთელი პედაგოგიური ინსტრუმენტარიუმი. პირველ რიგში: ახსნა-დარიგება, გაფრთხილება, პრივილეგიების ჩამორთმევა (ჯიბის ფულის შემცირება, შიდა პატიმრობა, ტელევიზორის ყურების აკრძალვა). ამასთან ბავშვს ცალსახად და ერთმნიშვნელოვანად აქვს უფლება იზრდებოდეს ფიზიკური ძალადობისაგან თავისუფალ გარემოში. ამ გაგებით, ზოგადად, თანაბრად არის აკრძალული როგორც ყურის აწევა, ისე სილის განნა (1198 1¹),³ თუმცა, სხვა მოსაზრებით,⁴ პრევენციული სხეულებრივი ზემოქმედება საგამონაკლისო შემთხვევებში დასაშვებია. ფიზიკური აკრძალვის წესი მოქმედებს მაშინაც კი, როდესაც მშობლები სხეულებრივი დასჯის ლეგიტიმაციას რელიგიურ წესებს აფუძნებენ.⁵ ასევე დაუშვებელია ბავშვის სულიერი დაზიანება, მაგალითად, მისი იგნორირებისა თუ სიტყვის უფლების ჩამორთმევის გზით და მსგავსი ღირსების ამყრელი ღონისძიებები (საზოგადოებაში აბუჩად აგდება).

თუ მშობლები არღვევენ ამ აკრძალვებს, დასაშვებია მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებისა თუ სხვა 1198¹-ე მუხლში მოხსენიებული ორგანოების ინფორმირება და ჩართვა ზემოთ ხსენებული პირების მიმართვის საფუძველზე. ცალკეულ, განსაკუთრებით მძიმე შემთხვევებში ამგვარი დარღვევა შესაძლოა ზრუნვის უფლების სრული ჩამორთმევით დასრულდეს (1206).

6

3. მეთვალყურეობა

ბავშვის მეთვალყურეობა მოიცავს მშობლის უფლებას, ჰქონდეს სრული ინფორმაცია ბავშვის საქმეებთან დაკავშირებით და ასევე ვა-

7

² ბავშვის უფლებათა კოდექსის 5 | მუხლი.

³ *Riemer, Mutter ohrfeigt Tochter - 75 Euro Geldstrafe*, ZJJ 2005, 403; შდრ. ბავშვის უფლებათა კოდექსის 53-ე და მომდევნო მუხლები.

⁴ *Huber/Scherer, Die Neuregelung zur Ächtung der Gewalt in der Erziehung*, FamRZ 2001, 799.

⁵ OLG Nürnberg FamRZ 2015, 1908.

ლდებულებას გააკონტროლოს ბავშვი, რათა მან მესამე პირები არ დააზიანოს.

4. ადგილსამყოფლის განსაზღვრა

- 8** გარდა აღნიშნულისა, ზრუნვის მქონე მშობლებს აქვთ უფლება განსაზღვრონ ბავშვის ადგილსამყოფელი, დაუდგინონ ბინა და საცხოვრებელი ადგილი, რომელიც, გარემოებების გათვალისწინებით, უნდა აკმაყოფილებდეს ბავშვის მოთხოვნილებებს.

5. განათლება და პროფესიის არჩევა

- 9** ბავშვისათვის განათლების მიცემისა და პროფესიის შერჩევისას მოქმედებს კოოპერაციის პრინციპი. მან უნდა უზრუნველყოს, რომ მშობლებმა ამ საკითხების გადაწყვეტისას იხელმძღვანელონ ბავშვის საუკეთესო ინტერესებით და არა საკუთარი ვინრო, მთელ რიგ შემთხვევებში, საზოგადოებრივ აღქმასა და პრესტიჟზე დამყარებული მოსაზრებებით.⁶
- 10** მშობლებმა ამ გადაწყვეტილების მიღებისას ანგარიში უნდა გაუწიონ ბავშვის უნარებსა და მისწრაფებებს. განათლება და პროფესიის შერჩევა შეიძლება ურთიერთგადაიკვეთოს, რამდენადაც პროფესიულ განათლებას ეხება საქმე, თუმცა განათლება, ზოგადად, უფრო ფართო ცნებაა და მოიცავს სასკოლო განათლებას და ბავშვის კლასგარეშე აღზრდას (სხვადასხვა სახელოვნებო წრეები). ბავშვის მისწრაფებებზე უნინარესად გასათვალისწინებელია მისი უნარები. ამიტომაც, მშობლები არ არიან ვალდებული დაეთანხმონ მისთვის იმგვარი განათლების მიცემას, რომელიც ბავშვს, მართალია, სურს, თუმცა არ შესწევს მისი დაუფლების უნარი.
- 11** სხვა შემთხვევაში, თუ მშობლები არღვევენ ბავშვის ინტერესების გათვალისწინების პრინციპს, საქმეში შეიძლება ჩაერიოს მეურვეობისა

⁶ ბავშვის უფლებათა კოდექსის 35-ე და მომდევნო მუხლები.

და მზრუნველობის ორგანო ან სასამართლო (1206).

საჭოჭმანო საკითხებში მშობლებმა უნდა მიიღონ რჩევა მასწავლებლისაგან ან სხვა რომელიმე კომპეტენტური პირისაგან. საჭოჭმანო საკითხებად ითვლება ისეთი საკითხები, როდესაც მშობლებმა ზუსტად არ იციან, თუ რა შეესატყვისება ბავშვის უნარსა და მისწრაფებებს, ან ვერ ახერხებენ ამასთან დაკავშირებით შეთანხმებას. კომპეტენტური პირისაგან რჩევის მიღების აუცილებლობის დარღვევა სანქციონირდება.

12

მუხლი 1199. ბავშვის ინტერესების დაცვა

მშობლების უფლებები არ უნდა განხორციელდეს ისე, რომ ამით ზიანი მიაღგეს ბავშვის ინტერესებს.

საქართველოს 2007 წლის 18 დეკემბრის კანონი №5624 - სსმ I, №48, 27.12.2007წ., მუხ.414

- 1 დანანესი ნათელყოფს, რომ მშობლების მიერ ბავშვზე ზრუნვის ფარგლებში გადანყვეტილების მიღების მასშტაბი არის ბავშვის საუკეთესო ინტერესები (იხ. ბავშვის უფლებათა კოდექსის 5 I მუხლი), და ავსებს ამით ყველა იმ დანანესს, სადაც განერილია სასამართლოს ჩარევისა და გადანყვეტილების მიღების კომპეტენცია.
- 2 დანანესში თავად ბავშვის საუკეთესო ინტერესები დეფინირებული არ არის¹ და ის ყოველ ცალკეულ გადასანყვეტ საკითხთან (განათლება, აღზრდა, სამედიცინო დახმარება) მიმართებით უნდა დაკონკრეტდეს. გამომდინარე აქედან, სასამართლომ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში უნდა დაადგინოს, ყველაზე მეტად რა შეესატყვისება ბავშვის ინტერესებს კონკრეტულ საკითხში. ამასთან გასათვალისწინებელია არა მხოლოდ ფაქტობრივი მოცემულობა და მშობლების შესაძლებლობა დაეხმარონ ბავშვს, არამედ ასევე მონაწილეთა (განსაკუთრებით მშობლების) გამართლებული ინტერესები. აქედან გამომდინარე, ბავშვის ინტერესები არ არის აბსტრაქტული მასშტაბი, არამედ უნდა განისაზღვროს ყოველ ცალკეულ შემთხვევაში შესაძლებლობათა ანონ-დანონვის გზით. მაგალითად, განათლება, რომელიც შეესატყვისება ბავშვის უნარებსა და მისწრაფებებს, შეიძლება მაინც არ იყოს მისი ინტერესების შესაბამისი, თუ მშობლებს მისი დაფინანსება არ ძალუძთ. იგივე შეიძლება ითქვას სამედიცინო დახმარებაზე.
- 3 1199-ე მუხლის პრიზმაში მშობელთა მიერ მიღებული გადანყვეტილების შეფასებისას გასათვალისწინებელია, ასევე, მათი გამართლებული

¹ „საუკეთესო ინტერესების“ ცნება უფრო მეტად არის დაკონკრეტებული ბავშვის უფლებათა კოდექსის 3 თ) და 5 II მუხლებში, თუმცა ის ამ შემთხვევაშიც ღია ცნებად რჩება.

ბული ინტერესი. გამართლებული ინტერესების ქვეშ მოიაზრება, მაგალითად, მშობელთა ინტერესი, ზოგადად, თავად გადანაცვითონ ბავშვის აღზრდის საკითხები.

მუხლი 1200. შვილების აღზრდა მშობლების ურთიერთშეთანხმებით

1. შვილების აღზრდის ყველა საკითხს მშობლები ურთიერთშეთანხმებით წყვეტენ.

2. მშობელთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში სადავო საკითხს წყვეტს სასამართლო მშობლების მონაწილეობით. ამ შემთხვევაში მშობლის უფლება, იყოს ბავშვის წარმომადგენელი სასამართლო დავასთან მიმართებით, შეჩერებულია. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო ნიშნავს ბავშვის წარმომადგენელს, რომელიც საქმის სასამართლოში განხილვის დროს ბავშვის ინტერესებს წარმოადგენს.

საქართველოს 2007 წლის 18 დეკემბრის კანონი №5624 - სსმ I, №48, 27.12.2007წ., მუხ.414

I. ურთიერთშეთანხმებით მოქმედების ვალდებულება, 1200 I	258
II. სასამართლო გადაწყვეტილება მშობელთა შეუთანხმებლობისას, 1200 II	259
1. „ცალკეული საკითხები“	259
2. მნიშვნელოვანი საკითხი	260
3. შეუთანხმებლობა და ერთ-ერთი მშობლის განაცხადი	260
4. სასამართლოს გადაწყვეტილება	261
5. პროცედურა	261

I. ურთიერთშეთანხმებით მოქმედების ვალდებულება, 1200 I

1 1200 I მუხლი ცხადყოფს იმ გარემოებას, რომ მშობლები ზრუნვის უფლებამოსილების გამოყენებისას თანასწორნი არიან.¹ მათ ეს უფლებამოსილება ერთობლივად უნდა გამოიყენონ. თუმცა მათ შეუძლიათ გადასაჭრელ ამოცანათა სფერო გაინაწილონ და პრაქტიკაში, რეალურად, სწორედ ამგვარი განაწილება წარმოადგენს წესს.

2 მშობლები უნდა ეცადონ, რომ ყოველ საკითხთან დაკავშირებით მიიღონ ერთსულოვანი გადაწყვეტილება და აზრთა სხვადასხვაობა, საბოლოოდ, კონსენსუსის გზით მოაგვარონ.² წინააღმდეგ შემთხვევაში

¹ *შენგელია*, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1199, გვ. 174.

² *შენგელია*, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1200, გვ. 174.

აუცილებელი გახდება სასამართლოს ჩართვა (1200 II). აქედან გამომდინარეობს, რომ მუდმივი შეუთანხმებლობა მშობელთა შორის, შეიძლება ერთისათვის ზრუნვის უფლების ჩამორთმევის საბაზი გახდეს (1206).

II. სასამართლო გადაწყვეტილება მშობელთა შეუთანხმებლობისას, 1200 II

1200 II მუხლი მიზნად ისახავს, თავიდან აიცილოს, მშობელთა შეუთანხმებლობიდან გამომდინარე, ქმედებათა განხორციელების პარალიზება. ბავშვის ინტერესებს ეწინააღმდეგება საკამათო საკითხის გადაწყვეტის გარეშე დატოვება, რადგან ამ შემთხვევაში მოცემულ მოქმედებას ვერავინ ველარ განახორციელებს. ამასთან, განსხვავებით ისტორიულად გამოკვეთილი და ჩამოყალიბებული მამის ყოვლისმომცველი ძალაუფლების კონცეპტისაგან, დღესდღეობით „საბოლოო სიტყვის“ უფლება, ცალკე აღებული, არც ერთ მშობელს არ გააჩნია, რადგან ეს მეორე მშობლის დისკრიმინაცია იქნებოდა. ამიტომაც, კანონმდებელმა შემდეგი გზა აირჩია: ყოველ ცალკეულ შემთხვევაში სასამართლომ უნდა შეამოწმოს, თუ რომელი მშობელია უფრო კომპეტენტური კონკრეტული საკითხის გადაწყვეტისას და მას მიანიჭოს გადაწყვეტილების მიღების უფლება.³

3

1. „ცალკეული საკითხები“

1200 II მუხლის მიხედვით, სადავო საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების კომპეტენციის სასამართლოსათვის დელეგირების წინაპირობაა, რომ საქმე ეხებოდეს ცალკეულ საკითხს ან ცალკეულ საკითხთა ჯგუფს. კანონის ამ დათქმით ნათელყოფილია ის გარემოება, რომ დანაწესი მხოლოდ კონკრეტულ, სპორადული გამოვლინების მქონე კამათს ეხება და არა მშობელთა შორის გენერალურ შეუთანხმებლობასა და კონსენსუსის მიღწევის შეუძლებლობას, რომელიც

4

³ შენგელია, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1200, გვ. 175.

უკვე 1206-ე მუხლის საფუძველზე უნდა გადაწყდეს. ამ ცალკეულ შეუთანხმებლობას განეკუთვნება ისეთი საკითხები, როგორცაა: კამათი, ბავშვის განათლებასთან დაკავშირებით, სამედიცინო მკურნალობა, თითოეულ მშობელთან ყოფნის დრო და ა. შ.

2. მნიშვნელოვანი საკითხი

- 5** საკითხი ბავშვისათვის უნდა იყოს საკმაო მნიშვნელობის მქონე. ეს ძალაშია, მაგალითად, ფიზიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხებისას, როგორც არის აცრის აუცილებლობა,⁴ ხანგრძლივი და ყოველსმომცველი მკურნალობა⁵ ან სისხლის გადასხმა. მნიშვნელოვან საკითხებს განეკუთვნება ასევე განათლების, რელიგიური აღზრდის⁶ ან გვარის შეცვლის საკითხები,⁷ ისევე როგორც ბავშვის ფოტოს გამოქვეყნების საკითხი კომერციულ ინტერნეტ-პლატფორმაზე.⁸
- 6** ამის საპირისპიროდ, უმნიშვნელოა ისეთი საკითხები, როგორცაა: აღზრდის ცალკეულ მეთოდთან დაკავშირებული საკითხი (გარდა: 1198 I'), ჯიბის ფულის, ტელევიზორის ყურების, ინტერნეტის მოხმარების, ნიგნის კითხვისა და საშინაო დავალებების შესრულების საკითხები. ამ შემთხვევებში სასამართლომ უარი უნდა თქვას დავის გადწყვეტაზე.

3. შეუთანხმებლობა და ერთ-ერთი მშობლის განაცხადი

- 7** მშობლები ვერ უნდა ახერხებდნენ კონსენსუსის პოვნას ზემოთ მოყვანილ მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით და ერთ-ერთმა (ან ორივე) ზრუნვის უფლების მქონე მშობელმა უნდა მიმართოს სასამართლოს.⁹

⁴ BGH FamRZ 2017, 1057; OLG Frankfurt FamRZ 2016, 834.

⁵ AG Lemgo FuR 2015, 365.

⁶ OLG Stuttgart FamRZ 2018, 354.

⁷ BGH FamRZ 2017, 119.

⁸ OLG Oldenburg NZFam 2018, 614.

⁹ *შენგელია*, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1200, გვ. 175.

4. სასამართლოს გადაწყვეტილება

1200 II მუხლის მიხედვით სასამართლო არ წყვეტს საკითხს არსებითად, არამედ, ამის საპირისპიროდ, ანიჭებს ერთ-ერთ მშობელს ამ საკითხის არსებითად გადაწყვეტის კომპეტენციას. ამის შემდეგ, ამ უკანასკნელს აქვს მოცემულ საკითხთან ან საკითხთა ჯგუფთან დაკავშირებით ერთპიროვნული ზრუნვის უფლებამოსილება – ერთპიროვნულად წყვეტს მას და წარმოადგენს ბავშვს მასთან დაკავშირებულ ურთიერთობებში. ის არ არის ვალდებული, ბოლომდე საკუთარი თავდაპირველი პოზიციის ერთგული დარჩეს, შეუძლია მოგვიანებით უარი თქვას მასზე და იმგვარად გადაწყვიტოს ეს საკითხი, როგორც ეს მეორე მშობელს სურდა. თუ სასამართლოს პოზიციის ამგვარი ცვლილების თავიდან აცილება სურს, მან გადაწყვეტილება უნდა გამოიტანოს უფლებამოსილი მშობლის შესაბამისი დავალდებულების დათქმით. თუმცა ამ შემთხვევაში სასამართლო ვერ გაცდება იმას, რაც მშობლების მიერ იყო ნასურვები – 1200 II მუხლი ემსახურება მშობელთა შორის არსებული კონფლიქტის გადაწყვეტას და არა იმ მოსაზრების განხორციელებას, რომელსაც სასამართლო მიიჩნევს „საუკეთესოდ“. თავად სასამართლოს მიერ საკითხის გადაწყვეტა ეწინააღმდეგება არა მხოლოდ 1200 II მუხლს, არამედ ასევე კონსტიტუციის 5 IV 1 მუხლსაც.¹⁰ მშობლის მოსაზრება შეიძლება ყურადღების მიღმა იქნეს დატოვებული მხოლოდ 1206-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში. მაგრამ ამ შემთხვევაში გადაწყვეტილება უნდა დაემყაროს თავად ამ დანაწესს და არა 1200 II მუხლს.

8

5. პროცედურა

დავის გადაწყვეტაზე უფლებამოსილია საოჯახო საქმეების განმხილველი სასამართლო. სასამართლოსათვის მიმართვის ფორმა ამ შემთხვევაში არის სარჩელი. თუ ერთ-ერთ მშობელს, დაუყოვნებლივი აღსრულების ღონისძიების სახით (სსკ-ის 355 I ა) მუხლი), ერთპიროვნული გადაწყვეტილების მიღების კომპეტენცია მიენიჭა, რომელიც მან გამოიყენა და გადაწყვიტა ბავშვთან დაკავშირებული საკითხი საკუთარი შეხედულებისამებრ, ეს გადაწყვეტილება მაშინაც კი ძალაში რჩება,

9

¹⁰ BVerfG NJW 2003, 1031.

როდესაც მთავარ პროცესზე დაუყოვნებლივი აღსრულების გადანაცვ-
ტილება უქმდება.¹¹

¹¹ OLG Hamm NJW 2002, 2477.

მუხლი 1201. არასრულწლოვანი შვილის საცხოვრებელი ადგილი მშობლების განქორწინებისას

1. თუ განქორწინების გამო ან სხვა მიზეზით მშობლები ცალ-ცალკე ცხოვრობენ, მათ შეთანხმებაზეა დამოკიდებული, თუ ვის ექნება უფლება, გადაწყვიტოს, ვისთან უნდა ცხოვრობდეს არასრულწლოვანი შვილი.

2. შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავას იმის თაობაზე, თუ ვისთან უნდა ცხოვრობდეს არასრულწლოვანი შვილი, წყვეტს სასამართლო ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით. ამ შემთხვევაში მშობლის უფლება, იყოს ბავშვის წარმომადგენელი სასამართლო დავასთან მიმართებით, შეჩერებულია. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო ნიშნავს ბავშვის წარმომადგენელს, რომელიც საქმის სასამართლოში განხილვის დროს ბავშვის ინტერესებს წარმოადგენს.

საქართველოს 2007 წლის 18 დეკემბრის კანონი №5624 - სსმ I, №48, 27.12.2007წ., მუხ.414

I. ზოგადი263
 II. საცხოვრებელი ადგილის არჩევისას გასათვალისწინებელი კრიტერიუმები263
 III. ბავშვის ნება264

I. ზოგადი

მოცემული დანაწესი მიხედვით, მეუღლეებმა განქორწინების შემდეგ, ურთიერთშეთანხმებით უნდა მიიღონ გადაწყვეტილება შვილის საცხოვრებელი ადგილის შესახებ.¹ სხვა შემთხვევაში დავას წყვეტს სასამართლო, ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, მშობლის სარჩელის საფუძველზე.

1

II. საცხოვრებელი ადგილის არჩევისას გასათვალისწინებელი კრიტერიუმები

გამომდინარე იქიდან, რომ ნებისმიერ შემთხვევაში მშობელს, რომელთანაც ცხოვრობს შვილი, ექნება მასზე გაცილებით მეტი გავლენა,

2

¹ *შენგელია*, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1201, გვ. 175.

ვიდრე მეორე მშობელს,² საცხოვრებელ ადგილთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღებისას, გადამწყვეტია: უზრუნველყოფს თუ არა მშობელი, რომელთანაც ის დარჩება, მის ჰარმონიულ პიროვნულ განვითარებას ხანგრძლივ პერსპექტივაში, იქნება თუ არა მისთვის მყარი და უკეთესი დასაყრდენი, ვიდრე მეორე მშობელი და აქვს თუ არა შვილს მასთან უფრო მჭიდრო კავშირი, ვიდრე მეორესთან. ეს უკანასკნელი მით უფრო მნიშვნელოვანია, რაც უფრო მცირე ასაკის არის ბავშვი. ასევე მნიშვნელოვანია, შეუძლია თუ არა ამ მშობელს შვილის დაწყებული აღზრდის განგრძობადობის უზრუნველყოფა თუ შვილს მოუწევს შეჩვეული გარემოს დატოვება და ახალ გარემოსთან შეგუება. ასევე მშობელი, ვისთანაც რჩება შვილი, პატივს უნდა სცემდეს მეორე მხარის უფლებებს გაატაროს დრო შვილთან და იყოს ჩართული მის აღზრდაში.³ აქედან გამომდინარე, ბავშვის გამტაცებელი მშობლის (მშობელი, რომელსაც მეორე მშობლის ნების გარეშე თავისთან მიჰყავს და არ აბრუნებს ბავშვს) შანსები თავისთან დაიტოვოს შვილი საკმაოდ დაბალია.

III. ბავშვის ნება

- 3** მნიშვნელოვანია ასევე თავად ბავშვის ნებაც, თუ ვისთან სურს დარჩენა,⁴ მაგრამ ეს მხოლოდ ერთ-ერთ რიგით კრიტერიუმს წამოადგენს, რომელსაც არ შეუძლია, გადანონოს სხვა კრიტერიუმები. დაძმა ერთმანეთისაგან არ უნდა განცალკევდეს, მაშინაც კი, როდესაც ეს მათი სურვილია.⁵ ასევე გასათვალისწინებელია სარჩელის აღმძვრელის მატერიალური და არამატერიალური პირობები. აქვს თუ არა მას ფიზიკური და ფსიქიკური მზაობა შვილის მარტო აღზრდისათვის. აქ გასათვალისწინებელი ფაქტორებია: მისი ფსიქიკური ჯანმრთელობა, ალკოჰოლზე ან ნარკოტიკულ ნივთიერებებზე დამოკიდებულების არსებობა,⁶ კრიმინალური ისტორია⁷ და ა. შ.

² *შენგელია*, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1201, გვ. 176.

³ OLG Celle FamRZ 2004, 1667.

⁴ *შენგელია*, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1201, გვ. 176.

⁵ OLG Dresden NJW 2003, 147.

⁶ OLG Brandenburg FPR 2002, 92.

⁷ OLG Brandenburg FPR 2002, 15.

მუხლი 1202. განქორწინებული ან ცალ-ცალკე მცხოვრები მშობლების უფლებები და მოვალეობები შვილების მიმართ

1. მშობლებს თანაბრად აქვთ ყველა უფლება და მოვალეობა თავიანთი შვილების მიმართ, მიუხედავად იმისა, რომ ისინი განქორწინებული არიან ან ცალ-ცალკე ცხოვრობენ.

2. მშობელს, რომელთანაც შვილი ცხოვრობს, უფლება არა აქვს, შეზღუდოს მეორე მშობლის უფლება-მოვალეობები.

საქართველოს 2007 წლის 18 დეკემბრის კანონი №5624 - სსმ I, №48, 27.12.2007წ., მუხ.414

1202 I, II მუხლში გამყარებული პრინციპის თანახმად, მშობელთა უფლება-მოვალეობები შვილის მიმართ შეუზღუდავია (გარდა 1205-1206-ე მუხლებით გათვალისწინებული შემთხვევებისა), როგორც ქორწინებაში, ასევე განქორწინების შემდეგ, მაშინაც კი, როდესაც ბავშვი განქორწინების შემდეგ ან მის გარეშე ერთ-ერთ მეუღლესთან ცხოვრობს (1201). ეს, ერთი შეხედვით, დიდსულოვანი და ლოგიკური გადანაცვლება საკმაოდ პრობლემურია განცალკევებით ცხოვრებისას (როდესაც ბავშვი ერთ მეუღლესთან რჩება) და პრაქტიკაში მუდმივი კონფლიქტის წყარო ხდება:¹ თუ ორივე მეუღლე თანაბრად არის უფლება-მოსილი იზრუნოს ბავშვზე, საკითხავია, როგორ უნდა გადანაცვდეს, განცალკევებით ცხოვრებისას, მათ შორის პერმანენტულად წარმოშობადი აზრთა სხვადასხვაობა, როდესაც სახეზე არ არის არც 1205-ე და არც 1206-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევა, არც ერთი მეუღლის მიმართ. 1200 II 1 მუხლით გათვალისწინებული სასამართლოსათვის მიმართვის უფლება ვერ იქნება გამოსავალი, როდესაც საქმე ეხება წვრილმან ყოფით ურთიერთობებს (მაგ., გასეირნება) და მშობლებს შორის შეუთანხმებლობა მუდმივ ხასიათს ატარებს (მუხ. 1200 მე-4 ველი). გერმანიაში ეს საკითხი დარეგულირებულია იმგვარად, რომ მშობელს, რომელთანაც, მეორე მეუღლის თანხმობით ან სასამართლოს გადანაცვლებით, ცხოვრობს შვილი, აქვს ერთპიროვნული ზრუნვის

1

¹ *შენგელია*, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1202, გვ. 178.

უფლება წვრილმან ყოფით საკითხებთან დაკავშირებით.² წვრილმან ყოფით საკითხებს განეკუთვნება ისეთი საკითხები, რომლებიც ხშირად მეორდება და რომლებსაც არ გააჩნიათ შეუქცევადი ან რთულად უკუსაქცევი ეფექტი ბავშვის განვითარებაზე.³ თუ ბავშვი, ამ მეუღლის თანხმობით ან ისევ და ისევ სასამართლოს გადაწყვეტილებით, მეორე მეუღლესთან იმყოფება, წვრილმან ყოფით საკითხებში გადაწყვეტილების ერთპიროვნულად მიღების უფლებამოსილება მასზე გადადის.

- 2** ქართულ სამართალში ამგვარი დანაწესის არარსებობის გამო, მუდმივი შეუთანხმებლობის შემთხვევაში გამოსავალი შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი: ერთ-ერთი მათგანისათვის ზრუნვის უფლების შეზღუდვა ან ჩამორთმევა.⁴

² გსკ-ის 1687 | 2 პარაგრაფი.

³ გსკ-ის 1687 | 3 პარაგრაფი.

⁴ *შენგელია*, სკ-ის კომენტარი, *ჭანტურია* (რედ.), 2000, მუხ. 1202, გვ. 178.

მუხლი 1203. პაპისა და ბებიის უფლებები არასრულწლოვანი შვილიშვილების მიმართ

პაპასა და ბებიას უფლება აქვთ, ურთიერთობა იქონიონ თავიანთ არასრულწლოვან შვილიშვილებთან მაშინაც, როცა ისინი უშუალოდ არ მონაწილეობენ შვილიშვილების აღზრდაში. თუ მშობლები ან მეურვე/მზრუნველი უარს ეუბნებიან პაპასა და ბებიას შვილიშვილებთან ურთიერთობაზე, სასამართლოს შეუძლია დაავალდებულოს მშობლები ან მეურვე/მზრუნველი, საშუალება მისცენ პაპასა და ბებიას, ურთიერთობა იქონიონ შვილიშვილებთან სასამართლოს მიერ დადგენილი წესით, თუ სასამართლო დაადგენს, რომ ეს ხელს არ შეუშლის ბავშვების ნორმალურ აღზრდას და ცუდ გავლენას არ მოახდენს მათზე.

საქართველოს 2007 წლის 18 დეკემბრის კანონი №5624 - სსმ I, №48, 27.12.2007წ., მუხ.414

I. ზოგადი267
 II. შვილიშვილთან ურთიერთობის უფლება.....267
 III. უარი ურთიერთობაზე.....268
 IV. დანაწესის ანალოგიით გამოყენება269

I. ზოგადი

მოცემული დანაწესი ითვალისწინებს პაპისა და ბებიის უფლებას ჰქონდეთ კონტაქტი საკუთარ შვილიშვილთან.¹ ეს უფლება არ წარმოადგენს ზრუნვის უფლებამოსილებას თანმდევი ვალდებულებით, არამედ უზრუნველყოფს მხოლოდ შვილიშვილთან კონტაქტის შესაძლებლობას. მათ არ ენიჭებათ უფლება, გადაწყვეტილება მიიღონ შვილიშვილის აღზრდასთან დაკავშირებულ საკითხებზე.²

II. შვილიშვილთან ურთიერთობის უფლება

ბავშვთან ურთიერთობის უფლება აქვთ არა მხოლოდ მშობლებს, **2**

¹ *შენგელია*, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1203, გვ. 179.

² *შენგელია*, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1203, გვ. 179.

არამედ ასევე პაპასა და ბებიას. მოცემული ურთიერთობის კონსტრუქციას ახასიათებს შემდეგი თავისებურება: თუ ჩვეულებრივ შემთხვევაში ერთი მხარის უფლებას შეესატყვისება მეორე მხარის ვალდებულება, აქ, უფლებას შეესატყვისება უფლება. პაპასა და ბებიას აქვთ შვილიშვილთან ურთიერთობის უფლება ისევე, როგორც შვილიშვილს აქვს შესაბამისი უფლება. არც ერთ მხარეს არ აქვს ამის ვალდებულება.

- 3** მშობლები ვალდებული არიან აღზარდონ შვილი და მოუარონ მას. ამ ვალდებულების განხორციელების ფარგლებში მათ უნდა ჰქონდეთ ურთიერთობა ბავშვთან, რადგან აღზრდა წარმოუდგენელია ურთიერთობის გარეშე. ამასთან, მშობლებმა ბოროტად არ უნდა გამოიყენონ ბავშვთან ურთიერთობის თავიანთი უფლება და ასევე ოჯახის სხვა წევრებსაც მისცენ იმავეს გაკეთების შესაძლებლობა.³

III. უარი ურთიერთობაზე

- 4** მშობლების მიერ პაპისა და ბებიისათვის შვილიშვილთან ურთიერთობის შესაძლებლობის ნებით არმინიჭების შემთხვევაში, ამასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო. სასამართლოს შეუძლია, ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით, დაავალდებულოს მშობლები ან მეურვე/მზრუნველი, საშუალება მისცენ პაპასა და ბებიას, ურთიერთობა იქონიონ შვილიშვილებთან. სასამართლომ უნდა მოისმინოს ბავშვის აზრი, მშობლების ახსნა-განმარტებები, ისევე როგორც სხვა პირების განმარტება, რომლებიც ბავშვთან ცხოვრობენ, საჭიროების შემთხვევაში – მოისმინოს აღმზრდელებისა და მასწავლებლების აზრი. სასამართლოს შეუძლია იყოს შუამავალი მშობლებსა და ნათესავებს შორის შეთანხმების მიღწევაში, რომლითაც რეგლამენტირებული იქნება ბავშვთან ურთიერთობის გრაფიკი. გარკვეულ ასაკს მიღწეულ ბავშვს უფლება აქვს თავად განსაზღვროს ნათესავებთან ურთიერთობის გრაფიკი და ასევე მშობლების თანხმობით დადოს შესაბამისი შეთანხმება.
- 5** სასამართლო უარს ეტყვის პაპასა და ბებიას ბავშვთან ურთიერთო-

³ *შენგელია*, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1203, გვ. 179.

ბაზე, თუ მივა დასკვნამდე, რომ ეს ურთიერთობა ხელს შეუშლის ბავშვის ნორმალურ განვითარებას, ექნება უარყოფითი გავლენა მის ფიზიკურ ან ფსიქიკურ განვითარებაზე.⁴

ბავშვთან ურთიერთობის უფლება წყდება მისი გაშვილებისას.

6

IV. დანაწესის ანალოგიით გამოყენება

მართალია, დანაწესში საუბარია მხოლოდ პაპასა და ბებიაზე, თუმცა დასაშვებია უნდა იყოს მისი ანალოგიით გამოყენება ისეთი პირების შემთხვევაში, რომელთაც შეიძლება აკავშირებდეთ იდენტური ემოციური კავშირი ბავშვთან და ამასთან, არიან მისი ნათესავები სამართლებრივი გაგებით. ესენია: და-ძმა (როგორც ბიოლოგიური, ისე არაბიოლოგიური), პეპერა და დიდი ბებია, დედობილი და მამობილი და ასევე სხვა ახლო ნათესავები.

7

⁴ შენგელია, სკ-ის კომენტარი, ჟანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1203, გვ. 179.

მუხლი 1204. არასრულწლოვანი შვილის დაბრუნების მოთხოვნის უფლება

მშობლებს უფლება აქვთ, მოითხოვონ არასრულწლოვანი შვილის დაბრუნება იმ პირისაგან, რომელიც მას თავისთან ამყოფებს კანონიერი საფუძვლის გარეშე.

საქართველოს 2007 წლის 18 დეკემბრის კანონი №5624 - სსმ I, №48, 27.12.2007წ., მუხ. 414

- 1 ბავშვის პიროვნებაზე ზრუნვის უფლება, რომელიც მინიჭებული აქვთ მშობლებს, მოიცავს ასევე მისი დაბრუნების მოთხოვნასაც ყველა იმ მესამე პირისაგან, რომელიც კანონიერი საფუძვლის გარეშე თავისთან ამყოფებს მას.¹ ეს პირი ამავდროულად ჩადის სისხლის სამართლებრივ დანაშაულს და სამოქალაქოსამართლებრივ დელიქტს (992-ე მუხლის მიხედვით ხელყოფილია აბსოლუტური უფლება – შვილზე ზრუნვის უფლება).
- 2 დაბრუნების მოთხოვნა მშობლებს აქვთ ერთობლივად, რადგან შვილის ადგილსამყოფლის განსაზღვრა იმ ზრუნვის² ნაწილია, რომელიც მათ ერთობლივად აქვთ მინიჭებული. ერთ-ერთი მშობლის მიმართ ბავშვის დაბრუნების მოთხოვნა არსებობს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას ზრუნვის უფლება ჩამორთმეული აქვს (1206) ან საერთოდ არც ჰქონია. მოთხოვნა მიმართულია ყველას წინააღმდეგ, ვინც მართლსაწინააღმდეგოდ არ უბრუნებს შვილს იმ პირს, რომელსაც აქვს მისი ადგილსამყოფლის განსაზღვრის უფლება. არდაბრუნება გულისხმობს, რომ პირს თავის ძალაუფლებაში ჰყავს ბავშვი. მართლსაწინააღმდეგობა ავტომატურად გამომდინარეობს ადგილსამყოფლის განსაზღვრაზე უფლებამოსილი პირის ნების შეუსრულებლობაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მშობლის უფლება ნიველირებულია უფრო მნიშვნელოვანი კანონისმიერი დანაწესის საფუძველზე. ეს, მაგალითად, სახეზეა საჯარო-სამართლებრივი დანაწესების შემთხვევაში, რომლებიც

¹ შენგელია, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1204, გვ. 182.

² შენგელია, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1204, გვ. 181.

ბავშვის სკოლაში ყოფნის უფლებას არეგულირებენ.

დაბრუნების მოთხოვნა ეხება მხოლოდ შვილს და არა მის ნივთებსა და სხვა საგნებს (ტანსაცმელი, სათამაშოები და ა. შ.). **3**

მუხლი 1205. მშობლის უფლებებისა და მოვალეობების შეზღუდვა

1. მშობლის უფლებები და მოვალეობები შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი.

2. სასამართლოს შეუძლია შეზღუდოს მშობლის ერთი ან რამდენიმე უფლება და მოვალეობა მშობლის სხვა უფლებებისა და მოვალეობებისაგან დამოუკიდებლად.

3. მეურვეობა ან მზრუნველობა დგინდება იმ ბავშვის მიმართ, რომლის ორივე მშობელს შეეზღუდა მშობლის უფლება ან მოვალეობა ამ კოდექსის შესაბამისად.

4. რამდენადაც ეს შესაძლებელია, მშობელს უნარჩუნდება ბავშვის რჩენის ვალდებულება, როცა მშობლის უფლება შეზღუდულია, ამ კოდექსით გათვალისწინებული საალიმენტო მოვალეობების შესაბამისად.

*საქართველოს 2007 წლის 18 დეკემბრის კანონი №5624 - სსმ I, №48, 27.12.2007წ., მუხ.414
საქართველოს 2009 წლის 18 დეკემბრის კანონი №2382 - სსმ I, №50, 31.12.2009წ., მუხ.399*

I. ზოგადი272
II. ზრუნვის უფლების შეზღუდვა.....273

I. ზოგადი

1 1205-ე მუხლი ეხება მშობლის ზრუნვის უფლებისა და მისი მოვალეობების შეზღუდვის შემთხვევას. ზოგადად, მშობლებს აქვთ საერთო შვილზე ერთობლივი ზრუნვის უფლება, რომელიც უცვლელად გრძელდება ასევე მათი განქორწინების შემდეგაც. თუმცა ერთ-ერთ ან ორივე მშობელს ეს საერთო ზრუნვის უფლება შეიძლება შეეზღუდოს მეორე მშობლის ინიციატივით, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს შუამდგომლობის ან თავად შვილის განცხადების საფუძველზე (1206 I მუხლის ანალოგიით). გადაწყვეტილებას ზრუნვის უფლების შეზღუდვასთან დაკავშირებით იღებს სასამართლო, ზემოთ მოყვანილი პირების შუამდგომლობის საფუძველზე.

II. ზრუნვის უფლების შეზღუდვა

ჩვეულებრივ, ერთი მშობლის ზრუნვის უფლების შეზღუდვა ხდება მეორე მშობლის სასარგებლოდ. ეს შემთხვევა მაშინ არის სახეზე, როდესაც მშობლები, მათი პიროვნული მახასიათებლებით განპირობებული განსხვავებულობის გამო, ვეღარ ახერხებენ ბავშვის საუკეთესო ინტერესებზე ორიენტირებულ კონსენსუსამდე მისვლას.¹ ბავშვი არ უნდა იქცეს „საჯილდაო ქვად“ მშობლებისათვის. არსებული ზრუნვის უფლებასთან დაკავშირებული მუდმივი კამათი წარმოადგენს ერთ-ერთი მხარისათვის მისი შეზღუდვის საფუძველს. ზოგადად, მნიშვნელობა არ აქვს თუ რომელი მშობლის მიზეზით არის გამოწვეული კონსენსუსის შეუძლებლობა. შეზღუდვის გადაწყვეტილება არ უნდა იყოს ნაჩქარევი. მხოლოდ განსხვავებული შეხედულებები, მაგალითად, ბავშვის აღზრდასთან დაკავშირებით, არასაკმარისია² ისევე, როგორც პიროვნული კონფლიქტი მშობლებს შორის ან ერთ-ერთი მშობლის უარი ერთობლივად განახორციელონ ეს ზრუნვა. მშობლებს ეკისრებათ ერთობლივი ზრუნვის ვალდებულება.³ თუ არ დგინდება, რომ ცუდი ურთიერთობა მშობლებს შორის ნეგატიურად აისახა ბავშვის ინტერესებზე და ეს არც სამომავლოდ არის სავარაუდო, კონფლიქტის მიუხედავად, ძალაში რჩება ორივე მშობლის საერთო ზრუნვის უფლება. საერთო ზრუნვის უფლება შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს, როდესაც ბავშვი თავად წყვეტს ერთ ან ორივე მშობელთან ურთიერთობას, რადგან ვეღარ უძლებს მათ შორის კონფლიქტს.⁴ დიდი დისტანცია მშობლების ადგილსამყოფელს შორის ავტომატურად არ გამორიცხავს შვილზე საერთო ზრუნვის არსებობას, თუ ისინი მზად არიან თანამშრომლობისათვის.⁵

არის თუ არა სწორედ მოსარჩელე მშობლისათვის ერთპიროვნული ზრუნვის უფლების დატოვება საუკეთესო გამოსავალი, წყდება იმავე პრინციპების მიხედვით, რითაც მოხდა შვილის საცხოვრებელი ადგილის შერჩევა (იხ. 1201-ე მუხლი კომენტარი). თუ ეს წინაპირობები სახეზეა, სასამართლო განმცხადებელს აკუთვნებს ამ ერთპიროვნულ

¹ OLG Schleswig NZFam 2016, 380; OLG Celle NZFam 2016, 477.

² BGH FamRZ 2005, 1167.

³ OLG Karlsruhe FamRZ 1999, 801.

⁴ KG FamRZ 2005, 1768.

⁵ OLG Hamm FPR 2002, 91.

ზრუნვის უფლებას და მეორე მშობლის ზრუნვის უფლება ქარწყლდება.

- 4** ზრუნვის უფლების შეზღუდვა ავტომატურად არ იწვევს ასევე შვილის წინაშე არსებული მოვალეობების, კერძოდ, რჩენის მოვალეობის, შეკვეცას (1205 IV).

მუხლი 1205¹. მშობლის უფლებებისა და მოვალეობების შეჩერება

1. სასამართლოს შეუძლია შეაჩეროს მშობლების უფლება, იყვნენ ბავშვის წარმომადგენლები სასამართლო წარმოების განმავლობაში, დავის გადაწყვეტამდე ამ კოდექსის 1200-ე და 1201-ე მუხლების შესაბამისად.

2. (ამოღებულია - 18.12.2009, №2382).

3. თუ ნაპოვნია ბავშვი, რომლის ვინაობა, მშობლის (მშობლების) ვინაობა ან ადგილსამყოფელი უცნობია, მისი მშობლის (მშობლების) უფლებები და მოვალეობები შეჩერებულად ჩაითვლება სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე მანამ, სანამ:

ა) დადგინდება ბავშვის ან მისი მშობლის (მშობლების) ვინაობა და ის დაუბრუნდება თავის ოჯახს;

ბ) დადგინდება ბავშვის მშობლის (მშობლების) ვინაობა, რომელიც (რომლებიც) თავს არიდებს (არიდებენ) მშობლის მოვალეობების შესრულებას და უფლებების განხორციელებას და სასამართლო შეუზღუდავს მას (მათ) მშობლის უფლება-მოვალეობებს ან აღიარებს ბავშვს მიტოვებულად. ამ შემთხვევაში სასამართლოს ბავშვის მიტოვებულად აღიარებასთან ერთად გამოაქვს გადაწყვეტილება მშობლის უფლებების ჩამორთმევის თაობაზე;

გ) ბავშვი აღიარებული იქნება მიტოვებულად.

4. (ამოღებულია - 18.12.2009, №2382).

5. მშობლის უფლება-მოვალეობები შეჩერებულად ითვლება მშობლის (მშობლების) მიერ საკუთარი ქმედებით ან უმოქმედობით გამოსატყუი ბავშვის მიტოვებისას, როდესაც ბავშვი განთავსებულია 24-საათიან სახელმწიფო ზრუნვაში. ამ შემთხვევაში მშობლის უფლება-მოვალეობების შეჩერება მოქმედებს შეჩერების საფუძვლების არსებობის ვადით.

6. ოჯახში ძალადობის შემთხვევაში, როდესაც მშობლის მიმართ შემაკავებელი ან დამცავი ორდერი მოქმედებს, აგრეთვე სოციალუ-

რი მუშაკის მიერ ბავშვის მშობლისგან განცალკევების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისთანავე მშობლის წარმომადგენლობითი უფლება ან/და მშობლის უფლება, განსაზღვროს, თუ ვისთან და სად უნდა იცხოვროს ბავშვმა, შემაკავებელი ან დამცავი ორდერის ან ბავშვის მშობლისგან განცალკევების შესახებ სოციალური მუშაკის გადაწყვეტილების მოქმედების ვადით შეჩერებულად ითვლება. მშობლის მიერ ბავშვის მშობლისგან განცალკევების შესახებ სოციალური მუშაკის გადაწყვეტილების გასაჩივრება არ აჩერებს ამ გადაწყვეტილების მოქმედებას.

საქართველოს 2007 წლის 18 დეკემბრის კანონი №5624 - სსმ I, №48, 27.12.2007წ., მუხ.414
საქართველოს 2009 წლის 18 დეკემბრის კანონი №2382 - ს .მI, №50, 31.12.2009 წ, მ .ბ399
საქართველოს 2012 წლის 19 ივნისის კანონი №6494 – 02.07.2012წ.
საქართველოს 2016 წლის 22 ივნისის კანონი №5449 - 12.07.2016წ.

- 1 ნორმა ადგენს მშობლის უფლებამოსილების შეჩერების შემთხვევებს ინტერესთა კოლიზიის თავიდან აცილების საბაბით. 1205¹ I მუხლი ეხება მშობელთა შორის არსებულ უთანხმოებას, რომლის გადაწყვეტაც სასამართლომ ერთ-ერთ მშობელს უნდა მიანდოს (1200 I, 1201 I), 1205¹ III, V მუხლი - შვილზე მშობლების მიერ ზედამხედველობის არგანევის/ვერგანევის შემთხვევებს, ხოლო 1205¹ VI მუხლი - არასრულწლოვნის მოძალადისგან განცალკევების კანონით დაშვებულ შემადგენლობებს.
- 2 შვილის აღზრდის საკითხსა და მის საცხოვრებელ ადგილზე შეუთანხმებლობისას მშობელს უჩერდებათ მხოლოდ და მხოლოდ შესაბამის სამართალწარმოებაში ბავშვის წარმოდგენის უფლება. ამ უფლებამოსილებას ახორციელებს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ დანიშნული წარმომადგენელი (1200 II 2, 1201 II 3). სასამართლოსთვის ამის შესახებ მხარის მიერ მითითების აუცილებლობა შეენიშნა შემდეგობდა 1200 II 2, 1201 II 3 მუხლებს, რომელთა მიხედვითაც, ეს შედეგი ავტომატურად დგება. მოცემულ ინტერესთა კონფლიქტის გადაწყვეტის სასამართლოსათვის მინდობა აზრსმოკლებული ჩანს, ამიტომ ამ შემთხვევებში მშობლების წარმომადგენლობითი უფლებამოსილება შესაბამის საკითხებთან დაკავშირებით ავტომატურად უნდა ჩერდებოდეს.

ზედამხედველობის გარეშე დარჩენილი ბავშვის პოვნისას მშობლების უფლება-მოვალეობები მათი სრული მოცულობით ჩერდება სასამართლოს გადანყვეტილების გარეშე ბავშვის ოჯახში დაბრუნების, მშობლების უფლება-მოვალეობების შეზღუდვის ან ჩამორთმევის (ბავშვის მიტოვებულად აღიარების) მომენტამდე. **3**

12051 VI მუხლი ასახელებს არასრულწლოვანზე ძალადობაზე რეაგირების საშუალებებს, რომელთა გამოყენების შემთხვევაშიც ჩერდება მშობლის უფლებამოსილება ბავშვის საცხოვრებლის განსაზღვრაზე: ეს არის შემაკავებელი ორდერი, დამცავი ორდერი და სოციალური მუშაკის გადანყვეტილება ბავშვის მშობლისგან გამოცალკევების შესახებ. შემაკავებელ ორდერს გამოსცემს პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომელი („ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ კანონის 10 III მუხლი), დამცავ ორდერს - სასამართლო კვაზინარმოების ფორმით (ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21¹³ II მუხლი). **4**

მუხლი 1206. მშობლის უფლებებისა და მოვალეობების ჩამორთმევა

1. მშობლის უფლებებისა და მოვალეობების ჩამორთმევა უკანასკნელი ზომაა. მშობლის უფლებებისა და მოვალეობების ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილება გამოაქვს სასამართლოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ან ბავშვის ინიციატივით, თუ ამ მუხლით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

2. მშობელს, რომელიც სისტემატურად თავს არიდებს მშობლის მოვალეობების შესრულებას და არაჯეროვნად იყენებს მშობლის უფლებებს – ბავშვს უხეშად ექცევა, მასზე უარყოფით გავლენას ახდენს ამორალური საქციელით, ან რომელიც ქრონიკული ალკოჰოლიკი ან ნარკომანია, ანდა რომელმაც ბავშვი ჩააბა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში (მათ შორის, მათხოვრობა, მანანწალობა), ჩამორთმევა მშობლის ყველა უფლება და მოვალეობა.

საქართველოს 2007 წლის 18 დეკემბრის კანონი №5624 - სსმ I, №48, 27.12.2007წ., მუხ.414
საქართველოს 2009 წლის 18 დეკემბრის კანონი №2382 - სსმ I, №50, 31.12.2009 წ., მუხ.399
საქართველოს 2017 წლის 4 მაისის კანონი №748 - ვებგვერდი, 24.05.2017წ.
საქართველოს 2019 წლის 20 სექტემბრის კანონი №5013 – ვებგვერდი, 27.09.2019წ.
საქართველოს 2020 წლის 21 მაისის კანონი №5913 – ვებგვერდი, 25.05.2020წ.

I. ზოგადი	278
II. ზრუნვის უფლების ჩამორთმევა.....	279
1. წინაპირობები: ბავშვის კეთილდღეობისათვის საფრთხის შექმნა.....	279
2. საფრთხის შემცველი გარემოება.....	280
ა) ზრუნვის უფლების ბოროტად გამოყენება.....	280
ბ) ზრუნვის ნაკლებობა.....	281
გ) ბრალი	281
დ) მესამე პირების ქცევა.....	282
3. საფრთხის აღმოფხვრის შეუძლებლობა.....	282
III. ღონისძიებები.....	282

I. ზოგადი

1 მოცემული ნორმა შეიცავს რეგულატორულ ბირთვს მშობლის ზრუნვის უფლებაში ჩარევისათვის. ის ამას უკავშირებს შვილის კეთილდღეობისათვის საფრთხის შექმნას¹ და იძლევა შესაძლებლობას მისი

¹ შენგელია, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1205, გვ. 183.

სრულად ჩამორთმევისა, სხვა უფრო რბილი ალტერნატივის არქონის პირობებში (1206 I). ამ დათქმით სახელმწიფოს მხრიდან ყოველგვარი ჩარევა ზღვარდადებულია თანაზომიერების პრინციპის ზღვრით და არ უნდა განხორცილდეს, თუ მშობლებს თავად შესწევთ უნარი დამდგარი საფრთხის აღმოფხვრისა. გარდა ამისა, არჩეულ უნდა იქნეს ყველაზე რბილი საშუალება (1205), რომელიც საკმარისია იმისათვის, რათა აღმოიფხვრას ბავშვის კეთილდღეობისათვის საშიშროების შემქმნელი გარემოება. ზრუნვის უფლების სრულად ჩამორთმევა და ბავშვის დაშორება მშობლებისაგან გამოიყენება, როგორც *ultima ratio*.²

II. ზრუნვის უფლების ჩამორთმევა

1. წინაპირობები: ბავშვის კეთილდღეობისათვის საფრთხის შექმნა

კეთილდღეობას განეკუთვნება ფიზიკური, გონებრივი და სულიერი კეთილდღეობა. საფრთხე სახეზეა, თუ ჩაურევლობის შემთხვევაში ამათგან ერთ-ერთს ზიანი მიადგება.³ პროგნოზისათვის გადამწყვეტია სასამართლოს გადანყვეტილების გამოტანის მომენტი. თუ მოგვიანებით აღმოჩნდება, რომ პროგნოზი მცდარი იყო, ეს გადანყვეტილებას არ აქცევს მართლსაწინააღმდეგოდ, თუმცა ის ხდება *ex nunc*-მოქმედებით გაუქმებადი. საკითხი, არის თუ არა სახეზე ბავშვის კეთილდღეობისათვის შექმნილი საფრთხე, წყდება ზოგადი ცხოვრებისეული გარემოებების მიხედვით. მნიშვნელოვან როლს თამაშობს მისი ასაკი. ბავშვის ქონებისათვის საფრთხის შექმნა ივარაუდება, თუ ქონებაზე ზრუნვის უფლებამოსილებისა და მოვალეობის მქონე პირმა, მისი ეს ვალდებულება ბავშვის წინაშე დაარღვია ან უგულვებელყო ამასთან დაკავშირებული სასამართლო განკარგულებები. გამომდინარე იქიდან, რომ ზრუნვის უფლების ჩამორთმევა წარმოადგენს მნიშვნელოვან ჩარევას ძირითად უფლებებში, არასაკმარისია ვალდებულების ცალკეული და ხანმოკლე დარღვევები, აუცილებელია გარკვეული პერიოდის

2

² შენგელია, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1205, გვ. 183.

³ იქვე.

განმავლობაში არსებული დარღვევა, რომლის ხანგრძლივობის ზღვარიც, დარღვევის სიმძიმიდან გამომდინარე, მცირდება.

2. საფრთხის შემცველი გარემოება

- 3 უმნიშვნელოა, თუ რა კონკრეტულ გარემოებას ეფუძნება ზემოთ ნახსენები საფრთხე. ჩამონათვალი, რომელსაც შეიცავს 1206 II მუხლი, მხოლოდ სამაგალითო ხასიათს ატარებს და რეალურად არის მხოლოდ კონკრეტული შემთხვევების მემწეობით განერილი ღია დათქმა.

ა) ზრუნვის უფლების ბოროტად გამოყენება

- 4 პირველ რიგში, საფრთხის შემცველი გარემოების ცნებით მოცულია მშობლის მიერ მისთვის მინიჭებული ზრუნვის უფლების ბოროტად გამოყენება;⁴ ბავშვისთვის სხეულებრივი თუ სულიერი ზიანის მიყენება,⁵ სექსუალური შევიწროება, ბავშვთა პორნოგრაფიაში ჩართვა,⁶ ბავშვის ორგანიზმში ნარკოტიკული ნივთიერებების შეყვანა.⁷ გარდა აღნიშნულისა: გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოუჩენლობა,⁸ მათ შორის სისხლის გადასხმის არგანხორციელება, ნაქეზება სისხლისსამართლებრივი დანაშულისაკენ ან სოციალურად მიუღებელი ქცევისაკენ (მათხოვრობა), ცალკეულ შემთხვევებში ასევე გოგონათა და ბიჭთა გენიტალიების დაზიანება წინადაცვეთის გზით, ზრუნვის უფლების შეზღუდვის უგულვებელყოფა, ანტისახელმწიფოებრივი იდეოლოგიის ჩანერგვა. დაქორწინების მცდელობა ბავშვის ნების საწინააღმდეგოდ ასევე საკმარისია სასამართლოს მხრიდან ჩარევის გამართლებისთვის.⁹ ამის საწინააღმდეგოდ არასაკმარისია ცალკე აღებული ის გარემოება, რომ მშობლები ბავშვს ზრდიან იმ რელიგიური ან მსოფლმხედ-

⁴ *შენგელია*, სკ-ის კომენტარი, *ჭანტურია* (რედ.), 2000, მუხ. 1205, გვ. 183.

⁵ BayObLG FamRZ 1997, 572; BayObLG FamRZ 1984, 928.

⁶ OLG Frankfurt FamRZ 2018, 926.

⁷ OLG Bremen MDR 2011, 665.

⁸ OLG Brandenburg v. 29.10.13 - 13 UF 208/13.

⁹ OLG Köln FamRZ 2001, 1087.

ველობრივი მოძღვრების წესების მიხედვით, რომელიც შეიცავს მხოლოდ სამომავლო აბსტრაქტულ საფრთხეებს ბავშვის კეთილდღეობისათვის. განსხვავებულადაა საქმე, თუ რელიგიური უმცირესობის პრაქტიკები აუცილებლობის ძალით უკავშირდება ბავშვის სხეულებრივ დაზიანებას.¹⁰ ამ მოძღვრებიდან გამომდინარე ისეთი გადახვევები ზოგადი წესებიდან, როგორცაა ბავშვისათვის ინტერნეტზე თავისუფალი წვდომის აკრძალვა ან ორსულობის შეწყვეტაზე უარი, დასაშვებია და არ ამართლებს მშობლის უფლების ჩამორთმევას.

ბ) ზრუნვის ნაკლებობა

ზრუნვის უფლების ჩამორთმევის საფუძველია ასევე ამ განხორციელებული ზრუნვის ნაკლებობა.¹¹ მაგალითად, მოვლის, საკვების, ტანსაცმლის დეფიციტი, დუხჭირი საცხოვრებელი პირობები,¹² რაც ბავშვს მესამე პირთა მხრიდან დახმარებაზე დამოკიდებულს ხდის, ბავშვის უყურადღებოდ დატოვება, რის გამოც ბავშვი ხვდება „ცუდ წრეში“ და უვითარდება დევიაციური ქცევები.

5

გ) ბრალი

1206-ე მუხლის ფარგლებში პრინციპულად უმნიშვნელოა, შექმნილია თუ არა ზემოთ ნახსენები გარემოება მშობლის ბრალით.¹³ თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, გასათვალისწინებელია, რომ, ჩვეულებრივ, მხოლოდ მშობლები არიან გადანყვეტილების მიმღებნი ბავშვის საქმეებთან დაკავშირებით და სახელმწიფოს მხოლოდ ზედამხედველის ფუნქცია აქვს. ამიტომაც, ჩარევა დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც

6

¹⁰ OLG Nürnberg FamRZ 2015, 1908.

¹¹ შენგელია, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1205, გვ. 183.

¹² თუმცა ცალკე აღებული მატერიალური სიძნელეები არ შეიძლება გახდეს ბავშვების მშობლებს ჩამოცილების საფუძველი, ECtHR, *Wallová and Walla v. the Czech Republic*, No 23848/04, 26 October 2006, § 71, 73-74, ECtHR, *Saviny v. Ukraine*, No 39948/06, § 57-58.

¹³ შენგელია, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1205, გვ. 184.

სახეზეა ბავშვის ინტერესებისათვის მძიმე და ცალსახა საფრთხე, მაგალითად, მშობლის წამალდამოკიდებულება,¹⁴ ფსიქიკური დაავადებები, რომლებიც მას ხელს უშლის დაამყაროს ემოციონალური კავშირი ბავშვთან და დააკმაყოფილოს მისი მოთხოვნილებები.¹⁵

დ) მესამე პირების ქცევა

7 გარდა აღნიშნულისა, შესაძლებელია, რომ ბავშვის კეთილდღეობას საფრთხეს უქმნიდეს მესამე პირთა ქცევა. მოცემულ კონტექსტში ყველაზე მნიშვნელოვანი შემთხვევებია მამობილის ან მშობლის ახალი პარტნიორის მხრიდან თავდასხმა. ამ შემთხვევაში, მთლიანი უფლების ჩამორთმევის ნაცვლად, განიხილება ბავშვის ამ პირთან კონტაქტის აკრძალვა.¹⁶

8 იხ. წარმომადგენლობასთან დაკავშირებულ ინტერესთა კონფლიქტისათვის მუხ. 1198 21-ე ველი.

3. საფრთხის აღმოფხვრის შეუძლებლობა

9 ზრუნვის უფლების მქონე პირი არ უნდა იყოს მზად ან არ უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, დამოუკიდებლად აღმოფხვრას ბავშვის კეთილდღეობისათვის საფრთხის შემცველი გარემოება. ალტერნატიულად საკმარისია: მზაობის, ნების ან შესაძლებლობის არარსებობა.

III. ღონისძიებები

10 1206 I მუხლში გაცხადებულად ნახსენებია მხოლოდ ზრუნვის უფლების ჩამორთმევა. თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ ის მხოლოდ *ultima ratio*-დ განიხილება¹⁷ და ასევეა სახელდებული, კანონმდებელი

¹⁴ OLG Frankfurt FamRZ 1983, 530.

¹⁵ BayObLG FamRZ 1997, 956.

¹⁶ OLG Düsseldorf NJW 1995, 1970.

¹⁷ *შენგელია*, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1205, გვ. 183.

სასამართლოს ანიჭებს შესაძლებლობას მანამდე გამოიყენოს ყველა სხვა ღონისძიება საფრთხის აღსაკვეთად.¹⁸ აუცილებელია, რომ ამ უკანასკნელი ზომის გამოყენებამდე შეირჩეს სხვა, უფრო ლმობიერი ღონისძიება, თუ ის გამოსადეგია საფრთხის აღსაკვეთად. ეს შეიძლება იყოს საჯარო დახმარება ბავშვის მოვლისათვის, ბავშვთან ერთსა და იმავე ბინაში ცხოვრების, ბავშვის ნახვის ან იმ ტერიტორიაზე შესვლის დროებითი აკრძალვა, სადაც ბავშვი ჩვეულებრივ იმყოფება ხოლმე. დასაშვებია ასევე ზრუნვის უფლების ნაწილობრივ ჩამორთმევა, მაგალითად, სამედიცინო დახმარების, საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრისა და განათლების, კარიერის დაგეგმვის საკითხებზე¹⁹ გადაწყვეტილების მიღების უფლების ნაწილში.

¹⁸ იქვე, გვ. 184.

¹⁹ ECtHR, *Tlapak and others v. Germany*, No 11308/16, No 11344/16, 6 June 2018, § 10, 20.

მუხლი 1207. მშობლის უფლებამოვალეობა ჩამორთმეული პირის შვილის უფლებები

მშობლის უფლებამოვალეობა ჩამორთმეული პირი კარგავს ნათესაობაზე დამყარებულ ყველა უფლებას იმ შვილთან ურთიერთობაში, რომლის მიმართაც მას ჩამორთმეული აქვს მშობლის უფლება და მოვალეობა. შვილი, რომლის მშობელსაც ჩამოერთვა მშობლის უფლება და მოვალეობა, ინარჩუნებს ამ მშობლის მიმართ ნათესაობიდან გამომდინარე ქონებრივ უფლებებს, მათ შორის, მემკვიდრეობის მიღების უფლებას.

საქართველოს 2007 წლის 18 დეკემბრის კანონი №5624 - სსმ I, №48, 27.12.2007წ., მუხ. 414

- 1 შვილის ჩამორთმევა არ ნყვეტს ნათესაურ კავშირს მშობელსა და შვილს შორის.¹ ნათესაობაზე დამყარებული ყოველგვარი შეზღუდვა (მაგ., 1120) უკლებლივ ძალაში რჩება, გამორიცხულია მხოლოდ ნათესაობაზე დამყარებული მოთხოვნების/უფლებების გამოყენება უფლებამოვალეული მშობლის მიერ, როგორც არის, მაგალითად, აღიშენების მოთხოვნა (1218) ან შვილზე პიროვნული თუ მის ქონებაზე ზრუნვის განხორციელება (1198).²
- 2 საკითხავია, ჩამორთმევის შემდეგაც ინარჩუნებს თუ არა უფლებამოვალეული მშობელი მისი მეუღლის ან ყოფილი მეუღლისაგან აღიშენების იმ რაოდენობით მოთხოვნის უფლებას, რომელშიც გათვალისწინებული იყო ასევე ბავშვის მოვლასთან დაკავშირებული ხარჯები (ბავშვის მოვლის გამო დედის მიერ შემოსავლის არქონა). ამ შეკითხვას სიტუაციური პასუხი უნდა გაეცეს. თუ ბავშვი, გამონაკლისის სახით, აგრძელებს უფლებამოვალეულ მშობელთან ყოფნას და მასზე ზრუნვა ამ უკანასკნელის მხრიდან ჩვეულ რეჟიმში გრძელდება, მაშინ ჩამორთმევამ რჩენის მოთხოვნაზე გავლენა არ უნდა იქონიოს. სხვა შემთხვევაში, უნდა შეიცვალოს რჩენის ვალდებულების ოდენობა.

¹ შენგელია, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1207, გვ. 186.

² იქვე

მუხლი 1208. (ამოღებულია)

საქართველოს 2007 წლის 18 დეკემბრის კანონი №5624 - სსმ I, №48, 27.12.2007წ., მუხ.414

მუხლი 1209. მშობლის უფლებებისა და მოვალეობების აღდგენა

1. მშობლის უფლებებისა და მოვალეობების აღდგენა შეიძლება მხოლოდ სასამართლო წესით, ბავშვის, ერთ-ერთი მშობლის ან მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ინიციატივით.

2. მშობლის უფლებებისა და მოვალეობების აღდგენა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩნდება, რომ მშობლის უფლების შეზღუდვის ან ჩამორთმევის საფუძველი აღარ არსებობს.

3. პირისთვის მშობლის უფლებებისა და მოვალეობების აღდგენისას სასამართლო ბავშვის სურვილსაც ითვალისწინებს.

4. მშობლის უფლებებისა და მოვალეობების აღდგენა არ დაიშვება იმ ბავშვის მიმართ, რომელიც სხვამ იშვილა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ შვილად აყვანა ბათილად იქნა ცნობილი.

5. მშობლის უფლებები და მოვალეობები ავტომატურად აღდგება შეჩერების ვადის ამოწურვის შემდეგ, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი.

*საქართველოს 2007 წლის 18 დეკემბრის კანონი №5624 - სსმ I, №48, 27.12.2007წ., მუხ.414
საქართველოს 2019 წლის 20 სექტემბრის კანონი №5013 – ვებგვერდი, 27.09.2019წ.
საქართველოს 2020 წლის 21 მაისის კანონი №5913 – ვებგვერდი, 25.05.2020წ.*

I. ზოგადი285
II. უფლების შეზღუდვის ან ჩამორთმევის საფუძველის გაქარწყლება286

I. ზოგადი

მშობლების ზრუნვის უფლების აღდგენის საკითხი წყდება მხოლოდ სასარჩელო წარმოების ფარგლებში.¹ მოპასუხედ გვევლინება პირი,

1

¹ შენგელია, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1209, გვ. 190.

რომლის კმაყოფაზეც იმყოფება ბავშვი (მეორე მშობელი, მეურვე/მზრუნველი, მშვილებელი ან სააღმზრდელო დანესებულება).

- 2 ზრუნვის უფლების საქმის განხილვისას სასამართლო ამონმებს, შეიცვალა თუ არა მშობლების ქცევა და ცხოვრების წესი და მათი დამოკიდებულება შვილის მიმართ.² ამასთან აღსანიშნია, რომ, თუ ბავშვი უკვე გაშვილებულია, სასამართლოს უფლება არ აქვს დააკმაყოფილოს სარჩელი, მაშინაც კი, როდესაც მშობელმა შეიცვალა ცხოვრების წესი და შეუძლია ჯეროვანი აღზრდა-განათლება მისცეს შვილს (1209 IV).³
- 3 ზრუნვის უფლების აღდგენის სარჩელთან ერთად შეიძლება განხილულ იქნეს სარჩელი ბავშვის მშობლისათვის გადაცემასთან დაკავშირებით.

II. უფლების შეზღუდვის ან ჩამორთმევის საფუძვლის გაქარწყლება

- 4 ზრუნვის უფლების აღდგენის ან შეზღუდვის გაუქმებისათვის აუცილებელია ზემოთ მოყვანილი სამი გარემოებიდან ერთის ან მეტის არსებობა, იმისდა მიხედვით, თუ რა გახდა მშობლის უფლების ჩამორთმევის მიზეზი. მტკიცებულების სახით დაიშვება წერილობითი მტკიცებულებები (მკურნალობის კურსის გავლა, მონაშობა ნარკოლოგიური დისპანსერიდან, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს დასკვნა), მონმის ჩვენება (შეცვლილ ქცევის წესთან დაკავშირებით) და ასევე თავად მოსარჩელის ახსნა-განმარტება.
- 5 გარკვეული ასაკის მიღწევის შემდეგ აუცილებელია თავად ბავშვის აზრის გამორკვევაც.⁴
- 6 ზრუნვის უფლების აღდგენის პროცედურა არ გამოიყენება მშვილებლის მიმართ შვილების გაუქმების შემთხვევაში.

² შენგელია, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1209, გვ. 190.

³ იქვე, გვ. 191.

⁴ შენგელია, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1209, გვ. 190.

მუხლი 1210. (ამოღებულია)

საქართველოს 2007 წლის 18 დეკემბრის კანონი №5624 - სსმ I, №48, 27.12.2007წ., მუხ.414
 საქართველოს 2009 წლის 18 დეკემბრის კანონი №2382 - სსმ I, №50, 31.12.2009 წ ., მუხ .399

მუხლი 1211. მშობლის უფლებებისა და მოვალეობების გადაცემა

1. ბავშვის ქონების მართვის უფლება კონკრეტულ ქონებასთან დაკავშირებით შეიძლება გადაეცეს ქონების მეურვეს მშობლების მიერ ნოტარიულად დამონმებული დოკუმენტის საფუძველზე.

2. ბავშვის ქონების მართვის უფლება კონკრეტულ ქონებასთან დაკავშირებით შეიძლება გადაეცეს ქონების მეურვეს ანდერძის საფუძველზე.

*საქართველოს 2007 წლის 18 დეკემბრის კანონი №5624 - სსმ I, №48, 27.12.2007წ., მუხ.414
 საქართველოს 2020 წლის 15 ივლისის კანონი №6989 – ვებგვერდი, 28.07.2020წ.*

I. ზოგადი287

II. ქონების მართვის უფლების გადაცემა, 1211 I.....288

 1. გარიგების დადება და მისი შინაარსი288

 2. მხარეთა უფლება-მოვალეობები289

 3. ურთიერთობის დასრულების სპეციალური საფუძველები291

III. ქონების მმართველის დანიშვნა ანდერძით, 1211 II.....291

I. ზოგადი

ბავშვის ქონების სამართავად მესამე პირისთვის გადაცემა შეიძლება ნაკარნახევი იყოს ქონების განსაკუთრებული ფინანსური პოტენცი-
 ალით, რომლის რეალიზება სპეციალური ცოდნის არარსებობის პირო-
 ბებში რთული ან სულაც შეუძლებელია. ნორმის 1-ლი ნაწილი ეხება
 მშობლების უფლებამოსილებას, მართვის უფლება გადასცენ ქონების
 მეურვეს, ხოლო მე-2 ნაწილი - მამკვიდრებლის შესაძლებლობას, დანი-
 შნოს ქონების მეურვე სამკვიდროს იმ ნაწილთან მიმართებაში, რომე-
 ლიც მემკვიდრე არასრულწლოვანს უნდა ერგოს.

1

II. ქონების მართვის უფლების გადაცემა, 1211 I

1. გარიგების დადება და მისი შინაარსი

- 2** 1211 I მუხლში აღნიშნული უფლების გადაცემისას მშობლები მოქმედებენ როგორც ბავშვის წარმომადგენლები (1198 VI), რადგან სამართავი ქონების მესაკუთრე, მისი ქმედუუნარობის ან შეზღუდული ქმედუნარიანობის მიუხედავად, სწორედ ბავშვია. ქონებაზე მართვის უფლება შეიძლება გადაეცეს ნებისმიერ პირს, გარდა უფლებამოვალეობაჩამორთმეული მშობლისა (1207). აღნიშნული შეზღუდვა გამომდინარეობს ამ უფლება-მოვალეობათა ჩამორთმევის მიზნიდან: დაუშვებელია, პირს ხელშეკრულებით გადაეცეს ის კანონისმიერი უფლებამოსილება, რომელიც მას უკვე ჩამოერთვა.
- 3** ქონების სამართავად გადაცემისათვის აუცილებელია გარიგების რთული წერილობითი ფორმით (69 II) დადება, რომლის გაუთვალისწინებლობის სამართლებრივი შედეგი გარიგების ბათილობაა (59 I). ნორმის სიტყვასიტყვითი განმარტება მიუთითებს იმაზე, რომ ქონების მესამე პირისთვის სამართავად გადაცემისთვის ორივე მშობლის ნების გამოვლენაა საჭირო.
- 4** დოკუმენტი, რომლითაც ბავშვის მშობლები მესამე პირს ქონებაზე მართვის უფლებას გადასცემენ, არაპირდაპირი წარმომადგენლობის დამფუძნებელი გარიგებაა. ამ ხელშეკრულების ფარგლებში ქონების მეურვეს ენიჭება მხარეთა მიერ განსაზღვრული ქონების განკარგვისა (102) და კონკრეტული მიზნის მისაღწევად ფაქტობრივი თუ იურიდიული მნიშვნელობის ქმედებების განხორციელების უფლებამოსილება.
- 5** მშობლებს შეუძლიათ მესამე პირს გადასცენ როგორც ნივთის მხოლოდ მოვლა-პატრონობისა და მისგან არასრულწლოვნის ინტერესებში სარგებლის მიღების უფლებამოსილება, ასევე მისი განკარგვის უფლებამოსილება. მიუხედავად იმისა, რომ 1211-ე მუხლი ამას პირდაპირ არ ასახელებს (შდრ. 21 I 2), მართვის უფლების გადაცემაში უნდა მოიაზრებოდეს საკუთრების მინდობაც 724-ე და შემდგომი მუხლების გაგებით. მმართველისათვის უძრავი ნივთისა და 1000 ლარზე მეტი ღირებულების მქონე მოძრავი ნივთის განკარგვის უფლებამოსილების მინიჭებისას და საკუთრების მინდობის ფორმით მართვის უფლების გადაცემისას აუცილებელია სასამართლოს თანხმობა (183 II, 186 I').

მიანიჭეს ბავშვის მშობლებმა მმართველს ქონების განკარგვის უფლებამოსილება თუ დააფუძნეს მისი მიზნობრივი საკუთრება, უნდა შემონმდეს იმის მიხედვით, მოიპოვა თუ არა მმართველმა მართვის ობიექტზე საკუთრება. რეგისტრაციასავალდებულო ქონებრივ სიკეთეებზე ამის დადგენა სირთულეს არ წარმოადგენს. მოძრავ ნივთებთან (მართვის უფლების გადაცემის დანიშნულებიდან გამომდინარე - მოძრავი ნივთების ერთობლიობასთან) დაკავშირებით არსებული საეჭვოობისას ივარაუდება, რომ მმართველს მხოლოდ არაპირდაპირი წარმომადგენლობის უფლება მიენიჭა, რადგან პირის მიერ არა მხოლოდ განკარგვის უფლებამოსილების, არამედ ნივთზე საკუთრების მოპოვება ამაზე პირდაპირი მითითებით უნდა გამოიხატებოდეს.

6

2. მხარეთა უფლება-მოვალეობები

მმართველის უფლება-მოვალეობები, პირველ რიგში, განისაზღვრება მშობლებთან მიღწეული შეთანხმებით, სადაც ისინი გამოდიან შვილის სახელით.

7

მართვის ფარგლებში ქონების საკუთრების მინდობის ფორმით გადაცემისას უფლება-მოვალეობების ნორმატიულ ჩარჩოს 724-ე და შემდგომი მუხლები წარმოადგენენ, რომლებიც ანალოგიით გამოიყენება არაპირდაპირი წარმომადგენლობის შემთხვევებშიც.¹ საკუთრების მინდობის მომწესრიგებელი ნორმების გავრცელება მოცემულ შემთხვევებზე გზას გაუხსნის დავალების ხელშეკრულების დანაწესების გამოყენებასაც (729), გარდა 714-ე მუხლისა - უსასყიდლო არაპირდაპირი წარმომადგენლობის შემთხვევაშიც, მინდობის მსგავსად, გამოიყენება 725 II 2 მუხლი, როგორც მმართველის პასუხისმგებლობის გამკაცრებული მასშტაბი.²

8

¹ რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, მუხ. 724 ველი 38, ხელმისაწვდომია ელბმულზე gccg.ge, ბოლოს ნანახია 29.11.2020.

² დანვრილებით იხ. იქვე, მუხ. 725 ველები 53-54.

- 9** ქონების მმართველი ვალდებულია შეინარჩუნოს ან გაზარდოს³ ბავშვის ქონება იმ ვალდებულებითი ჩარჩოს ფარგლებში,⁴ რომელიც შეთანხმდა მშობლებთან დადებული გარიგების შესაბამისად. მითითებისგან არასაპატიებელი გადახვევა (712) ან საკუთრების მიზნობრიობის (724) საწინააღმდეგო გადანყვეტილების ქმედება ზიანის ანაზღაურების საფუძველია (725 II 2, 394 I).
- 10** მმართველის მიერ განხორციელებულ განკარგვას სასამართლოს თანხმობა (183 II) არ სჭირდება არც საკუთრების მინდობის და არც მისი არაპირდაპირი წარმომადგენლობის შემთხვევაში: საკუთრების მინდობის მეშვეობით მართვის უფლების გადაცემისას, მინდობილი გარე ურთიერთობაში სრულ საკუთრებას ფლობს, ხოლო არაპირდაპირი წარმომადგენლობისას მასზე 183 II მუხლის გავრცელება დაუშვებელია, რადგან ის ეხება მხოლოდ კანონისმიერი წარმომადგენლობის შემთხვევებს.
- 11** გამომდინარე იქიდან, რომ ქონების სამართავად გადაცემისთვის საჭიროა ორივე მშობლის ნების გამოვლენა, ხელშეკრულების დისპოზიციურ მონესრიგებას უნდა წარმოადგენდეს ის, რომ ქონების გადაცემის შემდეგ მშობლებს მასზე წვდომა (შესაბამისად, მისი განკარგვის უფლებამოსილება) დაკარგული აქვთ. ამ შემთხვევაში მშობლებს, როგორც ბავშვის კანონისმიერ წარმომადგენლებს (1198 VI), ქონებაზე წვდომის დაბრუნება მხოლოდ ხელშეკრულების შეწყვეტის ფორმით (720 I) უნდა შეეძლოს. ამავეს უნდა უსვამდეს ხაზს საგანგებო მითითება კონკრეტულ ქონებაზე მართვის უფლების გადაცემაზე – ჩვეულებრივ შემთხვევაში, მმართველს გააჩნია პროფესიული ცოდნა განსაკუთრებული ფინანსური პოტენციალის რეალიზაციისა, რისი უფლების დატოვებაც მშობლებისთვის, რომელთაც ასეთი ცოდნა არ გააჩნიათ, არაფრის მომცემია. მიუხედავად იმისა, რომ გარიგებით შეიძლება შეთანხმდეს უფლებამოსილებათა გადანაწილების განსხვავებული მოდელი, ქონებაზე მართვის უფლების ეფექტურობისთვის უფრო პრაგმატული უნდა იყოს მშობლებისთვის მხოლოდ ზოგადი ვალდებულებითი ჩარჩოს დასახვისა და მითითების გაცემის უფლებამოსილების დატოვება.

³ იქვე, მუხ. 725 ველი 16.

⁴ იქვე, მუხ. 724 ველი 80.

3. ურთიერთობის დასრულების სპეციალური საფუძვლები

გარდა ხელშეკრულების მოშლის (399) ან უფლებამოსილების, დავა- 12
ლების ზოგადი წესების თანახმად, გამოსხმობისა (720 I), მართვის უფ-
ლების გადაცემის შესახებ გარიგება ავტომატურად წყდება ბავშვის
მიერ სრულწლოვანების მიღწევის ან გარდაცვალებისას.

III. ქონების მმართველის დანიშვნა ანდერძით, 1211 II

1211 II მუხლი უფლებას აძლევს მამკვიდრებელს დანიშნოს მეურვე 13
სამკვიდროს იმ წილთან მიმართებაში, რომელიც არასრულწლოვანს
უნდა ერგოს. ასეთ შემთხვევაში აუცილებელია ქონების მეურვის თან-
ხმობა ანდერძზე გაკეთებული წარწერით ან მასზე დართული განცხა-
დებით, 1411 2 მუხლის ანალოგიით. ბავშვის ქონების მმართველად შე-
იძლება დაინიშნოს იგივე პირი, რომელსაც მამკვიდრებელი ასახელებს
ანდერძის აღმასრულებლად, მათ შორის, მემკვიდრეთა წრიდან (1411).

გამომდინარე იქიდან, რომ არ არსებობს არგუმენტი, ნორმის 1-ლ 14
და მე-2 შემადგენლობის მიზნებისთვის გარიგების ფორმისადმი განს-
ხვავებული მოთხოვნების წაყენებისთვის, ანდერძი ასეთ შემთხვევაში
რთული წერილობითი ფორმით უნდა იყოს შედგენილი (1357 II). სანო-
ტარო ფორმის დაუცველობა იწვევს ანდერძის ბათილობას მეურვის
დანიშვნის ნაწილში (1403 I, 59 I, 1406).

გამოირიცხება თუ არა ფორმის დაუცველობისას არასრულწლოვ- 15
ნის ანდერძისმიერი მემკვიდრეობა, ანდერძის განმარტებას მინდობი-
ლი საკითხია (62). თუ მამკვიდრებლის გაცხადებულ ნებას წარმოად-
გენდა არასრულწლოვანის მემკვიდრედ ყოფნა მხოლოდ იმ შემთხვევა-
ში, თუ სამკვიდროს შესაბამის ნაწილს მართავდა სწორედ მის მიერ და-
სახელებული პირი, ამ ნაწილში გარიგება იდება გადადების პოზიტიუ-
რი პირობით (93, 96) და პირობის შეუსრულებლობა აუქმებს არასრუ-
ლწლოვანის ანდერძისმიერ მემკვიდრეობასაც. მტკიცების ტვირთს
ატარებს ამგვარი პირობის არსებობაზე მიმთითებელი (სსკ-ის 102 I
მუხლი).

თავი მესამე

მშობლებისა და შვილების საალიმენტო მოვალეობანი

მუხლი 1212. შვილების რჩენის მოვალეობა

მშობლები მოვალენი არიან არჩინონ თავიანთი არასრულწლოვანი შვილები, აგრეთვე შრომისუუნარო შვილები, რომლებიც დახმარებას საჭიროებენ.

I. ზოგადი	292
II. ზრუნვის ვალდებულების მქონე სუბიექტი.....	293
III. ალიმენტის ოდენობა	295
IV. რეალური მატერიალური მდგომარეობა	295
V. შეცვლილი მდგომარეობა	295
VI. ალიმენტის მოთხოვნის პერიოდი	296
VII. საალიმენტო მოთხოვნათა რიგითობა	296
1. რიგითობა ვალდებული პირის მიხედვით	296
ა) მეუღლე	296
ბ) შთამომავლობის საალიმენტო მოთხოვნის რიგითობა.....	297
გ) ერთი და იმავე რანგის საალიმენტო ვალდებულება.....	297
დ) სუბსიდიური პასუხისმგებლობა.....	298
2. რიგითობა ალიმენტზე უფლებამოსილ პირთა მიხედვით.....	299
ა) არასრულწლოვანი შვილები	299
ბ) ბავშვის მომვლელი მშობლები	300
3. დანარჩენი პირები	300
4. სამართლებრივი შედეგები არასაკმარისი მატერიალური სახსრების პირობებში	301

I. ზოგადი

1 1212-ე მუხლი, რომელიც ხსნის ალიმენტის შესახებ თავს, აწესებს მშობლების ვალდებულებას, არჩინონ საკუთარი შვილები.¹ რჩენის ეს ვალდებულება წარმოადგენს, მშობლის ზრუნვის მოვალეობათა პროგრამიდან გამომდინარე, ქონებრივი ხასიათის ვალდებულებას – მშობლებს ეკისრებათ არა მხოლოდ შვილის პიროვნებაზე ზრუნვა და მისი

¹ შენგელია, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1212, გვ. 195.

არსებული ქონების შესანარჩუნებლად ზომების მიღება, არამედ ასევე საკუთარი ქონებიდან მისთვის სარჩოს მიცემა.

II. ზრუნვის ვალდებულების მქონე სუბიექტი

1212-ე მუხლით გათვალისწინებული საალიმენტო მოთხოვნის წინაპირობებია: 1. მშობლიური ნათესაური კავშირის არსებობა; 2. შვილის არასრულწლოვანება ან სხვა მიზეზით გამონვეული მატერიალური საჭიროება; 3. მშობლის ფინანსური შესაძლებლობა.² 1212-ე მუხლის ფორმულირების მიხედვით, არასრულწლოვანი შვილისათვის ალიმენტის გადახდის წინაპირობას წარმოადგენს ამის მატერიალური საჭიროება („რომლებიც დახმარებას საჭიროებენ“), ანუ ის ფაქტი, რომ არასრულწლოვანი რეალურად საჭიროებს ამ დახმარებას. თუმცა ეს ასე არ არის. შვილის რეალური საჭიროება მხედველობაში იქნება მიღებული ალიმენტის ოდენობის გამოსაანგარიშებლად, მაგრამ თავად ალიმენტის ვალდებულება უპირობო ხასიათისაა და არ შეიძლება უკუგდებულ იქნას იმ საფუძვლით, რომ არასრულწლოვანმა (მისმა კანონიერმა წარმომადგენელმა) ვერ დაადასტურა ალიმენტის მიღების საჭიროება.

მშობლების ამ საალიმენტო ვალდებულების საპირწონედ, 1218-ე და მომდევნო მუხლები ითვალისწინებენ, თავის მხრივ, შვილის ვალდებულებას, არჩინოს მატერიალური დახმარების საჭიროების მქონე საკუთარი მშობლები. ამ ორ რეგულატორულ კომპლექსს შორის კორელაცია ცალსახაა და თავად 1218-ე მუხლშია დაფიქსირებული. კერძოდ, 1218 III, IV მუხლის მიხედვით, მშობელს არ შეუძლია მოითხოვოს ალიმენტი შვილისაგან, თუ სასამართლო დაადგენს, რომ მშობლები თავს არიდებდნენ მშობლის მოვალეობის შესრულებას ან ჩამორთმეული აქვთ მშობლის უფლება. ამის საპირისპიროდ, მშობლის უფლების ჩამორთმევა მშობელს არ ათავისუფლებს ალიმენტის გადახდის ვალდებულებისაგან.

1212-ე მუხლის თანახმად, ალიმენტის გადახდის ვალდებულება ეკისრება მშობელს.³ შესაბამისად, დავის შემთხვევაში აუცილებელია და-

² შენგელია, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1212, გვ. 195.

³ იქვე.

დგინდეს ფაქტობრივი გარემოება, რომ მოპასუხე არის მშობელი. ამასთან, მნიშვნელობა არ აქვს აღნიშნული ფაქტის დადგენის მომენტს. უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ 1212-ე მუხლით მშობლების უფლება-მოვალეობების წარმოშობის საფუძველია შვილის წარმომავლობა და არა ამ წარმომავლობის ფაქტის დამონმება, მშობლის უფლება-მოვალეობები შვილის მიმართ წარმოიშობა ბავშვის დაბადებისთანავე და არა იმ მომენტიდან, როდესაც მამობა სასამართლო წესით იქნა დადგენილი.⁴

5 ამასთან, შვილის რჩენის ვალდებულება ორივე მშობელს თანაბრად ეკისრება (შვილის სრულწლოვანებამდე), არ აქვს მნიშვნელობა, ისინი ერთმანეთთან ქორწინებაში იმყოფებიან თუ არა.⁵ მართალია, უმეტეს შემთხვევაში, შვილის სასარგებლოდ საალიმენტო ვალდებულების დაკისრებას დედა ითხოვს, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ რჩენის ვალდებულება მხოლოდ მამაზე ვრცელდება.⁶ აღნიშნული პრინციპი მნიშვნელოვანი შეიძლება გახდეს ალიმენტის ოდენობის გამოსაანგარიშებლად: სასამართლოები მხედველობაში იღებენ იმ გარემოებას, რომ ბავშვზე ზრუნვის მოვალეობა თანაბრად აკისრია ორივე მშობელს და ამის მიხედვით განსაზღვრავენ ალიმენტის სამართლიან და გონივრულ ოდენობას.⁷

6 თუმცა, აქ მნიშვნელოვანია ამ საკითხის პრაქტიკული ასპექტი. როგორც წესი, ალიმენტის გადახდის ვალდებულება დღის წესრიგში სწორედ განქორწინებისას დგება.⁸ თუკი მშობლები ერთად აღარ ცხოვრობენ და ბავშვი დროის ძირითად ნაწილს დედასთან ატარებს, ავტომატურად დედას უნევს ბავშვზე ზრუნვისათვის აუცილებელი ყოველდღიური ხარჯების გაღება. ასეთ შემთხვევაში არ არის აუცილებელი ბავშვთან ერთად მცხოვრებმა მშობელმა დამატებით ამტკიცოს ხარჯების გაღება: თავად ერთად ცხოვრება ქმნის იმის ვარაუდის საფუძ-

⁴ სუსგ № ას-2-2-2011, 31/05/2011; სუსგ № ას-263-251-2017, 23/06/2017.

⁵ სუსგ № ას-319-319-2018, 15/05/2018, სუსგ № ას-861-2019, 03/10/2019, სუსგ № ას-1290-1210-2017, 30/01/2018, სუსგ № ას-1173-1128-2016, 30/06/2017, სუსგ № ას-1251-1194-2013, 06/06/2014.

⁶ სუსგ № ას-332-2019, 02/08/2019.

⁷ სუსგ № ას-876-2019, 26/07/2019.

⁸ *შენგელია*, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1212, გვ. 196.

ველს, რომ მშობელი ზრუნავს ბავშვზე და გაიღებს აუცილებელ ხარჯებს.⁹ მეორე მხარეს კი ეკისრება პიროვნული ზრუნვის ნაკლებობის კომპენსირება ფულადი თანამონაწილეობით. აქედან გამომდინარე, სასამართლო პრაქტიკით ალიმენტის გადახდა ეკისრება იმ მშობელს, რომელთანაც ბავშვი არ ცხოვრობს.¹⁰

III. ალიმენტის ოდენობა

ალიმენტის ოდენობის გამოსაანგარიშებლად სასამართლო სახელმძღვანელო სტანდარტად იყენებს 1214-ე მუხლს.¹¹ ალიმენტის ოდენობასთან დაკავშირებით უფრო დეტალური მსჯელობა იხ. 1214-ე მუხლის კომენტარში.

7

IV. რეალური მატერიალური მდგომარეობა

ალიმენტის გადახდის ვალდებულება უპირობო ხასიათისაა,¹² რაც იმას ნიშნავს, რომ მშობელს ყოველთვის აკისრია შვილის მინიმალური საარსებო სახსრებით უზრუნველყოფის ვალდებულება. თუმცა, პრაქტიკული მნიშვნელობისაა მშობლის შემოსავლის დადასტურების საკითხი, ვინაიდან კონკრეტულ დავაში ალიმენტის ოდენობას სწორედ მშობლის შემოსავლის ოდენობა განაპირობებს. მშობლის რეალურ მატერიალურ მდგომარეობასთან დაკავშირებით უფრო დეტალური მსჯელობა იხ. 1214-ე მუხლის კომენტარში.

8

V. შეცვლილი მდგომარეობა

შვილზე ზრუნვის ვალდებულება დროში განგრძობადი ხასიათისაა,

9

⁹ სუსგ № ას-1355-2019, 25/02/2020.

¹⁰ სუსგ № ას-1355-2019, 25/02/2020.

¹¹ სუსგ № ას-148-2020, 20/05/2020, სუსგ № ას-319-319-2018, 15/05/2018, სუსგ № ას-332-2019, 02/08/2019, სუსგ № ას-495-469-2015, 01/07/2015, სუსგ № ას-541-509-2012, 30/04/2012, სუსგ № ას-861-2019, 03/10/2019, სუსგ № ას-976-2019, 30/09/2019, სუსგ № ას-1524-2018, 12/11/2018, სუსგ № ას-1290-1210-2017, 30/01/2018, სუსგ № ას-1275-1514-05, 30/03/2006.

¹² *შენგელია*, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1212, გვ. 195.

რამდენადაც თავად სარჩენი პირის საჭიროებებიც დროსთან ერთად იცვლება. შესაბამისად, ყველა ის გარემოება, რომლებსაც სასამართლო ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში იღებს, შეიძლება შეიცვალოს. აქედან გამომდინარე, სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს შეცვლილი მდგომარეობის გამო საალიმენტო ვალდებულების მოცულობის ცვლილებას. აღნიშნულთან დაკავშირებით უფრო დეტალური მსჯელობა იხ. 1221-ე, 1222-ე და 1231-ე მუხლების კომენტარში.

VI. ალიმენტის მოთხოვნის პერიოდი

- 10** ზოგადი წესის თანახმად, ალიმენტის დაკისრება ხდება მხოლოდ სამომავლოდ, ხოლო, დავის შემთხვევაში, ალიმენტის გადახდის ვალდებულება წარმოიშობა სარჩელის სასამართლოში შეტანის მომენტიდან. აღნიშნულთან დაკავშირებით უფრო დეტალური მსჯელობა იხ. 1234-ე მუხლის კომენტარში.

VII. საალიმენტო მოთხოვნათა რიგითობა

- 11** ქართველი კანონმდებელი, გერმანელისაგან განსხვავებით, ცალკე დანაწესს არ ითვალისწინებს საალიმენტო მოთხოვნათა რანგისთვის. ეს წესები შესაბამის კონკრეტულ მოთხოვნებთანაა მიბმული. მაგალითად, როგორც ზემოთ აღინიშნა, პაპისა და ბებუის მიერ შვილიშვილის რჩენის საკითხი დგება მხოლოდ მაშინ, თუ მას არ შეუძლია მიიღოს ალიმენტი საკუთარი მშობლების, მეუღლის ან შვილისაგან, რაც წარმოადგენს მათი მოთხოვნის რიგის განმსაზღვრელ დათქმას.
- 12** ზოგადად, საალიმენტო მოთხოვნათა რანგი შემდეგია:

1. რიგითობა ვალდებული პირის მიხედვით

ა) მეუღლე

- 13** პირველ რიგში, მატერიალური საჭიროების მქონე პირის რჩენაზე ვალდებული სუბიექტი მისი მეუღლეა (1182-ე და მომდევნო მუხლები).

ეს ვალდებულება ძალაშია განქორწინების შემთხვევაშიც (1183) და წინ უსწრებს ნათესავებისაგან ალიმენტის გადახდის მოთხოვნას. მეუღლის მიმართ ალიმენტის მოთხოვნაზე უარის თქმა არ უნდა დაანვეთ ტვირთად სარჩენის ნათესავებს, თუმცა მათგან სარჩოს სუბსიდიარულად მოთხოვნა დასაშვებია, თუ მეუღლის მიერ გადასახდელი ალიმენტი, მისი სხვა ვალდებულებების გათვალისწინებით, რომლებიც ამცირებენ მის საალიმენტო ვალდებულებას, ვერ ფარავს სარჩენის ვალდებულებებს ან ქვეყნის შიგნით მეუღლის მიმართ საალიმენტო მოთხოვნის განხორციელება გამორიცხულია ან მნიშვნელოვნად გართულებულია.

ბ) შთამომავლობის საალიმენტო მოთხოვნის რიგითობა

შთამომავლები პასუხს აგებენ ნათესაობის ხარისხის მიხედვით, მათი საალიმენტო ვალდებულება წინ უსწრებს მშობლებისა და სხვა აღმავალი ხაზის ნათესავების ვალდებულებას; ერთმანეთის მიმართაც მათ ასევე ნათესაობის ხარისხის მიხედვით ეკისრებათ საალიმენტო ვალდებულება. **14**

რაც შეეხება აღმავალი ხაზის ნათესავების ალიმენტთა რიგითობას, მშობელთა საალიმენტო ვალდებულება წინ უსწრებს ბაბუისა და ბებინს საალიმენტო ვალდებულებას (1225). **15**

გ) ერთი და იმავე რანგის საალიმენტო ვალდებულება

ერთი და იმავე რანგის, მაგალითად, მშობლების საალიმენტო ვალდებულების შემთხვევაში, ის ნაწილდება მათი შემოსავლისა და ქონების მიხედვით.¹³ განაწილება გულისხმობს წილობრივი ვალდებულების წარმოშობას და არა სოლიდარულის (1230 II).¹⁴ თუმცა ეს „განაწილება“ ყოველთვის არ ხდება თანაბრად, არამედ გადამწყვეტია მშობლების შემოსავალი, მათი ქონებრივი მდგომარეობა და ა. შ.¹⁵ **16**

თუ მშობლები ინაწილებენ შვილზე ზრუნვასთან დაკავშირებულ **17**

¹³ BGH NJW-RR 1986, 293; BGH FamRZ 1988, 1039.

¹⁴ BGH NJW 1971, 1985.

¹⁵ BGH NJW 1971, 1985.

ამოცანებს, მაშინ ალიმენტი შეიძლება გაიყოს ნატურით და ფულით გადასახდელ ალიმენტად. მაშინაც კი, როდესაც ერთი მშობელი, რომელიც თავის საალიმენტო ვალდებულებას შვილის წინაშე მისი მოვლითა და აღზრდით ასრულებს, ფლობს ასევე შემოსავალს, მაინც, ჩვეულებრივ, მხოლოდ მეორე მშობელს ეკისრება მთლიანი ალიმენტის ფულში გადასახდელი ოდენობის დაფარვა.¹⁶ თუ ორივე მშობელი სრულ განაკვეთზეა დასაქმებული, სრულწლოვანი ბავშვის მოვლა, ჩვეულებრივ, ნებაყოფლობითი შესრულებაა და არ ამცირებს ალიმენტის ვალდებულებას.¹⁷ თუ მშობლები ერთმანეთს ენაცვლებიან შვილის მოვლაში, ორივემ ალიმენტი ფულით უნდა გადაიხადოს.¹⁸ თუმცა ეს წესი არ მოქმედებს მაშინ, როდესაც ორმხრივი მოვლის მიუხედავად, მის ძირითად ნაწილს მაინც ერთ-ერთი მშობელი ასრულებს; ატარებს რა ის მთავარ პასუხისმგებლობას ბავშვზე, მას ეს ეთვლება მის რჩენად და მეორე მშობელი ვალდებულია გადაიხადოს ალიმენტი ფულით.¹⁹

18 აუცილებელია, სასამართლომ შეიმუშაოს პრინციპები (სასურველია კონკრეტული ან აბსტრაქტული ცხრილების სახით მოცემული), რომელთა მიხედვითაც უნდა მოხდეს ფულით გადასახდელი ალიმენტის განსაზღვრა ნატურით გადასახდელის გვერდით.²⁰ შვილის მოვლის მესამე პირისათვის გადაცემა წარმოშობს ალიმენტის ფულით გადახდის ვალდებულებას.²¹

დ) სუბსიდიური პასუხისმგებლობა

19 თუ წინა რიგის ალიმენტის მოვალე ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას, სრული ან ნაწილობრივი შეუძლებლობის გამო, ან მის წინაშე ქვეყნის შიგნით შეუძლებელია სამართლებრივი მოთხოვნების განხორციელება, მას ანაცვლებს შემდეგი რიგის მოვალე. ამ კატეგორიის

¹⁶ BGH NJW 1981, 2462.

¹⁷ BGH NJW 1994, 1530.

¹⁸ BGH NJW 2015, 331; BGH FamRZ 2016, 1055.

¹⁹ BGH NJW 2015, 331.

²⁰ შდრ. გერმანიაში BGH NJW 1981, 1560; NJW 1991, 697; OLG Bamberg NJW 1995, 1434.

²¹ OLG Hamm FamRZ 1991, 104.

ქვეშ ექცევა წინა რიგის მოვალის მიერ განზრახ უარის თქმა შემოსავლის მომტან საქმიანობაზე.

ეს წესი მოქმედებს ასევე ერთი და იმავე საფეხურზე მდგომ რამდენიმე მოვალე ნათესავის შემთხვევაში. ბაბუა და ბებია მხოლოდ მაშინ აგებენ პასუხს, როდესაც ორივე მშობელი უქონელია.

20

2. რიგითობა ალიმენტზე უფლებამოსილ პირთა მიხედვით

მატერიალური სახსარი, როგორც ალიმენტის გადახდის წინაპირობა, შეიძლება მარტივად ამოიწუროს, თუ ალიმენტის გადახდა აუცილებელი იქნება არა ერთი, არამედ რამდენიმე პირისათვის. ამიტომაც, აუცილებელია გარკვეული რიგითობის დაცვა არა მხოლოდ ალიმენტის მოვალეების, არამედ ალიმენტის კრედიტორების სიმრავლის შემთხვევაშიც. განსხვავებით ზემოთ განხილულ მოვალეთა რიგითობისგან, კანონი ამ შემთხვევაში თითქმის არანაირ ხელმოსაჭიდს არ იძლევა, რის გამოც ამ ალიმენტზე უფლებამოსილ პირთა რიგითობის განსაზღვრა შესაძლებელია მხოლოდ ზოგადი პრინციპებისა და კანონის მიზნიდან გამომდინარე. მათზე დაყრდნობით შესაძლებელია შემდეგი სურათის გამოკვეთა:

21

ა) არასრულწლოვანი შვილები

ალიმენტზე უფლებამოსილ პირებს შორის პირველ ადგილზე დგანან არასრულწლოვანი შვილები. შვილის ცნების ქვეშ მოიაზრება ყველა, როგორც ბიოლოგიური, ისე ნაშვილები, ქორწინებაში თუ მის გარეთ შექმნილი. შვილის რჩენა სარგებლობს აბსოლუტური უპირატესობით და არ არსებობს მასთან გათანაბრებული საალიმენტო მოთხოვნა. ეს გადაწყვეტა გამართლებულია იმით, რომ არასრულწლოვანი შვილები საზოგადოების ეკონომიკურად ყველაზე მონყვლადი წევრები არიან და არ ძალუძთ საკუთარი ძალებით წელში გამართვა.²² მათ, ზოგადად, არ უთანაბრდებიან სრულწლოვანი უნარშეზღუდული შვილები.²³

22

²² BT-Drs. 16/1830, 23.

²³ BGH NJW 1984, 1815.

ბ) ბავშვის მომვლელი მშობლები

- 23** მეორე ადგილას დგანან მშობლები, რომლებიც ბავშვს უვლიან და, აქედან გამომდინარე, აქვთ ალიმენტის მოთხოვნის უფლება. მათ ქვეშ მოიაზრება, არსებულ ქორწინებაში ერთ-ერთი მშობლის გარდა, აგრეთვე, ცალკე მცხოვრები და განქორწინებული, ისევე, როგორც ერთმანეთთან ქორწინებაში არმყოფი მშობლები. ეს ემყარება იმ გადანყევტას, რომ აუცილებელია ქორწინებაში და ქორწინების მიღმა დაბადებული ბავშვების თანაბარ მდგომარეობაში ჩაყენება.²⁴ ეს ბავშვის მომვლელი მშობლისათვის ძალაში უნდა დარჩეს, დამოუკიდებლად მისი საოჯახო-სამართლებრივი სტატუსისა. ცალკეულ შემთხვევაში, ქორწინების საერთო ხანგრძლივობის გარდა, ყურადღება უნდა მიექცეს იმას, თუ რა ასაკისა დაქორწინდნენ მეუღლეები, მათი ასაკი განქორწინების მომენტისათვის, ასევე საერთო ბავშვის მოვლისა და აღზრდის ხანგრძლივობა და ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება.²⁵ არ არის აუცილებელი, რომ ქორწინებამ მეუღლეს დააკარგვინოს საკუთარი შემოსავლის ქონის შანსი. მეორე რიგის/რანგის მინიჭებისათვის საკმარისია, თუ ქორწინება არსებობდა დიდი ხნის განმავლობაში.
- 24** ერთი და იმავე რანგის ფარგლებში ყველა ალიმენტის კრედიტორი ერთნაირი სტატუსით სარგებლობს.

3. დანარჩენი პირები

- 25** რიგის შემდეგ საფეხურზე არიან: მეუღლეები და განქორწინებული მეუღლეები, რომლებიც არ ექცევიან ზემოთ მოყვანილ კატეგორიაში; შვილები, რომლებიც არ განეკუთვნებიან პირველ კატეგორიას, ანუ ზოგადად შეუძლიათ იზრუნონ საკუთარ რჩენაზე; შვილიშვილები.
- 26** შეთანხმება ალიმენტის რანგთან დაკავშირებით, ზოგადად, დაუმეგბელია. თუმცა დასაშვებია იმ მოთხოვნებზე უარის თქმა, რომლებიც გამომდინარეობს წინა რიგიდან.

²⁴ BVerfG NJW 2007, 1738.

²⁵ BT-Drs. 16/1830, 24; BT-Drs. 16/6980, 10.

4. სამართლებრივი შედეგები არასაკმარისი მატერიალური სახსრების პირობებში

თუ წინა რიგის ალიმენტზე უფლებამოსილი პირის ალიმენტით ამო-
ინურება ვალდებული პირის მატერიალური შესაძლებლობა, მომდევნო
რიგის ალიმენტის კრედიტორის მოთხოვნა აღარ წარმოიშობა ან წარ-
მოიშობა მომდევნო რიგის ალიმენტის მოვალის მიმართ.

27

მუხლი 1213. ალიმენტის ოდენობის განსაზღვრა მშობლების მიერ

არასრულწლოვანი ან სრულწლოვანი შრომისუუნარო შვილები-სათვის გადასახდელი ალიმენტების ოდენობას განსაზღვრავენ მშობლები ურთიერთშეთანხმებით.

I. ზოგადი 302
 II. შეთანხმების ცალკეული ასპექტები..... 303

I. ზოგადი

1 შვილების ზრუნვისათვის გასაღები ფინანსური სახსრების ოდენობასა და ფორმას განსაზღვრავენ მშობლები ურთიერთშეთანხმებით.¹ მხოლოდ მაშინ, თუკი მშობლები ვერ თანხმდებიან გადასახდელი ალიმენტის თაობაზე, საქმეში ერთვება სასამართლო, რომელიც ალიმენტის ოდენობის გამოსაანგარიშებლად ხელმძღვანელობს 1214-ე მუხლში დადგენილი სტანდარტით. თუმცა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ სასამართლო წესით ალიმენტის მოთხოვნა დასაშვებია მაშინაც, როდესაც მშობელი ნებაყოფლობით ასრულებს რჩენის ვალდებულებას. 1213-ე მუხლი პრაქტიკულ მნიშვნელობას იძენს ორი მიმართულებით: (ა) იგი განამტკიცებს პრინციპს, რომ შვილებზე ზრუნვის უპირველესი მოვალეობა აკისრიათ მშობლებს და არა სახელმწიფოს. შესაბამისად, ყველაზე უკეთ სწორედ მშობლებს ხელეწიფებათ შვილის რჩენისათვის საჭირო ალიმენტის ოდენობის განსაზღვრა; (ბ) მშობლებს შორის მიღწეული შეთანხმება მხოჭავი ხასიათისაა. შესაბამისად, დავის შემთხვევაში სასამართლო იხელმძღვანელებს ამ შეთანხმებით, თუკი, რა თქმა უნდა, შეთანხმება ბათილად არ იქნება ცნობილი კანონთან მისი შეუსაბამობის ან რაიმე სხვა საფუძვლით.

2 ალიმენტის ოდენობის საკითხის მოწესრიგება მშობელთა ურთიერთშეთანხმებით, უპირველესად, ბავშვის ინტერესებში შედის. სასამართლო დავა დროში განვლილი პროცესია, რასაც თან ახლავს მნიშვნელოვანი ფინანსური ხარჯი. შესაბამისად, მშობელთა შეთანხმების შემ-

¹ შენგელია, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1213, გვ. 197.

თხვევაში თავიდან იქნება აცილებული სასამართლო დავასთან დაკავშირებული ნეგატიური შედეგები. ამავე დროს, მშობლების შეთანხმება ამცირებს ალიმენტის გადახდისაგან თავის არიდების შემთხვევებს. როგორც წესი, ძირითადი მიზეზი, რის გამოც მშობლები თავს არიდებენ ალიმენტის გადახდას, არის მათი ფინანსური მდგომარეობა.² რჩენის ვალდებულებისათვის თავის არიდების გამომწვევ ფაქტორებს შორის ასევე სახელდება აღსრულების მექანიზმების სიმცირე და არაეფექტიანობა,³ სოციო-ეკონომიკური და დემოგრაფიული პრობლემები, ისევე, როგორც სარჩენ პირთა საერთო რაოდენობა.⁴ ამასთან, უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს მშობელთა შორის არსებული ურთიერთობა, განსაკუთრებით მათი განქორწინების შემდგომ.⁵ მშობლის მხრიდან ვალდებულების შესრულების ხარისხი იზრდება, რაც უფრო ახლო ურთიერთობა ნარჩუნდება მეუღლეებს შორის, ასევე, რაც უფრო ხშირია კონტაქტი განქორწინებულ მშობელსა და შვილს შორის.⁶ შეთანხმების შემთხვევაში ყველა ეს პრობლემა, მეტ-ნაკლებად, წესრიგდება. შესაბამისად, სახელმწიფო ხელს უწყობს საკითხის გადაწყვეტას დავის გარეშე.

II. შეთანხმების ცალკეული ასპექტები

შვილზე ზრუნვის ვალდებულება ეკისრება ორივე მშობელს.⁷ ამიტომ, მათ ბუნებრივი საფუძველი გააჩნიათ, ალიმენტის საკითხი ურ-

3

² *Cassetty J.*, *Child Support and Public Policy* (1978), Ch. 3; *Chambers D.*, *Making Fathers Pay: The Enforcement of Child Support* (1979) 83.

³ *Krause H.*, *Child Support Enforcement: Legislative Tasks for the Early 1980s*, *Family Law Quarterly* 15 (1981) 4; *Yee L.M.*, *What Really Happens in Child Support Cases: An Empirical Study of Establishment and Enforcement of Child Support Orders in the Denver District Court*, *Denver Law Journal* Vol. 57, No. 1 (1979) 21-68.

⁴ *Young A.*, *Absent Parent Child Support: Cost-Benefit Analysis* (1975).

⁵ *Goode W.*, *Women in Divorce* (1956) 87-97; *Chambers D.*, *Making Fathers Pay: The Enforcement of Child Support* (1979) 79-102.

⁶ *Wallerstein J./Dorothy S.*, *Huntington, Bread & Roses: Nonfinancial Issues Related to Fathers' Economic Support of Their Children Following Divorce*, in *Cassetty J.*, *The Parental Child Support Obligation: Research, Practice and Social Policy* (1983); *Furstenberg F.F.*, *The Life Course of Children of Divorce: Marital Disruption and Parental Contact*, *American Sociological Review* 48 (1983) 656-658.

⁷ *Kelly v. Kelly*, No. 7952, 1993 WL 946122, at *1 (Va. Cir. Ct. June 21, 1993).

თიერთშეთანხმებით მოანესრიგონ. ქორწინებაც, პრაქტიკულად, მხარეთა შეთანხმებაა, რომელსაც აღსრულებადი უფლება-მოვალეობები მოჰყვება.⁸

- 4** როგორც წესი, შეთანხმება ეხება დავამდე არსებულ პერიოდს, სასამართლოს მიერ დადგენილი ალიმენტის მხარეთა შეთანხმებით შეცვლა არ დაიშვება.⁹ ეს აკრძალვა ვრცელდება როგორც ალიმენტის ოდენობის შემცირებაზე, ისე გაზრდაზე.¹⁰ სხვა საკითხია, რამდენად შეძლებს მშობელი „ზედმეტად“ გადახდილი ალიმენტის უკან დაბრუნებას ან მისი სამომავლო საალიმენტო ოდენობაში ჩათვლას, საალიმენტო ვალდებულების მორალური ბუნებიდან გამომდინარე (იხ. 976 II ა) მუხლი). მშობელთა შეთანხმებამ არ უნდა დაარღვიოს ბავშვის ინტერესები, ვინაიდან, საბოლოო ჯამში, სწორედ, ბავშვია ზრუნვის ობიექტი. სასამართლოები ამ არგუმენტით ცალკეულ შემთხვევებში უარსაც კი ამბობდნენ, აღესრულებინათ მშობელთა შორის დადებული შეთანხმება.¹¹ მშობელთა შეთანხმება ვერ გამორიცხავს სასამართლოს როლს, ზედამხედველობა გაუწიოს, რამდენად დაცულია ბავშვის საუკეთესო ინტერესები.¹² შეთანხმებაზე გავლენა არ უნდა იქონიოს მშობელთა

⁸ *Stanley v. Illinois*, 405 U.S. 645, 663 (1972); Elizabeth S. Scott & Robert E. Scott, *Marriage as Relational Contract*, 84 VA. L. Rv. 1225, p. 1244-50 (1998) (ავტორის პოზიციით, ქორწინება განხილულ უნდა იქნას, როგორც შეთანხმება მეუღლეებს შორის და არა სახელმწიფოს მიერ მინიჭებული სტატუსი); Margaret F. Brinig & Steven M. Crafton, *Marriage and Opportunism*, 23 J. LEGAL STuD. 869, p. 871 (1994)).

⁹ *Goodpasture v. Goodpastur*, 371 S.E. 2d 845 (1988).

¹⁰ *Kenneth G., Family Law - Berryhill v. Rhodes: Attempts to Circumvent Child Support Obligations through Private Child Support Agreements Violate Public Policy*, 32 U. Mem. L. Rev. 767 (2002).

¹¹ *Williams v. Williams*, 205 S.W.2d 949,953 (Mo. Ct. App. 1947) (სასამართლომ განმარტა, რომ მშობლებს შორის მიღწეული ზეპირი შეთანხმება, რომლითაც შვილის საცხოვრებლად განსაზღვრულ იქნა დედის საცხოვრებელი ადგილი, არ არის მხარეთათვის მხოჭავი ხასიათის, თუმცა მხედველობაში იქნება მიღებული ბავშვის საუკეთესო ინტერესების დასადგენად).

¹² *Glauber v. Glauber*, 600 N.Y.S.2d 740, 742 (1993); *Ekelem v. Ekelem*, 2003 WL 21014972 (2003); *Schwab v. Schwab*, 505 N.W.2d 752, 758 (S.D. 1993); *McManus v. Howard*, 569 So. 2d 1213, 1215 (Miss. 1990); *Miller v. Miller*, 620 A.2d 1161, 1165-66 (Pa. Super. Ct. 1993).

ურთიერთობის გაუარესებამ განქორწინებისას.¹³ იგივე ეხება ქორწინებამდე და ქორწინების პერიოდში დადებულ შეთანხმებებს.¹⁴

არსებობს პრაქტიკა, როდესაც ბათილად იქნა ცნობილი მხარეთა შეთანხმება, რომლითაც აღიმენტის ოდენობად განისაზღვრა საარსებო მინიმუმზე ნაკლები.¹⁵ დასაშვებია მშობლებმა შეთანხმებით გაითვალისწინონ აღიმენტის ოდენობის ავტომატური ზრდა/შემცირება სამომავლო პერიოდისათვის და აღიშნული დაუკავშირონ გარკვეულ მოვლენას, მაგალითად, მშობლის შემოსავალს.¹⁶

5

ბავშვის ინტერესების დაცვის პარალელურად, სასურველია სასამართლომ აღიაროს მშობელთა გარკვეული დისკრეცია იმის დასადგენად, თუ რა არის ბავშვისათვის საუკეთესო, ნაცვლად იმისა, რომ თავად სასამართლომ განსაზღვროს აღნიშნული. წინააღმდეგ შემთხვევაში, დაირღვევა მშობლის კონსტიტუციური უფლება თავად იზრუნოს ბავშვზე და აღზარდოს იგი საკუთარი და არა სახელმწიფოს შეხედულებების შესაბამისად. ბავშვის აღზრდის ვალდებულება აკისრიათ მშობლებს და არა სასამართლოს.¹⁷ იმის დასადგენად, თუ რა არის ბავშვის საუკეთესო ინტერესი, მშობელთა შეთანხმება შეიძლება იყოს ერთ-ერთი განხილვის ფაქტორი.¹⁸ თუმცა, როგორც წესი, სასამართლოები არ კმაყოფილდებიან მხოლოდ მშობელთა შეთანხმებით და ყურადღებას აქცევენ სხვა გარემოებებსაც.¹⁹ ეს ეხება როგორც აღიმენტის გადახდას, ისე ბავშვის საცხოვრებლის არჩევის საკითხს.²⁰

6

სასამართლოსათვის ფართო დისკრეციის მინიჭების უპირატესობა ის არის, რომ მათ შესაძლებლობა აქვთ უფრო კარგად დაიცვან ბავშ-

7

¹³ Ford v. Ford, 371 U.S. 187, 193 (1962).

¹⁴ Mancuso v. Mancuso, 789 So. 2d 1249 (Fla. Dist. Ct. App. 2001).

¹⁵ Kelly v. Kelly, 1993 WL 946122 (1993).

¹⁶ Shoup v. Shoup, 542 S.E.2d 9. (2001), სადაც სასამართლომ განმარტა, რომ კანონმდებელი მიზნად ისახავს წახალისოს განქორწინებისას მშობელთა შეთანხმება შეილზე ზრუნვის საკითხებთან დაკავშირებით.

¹⁷ Lamb v. Wenning, 591 N.E.2d 1031, 1034 (hid. Ct. App. 1992).

¹⁸ Braun v. Headley, 750 A.2d 624, 636 (Md. Ct. Spec. App. 2000).

¹⁹ Tompkins v. Baker, 997 S.W.2d 84, 91 (Mo. Ct. App. 1999).

²⁰ Neu v. Neu, 303 A.D.2d 509, 510 (N.Y. App. Div. 2003); Alanna M. v. Duncan M., 204 A.D.2d 409 (N.Y. App. Div 1994).

ვის ინტერესი და გადანყვეტილებით დეტალურად მოანესრიგონ მშობელთა ზრუნვის ვალდებულება.²¹ თუმცა, სასამართლოები, მშობლებისგან განსხვავებით, არ არიან საუკეთესო პოზიციაში, განსაზღვრონ კონკრეტულ შემთხვევაში რა ჩაითვლება ბავშვის საუკეთესო ინტერესად.²² რთულია იმის დადგენაც კი, თუ რომელი მშობელია უკეთეს პოზიციაში იზრუნოს შვილზე.²³ ამასთან, სასურველია სასამართლოს პრაქტიკა იმგვარად არ განვითარდეს, რომ აღმოჩნდეს სრულიად არაგანჭვრეტადი და ამით მშობლებს დაუკარგოს ბავშვზე ზრუნვის საკითხების შეთანხმებით გადანყვეტის სურვილი.²⁴ ხშირად მშობელი უარს აცხადებს შეთანხმებაზე იმ იმედით, რომ სასამართლოში დავას მოიგებს, რაც ინვესტაციას დროის გაჭიანურებას და, საბოლოოდ, ნეგატიურად აისახება ბავშვზე.²⁵

8 შესაძლოა, პრაქტიკაში დადგინდეს გარკვეული პრეზუმფცია, რომელიც ვარაუდობს, რომ მშობლები მოქმედებენ ბავშვის საუკეთესო ინტერესებისათვის, სანამ სანინააღმდეგო არ იქნება დადგენილი. სასამართლოებმა ყოველთვის უნდა გააუქმონ შეთანხმება, თუკი იგი აზიანებს ბავშვს ან დადებულია ნების ნაკლის პირობებში, მაგალითად, იძულებით. ნებისმიერ შემთხვევაში, სასამართლომ უნდა დაასაბუთოს, რატომ არ ცნობს მხარეთა შეთანხმებას.²⁶

9 შეთანხმება შესაძლებელია წარმოადგენდეს განქორწინებისას მიღწეული შეთანხმების ნაწილს. როგორც წესი, სასამართლოები უფრო კეთილგანწყობილი არიან საალიმენტო შეთანხმებების მიმართ, ვიდრე

²¹ Keen v. Keen, 629 N.E.2d 938, 940 (Ind. Ct. App. 1994), 941.

²² Garska v. McCoy, 278 S.E.2d 357, 361 (W. Va. 1981).

²³ Becker M., Maternal Feelings: Myth, Taboo, and ChildCustody, 1 S. Cal. Rev. L. & Women's Stud. 133 (1992) 172; Mercer K., The Ethics of Judicial Decision-Making Regarding Custody of Minor Children: Looking at the „Best Interest of the Child“ and the „Primary Caretaker“ Standards as Utility Rules, 33 IDAHO L. REV. 389 (1997) 408-09.

²⁴ Maccoby E./Mnookin R., Dividing The Child: Social And Legal Dilemmas Of Custody (1992) 157.

²⁵ Keamey M., The New Paradigmin Custody Law: Looking at Parents With a Loving Eye, 28 ARIZ. ST. L.J. 543 (1996) 553-54.

²⁶ Sleaterv. Sleater, 42 S.W.3d 821, p. 824 (Mo. Ct. App. 2001).

ბავშვთან დაკავშირებული სხვა შეთანხმებების მიმართ, ვინაიდან ხშირად მათი აღსრულება რთულია.²⁷

სადავოა საკითხი იმის შესახებ, რამდენად შესაძლებელია მხარეთა შეთანხმება საალიმენტო დავის არბიტრაჟისათვის განსახილველად გადაცემის თაობაზე.²⁸ სსკ-ის მე-12 მუხლის თანახმად, „პირთა თანახმობაზე დამყარებული კერძო ხასიათის ქონებრივი დავა, რომლის მონესრიგებაც მხარეებს შეუძლიათ ერთმანეთს შორის, მხარეთა შეთანხმებით, შეიძლება განსახილველად გადაეცეს არბიტრაჟს.“ არსებითად იმავე განმარტებას აკეთებს არბიტრაჟის შესახებ კანონის 2 ა) მუხლი. საქართველოს უზენაესი სასამართლო არაერთ გადანყვეტილებაში განმარტავს, რომ „ერთ-ერთ ფუნდამენტურ თავისებურებას საოჯახო-სამართლებრივი დავების განხილვისას, სხვა კატეგორიის საქმეთა განხილვისაგან განსხვავებით, წარმოადგენს ინკვიზიციურობის პრინციპის უფრო ფართოდ გამოყენება. მართალია, საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობები განეკუთვნება კერძო-სამართლებრივი ურთიერთობების სფეროს, მაგრამ ამ ურთიერთობების განვითარება და სიმტკიცით დაინტერესებული მთელი საზოგადოება. სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ სასამართლო ინარჩუნებს უფლებას, დაადგინოს ის გარემოებანი, რომელთა აუცილებლობა განაპირობებს არასრულწლოვანის ინტერესებისათვის ყველაზე კეთილსაიმედო გადანყვეტილების მიღებას.“²⁹ ამასთან, საოჯახო დავების განხილვის ცა-

10

²⁷ *Silbaugh K.*, Marriage Contracts and the Family Economy, 93 Nw. U. L. REv. 65 (1998) 78.

²⁸ *Spitko G.*, Reclaiming the „Creatures of the State“: Contracting for Child Custody Decisionmaking in the Best Interests of the Family, 57 WASH. & LEE L. REv. 1139 (2000) 1141 (ავტორი მხარს უჭერს პოზიციას, რომ მშობლებს უნდა შეეძლოთ ბავშვზე ზრუნვის საკითხების განხილვისათვის შეთანხმონ საარბიტრაჟო დათქმა); *Miller v. Miller*, 620 A.2d 1161, 1165-66 (Pa. Super. Ct. 1993) (სასამართლომ განმარტა, რომ მშობელთა მიერ დადებულ შეთანხმებაში საარბიტრაჟო დათქმა ნამდვილია, თუმცა სასამართლო არ არის შებოჭილი არბიტრაჟის მიერ მიღებული გადანყვეტილებით); იგივე განმარტება იხ. *Glauber v. Glauber*, 600 N.Y.S.2d 740, 743 (N.Y. App. Div. 1993).

²⁹ სუსგ № ას-198-2019, 28/05/2019, სუსგ № ას-1011-931-2017, 16/01/2018, სუსგ № ას-675-631-2017, 16/06/2017.

ლკე წესებს შეიცავს სსკ-ის 352-ე–356-ე მუხლები. ყოველივე ამის გა-
თვალისწინებით, ალიმენტთან დაკავშირებული საკითხების არბიტრა-
ჟისათვის გადაცემა არ უნდა იყოს დასაშვები.

მუხლი 1214. ალიმენტის ოდენობის განსაზღვრა სასამართლოს მიერ

თუ მშობლები ვერ შეთანხმდნენ ალიმენტის ოდენობაზე, მაშინ დავას გადაწყვეტს სასამართლო. ალიმენტის ოდენობას სასამართლო განსაზღვრავს გონივრული, სამართლიანი შეფასების საფუძველზე შვილის ნორმალური რჩენა-აღზრდისათვის აუცილებელ მოთხოვნათა ფარგლებში. ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლო მხედველობაში იღებს როგორც მშობლების, ისე შვილის რეალურ მატერიალურ მდგომარეობას.

- I. ზოგადი 309
- II. ალიმენტის ოდენობა 310
 - 1. ძირითადი სტანდარტი და რეალური მატერიალური მდგომარეობა 310
 - 2. მესამე პირთა მიმართ არსებული ვალდებულებები 314
 - 3. ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობა 315
 - 4. ნორმალური საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფა 316
 - 5. საალიმენტო ვალდებულებების უპირობო ხასიათი 317
 - 6. გარემოებები, რომლებიც ამცირებს ალიმენტის ოდენობას 318
 - ა) შვილის ქონება 318
 - ბ) სამხედრო სამსახური 319
 - გ) სოციალური დახმარება 320
 - დ) მესამე პირთა დახმარებები 320
- III. მტკიცების ტვირთი 321

I. ზოგადი

ზოგადი წესის თანახმად, როდესაც მშობლები ვერ თანხმდებიან ერთმანეთთან შვილისათვის გადასახდელი ალიმენტის თაობაზე, საკითხს წყვეტს სასამართლო. ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლო მხედველობაში იღებს დავის მონაწილე ყველა პირის მატერიალურ და ოჯახურ მდგომარეობას: კრიტერიუმად გამოიყენება შვილის მოთხოვნილებები (მატერიალური საჭიროება), ისევე, როგორც მშობლების მატერიალური სახსარი.¹

1

¹ შენგელია, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1214, გვ. 198.

II. ალიმენტის ოდენობა

1. ძირითადი სტანდარტი და რეალური მატერიალური მდგომარეობა

2 1214-ე მუხლში მოცემულია ის კრიტერიუმები, რომლებითაც უნდა იხელმძღვანელოს სასამართლომ ალიმენტის ოდენობის დადგენისას.² აღნიშნული მუხლის თანახმად, ალიმენტის ოდენობა უნდა დადგინდეს გონივრული და სამართლიანი შეფასების საფუძველზე.³ გათვალისწინებულ უნდა იქნას როგორც ბავშვის, ისე მშობლების რეალური მატერიალური მდგომარეობა. სასამართლოს უმთავრესი ამოსავალი წერტილი არის შვილის საჭიროებები და მისი საუკეთესო ინტერესები. შეიძლება ითქვას, რომ ზოგადი წესის თანახმად ბავშვის საუკეთესო ინტერესები გადანონის ყველა სხვა ინტერესს, იქნება ეს მშობლის თუ მესამე პირთა ინტერესები.

3 მშობლის შემოსავალი არის ალიმენტის ოდენობის განსაზღვრის ერთ-ერთი უმთავრესი კრიტერიუმი.⁴ პრაქტიკაში, ძირითადად, აქცენტი კეთდება ალიმენტის გადახდის ვალდებულების მქონე მშობელსა და არა იმ მშობელზე, რომელიც ბავშვთან ერთად ცხოვრობს. აღნიშნული მიდგომა რამდენიმე არგუმენტით შეიძლება დასაბუთდეს. პირველ რიგში, მშობელი, რომელიც ბავშვთან ერთად ცხოვრობს, უკვე მონაწილეობს მის რჩენაში და საკუთარი სახსრების მნიშვნელოვან ნაწილს პრეზუმირებულად ახმარს შვილის კეთილდღეობას. ზოგიერთი კვლევის თანახმად, მარტოხელა მშობელი შვილის რჩენისათვის შემოსავლის 1/3-ს მაინც ხარჯავს.⁵ ამასთან, როგორც წესი, ალიმენტის დაკისრებას ის მშობელი ითხოვს, რომელსაც თავად არ გააჩნია საკმარისი შემოსავალი შვილის სარჩენად. ამიტომ, უმეტეს შემთხვევაში, ბუნებრივად არ წამოიჭრება საკითხი მოსარჩელე მშობლის შემოსავლის

² სუსგ №ას-148-2020, 20/05/2020, სუსგ №ას-319-319-2018, 15/05/2018, სუსგ №ას-332-2019, 02/08/2019, სუსგ №ას-495-469-2015, 01/07/2015, სუსგ №ას-541-509-2012, 30/04/2012, სუსგ №ას-861-2019, 03/10/2019, სუსგ №ას-976-2019, 30/09/2019, სუსგ №ას-1524-2018, 12/11/2018, სუსგ №ას-1290-1210-2017, 30/01/2018, სუსგ №ას-1275-1514-05, 30/03/2006.

³ *შენგელია*, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1214, გვ. 198.

⁴ იქვე.

⁵ *Great Britain. Dept. of Social Security, A new contract for welfare: Children's Rights and Parents' Responsibilities* (1999) 301.

ოდენობის დადგენის თაობაზე. თუმცა, ცხადია, სასამართლოები არ არიან შეზღუდულნი, გაითვალისწინონ მოსარჩელე მშობლის შემოსავალი, რათა თავიდან აირიდონ აშკარად უსამართლო შედეგი. შესაძლებელია, გამოიძებნოს შერეული მოდელიც, მაგალითად, როდესაც სასამართლოები ბავშვთან ერთად მცხოვრები მშობლის შემოსავალს მხედველობაში იღებენ, მხოლოდ, გარკვეული ზღვრული ოდენობის ზემოთ. ამგვარი სისტემა მოქმედებს ავსტრალიაში, სადაც სარჩოს ოდენობის გამოსათვლელად სასამართლოები ბავშვთან ერთად მცხოვრები მშობლის საშუალო ხელფასის ქვემოთ შემოსავალს არ იღებენ მხედველობაში.⁶

სასამართლომ ფაქტობრივ გარემოებად უნდა დაადგინოს, რომ ალიმენტის გადახდის ვალდებულების მქონე პირს აქვს შემოსავალი.⁷ შემოსავლის პირველი და მთავარი წყარო თანამედროვე სამყაროში, რა თქმა უნდა, უმრავლესობისათვის შრომითი საქმიანობაა. გადამწყვეტია ხელფასის ოდენობა, პრემიების, დამატებითი საათებისა და ა. შ. ჩათვლით.⁸ მოსარჩელე, მოპასუხის შემოსავლის დადასტურების მიზნით, ხშირად ითხოვს შემოსავლების სამსახურის ცნობას, რომელშიც მიეთითება პირის სახელფასო შემოსავალი თვის/წლის ჭრილში.⁹ სასამართლო ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში იღებს ხელფასისა და დამატებითი ანაზღაურების ყველა სახეობას, იქნება ის ძირითადი, თუ შეთავსებითი სამუშაო.¹⁰ თუმცა, თავად შემოსავლების არსებობა აუცილებლობის ძალით არ გულისხმობს დასაქმებას. 1214-ე მუხლში მითითებული „რეალური მატერიალური მდგომარეობა“ ფართოდ განიმარტება და არ მოიცავს პირის მხოლოდ იმ შემოსავალს, რომელიც მას გააჩნია შრომითსამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში.¹¹ მაგალითად, სასამართლოები ისეთ გარემოებასაც იღებენ მხედველობაში, როგორცაა მოპასუხის ინდ. მენარმეობა, ფაქტი, რომ

4

⁶ Oldham J., Lessons from the New English and Australian Child Support Systems, 29 Vanderbilt Journal of Transnational Law 691 (1996) 719.

⁷ სუსგ №ას-2-2-2011, 31/05/2011.

⁸ წარსულში ალიმენტის გამოთვლისას ხელფასისთვის გადამწყვეტი როლის მინიჭებისთვის იხ. შენგელია, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1214, გვ. 198.

⁹ სუსგ №ას-1339-2018, 02/11/2018.

¹⁰ სუსგ №ას-1275-1514-05, 30/03/2006, სუსგ №ას-675-641-2013, 10/02/2015.

¹¹ სუსგ №ას-319-319-2018, 15/05/2018.

მას გააჩნია სავაჭრო ობიექტი, აქვს საკუთარი ბიზნესი და სხვ.¹² ერთ-ერთ საქმეში შემოსავლების დასადასტურებლად სასამართლომ საკმარისად ჩათვალა იმ ფაქტის დადგენა, რომ მოპასუხე ავტომანქანებით ვაჭრობდა, ჰქონდა ხის საამქრო, ასევე, იყო მუსიკოსი და შეკვეთებით იღებდა შემოსავლებს. ასევე, სასამართლომ შემოსავლის დასადასტურებლად საკმარისად მიიჩნია ის ფაქტი, რომ მოპასუხე ცხოვრობდა სოფელში დედასა და დასთან ერთად, სადაც ჰქონდა მიწის ნაკვეთი, რომელზედაც მოჰყავდათ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, ჰყავდა საქონელი და სოფლის მეურნეობის პროდუქტებს ყიდდა ბაზარში.¹³ ცალკეულ შემთხვევებში შეიძლება არ იყოს წარდგენილი მტკიცებულება მოსარჩელის შრომის ანაზღაურების ოდენობასთან დაკავშირებით, თუმცა რაკი დადგენილი იყო თავად მისი დასაქმების ფაქტი: ეს ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული.¹⁴

5 მნიშვნელოვანია დრო, თუ როდის უნდა უფიქსირდებოდეს მშობელს შემოსავალი. უზენაესი სასამართლო ამ კუთხით განმარტავს, რომ შემოსავლების დადგენა მნიშვნელოვანია, უშუალოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით ალიმენტის დაკისრების მომენტში. შესაბამისად, თუნდაც პირს წარსულში (მაგ., სარჩელის სასამართლოში წარდგენის მომენტში) არ ჰქონოდა შემოსავალი, თუკი დადასტურდება, რომ საქმის მიმდინარეობისას მას გაუჩნდა ეს შემოსავალი, სასამართლო ამ გარემოებაზე დაყრდნობით მიიღებს გადაწყვეტილებას.¹⁵ აღნიშნულ მიდგომას ადასტურებს ასევე 1221-ე მუხლიც, რომელიც, მშობლების მატერიალური მდგომარეობის შეცვლის შემთხვევაში, ითვალისწინებს სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკისრებული ალიმენტის ოდენობის შემცირების ან გადიდების შესაძლებლობას.

6 საალიმენტო ოდენობის განსაზღვრის მიზნებისათვის მშობლის შემოსავალს, შესაძლოა, გამოაკლდეს გარკვეული თანხები. მაგალითად, გამოქვეთაუნარიანია ყველა სამუშაოსთან დაკავშირებული დანახარჯი (მგზავრობის ხარჯები¹⁶ და ა. შ.). ამასთან, საჭიროა, ეს ხარჯები

¹² სუსგ №ას-1194-1154-2016, 31/03/2017.

¹³ სუსგ №ას-58-49-2011, 27/06/2011.

¹⁴ სუსგ №ას-675-641-2013, 10/02/2015.

¹⁵ სუსგ №ას-675-641-2013, 10/02/2015.

¹⁶ OLG Bremen NJW 2008, 1237.

იყოს აუცილებელი და მთლიანად ექსკლუზიურად ემსახურებოდეს სამუშაოს მიზნებს. სამუშაოს შესრულების ფარგლებში გაღებული ხარჯებისაგან განსხვავდება სამუშაოსათვის მომზადების ფარგლებში გაღებული ხარჯები, რომლებიც გამიზნულია იმისათვის, რომ დასაქმებულმა უკეთ შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობები. მაგალითად, სამუშაოსთან დაკავშირებულ ხარჯად არ ჩაითვალა ჟურნალისტის მიერ საგაზეთო სტატიების ყიდვისათვის გამოყოფილი ხარჯები, რამდენადაც ეს ემსახურებოდა ჟურნალისტის მიერ სამუშაოსთვის მომზადებასა და არა სამუშაოს განხორციელებას.¹⁷ ნებისმიერ შემთხვევაში, სავარაუდოდ, უმჯობესი იქნება, სასამართლომ გამოიკვლიოს რამდენად მნიშვნელოვანი იყო სამუშაოსათვის მომზადებაში გაღებული ხარჯი თავად სამუშაოს შესასრულებლად: თუკი ჟურნალისტის დაქმნა მოითხოვს გარკვეულ ხარისხს, რომლის მიღწევაც ჟურნალისტს შეუძლია მხოლოდ მაშინ, თუკი შეიძენს ჟურნალ-გაზეთებს და გაეცნობა მიმდინარე გამოცემებს, შეიძლება სასამართლომ მიიჩნიოს, რომ ხარჯი სამუშაოსთან დაკავშირებულია. ამ ტესტის თანახმად, როგორც წესი, სამუშაოსთან დაკავშირებულ ხარჯად არ ითვლება სამუშაომდე მისვლის ხარჯები, რომლისგანაც განსხვავდება სამუშაოს შესრულების ფარგლებში განხორციელებული მგზავრობა.¹⁸ პრობლემურია პროფესიული გამოწერის სერვისებში გადახდილი თანხების ხარჯებად მიჩნევა. თუ ბანკის მენეჯერს დამსაქმებელი სთხოვს განევიანდეს ფასიან კლუბში, ეს ვერ ჩაითვლება სამუშაოსთან დაკავშირებულ ხარჯად, ვინაიდან კლუბში განევიანება არ არის აუცილებელი დასაქმებულის ვალდებულებების შესასრულებლად.¹⁹ ასევე, საკითხავია, უნდა გამოიქვეითოს თუ არა სახელმწიფო სპეციალურ სტრუქტურებში დასაქმებული პირებისათვის საცხოვრებლით უზრუნველყოფისათვის გადახდილი თანხები, მაგალითად, პოლიციელებისა და ჯარისკაცებისათვის. გარკვეული შემოსავალი, შესაძლოა, მხოლოდ იმიტომ გამოაკლდეს საერთო შემოსავალს, რომ მისი დათვლა და აღმოჩენა ძალიან რთულია; მათი ჩათვლა შემოსავალში კი გაართულებდა ალიმენტის გამოთვლის სქემას და უფრო მეტ დისბალანსს შეიტანდა სასამართლო პრაქტიკაში, რომელიც, სასურველია, იყოს სტაბილური და ნი-

¹⁷ Fitzpatrick v IRC; Smith v Abbott [1994] 1 WLR 306, HL.

¹⁸ Ricketts v Colquhoun [1926] AC 1, HL.

¹⁹ Brown v Bullock [1961] 3 All ER 129, CA.

ნასწარ განჭვრეტადი. მაგალითად, ამ არგუმენტით, შეიძლება შემოსავლად არ იქნას მიჩნეული ოფიციალურად მომხმარებლის მიერ დატოვებული ხურდა, მიუხედავად იმისა, რომ თვის ქრილში ამგვარმა შემოსავალმა, შესაძლოა, საერთო ფიქსირებული ხელფასის მნიშვნელოვანი წილი შეადგინოს. სხვაგვარი იქნება მსჯელობა, თუკი ხელფასის ოდენობა, მეტწილად, ამგვარ პროცენტულ შემოსავალზეა დამოკიდებული.

7 ჩვეულებრივ, შემოსავალში ითვლება საიჯარო ქირა, კომპანიიდან მიღებული დივიდენდი და სხვა საინვესტიციო ამონაგები. შემოსავლად ითვლება ასევე სოციალური დახმარებები ან სტუდენტური თუ სამეცნიერო ხასიათის სტიპენდიები, ან თუნდაც საგადასახადო შეღავათები (შდრ. მუხ. 1182 მე-12 და მომდევნო ველი). ასევე, როგორც წესი, შემოსავლად არ უნდა იქნას განხილული გასესხებული თანხის უკან დაბრუნება, ვინაიდან ასეთ დროს არ ხდება ქონების გაზრდა, არამედ ხდება დანაკლისის შევსება.

8 ნებისმიერ შემთხვევაში, სასამართლომ ყოველ კონკრეტულ საქმეში უნდა განსაზღვროს რამდენად აუცილებელი ხასიათისაა ხარჯი, რომლის გამოქვითვასაც მოპასუხე მეუღლე ითხოვს საკუთარი შემოსავლიდან.

2. მესამე პირთა მიმართ არსებული ვალდებულებები

9 სასამართლომ ალიმენტის ოდენობის დადგენისას მხედველობაში უნდა მიიღოს მშობლის ოჯახური მდგომარეობაც,²⁰ რაც არ გულისხმობს მხოლოდ ფინანსურ შესაძლებლობებს. ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანია, რა მოცულობის ვალდებულებები აკისრია მოპასუხე მშობელს სხვა პირების მიმართ, რომლებიც, შესაძლოა, ასევე მის კმაყოფაზე იმყოფებიან.²¹

10 მშობლის ჯანმრთელობის მდგომარეობა, მისი შრომისუნარიანობა და ოჯახური მდგომარეობა შეიძლება გავლენას ახდენდეს მშობლის

²⁰ შენგელია, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1214, გვ. 199.

²¹ სუსგ №ას-1122-1069-2013, 10/02/2014, სუსგ №ას-131-131-2018, 19/07/2018, სუსგ №ას-143-136-2013, 11/03/2013, სუსგ №ას-58-49-2011, 27/06/2011.

მხრიდან საალიმენტო ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებაზე და, ამდენად, გათვალისწინებული უნდა იყოს ალიმენტის ოდენობის დადგენისას.²² მაგალითად, სასამართლომ ალიმენტის გამოანგარიშებისას უნდა გაითვალისწინოს ის გარემოება, რომ მოპასუხის კმაყოფაზე არიან მისი მშობლები, მათ შორის მამა, ჯანმრთელობის პრობლემებით, ასევე მეუღლე და ორი არასრულწლოვანი ქალიშვილი მეორე ქორწინებიდან.²³ სამოქალაქო კოდექსის ამგვარი მიდგომა განპირობებულია იმით, რომ იგი ცდილობს მაქსიმალურად დააბალანსოს როგორც შვილის, ისე ვალდებული მშობლისა და მესამე პირთა ინტერესები.²⁴ ალიმენტის ოდენობა არ უნდა იყოს იმდენად დიდი, რომ მშობელმა ვერ შეძლოს მისი გადახდა: გადანყვეტილება უნდა იყოს აღსრულებადი და ალიმენტვალდებულმა პირმა რეალურად უნდა შეძლოს დაკისრებული თანხის გადახდა.²⁵

3. ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობა

სასამართლო ალიმენტის განსაზღვრისას, ფინანსურ მდგომარეობასთან ერთად, მხედველობაში იღებს ბავშვის ასაკს, ჯანმრთელობის მდგომარეობასა და სხვა საჭიროებებს.²⁶ თუკი ბავშვს გააჩნია ჯანმრთელობის პრობლემები,²⁷ საჭიროებს მკურნალობასა და სპეციალურ რეჟიმს, რომელიც იწვევს მისი ხარჯების გაზრდას, სასამართლო აღნიშნულ გარემოებასაც იღებს მხედველობაში.²⁸ მაგალითად, ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით, ერთ-ერთ საქმეზე სასამართლომ განმარტა, რომ ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ასევე ის გარემოება, რომ მცირეწლოვანი დაავადებულია მძიმე ავადმყოფობით და, გარდა ჩვეულებრი-

11

²² სუსგ №ას-143-136-2013, 11/03/2013, სუსგ №ას-840-798-2013, 24/01/2014.

²³ სუსგ №ას-148-2020, 20/05/2020.

²⁴ სუსგ №ას-58-49-2011, 27/06/2011.

²⁵ სუსგ №ას-619-619-2018, 12/09/2018.

²⁶ სუსგ №ას-1610-1511-2012, 04/02/2013, სუსგ №ას-1128-1075-2013, 10/02/2014, სუსგ №ას-58-49-2011, 27/06/2011, სუსგ №ას-675-641-2013, 10/02/2015, სუსგ №ას-2-2-2011, 31/05/2011, სუსგ №ას-58-49-2011, 27/06/2011.

²⁷ *შენგელია*, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1214, გვ. 199.

²⁸ სუსგ №ას-675-641-2013, 10/02/2015, სუსგ №ას-2-2-2011, 31/05/2011.

ვი ყოველდღიური მოთხოვნილებებისა, საჭიროებს დამატებით სახსრებს მკურნალობისათვის, მედიკამენტებისა და ექიმების მომსახურებისათვის.²⁹ აღნიშნული უნდა განვასხვავოთ 1215-ე მუხლისაგან, რომელიც აწესებს მშობლის დამატებით ხარჯებში მონაწილეობის მოვალეობას. აღნიშნული მუხლის მიზანია ალიმენტვალდებული პირის ერთჯერადი და საგამონაკლისო დავალდებულება, დააფინანსოს განსაკუთრებული გარემოებებით გამოწვეული საჭიროებები. ამგვარი საჭიროებები, შესაძლოა, გამოწვეული იყოს ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის ზოგადი გაუარესებით ან სხვა კონკრეტული შემთხვევით.

4. ნორმალური საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფა

12 ბავშვის აუცილებელ ხარჯებად ითვლება არა მხოლოდ პირველადი ხარჯები (როგორცაა კვებისა და ტანსაცმლის ხარჯები), არამედ ასევე ყველა სხვა ხარჯი, რომელიც გაიღება ბავშვის ნორმალური სოციალური ცხოვრების ფარგლებში: ამ მხრივ სასამართლოები ყურადღებას ამახვილებენ ბავშვის ფიზიკურ, სოციალურ, გონებრივ, ემოციურ და სულიერ მოთხოვნილებებზე.³⁰ ეს შეიძლება მოიცავდეს სხვადასხვა სასწავლო პროგრამის საფასურს, სპორტული და კულტურული ხასიათის აქტივობებში მონაწილეობის საფასურს და ა. შ. ამასთან, ასაკის მატებასთან ერთად იზრდება არასრულწლოვანის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობა და, შესაბამისად, ეს იწვევს ხარჯების ზრდას.³¹ ამ თვალსაზრისით, საალიმენტო ვალდებულება თავის თავში მოიცავს არა მხოლოდ უკვე წარმოშობილ, არამედ ისეთ სამომავლო ხარჯებსაც, რომლებიც წარმოადგენენ ცხოვრების ბუნებრივ ნაწილს. ეს შეიძლება გახდეს ალიმენტის გადახედვის ლეგიტიმური საფუძველი.³²

13 მნიშვნელოვანია, რომ მშობელთა ერთობლივი ცხოვრების დასრულებამ, რაც, როგორც წესი, თავისთავად მტკიცუნეულია ბავშვისათვის, მას დამატებით ზიანის არ მიაყენოს და არ გააუარესოს მისი საცხოვრებელი პირობები. ამ მხრივ, საერთო სასამართლოების დადგენილი

²⁹ სუსგ №ას-58-49-2011, 27/06/2011.

³⁰ სუსგ №ას-319-319-2018, 15/05/2018.

³¹ სუსგ №ას-1339-2018, 02/11/2018.

³² Johnson v. Johnson, 667 P.2d 438 (1983).

სტანდარტით ალიმენტის გადახდევინება მიზნად ისახავს ბავშვის ინტერესების დაცვას, მისი არა მხოლოდ არსებობისათვის აუცილებელი მინიმუმით უზრუნველყოფას, არამედ, თუ ეს შესაძლებელია, ცხოვრების იმ დონის შენარჩუნებასაც, რომელიც მას ექნებოდა მშობლების ნორმალური ურთიერთობის პირობებში.³³ აქედან გამომდინარე, საალიმენტო ვალდებულება შეიძლება მიზნად ისახავდეს არა მხოლოდ შვილის აუცილებელი საჭიროებების დაკმაყოფილებას, არამედ ასევე მისთვის კომფორტული საცხოვრებელი გარემოს შექმნას.³⁴ ასეთ დროს სასამართლო ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას ცდილობს დაადგინოს, რა იქნებოდა ბავშვის საცხოვრებელი პირობები, თუკი მშობლები არ განქორწინდებოდნენ.³⁵ თუმცა, მიუხედავად მშობლის სიმდიდრისა, სასამართლოები უარს ამბობენ შვილისათვის ზღვარგადასული ფუფუნების მინიჭებაზე, თუნდაც შვილს ამგვარი ცხოვრების წესი ჰქონოდა მშობლების ერთად ცხოვრების დროს.³⁶

5. საალიმენტო ვალდებულებების უპირობო ხასიათი

მიუხედავად იმისა, რომ ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლო მხედველობაში იღებს მშობლის რეალურ შემოსავალს, თავად შემოსავლის არარსებობა არ განაპირობებს საალიმენტო ვალდებულებებისაგან გათავისუფლებას. საერთო სასამართლოების დადგენილი პრაქტიკით, იმის გამო, რომ მშობელს არ გააჩნია მყარი ფინანსური მდგომარეობა და არ გააჩნია სტაბილური მატერიალური შემოსავალი, იგი არ შეიძლება გათავისუფლდეს შვილების რჩენის ვალდებულებისაგან.³⁷ ამ თვალსაზრისით შვილების რჩენის ვალდებულება

14

³³ სუსგ №ას-148-2020, 20/05/2020, სუსგ №ას-319-319-2018, 15/05/2018, სუსგ №ას-332-2019, 02/08/2019, სუსგ №ას-495-469-2015, 01/07/2015, სუსგ ას-541-509-2012, 30/04/2012, სუსგ №ას-840-798-2013, 24/01/2014, სუსგ №ას-861-2019, 03/12/2019, სუსგ №ას-1122-1069-2013, 10/02/2014, სუსგ №ას-1173-1128-2016, 30/06/2017.

³⁴ Long v. Carter, 44 P.2d 1040 (1935).

³⁵ Spingola v. Spingola, 580 P.2d 958 (1978).

³⁶ Spingola v. Spingola, 580 P.2d 958 (1978).

³⁷ სუსგ №ას-319-319-2018, 15/05/2018, სუსგ №ას-495-469-2015, 01/07/2015, სუსგ №ას-505-505-2018, 05/07/2018, სუსგ №ას-1141-1061-2017, 17/10/2017, სუსგ №ას-861-2019, 03/10/2019, სუსგ №ას-1290-1210-2017, 30/01/2018.

უპირობო ხასიათისაა³⁸ და თუკი მშობელი შრომისუნარიანია, მას ყოველთვის გააჩნია შვილის საარსებო მინიმუმით უზრუნველყოფის ვალდებულება.³⁹ შესაბამისად, ალიმენტვალდებულის უმუშევრობა, თუ ეს არაა გამონვეული ავადმყოფობით ან სხვა საპატიო მიზეზით, არ იძლევა იმის საფუძველს, რომ სასამართლომ უარი თქვას არასრულწლოვანის საარსებო მინიმუმით უზრუნველყოფაზე და არ დაავალდებულოს მშობელი, გადაიხადოს ალიმენტი. სტაბილური შემოსავლის არარსებობის პირობებშიც კი, ალიმენტის მინიმალური ოდენობა შეიძლება განისაზღვროს 150 ლარით.⁴⁰ ზოგადად, ალიმენტის ოდენობის დადგენისას სასამართლოები ხელმძღვანელობენ ქვეყანაში არსებული საარსებო ზღვრული მინიმუმის სტანდარტით. ეს განპირობებულია იმით, რომ ალიმენტის დაკისრება არ უნდა ატარებდეს ფორმალურ ხასიათს და ალიმენტი რეალურად უნდა უზრუნველყოფდეს სარჩენი პირისათვის ნორმალური საცხოვრებელი პირობების შექმნას.⁴¹ საარსებო მინიმუმის დასადგენად საერთო სასამართლოები ხელმძღვანელობენ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ დადგენილი ოფიციალური მონაცემებით.⁴²

6. გარემოებები, რომლებიც ამცირებს ალიმენტის ოდენობას

ა) შვილის ქონება

- 15** შვილის არსებული ქონება, ზოგადად, ამცირებს მატერიალურ საჭიროებას, ვინაიდან ქონება ლიკვიდური აქტივია და მისი ტრანსფორმაციით შესაძლებელია საარსებო სახსრების გამომუშავება. ამასთან,

³⁸ შენგელია, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1212, გვ. 195.

³⁹ სუსგ №ას-148-2020, 20/05/2020, სუსგ №ას-319-319-2018, 15/05/2018, სუსგ №ას-976-2019, 30/09/2019, სუსგ №ას-1122-1069-2013, 10/02/2014, სუსგ №ას-143-136-2013, 11/03/2013, სუსგ №ას-1141-1061-2017, 17/10/2017, სუსგ №ას-131-131-2018, 19/07/2018.

⁴⁰ სუსგ №ას-131-131-2018, 19/07/2018.

⁴¹ სუსგ №ას-143-136-2013, 11/03/2013, სუსგ №ას-495-469-2015, 01/07/2015, სუსგ №ას-505-505-2018, 05/07/2018, სუსგ №ას-1122-1069-2013, 10/02/2014, სუსგ №ას-1339-2018, 02/11/2018, სუსგ №ას-1194-1154-2016, 31/03/2017.

⁴² სუსგ №ას-1355-2019, 25/02/2020.

შვილს არ შეიძლება მოეთხოვოს ამ ქონების სრულებით გაუმართლებელი რეალიზაცია, თუმცა ამ გაუმართლებელი რეალიზაციის თამასა საკმაოდ მაღალია.⁴³ გარდა ამისა, არასრულწლოვან შვილს უნდა დარჩეს ე. წ. „შავი დღისათვის გადანახული“ სახსრები.⁴⁴ თუ არასრულწლოვანი ანიავებს საკუთარ ქონებას და არ იყენებს მას საკუთარი ყოფითი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის, „მატერიალური საჭიროების“ ნორმატიული ცნების ფარგლებში ეს ქონება ჯერ კიდევ არსებულად უნდა ჩაითვალოს და იგი ამცირებს ამ საჭიროებას.⁴⁵ ქონების ფლობა არასრულწლოვანის შემთხვევაშიც ამცირებს მის მატერიალურ საჭიროებას. თუმცა არასრულწლოვანს, განსხვავებით სრულწლოვანისაგან, მშობლებისაგან სარჩოს მოთხოვნისას საჭიროებიდან არ გამოეკეცითება ქონების ბირთვული ნაწილი (მაგ., სახლი), არამედ მხოლოდ ამ ქონებიდან მიღებული სარგებელი (სახლის ქირა), ისიც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის არ არის აუცილებელი ქონების მართვისა და სუბსტანციის შესანარჩუნებლად.⁴⁶

ბ) სამხედრო სამსახური

სამხედრო სამსახურში მყოფი შვილის მოთხოვნილებები დაფარულია თავად ამ სამსახურში მისი რჩენით.⁴⁷ გამონაკლისს წარმოადგენს მშობლების ფინანსური მდგომარეობა ან შვილის განსაკუთრებული მოთხოვნილება, მაგალითად, დამატებითი ხელობის ათვისება სამხედრო სამსახურის განმავლობაში. იგივე სტანდარტი უნდა გავრცელდეს ყველა სხვა შემთხვევაზეც, როდესაც სარჩენი იმყოფება მესამე პირთა მეთვალყურეობის ქვეშ, რომლებიც კისრულობენ მისი საყოფაცხოვრებო საჭიროებების დაკმაყოფილების ვალდებულებას. მაგალითად, თუკი სარჩენი პირი ცხოვრობს სპორტული დაწესებულების ბაზაზე და აღნიშნული ორგანიზაცია სრულად ფარავს მის საცხოვრებელ ხარჯებს.

16

⁴³ OLG Jena NJW-RR 2016, 975.

⁴⁴ OLG Zweibrücken FamRZ 2016, 726.

⁴⁵ OLG Zweibrücken FamRZ 2016, 726.

⁴⁶ OLG Hamm NJW 2007, 1217.

⁴⁷ შენგელია, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1214, გვ. 199; BGH NJW 1990, 714.

გ) სოციალური დახმარება

17 სახელმწიფოს მიერ განხორციელებული დახმარების შემთხვევაში უნდა შემოწმდეს, არის თუ არა მისი მიზანი მატერიალური საჭიროების მქონის მდგომარეობის გაუმჯობესება და ალიმენტის გადამხდელის გათავისუფლება მისი ვალდებულებისაგან.⁴⁸

18 სოციალური დახმარება განიხილება, როგორც ყველა სხვა შემოსავალი, რამდენადაც ის გამიზნულია შვილის მოთხოვნილებების დასაფარად და არ ატარებს მხოლოდ სუბსიდიურ ხასიათს.⁴⁹ დახმარების მიღებაზე უფლებამოსილ პირს ეკისრება ვალდებულება, მოითხოვოს ის,⁵⁰ წინააღმდეგ შემთხვევაში ამ დახმარების ფიქტიური რაოდენობა გამოაკლდება მის „მატერიალურ საჭიროებას“. ბავშვის აღზრდისათვის მიღებული სოციალური დახმარება არის არა ბავშვის, არამედ დედის შემოსავალი და ზრდის მის გადამხდელუნარიანობას. სახელმწიფო სტიპენდიები და ა. შ. ამცირებენ შვილის მატერიალურ საჭიროებას. ცალკეულ შემთხვევაში ამ საჭიროების შემამცირებელი შეიძლება იყოს სახელმწიფოს მხრიდან ხელსაყრელი პირობებით გაცემული სესხიც კი.⁵¹

დ) მესამე პირთა დახმარებები

19 თუ ალიმენტს იხდის პირველი რიგის ალიმენტის მოვალე (მშობელი) მაშინ მომდევნო რიგის ალიმენტის მოვალის მიმართ (1223-ე და მომდევნო) ალიმენტის მოთხოვნა აღარ არსებობს, მატერიალური საჭიროების არარსებობის გამო. ამის საპირისპიროდ, თუ მშობლის მაგივრად იხდის სხვა პირი, რომელსაც დაეკისრებოდა ალიმენტის გადახდა 1223-ე და მომდევნო მუხლების მიხედვით, ანუ მომდევნო რიგის ალიმენტის მოვალე, ის არ შეერაცხება წინა მოვალეს, არამედ, ჩვეულებრივ, ამ უკანასკნელზე უნდა გადავიდეს წინა ალიმენტის მოვალის მიმართ არსებული მოთხოვნა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გადახდა

⁴⁸ შენგელია, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1214, გვ. 199.

⁴⁹ BGH NJW-RR 1993, 322.

⁵⁰ BGH FamRZ 2015, 1469.

⁵¹ BGH NJW 1985, 2331; OLG Hamm NJW 2014, 397.

ხდება სწორედ ამ წინა მოვალის გათავისუფლების მიზნით (მაგალითად, ბებია და პაპა იხდიან იმისათვის, რათა გაათავისუფლონ მამა ამ გადახდის ვალდებულებისაგან).

მესამე პირების სხვა შესრულებები, რომელთა გადახდაც ხდება ალიმენტზე უფლებამოსილი პირისათვის, არ ამცირებენ მის საჭიროებას. მაგალითის სახით შეიძლება მეორე მხარის ნათესავთა მხრიდან ჩუქებების ან სხვაგვარი შემონირულობების მოყვანა. ისინი არ ამცირებენ მატერიალურ საჭიროებას, თუ მათი განხორციელება იმ მიზნით ხდება, რომ ალიმენტზე უფლებამოსილ პირს ცხოვრების უფრო მაღალი დონე მიენიჭოს.⁵² განსხვავებულადაა საქმე იმ შემთხვევაში, როდესაც ეს შესრულებები პერიოდულ ხასიათს ატარებენ. ასეთ დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რამდენად შეიძლება პერიოდული შესრულებები მივიჩნიოთ საალიმენტო ვალდებულების ჩამნაცვლებელ ეკვივალენტურ შემოსავლად.

20

III. მტკიცების ტვირთი

იმ პირმა, რომელიც ითხოვს სარჩოს, უნდა ამტკიცოს ნათესაური კავშირი და მისი მატერიალური საჭიროება. ამასთან, მოსარჩელეს, ზოგადი წესების შესაბამისად, ეკისრება ალიმენტის მოთხოვნილი ოდენობის გონივრულობის მტკიცების ტვირთიც. აღნიშნულისათვის მოსარჩელეები ხშირად აპელირებენ მოპასუხე მშობლის ქონებაზე და მის რეალურ შემოსავალზე. მოპასუხე მშობელს აწევს იმ გარემოებების მტკიცების ტვირთი, რომლებსაც იგი ალიმენტის ოდენობის შესამცირებლად ეყრდნობა: მაგალითად, ფინანსური სახსრის არქონა⁵³ ან სხვა, ალიმენტის გადახდაზე უპირატესად ვალდებული პირის არსებობა. ალიმენტის უპირობო ხასიათიდან გამომდინარე, მოპასუხე მშობლის მხრიდან შემოსავლის არქონის დადასტურება პრაქტიკული მნიშვნელობისაა მხოლოდ ალიმენტის ოდენობის შესამცირებლად.

21

⁵² OLG Hamm FamRZ 1998, 767.

⁵³ BGH FamRZ 2017, 109.

მუხლი 1215. დამატებით ხარჯებში მონაწილეობის მოვალეობა

მშობელს, რომელიც ალიმენტს უხდის არასრულწლოვან შვილებს, შეიძლება დაეკისროს მონაწილეობა დამატებით ხარჯებში, რომლებიც გამონვეულია განსაკუთრებული გარემოებებით (ბავშვის მძიმე ავადმყოფობით, დასახიჩრებით და სხვა).

I. ზოგადი	322
II. გადახდის წინაპირობები	322
III. გადახდის ფორმა	324

I. ზოგადი

- 1** 1215-ე მუხლი წარმოადგენს საგამონაკლისო ნორმას, რომელიც გამოიყენება მხოლოდ კონკრეტულ შემთხვევაში და მას არ აქვს ალიმენტის მსგავსი განგრძობადი ხასიათი. მშობლის უპირობო მოვალეობის, ალიმენტისგან, განსხვავებით, რომელიც არ მოითხოვს შვილის სპეციალური საჭიროების დადასტურებას, დამატებით ხარჯებში მონაწილეობის ვალდებულება წარმოიშობა განსაკუთრებულ შემთხვევებში. უზენაესი სასამართლო განმარტავს, რომ „საალიმენტო სახსრები შეიძლება არ იყოს საკმარისი იმ დამატებითი ხარჯების განსახორციელებლად, რაც გამონვეულია განსაკუთრებული გარემოებებით. ეს არის განსაკუთრებული გარემოებების გამო დამატებით ხარჯებში მონაწილეობა და არა ბავშვის სარჩენი ხარჯების დამატებითი გადახდევინება.“¹

II. გადახდის წინაპირობები

- 2** ნორმა განსაკუთრებულ შემთხვევებად განიხილავს ავადმყოფობას, დასახიჩრებასა და სხვა მსგავს მოვლენებს.² შესაბამისად, დამატებით ხარჯებად 1215-ე მუხლის მიზნებისათვის არ ითვლება, მაგალითად,

¹ სუსგ №ას-180-507-09, 25/06/2009.

² შენგელია, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1215, გვ. 200.

სასკოლო სახელმძღვანელოების შექმნის ხარჯები.³ დამატებით ხარჯებში მონაწილეობისათვის აუცილებელია მშობელს დაკისრებული ჰქონდეს შვილის სასარგებლოდ ალიმენტის გადახდა.⁴ შესაბამისად, აღნიშნული განმარტებით მიხედვით, მშობელს არ დაეკისრება შვილის დამატებით ხარჯებში მონაწილეობის ვალდებულება, თუნდაც ამის წინაპირობები სახეზე იყოს, თუკი მას, ამავდროულად, არ ეკისრება ალიმენტის გადახდა.

1215-ე მუხლით დამატებით ხარჯებში მონაწილეობის ვალდებულება დადგენილია მხოლოდ არასრულწლოვანი შვილის მიმართ.⁵ შესაბამისად, ალიმენტისაგან განსხვავებით დამატებით ხარჯებში მონაწილეობის მოთხოვნის უფლება არ გააჩნია სრულწლოვან შრომისუნარო შვილს. არ არის ნათელი, რით არის გამოწვეული კანონმდებლის ამგვარი მიდგომა.

მოცემული დანაწესის მიხედვით, შესაძლებელია მხარეს დაევალოს სამომავლოდ გასაწევი ხარჯების წინასწარ დაფარვა ან უკვე გაწეული ხარჯების ანაზღაურება.⁶ მხარემ, რომელიც ითხოვს დამატებით ხარჯებში მონაწილეობას, უნდა დაადასტუროს ამგვარი ხარჯების საჭიროება ან მათი ფაქტობრივი განევა.⁷ განსაკუთრებული საჭიროების დადასტურების გარეშე, მხოლოდ მოპასუხე მშობლის გაზრდილ ხელფასზე მითითებით, არ არსებობს დამატებით ხარჯებში მონაწილეობისა და თანხის ერთჯერადად გადახდის საფუძველი.⁸ ამასთან, მართალია, დამატებით ხარჯებში მონაწილეობა ალიმენტთან პირდაპირ დაკავშირებული არ არის, თუმცა სასამართლო ითვალისწინებს ალიმენტის ოდენობასაც, ვინაიდან, თუკი ალიმენტის ოდენობა თავისთავად ფარავს განსაკუთრებულ ხარჯებს, აღარ არსებობს მშობლისათვის დამატებითი თანხის დაკისრების აუცილებლობა.⁹

³ სუსგ №3კ-647-03, 10/07/2003.

⁴ სუსგ №ას-763-714-2010, 02/12/2010.

⁵ სუსგ №3კ-773-02, 09/07/2002.

⁶ სუსგ №ას-180-507-09, 25/06/2009

⁷ სუსგ №3კ-773-02, 09/07/2002.

⁸ სუსგ №ას-1299-1226-2012, 24/12/2012.

⁹ სუსგ №ას-605-579-2016, 17/02/2017.

III. გადახდის ფორმა

- 5 დამატებით ხარჯებში მონაწილეობა დადგენილ უნდა იქნას მყარი თანხებით და არ შეიძლება მისი წილობრივი დაკავშირება ხელფასის ან სხვა შემოსავლის ოდენობასთან.¹⁰ მართალია, დამატებით ხარჯებში მონაწილეობას ერთჯერადი ხასიათი გააჩნია, თუმცა, ეს არ ნიშნავს აუცილებლობის ძალით მხოლოდ ერთ გადახდას¹¹ - საჭიროების მიხედვით, შესაძლებელია დამატებით ხარჯებში მონაწილეობა მშობელს დაეკისროს პერიოდული გადახდის სახით გარკვეული დროის განმავლობაში.¹² თუკი ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობა ამას მოითხოვს, შესაძლებელია დამატებით ხარჯებში მონაწილეობას მიეცეს საალიმენტო გადასახადის სახე და იგი განისაზღვროს ყოველთვიურად, ბავშვის მიერ სრულწლოვანების მიღწევამდე.¹³

¹⁰ სუსგ №ას-180-507-09, 25/06/2009.

¹¹ *შენგელია*, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1215, გვ. 201.

¹² სუსგ №ას-180-507-09, 25/06/2009.

¹³ სუსგ №ას-733-733-2018, 11/07/2018.

მუხლი 1216. მეურვეობას ან მზრუნველობას გადაცემული შვილების შენახვის ხარჯები

მშობლებს შეიძლება დაევალოთ, განიონ თავიანთ მეურვეობას ან მზრუნველობას გადაცემული შვილის რჩენის ხარჯები ამ კოდექსის ან სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად.

საქართველოს 2007 წლის 18 დეკემბრის კანონი №5624 - სსმ I, №48, 27.12.2007წ., მუხ.414

1216-ე მუხლით დადგენილია მშობლების ვალდებულება, არჩინონ ის შვილი, რომელიც მათთან აღარ ცხოვრობს და მეურვეობისა და მზრუნველობისათვის გადაცემულია მესამე პირებისათვის. 1216-ე მუხლმა 2007 წლის 18 დეკემბრის №5624–III კანონით განიცადა ცვლილება. ადრე მოქმედი ვერსიის ტექსტი ჩამოყალიბებული იყო შემდეგნაირად (მუხლის სათაური - „საბავშვო დაწესებულებაში მოთავსებული შვილების შენახვის ხარჯები“): „საბავშვო დაწესებულებაში მოთავსებული შვილების შესახებ ხარჯები შეიძლება გადახდეს მშობლებს ამ დაწესებულების სასარგებლოდ.“¹ ეს გამოწვეული იყო იმით, რომ 2007 წლის 18 დეკემბრამდე საქართველოში მოქმედებდა 1997 წლის 17 ოქტომბრის №970–II კანონი „შვილად აყვანის წესის შესახებ.“ კანონის მე-3 მუხლის თანახმად, შვილად აყვანის საკითხებზე უფლებამოსილი დაწესებულება იყო საქართველოს განათლების სამინისტრო და მისი ტერიტორიული ორგანოები. ყველა სხვა პირს ეკრძალებოდა ნებისმიერი საქმიანობა შვილად აყვანის მიზნით მშობლების გარეშე დარჩენილ ბავშვთა გამოსავლენად.

2007 წლის ცვლილებების პარალელურად მიღებულ იქნა ორი კანონი: (ა) 2007 წლის 18 დეკემბრის №5626-III კანონი „შვილად აყვანის შესახებ“; და (ბ) 2007 წლის 18 დეკემბრის №5623-III კანონი „მინდობით აღზრდის შესახებ“. ცვლილებებით შეიქმნა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოები, რომელთა საქმიანობის წესს განსაზღვრავ-

¹ კანონის ამ ვერსიის კომენტარისთვის იხ. *შენგელია*, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1216, გვ. 201.

და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი. სამოქალაქო კოდექსში 2007 წლის დეკემბერში განხორციელებული ცვლილება სწორედ ხსენებული ორი კანონის მიღებას უკავშირდება.

- 3** თუმცა, „შვილად აყვანის შესახებ“ და „მინდობით აღზრდის შესახებ“ კანონები 2010 წლის 1 მარტიდან ძალადაკარგულად გამოცხადდა და მიღებულ იქნა 2009 წლის 18 დეკემბრის №2381-III კანონი „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“. თავის მხრივ, აღნიშნული კანონიც ძალადაკარგულად იქნა ცნობილი 2017 წლის 24 მაისიდან, როცა მიღებულ იქნა ახალი, 2017 წლის 4 მაისის №746-III კანონი „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“. 2017 წლის 4 მაისის კანონი დღემდე მოქმედია.
- 4** 1216-ე მუხლის დღეს მოქმედი რედაქციით პირდაპირ არ ჩანს, თუ ვის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს მშობელს შვილის რჩენის ხარჯების განევა. 2007 წლის 18 დეკემბრის კანონის მიღებამდე მოქმედ რედაქციაში ამგვარ სუბიექტად მითითებული იყო საბავშვო დაწესებულება, რომელსაც ბავშვი მიბარებული ჰყავდა აღსაზრდელად.² ლოგიკურად, მოქმედი რედაქციის პირობებშიც მშობელს ალიმენტის გადახდა უნდა დაეკისროს იმ პირისათვის, რომელსაც ბავშვი მიბარებული ჰყავს მეურვეობისა და მზრუნველობისათვის.
- 5** ალიმენტის ოდენობის და მისი გადახდის წესის თვალსაზრისით 1216-ე მუხლი რაიმე სპეციალურ რეგულირებას არ ადგენს. შესაბამისად, მასზე ჩვეულებრივ ვრცელდება 1214-ე, 1215-ე და შემდგომი მუხლები.

² *შენგელია*, სკ-ის კომენტარი, *ჭანტურია* (რედ.), 2000, მუხ. 1216, გვ. 202.

მუხლი 1217. სასამართლოს განჩინება შვილის შესანახი სახსრების გადახდევინების შესახებ

თუ მოპასუხე სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში ბავშვის მშობლად არის ჩანერილი ამ კოდექსის 1191-ე და 1192-ე მუხლების მიხედვით, სასამართლოს შეუძლია საქმის არსებითად განხილვამდე გამოიტანოს განჩინება შვილის შესანახი სახსრების გადახდევინების შესახებ.

*საქართველოს 2004 წლის 24 ივნისის კანონი №179 - სსმ I, №19, 15.07.2004 წ., მუხ.79
საქართველოს 2005 წლის 28 დეკემბრის კანონი №2626 - სსმ I, №3, 16.01.2006წ., მუხ.20*

I. ზოგადი327
 II. საპროცესო-სამართლებრივი ჩარჩო327
 III. მშობლად ყოფნის პრეზუმფცია.....329

I. ზოგადი

კანონმდებლის მიზანია, მაქსიმალურად სწრაფად და ეფექტიანად დაიცვას ბავშვის ინტერესები.¹ გაჭიანურებულმა სასამართლო დავამ და მშობელთა შორის შეუთანხმებლობამ არ უნდა გამოიწვიოს ბავშვისათვის ზიანის მიყენება და გარკვეული დროის განმავლობაში არ უნდა დატოვოს იგი არსებობისათვის საჭირო და აუცილებელი სახსრების გარეშე. **1**

II. საპროცესო-სამართლებრივი ჩარჩო

ამ მხრივ, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა რამდენიმე მნიშვნელოვან დანაწესს შეიცავს. მაგალითად, სსკ-ის 19 V მუხლის თანახმად „სარჩელი ალიმენტის გადახდევინების შესახებ შეიძლება წარდგენილ იქნეს სასამართლოში მოსარჩელის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.“ შესაბამისად, საალიმენტო დავებში დადგენილია გამონაკ- **2**

¹ შენგელია, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1217, გვ. 203.

ლისი იმ ზოგადი წესიდან, რომლის მიხედვითაც, სარჩელი სასამართლოს უნდა წარედგინოს მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, რათა ალიმენტის გადახდაზე ვალდებული პირის ადგილმდებარეობამ არ დააბრკოლოს შვილისათვის ალიმენტის გადახდა.

- 3** საალიმენტო დავებზე მოსარჩელები გათავისუფლებულები არიან ბაჟის გადახდისაგან (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46 I ა) და „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ კანონის 5 I გ), დ), კ) მუხლი). გარდა ამისა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59 III მუხლის თანახმად, ალიმენტის გადახდევინების შესახებ სარჩელი განხილულ უნდა იქნას დაჩქარებულ რეჟიმში - 1 თვის ვადაში. ხოლო პირველი ინსტანციის მიერ მიღებული გადაწყვეტილება სასამართლოს შეუძლია დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიაქციოს და არ დაელოდოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლას (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268 I ა) მუხლი).
- 4** გარდა ზემოთ აღნიშნულისა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსი შეიცავს სპეციალურ XLIII თავს, რომელიც ადგენს საოჯახო სამართლის საქმეთა განხილვის თავისებურებებს. ამ თავით დადგენილი წესები მიზნად ისახავენ, მათ შორის, ბავშვის ინტერესების უპირატეს დაცვას სხვადასხვა საპროცესო მექანიზმის მეშვეობით. მაგალითად, საპროცესო კოდექსის 354 I მუხლი უხვევს ამავე კოდექსის მე-4 მუხლით დადგენილი შეჯიბრებითობის პრინციპიდან და სასამართლოს უფლებას ანიჭებს, საკუთარი ინიციატივით განსაზღვროს დასადგენ გარემოებათა წრე და თავადვე გამოითხოვოს მათი დამადასტურებელი მტკიცებულებები. ამით, კანონმდებელი იცავს, მათ შორის, შვილის ინტერესებს, რათა თავიდან იქნას აცილებული შემთხვევა, როდესაც საქმის არასათანადო მომზადების (იქნება ეს ფაქტობრივი გარემოებების მიუთითებლობა თუ შესაბამისი მტკიცებულებების წარუდგენლობა) საფუძვლით ილახება მისი ინტერესები. როგორც წესი, ეს ეხება ძირითად საკითხებს, რომლებიც საფუძვლად უდევს ალიმენტის გადახდას და ბავშვისათვის არსებითი მნიშვნელობის სხვა გარემოებებს. ეს არ ცვლის იმას, რომ მხარეები და მათი წარმომადგენლები მოვალენი არიან იაქტიურონ და სათანადო არგუმენტაციითა და მტკიცებულებებით დაარწმუნონ სასამართლო თავიანთი პოზიციის მართებულობაში. 354-ე მუხლი მხარეთა ამ ვალდებულებას სრულად ვერ ჩაანაცვლებს.

გარდა ამისა, სსკ-ის 355-ე მუხლი აწესებს დროებითი განკარგულების ინსტიტუტს, რომელიც საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე სასამართლოს უფლებას ანიჭებს განჩინებით მოანესრიგოს ბავშვთან დაკავშირებული საკითხები: შვილის მიმართ მშობელთა ზრუნვის საკითხები, ერთ-ერთი მშობლის ურთიერთობა ბავშვთან, მცირეწლოვანი ბავშვის შენახვის ვალდებულება და სხვა. სამოქალაქო კოდექსის 1217-ე მუხლი სწორედ ამ ტიპის დამცავი ნორმაა, რომელიც მიზნად ისახავს ბავშვის ინტერესების დაცვას სარჩელის შეტანიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე პერიოდისათვის.²

5

III. მშობლად ყოფნის პრეზუმფცია

1217-ე მუხლის ფუნქციონირებისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება მშობლად ყოფნის პრეზუმფციას.³ პრეზუმფციის არსებობა დაკავშირებულია სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში მშობლად რეგისტრაციასთან. შესაბამისად, თუკი მოპასუხე არ არის მშობლად რეგისტრირებული, მის მიმართ 1217-ე მუხლის მოქმედება ვერ გავრცელდება, თუნდაც ეს ფაქტი შემდგომში დადგინდეს. 1217-ე მუხლი არაფერს ამბობს ისეთ შემთხვევაზე, როდესაც მოპასუხე სადაოდ არ ხდის, რომ ბავშვის მშობელია და დაობს, მხოლოდ, მაგალითად, ალიმენტის ოდენობაზე. ნორმის ტექსტიდან გამომდინარე, ამ შემთხვევაშიც არ არსებობს მისი გამოცენების საფუძველი.

6

² *შენგელია*, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1217, გვ. 203.

³ იქვე, 204.

მუხლი 1218. შვილების მოვალეობა მშობლების მიმართ

1. შვილები მოვალენი არიან იზრუნონ მშობლებისათვის და დაეხმარონ მათ.

2. სრულწლოვანი შრომისუნარიანი შვილები მოვალენი არიან არჩინონ შრომისუუნარო მშობლები, რომლებსაც დახმარება სჭირდებათ.

3. შვილები შეიძლება გათავისუფლდნენ მშობლების რჩენის მოვალეობისაგან, თუ სასამართლო დაადგენს, რომ მშობლები თავს არიდებდნენ მშობლის მოვალეობის შესრულებას.

4. მშობელი, რომელსაც ჩამორთმეული აქვს მშობლის უფლება, კარგავს შვილებისაგან ალიმენტის მოთხოვნის უფლებას.

I. ისტორიული და შედარებითსამართლებრივი მიმოხილვა	330
1. მშობლებზე ზრუნვის ვალდებულების ჩამოყალიბება	330
2. ვალდებულების შინაარსი შედარებითსამართლებრივ ქრილში	332
II. ნორმის გამოყენების წინაპირობები	335
III. მშობლის რჩენის გამორიცხვა	335
IV. შვილის ქონებრივი მდგომარეობა	336
V. მშობლის ქონებრივი მდგომარეობა	337

I. ისტორიული და შედარებითსამართლებრივი მიმოხილვა

1. მშობლებზე ზრუნვის ვალდებულების ჩამოყალიბება

1 მშობლების ყოვლისმომცველი და უპირობო რჩენის ვალდებულების საპირწონედ, 1218-ე და მომდევნო მუხლები აწესრიგებენ შვილ(ებ)ის ვალდებულებას, არჩინოს საკუთარი მშობლები.¹ ამ თვალსაზრისით, მშობლებისა და შვილების საალიმენტო ვალდებულებები ერთმანეთთანაა დაკავშირებული.

¹ შენგელია, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1218, გვ. 205.

მშობლებზე ზრუნვის ვალდებულება რამდენიმე ათასწლეულს ითვლის და მასზე საუბრობენ როგორც რომაული,² ისე ებრაული და ქრისტიანული წყაროები.³ ამ ვალდებულების ძირითადი მორალური დასაბუთება მშობლების მიერ შვილისათვის განეული მზრუნველობის უკან დაბრუნებაში მდგომარეობს,⁴ რაც შეესაბამება კიდევ ქართველი კანონმდებლის პოზიციას, რომელიც მან 1218 III მუხლში დააფიქსირა.

2

ინგლისურ სამართალში მშობლებისა და შვილების ზრუნვის ურთიერთსაპასუხო ვალდებულებები ჯერ კიდევ 1597 წელს მიღებულ კანონში დადგინდა,⁵ რაც კიდევ უფრო განვრცობილ იქნა 1601 წელს ინგლისის პარლამენტის მიერ მიღებული კანონით.⁶ დახმარების უპირველესი ვალდებულება სისხლის ნათესავებს გააჩნდათ,⁷ ხოლო მათთვის, ვისაც არ შეეძლო დახმარების ოჯახის წევრისაგან მიღება, გათვალისწინებული იყო სახელმწიფო ნახალისების მექანიზმები.⁸ ცნობილი ინგლისელი სამართალმცოდნე უილიამ ბლეესტოუნიც აღიარებდა შვილების ვალდებულებას, ეზრუნათ თავიანთ მშობლებზე და მიუთითებდა,

3

² Catherine Doscher Byrd, *Relative Responsibility Extended: Requirement of Adult Children to Pay for Their Indigent Parent's Medical Needs*, 22 FAM. L.Q. 87 (1988), p. 88.

³ ძველი აღთქმა, გამ. 20;12; მათეს სახარება 15:2, 4; მშობლებზე ზრუნვის და მათი პატივისცემის ზოგადი ვალდებულება მოხსენიებულია, ასევე, მეხუთე მცნებაში.

⁴ *არისტოტელე*, ნიკომაქეს ეთიკა, თარგმ. რ. გორდეზიანი, თბილისი, თბილისი 2003, 189-190: „არავის ძალუძს მიუზღოს მათ [მშობლებს და ღმერთს] იმდენი, რის ღირსნიც ისინი არიან. მათზე ზრუნვა შესაძლებლობის ფარგლებში იქნებოდა პატიოსნების ნიშანი. ამიტომ, უნდა ვივარაუდოთ, რომ შვილს არ შეეფერის უარყოს მამა, მამამ კი შეიძლება უარყოს შვილი. რადგან, ვისაც სიკეთე გაუწიეს, მან სამაგიერო უნდა მიუზღოს. მაგრამ შვილს არ ძალუძს, მამას მიუზღოს მისთვის შესაფერისი სამაგიერო სიკეთე. ასე, რომ შვილი მუდამ მამის მოვალედ დარჩება.“ იხ. ასევე Thomas Aquinas, *Summa Theologica* 101.1 (Blackfriars ed., 1968).

⁵ *The Poor Law of 1597*, 39 Eliz., c. 3, § 7 (1597).

⁶ *Elizabethan Poor Relief Act of 1601*, 43 Eliz. 1, ch. 2, IV (Eng.) (1601).

⁷ Robin M. Jacobson, Note, *American Healthcare Ctr. v. Randal: The Renaissance of Filial Responsibility*, 40 S.D. L. REV. 518 (1995) 527-28; Day P., *The Abandonment Defense to a Claim for Parental Support*, 11 J. CONTEMP. LEGAL ISSUES (2000) 380.

⁸ მაგალითად, დახმარების ერთ-ერთი სახე იყო საგადასახადო შეღავათების მინიჭება.

რომ აღნიშნული ვალდებულება წარმოადგენს შვილების მხრიდან მშობლებისგან მიღებული დახმარების საპასუხო მოქმედებას.⁹

- 4** მშობლებზე ზრუნვის ვალდებულება ინგლისური სამართლიდან გავრცელდა კოლონიებზეც, მათ შორის, ამერიკულ კოლონიებზე.¹⁰ მაგალითად, 1705 წელს პენსილვანიაში მიღებულ იქნა კანონი, რომლითაც შვილებს დაეკისრათ მშობლებზე ზრუნვის და მათი ფინანსური დახმარების ვალდებულება.¹¹ დროთა განმავლობაში სხვა შტატებმაც მიიღეს მსგავსი ტიპის კანონები, რომლებიც არაერთხელ გახდა დავის საგანი მათი კონსტიტუციასთან შესაბამისობის ქრილში (კანონის წინაშე თანასწორობის, ქონების უკანონო ჩამორთმევისა და ორმაგი დაბეგვრის მოტივებით), თუმცა, როგორც წესი, წარუმატებლად.¹²

2. ვალდებულების შინაარსი შედარებითსამართლებრივ ქრილში

- 5** აშშ-ის სხვადასხვა შტატის კანონმდებელი მშობლებზე ზრუნვის ვალდებულების საფუძვლად წარსულში განეულ დახმარებას ასახელებს

⁹ *Thompson D.*, I Am Not My Father's Keeper: Families and the Elderly in Nineteenth Century England, 2 LAW. & HIST. REV. 265 (1984) 266.

¹⁰ *tenBroek J.*, California's Dual System of Family Law: Its Origin, Development, and Present Status, 16 STAN. L. REV. 257 (1964).

¹¹ Colonial Laws of Pennsylvania, 1705-06, ch. CLIV, Section V, 253; *Riesenfeld S.A.*, The Formative Era of American Public Assistance, 43 CAL. L. REV. 175 (1955) 230-31.

¹² *American Healthcare Ctr. v. Randall*, 513 N.W.2d 566, 572 (S.D. 1994) (სასამართლომ უარყო მოსარჩელეთა არგუმენტი, რომ მშობლებზე ზრუნვის ვალდებულება არღვევს თანასწორობის კონსტიტუციურ პრინციპს); *Groover v. Essex Co. Welfare Bd.*, 264 A.2d 143, 144 (D.C. 1970); *Dep't of Mental Hygiene v. McGilvery*, 329 P.2d 689 (Cal. 1958) (სასამართლომ განმარტა, რომ მშობლებზე ზრუნვის ვალდებულების დაკისრება არ წარმოადგენს ქონების უკანონო, ანუ კომპენსაციის გარეშე ჩამორთმევას); *Atkins v. Curtis*, 66 So. 2d 455 (Ala. 1953); *Maricopa Co. v. Douglas*, 208 P.2d 646, 649 (Ariz. 1949) (სასამართლომ განმარტა, რომ მშობლებზე ზრუნვის მორალური და სამართლებრივი ვალდებულების არსებობა არ წარმოადგენს ორმაგ დაბეგვრას).

- ვინაიდან მშობლებმა იზრუნეს შვილებზე, ამიტომ შვილებიც ვალდებული არიან, იზრუნონ ხანდაზმულ მშობლებზე.¹³ სწორედ ამიტომ, ზოგიერთი შტატი აწესებს 1218 III მუხლის მსგავს რეგულირებას და მშობლებზე ზრუნვის ვალდებულებისაგან ათავისუფლებს იმ შვილს, რომლის მიმართაც მშობელიც არ იჩენდა სათანადო მზრუნველობას.¹⁴ ასევე, შვილის ვალდებულების გამორიცხვის საფუძველი შეიძლება გახდეს ფინანსური სახსრების არქონა. ზრუნვის ვალდებულება, როგორც წესი, არსებობს იმ მშობლის მიმართ, რომელიც საჭიროებს დახმარებას.¹⁵ თუმცა, გარდა აღნიშნულისა, მშობლების რჩენის ვალდებულების საკანონმდებლო დონეზე განმტკიცება ხელს უწყობს ხანდაზმული პირების მიმართ ზოგადად არსებული დისკრიმინაციული მოპყრობის შედეგების მინიმიზაციას.¹⁶ ასევე, შვილების მხრიდან მშობლებზე ზრუნვის ვალდებულების შესრულებით სახელმწიფოს უმსუბუქდება საგადასახადო და სოციალური ტვირთი.¹⁷

¹³ Alaska Stat. § 25.20.030 (Michie 1998); Alaska Stat. § 47.25.230 (Michie 1998); OR. REV. STAT. § 109.010 (West 1990).

¹⁴ სხვადასხვა ვარიაციით ამგვარი კანონები მოქმედებს კალიფორნიაში, ინდიანაში, მასაჩუსეტში, ნიუ ჯერზიში, ოჰაიოში, პენსილვანიაში, როუდ აილენდსა და ვირჯინიაში.

¹⁵ მსგავსი მოთხოვნებია დაწესებული ალიასკაში, კონექტიკუტში, დელავერში, აიდაჰოში, ინდიანაში, აიოვაში, მისისიპიში, მონტანაში, ჩრდილოეთ დაკოტაში, ოჰაიოში, ორეგონში, პენსილვანიაში და სამხრეთ დაკოტაში.

¹⁶ *Blair J., Honor Thy Father and Thy Mother - But for How Long? - Adult Children's Duty to Care for and Protect Elderly Parents*, 35 U. LOUISVILLE J. FAM. L. 765 (1996-97) (სადაც ავტორი საუბრობს ხანდაზმული პირების უფლებების დარღვევაზე და მათი რჩენის ვალდებულების შვილებისათვის დაკისრებას აღნიშნულის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთ მექანიზმად განიხილავს); *Kline T.A., A Rational Role for Filial Responsibility in Modern Society?*, 26 FAM. L.Q. 195 (1992) (მიმოხილულია მშობლების რჩენის ვალდებულების კანონმდებლობის შექმნის ისტორია, რაც აჩვენებს, რომ კანონმდებლის ერთ-ერთ მიზანს, სწორედ, ხანდაზმულ პირთა მიმართ არსებული დისკრიმინაციის აღმოფხვრა წარმოადგენს).

¹⁷ *Helen B.M. v. Samuel F.D.*, 479 A.2d 852, 855 (Del. Fam. Ct. 1984); *Pickett v. Pickett*, 251 N.E.2d 684, 687 (Ind. Ct. App. 1969) (სადაც სასამართლომ მშობლებზე ზრუნვის ვალდებულების ორ ძირითად ასპექტად მშობლების ფინანსური საჭიროება და შვილების შესაძლებლობა დაასახელა); *Gluckman v. Gaines*, 71 Cal. Rptr. 795, 797 (1968); *City of Springfield v. Siderlund*, 122 N.E.2d 898, 898 (1954); *Albert Einstein Med. Ctr. v. Foreman*, 243 A.2d 181, 183 (1968); *Belknap v. Witmire*, 72 P. 589, 590 (1903) (სასამართლომ განმარტა, რომ როცა მშობლის მიმართ შვილის მოთხოვნით განეუღია ხარჯები, შვილს გააჩნია მათი ანაზღაურების

- 6** როგორც წესი, მშობლებზე ზრუნვის ვალდებულება თანაბრად აკისრია ყველა შვილს. შესაძლებელია კანონმდებელმა შვილს უფლებაც კი მიანიჭოს სხვა შვილებისგან მოითხოვოს ვალდებულებაში თანამონაწილეობა. ეს ეხება არა მხოლოდ უკვე განუული დახმარების პროპორციულ ანაზღაურებას, არამედ ასევე დახმარების განევაამდე მათ დავალდებულებას. ზოგიერთ შტატში სარჩელის აღძვრის უფლება მინიჭებული აქვთ შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოებს და კრედიტორებსაც, რომელთაც ეძლევათ უფლება შვილებისგან მოითხოვონ მშობლებისათვის განუული დახმარების ანაზღაურება. ზოგიერთი შტატი, მაგალითად, მონტანა, შვილებს აკისრებს შტატის მიერ მშობლებისათვის განუული დახმარების ანაზღაურების ვალდებულებას.¹⁸
- 7** ზოგადი წესის თანახმად, დახმარების ვალდებულება გულისხმობს მშობლის უზრუნველყოფას საკვებით, ტანსაცმლით, თავშესაფრითა და სამედიცინო საშუალებებით. შესაძლოა, მშობლებზე ზრუნვის ვალდებულების ნაწილად იქნას განხილული, ასევე, მათი გარდაცვალების შემთხვევაში დამარხვის ცერემონიისათვის ფინანსების გამოყოფის ვალდებულება. აღნიშნული საკითხი განსაკუთრებით რელევანტური ხდება, როცა მესამე პირი შვილისაგან ითხოვს მშობლის დაკრძალვისათვის განუული ხარჯების ანაზღაურებას.
- 8** მშობლებზე ზრუნვის ვალდებულების აღსრულების მექანიზმები მოიძებნება როგორც სამოქალაქო (მაგალითად, შვილისაგან სარჩოს მიღების სამოქალაქო უფლების დანესება), ისე სისხლისა და ადმინისტრაციულ კანონმდებლობებში. ზოგიერთი შტატი, მაგალითად, კალიფორნია და მასაჩუსეტსი, მშობლებზე ზრუნვის ვალდებულების შეუსრულებლობას სისხლის სამართლის დანაშაულად მიიჩნევს.¹⁹

ვალდებულება); *Jasper County v. Osborne*, 13 N.W. 104, 106 (Iowa 1882) (სასამართლომ დაადგინა, რომ შვილები ვალდებულნი არიან შტატს აუნაზღაურონ მშობლებზე ზრუნვისათვის განუული ხარჯები).

¹⁸ Lee A., *Singapore's Maintenance of Parents Act & U.S. Filial Responsibility Laws*, 17 *LoY. L.A. INT'L & COMP. L. REV.* 671 (1995) 678.

¹⁹ California (CAL. PENAL CODE § 270c, Massachusetts (MASS. GEN. LAWS ANN. ch. 273, § 20).

II. ნორმის გამოყენების წინაპირობები

1218 | მუხლში გამოთქმული მაქსიმა, რომ შვილები მოვალენი არიან იზრუნონ მშობლებზე და დაეხმარონ მათ, კონკრეტდება მის მეორე ნაწილში – რჩენის ვალდებულება არსებობს მაშინ, როდესაც: (ა) შვილი არის სრულწლოვანი და (ბ) მშობლები საჭიროებენ დახმარებას.²⁰ ამ მითითების საფუძველზე შესაბამისად მოქმედებს მშობლების ალიმენტის ფარგლებში განვითარებული „მატერიალური საჭიროებისა“ და „მატერიალური სახსრის“ პრინციპები (იხ. 1214-ე და 1221-ე მუხლების კომენტარი). შვილების მიერ მშობელთა რჩენის ვალდებულება ემყარება იმ ზოგად პრინციპს, რომ შვილი შრომისუნარიანია და მას აქვს შემოსავლის მოპოვების უნარი. სწორედ ამიტომ, როგორც წესი, რჩენის ვალდებულება გრძელდება მანამ, სანამ შვილი თავად არ მიაღწევს საპენსიო ასაკს. ერთ-ერთ საქმეზე, სადაც მოსარჩელე (მშობელი) მოპასუხისგან ითხოვდა მარჩენალის დაკარგვით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებას, უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ შვილები ვალდებულნი არიან არჩინონ მშობლები და ეს ვალდებულება არსებობს საპენსიო ასაკის მიღწევამდე (მამაკაცის შემთხვევაში ეს ასაკი შეადგენს 65 წელს). უზენაესი სასამართლოს მითითებით, არსებობს პრეზუმფცია, რომ გარდაცვლილი 65 წლის ასაკამდე იმუშავებდა და მიიღებდა შემოსავალს, რომლითაც უზრუნველყოფდა მშობლის რჩენის ვალდებულებას.²¹

9

საალიმენტო ვალდებულების დაკისრებისათვის აუცილებელია, შვილი იყოს სრულწლოვანი. არასრულწლოვანი შვილი, თუნდაც მას გააჩნდეს საკუთარი შემოსავალი, სასამართლო წესით ვერ გახდება იძულებული, უხადოს მშობელს ალიმენტი.

10

III. მშობლის რჩენის გამორიცხვა

მშობლების რჩენის ვალდებულებისაგან გათავისუფლება დასაშვებია მხოლოდ კანონით დადგენილ შემთხვევებში. მშობლების მიმართ

11

²⁰ შენგელია, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1218, გვ. 206.

²¹ სუსგ №ას-883-2019, 20/09/2019.

ალიმენტის გადახდის ვალდებულება არ მოქმედებს უპირობოდ, განსხვავებით შვილის რჩენის ვალდებულებისაგან და შეიძლება წარმოიშვას მხოლოდ მაშინ, თუ ისინი თავის დროზე თავს არ არიდებდნენ შვილის რჩენასა და მის წინაშე სხვა მოვალეობების შესრულებას და არ ჰქონიათ ჩამორთმეული მშობლის უფლება.²²

- 12** თუკი საქმე გვაქვს ისეთ შემთხვევასთან, როდესაც მშობლის უფლება ჩამორთმეულია მხოლოდ ერთ-ერთი შვილის მიმართ, ზრუნვის ვალდებულება უნდა გამოირიცხოს სწორედ ამ შვილის შემთხვევაში და ძალაში უნდა დარჩეს ყველა სხვა შვილის მიმართ. იგივე ვრცელდება 1218 III მუხლზეც, როდესაც მშობელი ზრუნვის ვალდებულებას არ ასრულებდა ერთი შვილის მიმართ, თუმცა ასრულებდა სხვა შვილების მიმართ. სამართლიანი იქნება ალიმენტის მიღების უფლება შენარჩუნდეს იმ შემთხვევაში, როდესაც მშობლის უფლების ჩამორთმევა გაუქმდა და მშობელს აღუდგა უფლებები.²³ კანონი ასევე ითვალისწინებს მშობლის უფლებების შეზღუდვასა და შეჩერებას, თუმცა ეს არ წარმოადგენს საალიმენტო ვალდებულებებისგან გათავისუფლების საფუძველს.

IV. შვილის ქონებრივი მდგომარეობა

- 13** მშობლების მარჩენალ შვილს უნდა დარჩეს ე. წ. „შავი დღის ფული“.²⁴ გარდა ამისა, მშობლის რჩენისას შვილი არ არის ვალდებული, უკვალოდ გახარჯოს საკუთარი ქონების მნიშვნელოვანი ნაწილი, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ ალიმენტის გადახდის ვალდებულება შვილებს, ჩვეულებრივ, უკვე ასაკში „უსწრებთ“, როდესაც ამ ქონების თავიდან შეგროვების შანსი გაცილებით ნაკლებია.²⁵ გამომდინარე აქედან, მშობლების რჩენისას ხდება ალიმენტის გადამხდელის ვალდებულებისათვის „თავის შენახვის ფულის“ ოდენობის გამოკლება. მისი კონკრეტული ფარგლები სასამართლოს დასადგენია.²⁶ და-

²² შენგელია, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1218, გვ. 207.

²³ იქვე, გვ. 208.

²⁴ BGH FamRZ 2015, 1174; NJW 2013, 3027.

²⁵ BGH FamRZ 2016, 888.

²⁶ შდრ. BGH NJW 2003, 131; BGH NJW 2014, 1176; BGH FamRZ 2016, 889.

ქორწინებული ალიმენტის მოვალის მატერიალური სახსარი მშობლებისათვის გადასახდელ ალიმენტთან მიმართებით, იმ შემთხვევაში, თუ ის საკუთარ შემოსავალს ფლობს, გამოითვლება ოჯახის ინდივიდუალური აუცილებლობების გათვალისწინებით.²⁷ თუ მას არ აქვს საკუთარი შემოსავალი, მაშინ მშობლების რჩენისათვის თავისი ჯიბის ფული უნდა გამოიყენოს, თუმცა ამასთან, შვილისაგან რჩენის გადახდის მოთხოვნა დაუშვებელია, თუ ეს მარჩენალს იმდენად გააღარბებდა, რომ ჩასწევდა მას სიღარიბის ზღვარს მიღმა და სოციალურ დახმარებაზე დამოკიდებულად აქცევდა.²⁸ ამასთან, ამ ტიპის საქმეებში ყურადღება ექცევა მოსარჩელის (მშობლის) მატერიალურ მდგომარეობას და მის ურთიერთობას მოპასუხესთან.

V. მშობლის ქონებრივი მდგომარეობა

მშობლებზე ზრუნვის ვალდებულების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნიშანდობას მშობლის საჭიროება წარმოადგენს.²⁹ ამ თვალსაზრისით, შვილებზე ზრუნვის ვალდებულებისაგან განსხვავებით, მშობლებზე ზრუნვის ვალდებულება არ არის უპირობო ხასიათის. ერთ-ერთ საქმეზე პირველმა და მეორე ინსტანციის სასამართლოებმა არ დააკმაყოფილეს მშობლის საალიმენტო მოთხოვნა შვილის მიმართ, რამდენადაც მიიჩნიეს, რომ მშობელი არ საჭიროებს დახმარებას და მისი მხრიდან დავის წარმოება არის ოჯახური კონფლიქტის გაგრძელება, რომელიც დაიწყო ოჯახის კუთვნილი ქონების გასხვისებასთან დაკავშირებით. თუმცა, სხვაგვარი განმარტება გააკეთა უზენაესმა სასამართლომ. კერძოდ, უზენაესმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა ორ ფაქტორზე: (ა) მშობელი იყო II ჯგუფის ინვალიდი და სახელმწიფოსგან იღებდა შესაბამის დახმარებას 274 ლარის ოდენობით. შესაბამისად, მას გააჩნდა რჩენის მატერიალური საჭიროება; და (ბ) არ არსებობდა 1218 III მუხლით გათვალისწინებული რჩენის ვალდებულების გამომრიცხველი გარემოება, რომ მამა თავს არიდებდა მშობლის მოვალეობის შესრულებას შვილის მიმართ მისი არასრულწლოვანების პერიოდში. შესაბა-

14

²⁷ BGH NJW 2010, 3161; BGH NJW 2014, 1173.

²⁸ BGHZ 111, 194; BVerfG FamRZ 2001, 1685.

²⁹ *შენგელია*, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1218, გვ. 206.

მისად, უზენაესმა სასამართლომ მიიჩნია, რომ შვილს გააჩნდა მშობლის რჩენის და მისთვის ალიმენტის გადახდის ვალდებულება.³⁰ ამასთან, უზენაესმა სასამართლომ ალიმენტის ოდენობასთან დაკავშირებით განმარტა, რომ იგი უნდა განისაზღვროს გონივრული და სამართლიანი შეფასების საფუძველზე, ნორმალური რჩენისათვის აუცილებელ მოთხოვნათა ფარგლებში, რაც გულისხმობს, როგორც შრომისუუნარო მშობლის საჭიროებისა და მატერიალური მდგომარეობის, ისე შვილის მატერიალური და ოჯახური მდგომარეობის გათვალისწინებას. ამასთან, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1219 II მუხლის თანახმად, ამ თანხის განსაზღვრისას სასამართლო ითვალისწინებს მშობლების ყველა სრულწლოვანი შვილის მოვალეობას, მიუხედავად იმისა, სარჩელი წარდგენილია ყველა, რამდენიმე თუ ერთი შვილის მიმართ.³¹ ერთ-ერთ საქმეში სასამართლომ არ დააკმაყოფილა მშობლის სარჩელი შვილისათვის ალიმენტის დაკისრების თაობაზე იმ საფუძველით, რომ მშობელი იღებდა საპენსიო დახმარებას და, ამასთან, მას გაქირავებული ჰქონდა საცხოვრებელი ბინა, საიდანაც იღებდა დამატებით შემოსავალს.³²

- 15** მშობლების მიმართ არსებული საალიმენტო ვალდებულებები, შესაძლებელია, სასამართლოს განხილვის საგანი გახდეს სხვა დავაშიც. მაგალითად, ერთ-ერთ საქმეზე, სადაც განიხილებოდა მშობლისათვის შვილის სასარგებლოდ ალიმენტის დაკისრების საკითხი, სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხე მშობლის არგუმენტი იმის თაობაზე, რომ მას დამატებით გააჩნია საკუთარი მშობლის რჩენის ვალდებულება, რის გამოც მოპასუხე შვილის მიმართ გადასახდელი საალიმენტო თანხის შემცირებას ითხოვდა. სასამართლომ განმარტა, რომ, მართალია, 1218 I მუხლი შეიცავს შვილის ზოგად მორალურ ვალდებულებას არჩინოს მშობელი, თუმცა დავის ფარგლებში ამ ფაქტზე მხოლოდ ზოგადი ხასიათის მითითება არ არის საკმარისი: აუცილებელია, სახეზე იყოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შვილისათვის მშობლის სასარგებლოდ ალიმენტის დაკისრების თაობაზე ან მოპასუხემ სხვაგვარად დაადასტუროს, რომ მშობელი დახმარებას საჭიროებს.³³

³⁰ სუსგ №ას-494-462-2017, 12/03/2018.

³¹ სუსგ №ას-494-462-2017, 12/03/2018, ას-289-278-2012, 07/05/ 2012.

³² სუსგ №3კ-1420-02, 18/02/2003.

³³ სუსგ №ას-1092-1012-2017, 01/12/2017.

სხვა საქმეზე პირველმა და მეორე ინსტანციის სასამართლოებმა არ დააკმაყოფილეს მშობლის სარჩელი შვილისათვის საალიმენტო თანხის დაკისრების თაობაზე იმ დასაბუთებით, რომ მშობელს გააჩნია საკარმიდამო ნაკვეთი, სადაც ჰყავს პირუტყვი და მოჰყავს მოსავალი; შვილს კი არ აძლევს სახლში ცხოვრების შესაძლებლობას, რის გამოც მოპასუხე, რომელიც არ არის დასაქმებული, იძულებულია, მეგობართან იცხოვროს.³⁴

³⁴ სუსგ №ას-322-998-03, 16/09/2003.

მუხლი 1219. შვილების მონაწილეობა შრომისუუნარო მშობლების რჩენაში

1. თითოეული შვილის მონაწილეობას იმ შრომისუუნარო მშობლის რჩენაში, რომელიც დახმარებას საჭიროებს, განსაზღვრავს სასამართლო ყოველთვიურად გადასახდელი თანხის სახით, მშობლებისა და შვილების მატერიალური და ოჯახური მდგომარეობის გათვალისწინებით.

2. ამ თანხის განსაზღვრისას სასამართლო ითვალისწინებს მშობლების ყველა სრულწლოვანი შვილის მოვალეობას მიუხედავად იმისა, სარჩელი წარდგენილია ყველა, რამდენიმე თუ ერთი შვილის მიმართ.

1 1219-ე მუხლი აკონკრეტებს შვილების საალიმენტო ვალდებულებას მშობლების მიმართ და განსაზღვრავს მისი დაკისრების წესს.¹ თავად ვალდებულების შინაარსი მოცემულია 1218-ე მუხლში. მშობლებისათვის სარჩოს გადახდას გააჩნია ისეთივე სახე, როგორც შვილებისათვის გადასახდელ ალიმენტს. საალიმენტო ვალდებულების განგრძობადი ხასიათიდან გამომდინარე, სამართლო მას განსაზღვრავს ყოველთვიურად გადასახდელი თანხის სახით.

2 განსხვავებით შვილებისათვის გადასახდელი ალიმენტისა, მშობლების რჩენის ვალდებულება უპირობო ხასიათის არ არის. შესაბამისად, 1218-ე მუხლის თანახმად რჩენის ვალდებულება არსებობს იმ მშობლის მიმართ, რომელიც არის შრომისუუნარო და, ამასთანავე, საჭიროებს დახმარებას.² მშობლების რჩენის ვალდებულების პირობითი ხასიათი ასევე ვლინდება იმ გარემოებაში, რომ შვილებს მშობლების რჩენის ვალდებულება აკისრიათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა თავად მშობლები ჯეროვნად ასრულებდნენ შვილების რჩენის მოვალეობას.³

¹ შენგელია, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1219, გვ. 209.

² Ross A.E., Taking Care of Our Caretakers: Using Filial Responsibility Laws to Support the Elderly Beyond the Government's Assistance, 16 ELDER L.J. 167 (2008) 168.

³ Pakula M., A Federal Filial Responsibility Statute: A Uniform Tool to Help Combat the Wave of Indigent Elderly, 39 FAM. L.Q. 859 (2005) 864.

ამავე დროს, შვილებს მშობლების რჩენის ვალდებულება აკისრიათ მანამ, სანამ თავად მიაღწევენ საპენსიო ასაკს.

რჩენის ვალდებულება მიზნად ისახავს მშობლების აუცილებელი საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფას: საკვები, ტანსაცმელი, თავშესაფარი და სამედიცინო მომსახურება. ამასთან, 1219-ე მუხლი ეხება მხოლოდ ალიმენტის გადახდის ვალდებულებას და მასში არ მოიაზრება, მაგალითად, სამედიცინო ხარჯები, თუნდაც ამ ხარჯებს ყოველთვიური ხასიათი ჰქონდეთ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, სამედიცინო ხარჯები მოთხოვნილ უნდა იქნას არა 1219-ე, არამედ 1220-ე მუხლის საფუძველზე.⁴

3

ალიმენტის ოდენობის გამოსათვლელად სასამართლო მხედველობაში იღებს მშობლებისა და შვილების მატერიალურ და ოჯახურ მდგომარეობას. მატერიალურ მდგომარეობაში იგულისხმება მათი ფინანსური შესაძლებლობები, ქონება და შემოსავალი. არაგონივრული იქნებოდა შვილს მშობლის სასარგებლოდ დაეკისროს იმაზე მეტი ალიმენტის გადახდა, ვიდრე ამის საშუალებას შვილის ფინანსური მდგომარეობა იძლევა. ასეთ შემთხვევაში, თავად შვილი აღმოჩნდებოდა დახმარების საჭიროების წინაშე. მეორე მხრივ, თუკი მშობელს გააჩნია საკმარისი სახსრები იმისათვის, რომ თავად უზრუნველყოს საკუთარი აუცილებელი ხარჯების დაფარვა, შვილს დამატებითი ალიმენტის გადახდა არ დაეკისრება.

4

ოჯახური მდგომარეობა მნიშვნელობას იძენს იმდენად, რამდენადაც იგი გავლენას ახდენს გადახდისუნარიანობაზე. რაც უფრო მეტი პირია შვილის კმაყოფაზე, მით უფრო იკლებს თითოეულისათვის განკუთვნილი საალიმენტო წილი (იხ. ალიმენტზე უფლებამოსილ პირთა მიხედვით რიგითობასთან დაკავშირებით 1212-ე მუხლის კომენტარი, 21-ე და მომდევნო ველები). სასამართლო ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, საქმის ფაქტობრივი გარემოებების შეფასების საფუძველზე ინდივიდუალურად ადგენს ალიმენტის გონივრულ ოდენობას.

5

⁴ სუსგ № ას-494-462-2017, 12/03/2018.

- 6** ამასთან, მშობლისათვის ალიმენტის გადახდის ვალდებულება აკისრია ყველა და არა მხოლოდ მასთან ერთად მცხოვრებ შვილს.⁵ შვილების ვალდებულება თანაბარია, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველა მათგანს იდენტური თანხის გადახდა ეკისრება. ვალდებულების თანაბრობა გულისხმობს იმას, რომ თუკი შვილების მატერიალური და ოჯახური მდგომარეობა იდენტურია, მაშინ ისინი თანაბრად პასუხისმგებელი არიან მშობლების რჩენაზე. სხვა მხრივ, სასამართლო აფასებს თითოეული შვილის მატერიალურ და ოჯახურ მდგომარეობას⁶ და ისე განსაზღვრავს ალიმენტის ოდენობას.
- 7** ამასთან, ალიმენტის ოდენობის გამოანგარიშებისას სასამართლო მხედველობაში იღებს ყველა სრულწლოვანი შვილის მოვალეობას და არა მხოლოდ იმის, ვის წინააღმდეგაც წარდგენილია სარჩელი. აღნიშნულში იგულისხმება მხოლოდ ალიმენტის ოდენობის დაანგარიშება. სხვა მხრივ, თუკი შვილი დავაში მხარედ არ მონაწილეობს, ცხადია, მას სასამართლო გადანყვეტილებით ალიმენტის გადახდის ვალდებულება ვერ დაეკისრება.

⁵ *შენგელა*, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1219, გვ. 209.

⁶ იქვე.

მუხლი 1220. შვილების მონაწილეობა დამატებით ხარჯებში

სხვაგვარი შეთანხმების არარსებობისას შვილებს, რომლებიც ალიმენტს უხდიან შრომისუუნარო მშობლებს, შეიძლება დაეკისროთ მონაწილეობა დამატებით ხარჯებში, რომლებიც გამონვეულია განსაკუთრებული გარემოებებით (მშობლების მძიმე ავადმყოფობით, დასახიჩრებით და სხვა).

მუხლი 1221. სარჩელი ალიმენტის ოდენობის შემცირების შესახებ

1. მშობელს, რომელიც არასრულწლოვანი შვილის სასარგებლოდ იხდის ალიმენტს, უფლება აქვს აღძრას სარჩელი სასამართლოს მიერ დადგენილი ალიმენტის ოდენობის შემცირების შესახებ.

2. იმ მშობლების მატერიალური და ოჯახური მდგომარეობის შეცვლის შემთხვევაში, რომლებიც ალიმენტს იხდიან მტკიცე თანხის სახით, სასამართლოს უფლება აქვს, დაინტერესებული პირის მოთხოვნით, შეამციროს ან გაადიდოს ალიმენტის ოდენობა.

I. ზოგადი	343
II. 1221 II მუხლის ანალოგიით გამოყენება	344
III. ალიმენტის ოდენობის ცვლილების მიზანი	345
IV. მატერიალური სახსარი	347
1. შემოსავალი	347
2. ქონება	349
3. ზღვარი	350
V. სასამართლოს დისკრეცია	351

I. ზოგადი

1214-ე მუხლში წამოყენებული კრიტერიუმი, რომელიც გაითვალისწინება მშობლების მიერ გადასახდელი ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას, არის მათი ფინანსური შესაძლებლობები (1214 2). მატერიალური სახსარი შედგება შემოსავლისა და ქონებისაგან. 1221-ე მუხლიც თავიდან აკეთებს ამ მატერიალურ სახსარზე აქცენტს, ამჯერად

1

მშობლის მიერ გადასახდელი ალიმენტის ოდენობის შემცირების მოთხოვნისას.

- 2** შვილზე ზრუნვის ვალდებულება დროში განგრძობადი ხასიათისაა. შესაბამისად, ყველა ის გარემოება, რომლებსაც სასამართლო ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში იღებს, შეიძლება შეიცვალოს.¹ ალიმენტის ოდენობის გამოანგარიშებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ბავშვის საჭიროებანი, ისევე, როგორც ალიმენტ-ვალდებული მშობლის გადახდისუნარიანობა.²
- 3** 1221 I მუხლის მიხედვით, მშობელს უფლება აქვს არასრულწლოვნისათვის გადასახდელი ალიმენტის შემცირების მოთხოვნით მიმართოს სასამართლოს.³ 1221 II მუხლის თანახმად კი, იმ მშობლების მატერიალური და ოჯახური მდგომარეობის შეცვლის შემთხვევაში, რომლებიც ალიმენტს იხდიან მტკიცე თანხის სახით, სასამართლოს უფლება აქვს, დაინტერესებული პირის მოთხოვნით, შეამციროს ან გააღიძოს ალიმენტის ოდენობა.⁴ მაგალითად, შესაძლებელია ალიმენტის ოდენობა გაიზარდოს, თუკი გაიზრდება შვილის საჭიროებები (იხ. დანანესის ანალოგიით გამოყენებასთან დაკავშირებით ქვემოთ). ზოგადი წესის თანახმად, შესაძლებელია ალიმენტის ოდენობის რეტროაქტიული შემცირება, წარსული პერიოდისათვის ალიმენტის გადახდისაგან სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლება, ისევე, როგორც ალიმენტის ოდენობის სამომავლო პერიოდისთვის შემცირება, თუმცა, შეზღუდულია ალიმენტის რეტროაქტიული გაზრდა.⁵

II. 1221 II მუხლის ანალოგიით გამოყენება

- 4** 1221 II მუხლი ალიმენტის ოდენობის გადახედვის შესაძლებლობას

¹ *შენგელია*, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1221, გვ. 210.

² *Edwards v. Edwards*, 116,293 N.W.2d 160 (1980); *Campbell v. Campbell*, 37 Wis. 206 (1875).

³ *შენგელია*, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1221, გვ. 210.

⁴ *Miner v. Miner*, 103 N.W.2d 4 (1960); *Rust v. Rust*, 177 N.W.2d 888 (1970); *Monson v. Monson*, 271 N.W.2d 137 (1978); *Ashby v. Ashby*, 183 N.W. 965 (1921).

⁵ *Foregger v. Foregger*, 162 N.W.2d 553 (1968); *Whitwam v. Whitwam*, 273 N.W.2d 366 (1978).

ითვალისწინებს მხოლოდ მშობლების მატერიალური და ოჯახური მდგომარეობის ცვლილებისას.⁶ არასრულწლოვანი შვილის მდგომარეობის ცვლილებისას გადასახდელი ალიმენტის ამგვარი გადახედვის შესაძლებლობა გათვალისწინებული არ არის. ეს, რა თქმა უნდა, წარმოადგენს კანონმდებლის შეგნებულ გადაწყვეტას და ემყარება იმ მოსაზრებას, რომ არასრულწლოვანის მატერიალური თუ ოჯახური მდგომარეობის ცვლილება გაცილებით იშვიათია ხოლმე. თუმცა, გამონაკლისის სახით, ამ შემთხვევაში 1221 II მუხლის ანალოგიით გამოყენებაა მიზანშეწონილი. მაგალითად, როდესაც ცვლილება შეეხო არასრულწლოვნის ფინანსურ მდგომარეობას და ის იმდენად შეიცვალა, რომ აღარ რჩება უმცირესი ექვიც კი იმასთან დაკავშირებით, რომ ის არც ამჟამად და არც მომავალში ალიმენტის მიღებას აღარ საჭიროებს, დასაშვებია უნდა იყოს სარჩელი ალიმენტის რაოდენობის შემცირებასა თუ გაუქმებასთან დაკავშირებით. მაგალითად: არასრულწლოვნის მიერ ძვირადღირებული სამკვიდროს ან საჩუქრის მიღება, საიდანაც მიღებული შემოსავლიდან მას სრულად შეუძლია თავის რჩენა (მდრ. მუხ. 1214 მე-15 ველი), ლატარიის მოგება და ა. შ.

III. ალიმენტის ოდენობის ცვლილების მიზანი

საალიმენტო ვალდებულებათა მიზანია უფლებამოსილი პირისათვის აღზრდისა და რჩენის ნორმალური პირობების შექმნა, ანუ საალიმენტო ვალდებულება ემსახურება პირის რჩენის უზრუნველყოფას; ამდენად, სასამართლოს მიერ განსაზღვრული ალიმენტის ოდენობა არ არის მუდმივი ხასიათის.⁷ ალიმენტის ოდენობის შესაცვლელად აუცილებელია ადგილი ჰქონდეს გარემოებების არსებით ცვლილებას, რომელიც ალიმენტის განსაზღვრულ ოდენობას უსამართლოდ აქცევს.⁸ გარემოების ცვლილება უნდა მოხდეს მას შემდეგ, რაც სასამართლომ დაადგინა ალიმენტის ოდენობა.⁹ თუკი ამგვარი ცვლილება დროში წინ

5

⁶ *შენგელია*, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1221, გვ. 210.

⁷ სუსგ № ას-541-509-2012, 30/04/2012, სუსგ № ას-1163-2019, 09/10/2019.

⁸ *Unser v. Unser*, 526 P.2d 790 (1974); *Fox v. Doak*, 438 P.2d 153 (1968); *Quintana v. Quintana*, 115 P.2d 1011 (1941).

⁹ *Allgood v. Orason*, 511 P.2d 746 (1973); *Merrill v. Merrill*, 483 P.2d 932 (1971); *Albright v. Albright*, 115 P.2d 59 (1941); *Evens v. Keller*, 35 N.M. 659 (1931).

უსწრებდა ალიმენტის ოდენობის განსაზღვრას, იგი, როგორც წესი, არ მიიჩნევა ალიმენტის გადახედვის საფუძვლად.¹⁰ თუმცა, შესაძლოა, სასამართლოებმა ამ მიდგომიდან დაუშვან გამონაკლისი ისეთ შემთხვევაში, როდესაც ალიმენტის დადგენისას არასწორად იქნა გამოანგარიშებული მშობლის შემოსავლები და მისი სწორი გამოანგარიშების შემთხვევაში ცდომილება არსებითი იქნებოდა.¹¹

6 გარემოების ცვლილება შეიძლება შეეხოს როგორც მშობელს,¹² ისე შვილს.¹³ როგორც წესი, ალიმენტის ოდენობის გამოანგარიშებისას, სასამართლოები მხედველობაში იღებენ არა მხოლოდ ბავშვის საჭიროებებს, არამედ ასევე მშობლის შესაძლებლობებს.¹⁴ ამიტომ, გარემოებების ცვლილება ორივე მხარეს ეხება.¹⁵ ზოგიერთი გარემოების ცვლილება ერთმანეთს აბათილებს, მაგალითად, როდესაც იზრდება ბავშვის საჭიროებები, თუმცა, პარალელურად, პროპორციულად მცირდება მშობლის შემოსავლები. სხვა შემთხვევაში, როდესაც ცვლილება ერთი მიმართულებით ხდება, მაგალითად, იზრდება ბავშვის საჭიროებები და ამავდროულად იზრდება მშობლის შემოსავლები, ალიმენტის გაზრდა ლოგიკურია.¹⁶ სასამართლომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შეაფასოს, მშობლის შემოსავლის ცვლილება არის თუ არა ისეთი არსებითი ხასიათის, რომ განაპირობოს ალიმენტის ოდენობის მოდიფიკაცია.¹⁷ არსებით ცვლილებად უნდა ჩაითვალოს ისეთი შემთხვევა, როდესაც იზრდება შვილის საშუალო ყოველთვიური ხარჯები, მიუხედავად იმისა, გამონეულია ეს განსაკუთრებული ფაქტორებით თუ ზოგადი ცხოვრებისეული გარემოებებით.¹⁸ თუმცა, საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, შესაძლოა, სასამართლომ დაად-

¹⁰ Schuett v. Schuett, No. A-92-499, 1993 WL 460553 (1993); Olmer v. Olmer, 507 N.W.2d 677 (1993); Payne v. Dial, 831 S.W.2d 457 (1992).

¹¹ Parzynski v. Parzynski, 620 N.E.2d 93 (1992).

¹² Fox v. Doak, 78 N.M. 743 (1968).

¹³ Corliss v. Corliss, 89 N.M. 235 (1976); Schaab v. Schaab, 87 N.M. 220 (1974).

¹⁴ *შენგელია*, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1221, გვ. 210.

¹⁵ Brown v. Brown, No. 90-2465SI, 1992 WL 10783 (1992).

¹⁶ Kirchen v. Kirchen, 595 So. 2d 129 (1992).

¹⁷ *შენგელია*, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1221, გვ. 210; Foster v. Foster, 843 S.W.2d 404 (1992).

¹⁸ Kirchen v. Kirchen, 595 So. 2d 129 (1992).

გინოს, რომ, თუკი ზოგადი ეკონომიკური გარემო (მაგალითად, ინფლაციის დონე) იგივე რჩება, ზოგადი ცხოვრების ხარჯი არ წარმოადგენს შეცვლილ გარემოებას.¹⁹

შესაძლოა, გარემოების ცვლილებას ჰქონდეს დროებითი ხასიათი, რა შემთხვევაშიც სასამართლო ალიმენტის ცვლილებასაც დროით ჩარჩოში მოაქცევს.²⁰ თუმცა, ზოგიერთი სასამართლო მოითხოვს, რომ გარემოების ცვლილება იყოს არა მხოლოდ არსებითი ხასიათის, არამედ მას ჰქონდეს დროში განგრძობადი ხასიათი, ანუ არ იყოს ერთჯერადი.²¹

7

IV. მატერიალური სახსარი

1. შემოსავალი

შემოსავლის დეფინიცია 1221-ე მუხლში იგივეა, რაც 1214-ე მუხლში. შესაბამისად, შემოსავლის უფრო დეტალური ანალიზისათვის იხ. 1214-ე მუხლის კომენტარი.

8

ალიმენტის გადახდაზე ვაღდებულ პირს აწევს მოვალეობა, მაქსიმალურად ხელსაყრელად (მათი მოგების მომტანად) გამოიყენოს საკუთარი შრომა.²² მას შეიძლება მოეთხოვოს ბინის შეცვლა, მუშაობა არა საკუთარი პროფესიით,²³ ასევე კვირაში 48 საათამდე მუშაობა დამატებით საქმიანობასთან ერთად.²⁴ ვაღდებული პირი სერიოზული განზრახვით უნდა შეუდგეს სამუშაოს ძებნას.²⁵ ეს განზრახვა არ არის სახეზე ე. წ. „ბრმა ძებნისას“ (CV-დაგზავნა ყველა ვაკანსიაზე). ალიმენტის გადახდის ვაღდებულება მატერიალური სახსრის არარსებობის გამო უქმდება მხოლოდ მაშინ, როდესაც არ არსებობს რეალური დასაქმების შესაძლებლობა. სამუშაოზე ნებაყოფლობით უარის თქმა საჭიროებს

9

¹⁹ In re Marriage of Chmelicek, 480 N.W.2d 571 (1991).

²⁰ Fox v. Doak, 78 N.M. 743 (1968).

²¹ Burson v. Burson, 608 So. 2d 739 (1992).

²² BGH NJW 2013, 531.

²³ BGH NJW 2004, 1160.

²⁴ OLG Köln NJW 2007, 445.

²⁵ OLG Hamm FamRZ 2017, 618.

გონივრულ საფუძველს. თუ ვალდებული პირი არ ჰკიდებს ხელს კონკრეტულ სიტუაციაში გამართლებულ და გონივრულ დამატებით სამუშაოს, მას შეერაცხება მისგან მისაღები ფიქტიური შემოსავალი და ეს ზრდის მის მატერიალურ სახსარს.²⁶ დამოუკიდებელი ბიზნესისა თუ ზოგადად საქმიანობის წამოწყება გამართლებულია, მიუხედავად შემოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილის დაკარგვისა, თუ ეს წამოწყება თავიდანვე უპერსპექტივო არ იყო და ვალდებულ პირს არ შეერაცხება „თავქარიანი“ გადაწყვეტილება ამასთან დაკავშირებით.²⁷ არანებაყოფლობით სამუშაოს დაკარგვა არ გაითვალისწინება მხოლოდ მაშინ, თუ ვალდებულის მხრიდან სახეზეა ბრალის მძიმე ფორმა, მაგალითად, ალკოჰოლთან დაკავშირებული პრობლემები²⁸ ან ქურდობა.²⁹ ყველა ამ გარემოებას მნიშვნელობა ენიჭება იმის დასადგენად, თუ რამდენად შეიცვალა ალიმენტის გადამხდელი პირის მდგომარეობა.

10 წინა ქორწინებაში შექმნილი შვილების მიმართ ალიმენტის გადახდის ვალდებულება ძალაში რჩება მას შემდეგაც, რაც ქმარი ან ცოლი ამჟამინდელ ქორწინებაში არა „შემომტანის“, არამედ დიასახლისის როლშია. ამ როლების უმიზეზოდ ცვლილებისას, მანამდე არსებული შემოსავალი ვალდებულ პირს შეერაცხება ფიქტიური ოდენობით.³⁰ ცალკეულ შემთხვევებში მას მოეთხოვება მარტივი დამატებითი სამუშაოს კისრება.³¹

11 თავის მხრივ, საკუთარი მშობლის მოვლა არ ათავისუფლებს ალიმენტის მოვალეს ბავშვის რჩენის ფარგლებში მოგების მომტანი საქმიანობისათვის ხელის მოკიდებისაგან.³² ზოგადად, თითოეული მშობელი ვალდებულია, უზრუნველყოს ეგზისტენციალური მინიმუმით მეორე მშობელთან მცხოვრები ბავშვი მაშინაც კი, როდესაც თვითონ სხვა საერთო შვილზე ზრუნვითაა დაკავებული. გამონაკლისი დაიშვება, თუ ერთ-ერთი ბავშვი სხვა მშობელთან გადავა.³³

²⁶ BGH FamRZ 2009, 316; BGH NJW 2014, 3785.

²⁷ BGH NJW 2003, 3124.

²⁸ BGH NJW 1994, 258.

²⁹ BGH NJW 1993, 1974.

³⁰ BGH NJW 2015, 1178.

³¹ BGH NJW 2004, 1160; BGH NJW 2015, 1179.

³² BGH FamRZ 2017, 111.

³³ OLG Hamm NJW 2006, 3075.

თუ პირადად მზრუნველი მშობლის შემოსავალი ორჯერ უფრო მეტია, ვიდრე ალიმენტის ფულით გადამხდელისა, მაშინ ამ უკანასკნელის ვალდებულება შეიძლება საერთოდ გაქარწყლდეს.³⁴ ქართული სამართლის მიზნებისათვის, გაქარწყლებაში იგულისხმება ალიმენტის ოდენობის მინიმუმამდე დაყვანა, ვინაიდან თავად ალიმენტის ვალდებულება უპირობო ხასიათისაა. მზრუნველი მშობლის ნაწილობრივ ან სრულად დავალდებულება, გადაიხადოს ასევე ფულადი ალიმენტი შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ ამის გარეშე იარსებებდა მნიშვნელოვანი ფინანსური უთანასწორობა მშობლებს შორის. შემოსავლის მიღების მოვალეობა არ არსებობს ხანგრძლივი ავადმყოფობისას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არასრული განაკვეთით მუშაობა დასაშვებია.³⁵

12

თვითდასაქმებულის შემთხვევაში, გამომდინარე შემოსავლის მერყევი ხასიათიდან, გადამწყვეტია წინა სამი წლის დაჯამებიდან მიღებული საშუალო შემოსავალი.³⁶ გადამწყვეტია რეალური და არა საგადასახადო დეკლარაციაში შეტანილი შემოსავალი.

13

2. ქონება

ქონება და მისგან მიღებული შემოსავალი შეერაცხება ვალდებულ პირს და შეადგენს მის მატერიალურ სახსარს. მაგალითად, ამ ქონების გაქირავებითა და იჯარით გაცემით მიღებული შემოსავლები, გადასახადების დაზღვევისა და კომუნალური გადასახადების გამოკლებით. ამასთან, ალიმენტზე ვალდებულ პირს ეკისრება მოვალეობა, თავისი ქონება შესაძლებლობის ფარგლებში მაქსიმალურად მოგების მომტანად დააბანდოს.³⁷ მატერიალური სახსრის დაანგარიშებისას გაითვალისწინება ასევე საკუთარ ბინაში ქირის გარეშე ცხოვრების შესაძლებლობა, როგორც უპირატესობა.³⁸ ზოგადად, არსებობს ქონების რეა-

14

³⁴ OLG Brandenburg NJW 2007, 85; OLG Dresden FamRZ 2016, 1174; BGH NJW 2013, 2898.

³⁵ BGH FamRZ 2017, 110.

³⁶ BGH NJW 1985, 910.

³⁷ BGH NJW 2013, 531.

³⁸ BGH NJW 2014, 1531.

ლიზაცის (გაყიდვის) ვალდებულება (მაგალითად, აგარაკი უნდა გასხვისდეს³⁹), მაგრამ არ არსებობს ვალდებულება წამგებიანად და ჩალის ფასად რეალიზებისა, რომელიც მესაკუთრეს შემოსავლის მიღების შანსს აკარგვინებს.⁴⁰ ალიმენტის გადამხდელი ვალდებულია აილოს ასევე კრედიტი და მის უზრუნველსაყოფად დატვირთოს საკუთარი ქონება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ის უკვე ისედაც ვალაუვალა და არსებული ვალეების დაფარვა სრულებით სცდება მის ფინანსურ შესაძლებლობებს.⁴¹ პირი არ არის ვალდებული, დატვირთოს საკუთარი უძრავი ქონება ვალის ასაღებად, თუ ეს ქონება საკუთარი სიბერის უზრუნველსაყოფად სჭირდება.⁴²

3. ზღვარი

- 15** ალიმენტის მოთხოვნის ფარგლების განსაზღვრისათვის ზღვარი გადის სხვა ვალდებულებებზე. ეს, პირველ რიგში, გულისხმობს სხვა, უპირატესი რანგის მქონე საალიმენტო მოთხოვნების გამოკლებას იმ მატერიალური მოცემულობიდან, რომლიდანაც გამოითვლება ალიმენტი. ამის საპირისპიროდ, ბავშვზე ზრუნვა, პირდაპირ, არ იწვევს შემოსავლის შემცირებას, რადგან ის ფულის გადახდისაკენ არ არის მიმართული (არ ხდება მონეტიზაცია). შემოსავალს უნდა გამოაკლდეს მხოლოდ სხვა წყაროებიდან დაუფარავი ალიმენტი, რომელიც ფულით ან ნატურით არის გადასახდელი.⁴³ ასევე უნდა გამოაკლდეს საკუთარი თავის რჩენის ხარჯები („თავის შენახვის ფული“). თავის შენახვის ფული შეიძლება შემცირდეს და, ცალკეულ შემთხვევებში, საარსებო მინიმუმამდეც იქნეს დაყვანილი.⁴⁴ სასურველია, სასამართლომ შეიმუშაოს გარკვეული საორიენტაციო ცხრილი, თუ რა ჩაითვლება სრულწლოვანი შვილისათვის გადასახდელი ალიმენტის შემთხვევაში „თავის შენახვის ფულად“ და რა – არასრულწლოვნის შემთხვევაში.

³⁹ BGH NJW-RR 1986, 66

⁴⁰ BGH FamRZ 2015, 1172.

⁴¹ BGH NJW 1982, 1641.

⁴² BVerfG FamRZ 2005, 1052.

⁴³ BGH FamRZ 2017, 712.

⁴⁴ BGH NJW 2008, 1376.

ალიმენტის მოვალის ვალეები გაითვალისწინება და ამცირებენ საალიმენტო ვალდებულებას, თუ მათ გამო შემცირებულია იმ სახსრების ოდენობა, რომლებიც არის რეალურად ალიმენტის მოვალის თავისუფალ განკარგვაში და ამით ამცირებენ მისი ცხოვრების სტანდარტს.⁴⁵ ამასთან, აუცილებელია ინტერესთა ყოვლისმომცველი ანონ-დანონვა, ვალდებულების მიზნის გათვალისწინებით, ვალდებულების წარმოშობის დრო, სახე და ის ფაქტი, იცოდა თუ არა ამ მომენტში ალიმენტის მოვალემ თავისი საალიმენტო ვალდებულების შესახებ.⁴⁶ მაგალითად, ალიმენტის ვალდებულებისაგან გამოკლებადი არ არის ლიზინგის პროცენტები ლიზინგით აღებული მანქანისათვის, თუ ვალდებულ პირს შეეძლო თავიდან აერიდებინა ის იაფფასიანი მანქანით თუ საზოგადო ტრანსპორტით სარგებლობის გზით.⁴⁷

16

V. სასამართლოს დისკრეცია

ზოგადად, სასამართლოებს ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას გააჩნიათ ფართო დისკრეცია.⁴⁸ შესაბამისად, გარემოებების ცვლილება ავტომატურად არ ნიშნავს სასამართლოს ვალდებულებას, განახორციელოს ალიმენტის ოდენობის მოდიფიკაცია.⁴⁹ მეორე მხრივ, შესაძლოა, კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლომ განახორციელოს ალიმენტის ოდენობის მოდიფიკაცია, მიუხედავად იმისა, რომ არც შვილის საჭიროებები არ გაზრდილა და არც მშობლის შემოსავლები.⁵⁰ ცხადია, ამგვარ შემთხვევაში სასამართლომ სათანადოდ უნდა დაასაბუთოს მიღებული გადაწყვეტილება.

17

მშობლების შეთანხმება, რომელიც გამორიცხავს ალიმენტის ოდენობის გაზრდას გარემოების ცვლილების შემთხვევაში, როგორც წესი, არღვევს კანონის იმპერატიულ მოთხოვნებს და ბათილია.⁵¹ იგივე ეხება უკვე დაკისრებული საალიმენტო ოდენობის შემცირების შესახებ

18

⁴⁵ BGH FamRZ 2017, 520.

⁴⁶ BGH NJW 2002, 1270.

⁴⁷ BGH NJW 2002, 1270.

⁴⁸ Schaab v. Schaab, 87 N.M. 220 (1974); Muckleroy v. Muckleroy, 84 N.M. 14 (1972).

⁴⁹ *შენგელია*, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1221, გვ. 210.

⁵⁰ Blackburn v. Blackburn, 638 So. 2d 252 (1994).

⁵¹ Spingola v. Spingola, 580 P.2d 958 (1978).

შეთანხმებასაც.⁵² თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში სასამართლო შეთანხმებას უცილოდ ბათილად არ მიიჩნევს და ალიმენტის მოდიფიკაციისათვის მოითხოვს გარემოებების ისეთ ცვლილებას, რომელიც მხარეებისათვის არ იყო მოსალოდნელი შეთანხმების გაფორმებისას.⁵³ ასევე, შეთანხმებით დადგენილი ალიმენტის ცვლილების საფუძველი შეიძლება გახდეს ის გარემოება, რომ იგი ვერ აკმაყოფილებს ბავშვის აუცილებელ საჭიროებებს.⁵⁴ ასეთ დროს, ბავშვის საუკეთესო ინტერესების გაუთვალისწინებლობა და ალიმენტის ოდენობის არასაკმარისობა უთანაბრდება გარემოებების ცვლილებას.⁵⁵

19 არსებობს პრაქტიკა, რომლის თანახმადაც, ალიმენტის ოდენობაზე გავლენა შეუძლია მოახდინოს ბავშვთან ერთად მცხოვრები მშობლის მოქმედებამ, მაგალითად, თუკი იგი მიზანმიმართულად ცდილობს შვილისა და მეორე მშობლის ურთიერთობის გაფუჭებას ან არ აძლევს მეორე მშობელს შვილთან ურთიერთობის საშუალებას.⁵⁶ ეს განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებში ხდება, როდესაც ბავშვიც, მასთან ერთად მცხოვრები მშობლის გავლენით, უარს აცხადებს მეორე მშობელთან ურთიერთობაზე, თუმცა აქტიურად ითხოვს მისგან სარჩოს, მიუხედავად იმისა, რომ ბავშვთან ერთად მცხოვრებ მშობელს საკმარისი ეკონომიკური შესაძლებლობა აქვს შვილის სარჩენად.⁵⁷ სასამართლოს მოეთხოვება სიფრთხილე ამგვარი მიდგომის გამოყენებისას, რათა მშობელთა ურთიერთობის გაუარესებამ უარყოფითი გავლენა არ მოახდინოს და არ დააზიანოს ბავშვის ინტერესები.

20 ალიმენტის შემცირების ან გაზრდის მოთხოვნის დაყენებისას მტკიცების ტვირთი ეკისრება იმ მხარეს, რომელიც ითხოვს სასამართლოსგან ცვლილების განხორციელებას. სასამართლო მოთხოვნას დააკმაყოფილებს იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც მხარე დაასაბუთებს გარემოების ცვლილებას.⁵⁸

⁵² Scanlon v. Scanlon, 60 N.M. 43 (1955).

⁵³ Boden v. Boden, 397 N.Y.S.2d 701 (1977).

⁵⁴ Brescia v. Fitts, 451 N.Y.S.2d 68 (1982).

⁵⁵ Michaels v. Michaels, 56 N.Y.2d 924 (1982).

⁵⁶ Barela v. Barela, 579 P.2d 1253 (1978).

⁵⁷ Gannon v. Gannon, 102 N.W.2d 677 (1960); Snellings v. Snellings, 272 Ala. 254 (1961); Spurrell v. Spurrell, 205 Cal. App.2d 786 (1962).

⁵⁸ სუსგ № ას-1163-2019, 09/10/2019, სუსგ № ას-621-2019, 11/07/2019.

მუხლი 1222. ალიმენტის ოდენობის შეცვლა მატერიალური თუ ოჯახური მდგომარეობის შეცვლის გამო

თუ შეიცვალა მშობლების ან შვილების მატერიალური თუ ოჯახური მდგომარეობა მას შემდეგ, რაც სასამართლო დაადგენს იმ თანხის ოდენობას, რომელიც უნდა გადაიხადონ მშობლებმა სრულწლოვანი შრომისუუნარო შვილების სასარგებლოდ, ან შვილებმა – შრომისუუნარო მშობლების სასარგებლოდ, რომლებიც დახმარებას საჭიროებენ, სასამართლოს შეუძლია ერთ-ერთი მათგანის სარჩელით შეცვალოს ალიმენტის დადგენილი ოდენობა.

I. ზოგადი	353
II. სრულწლოვანი შრომისუუნარო შვილის სასარგებლოდ ალიმენტის გადახდა.....	354
III. მატერიალური მდგომარეობის ცვლილება	356
1. ალიმენტის შემცირება	356
2. ალიმენტის გაზრდა	357
IV. სამართლებრივი შედეგები.....	358

I. ზოგადი

მშობლების მიერ სრულწლოვანი, მატერიალური დახმარების საჭიროების მქონე შვილის სასარგებლოდ და შვილის მიერ მშობლების სასარგებლოდ გადასახდელი ალიმენტის რაოდენობა შეიძლება თავიდან გადაიხედოს სასამართლო წესით და შეიცვალოს ერთი ან მეორე მხარის მატერიალური მდგომარეობის ცვლილებისა და მიხედვით.¹ აღნიშნული დანაწესი წარმოადგენს იმავე მიდგომის გაგრძელებას, რომელიც გატარებულია 1221-ე მუხლში. საალიმენტო ვალდებულებას განგრძობადი ხასიათი აქვს და მისი მიზანი სარჩენი პირის ამჟამინდელი და უახლოესი საჭიროებების დაკმაყოფილებაა. შესაბამისად, იმ გარემოებების ცვლილებისას, რომლებიც საფუძვლად დაედო ალიმენტის ოდენობის განსაზღვრას, კანონმდებელი დასაშვებად მიიჩნევს ალიმენტის ოდენობის ცვლილებას.

1

¹ შენგელია, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1222, გვ. 213.

II. სრულწლოვანი შრომისუუნარო შვილის სასარგებლოდ ალიმენტის გადახდა

- 2** ზოგადად, ალიმენტის გადახდის ვალდებულება არსებობს არასრულწლოვანი შვილის მიმართ. კანონმდებელი მხოლოდ საგამონაკლისო შემთხვევაში ითვალისწინებს სრულწლოვანი შვილის მიმართ ალიმენტის გადახდის ვალდებულებას.² ეს ხდება მაშინ, როდესაც სრულწლოვანი შვილი შრომისუუნაროა. თუმცა, შრომისუუნარობა სრულწლოვანი შვილისათვის ალიმენტის გადახდის ერთადერთი საფუძველი არ არის: ზოგიერთი სამართლის სიტემა ამგვარ ვალდებულებას ითვალისწინებს შვილის მიერ სწავლის დასრულებამდე.³
- 3** ზოგადად, განქორწინება არ ნყვეტს მშობლის ვალდებულებას, დახმარება გაუწიოს შვილს.⁴ ვალდებულების შეწყვეტის საფუძველს არ წარმოადგენს არც მშობლისა და ბავშვის ცალ-ცალკე ცხოვრება.⁵ როგორც წესი, სწორედ განქორწინების შემდეგ ხდება ბავშვზე ზრუნვის ვალდებულება რელევანტური, როდესაც, მაგალითად, ბავშვი დედასთან აგრძელებს ცხოვრებას და მამას ეკისრება ალიმენტის გადახდა. თუმცა, შეიძლება პირიქითაც მოხდეს - ბავშვმა ცხოვრება განაგრძოს მამასთან და ალიმენტის გადახდის ვალდებულება დედას დაეკისროს.⁶ ზოგიერთი იურისდიქცია კანონმდებლობით არ ანესრიგებს ალიმენტის გადახდის ზღვრულ ვადას, მაგალითად, შვილის სრულწლოვანების მიღწევას. ზოგადი წესის თანახმად, ასეთ დროს, სასამართლოები სარგებლობენ ფართო დისკრეციით, განსაზღვრონ რჩენის ვალდებულების დროითი საზღვრები. თუმცა ამ დროს, მიუხედავად საკანონმდებლო რეგულაციის არარსებობისა, უცხოურ სასამართლო პრაქტიკაში გაბატონებული მიდგომით, მშობლის ვალდებულება წყდება შვილის სრულწლოვანების მიღწევისას.⁷ ამ წესიდან გამონაკლისი დაშვებულ იქნა ისეთ შემთხვევებში, როდესაც არსებობს განსაკუთრებული

² *შენგელია*, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1222, გვ. 213.

³ *Elkins v. Elkins*, 262 Ark. 63, 553 S.W.2d 34 (1977).

⁴ *Reiter v. Reiter*, 225 Ark. 157, 278 S.W.2d 644 (1955); *Holt v. Holt*, 42 Ark. 495 (1883).

⁵ *Shue v. Shue*, 162 Ark. 216, 258 S.W. 128 (1924).

⁶ *Barnhard v. Barnhard*, 252 Ark. 167, 477 S.W.2d 845 (1972).

⁷ *Missouri Pacific Railroad v. Foreman*, 196 Ark. 636, 119 S.W.2d 747 (1938); *Childers v. Childers*, 229 Ark. 11, 313 S.W.2d 75 (1958).

გარემოება, რომელიც ამართლებს სრულწლოვანი შვილის რჩენის ვალდებულებას.⁸ როგორც წესი, ეს ეხება ჯანმრთელობის პრობლემებთან დაკავშირებულ შემთხვევებს.⁹ მაგალითად, როდესაც შვილს დაბადებიდან გააჩნია ფიზიკური ნაკლი, რაც მას არ აძლევს შრომის შესაძლებლობას, მშობელს ეკისრება შვილის რჩენის ვალდებულება შვილის სრულწლოვანების ასაკის მიღწევის შემდეგაც.¹⁰ ფიზიკური ნაკლის ერთ-ერთ მაგალითს წარმოადგენს ეპილეფსია.¹¹

ზოგადი წესის თანახმად, მშობელი არ არის ვალდებული განაგრძოს შვილის რჩენა მანამდე, სანამ ის უნივერსიტეტს დაასრულებს ან მუშაობას დაიწყებს. როგორც წესი, უნივერსიტეტის დასრულებამდე რჩენის ვალდებულება არსებობს მაშინ, როდესაც შვილს გააჩნია რაიმე ისეთი ფიზიკური ნაკლი, რომელიც მას შრომისუუნაროს ხდის.¹² თუმცა, გამონაკლის შემთხვევაში, ზოგიერთი ქვეყნის სასამართლო აგრძელებს რჩენის ვალდებულებას სრულწლოვანების შემდეგაც რამდენიმე თვით, რათა შვილმა შეძლოს სწავლის დასრულება, თუკი დახმარების შეწყვეტა ამას არსებითად გაართულებდა ან შეუძლებელს გახდიდა.¹³ ეს ვალდებულება ეფუძნება ბუნებითი სამართლის პრინციპებს და წარმოადგენს არა მხოლოდ შვილის, არამედ საზოგადოების მიმართ არსებულ ვალდებულებას, ვინაიდან საზოგადოებამ არ უნდა იკისროს მშობლის ნაცვლად შვილზე ზრუნვის მოვალეობა.¹⁴ შესაძლებელია მშობელმა და შვილმა შეთანხმება დადონ, რომლითაც მშობლის ვალდებულება გახანგრძლივდება შვილის მხრიდან სამსახურის დაწყებამდე. თუმცა, თუკი შვილი საპატიო მიზეზის გარეშე უარს ამბობს შეთავაზებულ სამსახურზე, ითვლება, რომ მან თავად შეუშალა ხელი მამის მხრიდან შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას და ალიმენტის ვალდებულება შეწყდება.¹⁵ როგორც წესი, რა ზედა ზღვარიც არ უნდა იყოს დაწესებული ალიმენტის გადახდის ვალდებულების

4

⁸ Upchurch v. Upchurch, 196 Ark. 324, 117 S.W.2d 339 (1938).

⁹ Annot., 1 A.L.R.2d 910, 921 (1948).

¹⁰ Eskridge v. Eskridge, 216 Ark. 592, 226 S.W.2d 811 (1950).

¹¹ Petty v. Petty, 252 Ark. 1032, 482 S.W.2d 119 (1972).

¹² Riegler v. Riegler, 259 Ark. 203, 532 S.W.2d 734 (1976).

¹³ Matthews v. Matthews, 245 Ark. 1, 430 S.W.2d 864 (1968).

¹⁴ Johnson v. Mitchell, 164 Ark. 1, 3, 260 S.W. 710, 711 (1924).

¹⁵ Worthington v. Worthington, 207 Ark. 185, 179 S.W.2d 648 (1944).

მიმართ, მშობელი არ არის უფლებამოსილი საკუთარი გადაწყვეტილებით შეწყვიტოს სასამართლოს მიერ დადგენილი ალიმენტის გადახდა.¹⁶

III. მატერიალური მდგომარეობის ცვლილება

5 1222-ე მუხლის ტექსტიდან ირკვევა, რომ იგი ეხება კონკრეტულად ორ შემთხვევას: (ა) მშობლების ვალდებულება სრულწლოვანი შრომისუნარო შვილების მიმართ და (ბ) შვილების ვალდებულება შრომისუნარო მშობლების მიმართ.

6 ალიმენტის გადამხდელის მატერიალური და ოჯახური მდგომარეობის ცვლილება აისახება მის გადახდისუნარიანობაზე და, შესაბამისად, მის მატერიალურ სახსარზე (იხ. 1221-ე მუხლის კომენტარი), ხოლო ალიმენტის მიმღების მდგომარეობის ცვლილება აისახება მის მატერიალურ საჭიროებაზე, რაც ასევე გადამწყვეტია ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას 1214-ე მუხლის მიხედვით (იხ. ამ მუხლის კომენტარი). როგორც ერთი, ისე მეორე ცვლილება შეიძლება გახდეს ასევე უკვე დადგენილი ალიმენტის ოდენობის შეცვლის მიზეზი. ეს ცვლილება შეიძლება ეხებოდეს, როგორც ალიმენტის გაზრდას, ისე მის შემცირებას.¹⁷

1. ალიმენტის შემცირება

7 ალიმენტის შემცირებისას საუბარია ისეთ ნეგატიურ ცვლილებებზე, რომლებიც ობიექტურად აღარ აძლევს ალიმენტის გადახდაზე ვალდებულ პირს ალიმენტის დადგენილი ოდენობით გადახდის შესაძლებლობას. ამგვარ ცვლილებებად, შეიძლება, მივიჩნიოთ გაკოტრება,¹⁸

¹⁶ *Thompson v. Thompson*, 254 Ark. 881, 496 S.W.2d 425 (1973); *Jerry v. Jerry*, 235 Ark. 589, 361 S.W.2d 92 (1962).

¹⁷ *შენგელია*, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1222, გვ. 214.

¹⁸ აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ქართული კანონმდებლობა არ იცნობს ფიზიკური პირის გაკოტრების ინსტიტუტს, თუმცა პირის ფაქტობრივი გადახდისუნარობა უნდა გაუთანაბრდეს მის ფორმალურ გაკოტრებას, თუკი მხარე სათანადო მტკიცებულებებით შეძლებს ამის დადასტურებას.

სამუშაოს დაკარგვა, შშმ პირად ქცევა და ამით გამოწვეული შრომისუნარიობა და ა. შ. ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ გადამხდელის მიზეზით და ბრალით გამოწვეული მატერიალური მდგომარეობის გაუარესება ალიმენტის შემცირების მიზეზი ვერ გახდება: მაგალითად, თუ ის ნებაყოფლობით ანებებს თავს შემოსავლის მომტან სამუშაოს, რეალური ალტერნატივის წინასწარ მოძიების გარეშე. გამონაკლისის სახით, სამუშაოსათვის თავის დანებება შეიძლება საპატიოდ ჩაითვალოს, თუ ის ხდება სწავლის გაგრძელებისა და მოგვიანებით უფრო მაღალკვალიფიციურ პროფესიონალად ჩამოყალიბების მიზნით. ამასთან გასათვალისწინებელია, რომ მაღალკვალიფიციურობა პირდაპირ კავშირში უნდა იყოს მოგვიანებით უკეთესი სამუშაოს შოვნის შანსებთან.

გარდა ამისა, ალიმენტის შემცირების მიზეზი შეიძლება გახდეს ისეთი ცვლილებები, რომლებიც უკავშირდება გადამხდელის ოჯახურ სტატუსს ან ცვლილებები, რომლებიც მნიშვნელოვნად ამცირებენ მის გადახდისუნარიანობას.¹⁹ მაგალითად, დაოჯახება და ახალი საალიმენტო ვალდებულებების წარმოშობა. თუმცა აქაც გასათვალისწინებელია ამ საალიმენტო ვალდებულებების რანგი: მაგალითად, ახალი მეუღლის რჩენის ვალდებულება ვერ „ჩააჩოჩებს“ და ვერ გახდება შვილის რჩენის ვალდებულების შემცირების საფუძველი.

8

პოზიტიური ცვლილებები, რომლებიც შეიძლება ალიმენტის რაოდენობის შემცირების საფუძველი გახდეს, ძირითადად უკავშირდება ალიმენტის მიმღების შემოსავლის ან ქონების მკვეთრ და არაუკუქცევად ზრდას: განათლების მიღების შემდეგ სამუშაოს დაწყება, მნიშვნელოვანი ღირებულების მქონე სამკვიდროს მიღება და ა. შ.

9

2. ალიმენტის გაზრდა

ალიმენტის გაზრდის საფუძველი, ზოგადად, ვერ გახდება მხოლოდ პოზიტიური ქონებრივი ცვლილება გადამხდელის მხარეზე, რადგან ალიმენტის განსაზღვრისას, მართალია, მის მდგომარეობას ყურადღე-

10

¹⁹ შენგელია, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1222, გვ. 214.

ბა ექცევა, თუმცა ამოსავალი და მთავარი კრიტერიუმი ალიმენტის მიმღების საჭიროებებია. გამონაკლისის სახით, თუ გადაამხდელის დუხჭირი ქონებრივი მდგომარეობიდან გამომდინარე, მიმღებს თავის დროზე ვერ დაენიშნა ალიმენტი იმ ოდენობით, რომელიც აუცილებელი იყო მისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის, ამ მდგომარეობის გაუმჯობესების შემდეგ შეიძლება მოთხოვნილ იქნეს ალიმენტის გაზრდა.

11 თუმცა ალიმენტის გაზრდის სტანდარტული საფუძველია მიმღების მოთხოვნილებების ზრდა, რაც შეიძლება განპირობებული იყოს ალიმენტის მიმღების გაღარიბებით, დაზიანებით გამონვეული ფიზიკური ჯანმრთელობის მნიშვნელოვანი დარღვევით და ა. შ. ამასთან, აუცილებელია, რომ ეს გაზრდა არ უნდა იყოს გამონვეული მიმღების ბრალით. მაგალითად, წამალდამოკიდებულებით გამონვეული დაზიანებები, რომლებიც არაგარდამავლად ზრდის ალიმენტის მიმღების მოთხოვნილებებს.

12 ალიმენტის მიმღების დაოჯახება და, თავის მხრივ, მისი საალიმენტო ვალდებულების წარმოშობა ვერ ჩაითვლება საკმარის საფუძველად გადასახდელი ალიმენტის ოდენობის გაზრდისათვის. გამონაკლისს წარმოადგენს შემთხვევა, როდესაც მიმღები დაქორწინდა ისე, რომ ჰქონდა საკუთარი თავისა და ოჯახის რჩენის სახსარი და შემდეგ საკუთარი ბრალის გარეშე დარჩა უსახსროდ. თუმცა პრაქტიკაში ეს შემთხვევა რთული წარმოსადგენია.

IV. სამართლებრივი შედეგები

13 სამართლებრივი შედეგის სახით დანაწესში პირდაპირ საუბარია მხოლოდ ალიმენტის რაოდენობის ცვლილებაზე, თუმცა ეს მოიცავს ასევე მის სრულ გაუქმებასაც, თუ სარჩენი პირი საერთოდ აღარ საჭიროებს რჩენას ან მარჩენალს მთლიანი სახსრები ამოწურა და არაფრის გადახდა არ შეუძლია.

თავი მეოთხე

ოჯახის სხვა წევრების საალიმენტო მოვალეობანი

მუხლი 1223. და-ძმების ურთიერთრჩენის მოვალეობა

დები და ძმები, რომელთაც საკმაო სახსრები აქვთ, მოვალენი არიან არჩინონ თავიანთი არასრულწლოვანი დები ან/და ძმები, რომლებიც დახმარებას საჭიროებენ და არ შეუძლიათ სარჩო მიიღონ მშობლებისაგან. ასეთივე მოვალეობა ეკისრებათ მათ იმ შრომისუუნარო სრულწლოვანი დების ან/და ძმების მიმართ, რომლებიც დახმარებას საჭიროებენ, თუ მათ არ შეუძლიათ მიიღონ სარჩო თავისი მშობლების, მეუღლის ან შვილებისაგან.

- | | |
|--|-----|
| I. ზოგადი | 359 |
| II. 1223-ე და მომდევნო მუხლებით გათვალისწინებული საალიმენტო მოთხოვნათა სისტემატიკა და გამართლება | 360 |

I. ზოგადი

1223-ე და მომდევნო მუხლები აწესრიგებენ მშობლებისა და შვილების გარდა სხვა ნათესავებს შორის ალიმენტის გადახდის ვალდებულებას. ალიმენტის მოთხოვნის წინაპირობები აქაც უცვლელი რჩება: 1. ნათესაობა; 2. მატერიალური საჭიროება და 3. ალიმენტის გადახდაზე ვალდებულ პირს უნდა ჰქონდეს შესაბამისი შესაძლებლობა. ამ თვალსაზრისით, რელევანტური ხდება 1212-ე და 1214-ე მუხლების კომენტარში განვითარებული მსჯელობა. თუმცა, მშობლებისა და შვილების შემთხვევისგან განსხვავებით, 1223-ე მუხლი ალიმენტის დასაკისრებლად, დამატებით წინაპირობად ითვალისწინებს ალიმენტის მიღების შეუძლებლობას მშობლებისაგან (არასრულწლოვანის შემთხვევაში) და მშობლების, მეუღლის ან შვილებისაგან (სრულწლოვანის შემთხვევაში).¹ მოცემულ ნორმას სხვა წინაპირობები არ აქვს. განსხვავებით განქორწინების შემდეგ გადასახდელი სარჩოსაგან, ალიმენტის გადახდა

1

¹ შენგელია, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1223, გვ. 215.

არ ითვალისწინებს დროით ჩარჩოებსა და მონაკვეთებით შემოზღუდვას. ამიტომაც, მატერიალური საჭიროების მიზეზი, ჩვეულებრივ, უმნიშვნელოა.

II. 1223-ე და მომდევნო მუხლებით გათვალისწინებული საალიმენტო მოთხოვნათა სისტემატიკა და გამართლება

- 2** 1223-ე და მომდევნო მუხლებში მონესრიგებულია არა მხოლოდ პირდაპირი აღმავალი და დაღმავალი შტოს ნათესავეებს (1224, 1225) შორის ალიმენტის გადახდის ვალდებულება, არამედ ასევე დაძმებს,² მამინაცვალ-დედინაცვალსა (1226) და გერს (1227) შორის ურთიერთობაში, ასევე ფაქტობრივ აღმზრდელისა და აღზრდილს (1229) შორის ურთიერთობაში. ამით ქართველი კანონმდებელი უხვევს გერმანული გადანყვეტისაგან, სადაც საალიმენტო მოთხოვნა მხოლოდ პირდაპირი ხაზის ნათესავეებს შორის არსებობს.³ განსხვავება განპირობებულია ოჯახური და ზოგადად ნათესაური კავშირების განსხვავებული სოციო-კულტურული აღქმით. მაგალითად, მაშინ, როდესაც გერმანელები საალიმენტო მოთხოვნას ავრცელებენ „დიდ“ ბებიასა და ბაბუაზე, ქართველი კანონმდებელი ამ ვალდებულებებს მხოლოდ ბებია-ბაბუაზე წყვეტს (1224, 1225), რაც სამართლის დოგმატიკის მიღმა მდებარე საკითხია. გარკვეული გაგებით ქართველი კანონმდებელი უფრო შორს არის ტრადიციული ოჯახური მოდელისაგან, სადაც რამდენიმე თაობას პირადი ურთიერთობა და „ამაგი“ აკავშირებს, რაც წარმოადგენს საალიმენტო პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს. ამის საპირისპიროდ, ქართველი კანონმდებელი მიიჩნევს, რომ მამინაცვალსა და გერს შორის ეს საერთო ოჯახური კავშირი უფრო ხშირია თანამედროვე სამყაროში, ვიდრე „დიდ“ ბებიასა და შვილთაშვილს შორის. გერმანული სამართალი ასევე არ ცნობს საალიმენტო ვალდებულებებს დაძმას შორის, რაც განპირობებულია ზემოთ აღნიშნული აღმზრდელობითი მომენტის არარსებობით. ამის საპირისპიროდ, ქართველი კანონმ-

² შენგელია, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1223, გვ. 216.

³ შდრ. გსკ-ის 1601-ე პარაგრაფი.

დებელი მიიჩნევს, რომ და-ძმას შორის სისხლისმიერი (ან შვილად აყვანის შედეგად წარმოშობილი) კავშირი გადამწყვეტი და საკმარისია ალიმენტის მოთხოვნის მინიჭებისათვის.

საალიმენტო მოთხოვნა არ ვრცელდება გვერდითი ხაზის ისეთ ნათესავებზე, როგორებიც არიან ბიძა, მამიდა, ბიძაშვილი და ა. შ., ასევე მეუღლის ნათესავებსა თუ შვილების ქორწინებით დანათესავებულ პირებზე, თუმცა, გამონაკლისის სახით, ამ პირებისათვის უსაფუძვლოდ გადახდილი ალიმენტის უკუმოთხოვნა შეიძლება გამოირიცხოს 976 II ა) მუხლის საფუძველზე.

3

მუხლი 1224. შვილიშვილის საალიმენტო მოვალეობა შრომისუნარო პაპისა და ბებუის მიმართ

შვილიშვილი, რომელსაც საკმაო სახსრები აქვს, მოვალეა არჩინოს თავისი შრომისუნარო პაპა და ბებია, რომლებიც დახმარებას საჭიროებენ, თუ მათ არ შეუძლიათ მიიღონ სარჩო თავისი შვილისაგან ან ერთმანეთისაგან.

I. ზოგადი362

II. რეგრესი.....362

 1. წინა რიგის ალიმენტის მოვალის გადახდისუნარობა363

 2. წინა რიგის მოვალის მიმართ მოთხოვნის განუხორციელებლობა363

I. ზოგადი

- 1** აღმავალი ხაზის ნათესავებში, მშობლებისა და შვილების ურთიერთრჩენის ვალდებულების გარდა, საალიმენტო ვალდებულებები ეკისრებათ ასევე შვილიშვილს პაპისა და ბებუის წინაშე (1224)¹ და პირიქით (1225), იმისდა მიხედვით, თუ რომელი საჭიროებს დახმარებას.
- 2** ყველა ის პრინციპი, რომლებიც მოქმედებს შვილების მიერ მშობლების სარჩენად ალიმენტის გადახდის შემთხვევაში (მაგ., „შავი დღის ფული“, იხ. 1218-ე მუხლის კომენტარი), ძალაში რჩება პაპა-ბებუის რჩენისასაც.

II. რეგრესი

- 3** სხვადასხვა ხარისხის ნათესაური კავშირით დაკავშირებულ ალიმენტის მოვალეებს შორის არსებობს რიგითობა² (იხ. ამასთან დაკავშირებით 1212-ე მუხლის კომენტარი, მე-11 და მომდევნო ველები). ზოგადად, მომდევნო რიგის ალიმენტის მოვალე არ არის ვალდებული გადა-

¹ *შენგელია*, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1224, გვ. 217.

² იქვე, გვ. 218.

იხადოს, თუ არსებობს წინა რიგის მოვალე. თუ ის მაინც იხდის ალიმენტს, დგება ამ რანგით წინ მდგომისაგან რეგრესის წესით გადახდილის მოთხოვნის საკითხი. ამ დროს გამოსაყოფია შემდეგი კონსტელაციები:

1. წინა რიგის ალიმენტის მოვალის გადახდისუუნარობა

თუ, მაგალითად, შვილიშვილი ან სხვა მომდევნო რიგის მოვალე უხდის პაპას ან ბებიას ალიმენტს, მათი შვილის ან მეუღლის მაგივრად, იმიტომ, რომ ეს უკანასკნელნი გადახდისუუნარონი არიან, ზოგადად, მას ამ სიტუაციაში არ აქვს რეგრესის მოთხოვნა, რადგან გადახდისუუნარობა ალიმენტის მოვალეს ათავისუფლებს ვალდებულებისაგან და, შესაბამისად, გადამხდელი აქ არ ასრულებს სხვის შესასრულებელ ვალდებულებას.

4

2. წინა რიგის მოვალის მიმართ მოთხოვნის განუხორციელებლობა

ამის საპირისპიროდ, თუ მომდევნო რიგის მოვალე ასრულებს იმის გამო, რომ წინა რიგის მოვალისაგან ალიმენტის თანხის „ამოღება“ შეუძლებელია, მაშინ შემსრულებელი მოიპოვებს მის მიმართ მოთხოვნას 986-ე და ასევე 969, 973-ე მუხლების მიხედვით.³

5

³ Born, in Münchener Kommentar zum BGB, 7. Aufl., 2017, § 1607 Rn. 24.

მუხლი 1225. პაპისა და ბეზიის საალიმენტო მოვალეობანი შვილიშვილების მიმართ

პაპა და ბეზია, რომელთაც საკმაო სახსრები აქვთ, მოვალენი არიან არჩინონ თავიანთი არასრულწლოვანი შვილიშვილი, რომელიც დახმარებას საჭიროებს, თუ მას არ შეუძლია სარჩო მიიღოს თავისი მშობლებისაგან. ასეთივე მოვალეობა ეკისრებათ მათ იმ შრომისუუნარო სრულწლოვანი შვილიშვილის მიმართ, რომელიც დახმარებას საჭიროებს, თუ მას არ შეუძლია მიიღოს სარჩო თავისი მშობლების, მეუღლის ან შვილებისაგან.

I. ზოგადი

- 1** პაპისა და ბეზიის საალიმენტო მოვალეობების დადგენის წინაპირობა, პირველ რიგში, რა თქმა უნდა, არის შესაბამისი ნათესაური კავშირის არსებობა მათსა და შვილიშვილს შორის. გარდა ამისა, მათ უნდა ჰქონდეთ ალიმენტის გადახდისათვის შესაბამისი სახსარი და შვილიშვილი საჭიროებდეს მატერიალურ დახმარებას.¹ ამ წინაპირობებთან დაკავშირებით, ზოგადად, მოქმედებს 1214-ე და 1221-ე მუხლის კომენტარში გამოთქმული, თუმცა იმ თავისებურებით, რომ პაპა და ბეზია არ არიან ვალდებული „გაიღარიბონ“ თავი შვილიშვილის რჩენის ფარგლებში და ეჭვქვეშ დააყენონ საკუთარი კეთილდღეობა და უზრუნველყოფილი სიბერე. ამიტომაც გადასახდელი ალიმენტის ოდენობის გამოთვლისას მათაც აქვთ ე. წ. „თავის შენახვის ხარჯების“ „ბონუსი“, რომლის გამოკლების შემდეგ (შემოსავლიდან და ქონებიდან) გამოითვლება შვილიშვილისათვის გადასახდელი ალიმენტი² (შდრ. მუხ. 1218 მე-13 ველი).

II. სუბსიდიური პასუხისმგებლობა

- 2** პაპისა და ბეზიის საალიმენტო ვალდებულება არის სუბსიდიური, ანუ წარმოიშობა მხოლოდ მაშინ, თუ შვილიშვილს არ შეუძლია მიიღოს

¹ შენგელია, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1225, გვ. 219.

² BGH NJW 2006, 144.

სარჩო თავისი მშობლების, მეუღლის ან შვილებისაგან. იხ. რანგთან დაკავშირებით დეტალურად მუხ. 1212 მე-11 და მომდევნო და მუხ. 1224 მე-3 და მომდევნო ველები.

მუხლი 1226. მამინაცვლისა და დედინაცვლის საალიმენტო მოვალეობა

მამინაცვალი და დედინაცვალი, რომელთაც საკმაო სახსრები აქვთ, მოვალენი არიან არჩინონ თავიანთი არასრულწლოვანი ან/და შრომისუუნარო გერი, რომელსაც დახმარება ესაჭიროება, თუ იგი იმყოფება მათთან აღსაზრდელად ან სარჩინად და არა ჰყავს მშობლები ან არ შეუძლია მათგან მიიღოს თავისი სარჩენი სახსრები.

- 1** განსხვავებით არაერთი ევროპული (მაგ., გერმანული¹) სამოქალაქო კოდექსისგან, ქართველმა კანონმდებელმა 1226-ე მუხლში ცალსახად დააფიქსირა გერის საალიმენტო მოთხოვნები მამინაცვლისა და დედინაცვლის მიმართ² ისევე, როგორც პირიქით – გერის საალიმენტო მოვალეობები 1227-ე მუხლში.³ საალიმენტო ვალდებულებების გავრცელება გერსა და მამინაცვალ-დედინაცვალს შორის ურთიერთობაზე ნარმოადგენს ოჯახის იმ განვრცობილი სოციალური ცნების ნაწილს, რომელიც საფუძვლად უდევს საალიმენტო სამართალს და რომელიც არ შემოიფარგლება მხოლოდ ბიოლოგიური ან სამართლებრივი ნათესაური კავშირით.⁴ აქ კანონმდებელი მიიჩნევს, რომ გერსა და მისი მშობლის მეუღლეს შორის არსებობს ოჯახური ბმა, რაც საკმარისია საალიმენტო ვალდებულებების დაკისრებისათვის. თუმცა ამისათვის აუცილებელია შემდეგი წინაპირობების შესრულება: მამინაცვალი ან დედინაცვალი უნდა იმყოფებოდეს ქორწინებაში გერის მშობელთან, როგორც ამას თავად ეს ცნება გულისხმობს, გერი აღსაზრდელად უნდა რჩებოდეს მასთან, მშობლის გარდაცვალების ან ამ უკანასკნელისაგან სარჩოს მიღების შეუძლებლობის შემდეგ, ანუ მათ შორის უნდა არსებობდეს ოჯახური ერთობა.⁵ ეს შემთხვევა არ არის სახეზე, როდესაც გერი ცალკე გადადის საცხოვრებლად, გადადის სხვა ნათესავთან ან

¹ გამონაკლისი გსკ-ის 1371 IV პარაგრაფი: გერის მოთხოვნა განათლების დაფინანსებაზე მშობლის გარდაცვალებისას.

² *შენგელია*, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1226, გვ. 220.

³ გერის საალიმენტო მოვალეობასთან დაკავშირებით იხ. *შენგელია*, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1227, გვ. 221.

⁴ *შენგელია*, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1226, გვ. 220.

⁵ იქვე, გვ. 220.

რჩება მამინაცვალთან თუ დედინაცვალთან, მხოლოდ გამოუვალი სიტუაციის გამო, ისე, რომ მათ შორის ეს ოჯახური ერთობა დარღვეულია. ამ შემთხვევაში მათ შორის არ არის აღზრდის (რჩენის) ელემენტი, რაც გაამართლებდა ალიმენტის მოთხოვნის არსებობას.

შვილის შემთხვევაში სახეზეა საალიმენტო ვალდებულება 1212-ე **2** (1218-ე) და მომდევნო მუხლების მიხედვით.

მუხლი 1227. გერის საალიმენტო მოვალეობა

1. გერი, რომელსაც საკმაო სახსრები აქვს, მოვალეა არჩინოს თავისი შრომისუუნარო მამინაცვალი ან/და დედინაცვალი, რომელთაც დახმარება ესაჭიროებათ, თუ ისინი ადრე ზრდიდნენ ან არჩენდნენ მას.

2. სასამართლოს შეუძლია გაათავისუფლოს გერი მამინაცვალის ან/და დედინაცვლის რჩენის მოვალეობისაგან, თუ ისინი მას ზრდიდნენ ან არჩენდნენ ხუთ წელზე ნაკლები დროის განმავლობაში, აგრეთვე, თუ ისინი სათანადოდ არ ასრულებდნენ გერის აღზრდის მოვალეობას.

იხ. მოცემული დანაწესის გაგებისათვის მნიშვნელოვან ცნებებთან დაკავშირებით 1226-ე მუხლის კომენტარი.

მუხლი 1228. (ამოღებულია)

საქართველოს 2007 წლის 18 დეკემბრის კანონი №5624 - სსმ I, №48, 27.12.2007წ., მუხ.414

მუხლი 1229. საალიმენტო მოვალეობანი ფაქტობრივი აღმზრდელის მიმართ

პირი, რომელიც იმყოფებოდა მუდმივ აღსაზრდელად და სარჩენად, მოვალეა მისცეს სარჩო თავის ფაქტობრივ აღმზრდელს, თუ იგი შრომისუუნაროა, საჭიროებს დახმარებას, მაგრამ მისი მიღება არ შეუძლია თავისი შვილების ან მეუღლისაგან.

1229-ე მუხლი აწესრიგებს აღმზრდელის მიერ სარჩოს მოთხოვნის უფლებას.¹ აქ, ისევე როგორც 1226-ე და 1227-ე მუხლების შემთხვევაში, კანონმდებელი უხვევს სისხლის ნათესაობის პრინციპიდან და ალიმენტის მოთხოვნისათვის საკმარისად მიიჩნევს იმ ფაქტობრივ ამაგს, რომელიც გააჩნია აღმზრდელს აღზრდილზე. თუმცა, ამასთან აქცენტს აკეთებს „მუდმივი“ ხასიათის აღზრდაზე. ეს, რა თქმა უნდა, არ გულისხმობს ბავშვის დაბადებიდან მის სრულწლოვანებამდე აღზრდას, რადგან არც მშობელს არ ევალება ამის გაკეთება (საკმარისია, თუ ის ასრულებს თავის საალიმენტო ვალდებულებას, რათა მოგვიანებით თავადაც ჰქონდეს შვილის მიმართ საალიმენტო მოთხოვნები).

სარჩოს ოდენობის განსაზღვრა უნდა მოხდეს 1230-ე მუხლში დადგენილი სტანდარტის შესაბამისად.

„მუდმივი აღზრდა“ გულისმობს არადროებითი და არაგარდამავალი ხასიათის ურთიერთობას, რომელიც არ არის განპირობებული კონკრეტული ინსტიტუციონალური სიტუაციით (აღმზრდელი ინტერნატში) და თავისი ხასიათით უახლოვდება და უტოლდება მშობელსა და შვილს შორის ურთიერთობას. აღზრდის ხანგრძლივობა გადამწყვეტი არ არის, თუმცა, 1227 II მუხლის ანალოგიით, ის არ უნდა იყოს ხუთ წელზე ნაკლები.

აღზრდა გულისმობს, ისევე, როგორც მშობლის ზრუნვის შემთხვევაში, პიროვნულ და ქონებრივი ზრუნვასა და, ამავდროულად, აღსაზ-

¹ შენგელია, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1229, გვ. 227.

რდელზე საკუთარი პიროვნული და ეკონომიკური რესურსების დახარჯვას. თუ ამ ელემენტებიდან ერთ-ერთი მაინც არ არის სახეზე, 1229-ე მუხლი არ გამოიყენება.

მუხლი 1230. ალიმენტის ოდენობის განსაზღვრის წესი

1. ამ თავში მოხსენიებულ პირთათვის გადასახდელი ალიმენტის ოდენობას, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, განსაზღვრავს სასამართლო ყოველთვიურად გადასახდელი თანხის სახით, ალიმენტის გადამხდელისა და მიმღების მატერიალური და ოჯახური მდგომარეობის გათვალისწინებით.

2. თუ ოჯახის რჩენა ერთდროულად რამდენიმე პირის მოვალეობაა, სასამართლო მათი მატერიალური და ოჯახური მდგომარეობის გათვალისწინებით განსაზღვრავს თითოეულის წილის ოდენობას ამ მოვალეობის შესრულებაში; ამასთან, სასამართლო მხედველობაში იღებს ალიმენტის გადამხდელ ყველა პირს, იმისდა მიუხედავად, ალიმენტს სთხოვენ ყველა ამ პირს, თუ მხოლოდ ერთ ან რამდენიმე მათგანს.

I. ზოგადი371

II. ალიმენტის ოდენობა – ცხოვრებისეული მოთხოვნილებები, ცხოვრების დონე .372

 1. ცხოვრებისეული მოთხოვნილებების განსაზღვრა373

 2. აღზრდის ხარჯები.....373

 3. განათლების ხარჯები.....373

III. ერთი და იმავე რანგის საალიმენტო ვალდებულება, 1230 II.....374

I. ზოგადი

გადასახდელი ალიმენტის ოდენობა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში განისაზღვრება სასამართლოს მიერ ფულადი თანხით, თუმცა დასაშვებია ასევე ნატურით განხორციელებული შესრულების (იხ. ქვევით) ალიმენტად ჩათვლა. ალიმენტის განსაზღვრისას სასამართლო მხედველობაში იღებს ალიმენტის გადამხდელის მატერიალურ და ოჯახურ მდგომარეობას.¹

1

¹ შენგელია, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1230, გვ. 228.

II. ალიმენტის ოდენობა – ცხოვრებისეული მოთხოვნილებები, ცხოვრების დონე

2 ალიმენტის ოდენობა საკმარისი უნდა იყოს უფლებამოსილი პირის ცხოვრებისეული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ცხოვრებისეული მოთხოვნილებები გულისხმობს ყველა ყოფითი საჭიროების დაკმაყოფილებას. არ არსებობს კანონისმიერი მინიმალური ზღვარი ყოფითი მოთხოვნილებებისათვის. თავშესაფარში ან ფსიქიატრიულ დაწესებულებაში მოთავსებული მშობლის მოთხოვნილებები იფარება იქ ყოფნის ხარჯებით; გადამწყვეტია აქტუალური და არა წარსულში არსებული ცხოვრების (უკეთესი) დონე.² შვილის შემთხვევაში, რომელსაც ჯერ კიდევ არ შეუძლია საკუთარი ცხოვრების მოწყობა, ორიენტირება უნდა მოხდეს მშობლების ცხოვრების დონეზე.³ განსხვავებით მეუღლის რჩენისაგან, 1212-ე და მომდევნო მუხლების მიხედვით გადასახდელი სარჩო განისაზღვრება ვალდებული პირის ამჟამინდელი დონით; გამომდინარე აქედან, ბავშვს, ზოგადად, არ აქვს მოთხოვნა უკეთ ანაზღაურებადი სამსახურის შენარჩუნებასთან დაკავშირებით.⁴ ბავშვის ნიჭისა და უნარიდან გამომდინარე, რომელიც შეიძლება განვითარდეს შესაბამისი განათლების მიცემით, მისთვის აუცილებელმა ცხოვრების სტანდარტმა შესაძლოა უკვე დამოუკიდებელი მოხაზულობა მიიღოს და აუცილებლად წარმოაჩინოს, ერთი შეხედვით, მშობლების ცხოვრების დონესთან შეუსაბამო განათლების ხარჯების გაღება. თუ ალიმენტის გადამხდელი უცხოეთში ცხოვრობს, აუცილებელია მისი ცხოვრების დონის გამოსათვლელად იქაური და მშობლიური ვალუტების მსყიდველუნარიანობის შეპირისპირება და ასევე სხვა სტატისტიკური მონაცემების მოშველიება.⁵

3 არასრულწლოვანი ბავშვების ცხოვრებისეული ურთიერთობები, პირველ რიგში, განპირობებულია მათი „ბავშვობით“, ანუ სკოლისა და გა-

² BGH FamRZ 2015, 2138.

³ BGH NJW-RR 1986, 426.

⁴ OLG Zweibrücken NJW 1997, 2390.

⁵ შდრ. BGH NJW 2014, 2787.

ნათლების აუცილებლობით. ამან შეიძლება გამოიწვიოს მაღალი შემოსავლის მქონე ალიმენტის მოვალის მიერ გადასახდელი ალიმენტის ოდენობის შემოზღუდვა.⁶

1. ცხოვრებისეული მოთხოვნილებების განსაზღვრა

ცხოვრებისეულ მოთხოვნილებებს განეკუთვნება, პირველ რიგში, რა თქმა უნდა, საკვები, ბინა და ტანსაცმელი, თუმცა, ასევე, წამლები ავადმყოფობისას და სამედიცინო დაზღვევა, დანახარჯები კულტურული ღონისძიებებისათვის და სხეულებრივი თუ გონებრივი დასვენების შესაძლებლობისათვის. გადასახდელია ასევე ე. წ. ზედმეტი ხარჯებიც, რის ქვეშაც იგულისმება დანახარჯები, რომლებიც მხოლოდ შიგადაშიგ არის გასაწევი, თუმცა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ერთჯერადად ვერ იქნება დაფარული ალიმენტის გადამხდელის მიერ (ძვირადღირებული ოპერაცია), ამასთან, არის კალკულირებადი და შეიძლება გათვალისწინებულ იქნას ალიმენტის განსაზღვრისას (ბავშვი უკვე დაავადებულია და ადრე თუ გვიან აუცილებელი გახდება ოპერაცია).⁷ თუ ერთ-ერთი მშობელი საკუთარ თავზე აიღებს ბავშვის მოვლას, ხოლო შემდეგ მაინც მოჰკიდებს ხელს საქმიანობას, მესამე პირის მიერ ბავშვის მოვლის ხარჯები ვერ ჩაითვლება ზედმეტ ხარჯად.⁸

4

2. აღზრდის ხარჯები

აღზრდის ხარჯები ალიმენტიდან იფარება იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც არსებობს აღზრდის აუცილებლობა და უფლებამოსილება, ანუ ბავშვების შემთხვევაში სრულწლოვანების მიღწევამდე.

5

3. განათლების ხარჯები

განათლების ხარჯების გადახდა უნდა გაგრძელდეს სრულწლოვა-

6

⁶ BGH NJW 1983, 1430; NJW-RR 1986, 426.

⁷ BGH NJW 2013, 2900.

⁸ BGH FamRZ 2018, 24.

ნების მიღწევის შემდეგაც. ალიმენტის გადამხდელი ვალდებულია, მისცეს პროფესიული განათლება, რომელიც შეესაბამება ბავშვის სურვილს, უნარებსა და ანგარიშგასანევ მისწრაფებებს და, ამავდროულად, რისი ხარჯებიც არ არის მშობლების ფინანსური შესაძლებლობების მიღმა.⁹ განათლებაზე მოთხოვნის უფლებას შეესაბამება ამავდროულად შვილის მოვალეობა ჩაერთოს სწავლის პროცესში მონდობებით და სიბეჯითით და დაამთავროს ის შესაბამის დროში (ორმხრივობის პრინციპი).¹⁰ თუ შვილი ხანგრძლივი დროის განმავლობაში არღვევს თავის ამ მოვალეობას, შესაბამისი ალიმენტის მოთხოვნის უფლება ქარწყდება.¹¹ მხოლოდ შეყოვნებები, სწავლის პროცესში ბავშვის მიერ გზიდან უმნიშვნელოდ გადახვევის გამო, ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპის საფუძველზე (8 III), მხედველობაში არ მიიღება.¹² ბავშვს ევალება ასევე, სკოლის დამთავრების შემდეგ მალევე მოახდინოს ორიენტირება და ჩაებას შესაბამისი განათლების პროცესში.¹³ ხანგრძლივმა დაყოვნებამ შეიძლება გააქარწყლოს განათლების ალიმენტის მოთხოვნის უფლება,¹⁴ თუ არ არსებობს შესაბამისი არაგაკიცხვადი მიზეზი¹⁵ ამ დაყოვნებისათვის.

III. ერთი და იმავე რანგის საალიმენტო ვალდებულება, 1230 II

7 ერთი და იმავე რანგის საალიმენტო ვალდებულების შემთხვევაში, მაგალითად, მშობლების ვალდებულებები, ისინი ნაწილდება მათი შემოსავლისა და ქონების მიხედვით.¹⁶ განაწილება გულისხმობს ნილობრივი და არა სოლიდარული (1230 II) ვალდებულების წარმოშობას.¹⁷

⁹ BGH FamRZ 2017, 800.

¹⁰ OLG Koblenz FamRZ 2015, 1814.

¹¹ BGH NJW 1998, 1556.

¹² BGH FamRZ 2017, 1133; FamRZ 2017, 801; NJW 2013, 2752.

¹³ BGH FamRZ 2017, 801.

¹⁴ BGH NJW 1998, 1556.

¹⁵ BGH FamRZ 2017, 1132.

¹⁶ *შენგელია*, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1230, გვ. 229; BGH NJW-RR 1986, 293; BGH FamRZ 1988, 1039.

¹⁷ BGH NJW 1971, 1985.

თუმცა ეს „განანილება“ ყოველთვის არ ხდება თანაბრად, არამედ გადამწყვეტია მშობლების შემოსავალი, მათი ქონებრივი მდგომარეობა და ა. შ.¹⁸

თუ მშობლები ინანილებენ შვილზე ზრუნვასთან დაკავშირებულ ამოცანებს, მაშინ ალიმენტი, შეიძლება, გაიყოს ნატურით და ფულით გადასახდელ ალიმენტად. მაშინაც კი, როდესაც ერთი მშობელი, რომელიც თავის საალიმენტო ვალდებულებას შვილის წინაშე მისი მოვლითა და აღზრდით ასრულებს, ფლობს ასევე შემოსავალს, ჩვეულებრივ, მაინც მხოლოდ მეორე მშობელს ეკისრება მთლიანი ალიმენტის ფულში გადასახდელი ოდენობის დაფარვა.¹⁹ თუ ორივე მშობელი სრულ განაკვეთზეა დასაქმებული, სრულწლოვანი ბავშვის მოვლა, ჩვეულებრივ, ნებაყოფლობითი შესრულებაა და არ ამცირებს ალიმენტის ვალდებულებას.²⁰ თუ მშობლები ერმანეთს ენაცვლებიან შვილის მოვლაში, ორივემ ალიმენტი ფულით უნდა გადაიხადოს.²¹ თუმცა ეს წესი არ მოქმედებს მაშინ, როდესაც ორმხრივი მოვლის მიუხედავად, მის ძირითად ნაწილს მაინც ერთ-ერთი მშობელი ასრულებს; ატარებს რა ის მთავარ პასუხისმგებლობას ბავშვზე, ეს ეთვლება მას შვილის რჩენად და მეორე მშობელი ვალდებულია, ფულით გადაიხადოს ალიმენტი.²²

8

აუცილებელია, სასამართლომ შეიმუშაოს პრინციპები (სასურველია, კონკრეტული ან აბსტრაქტული ცხრილების სახით), რომელთა მიხედვითაც უნდა მოხდეს ფულით გადასახდელი ალიმენტის განსაზღვრა ნატურით გადასახდელის გვერდით.²³ შვილის მოვლის გადაკისრება მესამე პირისათვის წარმოშობს ალიმენტის ფულით გადახდის ვალდებულებას.²⁴

9

¹⁸ BGH NJW 1971, 1983.

¹⁹ BGH NJW 1981, 2462.

²⁰ BGH NJW 1994, 1530.

²¹ BGH NJW 2015, 331; BGH FamRZ 2016, 1055.

²² BGH NJW 2015, 331.

²³ შდრ, გერმანიაში BGH NJW 1981, 1560; NJW 1991, 697; OLG Bamberg NJW 1995, 1434.

²⁴ OLG Hamm FamRZ 1991, 104.

მუხლი 1231. ალიმენტის ოდენობის შეცვლა

თუ შეიცვალა ალიმენტის გადამხდელის ან ალიმენტის მიმღების მატერიალური ან ოჯახური მდგომარეობა, ამ თავში მოხსენიებულ პირთათვის გადასახდელი ალიმენტის ოდენობის სასამართლო წესით დადგენის შემდეგ სასამართლოს უფლება აქვს, ერთ-ერთი მათგანის სარჩელის საფუძველზე შეცვალოს დადგენილი ალიმენტის ოდენობა.

I. ზოგადი	376
II. მატერიალური და ოჯახური მდგომარეობის ცვლილება.....	377
III. მუხლის მოქმედების სფერო	377

I. ზოგადი

- 1 საალიმენტო ვალდებულებები განგრძობადი ხასიათისაა. ალიმენტის უმთავრეს დანიშნულებას სარჩენი პირის მიმდინარე და სხვა აუცილებელი ცხოვრებისეული საჭიროებებით უზრუნველყოფა წარმოადგენს. ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლო მხედველობაში იღებს როგორც სარჩენი პირის, ისე ალიმენტის გადახდაზე ვალდებული პირის მატერიალურ და ოჯახურ მდგომარეობას. საბოლოო ჯამში, მხარეთა მიერ მითითებული ფაქტებისა და საქმეში არსებული მტკიცებულებების ერთობლიობაში შეფასებით სასამართლო ადგენს ალიმენტის სამართლიან და გონივრულ ოდენობას.
- 2 თუმცა, საალიმენტო ვალდებულებების განგრძობადი ხასიათიდან გამომდინარე, შეიძლება შეიცვალოს ის გარემოებები, რომლებიც ალიმენტის დადგენას დაედო საფუძველად.¹ ასეთ დროს სამოქალაქო კოდექსი ალიმენტის გადახედვის შესაძლებლობას ითვალისწინებს 1221-ე, 1222-ე და 1231-ე მუხლებში. ყველა შემთხვევაში, სასამართლოს მიერ დადგენილი ალიმენტის ოდენობის ცვლილება უნდა მოხდეს კვლავ სასამართლოს გადაწყვეტილებით.

¹ *შენგელია*, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1231, გვ. 230.

II. მატერიალური და ოჯახური მდგომარეობის ცვლილება

1231-ე მუხლის გამოყენების წინაპირობას წარმოადგენს ალიმენტის გადახედვის ან ალიმენტის მიმღების მატერიალური ან ოჯახური მდგომარეობის ცვლილება.² ცვლილების მიმართ გამოიყენება იგივე სტანდარტი, რომელიც დადგენილია 1222-ე მუხლში. **3**

III. მუხლის მოქმედების სფერო

1231-ე მუხლი სისტემურად მოთავსებულია მშობლების, შვილებისა და სხვა ნათესავების ურთიერთობების მარეგულირებელი კარის მე-4 თავში, რომელიც აწესრიგებს ოჯახის სხვა წევრების საალიმენტო მოვალეობებს. ოჯახის სხვა წევრებში იგულისხმება მშობლებისა და შვილების გარდა სხვა პირები, რომლებიც ჩამოთვლილია 1223-ე-1229-ე მუხლებში: (ა) და-ძმები (1223); (ბ) შვილიშვილი და ბაბუა/ბებია (1224-1225); (გ) გერი და მამინაცვალი/დედინაცვალი (1226-1227); (დ) აღსაზრდელი და ფაქტობრივი აღმზრდელი (1229). 2007 წლის 18 დეკემბრის ცვლილებებამდე, სამოქალაქო კოდექსის 1228-ე მუხლის მიხედვით, ის პირი, რომელიც მუდმივ აღსაზრდელად და სარჩენად აიყვანდა ბავშვს, მაგრამ შემდგომ უარს იტყოდა მის აღზრდასა და რჩენაზე, ვალდებული იყო, ერჩინა აღსაზრდელი (როგორც შრომისუუნარო სრულწლოვანი, რომელიც დახმარებას საჭიროებს, ისე არასრულწლოვანი აღსაზრდელი), თუ მას არ ჰყავდა მშობლები ან არ შეეძლო მიეღო მათგან სარჩო. აღნიშნული წესი არ ვრცელდებოდა მეურვესა და მზრუნველზე. თუმცა, განხორციელებული ცვლილებების შედეგად კოდექსიდან ეს მუხლი ამოღებულ იქნა. **4**

სისტემურად 1231-ე მუხლი მის გამოყენებას დასაშვებად მიიჩნევს მხოლოდ ამ თავში მითითებული პირების მიმართ დადგენილი ალიმენტის გადახედვის შემთხვევაში. შესაბამისად, ნორმის სიტყვასიტყვითი განმარტებით, მისი გამოყენება არ უნდა იყოს დასაშვები შვილის მიმართ დადგენილი ალიმენტის გადახედვის შემთხვევებში. თუმცა, სასამართლო, მშობლებსა და შვილებს შორის საალიმენტო დავებისას, **5**

² *შენგელია*, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1231, გვ. 230.

ერთობლიობაში იყენებს 1231-ე და 1221-ე მუხლებს.³ ეს პრაქტიკა დაადგინა საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ჯერ კიდევ 2002 წელს. აღნიშნულ საქმეში არასრულწლოვნის დედამ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა მამისათვის ალიმენტის გაზრდილი ოდენობით დაკისრება იმ დასაბუთებით, რომ მამის შემოსავალი გაზრდილია. სასამართლომ იხელმძღვანელა 1231-ე მუხლით და დედის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. ამას დაეთანხმა უზენაესი სასამართლოც.⁴ აღნიშნული გადაწყვეტილება პრეცედენტული ძალისაა, ვინაიდან დღემდე უზენაესი სასამართლო ეთანხმება და ადასტურებს 1231-ე მუხლის გამოყენების შესაძლებლობას მშობლებსა და შვილებს შორის საალიმენტო ურთიერთობებში.⁵ აღნიშნულთან დაკავშირებით ერთ-ერთ საქმეზე საქართველოს უზენაესმა სასამართლომ შემდეგი განმარტება გააკეთა: „აღსანიშნავია, რომ ალიმენტის გაზრდის საკითხის განხილვისას დასაბუთებულია კასატორის მიერ მითითებული ნორმების [მხედველობაშია 1231-ე და 1222-ე მუხლები] გამოყენება, რამდენადაც დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის თანახმად, კანონმდებელი არასრულწლოვანის რჩენა-აღზრდისათვის აუცილებელი ხარჯების ზღვრულ ოდენობას არ ითვალისწინებს და შესაძლებლობას აძლევს სასამართლოს, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ალიმენტის მოცულობა დაადგინოს ისეთი გარემოებების ობიექტურად და სამართლიანად შეფასების შედეგად, როგორცაა მშობლების რეალური ფინანსური შესაძლებლობები, სარჩენი ბავშვის ასაკი, ჯანმრთელობის მდგომარეობა, მისი საჭიროებანი, თითოეული მშობლის კმაყოფაზე

³ სუსგ № 3კ-773-02, 09/07/2002, სუსგ № ას-675-631-2017, 16/06/2017, სუსგ № ას-1313-2018, 14/12/2018, სუსგ № ას-621-2019, 11/07/2019, სუსგ № ას-1163-2019, 09/10/2019, სუსგ № ას-1301-2019, 13/03/2020.

⁴ სუსგ № 3კ-773-02, 09/07/2002.

⁵ ერთ-ერთ სხვა საქმეში, სადაც სადავო იყო ბავშვის მიმართ დადგენილი ალიმენტის გაზრდის საკითხი, საქართველოს უზენაესი სასამართლო დაეთანხმა ქვედა ინსტანციების მხრიდან 1231-ე მუხლის გამოყენების შესაძლებლობას და განმარტა, რომ „საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალსაზრისითაც. სსკ-ის 1221-ე და 1231-ე მუხლების საფუძველზე ალიმენტის ოდენობის გაზრდის სამართლებრივ საკითხზე დადგენილია უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა, იხ., ას-744-1042-09, 26 ოქტომბერი, 2009 წელი“ (სუსგ № ას-675-631-2017, 16/06/2017).

მყოფ პირთა რიცხვი და სხვა.“⁶ იგივე პრაქტიკა იქნა დადგენილი უზენაესი სასამართლოს სხვა გადაწყვეტილებებითაც.⁷

⁶ სუსგ № ას-1313-2018, 14/12/2018.

⁷ სუსგ № ას-1313-2018, 14/12/2018, სუსგ № ას-621-2019, 11/07/2019, სუსგ № ას-1163-2019, 09/10/2019, სუსგ № ას-1301-2019, 13/03/2020.

თავი მეხუთე

ალიმენტის გადახდისა და გადახდევინების წესი

მუხლი 1232. ალიმენტის გადახდა ნებაყოფლობით

1. ის პირი, რომელიც მოვალეა ალიმენტი იხადოს, ნებაყოფლობითი წესით იხდის მას პირადად შემოსავლის მიღების ადგილის მიხედვით.

2. ალიმენტის ნებაყოფლობით გადახდის წესი არ გამოორიცხავს ალიმენტის მიმღების უფლებას, ნებისმიერ დროს სარჩელით მიმართოს სასამართლოს ალიმენტის გადახდევინების შესახებ.

მუხლი 1233. სამუშაოს მიმცემი ორგანიზაციის ადმინისტრაციის მოვალეობა ალიმენტის გადახდისას

1. სამუშაოს მიმცემი ორგანიზაციის ადმინისტრაცია ალიმენტის გადამხდელს ხელფასიდან (პენსიიდან, დახმარებიდან და სხვ.) ყოველთვიურად უკავებს ალიმენტს წერილობითი განცხადების ან სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე და უხდის ან უგზავნის განცხადებაში ან სააღსრულებო ფურცელში მოხსენიებულ პირს არა უგვიანეს სამი დღისა ხელფასის (დახმარების, პენსიის და სხვ.) გაცემის დღიდან.

2. იმ პირის წერილობითი განცხადება, რომელსაც სურს ალიმენტის ნებაყოფლობითი გადახდა, უნდა წარედგინოს სამუშაოს მიმცემი ორგანიზაციის ადმინისტრაციას განმცხადებლის სამუშაო ადგილის ან მის მიერ პენსიის ან დახმარების მიღების ადგილის მიხედვით.

მუხლი 1234. ალიმენტის გადახდევინების მოთხოვნა

1. იმ პირს, რომელსაც აქვს ალიმენტის მოთხოვნის უფლება, კანონით დადგენილი წესით, ამ უფლების დაკარგვამდე ნებისმიერ დროს შეუძლია სასამართლოს საშუალებით მოითხოვოს ალიმენტის გადახდევინება, მიუხედავად ვადისა, რომელიც გასულია ალიმენტის მოთხოვნის უფლების წარმოშობის დროიდან.

2. ალიმენტის გადახდის დაკისრება ხდება მხოლოდ მომავალი დროისათვის სასამართლოში სარჩელის აღძვრის მომენტიდან. წარსული დროის ალიმენტი შეიძლება გადახდევინებულ იქნეს სამი წლის ფარგლებში, თუ სასამართლო დაადგენს, რომ სარჩელის წარდგენამდე მიღებული იყო ზომები სარჩოს მისაღებად, მაგრამ ალიმენტი არ იქნა მიღებული იმის გამო, რომ ვალდებული პირი თავს არიდებდა მის გადახდას.

I. ალიმენტის მოთხოვნის პრეკლუზიის გამორიცხვა	381
II. ალიმენტის მოთხოვნის ვადა	382
III. ალიმენტის მოთხოვნის ხანდაზმულობა	384

I. ალიმენტის მოთხოვნის პრეკლუზიის გამორიცხვა

1234 I მუხლი გამორიცხავს საალიმენტო მოთხოვნის პრეკლუზიას, ანუ ჩამორთმევას, მისი ხანგრძლივი დროის განმავლობაში გამოუყენებლობის გამო. განსხვავებით მთელი რიგი სხვა მოთხოვნებისაგან, რომელთათვისაც მოქმედებს როგორც ხანდაზმულობის ვადა, ისე პრეკლუზია და ამ უკანასკნელი საფუძვლით ისინი შეიძლება განუხორციელებელი გახდნენ (ხანდაზმულობის ვადის გასვლამდეც), თუ მოვალეს გაუჩნდა (მეორე მხარის მიერ განპირობებული) ნდობა, რომ კრედიტორი ამ მოთხოვნას აღარ გამოიყენებს, ალიმენტის მოთხოვნა არაპრეკლუდირებადია – მისი გამოყენება დასაშვებია ყოველთვის, სანამ ის არსებობს (მაგალითად, ბავშვის სრულწლოვანების მიღწევამდე), მაშინაც კი, როდესაც მისი წარმოშობიდან გასულია დიდი დრო და ის ამ ხნის განმავლობაში გამოყენებული არ ყოფილა.

კანონმდებლის ეს მიდგომა შეიძლება იმით აიხსნას, რომ საალიმენტ-

1

2

ტო ვალდებულებები განგრძობადი ხასიათისაა. ალიმენტის დანიშნულება, უპირველეს ყოვლისა, სარჩენი პირის მიმდინარე საჭიროებების დაკმაყოფილებაა. შესაბამისად, მხოლოდ ის ფაქტი, რომ ალიმენტის უფლების მქონე პირმა წარსულში არ გადადგა ნაბიჯები ალიმენტის მისაღებად, არ ნიშნავს, რომ მას სარჩო დღეის მდგომარეობითაც არ ესაჭიროება ან რომ მან სარჩოს მიღების უფლება უნდა დაკარგოს. ამ თვალსაზრისით, 1234-ე მუხლი იცავს ალიმენტის მიმღებ პირს. მეორე მხრივ, ამგვარი მოწესრიგებით არსებითად არ ირღვევა ალიმენტის გადახდაზე პასუხისმგებელი პირის ინტერესები, ვინაიდან ადგილი არ აქვს ე. წ. მდგომარეობის ცვლილებას, რაც პრეკლუზიისას მოთხოვნის გაქარწყლების სასარგებლო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი არგუმენტია. კერძოდ, როდესაც პირი დიდი ხნის განმავლობაში არ იყენებს საკუთარ მოთხოვნას, რითიც ვალდებულ პირს უჩნდება ნდობა მოთხოვნის განუხორციელებლობის მიმართ, ეს უკანასკნელი ამ მოლოდინზე დაყრდნობით ახორციელებს გარკვეულ მოქმედებებს, ანუ იცვლის სამართლებრივ მდგომარეობას. ალიმენტის შემთხვევაში, როგორც წესი, ამგვარს ადგილი არ აქვს, ვინაიდან ვალდებული პირის მდგომარეობა არსებითად არ იცვლება, იგი მხოლოდ ფულად სახსრებს ზოგავს იმ პერიოდისათვის, როდესაც არ ხდებოდა ალიმენტის მოთხოვნა.

- 3** ამავე დროს, დაუშვებელია მხარეთა შეთანხმების საფუძველზე ალიმენტის ვალდებულებისაგან გათავისუფლება.

II. ალიმენტის მოთხოვნის ვადა

- 4** 1234 II 1 მუხლში გამყარებული წესის მიხედვით, ალიმენტის მოთხოვნა შესაძლებელია მხოლოდ სამომავლო პერიოდისათვის. დავის შემთხვევაში, ალიმენტის გადახდის ვალდებულება წარმოიშობა სარჩელის სასამართლოში შეტანის მომენტიდან.¹ ეს პრინციპი ემსახურება ალიმენტზე ვალდებული პირის დაცვას ჭარბი ვალებისგან, რომელთაც ის წინასწარ ვერ გათვლიდა. ამასთან უმნიშვნელოა, აგრძელებს თუ არა საალიმენტო ვალდებულება ამ მომენტისათვის არსებობას. ამავე დროს, საკითხის ამგვარი მოწესრიგება შესაბამისობაშია თავად

¹ შენგელია, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1234, გვ. 236.

ალიმენტის ბუნებასთან. ალიმენტის უმთავრესი დანიშნულება მიმდინარე ხარჯების დაფარვა და სარჩენი პირის აუცილებელი საჭიროებების დაკმაყოფილებაა. თუკი ალიმენტის მოთხოვნა ერთიანად იქნებოდა დასაშვები მთელი პერიოდისათვის, მაშინ ეს უფრო დაემსგავსებოდა ზიანის ანაზღაურებას, ვიდრე სარჩოს. მაგალითად, თუკი 16 წლის ბავშვის ერთ-ერთი მშობელი სასამართლოს გზით მოითხოვდა მეორე მშობლისგან შვილისათვის ალიმენტის გადახდას 16 წლიანი პერიოდისათვის, დიდი ალბათობით, მოპასუხე მშობელი ვერ შეძლებდა დაგროვილი თანხის ერთიანად გადახდას. ამავ დროს, სასამართლოს არ ექნებოდა შესაძლებლობა, „მიმდინარე საჭიროებების“ შესაბამისად შეეფასებინა წლების წინ დასანიშნი ალიმენტის ოდენობა.

თუმცა, ალიმენტის მხოლოდ სამომავლოდ გადახდის პრინციპი მოქმედებს არა შეუზღუდავად, არამედ მხოლოდ იმ ვალებისათვის, რომლებიც წარმოშობილია სამ წელზე ადრე სარჩელის წაყენებამდე² და სარჩოს მისაღებად მიღებულ იქნა ზომები, რაც დასრულდა უშედეგოდ, რადგან ვალდებული პირი თავს არიდებდა ალიმენტის გადახდას (1234 II 2). ზომების მიღებაში, ძირითადად, იგულისხმება მოპასუხისათვის ალიმენტის გადახდის მოთხოვნის წაყენება. ამის მტკიცების ტვირთი არის მოსარჩელეზე - მან უნდა დაადასტუროს როგორც მოთხოვნის წაყენების ფაქტი, ისე დრო. მტკიცებულებად შესაძლოა გამოყენებულ იქნეს, როგორც წერილობითი დოკუმენტი (მაგ., შეტყობინება ალიმენტის მოთხოვნის თაობაზე),³ ისე მოწმეთა ჩვენებაც. ერთ-ერთ საქმეზე უზენაესი სასამართლო არ დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს, დაუბრუნა საქმე ხელახლა განსახილველად და მიუთითა, რომ მოწმეთა ჩვენებებით შესაძლებელია იმ ფაქტის დადგენა, რომ ალიმენტი მოთხოვნილ იქნა სარჩელის შეტანამდეც.⁴ სასამართლო წარსულ პერიოდზე ალიმენტის დაკისრების მოთხოვნას დააკმაყოფილებს იმ მომენტიდან, როდესაც მოსარჩელე დაადასტურებს მოპასუხისათვის მოთხოვნის წარდგენას.⁵

5

ამავ დროს, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მოთხოვნის ფორ-

6

² შენგელია, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1234, გვ. 236.

³ სუსგ № ას-675-641-2013, 10/02/2015

⁴ სუსგ № ას-2-2-2011, 31/05/2011.

⁵ სუსგ № ას-675-641-2013, 10/02/2015.

მულირებას. მართალია, კანონმდებელი ალიმენტის გადახდას სარჩელის აღძვრის მომენტს უკავშირებს, თუმცა, დავის განხილვისას სასამართლო ვერ გასცდება მოთხოვნის ფარგლებს. ერთ-ერთ საქმეზე საქართველოს უზენაესმა სასამართლომ შემდეგი განმარტება გააკეთა: „მართალია სამოქალაქო კოდექსის 1234-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ალიმენტის გადახდის დაკისრება ხდება მხოლოდ მომავალი დროისათვის სასამართლოში სარჩელის აღძვრის მომენტიდან, თუმცა იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ სარჩელი პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოების მიერ არ დაკმაყოფილდა, ხოლო საკასაციო სასამართლოში წარდგენილ საკასაციო საჩივარში მოსარჩელეს არ მიუთითებია სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმებისა და სასარჩელო მოთხოვნის იმგვარად დაკმაყოფილების თაობაზე, რომ საკასაციო სასამართლოს მიერ ალიმენტის დაკისრება მომხდარიყო არა სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ გადაწყვეტილების გამოტანის, არამედ მოსარჩელის მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოში სარჩელის აღძვრის მომენტიდან, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ალიმენტის დაკისრება უნდა მოხდეს მხოლოდ მომავალი დროისათვის საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილების მიღების დღიდან.“⁶

III. ალიმენტის მოთხოვნის ხანდაზმულობა

- 7** საკითხავია, ეს ვადა წარმოადგენს ხანდაზმულობის ვადას, ანუ სამწელზე მეტი ხნის წინ წარმოშობილი მოთხოვნის იძულებით განხორციელებაა მხოლოდ გამორიცხული და თავად მოთხოვნა აგრძელებს არსებობას თუ სამი წლის წინანდელი მოთხოვნა საერთოდ ქარწყლდება და აღარ არსებობს. თუ ალიმენტის მოთხოვნა ჩაითვლებოდა მხოლოდ ხანდაზმულად, მისი ნებაყოფლობით შესრულების შემთხვევაში უკუმოთხოვნა გამორიცხული იქნებოდა (144 II, 976 II ბ), რადგან არსებული ხანდაზმული მოთხოვნა წარმოადგენს მიღებულის შენარჩუნების საფუძველს. თუმცა რეზულტატის მხრივ შეიძლება არაფერი შეიცვალოს, რადგან, მეორე ვარიანტის დაშვებისასაც, უსაფუძვლოდ გა-

⁶ სუსგ № ა-1400-გან-5-2018, 27/03/2018.

დახდილის უკუმოთხოვნა შეიძლება გამორიცხული იყოს 976 II ა) მუხლის მიხედვით. 1234 II 2 მუხლში დაფიქსირებული ვადის ხანდაზმულობის ვადად დაკვალიფიცირების სასარგებლოდ მეტყველებს ის გარემოება, რომ მთავარი განსხვავება, რომელიც გამომრიცხავ და ხანდაზმულობის ვადებს შორის არსებობს, სასამართლოს მიერ ამ ვადის შემონმებაში მდგომარეობს – ხანდაზმულობის ვადას ის ამონმებს მხოლოდ მოპასუხის შესაგებლის საფუძველზე, ხოლო გამომრიცხავ ვადას საკუთარი ინიციატივით. პირველის შემთხვევაში, ალიმენტზე ვალდებული პირი უფრო მეტად არის დაცული და ეს უფრო მეტად ემსახურება ალიმენტის მხოლოდ სამომავლოდ დაკისრების პრინციპის განხორციელებას. გარდა ამისა, დანაწესში სამი წლის ალიმენტის მოთხოვნის შენარჩუნების წინაპირობაა მისი მიღების მცდელობა, რაც შეიძლება იყოს მხოლოდ მოთხოვნის არსებობა-არარსებობის წინაპირობა და არა ხანდაზმულობის ვადის დაწყება-არდაწყების ათვლის წერტილი. 1235-ე მუხლში, რომელიც სააღსრულებო ხანდაზმულობას შეეხება, კანონმდებელი პირდაპირ ახსენებს ამ ცნებას, რაც ნიშანია იმისა, რომ, თუ წინა მუხლშიც ხანდაზმულობაზე იქნებოდა საუბარი, ეს პირდაპირ ხაზგასმული იქნებოდა. ყოველივე ზემოთ თქმულის საფუძველზე, 1234 II 2 მუხლის ვადა ალიმენტის მოთხოვნის გამომრიცხავ ვადად უნდა შეფასდეს.

მუხლი 1235. ალიმენტის დავალიანების გადახდევინება

1. სააღსრულებო ფურცლის მიხედვით ალიმენტის დავალიანების გადახდევინება წარსული დროისათვის შეიძლება არა უმეტეს სამი წლისა სააღსრულებო ფურცლის გადასახდელად წარდგენამდე.

2. იმ შემთხვევაში, როდესაც მოვალის ძებნასთან დაკავშირებით ვერ მოხერხდა გადასახდელად წარდგენილი სააღსრულებო ფურცლის მიხედვით ალიმენტის დაკავება, ალიმენტის დავალიანებას ახდევინებენ მთელი გასული პერიოდისათვის, ხანდაზმულობის ვადის გასვლის ან/და ალიმენტის მიმღები პირის მიერ სრულწლოვანების მიღწევის მიუხედავად.

მუხლი 1236. ალიმენტის დავალიანების განსაზღვრა

1. ალიმენტის დავალიანება განისაზღვრება მოვალის მიერ იმ პერიოდში მიღებული ფაქტობრივი ხელფასიდან (შემოსავლიდან), რომლის განმავლობაშიც არ მომხდარა გადახდევინება.

2. თუ მოვალე ამ პერიოდში არ მუშაობდა და მან არ წარმოადგინა თავისი ხელფასის (შემოსავლის) დამადასტურებელი დოკუმენტები, დავალიანება განისაზღვრება იმ ხელფასის (შემოსავლის) მიხედვით, რომელსაც იგი იღებდა დავალიანების გადახდევინების დროს.

მუხლი 1237. ალიმენტის გადახდისგან გათავისუფლება

1. ალიმენტის გადახდისაგან გათავისუფლება ან ალიმენტის დავალიანების შემცირება შეიძლება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით.

2. სასამართლოს უფლება აქვს ალიმენტის გადამხდელი მთლიანად ან ნაწილობრივ გაათავისუფლოს ალიმენტის დავალიანების გადახდისაგან, თუ დაადგენს, რომ ალიმენტის გადაუხდელობა გამონვეული იყო ამ პირის ავადმყოფობით ან სხვა საპატიო მიზეზით.

I. ზოგადი	387
II. გამოყენების სფერო	388
III. წინასწარი გადახდა	390

I. ზოგადი

1237 I მუხლი იმპერატიულად ადგენს, რომ ალიმენტისაგან გათავისუფლება და დავალიანების პატიება შეიძლება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით¹ და ამით გამორიცხავს მოვალესა და კრედიტორს შორის შეთანხმებით ამის გაკეთების შესაძლებლობას. გარდა ამისა, სასამართლოსაც ალიმენტისაგან გათავისუფლება შეუძლია მხოლოდ 1237 II მუხლში მოცემული საფუძვლით.

1237-ე მუხლი ზღუდავს კერძო ავტონომიას კანონის საფუძველზე წარმოშობილი ალიმენტის მიღების გარანტირების მიზნით. ის თანაბრად ვრცელდება ყველა ტიპის შეთანხმებაზე და ცალმხრივი ნების გამოხატვაზე, რომლის მიზანიცაა ალიმენტის მოთხოვნისაგან მოვალის გათავისუფლება – ვალის პატიება (348), არარსებული მოთხოვნის აღიარება და შემდეგ ალიმენტის ანგარიშში გაქვითვა (442) და ა. შ. მხარეთა შეთანხმებით წარმოშობილი საალიმენტო ვალდებულებისათვის ძალაშია 1238-ე მუხლი. ამ დანაწესიდან ასევე გამომდინარეობს, რომ *Pactum de non petendo*, ანუ მხარეთა შეთანხმება, რომლითაც კრედი-

¹ შენგელია, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1237, გვ. 241.

ტორი ვალდებულებას იღებს, არ იღავოს ვალდებულების აღსასრულე-
ბლად (მაგალითად, არ აღძრას სარჩელი სასამართლოში) ალიმენტთან
დაკავშირებით, წარმოადგენს კანონის გვერდის ამვლელ გარიგებას
და, შესაბამისად, ბათილია.²

II. გამოყენების სფერო

- 3** დანაწესით მოცულია კანონისმიერ საალიმენტო მოთხოვნაზე სრულ-
ლი ან ნაწილობრივი უარის თქმა, როგორც სამომავლოდ, ასევე უკვე
არსებული დავალიანების ნაწილში.³ უმნიშვნელოა, ეს გარკვეული სა-
სყიდლის (კომპენსაციის) სანაცვლოდ ხდება თუ მის გარეშე.
- 4** დასაშვებია ერთ საფეხურზე მდგომი ალიმენტის მოვალეთა (მაგ.,
მშობლები) შორის შეთანხმება ერთმანეთის საალიმენტო მოთხოვნისა-
გან გათავისუფლებასთან დაკავშირებით, თუმცა მას მხოლოდ შიდა
ურთიერთობაში აქვს ძალა – ალიმენტის კრედიტორს შეუძლია თავი-
სუფლად მოსთხოვოს როგორც ერთს, ისე მეორეს.⁴ თუმცა ეს შეთანხ-
მებაც შეიძლება იყოს ბათილი 54 ვარ. 3 მუხლის მიხედვით, თუ ის წი-
ნააღმდეგობაში მოდის ბავშვზე ზრუნვასთან დაკავშირებულ შეთანხ-
მებასთან.⁵ სასამართლოს მხრიდან განსაკუთრებული კონტროლის სა-
განი უნდა გახდეს შეთანხმება, რომლებსაც დებს დაუქორწინებელი
ფეხმძიმე ქორწინებაში შესვლამდე ალიმენტისაგან გათავისუფლებას-
თან დაკავშირებით, რამდენადაც ამ ტიპის ხელშეკრულების დადებას
თან ახლავს მომეტებული საფრთხე იმისა, რომ დედის განსაკუთრებუ-
ლად მოწყვლადი მდგომარეობა გამოყენებული იქნება მისი და შვილის
ინტერესების საწინააღმდეგო შინაარსის გარიგების დასადავად.⁶
- 5** კანონმდებლობა საალიმენტო ვალდებულების ზედა ზღვარს არ ით-
ვალისწინებს და მისი ოდენობა, დავის შემთხვევაში, სასამართლოს დი-
სკრეციანზეა დამოკიდებული.⁷ სასამართლო ალიმენტის ოდენობის და-
დგენისას ხელმძღვანელობს 1214-ე მუხლში დადგენილი სტანდარტით.

² BGH NJW 2014, 1106.

³ *შენგელია*, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1237, გვ. 241.

⁴ BGH FamRZ 1986, 444; OLG Stuttgart NJW-RR 2007, 151; BGH FamRZ 1986, 444;
OLG Stuttgart NJW-RR 2007, 151.

⁵ OLG Hamm FamRZ 1999, 163.

⁶ BVerfG NJW 2001, 958.

⁷ სუსგ № ას-58-49-2011, 27/06/2011.

იგივე გარემოებები მხედველობაში მიიღება ალიმენტის ოდენობის შემცირების ან საალიმენტო ვალდებულებებისაგან გათავისუფლების შემთხვევებში. შესაბამისად, როგორც ალიმენტის ოდენობის დადგენისას, ისე მისი ოდენობის ცვლილებისა თუ ალიმენტის გადახდის ვალდებულებისგან სრულად გათავისუფლებისას, სასამართლო ხელმძღვანელობს ვალდებული პირის ეკონომიკური მდგომარეობით და სარჩენი პირის საჭიროებებით. ერთ-ერთ საქმეზე მოსარჩელე (მამა) ითხოვდა როგორც ალიმენტის ოდენობის შემცირებას, ისე, ნაწილობრივ, მისი გადახდისაგან გათავისუფლებას იმ საფუძველით, რომ მის კმაყოფაზე მყოფი ოჯახის სხვა წევრი (მამა) ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო საჭიროებდა ძვირადღირებულ სამედიცინო მომსახურებას საზღვარგარეთ, რისთვისაც მოსარჩელემ მნიშვნელოვანი თანხები გაიღო, იძულებული გახდა ეკისრა სასესხო ვალდებულებები და ისე დაეფარა წარმოშობილი ხარჯები. სასამართლომ საპატიოდ მიიჩნია აღნიშნული და მოსარჩელე ნაწილობრივ გაათავისუფლა საალიმენტო ვალდებულებებისაგან.⁸

ზოგადად, ალიმენტის გადახდაზე ვალდებული პირის მატერიალური და ოჯახური მდგომარეობის შეცვლაში იგულისხმება ალიმენტის დაკისრების შემდეგ ისეთი ახალი გარემოებების წარმოშობა, რომლებიც აშკარა გავლენას ახდენს ალიმენტის გადახდაზე ვალდებული პირის მატერიალურ და ოჯახურ მდგომარეობაზე, მაგალითად, შემოსავლების შემცირება, ჯანმრთელობის გაუარესება, კმაყოფაზე მყოფი პირების რაოდენობის გაზრდა ან შემცირება და სხვ.⁹ ამასთან, აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ალიმენტის გადამხდელის დავალიანების გადახდისაგან გათავისუფლების დავებშიც სასამართლო სარგებლობს ფართო დისკრეციით: აღნიშნული წარმოადგენს სასამართლოს უფლებას და არა ვალდებულებას. როგორც უზენაესი სასამართლო განმარტავს, იმისათვის, რომ სასამართლომ მის დისკრეციულ უფლებამოსილებას მიკუთვნებული შესაძლებლობა გამოიყენოს, აუცილებელია, არსებობდეს შემდეგი წინაპირობები: ა) სახეზე უნდა იყოს პირის ავადმყოფობა ან სხვა საპატიო მიზეზი; ბ) ალიმენტის გადამხდელს უნდა

6

⁸ სუსგ № ას-621-2019, 11/07/2019.

⁹ სუსგ № ას-303-290-2015, 13/05/2015, სუსგ №ას-1191-1121-2015, 22/01/2016.

ერიცხებოდეს საალიმენტო დავალიანება და გ) პირველ ორ წინაპირობას შორის უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი.¹⁰

- 7** ერთ-ერთ საქმეში საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ალიმენტის გადახდისაგან გაათავისუფლა მშობელი იმ დასაბუთებით, რომ მას შეზღუდული ჰქონდა შრომითი საქმიანობა, გადაადგილებისა და თვითმომსახურების უნარი და საჭიროებდა გარეშე მომვლელს, იგი ვერ უზრუნველყოფდა არათუ შვილის, არამედ საკუთარი თავის რჩენასაც კი.¹¹ ამავე დროს, თუ პირი გათავისუფლდა ალიმენტის გადახდის ვალდებულებისაგან, ეს არ ნიშნავს მის სამუდამო და უპირობო გათავისუფლებას. თუ აღმოიფხვრება ის გარემოებები, რომლებიც ალიმენტის გადახდისაგან გათავისუფლების საფუძველი გახდა (მაგ., ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება), სარჩენი პირი უფლებამოსილია თავიდან მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს ალიმენტის განსაზღვრა.¹²

III. წინასწარი გადახდა

- 8** ალიმენტის წინასწარ გადახდა ვალდებულ პირს უნდა ათავისუფლებდეს მხოლოდ დროის შეზღუდულ მონაკვეთში. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩაიშლებოდა ალიმენტის პერიოდულობის პრინციპი, რომელიც დაფიქსირებულია 1230 I მუხლში. ამ მონაკვეთის ფარგლები სასამართლოს გამოსაკვეთია. გერმანულ სამართალში ამგვარ მონაკვეთად სამთვიან დროით მონაკვეთს აღიარებენ.¹³ მის მიღმა განხორციელებული წინასწარ გადახდა ხდება ალიმენტის მოვალის რისკით – თუ სამი თვის გასვლის შემდეგ ალიმენტის მოვალე ისევ განიცდის მატერიალურ საჭიროებას, ალიმენტის მოთხოვნა თავიდან წარმოიშობა.

¹⁰ სუსგ № ას-284-2019, 27/06/2019.

¹¹ სუსგ № ას-711-1041-07, 19/03/2008.

¹² სუსგ № ას-711-1041-07, 19/03/2008.

¹³ შდრ. გსკ-ის 1614 II.

მუხლი 1238. საალიმენტო ვალდებულების შეწყვეტა

მხარეთა შეთანხმებით წარმოშობილი საალიმენტო ვალდებულება შეიძლება შეწყდეს ერთ-ერთი მხარის გარდაცვალებით, შეთანხმების ვადის გასვლით ან ამ შეთანხმებაში გათვალისწინებული სხვა საფუძვლებით.

სამოქალაქო კოდექსი უშვებს ალიმენტის თაობაზე მხარეთა შორის შეთანხმების დადებას. მხარეებში იგულისხმება ალიმენტის გადახდაზე პასუხისმგებელი პირი და ის პირი, რომელმაც ალიმენტი უნდა მიიღოს. მხარეებში არ მოიაზრება, მაგალითად, მშობელი, რომელიც არასრულწლოვანს წარმოადგენს სასამართლოში და მესამე პირებთან ურთიერთობაში. **1**

მხარეთა შორის არსებული შეთანხმება არ უნდა არღვევდეს კანონის მოთხოვნებს.¹ მათ შორის, გათვალისწინებულ უნდა იქნას ალიმენტის მიმღები პირის ინტერესები, ვინაიდან საალიმენტო ვალდებულების შეთანხმებით მოწესრიგების მიზანია, უპირველესად, ალიმენტის მიმღები პირის დაცვა, რათა მან დავისა და დროის გაჭიანურების გარეშე მიიღოს არსებობისათვის აუცილებელი სახსრები. სხვა მხრივ, საალიმენტო შეთანხმება ნამდვილი და აღსრულებადი ხელშეკრულებაა, რომელიც მხარეებს წარმოუშობს შესაბამის უფლებებსა და მოვალეობებს. **2**

1238-ე მუხლი განამტკიცებს საალიმენტო ვალდებულების პიროვნულ ხასიათს.² ზოგადი წესის თანახმად, სამოქალაქო კოდექსი მოთხოვნას მიმოქცევად სიკეთედ განიხილავს და დასაშვებად მიიჩნევს მის გადაცემას. თუმცა, 199 I მუხლის თანახმად, მოთხოვნის გადაცემა არ დაიშვება, თუკი ეს ეწინააღმდეგება ვალდებულების არსს. საალიმენტო მოთხოვნა პიროვნული ხასიათისაა და მიბმულია ალიმენტის გადახდაზე პასუხისმგებელ და მის მიმღებ პირთან ისე, რომ მისი გადაცემა, მათ შორის, არც მემკვიდრეობით გადაცემა არ დაიშვება. ასევე, დაუშვებელია, რომ საალიმენტო ვალდებულებაში შეიცვალოს მოვალე და, **3**

¹ შენგელია, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1238, გვ. 243.

² იქვე.

მაგალითად, მშობლის ნაცვლად ალიმენტის გადახდის ვალდებულება მესამე პირმა იკისროს, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა ალიმენტს, ფაქტობრივად, მესამე პირი იხდიდეს. მოთხოვნის პიროვნული ხასიათით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ მხარეთაგან ერთ-ერთის გარდაცვალება ნყვეტს მხარეთა შეთანხმებით დადგენილი ალიმენტის ვალდებულებას.

- 4** 1238-ე მუხლი ვალდებულების შეწყვეტის დამატებით საფუძვლებად ასახელებს შეთანხმების ვადის გასვლას და თავად შეთანხმებაში გათვალისწინებულ გარემოებებს.³ ერთი შეხედვით, ამგვარი მიდგომა ლოგიკურიცაა და არ უნდა საჭიროებდეს დამატებით დაკონკრეტებას კანონის ტექსტში, ვინაიდან, თუკი შეთანხმება ნამდვილია, იგი მხარეთათვის წარმოშობს შესაბამის უფლება-მოვალეობებს. ამიტომ, 1238-ე მუხლის ამ ჩანაწერს დეკლარაციული ხასიათი აქვს და მიზნად ისახავს სხვაგვარი ინტერპრეტაციის თავიდან აცილებას. ალიმენტის გადახდის ვალდებულება უპირობო ხასიათისაა. ამავე დროს, კოდექსი, როგორც წესი, საალიმენტო ვალდებულების ნებისმიერ მოდიფიკაციას, იქნება ეს შეწყვეტა თუ მისი ოდენობის გაზრდა/შემცირება, უკავშირებს სასამართლოს გადაწყვეტილებას (იხ. 1221-ე, 1222-ე, 1231-ე და 1237-ე მუხლები). თუმცა, ეს ეხება თავად სასამართლოს მიერ დადგენილი ალიმენტის ოდენობას. შესაბამისად, 1238-ე მუხლი მხარეთა ურთიერთობაში სიცხადის შეტანის მიზნით ადგენს, რომ შეთანხმებით განსაზღვრული ალიმენტის გადახდა ექვემდებარება ამავე შეთანხმების პირობებს და არ საჭიროებს სასამართლოს დადასტურებას ან მონონებას.

³ შენგელია, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1238, გვ. 243.

თავი მეექვსე

შვილება

მუხლი 1239. ცნება

1. შვილება (შვილად აყვანა) დაიშვება მხოლოდ არასრულწლოვანი ბავშვის კეთილდღეობისა და ინტერესებისათვის, თუკი მოსალოდნელია, რომ მშვილებელსა და ნაშვილებს შორის წარმოიშვას ისეთივე ურთიერთობა, როგორცაა მშობელსა და შვილებს შორის.

2. სრულწლოვანი პირის შვილება შესაძლებელია, თუ მშვილებელსა და შვილად ასაყვანს შორის უკვე არსებობდა მშობლისა და შვილის ფაქტობრივი ურთიერთობა, იგი არ ეწინააღმდეგება მშვილებლის ან შვილად ასაყვანის ინტერესებს და შვილება ზნეობრივად გამართლებულია.

I. ზოგადი	393
II. არასრულწლოვნის შვილების სისტემატიკა და წინაპირობების მნიშვნელობა, 1239 I	394
III. ბავშვის კეთილდღეობა და „მშობელსა და შვილს შორის ურთიერთობის“ წარმოშობა.....	395
1. ბავშვის კეთილდღეობა	396
2. „მშობელსა და შვილს შორის ურთიერთობა“	397
3. ცალკეული შემთხვევები	397
IV. შვილად ასაყვანი ბავშვი	398
V. დამატებითი წინაპირობები.....	399
VI. სრულწლოვნის შვილება, 1239 II	399
1. ზნეობრივი გამართლება.....	400
2. ცალკეული შემთხვევები	401

I. ზოგადი

თუ ისტორიულად შვილად აყვანის ინსტიტუტი ქონებრივ ინტერესებსა და გვაროვნული კუთვნილების მოპოვებას ემსახურებოდა და, ამგვარად, პირველ რიგში, სრულწლოვანთა შვილება იყო წესი, დღეს კანონისმიერი რეგულაციის მთავარ სამიზნე ჯგუფს არასრულწლოვნები და მათი შვილება წარმოადგენს. დღესდღეობით შვილების

1

მომწესრიგებელი ნორმების მთავარი მიზანი არის ბავშვის კეთილდღეობისათვის ხელის შეწყობა მისი არაბიოლოგიური მშობლების ოჯახში ადაპტაციის გზით.¹ ბავშვს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, გაიზარდოს ოჯახში მაშინაც კი, როდესაც ბიოლოგიური მშობლები ვერ ახერხებენ მასზე ზრუნვას.²

2 შვილების კანონისმიერი ცნება გულისხმობს „სრულ ადოპციას“, რომელიც ემყარება სასამართლოს გადანყვეტილებას (1242) და არა ხელშეკრულებას და ნათელყოფს ამით სახელმწიფოს განსაკუთრებულ როლს შვილებასთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ პრაქტიკაში ყველაზე გავრცელებულია გერის ან ნათესავის შვილება, კანონისმიერი პარადიგმა შვილების მთვარ შემთხვევად მაინც გარეშე პირის მხრიდან აყვანას ასახელებს. ეს ყველაზე ნათლად გამოხატულია დანანესში, რომლის თანახმადაც, შვილება ინვეს ნათესაური ურთიერთობის დამთავრებას გაშვილებულსა და ბიოლოგიურ მშობლებს შორის (1260 I), მიუხედავად იმისა, რომ ეს მონაწილეთა მიერ ყოველთვის არ არის ნასურვები.

3 კანონი ერთმანეთისაგან ასხვავებს არასრულწლოვნისა (1239 I) და სრულწლოვნის შვილებას (1239 II). არასრულწლოვნის შვილება მოწესრიგებულია დეტალურად, ხოლო სრულწლოვნის შვილად აყვანა ამ დანანესებზე უითიებს, თუმცა არა უგამონაკლისოდ. პროცედურული თვალსაზრისით ეს ორი განსხვავებული პროცედურაა.

II. არასრულწლოვნის შვილების სისტემატიკა და წინაპირობების მნიშვნელობა, 1239 I

4 1239 I მუხლში მოწესრიგებული შვილების წინაპირობები სახეზე უნდა იყოს კუმულატიურად. მათ განეკუთვნება ასევე შვილად ასაყვანის არასრულწლოვანება. 1239 I მუხლი ავალდებულებს სასამართლოს მხოლოდ იმ შემთხვევაში დაუშვას შვილად აყვანა, როდესაც დარწმუნებულია, რომ ყველა ეს წინაპირობა სახეზეა. თუ არსებობს დასაბუ-

¹ OLG Schleswig FamRZ 2008, 1107.

² *შენგელია/შენგელია*, საოჯახო სამართალი, მეორე გამოცემა, 2011, გვ. 289.

თებული ეჭვი, რომ რომელიმე წინაპირობა მოცემული არ არის, განცხადება არ უნდა დაკმაყოფილდეს.³ თუმცა, 1-ელ ნაწილში ჩამოთვლილი წინაპირობების არარსებობა არ ცვლის ამის მიუხედავად სასამართლოს განკარგულებით განხორციელებული შვილების ნამდვილობას. შესაძლებელია მისი მხოლოდ გაუქმება.

1239 I მუხლში მოწესრიგებული წინაპირობების „დასაშვებობის წინაპირობებად“ მოხსენიება არ უნდა გავიგოთ ფორმალისტურად. აქ საქმე ეხება მატერიალურ-სამართლებრივ წინაპირობებს და შვილად აყვანასთან დაკავშირებული განაცხადი უკუგდებულ უნდა იქნეს, როგორც დაუსაბუთებელი, თუ ეს წინაპირობები შესრულებული არ არის.⁴ განსხვავებულად არის საქმე, თუ შვილად ასაყვანი გადანყვეტილების მომენტში უკვე სრულწლოვანია. ამ დროს განაცხადი უკუგდებულ უნდა იქნეს, როგორც დაუშვებელი.

5

III. ბავშვის კეთილდღეობა და „მშობელსა და შვილს შორის ურთიერთობის“ ნარმოშობა

შვილების დასაშვებობისათვის აუცილებელია, რომ **1239 I** მუხლში დასახელებული ორივე წინაპირობა – 1. ბავშვის კეთილდღეობა და 2. მშობელსა და შვილს შორის ურთიერთობა – კუმულატიურად იყოს სახეზე. გადანყვეტილება მათი არსებობის შესახებ მიიღება ყველა არსებითი გარემოების გათვალისწინებით. შვილად აყვანის მსურველის პიროვნების შესაბამისობა მოცემულ მიზანთან განისაზღვრება შემდეგი კრიტერიუმებით: ასაკი, ფიზიკური ჯანმრთელობა, ხასიათი, საცხოვრებელი და ქონებრივი პირობები, პროფესია და საზოგადოებრივი მდგომარეობა, აღზრდის უნარი და სურვილი, სხვა შვილების არსებობა, ოჯახის სიმყარე და სხვა სპეციფიკური მახასიათებლები. ბავშვის მხრივ გასათვალისწინებელია შემდეგი კრიტერიუმები: ბავშვის უნარები და საჭიროებები, ასაკი, ფიზიკური მდგომარეობა (და ამით გამოწვეული დამატებითი საჭიროება); გარკვეულ ასაკს მიღწეული ბავშვების შემთხვევაში, აგრეთვე მათი ნება.

6

³ OLG Bremen OLGR 2006, 510.

⁴ Maurer, in Münchener Kommentar BGB, 7. Aufl., 2017, § 1741 Rn. 43.

1. ბავშვის კეთილდღეობა

7 შვილება უნდა ემსახურებოდეს ბავშვის კეთილდღეობას. ეს მაშინ არის სახეზე, თუ ის იწვევს მისი პიროვნებისა და მატერიალური მდგომარეობის მდგრად განვითარებას. უნდა მოხდეს შვილებასთან დაკავშირებული პოზიტიური მოვლენების შეპირისპირება იმ უარყოფით მხარეებთან, რომლებიც მას თან მოჰყვება (მაგ., ბავშვის მონყვეტა ნაცნობი გარემოდან).⁵ მოსალოდნელი უნდა იყოს ბავშვის პიროვნების საგრძნობი განვითარება ახალ სიტუაციაში.⁶ მხოლოდ ფარდობითი გაუმჯობესება, მაგალითად, ის, რომ ბავშვს დროებით მაინც აღარ სჭირდება თავშესაფარში ცხოვრება, არასაკმარისია.

8 ბავშვის კეთილდღეობა წარმოადგენს ე. წ. საპროგნოზო ცნებას. აუცილებელია იმის მოლოდინი, რომ შვილება ბავშვის ცხოვრებისეულ პირობებს გააუმჯობესებს ან წინ აღუდგება მის გაუარესებას. საკმარისია ეს სავარაუდო იყოს არსებული გარემოებების გათვალისწინებით. ნაკლებსავარაუდო უარყოფითი ან დადებითი მხარეები ამ პროგნოზისას გათვალისწინებული ვერ იქნება, რადგან სხვა შემთხვევაში საერთოდ შეუძლებელი გახდებოდა ოდესმე შვილების გადაწყვეტილებამდე მისვლა.⁷ ნათესაური ურთიერთობების ძირფესვიანად შეცვლით (1259-ე და მომდევნო მუხლები) მოსალოდნელი უნდა იყოს ბავშვის პიროვნების უკეთესი განვითარება,⁸ რასაც არ ექნება მხოლოდ გარდამავალი ხასიათი.⁹ პროგნოზი უნდა დაეყრდნოს უკვე არსებულ ფაქტებსა და არა სამომავლო, ჯერ კიდევ სათუო მოვლენებს.¹⁰ პროგნოზში გათვალისწინებული უნდა იქნეს ასევე ბავშვის ნება, მაშინაც კი, როდესაც ეს ნება ფორმალურად აყვანის წინაპირობას არ წარმოადგენს (1255). თუ არსებობს ეჭვი იმასთან დაკავშირებით, ემსახურება თუ არა შვილება ბავშვის კეთილდღეობას, ის არ უნდა იქნეს დაშვებული.

⁵ BayObLG ZfJ 1991, 431.

⁶ BayObLG FamRZ 1997, 839.

⁷ OLG Hamm OLGZ 1994, 557.

⁸ OLG Koblenz BeckRS 2016, 18214 Rn. 18.

⁹ Götz, in: Palandt, BGB, 74 Auflage 2015, § 1741 Rn. 3.

¹⁰ BayObLGZ 1989, 74.

2. „მშობელსა და შვილს შორის ურთიერთობა“

„მშობელსა და შვილს შორის ურთიერთობა“ შვილების მსურველსა და ასაყვან პირს შორის ან უკვე უნდა არსებობდეს, ან სახეზე იყოს მისი წარმოშობის სავარაუდო პერსპექტივა. ნაგულისხმებია არა გენეტიკური, არამედ ე. წ. „სოციალური მშობლობა“, ანუ ზრუნვა და აღზრდა იმ ფორმით, რა ფორმითაც ამას ნატურალური მშობლები აკეთებენ. ამ ურთიერთობის წარმოშობის პერსპექტივა გულისმობს იმას, რომ სასამართლო შვილად აყვანის შესახებ გადაწყვეტილებას მხოლოდ მას შემდეგ იღებს, რაც სრულად დარწმუნდება იმაში, რომ „მშობელსა და შვილს შორის ურთიერთობის“ წარმოშობა შეესატყვისება მხარეთა მიზანს და სახეზეა ამის წინაპირობები.¹¹ მხოლოდ სურვილი მომავალი მშობლების მხრიდან საკმარისი არ არის; ამის საპირისპიროდ, უნდა შეიძლებოდეს, ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების გათვალისწინებით, იმის პროგნოზირება, რომ მხარეებს შორის შედგება ეს ხსენებული ურთიერთობა.

9

3. ცალკეული შემთხვევები

თუ შვილად ამყვანი უკვე ხანშიშესული ასაკისაა და დიდი განსხვავებაა მისსა და ასაყვანის ასაკს შორის, ამ შემთხვევაში სასამართლომ განსაკუთრებით ყურადღებით უნდა შეამოწმოს ბავშვის კეთილდღეობა და ინტერესები. ასაკში სხვაობა შეიძლება მეტყველებდეს „მშობელსა და შვილს შორის ურთიერთობის“ შედგომის შესაძლებლობის წინააღმდეგ.¹² გამომდინარე აქედან, ბებია-ბაბუის მხრიდან შვილიშვილის, ზოგადად შესაძლებელი, შვილება პრაქტიკაში მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებშია დასაშვები.¹³ მშობლების მიერ დეკლარირებულ ნებას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა რელიგიის საკითხებში.¹⁴ სექსუალური ელფერის მქონე ურთიერთობა ბავშვსა და შვილად ამყვანს შორის

10

¹¹ BT-Drs 7/5087, 9.

¹² LG Kassel FarmRZ 2006, 727.

¹³ OLG Oldenburg FarmRZ 1996, 895.

¹⁴ AG Kerpen JAmt 2004, 382.

რის, რა თქმა უნდა, წარმოადგენს მშობლისა და შვილის ურთიერთობის შედგომისათვის ერთ-ერთ ხელშემშლელ გარემოებას.¹⁵ ჰომოსექსუალობის მიზეზით შვილად აყვანაზე უარი, მართალია, არღვევს ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-14 მუხლს, თუმცა ცალკეულ შემთხვევებში შეიძლება გამართლებული იყოს ასაყვანი ბავშვის ინტერესებით.¹⁶ ნათესავების მხრიდან ადოპციის შემთხვევაში, ოჯახური კონფლიქტის წარმოშობის საფრთხე შეიძლება მეტყველებდეს შვილად აყვანის სანინალმდეგოდ.¹⁷ ამის საპირისპიროდ, დედის მიერ ბავშვის ბიოლოგიური მამის არდასახელება არ უშლის ხელს მამობის მიერ მის შვილებას.¹⁸ მშვილებლის სურვილი, შვილად აყვანის გადანყვეტილების გამოცხადებამდე გაარკვიოს, ვინ არის ბავშვის ბიოლოგიური მამა, ზოგადად არ არის გასათვალისწინებელი, თუ ამას შვილების პროცესის შეყოვნება მოჰყვება და ეს ნინალმდეგობაში მოდის ბავშვის საუკეთესო ინტერესებთან.¹⁹ მშვილებლის ავადმყოფობა შეიძლება ხელს უშლიდეს შვილებას. შვილად აყვანის მსურველის მიერ საკუთარი შვილების მიმართ მშობლის ზრუნვის უფლებების (1206) გადამეტება მისთვის არასახარბიელო პროგნოზის საფუძველი შეიძლება გახდეს.

IV. შვილად ასაყვანი ბავშვი

- 11** ასაყვანი ბავშვი არ შეიძლება იყოს მშვილებლის ქორწინებაში შობილი შვილი.²⁰ ამის საპირისპიროდ, დასაშვებია საკუთარი ბიოლოგიური შვილიშვილის აყვანა, ისევე როგორც აყვანილი შვილის აყვანა ან სუროგატი დედის შვილის აყვანა.²¹ ბავშვი აყვანის მომენტისათვის უკვე დაბადებული უნდა იყოს. განსაკუთრებული თვისებები აუცილებელი არ არის. გარდა იმ განსხვავებისა, რაც კეთდება კანონში არასრულწლოვნისა და სრულწლოვნის შვილებასთან დაკავშირებით, ასაკობრივი

¹⁵ *Liermann*, in: Soergel, BGB, 12. Aufl., 1987, § 1741 Rn 9.

¹⁶ EGMR FamRZ 2003, 149.

¹⁷ OLG Bremen DAV 74, 472.

¹⁸ LG Köln FamRZ 1963, 55.

¹⁹ BT-Drs 7/5087, 15.

²⁰ OLG Hamm FamRZ 1978, 735.

²¹ AG Gütersloh FamRZ 1986, 718.

ზღვარი არ არსებობს. დაუშვებელია ბავშვის ხელახალი ადოპცია პირველი შვილების გაუქმებამდე ან იმ პერიოდის განმავლობაში, სანამ პირველად ამყვანი ჯერ კიდევ ცოცხალია.

ბავშვთან დაკავშირებული სხვა წინაპირობები მოწესრიგებულია 1254-ე მუხლში. **12**

V. დამატებითი წინაპირობები

შვილად აყვანის დამატებითი წინაპირობები უკავშირდება ასაკობრივ სხვაობას (1250), ბავშვის თანხმობის აუცილებლობას (1246), მისი მშობლების თანხმობას (1251) და მეუღლის თანხმობას (1249). პროცედურულ წინაპირობებთან დაკავშირებით იხ. 1242-ე მუხლი. **13**

ადოპციის ხელშემშლელი გარემოებები შეიძლება იყოს ბავშვის საპირისპირო ინტერესები ან მშვილებლის შვილის საპირისპირო ინტერესები, ან ბიოლოგიური მშობლების ინტერესები. არ არის აუცილებელი შვილად ამყვანი უშვილო იყოს; პირიქით, კანონისმიერი პარადიგმა იხრება იმისკენ, რომ აყვანილი ბავშვისათვის უფრო უკეთესია, თუ ის დამასთან გაიზრდება. მინიმალური ასაკობრივი სხვაობა მშვილებელსა და შვილად ასაყვანს შორის უნდა იყოს 16 წელი (1248 I). **14**

VI. სრულწლოვნის შვილება, 1239 II

გამომდინარე იქიდან, რომ სრულწლოვნის შვილება სხვადასხვა მაქინაციებისათვის შეიძლება იქნეს გამოყენებული, კანონი მას მკაცრ წინაპირობებს უყენებს. 1239 II მუხლის მიხედვით, ის შეიძლება მოხდეს მხოლოდ მაშინ, თუ ის არ ეწინააღმდეგება ზნეობის ნორმებსა და მშვილებლის ან შვილად ასაყვანის ინტერესებს.²² ნორმის დასაწყისში დასახელებული წინაპირობა – „მშვილებელსა და შვილად ასაყვანს შორის მშობლისა და შვილის ფაქტობრივი ურთიერთობა“ – წარმოადგენს **15**

²² *შენგელია/შენგელია*, საოჯახო სამართალი, მეორე გამოცემა, 2011, გვ. 290.

მხოლოდ მაგალითის მეშვეობით დაკონკრეტებას იმისა, თუ რა სიტუაციაში ჩაითვლება სრულწლოვნის შვილება ზნეობის შესატყვისად.

1. ზნეობრივი გამართლება

- 16** ზნეობრივი გამართლების წინაპირობა ემსახურება იმ გარემოების ხაზგასმასა და უზრუნველყოფას, რომ ოჯახური ურთიერთობების ჩამოყალიბება, რომელიც განსაკუთრებით რთულია ორ სრულწლოვანს შორის, მხოლოდ მხარეთა ნება-სურვილზე არ იყოს სრულად დამოკიდებული.²³
- 17** ეს ზნეობრივი გამართლება, განსაკუთრებით, მაშინ არის სახეზე, როდესაც ნაშვილებსა და მშვილებელს შორის შვილებამდეც არსებობდა „მშობელსა და შვილს შორის ურთიერთობა“. ამისათვის მხოლოდ დროდადრო კონტაქტის ქონა არასაკმარისია,²⁴ თუმცა საკმარისია, თუ ბიძა და დისშვილი ერთობლივად უძღვებიან საოჯახო მეურნეობას²⁵ ან შვილად ამყვანი არის პირი, რომლის მზრუნველობის ქვეშაც იყო ნაშვილები მისი არასრულწლოვანების პერიოდში და შვილად აყვანა მანამდე ვერ მოხერხდა, დაძაბული ოჯახური თუ ნათესაური ურთიერთობებიდან გამომდინარე.²⁶ ასევე საკმარისია, თუ მშობლისა და შვილის ფაქტობრივი ურთიერთობა არსებობდა შვილად ასაყვანის ცხოვრების პირველ წლებში.²⁷
- 18** სრულწლოვნის აყვანისას, ისევე როგორც არასრულწლოვნის შემთხვევაში, მოსალოდნელი უნდა იყოს მშობელსა და შვილს შორის ურთიერთობის ჩამოყალიბება და ამის განზრახვა უნდა ჰქონდეს ორივე მხარეს. სასამართლომ უნდა შეამოწმოს მხარეთა მოტივები და აწონ-დაწონოს კონკრეტული საქმის გარემოებები. ამასთან, საფუძვლები, რომლებიც მეტყველებენ „მშობელსა და შვილს შორის ურთიერთობის“ ჩამოყალიბების სასარგებლოდ, ცალსახად უნდა გადაწონიდნენ ყველა სანინაალმდეგო არგუმენტს. მხარეებს შვილებაზე უარი უნდა ეთქვას,

²³ BT-Drs 7/3061, 52.

²⁴ BayObLG FamRZ 2005, 546

²⁵ BayObLG FamRZ 2005, 131.

²⁶ BT-Drs III/530, 21.

²⁷ BayObLG FamRZ 2002, 1653.

თუ ამ შეპირისპირების შემდეგ კიდევ რჩება დასაბუთებული ეჭვი.²⁸ დამატებითი მიზნები, რომლებიც აქვთ მხარეებს, როგორც შეიძლება იყოს სამკვიდროს გადასახადის დამალვა, უმნიშვნელოა მანამ, სანამ ამოსავალ მოტივს ოჯახური ურთიერთობის დაფუძნება წარმოადგენს.²⁹ რეალური თანაცხოვრება აუცილებელი არ არის.³⁰ მხარეთა მამოძრავებელი მოტივების შესამოწმებლად აუცილებელია მათი სხდომაზე დაბარება და მოსმენა.

2. ცალკეული შემთხვევები

იმისათვის, რომ შედგეს „მშობელსა და შვილს შორის ურთიერთობა“, რომელიც ზნეობრივად გამართლებულია, აუცილებელია: ერთიანობისა და საოჯახო ბმის არსებობა და თავის ერთმანეთისადმი მიძღვნი იმგვარად, როგორც ამას აკეთებენ მშობლები თავის სრულწლოვან შვილებთან მიმართებით, ანუ მუდმივი მზაობა ორმხრივი დახმარებისა, არა მხოლოდ გაჭირვებაში.³¹ მოხუცებული მშვილებლის შემთხვევაში წინა პლანზე შეიძლება იყოს მისი მოვლის აუცილებლობა. შვილება ზნეობრივად გამართლებულია, თუ რამდენიმე დაძმის შვილება უნდა მოხდეს, რომელთაგან ნაწილი სრულწლოვანია, ხოლო ნაწილი არასრულწლოვანი.

19

არასაკმარისია: მხოლოდ ეკონომიკური ურთიერთობების არსებობა ან მხოლოდ მეგობრული ურთიერთობები;³² საერთო ინტერესები და მათ საფუძველზე რეგულარული შეხვედრები;³³ გვარის გამგრძელებ-

20

²⁸ BayObLG NJW 1998, 78.

²⁹ BGHZ 35, 75.

³⁰ Frank, in: Staudinger, BGB, 18. Aufl., 2018, § 1763 Rn. 15.

³¹ BayObLG FamRZ 2002, 1651.

³² OLG Zweibrücken FamRZ 2006, 572.

³³ BayObLG NJW 1985, 2094.

ლის დატოვების სურვილი, მათ შორის ასევე ტრადიციების მქონე გვარის შემთხვევაში;³⁴ საოჯახო სანარმოს გადაბარების მიზანი;³⁵ უცხოელის შემთხვევაში – მისი ქვეყნიდან გაძევებისათვის ხელის შეშლა.³⁶

³⁴ OLG Hamm StAZ 1958, 179.

³⁵ BayObLG FamRZ 2005, 546.

³⁶ KG FamRZ 1982, 641.

მუხლი 1240. შვილად აყვანის დადასტურება აღმზრდელის გარდაცვალებისას

აღმზრდელის გარდაცვალებისას შვილად აყვანის ფაქტი შეიძლება სასამართლოს წესით დადასტურდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არასრულწლოვანი ოჯახში შვილად იყო მიღებული, აგრეთვე, თუ მშვილებელმა სიცოცხლეშივე შეიტანა განცხადება სასამართლოში შვილად აყვანის შესახებ.

- I. ზოგადი 403
- II. შვილების დადგენის წინაპირობები 404
 - 1. ოჯახში არასრულწლოვნის შვილად მიღება 404
 - 2. შვილად აყვანის შესახებ განცხადების შეტანა 405
- III. შვილების დადგენის პროცედურა 406

I. ზოგადი

ნორმა ემსახურება იურიდიული ფაქტის (მშობლისა და შვილის ურთიერთობის არსებობის) დადასტურებას. განსახილველი მუხლი არ წარმოადგენს შვილების კერძო შემადგენლობას, რომლითაც პირი გარდაცვლილის შვილად ჩაითვლება იურიდიული ფაქტის დადასტურების მომენტიდან. ამის საპირისპიროდ, მას აქვს **ex tunc** ეფექტი: რეალობა უთანაბრდება ჰიპოთეტურ მდგომარეობას, რომელიც დადგებოდა, გარდაცვლილს შვილების პროცედურა სრულფასოვნად რომ განეხორციელებინა მისივე სიცოცხლეში. **1**

შვილად აყვანის ფაქტის დადასტურების მიმართ ინტერესი შეიძლება გამოიხატოს მშობლისა და შვილების ურთიერთობიდან გამომდინარე ქონებრივი უფლებებით აღჭურვაში, მათ შორის, რაც ყველაზე აქტუალურია, კანონით მემკვიდრეობისკენ გზის გაკაფვაში. შვილების დადასტურებით პირი იძენს ნაშვილები პირის სამართლებრივ სტატუსს (1259). **2**

1240-ე მუხლის ანალოგიით გამოყენება პოტენციური ნაშვილების გარდაცვალების შემთხვევაში დაუშვებელია (იხ. 1241-ე მუხლის კომენტარი). **3**

II. შვილების დადგენის წინაპირობები

1. ოჯახში არასრულწლოვნის შვილად მიღება

- 4** 1240 მუხლის 1-ლი ვარიანტის პირდაპირი მითითების მიხედვით, შვილების დადასტურება, მხოლოდ ოჯახში პირის შვილად მიღების საფუძველზე, საგამონაკლისოდ დასაშვებია არასრულწლოვანთან მიმართებით. სრულწლოვანის შვილების დადასტურება (იხ. მუხ. 1239 მე-14 და მომდევნო ველები) ამ წინაპირობების საფუძველზე შეუძლებელია (იხ. ქვემოთ), რაც გამონვეულია არასრულწლოვნის ინტერესების მართლწესრიგის მთელი სისტემის ფარგლებში განსაკუთრებული დაცვით – არასრულწლოვანს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, შვილის სამართლებრივი პოზიცია მიიღოს მშვილებლის ნების ექსპლიციტური გამოვლენის არარსებობის პირობებშიც.
- 5** ოჯახში არასრულწლოვნის შვილად მიღება უნდა ჩაითვალოს შვილებისკენ მიმართული ნების გამოვლენის სუროგატად. ამ შეთხვევაში, კანონმდებლის პირდაპირი გადაწყვეტით, თუკი მხარეებს შორის არსებობდა მშობლისა და შვილის ურთიერთობა, უმნიშვნელოა, მოხერხდა თუ არა ამის სამართლებრივი ფიქსაცია.
- 6** ოჯახში არასრულწლოვნის შვილად მიღება მოიცავს ყველა იმ შემთხვევას, რომელშიც პირთა შორის არსებული ურთიერთობა ასეთივე ფორმით აღსაქმელია უახლოესი სოციუმისთვისაც. არ არის აუცილებელი, რომ არასრულწლოვანს შეცდომით გარდაცვლილის შვილად იცნობდნენ, არამედ საკმარისია იმ წინაპირობების არსებობა, რომელიც სასამართლოს მისცემდა შვილების დაშვების უფლებას (1239 I, იხ. მუხ. 1239 მე-8 ველი).
- 7** გამომდინარე იქიდან, რომ 1240-ე მუხლი აღწერს მხოლოდ შვილების დადასტურების მოთხოვნის წარმოშობის საფუძველებს, მაგრამ არ აკონკრეტებს იმ წინაპირობებს, რომელთა არსებობა აუცილებელია დადასტურებისთვის („შეიძლება სასამართლოს წესით დადასტურდეს“), სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს 1239 I მუხლით დადგენილი სტანდარტით, რაც მოიცავს შვილებისადმი ნაყენებულ ზოგად მოთხოვნებსაც. სწორედ ამიტომ, დაუშვებელია შვილების დადგენა მაშინ, როდესაც შვილება შეუძლებელი იქნებოდა პირის არასრულწლო-

ვანებისას. მაგალითად, თუკი ბიოლოგიურ მშობელს მშობლის უფლება ჩამორთმეული არ ჰქონია, შემდგომში სხვა პირის არასრულწლოვნის მშობლად მიჩნევა შვილების დადასტურების გზით დაუშვებელია. ამ შედეგს არ ცვლის არც შვილების დადგენის მომენტში მშობლის თანხმობის არსებობა პირის გაშვილებასთან დაკავშირებით. იმავე მიზეზით, პრობლემურია სასამართლოს მითითება იმაზე, რომ ბიოლოგიური მშობლის უფლებების არსებობის მიუხედავად, შვილების დადგენის საკითხის გადაწყვეტისას მხედველობაში უნდა ყოფილიყო მიღებული გაშვილებაზე დედის თანხმობაც.¹ 1240-ე მუხლისთვის გადამწყვეტია, რომ არასრულწლოვნის შვილება დასაშვები იყოს მშობლისა და შვილის ფაქტობრივი ურთიერთობის წარმოშობის მომენტში. თუ ამის რომელიმე წინაპირობა მხოლოდ მოგვიანებით (მშვილებლის გარდაცვალების შემდეგ) წარმოიშობა, ეს დადასტურებას დასაშვებად ვერ აქცევს.

1246-ე და 1247-ე მუხლები შვილების დადასტურების 1240-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაზე გამოიყენება ანალოგიით. **8**

A minore ad maius-არგუმენტით, არასრულწლოვანს შვილების დადასტურების მოთხოვნის უფლება მით უფრო უნდა ჰქონდეს სიცოცხლის განმავლობაში შვილად აყვანის შესახებ განცხადების შეტანის შემთხვევაშიც, გამომდინარე იქიდან, რომ ამით პირი, 1240-ე მუხლის 1-ლი ვარიანტისგან განსხვავებით, გაცხადებულად ავლენს მშობლისა და შვილის ურთიერთობის სამართლებრივი ფიქსაციის ნებას. **9**

2. შვილად აყვანის შესახებ განცხადების შეტანა

თუკი გარდაცვლილმა შვილად აყვანის შესახებ განცხადება მის სიცოცხლეშივე შეიტანა, შვილების დადასტურების მოთხოვნის უფლება აქვს სრულწლოვან პირსაც. ასეთ შემთხვევაში სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს 1239 II მუხლში მითითებული წინაპირობებით. **10**

¹ სუსგ № ას-710-1083-06, 2007 წლის 30 აპრილი.

III. შვილების დადგენის პროცედურა

11 შვილების ფაქტის დადგენა ხორციელდება უდავო წარმოების წესით, სსკ-ის 312-ე-316¹ მუხლების მიხედვით. ამ პროცედურის ინიცირების უფლება აქვთ მხოლოდ და მხოლოდ იმ სუბიექტებს, რომელთა პირადი ან ქონებრივი უფლებების წარმოშობასაც მიზნად ისახავს უდავო წარმოება (სსკ-ის 312 I). შვილების დადგენის მიზნებისთვის ეს არის პირი, რომელიც უნდა აღიჭურვოს გარდაცვლილი აღმზრდელის შვილის პოზიციით. ამიტომ გარდაცვლილის მეუღლის განცხადება, რომლითაც ის ითხოვს შვილების დადგენას იმაზე მითითებით, რომ მან და გარდაცვლილმა პირი ერთობლივად აღზარდეს, არ უნდა დაკმაყოფილდეს.² ამის საპირისპიროდ, ასეთ შემთხვევაში ცოცხლად დარჩენილმა მეუღლემ სასამართლოში განცხადება უნდა შეიტანოს არა შვილების დადგენის, არამედ შვილების შესახებ (სსკ-ის 310 I ზ), 349-ე-35-ე მუხლები).

² იქვე.

მუხლი 1241. შვილად აყვანის დაუშვებლობა ბავშვის გარდაცვალებისას

ბავშვის გარდაცვალების შემთხვევაში შვილება არ დაიშვება.

ნორმა კრძალავს მშობლისა და შვილის ურთიერთობის წარმოშობას ბავშვის გარდაცვალების შემდეგ. ასეთი შინაარსის განცხადება არ უნდა დაკმაყოფილდეს დაუსაბუთებლობის საბაზით (სსკ-ის 315-ე მუხლი), წარმოდგენილი მტკიცებულებების კვლევის გარეშე.

1

გამომდინარე იქიდან, რომ შვილების პროცედურის სავალდებულო მონაწილეებს წარმოადგენენ როგორც მშვილებელი, ისე ნაშვილები, ერთ-ერთი მათგანის გარდაცვალება კი ამ პროცედურის შეწყვეტას ნიშნავს. ამიტომ განსახილველი მუხლის დანიშნულება ბავშვის გარდაცვალებისას მხოლოდ შვილების დაწყებული პროცედურის შეწყვეტითა და 1240-ე მუხლის ანალოგიით შვილად აყვანის დადასტურების აკრძალვით თუ შეიძლება შემოიფარგლოს. განსხვავებით აღმზრდელის გარდაცვალებისგან (1240), ბავშვის გარდაცვალების შემდეგ შვილების დადგენა უფლებებს წარმოუშობდა პოტენციურ მშვილებელს, რაც დაუშვებელია, რადგან ეს შეეწინააღმდეგებოდა შვილების ინსტიტუტის დანიშნულებას - უპირველესად მოემსახუროს არასრულწლოვანი შვილის ინტერესებს. იმავე დასაბუთებით დაუშვებელია შვილების ფაქტის დადგენა არასრულწლოვნის გარდაცვალების შემდეგ 1240-ე მუხლის ანალოგიის გზით.

2

მუხლი 1242. გადაწყვეტილების მიღება შვილად აყვანის შესახებ

შვილად აყვანის შესახებ გადაწყვეტილებას მშვილებლის განცხადებით იღებს სასამართლო მშვილებლის ან შვილად ასაყვანის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს დასკვნის შემდეგ.

I. ზოგადი	408
II. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ჩართულობა	408
III. საქმის დახურული ფორმით წარმოება	409
IV. შვილების მიღმა ბავშვზე უფლების წარმოშობის შესაძლებლობა	410
1. ზოგადი წესი	410
2. გამონაკლისი ზოგადი წესიდან	410
V. შვილად აყვანის შეწყვეტა	412
1. შვილად აყვანის ბათილობა	412
2. შვილების გაუქმება	413

I. ზოგადი

- 1** ნორმა ადგენს შვილად აყვანის შესახებ საკითხის უწყებრივ ქვემდებარეობასა და სასამართლოს ტერიტორიულ განსჯადობას. განსახილველ მუხლში ზუსტდება შვილად აყვანისთვის მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს დასკვნის აუცილებლობაც. თუმცა 1242-ე მუხლი მხოლოდ ზოგადი ხასიათის დანაწესია, რომელიც კონკრეტდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსითა და „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ კანონით (შემდგომში: კანონი).

II. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ჩართულობა

- 2** შვილად აყვანის შესახებ განცხადების შეტანას (სსკ-ის 349-ე მუხლი) წინ უძღვის მოსამზადებელი პერიოდი, რომელშიც პროცედურების განმახორციელებელი უფლებამოსილი ორგანო მეურვეობისა და მზრუნველობის სააგენტო (კანონის 5 I მუხლი). ამ უკანასკნელს წარმოადგენს სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, და-

ზარალებულთა დახმარების სააგენტო (კანონის მე-3 მუხლის ნ) ქვეპუნქტი).

სამართალწარმოების წინარე პერიოდი მოიცავს რეგისტრაციას მშვილბლის გასაშვილებელ ბავშვთა და მშვილბელთა ერთიან რეესტრში, სავალდებულო მოსამზადებელი კურსის გავლას, გასაშვილებელი ბავშვის მშვილბლისთვის შეთავაზებასა და შვილად აყვანის შესახებ დასკვნის მომზადებას (კანონის მე-19, მე-20, 23-ე და 24-ე მუხლები). შვილად აყვანის შესახებ დასკვნის გარეშე, სსკ-ში ამაზე პირდაპირი მითითების არარსებობის მიუხედავად, სამართალწარმოება არც კი უნდა დაიწყოს, რაც გამომდინარეობს კანონის 24 III მუხლიდან, რომელიც მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ავალდებულებს დასკვნის წარდგენას შესაბამისი სასამართლოსთვის, მისი მომზადებიდან 1 კვირის ვადაში. მით უფრო, შვილება არ დაიშვება, თუ მეურვეობისა და მზრუნველობის სააგენტოს მიერ მომზადებული დასკვნა უარყოფითია. სასამართლოს ვალდებულებას შეადგენს მხოლოდ დამატებითი კონტროლი იმისა, რომ შვილება შეესაბამება გასაშვილებელი ბავშვის ინტერესებს. სააგენტოს უფლება აქვს, შეცვალოს საკუთარი დასკვნა და მოითხოვოს სასამართლო პროცესის შეჩერება (კანონის 61 XIX მუხლი).

მეურვეობისა და მზრუნველობის სააგენტოს კომპეტენცია არ ამოინურება შვილების შესახებ დასკვნის მომზადებასა და წარდგენაში. ის სამართალწარმოების განმავლობაში ასრულებს ასევე გასაშვილებელი პირის წარმომადგენლის ფუნქციას (კანონის 7 II ბ), 61 XII მუხლი).

III. საქმის დახურული ფორმით წარმოება

შვილად აყვანის დადგენის ზოგადი წესი მისი დახურულ სხდომაზე განხილვაა (სსკ-ის 350 IV 1), რაც შეიძლება განსხვავებულად გადაწყდეს სამართალწარმოებაში ჩაბმული პირების თხოვნით ან სასამართლოს გადაწყვეტის მიხედვით (სსკ-ის 350 IV 2 მუხლი).

სსკ-ის 351 I მუხლით განმცხადებელს ენიჭება უფლება, მოითხოვოს, რომ გადაწყვეტილება საჯაროდ არ გამოცხადდეს. ამგვარი გადა-

წყვეტა ეწინააღმდეგება კონსტიტუციის 62 III 3 მუხლს.¹ ნორმის „გადარჩენა“ შესაძლებელია შემრიგებლური პოზიციით, რომლის მიხედვითაც, სასამართლო, მართალია, გამოაცხადებს გადაწყვეტილებას, თუმცა პირთა იდენტიფიკაციის შესაძლებლობის გარეშე.

IV. შვილების მიღმა ბავშვზე უფლების წარმოშობის შესაძლებლობა

1. ზოგადი წესი

- 7** ზოგადი წესის თანახმად, მშვილებელსა და ნაშვილების ურთიერთობას წარმოშობს მხოლოდ და მხოლოდ სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილება ბავშვის შვილად აყვანის შესახებ. აკრძალულია წინასწარი მოლაპარაკება შვილების მსურველსა და ბავშვის ბიოლოგიურ მშობლებს შორის, ისევე, როგორც ორსული ქალის წინასწარ შერჩევა პოტენციური შვილების დასაგეგმად (კანონის 16 I, II მუხლები). საერთაშორისო შვილების მსურველს ეკრძალება კანონით დადგენილი პროცედურების გავლა კომპეტენტური ორგანოების მონაწილეობის გვერდის ავლით (კანონის 16 III მუხლი). ჩამოთვლილი ქმედებები, უმართლობის დამფუძნებელი სუბიექტური შემადგენლობისა თუ შედეგის გათვალისწინებით, დასჯადია სისხლის სამართლის წესით (სისხლის სამართლის კოდექსის 172-ე, 172¹-ე, 173-ე მუხლები).

2. გამონაკლისი ზოგადი წესიდან

- 8** ბავშვის ინტერესებისთვის უპირატესობის მინიჭების პრინციპიდან გამომდინარე, ზოგადი წესიდან გამონაკლისი დაიშვება იმ შემთხვევაში, თუ კანონის გვერდის ავლით გასაშვილებელ პირთან მშობლისა და შვილის ურთიერთობა ფაქტობრივად დამყარდა.
- 9** უზენაესი სასამართლოს მიერ განხილული ერთ-ერთი საქმის² ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, უფლებამოსილი ორგანო ითხოვდა

¹ იმავე პოზიციისთვის იხ. *ქურდაძე/ზუნაშვილი*, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბილისი 2015, 502.

² სუსგ № ას-1213-1064-2010, 2011 წლის 14 მარტი.

მიტოვებულად აღიარებული ბავშვის ფაქტობრივი აღმზრდელების ოჯახიდან გამოყვანას. მოსარჩელის მთავარი არგუმენტი იყო ის, რომ მოპასუხეები მშობლის უფლებამოსილებებს ახორციელებდნენ შვილებისთვის დადგენილი წესის დარღვევით და, რაც მთავარია, რეესტრში რეგისტრირებული მშვილებლების რიგის უგულვებელყოფით. ამის საწინააღმდეგოდ, შვილად აყვანისას დაცული უნდა ყოფილიყო რეესტრში არსებული რიგითობა. უზენაესმა სასამართლომ გადამწყვეტი მნიშვნელობა მიანიჭა იმის განსაზღვრას, იქნებოდა თუ არა ბავშვისთვის უკეთესი, მოწყვეტილიყო მასზე დადებითად მოქმედ გარემოსა და მზრუნველ პირებს. საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა ქვედა ინსტანციას სწორედ აღნიშნული გარემოების დასადგენად.

მოხმობილი არგუმენტაცია სრულად პასუხობს ბავშვის უპირატესი ინტერესების დაცვის პრინციპს. შვილად აყვანის პროცედურა უპირველესად რეალიზაციაა გასაშვილებელი პირის უფლებისა, იცხოვროს ოჯახში. კანონმდებლობის გვერდის ავლით, უკვე ფაქტობრივად დამდგარი ურთიერთობის ჩაშლა, იცავს არა ბავშვის, არამედ შვილების მსურველთა ინტერესებს, რომელთა სასარგებლოდაც საკითხის გადაწყვეტა გაუმართლებელია. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ფაქტობრივი ურთიერთობის ურღვევობას უპირისპირდება ბიოლოგიური მშობლის ინტერესი, ჰქონდეს ბავშვთან წვდომა და მის აღზრდაში მონაწილეობის უფლება, ბავშვის მოწყვეტა აღმზრდელის ოჯახისგან გაუმართლებელია. ასეთ შემთხვევაში სახელმწიფო მაინც არღვევს უფლებამოსილი პირების უფლებას, თუმცა არა იმით, რომ ვერ უზრუნველყოფს ბავშვის დაბრუნებას, არამედ იმგვარი დაგვიანებული რეაგირებით, რომელმაც საშუალება მისცა ფაქტობრივ აღმზრდელსა და ბავშვს, ჩამოეყალიბებინათ მშობლისა და შვილის დარი ურთიერთობა.³

კანონმდებლობის ხარვეზად უნდა ჩაითვალოს გასაშვილებელი პირების ფაქტობრივი აღმზრდელებისთვის შვილების უპირატესი უფლების არმინიჭება, რაც მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მისცემდა რეესტრში დაფიქსირებული რიგითობის უგულვებელყოფის შესაძლებლობას (კანონის 15 IV მუხლი). ამასთან, სამართლებრივი ვაკუუმის თავიდან გამოსარიცხად, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგა-

³ ECtHR, *W. v. the United Kingdom*, No. 9749/82, 8 July 1987, § 68-69.

ნოს საგამონაკლისო წესით უნდა ენიჭებოდეს რეესტრში გასაშვილებელ ბავშვად დაფიქსირებული პირის ფაქტობრივი აღმზრდელის მიერ შვილების ინიცირების უფლება. თავის მხრივ, ამ სამართალწარმოების ფარგლებში ფაქტობრივი აღმზრდელის უარი შვილებაზე უნდა წარმოადგენდეს ბავშვის შესაბამისი ოჯახიდან გამოყვანის საფუძველს. ამკარაა, რომ ამ საკითხის რეგულირება არ უნდა იყოს მინდობილი ქართულ სასამართლო პრაქტიკას ან სამართლის მეცნიერებას, რომლებსაც აღნიშნულზე შემოთავაზებული არ აქვთ არათუ ცალსახა, არამედ საერთოდ არანაირი გადაწყვეტა.

V. შვილად აყვანის შეწყვეტა

- 12** შვილად აყვანის შეწყვეტა შეიძლება გამოყენებული იყოს გვარეობით ცნებად შვილად აყვანის ბათილობისა და გაუქმებისთვის. თუკი ბათილობა შვილად აყვანას წყვეტს *ex tunc*-ეფექტით, გაუქმებას აქვს მხოლოდ *ex nunc*-მოქმედება. ორივე მათგანი განიხილება სასარჩელო წარმოების გზით (კანონის 68 VII მუხლი) და მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს აუცილებელი მონაწილეობით (კანონის 66 II, 67 III მუხლები). ამასთან, შვილების შეწყვეტა დაუშვებელია ნაშვილების თანხმობის გარეშე, თუ მას შეუსრულდა 10 წელი (კანონის 66 IV, 67 IV მუხლი).
- 13** აღდგება თუ არა ურთიერთობა ბავშვსა და ბიოლოგიურ მშობელს შორის შვილად აყვანის შეწყვეტის შემდეგ (კანონის 69 IV 2 მუხლი) ნყდება სასამართლოს შეხედულებით, ბავშვის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად.

1. შვილად აყვანის ბათილობა

- 14** შვილად აყვანის ბათილობის საფუძველებს განსაზღვრავს კანონის 67 I მუხლი. ამასთან, აუცილებელია, რომ შვილად აყვანის ბათილად ცნობა არ ეწინააღმდეგებოდეს ბავშვის ინტერესებს (კანონის 67 II მუხლი). იმავე არგუმენტაციით, შვილად აყვანის ბათილობა გამოირიცხება ნაშვილების თანხმობის არარსებობისას, თუ მას შეუსრულდა 10 წელი (კანონის 67 IV 1 მუხლი).

კანონის წესების დარღვევა (კანონის 67 I ა) მუხლი), როგორც შვილად აყვანის ბათილობის საფუძველი, მოიცავს როგორც პროცედურული ხასიათის გადაცდომებს, ისე შვილად აყვანის მატერიალურ-სამართლებრივი წინაპირობების არარსებობას. თუმცა ეს საფუძველები ვერ იქნება თვითკმარი შვილად აყვანის ბათილად ცნობისთვის - მაგალითად, მშობლის უფლების ჩამორთმევისას დაშვებული შეცდომა ვერ გადანონის შვილებით დამდგარი შედეგის სტაბილურობის ინტერესს.⁴ ამასვე ემსახურება კანონის მითითება მშვილებელთან ცხოვრების ხანგრძლივობაზე (კანონის 67 II 2 მუხლი). ასეთ შემთხვევაშიც შვილად აყვანის ძალაში დატოვება ბავშვის ინტერესების უპირატესობით უნდა დასაბუთდეს (კანონის 67 II მუხლი).

ფიქტიურობის საბაზით შვილად აყვანის ბათილობა დაუშვებელია მაშინ, თუ პირებს შორის შესაბამისი ურთიერთობა ნამდვილად შედგა - ბავშვის ინტერესების გამო შვილად აყვანის ბათილობაზე უარი ამ შემთხვევაში საბუთდება 1145 III მუხლის იდენტური მოტივაციით.

კანონის 67-ე-69-ე მუხლები სპეციალურია სსკ-ის 421-ე-432¹ მუხლებთან მიმართებით.

2. შვილების გაუქმება

შვილების გაუქმების საჭიროება შეიძლება დადგეს მაშინ, როდესაც პირებს შორის მშობლისა და შვილის დარი ურთიერთობის წარმოშობის შესახებ მოლოდინი არ გამართლდა (1239 I მუხლი).

შვილების გაუქმების საფუძველები ზუსტდება კანონის 66 I მუხლით, თუმცა მათგან უკანასკნელის ნაშვილების საუკეთესო ინტერესებზე მითითების ზოგადი ხასიათის გამო, ჩამონათვალი ღიაა და ზუსტდება შემთხვევის თავისებურებებით.

ჯეროვნად ასრულებს თუ არა მშვილებელი საკუთარ ვალდებულებებს ფასდება იმავე სტანდარტით, რომლითაც შეფასდებოდა ბავშვის ბიოლოგიური მშობელი, რაც გამომდინარეობს შვილების სამართლებ-

⁴ იმავე პოზიციისთვის იხ. *W and another v Norfolk Council* [2009] EWCA Civ 59.

რივი შედეგებიდან (1261). ამასთან, იმ ობიექტური გარემოებების სიმცდარე, რომელთაც შესაძლებელი გახადა შვილების დადგენა (1239 I) არის არა შვილების გაუქმების, არამედ მისი ბათილობის საფუძველი შვილების კანონდარღვევის საბაბით (კანონით 67 I ა) მუხლი).

21 განსხვავებით შვილად აყვანის ბათილობისგან, შვილად აყვანის გაუქმება ბავშვის სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ შესაძლებელია მხოლოდ ნაშვილების, მშვილებლისა და ბიოლოგიური მშობლის თანხმობის არსებობისას (კანონის 66 V მუხლი). მოცემულ შემთხვევაში ბიოლოგიური მშობლის თანხმობის სავალდებულოობის გამართლება იმით, რომ შვილად აყვანის გაუქმებამ შეიძლება აღადგინოს სამართლებრივი ბმა მასსა და შვილს შორის (კანონის 69 IV 2 მუხლი), დაუსაბუთებელი ჩანს, რადგან იგივე შედეგი შეიძლება დადგეს არასრულწლოვანი პირის შვილების გაუქმების შედეგად. ამდენად, გაუგებარია, რითი ხელმძღვანელობდა კანონმდებელი, როდესაც შვილების გაუქმებას დამოკიდებულს ხდიდა შვილთან მიმართებით სამართლებრივად უცხო პირის (1260) ნებაზე.

მუხლი 1243. წარმომადგენლის მეშვეობით შვილად აყვანის დაუშვებლობა

1. შვილად აყვანა არ შეიძლება რაიმე პირობით, ვადაზე მითითებით ან წარმომადგენლის მეშვეობით.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი შეზღუდვა არ ვრცელდება მშვილებლის უფლებაზე, წარმოდგენილ იქნეს სასამართლო წარმოებისას ადვოკატის მიერ.

3. ამ მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი შეზღუდვა არ ვრცელდება მშვილებლის უფლებაზე, მოიძიოს და მოიპოვოს აკრედიტებული სააგენტოების დახმარება შვილად აყვანის პროცედურების დროს საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების შესაბამისად.

საქართველოს 2007 წლის 18 დეკემბრის კანონი №5624 - სსმ I, №48, 27.12.2007წ., მუხ.414

მუხლი 1244. შვილად აყვანის შესახებ გადანყვეტილების რეგისტრაცია

1. შვილად აყვანის შესახებ გადანყვეტილების რეგისტრაციას ახორციელებს სააგენტოს ნებისმიერი ტერიტორიული სამსახური, განმცხადებლის სურვილისამებრ.

11. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამოქალაქო აქტის რეგისტრაცია საზღვარგარეთ შეიძლება განახორციელოს საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურმა წარმომადგენლობამ ან საკონსულო დაწესებულებამ.

2. სასამართლო ვალდებულია გადანყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში აცნობოს თავისი გადანყვეტილება სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურს.

3. შვილება ნამდვილია სასამართლოს გადანყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან.

- 1** გამომდინარე იქიდან, რომ შვილების ნამდვილობისთვის საკმარისია გადანყვეტილების ძალაში შესვლა ყოველგვარი სხვა ხდომილების დადგომის გარეშე, შვილად აყვანის შესახებ გადანყვეტილება არ წარმოადგენს აღსრულებაქვემდებარე აქტს და არც მისი რეგისტრაცია ითვლება აღსრულებად.
- 2** პირს აქვს უფლება, მოითხოვოს გადანყვეტილების რეგისტრაცია სერვისების განვითარების სააგენტოს ნებისმიერ ტერიტორიულ სამსახურში, თუმცა ამ უფლების განუხორციელებლობა არ ნიშნავს შესაბამისი ინფორმაციის საერთოდ არასახვას. სასამართლო, იმის მიუხედავად, გამოავლინა თუ არა ამასთან დაკავშირებით ნება განმცხადებელმა, გადანყვეტილების შესახებ სააგენტოს თავად ატყობინებს მისი კანონიერ ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში.
- 3** შვილების შესახებ გადანყვეტილების რეგისტრაცია ბავშვის დაბადების აქტის ცვლილების საფუძველია - მშვილებელი მიეთითება შვილის მშობლად („შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის“ შესახებ კანონის (შემდეგში - კანონი) 62 II მუხლი). განმცხადებლის მოთხოვნითა და სასამართლოს შესაბამისი გადანყვეტილებით შეიძლება შეიცვალოს შვილის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, დაბადების ადგილი და დაბადების თარიღი დაბადების თვის ფარგლებში (კანონის 62 I მუხლი), რაც ასევე ექვემდებარება მონაცემებში ასახვას. სასამართლო შეზღუდულია მხოლოდ და მხოლოდ დაბადების თარიღის დადგენის ნაწილში: შეცვლილი დაბადების თარიღი იმავე თვის ფარგლებში უნდა განისაზღვროს. ეს ემსახურება ობიექტური სინამდვილისა და სამართლებრივი რეალობის ურთიერთაცდენისაგან თავის არიდებას: დაუშვებელია, ფაქტობრივად არასრულწლოვანი პირი სამართლებრივად სრულწლოვანების ასაკს აღწევდეს. პირველ რიგში, ამის საწინააღმდეგოდ მეტყველებს სისხლისსამართლებრივი რეჟიმის სუბიექტზე გავრცელება, რომელიც ასეთ შემთხვევაში სრულწლოვანების სამართლებრივ რეალობას მიაქცევდა ყურადღებას (სისხლის სამართლის კოდექსის 33-ე მუხლი). ამიტომ აუცილებელია კანონის 62 I მუხლის შეზღუდული განმარტება. კერძოდ, სასამართლოს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, შეცვალოს ბავშვის დაბადების თარიღი იმავე თვის ფარგლებში, თუმცა დაბადების შეცვლილ თარიღად დაადგინოს მხოლოდ და მხოლოდ ნამდვილი თარიღის მომდევნო დღე. ეს უზრუნველყოფს საკითხის სისხლის სამართლის სუბიექტის სასარგებლოდ გადანყვეტას. თუ

ბავშვი დაბადებულია თვის უკანასკნელ დღეს, მისი დაბადების დღის ცვლილება, იმავე არგუმენტაციიდან გამომდინარე, საერთოდ გამორიცხული უნდა იყოს.

შვილად აყვანის შესახებ გადანყვეტილება ძალაში შედის გამოცხადებისთანავე (სსკ-ის 264 I ა) მუხლი) და არ საჩივრდება. შესაძლებელია მხოლოდ შვილების გაუქმება (*ex nunc* ეფექტით) ან ბათილად ცნობა (*ex tunc* ეფექტით) კანონის 66-ე-69-ე მუხლების მიხედვით (იხ. 1242-ე მუხლის კომენტარი).

4

მუხლი 1245. მშვილებელი

მშვილებელი შეიძლება იყოს პირი, რომელიც აკმაყოფილებს „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ მოთხოვნებს და აღრიცხულია გასაშვილებელ ბავშვთა და მშვილებელთა რეესტრში.

საქართველოს 2007 წლის 18 დეკემბრის კანონი №5624 - სსმ I, №48, 27.12.2007წ., მუხ.414

საქართველოს 2012 წლის 19 ივნისის კანონი №6494 – ვებგვერდი, 02.07.2012წ.

საქართველოს 2015 წლის 20 მარტის კანონი №3339 - ვებგვერდი, 31.03.2015წ.

I. ზოგადი

- 1 მშვილებელი უნდა იყოს პირი, რომელიც აკმაყოფილებს შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ კანონის მე-17 და მომდევნო მუხლებში განერილ წინაპირობებს. მართალია, სამოქალაქო კოდექსი 1239 I მუხლში უშვებს ინდივიდუალურ შვილებას, თუმცა 1247-ე და 1248-ე მუხლებში ზღუდავს ამის შესაძლებლობას დაქორწინებული პირების შემთხვევაში.

II. ინდივიდუალური შვილება

- 2 სამოქალაქო კოდექსშიც და ზემოთ ხსენებულ კანონშიც, მეუღლეთა მიერ ერთობლივად შვილების მიღმა, მოქმედებს ინდივიდუალური შვილების პრინციპი, 1246 I 2 – „არ შეიძლება ერთი ბავშვი ორმა პირმა იშვილოს, გარდა მეუღლეებისა“. ეს პრინციპი გულისხმობს, რომ ერთმანეთთან დაუქორწინებელი პირები, მაგალითად, და-ძმა ან ორი და, ბავშვს ერთობლივად ვერ იშვილებს.¹ გარდა ამისა, ინდივიდუალურ შვილებას შეიძლება აზრი ჰქონდეს ასევე მაშინ, როდესაც ბავშვის ერთობლივი შვილება შეუძლებელია, რადგან შვილების მსურველთა შორის ქორწინება მთავრდება (განქორწინებით ან გარდაცვალებით) შვილების პროცედურის დამთვრებამდე; ასევე ნათესავი ბავშვის შვილებისას.²

¹ LG Bad Kreuznach StAZ 85, 167.

² BT-Drs 7 / 3061, 30.

მუხლი 1246. შვილად აყვანა მეუღლეების მიერ

1. მეუღლეებს შეუძლიათ ბავშვი ერთად იშვილონ. არ შეიძლება ერთი ბავშვი ორმა პირმა იშვილოს, გარდა მეუღლეებისა.

2. ერთ-ერთ მეუღლეს შეუძლია იშვილოს თავისი ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვი ან მეუღლის შვილი.

I. ერთობლივი შვილება მეუღლეების მიერ419
 II. ერთ-ერთი მეუღლის მიერ ინდივიდუალური შვილება420
 1. ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვის შვილება, 1246 II ვარ. 1420
 2. გერის შვილება421

I. ერთობლივი შვილება მეუღლეების მიერ

ზოგადად, მეუღლეებს ბავშვის შვილება შეუძლიათ მხოლოდ ერთობლივად. ეს წესი მოქმედებს ასევე სრულწლოვანის შვილებისას მისი დაქორწინებული ბიოლოგიური მამის მიერ¹ და მაშინაც, როდესაც მეუღლეები უკვე დიდი ხანია განცალკევებით ცხოვრობენ.² მხოლოდ თანხმობა მეუღლის მხრიდან საკმარისი არ არის.³ დაუშვებელია ასევე საფეხუროვანი შვილება, ჯერ ერთი, ხოლო შემდეგ მეორე მეუღლის მიერ – ბავშვს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა ორივე მშობელთან თავიდანვე დაკავშირებული იყოს მშობლიური კავშირით, რისი წინაპირობაცაა ამ კავშირის სამართლებრივი კონსტანტაცია.

ამის საპირისპიროდ, თუ ერთ-ერთმა მეუღლემ შვილი ქორწინებამდე იშვილა, დასაშვებია, რომ მეორე მეუღლის მხრიდან შვილება მოგვიანებით მოხდეს.

ერთობლივად შვილების შემთხვევაში ბავშვი მეუღლეთა საერთო შვილად რჩება ასევე განქორწინების შემდეგაც. თუმცა აუცილებელია, რომ ქორწინება შვილების მომენტისათვის ჯერ კიდევ არსებობდეს.⁴

¹ OLG Hamm Fam.RZ 2003, 1039.
² OLG Hamm FamRZ 2000, 257.
³ OLG Hamm FamRZ 2000, 257.
⁴ KG NJW 68, 1631.

ამიტომაც ბავშვი საერთო შვილის სტატუსს არ მოიპოვებს, თუ მისი შვილება ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალების შემდეგ მოხდა.

იხ. ასევე 1248-ე მუხლის კომენტარი.

II. ერთ-ერთი მეუღლის მიერ ინდივიდუალური შვილება

- 4** ერთ-ერთი მეუღლის მხრიდან ინდივიდუალური შვილება მხოლოდ გამონაკლისის სახით არის დასაშვები და მისი წინაპირობაა მეორე მეუღლის თანხმობა (1247). ეს გამონაკლისები შემდეგია:

1. ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვის შვილება, 1246 II ვარ. 1

- 5** თითოეულ მეუღლეს ქორწინების განმავლობაშიც შეუძლია ინდივიდუალურად იშვილოს საკუთარი ბიოლოგიური შვილი, რომელიც მას ქორწინების გარეშე შეეძინა. უმნიშვნელოა, ეს დაქორწინებამდე მოხდა თუ დაქორწინების შემდეგ. მეუღლეთა მიერ ერთობლივი შვილების წესიდან ამ გამონაკლისის დაშვების მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ აქ მშობლიური ბმა უკვე ისედაც არსებობს (მხოლოდ ერთ მეუღლესა და ბავშვს შორის ბიოლოგიური კავშირის საფუძველზე). აღსანიშნია ის ფაქტი, რომ წარსულში გერმანულ სამართალშიც ცალსახად აღიარებული საკუთარი ბიოლოგიური შვილის შვილება მეუღლის მიერ დღეს, უკანაკნელი საკანონმდებლო ცვლილებებით,⁵ უკუგდებულია და თავის დროზე მისი განმაპირობებელი ნორმების კონსტიტუციურობის საკითხიც კი დადგა ეჭვქვეშ.⁶ გერმანიაში ამ დანაწესის არსებობის განმაპირობებელი იყო ორი სხვა დანაწესი: ერთის მიხედვით, ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვის დედას არ ჰქონდა მასზე მშობლის ზრუნვის უფლება,⁷ ხოლო მამას არ აკავშირებდა მასთან ნათესაური კავშირი.⁸ ამ ორივე დანაწესის გსკ-იდან უკვალოდ ამოშლის შემდეგ 1246 II

⁵ BT-Drs 13/ 4899, 70.

⁶ BVerfG, Beschluß vom 7. März 1995 - FamRZ 1995, 789.

⁷ გსკ-ის ძვ. რედაქციის 1707-ე პარაგრაფი.

⁸ გსკ-ის ძვ. რედაქციის 1589-ე პარაგრაფი.

ვარ. 1 მუხლის შესატყვისი დანაწესის აუცილებლობაც გაქრა. ის სრულებით შეუთავსებელი აღმოჩნდა ქორწინებაში და ქორწინების მიღმა შობილი შვილების ერთმანეთთან გათანაბრების მიზანთან. საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ზემოხსენებული გსკ-ის დანაწესების მსგავსი ნორმები არ მოიპოვება. დედა ფლობს ასევე ქორწინების გარეშე შობილ შვილზეც ზრუნვის სრულ უფლებას, ხოლო მამას შეუძლია მამობის აღიარებით (1190 I) მიიღოს ის შვილად. ამიტომაც გაუგებარია 1246 II ვარ. 1 მუხლის ფუნქცია და მიზანი, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მის გამართლებას (ხსენებულ ნორმებთან ურთიერთკავშირში) გერმანიაში ე. წ. „უკანონო“ შვილების დისკრიმინირების ფორმით მათი დაბადებისათვის ხელშემშლა წარმოადგენდა, რაც ცალსახად არაკონსტიტუციურია.

2. გერის შვილება

მეუღლეს შეუძლია ინდივიდუალურად იშვილოს მეორე მეუღლის შვილი (1246 II ვარ. 2), დამოუკიდებლად იმისა, არის თუ არა ეს შვილი შეძენილი სხვა ქორწინებაში, ქორწინების მიღმა თუ, თავის მხრივ, ნაშვილებია. შვილი ამის შედეგად მოიპოვებს საერთო შვილის სტატუსს (1248).

6

მუხლი 1247. მეუღლის თანხმობა ბავშვის შვილად აყვანისას

თუ ბავშვი შვილად აჰყავს ერთ-ერთ მეუღლეს, საჭიროა მეორე მეუღლის თანხმობა. ასეთი თანხმობა საჭირო არ არის, თუ მეუღლეებს საქორწინო ურთიერთობა ფაქტობრივად შეწყვეტილი აქვთ 1 წელზე მეტი ხნის განმავლობაში ან მეორე მეუღლის საცხოვრებელი ადგილი უცნობია.

საქართველოს 2015 წლის 20 მარტის კანონი №3339 - ვებგვერდი, 31.03.2015წ.

I. ზოგადი

- 1 1247-ე მუხლის მიხედვით, ერთ-ერთი მეუღლის მიერ ინდივიდუალურად შვილად აყვანის შემთხვევაში, აუცილებელია მეორე მეუღლის თანხმობა. გამომდინარე იქიდან, რომ ქორწინებაში მყოფს ინდივიდუალურად შეუძლია აიყვანოს მხოლოდ თავისი ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვი ან მეუღლის შვილი (1246 II) და მეუღლის შვილის აყვანის შემთხვევაში მისი, როგორც მშობლის, თანხმობა უკვე 1251-ე მუხლის საფუძველზეა საჭირო, 1247-ე მუხლის გამოყენების სფეროდ რჩება მხოლოდ საკუთარი, ქორწინების გარეშე შობილი შვილის აყვანის შემთხვევა. იხ. დამატებით 1246-ე მუხლის კომენტარი.

II. მეუღლის მიერ თანხმობის გაცემა

- 2 მეუღლის თანხმობა არის არაფორმალური ნების გამოხატვა, რომელიც შეიძლება მოხდეს ასევე წარმომადგენლის მიერაც. მისი მისვლისთვის, გამოხმობისათვის და ა. შ. ძალაშია ნების გამოხატვის ზოგადი წესები.
- 3 თანხმობის არსებობა არ ითვლება შვილების ნამდვილობის წინაპირობად და მისი არარსებობა არ აქცევს მას მოგვიანებით გაუქმებადად. თანხმობაზე დაუსაბუთებელი უარის შემთხვევაში დასაშვებია უნდა იყოს მისი სასამართლოს მეშვეობით ჩანაცვლება ან მისი გაცემის ზედმეტად მიჩნევა. ამ დროს გადამწყვეტია, რეალურად შეუძლის თუ

არა ხელს შვილის აყვანა მეუღლეთა ოჯახურ თანაცხოვრებას და ემუქრება თუ არა ოჯახურ ერთობას ჩაშლით, რაც უნდა გადანყდეს დაპირისპირებულ ინტერესთა ანონ-დანონვის გზით. მეუღლის მხრიდან უარი დაუსაბუთებელია, თუ ბავშვი უკვე ისედაც მშობელთან ცხოვრობს და შვილება მის ინტერესებს ემსახურება.

მუხლი 1248. შვილება ერთ-ერთი მეუღლის მიერ

თუ მეუღლეები ერთად იშვილებენ ბავშვს, ან ერთ-ერთი იშვილებს მეორე მეუღლის შვილს, ბავშვი იძენს მეუღლეთა ქორწინების საერთო შვილის სამართლებრივ მდგომარეობას.

I. ერთობლივი შვილების პრინციპი

- 1 1248-ე მუხლი კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს მეუღლეთა მიერ ერთობლივი შვილების პრინციპსა და მისგან გამომდინარე სამართლებრივ შედეგებს – თუ მეუღლეები ერთად იშვილებენ ბავშვს ან ერთ-ერთი იშვილებს მეორე მეუღლის შვილს, ბავშვი იძენს მეუღლეთა საერთო შვილის სტატუსს. „მეორე მეუღლის შვილის“ ქვეშ მოიაზრება როგორც ბიოლოგიური შვილი, ასევე ნაშვილები (იხ. ქვემოთ).
- 2 იხ. ამასთან დაკავშირებით ასევე 1246-ე მუხლის კომენტარი.

II. შვილების ექსკლუზიურობა

- 3 ერთობლივი შვილების პრინციპიდან გამომდინარეობს ასევე ის წესი, რომ ერთი მეუღლის მიერ ნაშვილები, მანამ, სანამ შვილად აყვანის ურთიერთობა არსებობს და მშვილებელი ცოცხალია, შეიძლება შვილებზე იქნეს მხოლოდ მეორე მეუღლის მიერ.¹ ამ წესის გამართლება შემდეგია:
- 4 არსებობს საფრთხე, რომ ნაშვილებსა და მშვილებელს შორის არ წარმოიშობა მშობლიური ურთიერთობა და მოხდება ბავშვის კიდევ ერთხელ გაშვილება. ამ ჯაჭვური გაშვილების თავიდან ასაცილებლად მშვილებლებს უნდა აეკრძალოთ ის უფლება, რაც ბიოლოგიურ მშობ-

¹ შდრ. გსკ-ის 1742-ე პარაგრაფი.

ლებს ყოველთვის აქვთ მინიჭებული, კერძოდ, გასცენ შვილი გასაშვილებლად.² ეს წესი მოქმედებს მხოლოდ ნაშვილების და არა მისი შთამომავლობის მიმართ. თუ მშვილებელ მშობლებს შორის ქორწინება მთავრდება განქორწინებით და ერთ-ერთი მშვილებელი თავიდან ქორწინდება, მის ახალ მეუღლეს შეუძლია იშვილოს ბავშვი მხოლოდ ერთ-ერთი, ქვემოთ მოყვანილი წინაპირობების არსებობისას.³ ამ წესის დარღვევა იწვევს შვილების შესახებ გადანყვეტილების ბათილობას.

ამგვარად, მშვილებლის მეუღლეს შეუძლია იშვილოს მის მიერ ნაშვილები ბავშვი. ის ამ შემთხვევაში ხდება მათი საერთო შვილი. ბიოლოგიური მშობლების თანხმობა აუცილებელი არ არის, რადგან მათთან არსებული ნათესაური ურთიერთობა უკვე პირველი ადოპციის შედეგად არის დამთავრებულია.

5

III. გამონაკლისები

შვილების არანამდვილობის ან გაუქმების შემთხვევაში დასაშვებია ხელმეორე ადოპცია ამ გარემოების აღმოფხვრის შემდეგ. მშვილებლების გარდაცვალება ამთავრებს შვილად აყვანის ურთიერთობას იმგვარად, რომ დასაშვებია ახალი შვილება, ბიოლოგიური მშობლების თანხმობის გარეშე,⁴ ისევე, როგორც უკუშვილება ბიოლოგიური მშობლების მიერ.⁵ მშვილებლების გაყრა არ ახდენს გავლენას შვილად აყვანის ურთიერთობაზე.

6

მუხლი 1249. (ამოღებულია)

საქართველოს 2017 წლის 4 მაისის კანონი №748 - ვებგვერდი, 24.05.2017წ.

² BT-Drs 7/3061, 31.

³ OLG Schleswig SchIHA 61, 22.

⁴ *Liermann*, in: Soergel, BGB, 12. Aufl., 1987, § 1742 Rn. 3.

⁵ LG Oldenburg FamRZ 1965, 395.

მუხლი 1250. მშვილებლის ასაკი

1. მშვილებელსა და გასაშვილებელ ბავშვს შორის ასაკობრივი სხვაობა არ უნდა იყოს **16 წელზე** ნაკლები. საპატრიო მიზეზის არსებობისას სასამართლომ შესაძლებელია შეცვალოს ეს ასაკობრივი სხვაობა.

2. მშვილებელსა და **10 წლამდე** ასაკის გასაშვილებელ ბავშვს შორის მაქსიმალური ასაკობრივი სხვაობა არ უნდა იყოს **49 წელზე** მეტი (ზედა ასაკობრივი ზღვარი). გამონაკლის შემთხვევაში მშვილებელსა და **7 წლიდან 10 წლამდე** ასაკის გასაშვილებელ ბავშვს შორის მაქსიმალური ასაკობრივი სხვაობა შესაძლებელია იყოს **49 წელზე** მეტი, თუ ეს შეესაბამება ბავშვის ინტერესებს. ზედა ასაკობრივი ზღვარი არ ვრცელდება დაქორწინებულ მშვილებლებზე, როდესაც ერთ-ერთი მათგანი აკმაყოფილებს ამ ნაწილით დადგენილ მოთხოვნებს.

3. შვილად აყვანის უპირატესი უფლების მქონე პირის მიერ ბავშვის შვილად აყვანის დროს ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით დაწესებული ასაკობრივი შეზღუდვები არ მოქმედებს.

საქართველოს 2017 წლის 4 მაისის კანონი №748 - ვებგვერდი, 24.05.2017წ.

I. ზოგადი	426
II. ასაკობრივი სხვაობის არსებობის აუცილებლობა	427
III. ზედა და ქვედა ასაკობრივი ზღვარი	427
IV. შვილად აყვანის უპირატესი უფლება, 1250 III	428

I. ზოგადი

1 1250-ე მუხლი აწესებს ასაკობრივ წინაპირობებს შვილებისათვის. ის უარს ამბობს მინიმალური და მაქსიმალური ასაკის განსაზღვრაზე, როგორც ერთ, ისე მეორე მხარეზე, არამედ აწესრიგებს მხოლოდ ასაკობრივ სხვაობას შვილად ასაყვანსა და შვილების მსურველს შორის.

2 მინიმალური ასაკობრივი სხვაობა უნდა იყოს **16 წელი (1250 I)**, ხოლო მაქსიმალური – **49**, თუ ასაყვანი ბავშვი არის **10 წლამდე** ასაკის,

საიდანაც დაიშვება გამონაკლისი: როდესაც შვილად აყვანა შედის 7 წლიდან 10 წლამდე ბავშვის ინტერესებში და დაქორწინებული მშვილებლების შემთხვევაში, როდესაც მხოლოდ ერთ-ერთი აკმაყოფილებს ამ წინაპირობებს (1250 II).

დანანესი არ ახსენებს და არ აყენებს შვილების წინაპირობად ქმედუნარიანობას.

II. ასაკობრივი სხვაობის არსებობის აუცილებლობა

მინიმალური (და ნაწილობრივ ასევე მაქსიმალური) ასაკობრივი სხვაობის კანონით დადგენის საჭიროება განპირობებულია „მშობელსა და შვილს შორის ურთიერთობის შედგომის“ აუცილებლობით, რაც მხოლოდ ამ პირობებშია შესაძლებელი. ეს ეხება არა მხოლოდ მშვილებლის მიერ გარკვეული გამოცდილებისა და ცხოვრებისეული „სიბრძნის“ ქონას, არამედ იმასაც, რომ მათ შორის არ წარმოიშვას სექსუალური შეფერილობის მქონე ურთიერთობა. **3**

ასევე მაქსიმალური განსხვავების შემთხვევაშიც: ასაკობრივი სხვაობისათვის ზღვრის დადებით უზრუნველყოფილი უნდა იყოს ის, რომ ეს ზემოთ ხსენებული ურთიერთობა არ ჩაიშლება ასაკიდან გამომდინარე საერთო ენის მონახვის შეუძლებლობის გამო და მშვილებელი მოახერხებს ბავშვის „ფეხზე დაყენებას“ მანამ, სანამ გამოეცლება ფიზიკური და ფსიქიკური ძალები. **4**

გარდა ხსენებული გამონაკლისებისა, სასამართლოს მიერ ამ წინაპირობისაგან გათავისუფლება გამორიცხულია. **5**

III. ზედა და ქვედა ასაკობრივი ზღვარი

მართალია, ასაკობრივი სხვაობის გარდა, ზედა და ქვედა ასაკობრივი ზღვარი არ არსებობს, მაგალითად, დასაშვებია 17 წლისა იშვილოს 66 წლისამ ან 18 წლისამ იშვილოს 2 წლის ბავშვი, თუმცა, ჩვეულებრივ, ამ კონსტელაციებში ეჭვის ქვეშ დგას ბავშვის კეთილდღეობისა და ინტერესის საკითხი 1239-ე მუხლის მიხედვით. **6**

IV. შვილად აყვანის უპირატესი უფლება, 1250 III

- 7** 1250 III მუხლის მიხედვით, შვილად აყვანის უპირატესი უფლების მქონე პირის მიმართ 1250 I, II მუხლით დაწესებული ასაკობრივი შეზღუდვები არ მოქმედებს. ის, თუ ვის აქვს ეს უპირატესი უფლება, განისაზღვრება შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ კანონის მე-15 მუხლის მიხედვით.

მუხლი 1251. მშობლის თანხმობა ბავშვის გაშვილებაზე

მშობლის მიერ ბავშვის გაშვილებაზე თანხმობის მიცემის წესი განისაზღვრება „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ საქართველოს კანონით.

საქართველოს 2003 წლის 26 აგვისტოს კანონი №3082 – სსმ I, №29, 18.09.2003 წ., მუხ.224
საქართველოს 2007 წლის 18 დეკემბრის კანონი №5624 - სსმ I, №48, 27.12.2007წ., მუხ.414
საქართველოს 2009 წლის 18 დეკემბრის კანონი №2382 - სსმ I, №50, 31.12.2009 წ., მუხ.399

იხ. გაშვილებაზე ბავშვის მშობლის თანხმობასთან დაკავშირებით შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ კანონის მე-12 მუხლი. თანხმობის გარეშე გაშვილება დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ: 1. სასამართლოს მიერ მშობელს/მშობლებს ჩამორთმეული აქვთ მშობლის უფლება; 2. სასამართლოს მიერ მშობელი/მშობლები უგზო-უკვლოდ დაკარგულად არის (არიან) აღიარებული; 3. მშობელი/მშობლები გარდაცვლილია ან სასამართლოს მიერ ბავშვი აღიარებულია მიტოვებულად (ხსენებული კანონის 12 III მუხლი).

1

მუხლი 1252. (ამოღებულია)

საქართველოს 1999 წლის 9 ივნისის კანონი №2078 – სსმ I, №24(31), 26.06.1999 წ., მუხ.112
საქართველოს 2003 წლის 26 აგვისტოს კანონი №3082 – სსმ I, №29, 18.09.2003 წ., მუხ.224
საქართველოს 2009 წლის 18 დეკემბრის კანონი №2382 - სსმ I, №50, 31.12.2009 წ., მუხ.399

მუხლი 1253. (ამოღებულია)

საქართველოს 1999 წლის 9 ივნისის კანონი №2078 – სსმ I, №24(31), 26.06.1999 წ., მუხ.112
საქართველოს 2007 წლის 18 დეკემბრის კანონი №5624 - სსმ I, №48, 27.12.2007წ., მუხ.414
საქართველოს 2009 წლის 18 დეკემბრის კანონი №2382 - სსმ I, №50, 31.12.2009 წ., მუხ.399

მუხლი 1254. შვილად აყვანას დაქვემდებარებული ბავშვი

ბავშვი შვილად აყვანას ექვემდებარება, თუ:

ა) მისი მშობელი (მშობლები) სასამართლომ უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარა;

ბ) მას არ ჰყავს არც ერთი მშობელი;

გ) იგი აღიარებული იქნა მიტოვებულ ბავშვად;

დ) მის მშობელს (მშობლებს) ჩამოერთვა (ჩამოერთვათ) მშობლის უფლება;

ე) ყველა მისმა კანონიერმა წარმომადგენელმა თანხმობა განაცხადა მის გაშვილებაზე დადგენილი წესით.

საქართველოს 2007 წლის 18 დეკემბრის კანონი №5624 - სსმ I, №48, 27.12.2007წ., მუხ.414
საქართველოს 2009 წლის 18 დეკემბრის კანონი №2382 - სსმ I, №50, 31.12.2009 წ., მუხ.399
საქართველოს 2012 წლის 19 ივნისის კანონი №6494 – ვებგვერდი, 02.07.2012წ.
საქართველოს 2015 წლის 20 მარტის კანონი №3339 - ვებგვერდი, 31.03.2015წ.
საქართველოს 2017 წლის 4 მაისის კანონი №748 - ვებგვერდი, 24.05.2017წ.

მუხლი 1255. ბავშვის თანხმობა გაშვილებაზე

1. 10 წლამდე ბავშვის გაშვილებისას, მისი სიმწიფის ხარისხის გათვალისწინებით, მხედველობაში მიიღება მისი სურვილი.

2. 10 წლის ან 10 წელზე მეტი ასაკის ბავშვის შვილად აყვანა მისი თანხმობის გარეშე დაუშვებელია.

3. გაშვილებაზე ბავშვის თანხმობა შვილად აყვანის საქმეზე გამართულ სასამართლო სხდომაზე მისი მოსმენის შედეგად ირკვევა.

4. თუ შვილად აყვანის შესახებ განცხადების წარდგენამდე ბავშვი მშვილდების ოჯახში ცხოვრობდა და მშვილდებელს თავის მშობლად მიიჩნევდა, შვილად აყვანა, გამონაკლისის სახით, შეიძლება გაშვილებაზე შვილად ასაყვანის თანხმობის გარეშე.

საქართველოს 2019 წლის 20 სექტემბრის კანონი №5013 – ვებგვერდი, 27.09.2019წ.

საქართველოს 2020 წლის 21 მაისის კანონი №5913 – ვებგვერდი, 25.05.2020წ.

I. ზოგადი	431
II. ბავშვის თანხმობა, 1255 I, II.....	432
III. თანხმობის არასავალდებულოობა	432
IV. თანხმობის გამომხმობა	432

I. ზოგადი

დანანესი ითვალისწინებს შვილებისას შვილად ასაყვანის აუცილებელი თანხმობის (1255 II), ამ თანხმობისათვის მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათის მინიჭებისა (1255 I) და ამ თანხმობის საერთოდ არასავალდებულოობის შემთხვევებს (1255 IV), აგრეთვე მისი გაცემის პროცედურას (1255 III). **1**

იხ. იდენტიური შინაარსისათვის შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ კანონის მე-13 მუხლი. **2**

II. ბავშვის თანხმობა, 1255 I, II

- 3** კანონმდებელი არ ითვალისწინებს შვილების შესაძლებლობას შვილად ასაყვანის საკუთარი განცხადების საფუძველზე. ამის მაგივრად, 1255 II მუხლის მიხედვით, აუცილებელია მისი თანხმობა, თუ ის 10 წელზე მეტი ასაკისაა. 10 წლამდე ბავშვის სურვილი წარმოადგენს მხოლოდ ერთ-ერთ კრიტერიუმს 1239 I მუხლის გაგებით მისი კეთილდღეობის დადგენისას (1255 I). ამისგან განსხვავებით, 1255 II მუხლის შემთხვევებში შვილად ასაყვანის თანხმობის გარეშე შვილება ვერ შედგება. თანხმობის გაცემა უნდა მოხდეს შვილად აყვანის სხდომაზე გამართულ პროცესზე (1255 III). თანხმობა არაფორმალურად აღებულია.
- 4** არასრულწლოვნის შემთხვევაში თანხმობის გაცემისათვის აუცილებელია მისი კანონიერი წარმომადგენლის, ხოლო მხარდაჭერის მიმღების შემთხვევაში – მხარდამჭერის ნებართვა ან მონონება. მამობის მიერ მცირეწლოვნის შვილების შემთხვევაში თანხმობის გაცემა ბავშვისთვის შეუძლია დედას, როგორც მის კანონიერ წარმომადგენელს.

III. თანხმობის არასავალდებულობა

- 5** 1255 IV მუხლის მიხედვით, არ არის სავალდებულო არც 10 წელზე მეტი ასაკის ბავშვის თანხმობა, თუ შვილად აყვანის შესახებ განცხადების წარდგენამდე ბავშვი მშვილბლის ოჯახში ცხოვრობდა და მშვილბელს თავის მშობლად მიიჩნევდა. ამ გადაწყვეტის უკან დგას მოსაზრება, რომ, მოცემულ სიტუაციაში, თანხმობა უკვე ინდივიდუალურად თავად ამ ფაქტით და დამატებით გამოთქმას აღარ საჭიროებს.

IV. თანხმობის გამოხმობა

- 6** ბავშვის თანხმობის აუცილებლობა, ისევე, როგორც მისი მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათი, ემსახურება იმ პრინციპის უზრუნველყოფას, რომ თუ ის არ გრძნობს თავს კარგად მშვილბელთან, შვილება

სავარაუდოდ ვერ იქნება მისი კეთილდღეობის შესაბამისი.¹ ამიტომაც, მას აქვს გადაფიქრებისა და თანხმობის გამოხმობის უფლება, რაც უნდა მოხდეს იმავე ფორმით, როგორც თანხმობის გაცემა, ოღონდ არაუგვიანეს შვილად აყვანის საქმეზე სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისა (შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ კანონის 61 XVI მუხლი).

გამოხმობა დასაშვებია მაშინაც კი, როდესაც მისი კანონიერი წარმომადგენლის მხრიდან უკვე მიცემული იყო თანხმობა. **7**

¹ BT-Drs 7/3061, 35.

მუხლი 1256. უარი გაშვილებაზე

სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე მშობელს (მშობლებს), მშვილებელსა და 10 წელს მიღწეულ შვილად ასაყვანს უფლება აქვთ, უარი განაცხადონ თავიანთ თანხმობაზე „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

საქართველოს 2007 წლის 18 დეკემბრის კანონი №5624 - სსმ I, №48, 27.12.2007წ., მუხ.414
საქართველოს 2009 წლის 18 დეკემბრის კანონი №2382 - სსმ I, №50, 31.12.2009 წ., მუხ.399

I. ზოგადი

- 1 შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ კანონის 61 XVI მუხლის მიხედვით, შვილად აყვანის პროცედურის განხორციელების ნებისმიერ ეტაპზე, მაგრამ არაუგვიანეს შვილად აყვანის საქმეზე სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისა, მშობლის თანხმობის არსებობისას, მშვილებელს და გასაშვილებელ ბავშვს, თუ იგი 10 წლის ან 10 წელზე მეტი ასაკისაა, ხოლო 10 წლამდე ასაკის გასაშვილებელ ბავშვს სიმწიფის ხარისხის გათვალისწინებით, შეუძლიათ უარი თქვან შვილად აყვანაზე (გაშვილებაზე).
- 2 გამომდინარე იქიდან, რომ შვილება წარმოადგენს როგორც შვილად ასაყვანის, ისე პოტენციური მშობლებისა თუ ამჟამინდელი მშობლებისათვის უმნიშვნელოვანეს ცხოვრებისეულ გადაწყვეტილებას, კანონმდებელი მათ უკანასკნელ მომენტამდე უნარჩუნებს შვილებაზე უარის თქმის შესაძლებლობას – მცირედი ეჭვიც კი, რომელიც არსებობს ამ ნაბიჯის გადადგმასთან დაკავშირებით, შეიძლება მეტყველებდეს მხარეთა მოუმზადებლობაზე ამ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით.

II. უარის გაცხადება და მისი შედეგები

- 3 ზოგადად, უარის გაცხადება შეიძლება ფორმის დაუცველად, თუმცა შვილად აყვანის პროცედურის სტადიიდან გამომდინარე, თუ მაგალითად უკვე სასამართლო სტადიას ეხება საქმე, ის უნდა გაცხადდეს

სასამართლოზე. უარის გაცხადება შეიძლება სააგენტოშიც¹, რომელიც ატყობინებს ამის შესახებ სასამართლოს და უგზავნის მას განცხადებას (შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ კანონის 61 XVII). ამ შემთხვევაში უარის გაცხადება აუცილებელია წერილობითი ფორმით.

უარი არარად აქცევს შვილად აყვანის პროცედურის ფარგლებში განხორციელებულ ყველა მოქმედებას და მათ სამართლებრივ შედეგებს. იმავე პირებს შორის შვილად აყვანის განხორციელებისათვის აუცილებელია მთლიანი პროცედურის თავიდან დანწყება.

4

მუხლი 1257. (ამოღებულია)

საქართველოს 2011 წლის 20 დეკემბრის კანონი №5568 - ვებგვერდი, 28.12.2011 წ.
საქართველოს 2017 წლის 4 მაისის კანონი №748 - ვებგვერდი, 24.05.2017წ.

მუხლი 1258. (ამოღებულია)

საქართველოს 2011 წლის 20 დეკემბრის კანონი №5568 - ვებგვერდი, 28.12.2011 წ.
საქართველოს 2017 წლის 4 მაისის კანონი №748 - ვებგვერდი, 24.05.2017წ.

¹ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო, რომელიც არის მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო, აგრეთვე საერთაშორისო შვილად აყვანის ურთიერთობებში (შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ კანონის 3 წ) მუხლი).

მუხლი 1259. ნაშვილების ნათესაური ურთიერთობანი

ნაშვილები და მისი შთამომავლობა – მშვილებლისა და მის ნათესავთა მიმართ, ხოლო მშვილებელი და მისი ნათესავები – ნაშვილებისა და მისი შთამომავლობის მიმართ პირადი და ქონებრივი უფლება-მოვალეობებით უთანაბრდებიან შთამომავლობით ნათესავებს.

- 1** შვილად აყვანის სამართლებრივი შედეგები შეიძლება, სამი მიმართულებით დაიყოს. ეს არის სამართალურთიერთობა ახალ ოჯახთან (1259), სამართლებრივი მიმართება ძველ ოჯახთან (1260) და გვარის ტარების უფლება. 1259-ე მუხლში განსხეულებულია სრული ადოპციის პრინციპი, რაც გულისხმობს მისი ამჟამინდელი საოჯახო თემიდან სრულად მონყვეტას და ახალ თემში ინკორპორირებას. ნაშვილები თავის ამ სტატუსს იძენს შვილების გადანყვეტილების ძალაში შესვლასთან ერთად.
- 2** იხ. დეტალურად 1260-ე და 1261-ე მუხლების კომენტარი.

მუხლი 1260. ნაშვილების ურთიერთობანი ბიოლოგიურ მშობლებთან

1. ნაშვილები კარგავს პირად და ქონებრივ უფლებებს და თავისუფლდება მოვალეობისაგან თავისი ბიოლოგიური მშობლებისა და წარმოშობით ნათესავების მიმართ.

2. (ამოღებულია - 04.05.2017, №748).

*საქართველოს 2007 წლის 18 დეკემბრის კანონი №5624 - სსმ I, №48, 27.12.2007წ., მუხ.414
საქართველოს 2017 წლის 4 მაისის კანონი №748 - ვებგვერდი, 24.05.2017წ.*

I. სამართლებრივი პოზიციების გაქარწყლება.....	437
II. ძალაში დარჩენილი უფლებები.....	438
III. შთამომავლობაზე გავრცელება.....	439
IV. გერის შვილება	439
V. ნათესაური ურთიერთობის ძალაში დატოვება	439
1. ნათესავის მიერ შვილება	439
2. გერის შვილება	440

I. სამართლებრივი პოზიციების გაქარწყლება

შვილების შედეგად ბავშვი კარგავს ყველა სამომავლო რჩენის მოთხოვნის უფლებას უწინდელი მშობლებისა და ნათესავების მიმართ, ისევე, როგორც მემკვიდრეობისა და სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლებებს; ამის საპირწონედ, ის ასევე თავისუფლდება ყველა საკუთრი ვალდებულებისაგან რჩენასთან დაკავშირებით და ა. შ. მოთხოვნების დაკარგვა წარმოადგენს იმ ფასს, რომლის გადახდაც ხდება იმისათვის, რომ ბავშვი ახალ გარემოში დაცული იყოს მისი წინა ოჯახის მხრიდან ნებისმიერი ტიპის მოთხოვნის წაყენებისაგან.¹

გამშვილებელი მშობლები კარგავენ მშობლის ზრუნვისა და ბავშვთან ყოფნის უფლებას. ეს არ ეწინააღმდეგება კონსტიტუციის 5 IV 1 მუხლში გამყარებულ ოჯახის დაცვას,² რადგან წარმოადგენს აუცილებელ ზომას ბავშვის შეუფერხებელი განვითარებისათვის და მის გარეშე

¹ BT-Drs 7/3061, 43.

² BayObLG FamRZ 71, 323.

შეუძლებელი იქნებოდა ანონიმური შვილების განხორციელება. თუმცა, თუ მშვილებელი ნაშვილებს, აღზრდის უფლების ფარგლების დარღვევით, უკრძალავს თავის ბიოლოგიურ მშობლებთან ურთიერთობას, მიუხედავად იმისა, რომ ბავშვს მათთან ან ბიოლოგიურ ბებია-პაპასთან აქვს კარგი ურთიერთობა, ეს შეიძლება გახდეს საფუძველი 1205-ე და მომდევნო მუხლებში მონესრიგებული ზომების გამოყენებისა.

II. ძალაში დარჩენილი უფლებები

- 3 მართალია, შვილება აქარწყლებს წინა ოჯახური სტატუსიდან გამომდინარე ყველა უფლებას, თუმცა ძალაში რჩება ისეთი, პიროვნულ სტატუსზე მიბმული, უფლებები, როგორცაა ბავშვის უფლება მამობის დადგენასა და მამობის შეცილებასთან დაკავშირებით.³ ბავშვს გააჩნია ამასთან დაკავშირებული ინტერესი, რადგან ადოპციის გაუქმების შემთხვევაში მას თავიდან წარმოეშობა მოთხოვნის უფლებები ბიოლოგიური მშობლის მიმართ. თუმცა მამობის დადგენისა და შეცილების უფლების გამოყენება შვილების შემდეგ შესაძლებელია მხოლოდ მშვილებლის თანხმობით.
- 4 გარდა აღნიშნულისა, ბავშვი ინარჩუნებს ისეთ უფლებებს, როგორებიცაა, მაგალითად, სოციალური დახმარების მიღება (თუ ეს არ იყო წინა ოჯახურ სტატუსზე მიბმული დახმარება), შემწეობა უნარშეზღუდულობისათვის და ა. შ., თუ მოთხოვნის უფლება წარმოშობილია გაშვილებამდე. ეს ემსახურება იმ სოციალურ-პოლიტიკურ მიზანს, რომ არ მოხდეს შემწეობის საჭიროების მქონე ბავშვების გასაშვილებელთა სიიდან ამოღება მოცემული სოციალური დახმარების ვერმიღების მიზეზით.⁴
- 5 დასაშვებია ძალაში დარჩეს ნათესაობაზე დამყარებული განსაზღვრული სისხლისსამართლებრივი პრივილეგიები ბიოლოგიური მშობლების მიმართ, როგორც არის, მაგალითად, ჩვენების მიცემაზე უარი თქმის უფლება.

³ Maurer, in Münchener Kommentar BGB, 6. Aufl., 2012, § 1755 Rn. 17.

⁴ BT-Drs 7/5087, 16.

ძალაში რჩება ასევე გაშვილებამდე არსებული საალიმენტო დავალიანების გადახდის მოთხოვნა.⁵ ალიმენტისათვის გადახდილი კომპენსაცია ნაშვილებს რჩება, ზუსტად ისევე, როგორც მას უნარჩუნდება შვილებამდე წარმოშობილი მემკვიდრის სტატუსი, მოთხოვნა სავალდებულო წილზე ან საანდერძო დანაკისრზე.

III. შთამომავლობაზე გავრცელება

ბავშვის ახალ ოჯახში სრულად ინკორპორირებით ნათესაური კავშირები ვრცელდება ასევე მის შთამომავლობაზეც. თვითონ შვილება არ ეხება ნაშვილებსა და მის შთამომავლობას შორის ურთიერთობას. თუ ნაშვილებს უკვე ჰყავს ეს შთამომავლობა, ნაშვილებსა და შთამომავლებს შორის ურთიერთმიმართება უცვლელი რჩება. თუმცა გაშვილებამდე არსებული ნათესაური ურთიერთობა ქარწყლდება ასევე ნათესავების შთამომავლების მიმართაც.

IV. გერის შვილება

საკუთარი მეუღლის გერის შვილების შემთხვევაში ნათესაური ურთიერთობა ქარწყლდება მხოლოდ ამ გერის მეორე ბიოლოგიური მშობლისა და მისი ნათესავების მიმართ. ბავშვი იძენს მეუღლეთა საერთო შვილის სტატუსს (1248).

V. ნათესაური ურთიერთობის ძალაში დატოვება

ცალკეულ საგამონაკლისო შემთხვევებში დასაშვებია არსებული ნათესაური კავშირის ძალაში დატოვება.

1. ნათესავის მიერ შვილება

ეს ეხება, პირველ რიგში, ნათესავის მიერ შვილებას, რომელიც გავრცელებულია მშობლების ნაადრევად გარდაცვალების შემთხვევაში.

⁵ BGH NJW 1981, 2298.

ამ დროს საკმარისია ნათესაური კავშირის განყვეტა მხოლოდ ბიოლოგიური მშობლების მიმართ იმის გამოსარიცხად, რომ ბავშვს ორი ნყვილი მშობელი არ ჰყავდეს. ამის საპირისპიროდ, არ იქნებოდა გამართლებული სხვა ნათესავებთანაც არსებული კავშირის გაქარწყლება, რადგან ბავშვი პირდაპირი გაგებით ახალ ოჯახში არ ხვდება. აქედან გამომდინარე, მოცემულ სიტუაციაში ნათესაური კავშირი ქარწყლება მხოლოდ მშობლებთან მიმართებით.

2. გერის შვილება

- 11** თუ ერთ-ერთი მეუღლეთაგანი იშვილებს მისი მეუღლის შვილს იმ ქორწინებიდან, რომელიც დასრულდა ნაშვილების მეორე მშობლის გარდაცვალების მიზეზით, არ არსებობს საჭიროება გარდაცვლილი მეუღლის ნათესავებთან მაკავშირებელი კავშირის განყვეტისა. ნათესაობა უნდა განყდეს მხოლოდ ამ მეორე (გარდაცვლილ) მშობელთან, მაგრამ არა მის ნათესავებთან. სრულებით გაუმართლებელი იქნება, მაგალითად, ბიოლოგიური ბებია-პაპისათვის, რომლებმაც უკვე დაკარგეს შვილი, დამატებით კიდევ შვილიშვილთან ნათესაურ კავშირზე უარის თქმა. თუმცა ამ გადაწყვეტისათვის აუცილებელია, რომ გარდაცვლილ მეუღლეს არ ჰქონოდა ჩამორთმეული მშობლის ზრუნვა.

მუხლი 1261. შვილად აყვანის შედეგები

1. შვილად აყვანისას მშვილებელს ეკისრება იგივე უფლება-მოვალეობები, რომლებიც ბიოლოგიურ მშობლებს ამ კოდექსის თანახმად.

2. მშვილებელს შეიძლება შეუჩერდეს, შეეზღუდოს ან ჩამოერთვას მშობლის უფლებები, თუ გამოირკვევა, რომ ის სისტემატურად თავს არიდებდა ბავშვის აღზრდის მოვალეობის შესრულებას ან არაჯეროვნად იყენებდა მშობლის უფლებებს, ან სხვა მიზეზის შემთხვევაში ამ კოდექსის შესაბამისად.

საქართველოს 2007 წლის 18 დეკემბრის კანონი №5624 - სსმ I, №48, 27.12.2007წ., მუხ.414

- I. ზოგადი441
- II. ნაშვილების სამართლებრივი სტატუსი..... 441
 - 1. ნათესაობაზე დამყარებული სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები.....441
 - 2. სხვა უფლებები და მოვალეობები..... 442
- III. მშობლის უფლების შეზღუდვა ან შეჩერება..... 443

I. ზოგადი

1261-ე მუხლი წარმოადგენს 1259-ე-1260-ე მუხლების გაგრძელებას და ამ მუხლებში დაფიქსირებული სრული ადოპციის პრინციპის კიდევ ერთ კონსტანტაციას (იხ. 1259-ე მუხლის შინაარსი). ის, ფაქტობრივად, ოდნავ განვრცობილი ფორმით იმეორებს 1259-ე მუხლის შინაარსს. **1**

II. ნაშვილების სამართლებრივი სტატუსი

1. ნათესაობაზე დამყარებული სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები

ნაშვილებისათვის ძალაშია ყველა ის ნორმა, რომლებიც მოქმედებს ბიოლოგიური შვილების შემთხვევაში. ნაშვილებს ახალ ოჯახში აქვს **2**

მოთხოვნის უფლება რჩენასთან დაკავშირებით და ასევე თავადაც ეკისრება ალიმენტის გადახდის ვალდებულება (1212-ე და მომდევნო მუხლები). მშვილებელს/მშვილებლებს აქვთ მშობლის ზრუნვის უფლება და ვალდებულება ნაშვილების მიმართ (1198). თუ ნაშვილები მეურვეობის ან მზრუნველობის ქვეშ იყო, ის, 1299 I მუხლის მიხედვით, მისგან თავისუფლდება შვილების გადანყვეტილების მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსათვის ჩაბარების მომენტიდან და იმჟამინდელ მეურვესა თუ მზრუნველს აღარ შეუძლია ნაშვილების საქმეების გაძღოლა.

- 3** ნაშვილები წარმოადგენს მშვილებლისა და მისი ნათესავების მემკვიდრეს (1307-ე და მომდევნო მუხლები) ზოგადი წესების მიხედვით, მათ შორის, სავალდებულო წილის ჩათვლით და ასევე მისი გარდაცვალების პირობებში ზემოთ ხსენებული პირები არიან მისი მემკვიდრეები. დაქორწინებისათვის ძალაშია 1107-ე მუხლი იმ მოდიფიცირებით, რომ, 1120 I დ) მუხლის მიხედვით, შვილება წარმოადგენს ქორწინების ხელშემშლელ გარემოებას გარკვეულ პირებს შორის (იხ. მუხ. 1120 მე-8 და მომდევნო ველები).

2. სხვა უფლებები და მოვალეობები

- 4** არასრულწლოვანი ნაშვილები შვილების შედეგად მოიპოვებს საქართველოს მოქალაქეობას საქართველოს მოქალაქეობის შესახებ კანონის 13 II მუხლის მიხედვით, თუ ერთი მშობელი მაინც საქართველოს მოქალაქეა.¹
- 5** ნაშვილებზე ვრცელდება ასევე ისეთი პროცესუალური უფლებები, როგორებიცაა: ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლება, სისხლის სამართლებრივი უფლებები და ვალდებულებები, ოჯახური სტატუსიდან გამომდინარე სოციალური დაცვა. სამოხელეო და საგადასახადო სამართალში ნაშვილებს აქვს იგივე სტატუსი, რაც ბიოლოგიურ შვილს.

¹ შდრ. VGH München NJW 1989, 3107.

III. მშობლის უფლების შეზღუდვა ან შეჩერება

ისევე, როგორც ბიოლოგიურ მშობლებს, მშვილებელსაც შეიძლება შეეზღუდოს, შეუჩერდეს ან ჩამოერთვას მშობლის უფლებები, თუ ის სისტემატურად თავს არიდებს ბავშვის აღზრდის მოვალეობის შესრულებას, არაჯეროვნად იყენებს მას და ა. შ. თამასა ამ შემთხვევაშიც იდენტურია და არის ისეთივე მაღალი, როგორც ამ უფლებების ბიოლოგიური მშობლისათვის შეზღუდვისას, 1205-ე და მომდევნო მუხლების მიხედვით – სარგებლობენ რა მშვილებლები სამართლებრივად (ბიოლოგიური) მშობლის იდენტური სტატუსით, ამ ბიოლოგიური ბმის არარსებობამ მათსა და ნაშვილებს შორის ურთიერთობასთან დაკავშირებით გადანყვეტილების მიღებაზე არ უნდა იმოქმედოს. გამონაკლისს წარმოადგენს შემთხვევა, როდესაც ცალსახაა, რომ ვერ მოხდა ნაშვილების ახალ ოჯახში ინკორპორირება და მშვილებლები მას ხაზგასმით უცხო პირად აღიქვამენ და შესაბამისად ექცევიან. თუ არ არსებობს მოცემული სიტუციის სასიკეთოდ განვითარების პროგნოზი, მაშინ მშობლის უფლების ჩამორთმევისათვის შეიძლება საკმარისი იყოს უფრო ნაკლები სიმძიმის მიზეზი, ვიდრე ეს 1206-ე მუხლის შემთხვევაშია მოთხოვნილი.

6

მუხლი 1262. (ამოღებულია)

საქართველოს 2007 წლის 18 დეკემბრის კანონი №5624 - სსმ I, №48, 27.12.2007წ., მუხ.414

მუხლი 1263. (ამოღებულია)

საქართველოს 2007 წლის 18 დეკემბრის კანონი №5624 - სსმ I, №48, 27.12.2007წ., მუხ.414
საქართველოს 2017 წლის 4 მაისის კანონი №748 - ვებგვერდი, 24.05.2017წ.

მუხლი 1264. (ამოღებულია)

საქართველოს 2007 წლის 18 დეკემბრის კანონი №5624 - სსმ I, №48, 27.12.2007წ., მუხ.414
საქართველოს 2017 წლის 4 მაისის კანონი №748 - ვებგვერდი, 24.05.2017წ.

მუხლი 1265. (ამოღებულია)

საქართველოს 2007 წლის 18 დეკემბრის კანონი №5624 - სსმ I, №48, 27.12.2007წ., მუხ.414
საქართველოს 2017 წლის 4 მაისის კანონი №748 - ვებგვერდი, 24.05.2017წ.

მუხლი 1266. (ამოღებულია)

საქართველოს 2007 წლის 18 დეკემბრის კანონი №5624 - სსმ I, №48, 27.12.2007წ., მუხ.414

მუხლი 1267. (ამოღებულია)

საქართველოს 2007 წლის 18 დეკემბრის კანონი №5624 - სსმ I, №48, 27.12.2007წ., მუხ.414

მუხლი 1268. (ამოღებულია)

საქართველოს 2007 წლის 18 დეკემბრის კანონი №5624 - სსმ I, №48, 27.12.2007წ., მუხ.414

მუხლი 1269. (ამოღებულია)

საქართველოს 2007 წლის 18 დეკემბრის კანონი №5624 - სსმ I, №48, 27.12.2007წ., მუხ.414

მუხლი 1270. (ამოღებულია)

საქართველოს 2007 წლის 18 დეკემბრის კანონი №5624 - სსმ I, №48, 27.12.2007წ., მუხ.414

მუხლი 1271. (ამოღებულია)

საქართველოს 2004 წლის 24 ივნისის კანონი №179 - სსმ I, №19, 15.07.2004 წ., მუხ.79
საქართველოს 2005 წლის 28 დეკემბრის კანონი №2626 - სსმ I, №3, 16.01.2006წ., მუხ.20
საქართველოს 2007 წლის 18 დეკემბრის კანონი №5624 - სსმ I, №48, 27.12.2007წ., მუხ.414

მუხლი 1272. (ამოღებულია)

საქართველოს 2007 წლის 18 დეკემბრის კანონი №5624 - სსმ I, №48, 27.12.2007წ., მუხ.414
საქართველოს 2015 წლის 20 მარტის კანონი №3339 - ვებგვერდი, 31.03.2015წ.
საქართველოს 2017 წლის 4 მაისის კანონი №748 - ვებგვერდი, 24.05.2017წ.

მუხლი 1273. (ამოღებულია)

საქართველოს 2007 წლის 18 დეკემბრის კანონი №5624 - სსმ I, №48, 27.12.2007წ., მუხ.414
საქართველოს 2017 წლის 4 მაისის კანონი №748 - ვებგვერდი, 24.05.2017წ.

მუხლი 1274. (ამოღებულია)

საქართველოს 2007 წლის 18 დეკემბრის კანონი №5624 - სსმ I, №48, 27.12.2007წ., მუხ.414
საქართველოს 2017 წლის 4 მაისის კანონი №748 - ვებგვერდი, 24.05.2017წ.

პარი მესამე

მეურვეობა, მზრუნველობა და მხარდაჭერა

თავი პირველი

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1275. მეურვეობის, მზრუნველობისა და მხარდაჭერის ცნებები

1. არასრულწლოვან ბავშვს, რომელიც მშობლის მზრუნველობის გარეშე დარჩა მშობლების გარდაცვალების, გარდაცვლილად აღიარების, მშობლებისათვის მშობლის უფლების ჩამორთმევის, შეჩერების ან შეზღუდვის, მათი უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების ან ბავშვის მიტოვებულად აღიარების გამო, უწესდება მეურვეობა და მზრუნველობა აღსაზრდელად, პირადი და ქონებრივი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად.

2. მეურვეობა და მზრუნველობა წესდება აგრეთვე იმ სრულწლოვნის პირადი და ქონებრივი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად, რომელსაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლია დამოუკიდებლად განახორციელოს თავისი უფლებები და შეასრულოს თავისი მოვალეობები.

3. მხარდაჭერის მიმღებს უწესდება მხარდაჭერა.

*საქართველოს 2007 წლის 18 დეკემბრის კანონი №5624 - სსმ I, №48, 27.12.2007წ., მუხ.414
საქართველოს 2015 წლის 20 მარტის კანონი №3339 - ვებგვერდი, 31.03.2015წ.*

I. ზოგადი	447
II. მშობლის მზრუნველობის გარეშე დარჩენა, 1275 I.....	451
III. მზრუნველობის დანესება სრულწლოვანი პირის მიმართ, 1275 II	455
IV. მხარდაჭერის მიმღები, 1275 III.....	456

I. ზოგადი

1275 მუხლის მიზანი, ერთი შეხედვით, არის სამოქალაქო კოდექსის საოჯახო სამართლის ნიგნის მესამე კართით გათვალისწინებული სამი სამართლებრივი ინსტიტუტის - მეურვეობის, მზრუნველობისა და მხარდაჭერის - ცნების განსაზღვრა.¹ სწორედ ამაზე მიაწინებებს მუხლის სათაური. მაგრამ, რეალურად, ეს მუხლი გვთავაზობს თითოეული სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის წინაპირობებს, თანაც არასრულად. ეს წინაპირობები გადანაწილებულია 1275-ე-1281-ე მუხლებში, რაც კრიტიკას იმსახურებს. უმჯობესი იქნებოდა, თუ ამ სამი ინსტიტუტიდან თითოეულის წინაპირობათა მოწესრიგებას თითო მუხლი დაეთმობოდა ცალ-ცალკე, ისე, რომ ეს წინაპირობები ერთმანეთში არ არეულიყო. მაგალითად, საკანონმდებლო ტექნიკის კუთხით, უმჯობესი იქნება, თუ მეურვეობის დადგენის ყველა წინაპირობა მოწესრიგდება 1276-ე მუხლით, მზრუნველობის 1277-ე-ით, ხოლო მხარდაჭერის - 1277¹ მუხლით. დანარჩენი მუხლები კი უნდა გაუქმდეს. ნებისმიერ შემთხვევაში არასწორია 1275-ე მუხლის სათაური, რადგანაც აქ ცნებების განსაზღვრა არ ხდება.²

არასრულწლოვანი პირისთვის მეურვეობისა და მზრუნველობის დაწესებით სახელმწიფო, უპირველეს ყოვლისა, ასრულებს საკუთარ ვალდებულებას, დაიცვას ოჯახის კეთილდღეობა (კონსტიტუციის 5 IV 1 მუხლი) და ბავშვის უფლებები (კონსტიტუციის 30 II მუხლი).³ პირი, რომელიც მოიპოვებს მეურვის ან მზრუნველის სტატუსს, ამ გარემოების გამო არ ხდება ოჯახის წევრი, არამედ სახელმწიფო ორგანოს მიერ აღიჭურვება სპეციალური უფლებამოსილებით და ეხმარება სახელმწიფოს თავისი კონსტიტუციური ვალდებულების შესრულებაში.⁴ ამი-

¹ იხ. მეურვეობასა და მზრუნველობასთან დაკავშირებით *შენგელია*, სკ-ის კომენტარი, *ჭანტურია* (რედ.), 2000, მუხ. 1275, გვ. 298.

² *ფრაი, კ.სირდაძე, ლ.*, კანონის ნორმების დასათაურება, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, 4/2019, 12.

³ BVerfGE 10, 312 = NJW 1960, 811; *Spickhoff*, in Münchener Kommentar BGB, 8. Auflage 2020, § 1773 Rn. 1.

⁴ BVerfGE 10, 328 = NJW 1960, 811; *Spickhoff*, in Münchener Kommentar BGB, 8. Auflage 2020, § 1773 Rn. 1.

ტომ მეურვეობისა და მზრუნველობის მარეგულირებელი ნორმები მნიშვნელოვანწილად საჯაროსამართლებრივი⁵ ელემენტების მატარებელია. მაგრამ არ შეიძლება ამ ინსტიტუტების კერძოსამართლებრივი ბუნების სრულად უგულვებელყოფა.⁶ მეურვეობა და მზრუნველობა, როგორც მშობლის ზრუნვის ალტერნატივა, სწორედ საოჯახო სამართლის ნაწილია. სწორედ ამიტომაც ის მონესრიგებული კოდექსის ამ ნიგნში. მეურვისა და მზრუნველის შერჩევისას უპირატესობა ყოველთვის უნდა მიენიჭოს ბავშვის ნათესავს,⁷ რადგანაც ამ ინსტიტუტთა თვითმიზანი არის არა საჯარო უფლებამოსილების განხორციელება, არამედ მშობლისეული მზრუნველობის უზრუნველყოფა. ამიტომ, საბოლოო ჯამში, საჯაროსამართლებრივ ელემენტს მაინც გადასწონის საოჯახოსამართლებრივი.

3 განსხვავებით გერმანული სამართლისგან, სადაც მეურვეობა შეიძლება წარმოიშვას არა მხოლოდ მისი *დანესების* გზით, არამედ ასევე ავტომატურად, კანონის საფუძველზე (გსკ-ის 1791c და 1751 II 1 მუხლებით),⁸ საქართველოში, როგორც წესი, მეურვეობა და მზრუნველობა წარმოიშობა მხოლოდ 1281-ე მუხლის მიხედვით, *დანესების* საფუძველზე. აღნიშნულისგან უნდა გაიმიჯნოს შემთხვევები, როდესაც მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანომ შეიძლება კანონის საფუძველზე მოიპოვოს ბავშვზე ზრუნვის ვალდებულება, მაგრამ ასეთ დროს ის არ ხდება არც მეურვე და არც მზრუნველი, არამედ ასრულებს მათ ვალდებულებებს, სანამ ბავშვს არ ეყოლება პირი, რომელიც განახორციელებს მშობლის ზრუნვას, ან სანამ მას დაენიშნება მეურვე ან მზრუნველი.

4 როდესაც სახეზეა მეურვეობისა და მზრუნველობის უფლებამოსილების კანონის საფუძველზე წარმოშობის შემთხვევა, იგი წარმოშობილად ითვლება იმ მომენტიდან, როდესაც ფაქტობრივად შესრულდება მუხლის წინაპირობები.⁹ სწორედ ეს განასხვავებს მას *დანესების* გზით

⁵ BVerfGE 10, 302 = NJW 1960, 811.

⁶ Spickhoff, in Münchener Kommentar BGB, 8. Auflage 2020, § 1773 Rn. 1.

⁷ *შენგელია/შენგელია*, საოჯახო სამართალი, მეორე გამოცემა, 2011, გვ. 361.

⁸ Spickhoff, in Münchener Kommentar BGB, 8. Auflage 2020, § 1773, Rn. 2.

⁹ OLG Hamm 22.5.1995 – 15 W 185/95, FamRZ 1996, 57; *Kemper, R.*, in Schulz/Hauß, Familienrecht, 3. Auflage 2018, § 1791c Rn. 5.

წარმოშობისგან, სადაც მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს შესაბამის გადანყვეტილებას აქვს კონსტიტუტიური¹⁰ მოქმედება.

გსკ-ის 1791c მუხლი ითვალისწინებს, რომ თუ დაიბადება ბავშვი, რომლის მშობლებიც დაქორწინებულები არ არიან და საჭიროებს მეურვეობას, მაშინ მზრუნველობისა და მეურვეობის ორგანო (**Jugendamt**) ხდება მეურვე. რაც შეეხება გსკ-ის 1751-ე მუხლს, იგი ეხება შემთხვევას, როდესაც მშობლები გადანყვეტენ ბავშვის გაშვილებას. ასეთ დროს გაშვილებაზე შესაბამისი თანხმობის გაცხადებით ჩერდება¹¹ მშობლის მზრუნველობა. თუ ორივე მშობელი განაცხადებს ასეთ თანხმობას ან განაცხადებს მხოლოდ ერთი, მაგრამ ისე, რომ მეორე მშობელი არ ახორციელებს ბავშვზე მზრუნველობას, მეურვეობას ავტომატურად იძენს მზრუნველობისა და მეურვეობის ორგანო. გერმანიაში ამ საგამონაკლისო ნორმების მიზანია, ერთი მხრივ, ქორწინების მიღმა დაბადებული ბავშვის დაცვა,¹² რომელსაც ესაჭიროება კანონიერი წარმომადგენელი და, მეორე მხრივ, ბავშვისთვის ზრუნვის უზრუნველყოფა გარდამავალ პერიოდში¹³ - სანამ ბავშვის გაშვილების საკითხი საბოლოოდ გადაწყდება.

5

აღნიშნულისგან განსხვავებით, შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ საქართველოს კანონის 14 VIII მუხლი ითვალისწინებს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს უფლებას საკითხის საბოლოოდ გადანყვეტამდე განახორციელოს ბავშვზე ზრუნვა ისე, რომ არ შეიძინოს მეურვის ან მზრუნველის სტატუსი. მისი მიზანია იმ ბავშვის დაცვა, რომლის მშობლებსაც შეჩერებული აქვთ მშობლის უფლებები. ასეთ დროს ეს უფლებები გადაეცემა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს. მიუხედავად იმისა, რომ კანონის 14 IX მუხლში ჩამოთვლილი უფლებები, რომელთაც იძენს ორგანო, არის სწორედ ის, რომლებიც

6

¹⁰ *Spickhoff*, in *Münchener Kommentar BGB*, 8. Auflage 2020, § 1774 Rn. 1.

¹¹ მაგრამ მთლიანად არ ნყდება. იხ. *Budzikiewicz*, in *Jauernig*, *Bürgerliches Gesetzbuch*, 18. Auflage 2021, § 1751 Rn. 1; *Dahm*, K., in *Kaiser/Schnitzler/Friederici/Schilling*, *BGB - Familienrecht*, 4. Auflage 2021 § 1751 Rn. 2.

¹² *Kemper*, R., in *Schulz/Hauß*, *Familienrecht*, 3. Auflage 2018, § 1791c Rn. 1; *Spickhoff*, in *Münchener Kommentar BGB*, 8. Auflage 2020, § 1791c, Rn. 2.

¹³ *Pöcker*, in *BeckOK BGB*, 57. Ed. 1.2.2021, § 1751, Rn. 1.

გააჩნია მეურვესა თუ მზრუნველს, მაინც არასწორი იქნებოდა ორგანოს ამ ტერმინით მოხსენიება. ამიტომ, შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ საქართველოს კანონის 14 VIII არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს მეურვეობისა და მზრუნველობის ურთიერთობის კანონის საფუძველზე წარმოშობის შემთხვევად.

7 კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შემთხვევა, როდესაც მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს კანონის საფუძველზე წარმოეშობა ზრუნვის განხორციელების ვალდებულება, მაგრამ არა მეურვის ან მზრუნველის სტატუსი, არის 1282 III მუხლი. კანონმდებელი აქაც მიზანმიმართულად იკავებს თავს მითითებისგან, რომ ორგანო ხდება მეურვე ან მზრუნველი. ასეთი კანონისმიერი ურთიერთობის წარმოშობა არის მეურვეობისა და მზრუნველობის *დანესების* პროცედურის ნაწილი.¹⁴ ორგანო კანონის საფუძველზე ხდება ვალდებული, განახორციელოს შესაბამისი უფლებამოსილება, მაგრამ ეს არ არის კანონის საფუძველზე მეურვეობის ან მზრუნველობის წარმოშობის შემთხვევა. ამასთან დაკავშირებით - განსაკუთრებით ნორმის ანალოგიით გამოყენების შესაძლებლობისთვის - იხ. 1282-ე მუხლის კომენტარი.

8 კანონის საფუძველზე მზრუნველობის წარმოშობის შემთხვევაა, როდესაც სამეურვეო პირი მიაღწევს 7 წლის ასაკს. თუმცა აქ წინაპირობაა, რომ *დანესებული* იყოს მეურვეობა. თუ ის დანესებული არ არის, მაშინ მზრუნველობა ვერ წარმოეშობა კანონის საფუძველზე. იხ. 1303-ე მუხლის კომენტარი.

9 კანონის საფუძველზე მეურვეობის ავტომატურად წარმოშობას ითვალისწინებდა ასევე 1285-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც მეურვის ან მზრუნველის მოვალეობის შესრულება ეკისრებოდა იმ დანესებულებას, რომელშიც იზრდებოდა ბავშვი ან იმყოფებოდა მეურვეობის ან მზრუნველობის საჭიროების მქონე პირი. აქ ეს ორგანო არა მხოლოდ დროებით ახორციელებდა გარკვეულ ვალდებულებებს, სანამ პირს დაენიშნებოდა მეურვე ან მზრუნველი, არამედ ის თავად ხდებოდა მეურვე ან მზრუნველი.

¹⁴ გერმანიაში მსგავსი ვალდებულებისთვის შდრ. *Kroll-Ludwigs*, in *Münchener Kommentar BGB*, 8. Auflage 2020, § 1846 Rn. 1.

II. მშობლის მზრუნველობის გარეშე დარჩენა, 1275 I

1275 I მუხლი ადგენს არასრულწლოვნისთვის მეურვის ან მზრუნველის დანიშვნის უმთავრეს წინაპირობას - არ უნდა იყოს სახეზე მშობლის მზრუნველობა.¹⁵ მუხლში პირდაპირაა განერილი, რა დროსაა ასეთი შემთხვევა სახეზე.¹⁶ შემთხვევები, თუ როდის შეიძლება არ ხორციელდებოდეს მშობლის მზრუნველობა, შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად. პირველ ჯგუფს მიეკუთვნება მშობლების გარდაცვალება, გარდაცვლილად გამოცხადება, უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება ან ბავშვის მიტოვებულად აღიარება. ასეთ დროს (ნესით) მშობლებს აღარ აქვთ ფაქტობრივი შესაძლებლობა, იზრუნონ მასზე, რადგანაც ფიზიკურად აღარ არიან მასთან. შემთხვევათა მეორე ჯგუფში ერთიანდება ის შემთხვევები, როდესაც მშობლებს აღარ აქვთ სამართლებრივი უფლება, იზრუნონ ბავშვზე. ეს ასეა მშობლის უფლების ჩამორთმევის, შეჩერების ან შეზღუდვის შემთხვევებში. მშობლის უფლების შეზღუდვისას ყურადღება უნდა მიექცეს, თუ რა ნაწილშია შეზღუდული ეს უფლება.¹⁷ თუ შეზღუდულია მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი,¹⁸ რომელიც არ გამოირიცხავს ამ მშობლის მიერ ბავშვზე ზრუნვის ან კანონისმიერი წარმომადგენლობის განხორციელებას, მაშინ 1275-ე მუხლის წინაპირობა სახეზე არაა და არ არსებობს მეურვის დანიშვნის საჭიროება მაშინაც კი, როდესაც მეორე მშობელი, რაიმე საფუძვლის გამო, საერთოდ არ ახორციელებს ზრუნვას.

10

1275 I მუხლის გამოყენებისთვის აუცილებელია, რომ სახეზე იყოს ზრუნვის საჭიროება.¹⁹ თუ არ არსებობს მშობელი, რომელიც ზრუნავს ბავშვზე, ეს ავტომატურად ნიშნავს, რომ მას გააჩნია ზრუნვის საჭიროება. დაუშვებელია აღნიშნულის ინდივიდუალურ შემთხვევებში კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენება და ფაქტობრივად შემონიშნება, სჭირდება თუ არა ბავშვს მშობლისეული ზრუნვა. პრობლემური შეიძლება იყოს მხოლოდ ის შემთხვევა, როდესაც 18 წლამდე პირს მოპოვებული აქვს სრული ქმედუნარიანობა, რაც, 12 III მუხლით, შესაძლებელია ქორნი-

11

¹⁵ *შენგელია/შენგელია*, საოჯახო სამართალი, მეორე გამოცემა, 2011, გვ. 348.

¹⁶ *შენგელია*, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1275, გვ. 299.

¹⁷ *Spickhoff*, in *Münchener Kommentar BGB*, 8. Auflage 2020, § 1773 Rn. 12.

¹⁸ შდრ. *BayObLG FamRZ* 1997, 1553; 1999, 179; 1999, 316.

¹⁹ *შენგელია*, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1275, გვ. 299.

ნების შემთხვევაში. მართალია, 2015 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად შეუძლებელია 18 წლამდე მიუღწეველი პირის ქორწინება ქართული სამართლის შესაბამისად. მაგრამ ეს არ გამორიცხავს, რომ არასრულწლოვნის ქორწინება მოხდეს სხვა ქვეყნის სამართლის შესაბამისად. ასეთ დროს გადამწყვეტია საერთაშორისო კერძო სამართლის ნორმები. თუ აღნიშნული ქორწინება ნამდვილია საქართველოშიც, მაშინ პირი ჩაითვლება სრული ქმედუნარიანობის მქონედ და მას აღარ სჭირდება კანონიერი წარმომადგენელი.

12 1275-ე მუხლის ძველი რედაქცია, რომელიც 2015 წლამდე მოქმედებდა, ითვალისწინებდა მეურვეობის ან მზრუნველობის დაწესებას მშობლების ქმედუნაროდ გამოცხადების შემთხვევაშიც.²⁰ რადგანაც დღეს მოქმედი კოდექსით სრულწლოვანი პირი არ შეიძლება გამოცხადდეს ქმედუნაროდ, ამიტომ, 2015 წელს ეს მითითება 1275-ე მუხლიდან ამოღებულ იქნა. თუმცა ის არ ჩანაცვლდა მხარდაჭერის მიღების შემთხვევით. ამის მიზეზი, სავარაუდოდ, შემდეგია: რადგანაც მხარდაჭერის მიმღებ პირს შეუძლია თავად გამოავლინოს ნება, რომელიც ნამდვილია (ან, შესაბამის შემთხვევებში, მხარდამჭერის მიერ მოწონებით ხდება ნამდვილი), მხარდაჭერის მიმღებ მშობელს შეუძლია, განახორციელოს არასრულწლოვანი პირის წარმომადგენლობა. მაგრამ დასაფიქრებელია, მიუხედავად ამისა, მაინც ხომ არ უნდა დაენიშნოს მეურვე ან მზრუნველი იმ არასრულწლოვანს, რომლის მშობელიც მხარდამჭერის მიმღებად იქნა ცნობილი. მშობელი არ არის მხოლოდ კანონიერი წარმომადგენელი, მას აკისრია ასევე ბავშვის აღზრდისა და მასზე ზრუნვის ვალდებულება. შესაძლოა არსებობდეს შემთხვევა, როდესაც მხარდაჭერის მიმღებ მშობელს მხარდამჭერის დახმარებით შეუძლია ნამდვილი ნების გამოვლენა, მაგრამ ფაქტობრივად არ შეუძლია პიროვნულად იზრუნოს ბავშვზე. ასეთ დროს შესაძლოა, ფაქტობრივად დადგეს მეურვისა თუ მზრუნველის დანიშვნის საჭიროება. იგივე ითქმის 1293 IV მუხლის შემთხვევაშიც, როდესაც მხარდაჭერის მიმღები მშობლის ნაცვლად ნებას ავლენს მხარდამჭერი და ამით ახორციელებს ბავშვის კანონიერ წარმომადგენლობას. ნებისმიერ შემთხვევაში მხარდამჭერი მხოლოდ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებაში შეიძლება დაეხმაროს მშობელს. მშობელმა კი,

²⁰ იხ. ძველ რედაქციასთან დაკავშირებით *შენგელია*, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1275, გვ. 298.

წარმომადგენლობის გარდა, ასევე უნდა იზრუნოს ბავშვზე, აღზარდოს იგი.

საბოლოო ჯამში, როდესაც მშობელი არის მხარდაჭერის მიმღებად ცნობილი, 1275-ე მუხლის ანალოგიით გამოყენება მაინც არ უნდა იქნეს გამართლებულად მიჩნეული. თუ მშობელი მხარდაჭერის მიღების შემდეგ სრულყოფილად ახორციელებს თავის (ზრუნვის, აღზრდის) უფლება-მოვალეობებს, მაშინ არ არსებობს მეურვის ან მზრუნველის დანიშვნის საჭიროება. ხოლო თუ მას ამ ფუნქციების შესრულება არ შეუძლია, მაშინ მას უნდა ჩამოერთვას ან შეეზღუდოს მშობლის უფლებამოსილება და მეურვისა თუ მზრუნველის დანიშვნა უნდა დაეფუძნოს ამ სამართლებრივ (და არა ფაქტობრივ) საფუძველს. მშობლის მხარდაჭერის მიმღებად ცნობა არ არის თვითკმარი საფუძველი მეურვეობის ან მზრუნველობის დანესებისთვის.

უცხო ქვეყნის მოქალაქე ქმედუუნარო მშობლის შემთხვევასთან დაკავშირებით იხ. 1279-ე მუხლის კომენტარი. **14**

როდესაც მშობელს რაიმე ისეთი საფუძველით არ შეუძლია ბავშვზე ზრუნვა, რომელიც არ არის განგრძობადი,²¹ არამედ მხოლოდ დროებითია, ასეთ დროს არ არსებობს მეურვის ან მზრუნველის დანიშვნის საჭიროება.²² ცალკეულ შემთხვევებში, შეიძლება დანესდეს, მაგალითად, ქონების მეურვე. **15**

თუ ბავშვზე მშობლის უფლებები აქვს ორივე მშობელს, მაშინ საჭიროა, რომ ორივე²³ მათგანის შემთხვევაში იყოს შეწყვეტილი ბავშვზე ზრუნვა ამა თუ იმ საფუძველით.²⁴ რომელმა მშობელმა რა საფუძველით შეწყვიტა ზრუნვა ბავშვზე, არ აქვს მნიშვნელობა და ეს საფუძველი შეიძლება თითოეული მათგანის შემთხვევაში განსხვავებული იყოს. ამის საპირისპიროდ, მხოლოდ ერთი მშობლის მიერ ზრუნვის შეწყვეტა არ არის საკმარისი. მაგალითად, თუ გარდაცვლილად გამოცხადდება მხოლოდ ერთ-ერთი მათგანი ან მხოლოდ ერთ-ერთ მათგანს შეუწყვე-

²¹ იხ. მაგ., LG Brandenburg ZKJ 2009, 293.

²² Spickhoff, in Münchener Kommentar BGB, 8. Auflage 2020, § 1773 Rn. 12.

²³ Bettin, in BeckOK BGB, 57. Ed. 1.2.2021, § 1773 Rn. 2.

²⁴ Spickhoff, in Münchener Kommentar BGB, 8. Auflage 2020, § 1773 Rn. 8.

ბა მშობლის უფლებები, ბავშვი ჯერ კიდევ არ ითვლება მშობლის ზრუნვის გარეშე დარჩენილად. შესაბამისად, იგი არ საჭიროებს მეურვის დანიშვნას.²⁵

17 როდესაც ბავშვზე სამართლებრივ ზრუნვას ახორციელებს მხოლოდ ერთი მშობელი და ის წყვეტს ამას 1275-ე მუხლში დასახელებული რაიმე მიზეზით, მაშინ მეურვეობისა თუ მზრუნველობის დანესებამდე უნდა შემოწმდეს, ხომ არ შეიძლება ეს უფლებამოსილება გადავიდეს მეორე მშობელზე.²⁶ ასეთი შესაძლებლობის შემთხვევაში უპირატესობა სწორედ ბავშვის მშობელს უნდა მიენიჭოს. შედეგად არ არსებობს მეურვეობის ან მზრუნველობის დანესების საჭიროება. სანამ გადაწყდება მეორე მშობლისთვის ბავშვზე ზრუნვის უფლებამოსილების გადაცემის საკითხი, ბავშვზე მეურვეობა და მზრუნველობა უნდა განახორციელოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანომ, რისთვისაც 1282 III მუხლი ანალოგიით უნდა იქნეს გამოყენებული.

18 არასრულწლოვნისთვის მეურვეობისა და მზრუნველობის დანესების მიზანი მისი ინტერესების დაცვაა. ეს ემსახურება არა მხოლოდ მისი პირადი და ქონებრივი უფლებების დაცვას, არამედ ასევე მის აღზრდას. სხვაგვარად შეუძლებელი იქნებოდა მშობლის ზრუნვის სრულად ჩანაცვლება.

19 1275 I მუხლში არსებული ჩანაწერი, რომ არასრულწლოვანს უნესდება მეურვე და მზრუნველი, ერთი შეხედვით, ისე იკითხება, თითქოს შესაძლებელია პირს ორივე მათგანი ერთდროულად ჰყავდეს, რაც არასწორია. 1276-ე და 1277-ე მუხლებით, გადამწყვეტია პირის ასაკი. ამიტომ, უმჯობესი იქნებოდა ფორმულირება „არასრულწლოვანს ენიშნება მეურვე ან მზრუნველი“. დღეს არსებული ჩანაწერიც ამ შინაარსით უნდა იქნეს გაგებული. აქ, რეალურად, საქმე ეხება *ექსკლუზიას* (ურთიერთგამომრიცხველ ალტერნატივებს) და არა *კონიუნქციას* (ლოგიკურ ნამრავლს).²⁷ „და“ კავშირი სინამდვილეში აკავშირებს ორ ერთმანეთის გამომრიცხავ ალტერნატივას: საჭიროებისას არასრულწლოვანს შეიძლება დაენიშნოს მეურვე და არასრულწლოვანს შეიძლება

²⁵ *Kemper, R.*, in Schulze, *Bürgerliches Gesetzbuch*, 10. Auflage 2019, § 1773 Rn. 3.

²⁶ OLG Karlsruhe FamRZ 2003, 1768; *Spickhoff*, in *Münchener Kommentar BGB*, 8. Auflage 2020, § 1773 Rn. 10, 11.

²⁷ *Joerden, J. C.*, *Logik im Recht*, 3. Auflage 2018, 8.

დაენიშნოს მზრუნველი. მაგრამ ორივე მათგანი ერთდროულად ვერ მოხდება. ანუ, იმისდა მიხედვით, თუ რომელი შემთხვევის წინაპირობებია სახეზე, ან ერთი უნდა დაენიშნოს, ან მეორე.

აღსანიშნავია, რომ მუხლში ტერმინი „გარდაცვლილად აღიარება“ 20 არასწორადაა გამოყენებული, რადგანაც, 22-ე მუხლის თანახმად, ხდება პირის გარდაცვლილად გამოცხადება და არა აღიარება.

III. მზრუნველობის დაწესება სრულწლოვანი პირის მიმართ, 1275 II

მზრუნველობა შეიძლება დაწესდეს არა მხოლოდ არასრულწლოვანი, არამედ ასევე სრულწლოვანი პირის მიმართაც, თუკი მას ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლია დამოუკიდებლად განახორციელოს თავისი უფლებები და შეასრულოს თავისი მოვალეობები. აქაც შენარჩუნებულია პირველი ნაწილის პრინციპი: პირს უნდა ჰქონდეს ზრუნვის საჭიროება და ზრუნვის დაწესების მიზანი მისივე უფლებების დაცვაა. მაგრამ, განსხვავებით არასრულწლოვანის შემთხვევისგან, სრულწლოვანი პირისთვის მზრუნველის დაწესების არ ემსახურება მის აღზრდასა და მშობლისეული ზრუნვის უზრუნველყოფას, არამედ მხოლოდ პირადი და ქონებრივი უფლებების დაცვას.

1275 II მუხლი ეხება მხოლოდ ისეთ შემთხვევას, როდესაც პირი თავისი ნებით აცხადებს თანხმობას ან სურვილს, დაენიშნოს მზრუნველი.²⁸ ასეთი ნების არარსებობის შემთხვევაში შესაძლოა მზრუნველობის დაწესება 16 I 1 მუხლის შესაბამისად ან მხოლოდ მხარდაჭერის მიღების ინსტიტუტის გამოყენება. იხ. ამასთან დაკავშირებით შესაბამისი მუხლის კომენტარი.

1275 II მუხლში კიდევ უფრო მძიმე საკანონმდებლო ხარვეზია, ვიდრე მუხლის პირველ ნაწილში. ნორმა მიუთითებს, რომ სრულწლოვან პირს შეიძლება დაენიშნოს მეურვე და მზრუნველი. განსხვავებით მუხლის პირველი ნაწილისგან, აქ „და“ კავშირის „გამომრიცხავი ალტერნატივის“ მნიშვნელობაზე ვერ იქნება საუბარი, რადგანაც საერთოდ

²⁸ შენგელია, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1275, გვ. 300.

შეუძლებელია სრულწლოვან პირს რაიმე შემთხვევაში დაენიშნოს მეურვე. აღნიშნული ჩანაწერი დარჩენილია კოდექსის ძველი რედაქციიდან, სანამ გაუქმდებოდა სრულწლოვანი პირისთვის მეურვის დანიშვნის შესაძლებლობა. 2015 წლის 1 აპრილიდან დაკარგა ძალა ნორმამ, რომლის მიხედვითაც, სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ აღიარებულ სრულწლოვან პირსაც მეურვე ენიშნებოდა.²⁹ ამიტომ ცვლილება უნდა შესულიყო 1275 II მუხლშიც და აქედან მეურვეობაზე მითითება უნდა ამოშლილიყო. მიუხედავად ამ მუხლის ამგვარი ჩანაწერისა, ისტორიული (და სისტემური) განმარტება გამორიცხავს ნორმის ისეთ ინტერპრეტაციას, რომ რაიმე შემთხვევაში სრულწლოვან პირსაც დაენიშნოს მეურვე.

IV. მხარდაჭერის მიმღები, 1275 III

23 1275 III მუხლი წარმოადგენს კანონმდებლის წარუმატებელ მცდელობას, განმარტოს მხარდაჭერის ცნება ან თუნდაც განსაზღვროს მისი წინაპირობები. მუხლის ტექსტი ფაქტობრივად იმეორებს 1277¹ მუხლის შინაარსს, რაც ყოვლად გაუმართლებელია. დაუშვებელია კანონში არსებობდეს ორი ნორმა, რომელიც ერთსა და იმავეს აწესებს. განსაკუთრებულ კრიტიკას იმსახურებს ის, რომ კანონმდებელმა სპეციალურად ჩაამატა ახალი მუხლი 1277-ე და 1278-ე მუხლებს შორის, რათა გაემეორებინა 1275 III მუხლის ჩანაწერი. სავარაუდოდ, ეს იყო მცდელობა, შენარჩუნებულიყო ვიზუალური სიმეტრია და ცნებების განსაზღვრის (1275 მუხლის) შემდეგ თითო მუხლი დათმობოდა ამ სამი სამართლებრივი ინსტიტუტიდან თითოეულს. მაგრამ, რეალურად, არც 1275-ე მუხლშია ცნებები განმარტებული და არც ეს სამი ინსტიტუტი არაა თანაბრად გადანაწილებული სამ მუხლში. ნებისმიერ შემთხვევაში კანონმდებელს ან 1275 III მუხლზე უნდა ეთქვა უარი, ან 1277¹-ზე.

24 მხარდაჭერის მიღებასთან დაკავშირებით ის. 1277¹ მუხლის კომენტარი.

²⁹ გერმანიაში აღნიშნული გაუქმდა 1992 წელს, *Spickhoff*, in *Münchener Kommentar BGB*, 8. Auflage 2020, § 1773 Rn. 5.

მუხლი 1276. მეურვეობა

მეურვეობა ნესდება ბავშვზე, რომელსაც 7 წლის ასაკისთვის არ მიუღწევია.

საქართველოს 2015 წლის 20 მარტის კანონი №3339 - ვებგვერდი, 31.03.2015წ.

1276-ე მუხლი ადგენს მეურვეობის დაწესების კიდევ ერთ წინაპირობას. კერძოდ, ის განსაზღვრავს პირთა წრეს, თუ ვის შეიძლება დაენიშნოს მეურვე.¹ სწორედ პირთა წრეა ერთ-ერთი მთავარი განმასხვავებელი, თუ რა შემთხვევაში გამოიყენება მეურვეობის და რა შემთხვევაში - მზრუნველის ინსტიტუტი.

ქართველმა კანონმდებელმა აირჩია მიდგომა, რომლის მიხედვითაც მეურვეობასა და მზრუნველს შორის გამიჯვნა პირის ქმედუნარიანობას უკავშირდება.² სწორედ ამიტომ ენიშნებოდათ ქმედუნარო სრულწლოვან პირებსაც 2015 წლამდე მეურვე. დღეს ამ ინსტიტუტის გამოყენება მხოლოდ 7 წლამდე პირების მიმართ შეიძლება, მაგრამ, იმის გათვალისწინებით, რომ სრულწლოვანი პირის ცნობა ქმედუნაროდ არ შეიძლება, საბოლოო ჯამში, მეურვეობის გამოყენება დღესაც სწორედ ქმედუნარობაზეა მიბმული. ამის საპირისპიროდ, გერმანიაში მეურვესა და მზრუნველს შორის გამიჯვნა პირთა წრის მიხედვით ეფუძნება ამ პირთა სრულწლოვანებას. არასრულწლოვანს ენიშნება მეურვე, სრულწლოვანს - მზრუნველი. შედეგად საქართველოსა და გერმანიაში არც მეურვის და არც მზრუნველის ფუნქციები ერთმანეთს არ ემთხვევა. ამგვარი გადაწყვეტით ქართველმა კანონმდებელმა წინ ნამონია მეურვისა და მზრუნველის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებები და გრადაცია მოახდინა იმისდა მიხედვით, თუ რა დონის დახმარება ესაჭიროება პირს გარიგებების დადებაში - პირი ვერ ავლენს ნამდვილ ნებას და მის მაგივრად ეს უნდა გააკეთოს სხვამ (მეურვემ) თუ პირი ავლენს მერყევად ბათილ ნებას და მისი ნამდვილობა დამოკიდებულია სხვა პირის (მზრუნველის) მოწონებაზე. აღსანიშნავია, რომ

¹ *შენგელია*, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1276, გვ. 301.

² *შენგელია/შენგელია*, საოჯახო სამართალი, მეორე გამოცემა, 2011, გვ. 350.

სამოქალაქო კოდექსის ინიცირებისას³ (გარდა სრულწლოვანი ქმედუ-
უნარო პირებისა) იგეგმებოდა მეურვეობის დანესების შესაძლებლობა
ასევე 15 წლამდე პირებისთვის, ხოლო მზრუნველობის დანესება 15
წლიდან. თუმცა ეს შემოთავაზება უარყოფილ იქნა და კანონპროექტის
მესამე მოსმენით⁴ განხილვისთვის წარდგენილ ვერსიაში უკვე ვხვდე-
ბით მითითებას 7 წელზე. ასეთ ასაკად 15 წლის შერჩევის რაიმე ლოგი-
კური არგუმენტით გამყარება⁵ რთული იქნებოდა.

- 3** იმ შემთხვევისთვის, როდესაც ასაკში შეცდომის გამო არასწორად
ხდება მეურვის დანიშვნა იხ. 1281-ე მუხლის კომენტარი.

³ იხ. სამოქალაქო კოდექსის ინიცირებული ვერსია, მუხლი 1248.

⁴ იხ. სამოქალაქო კოდექსის კანონპროექტის მესამე მოსმენით განსახილველი
ვერსია, მუხლი 1276.

⁵ გარდა იმისა, რომ საბჭოთა საქორწინო და საოჯახო კოდექსში იყო მითითება 15
წელზე. იხ. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის საქორწინო და
საოჯახო კოდექსი, მუხლი 129.

მუხლი 1277. მზრუნველობა

1. მზრუნველობა წესდება არასრულწლოვანზე შვიდი წლის ასაკიდან თვრამეტ წლამდე. მზრუნველობა წესდება აგრეთვე სრულწლოვან ქმედუნარიან პირზე მისი თხოვნით, თუ მას თავისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლია დამოუკიდებლად განახორციელოს თავისი უფლებები და შეასრულოს თავისი მოვალეობანი.

2. შესაბამისად გამოიყენება მე-16 მუხლი.

I. ზოგადი	459
II. არასრულწლოვნის მზრუნველობა	459
III. სრულწლოვანი პირის მზრუნველობა.....	460
1. 1277 I 2 მუხლი	460
2. 1277 II მუხლი	461

I. ზოგადი

1277-ე მუხლი, 1276-ე მუხლის დარად, ადგენს იმ პირთა წრეს, რომელთა მიმართაც შეიძლება გამოიყენებულ იქნეს მზრუნველობა.¹ განსხვავებით მეურვეობისგან, ის შეიძლება დაწესდეს როგორც სრულწლოვანი, ისე არასრულწლოვანი პირის მიმართ.

1

II. არასრულწლოვნის მზრუნველობა

1277 I 1 მუხლი განაგრცობს 1275 I მუხლით მზრუნველობისთვის დაწესებულ წინაპირობებს. არასრულწლოვანს მზრუნველობა უწესდება, თუ ამ წინაპირობებთან ერთად იგი არის 7-დან 18 წლამდე ასაკის. ძალაში რჩება მოთხოვნა, რომ მშობელი მასზე არ უნდა ზრუნავდეს რაიმე შესაბამისი საფუძვლის გამო. განსხვავებით სრულწლოვნისგან, არასრულწლოვნისთვის მზრუნველობის დაწესებისთვის არ არის საჭი-

2

¹ შენგელია, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1277, გვ. 303.

რო მისი თანხმობა. მზრუნველობა არის სახელმწიფოს საშუალება, დაიცვას არასრულწლოვნის პიროვნული და ქონებრივი ინტერესები და ამას ის ახორციელებს არა მხოლოდ ქმედუნაროსთვის² განკუთვნილი მეურვეობით, არამედ ასევე სწორედ მზრუნველობის ინსტიტუტის დახმარებით. განსხვავებით მეურვისგან, მზრუნველს შეუძლია არა მხოლოდ გამოავლინოს ნება, როგორც კანონიერმა წარმომადგენელმა, არამედ ასევე მისცეს თანხმობა სამზრუნველო პირს, რომ მან დადოს გარიგება.

- 3** ცალკეულ შემთხვევებში შესაძლოა რთული აღმოჩნდეს პირის სრულწლოვანების დადგენა. მაგრამ ეს მზრუნველობის დანესებისთვის გადამწყვეტია, რადგანაც, თუ სახეზე არ არის 1277 I 2 ან 16 I 1 მუხლით გათვალისწინებული წინაპირობები, მაშინ სრულწლოვანისათვის მზრუნველობის დანესება დაუშვებელია.

არასრულწლოვანი ქმედუნარიანი პირისთვის მზრუნველის დანესების შემთხვევასთან დაკავშირებით იხ. 1275-ე მუხლის კომენტარი, ველი 11.

III. სრულწლოვანი პირის მზრუნველობა

- 4** სამოქალაქო კოდექსი იცნობს სრულწლოვანი პირისთვის მზრუნველის დანესების ორ შემთხვევას: 1277 I 2 მუხლის ან 16 I მუხლის შესაბამისად.³ მიუხედავად იმისა, რომ სრულწლოვანი პირისთვის მზრუნველობის დანესება სცილდება საოჯახო სამართლის რეგულირების სფეროს, ეს შემთხვევა მაინც კოდექსის ამ წიგნშია მოწესრიგებული.

1. 1277 I 2 მუხლი

- 5** 1277 I 2 მუხლი განსაზღვრავს სრულწლოვანი პირისთვის მზრუნველის დანესების (დამატებით) წინაპირობებს.⁴ მუხლი, ერთი მხრივ, სი-

² შდრ. მუხ. 1276-ის კომენტარი.

³ *შენგელია*, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1277, გვ. 305.

⁴ *შენგელია/შენგელია*, საოჯახო სამართალი, მეორე გამოცემა, 2011, გვ. 352.

ტყვასიტყვით იმეორებს 1275 II მუხლის ჩანაწერს, მეორე მხრივ, უთითებს მზრუნველობის დანესებისთვის სამზრუნველო პირის „თხოვნის“ აუცილებლობაზე. 1275 II მუხლის ჩანაწერის გამეორება სრულიად ზედმეტია და ყოველგვარ აზრს მოკლებულია. აღნიშნული წარმოადგენს საკანონმდებლო ხარვეზს, რადგანაც კანონში ნორმები არ უნდა მეორდებოდეს. მართებული იქნებოდა, 1275 II მუხლი საერთოდ თუ არ იარსებებდა⁵ და ამით საკანონმდებლო ტავტოლოგია თავიდან იქნებოდა არიდებული.

რაც შეეხება, სამზრუნველო პირის „თხოვნას“, სწორედ ეს არის სრულწლოვანი პირის შემთხვევაში მზრუნველობის ინსტიტუტის გამოყენების ფუნდამენტური წინაპირობა, რომლის საფუძველზეც შეიძლება მისი გამიჯვნა მხარდაჭერის ინსტიტუტისგან. განსხვავებით გერმანული სამართლისგან, საქართველოში შეუძლებელია 1277 I 2 მუხლის გამოყენება, თუ სახეზე არ არის თავად სამზრუნველო პირის მოთხოვნა. მზრუნველობის მიღება არის იმ პირის უფლება, რომელსაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ესაჭიროება დახმარება საკუთარი უფლებების განსახორციელებლად. მისი იძულება, გამოიყენოს ეს უფლება, შეენიანააღმდეგებოდა ამ პრინციპს. 14 II მუხლით, პირი, რომელსაც სასამართლომ დაუწესა მზრუნველობა, ხდება შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე. ეს კი მხოლოდ მისი მოთხოვნით შეიძლება მოხდეს. ერთადერთი გამონაკლისია 16 I მუხლი, რომელზეც უთითებს 1277 II მუხლი.

6

2. 1277 II მუხლი

1277-ე მუხლი უთითებს მზრუნველობის დანესების შესაძლებლობაზე 16 I 1 მუხლის შესაბამისად.⁶ 16 I 1 მუხლით შესაძლებელია პირის ქმედუნარიანობის შეზღუდვა და მისთვის მზრუნველის დანესება მისი

7

⁵ იგივე ითქმის მთლიანად 1275 მუხლზეც, რადგანაც ყველაფერი, რაც ამ მუხლში წერია, მეორდება მომდევნო მუხლებში. იხ. ამასთან დაკავშირებით 1275-ე მუხლის კომენტარი.

⁶ შენგელია, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1277, გვ. 305.

სურვილის საწინააღმდეგოდ, თუ სახეზეა შესაბამისი წინაპირობები. ამ ნორმის მიზანია პირის ოჯახის დაცვა და არა თავად ამ პირის დახმარება, უკეთ განახორციელოს უფლებები.

- 8** 1277 II მუხლი უთითებს მთლიანად მე-16 მუხლზე. შესაბამისად, ძალშია ასევე 16 I 2 მუხლი და სრულწლოვან პირს, რომელსაც მზრუნველი დაენიშნა 1277 I 2 მუხლის მიხედვით, მაინც შეუძლია დამოუკიდებლად დადოს ნვრილმანი ყოფითი გარიგება.

მუხლი 1277¹. მხარდაჭერა

მხარდაჭერის მიმღებს ენიშნება მხარდამჭერი.

საქართველოს 2015 წლის 20 მარტის კანონი №3339 - ვებგვერდი, 31.03.2015წ.

I. ზოგადი	463
II. ისტორიული კონტექსტი	463
III. მხარდაჭერის არსი	464
IV. სამართლებრივი ურთიერთობის მხარეები	465
1. მხარდაჭერის მიმღები.....	465
ა) საკანონმდებლო დეფინიცია	465
ბ) „ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირი“	466
გ) კრიტერიუმები მხარდაჭერის მიმღებად მისაჩნევად.....	467
2. მხარდამჭერი	468

I. ზოგადი

1277¹ მუხლი თითქმის დაცლილია შინაარსისგან და, 1275-ე მუხლის გათვალისწინებით, არაფერს განსხვავებულს არ არეგულირებს. 1277¹ მუხლი, ერთი შეხედვით, თითქოს მხარდაჭერის არსსა და ცნებას განსაზღვრავს, თუმცა ეს მცდელობა ისევე წარუმატებელია, როგორც 1275-ე მუხლის შემთხვევაში.¹ ნორმა არ განსაზღვრავს არც მხარდაჭერის დადგენის წინაპირობებსა და არც - სამართლებრივ შედეგებს.

მუხლის სათაური ზედმეტად აბსტრაქტულია² და არ გამოხატავს იმ შინაარსს, რომელსაც იგი ეხება. **2**

II. ისტორიული კონტექსტი

მხარდაჭერის ინსტიტუტის შემოღება უკავშირდება საქართველოს **3**

¹ იხ. ამასთან დაკავშირებით 1275-ე მუხლის კომენტარი.

² ფრაი, კ./სირდაძე, ლ., კანონის ნორმების დასათაურება, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, 4/2019, 13.

საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილებას,³ რომლის შედეგადაც არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი ის საკანონმდებლო ჩანაწერი, რომელიც ითვალისწინებდა ჭკუასუსტობის ან სულით ავადმყოფობის გამო⁴ პირის ქმედუუნაროდ მიჩნევას ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინების გარეშე. უფრო ზუსტად კი, საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, თავად ქმედუუნარიანობის ჩამორთმევა არ ეწინააღმდეგება კონსტიტუციას და არ არღვევს პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებას, თუმცა არაპროპორციულია ფსიქიკური დარღვევის ტიპის გათვალისწინების გარეშე განურჩევლად ყველა პირის ქმედუუნაროდ ცნობა.⁵ სასამართლოს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეაფასოს დარღვევის სიმძიმე, მისი შესაძლო შედეგები და თუ რა სახის ქმედებების გაცნობიერების უნარი გააჩნია პირს.

- 4** საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებამ საფუძველი ჩაუყარა 2015 წლის 20 მარტის საკანონმდებლო ცვლილებას. შედეგად სამოქალაქო კოდექსში შემოტანილ იქნა მხარდაჭერის ინსტიტუტი, რომელმაც სრულად ჩაანაცვლა სრულწლოვანი პირის ქმედუუნარობის მომწესრიგებელი ნორმები. ახალი რედაქციით დამკვიდრდა მხარდაჭერის მიმღებისა და მხარდამჭერის ცნებები, თუმცა სამოქალაქო კოდექსში თავად მხარდაჭერა პირდაპირ არსად არაა განმარტებული. ამის მიუხედავად, მხარდაჭერის ცნებისა და არსის დადგენა შესაძლებელია სამოქალაქო კოდექსის სხვადასხვა მუხლში განერილი მხარდამჭერის უფლება-მოვალეობების გათვალისწინებით.

III. მხარდაჭერის არსი

- 5** მხარდაჭერა გულისხმობს მხარდამჭერის მიერ მხარდაჭერის მიმ-

³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილება №2/4/532,533 საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

⁴ იხ. მე-12 და 1276-ე მუხლის 2015 წლის 1 აპრილამდე მოქმედი რედაქცია.

⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილება №2/4/532,533 საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-42.

ლების სათანადო რჩევის მიცემასა და დახმარებას, მიიღოს ინფორმირებული და გააზრებული გადაწყვეტილება სასამართლოს მიერ განსაზღვრულ სფეროში (მე-12, 1289-ე მუხლები). ამ თვალსაზრისით, მხარდაჭერა მნიშვნელოვნად განსხვავდება მზრუნველობისა და მეურვეობისაგან, რა დროსაც მეურვე/მზრუნველი წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით არის აღჭურვილი და მისი ფუნქცია არა სამზრუნველო/სამეურვეო პირის სათანადო რჩევაში, არამედ მის ნაცვლად ნების გამოვლენაში ან გარიგების დადებისას თანხმობის მიცემაშია (1290-ე მუხლი). თუმცა, არსებობს გამონაკლისიც. იმ შემთხვევაში, თუ მხარდაჭერის მიმღების მიერ პირადად ნების გამოვლენა ობიექტურად შეუძლებელია ერთ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში და ეს საზიანოა მხარდაჭერის მიმღების ინტერესებისთვის, სასამართლო მხარდაჭერს უფლებას აძლევს, მხარდაჭერის მიმღების სახელით დადოს აუცილებელი გარიგებები (იხ. ამასთან დაკავშირებით 1293-ე მუხლის კომენტარი). ეს ის შემთხვევაა, როდესაც მხარდაჭერი ავლენს ნებას მხარდაჭერის მიმღების ნაცვლად, რითაც იგი წარმომადგენლობითი ფუნქციით მეურვესა და მზრუნველს უტოლდება.

IV.სამართლებრივი ურთიერთობის მხარეები

მხარდაჭერისათვის საჭიროა, სულ მცირე, ორი სუბიექტი - მხარდაჭერის მიმღები და მხარდაჭერი. **6**

1. მხარდაჭერის მიმღები

ა) საკანონმდებლო დეფინიცია

მხარდაჭერის მიმღები განმარტებულია სამოქალაქო კოდექსის მე-12 მუხლში, რომლის მიხედვითაც, იგი არის ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირი, რომელსაც აქვს მყარი ფსიქიკური, გონებრივი/ინტელექტუალური დარღვევები, რომელთა სხვადასხვა დაბრკოლებასთან ურთიერთქმედებამ შესაძლოა ხელი შეუშალოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მის სრულ და ეფექტიან მონაწილეობას სხვებთან თანაბარ პირობებში. ეს დაბრკოლებები, სათანადო დახმარების გარეშე, **7**

მნიშვნელოვნად უნდა ართულებდეს პირის მიერ საკუთარი ნების თავისუფლად გამოხატვას და გააზრებული არჩევანის გაკეთებას სასამართლოს მიერ განსაზღვრულ სფეროში.

- 8** ცნების ამგვარად ჩამოყალიბებით კანონმდებლის მიზანი იყო, შეექმნა მოქნილი სამართლებრივი რეგულაცია, რომლის ფარგლებშიც, შენარჩუნებული იქნებოდა პირის ქმედუნარიანობა, ხოლო მხარდამჭერის მიმღების დაცვითი ღონისძიებები იქნებოდა ფაქტობრივი რეალობის თანაზომიერი.⁶ თუმცა, დასაფიქრებელია, კანონმდებლობაში ასახული ეს პრინციპები რამდენად ქმედითია და რამდენად აღწევს დასახულ მიზანს.

ბ) „ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირი“

- 9** აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო კოდექსის მე-12 მუხლში ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირი გაიგივებულია მხარდაჭერის მიმღებთან. თავად ტერმინი „ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირი“ არც სამოქალაქო და არც სამოქალაქო საპროცესო კოდექსში სხვაგან აღარ გვხვდება. სამოქალაქო კოდექსის ხსენებული ნორმის გარდა, ეს ტერმინი განსაზღვრულია მხოლოდ „ფსიქოსოციალური საჭიროებიდან გამომდინარე ექსპერტიზის ჩატარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ე“ ქვეპუნქტით, რომლის მიხედვითაც, ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირი არის პირი, რომლის ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირად ცნობის საკითხი განიხილება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით. ამ ნორმაში ლოგიკური შეცდომაა, ვინაიდან თუკი პირი უკვე არის აღიარებული ფსიქოსოციალური საჭიროების მქონედ, მაშინ მისი ასეთად ცნობის საკითხის განხილვა, ბუნებრივია, აღარ არის საჭირო, ხოლო თუ იგი ასეთად სამომავლოდ უნდა იქნეს ცნობილი, მაშინ მანამდე მას ეს სტატუსი ვერ ექნება. საჭიროების მქონე პირი განმარტებული უნდა

⁶ იხ. „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველო კანონის პროექტის (№ 07-3/415/8) განმარტებითი ბარათი, ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/64346?> (უკანასკნელად ნანახია 01.06.2021).

იყოს, როგორც პირი, რომლის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის საკითხიც განიხილება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისად. ეს ასევე გამართლებულია იმითაც, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსში არ მოიძებნება ნორმა, რომელიც პირის ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირად ცნობის საკითხს განსაზღვრავს. საპროცესო კანონმდებლობა იცნობს მხოლოდ პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობას და სასამართლოს გადაწყვეტილებაშიც ასე მიეთითება. ზოგადად, გაუმართლებელია კანონმდებლობაში სამართლებრივი ტერმინების სინონიმების ხელოვნურად გაჩენა, როდესაც ამის საჭიროება არ არსებობს, რადგანაც ორი იდენტური შინაარსის ტერმინის განსაზღვრა ხშირად უფრო მეტ გაურკვევლობას იწვევს და უშინაარსო და უსარგებლო ნორმების საფუძველი ხდება.

გ) კრიტიკურიუმები მხარდაჭერის მიმღებად მისაჩნევად

12 IV მუხლში ზუსტად არის განწერილი, თუ ვინ შეიძლება იყოს ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირი. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა, შეიძლება თუ არა ასეთად ჩაითვალოს პირი, რომელიც ერთდროულად არის ბრმა და ყრუ-მუნჯი ან პირი, რომელიც წლებია, კომაში იმყოფება. არც ერთი მათგანის მდგომარეობა თავის თავში არ გულისხმობს არც ფსიქიკურ და არც ინტელექტუალურ დარღვევას, თუმცა, ფაქტია, რომ ხსენებული პირები, როგორც წესი, ფიზიკური დაბრკოლების გამო ვერ ავლენენ ნებას. ასეთ შემთხვევაში მიზანშეწონილია მათი მხარდაჭერის მიმღებად ცნობა ანალოგიის გზით. მსგავს სიტუაციაში მყოფ პირებს ესაჭიროებათ დამხმარე, რომელიც მათ დაეხმარება ნების გამოვლენაში ან (შესაბამის შემთხვევებში) გამოავლენს ნებას მათ ნაცვლად.

10

აღსანიშნავია, რომ ანალოგია არ უნდა იქნეს გამოყენებული ისეთ შემთხვევებში, როდესაც პირს ფიზიკური ნაკლის გამო შეზღუდული აქვს გარიგების თავისუფლად დადების შესაძლებლობა, მაგრამ ნების ფორმირება და მისი გამოვლენა უპრობლემოდ შეუძლია. ასეთი შეიძლება იყოს, მაგალითად, მხოლოდ ბრმა ან მხოლოდ ყრუ-მუნჯი, ან სმენადაქვეითებული პირის მიერ ნების გამოვლენა. ამ შემთხვევაში მათ სჭირდებათ ტექნიკური დახმარება და არა მხარდაჭერა.

11

2. მხარდამჭერი

- 12** მხარდამჭერის ცნებასა და მხარდაჭერის დანიშვნის წინაპირობებთან დაკავშირებით იხ. 1280-ე მუხლის კომენტარი.

მუხლი 1278. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოები

1. მეურვეობისა და მზრუნველობის ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოები არიან საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ან/და მის სისტემაში შემავალი უფლებამოსილი დაწესებულება (ორგანიზაცია), აგრეთვე მათი ტერიტორიული ორგანოები.

2. მეურვეობისა და მზრუნველობის ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების მუშაობის წესი განისაზღვრება ამ კოდექსით, „სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონითა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით.

3. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო ვალდებულია დაიცვას და გააძლიეროს მხარდაჭერის მიმღებები და დაეხმაროს მხარდაჭერებს თავიანთი მოვალეობების შესრულებაში, რათა მათ ხელი შეუწყონ მხარდაჭერის მიმღებებს არჩევანის გაკეთებასა და გადაწყვეტილების მიღებაში.

საქართველოს 2007 წლის 18 დეკემბრის კანონი №5624 - სსმ I, №48, 27.12.2007წ., მუხ.414

საქართველოს 2015 წლის 20 მარტის კანონი №3339 - ვებგვერდი, 31.03.2015წ.

საქართველოს 2018 წლის 13 ივნისის კანონი №2520 – ვებგვერდი, 29.06.2018წ.

საქართველოს 2018 წლის 5 ივლისის კანონი №3076 – ვებგვერდი, 11.07.2018წ.

მუხლი 1279. ბავშვისთვის მეურვეობისა და მზრუნველობის დაწესება

ბავშვისთვის მეურვეობისა და მზრუნველობის დაწესება შეიძლება იმ შემთხვევაში, როდესაც:

- ა) სასამართლო აცნობებს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ბავშვის ორივე მშობლისთვის მშობლის უფლებებისა და მოვალეობების შეზღუდვის ან ჩამორთმევის შესახებ;
- ბ) შეჩერებულია მშობლის უფლებები და მოვალეობები;
- გ) გარდაცვლილია ბავშვის ორივე მშობელი;
- დ) ბავშვისათვის დანიშნული მეურვე გარდაიცვალა ან მას თავისი ფუნქციები ჩამოერთვა;
- ე) სასამართლო ბავშვს მიტოვებულად აღიარებს;
- ვ) მშობელი უგზო-უკვლოდ დაკარგულად არის აღიარებული.

*საქართველოს 2007 წლის 18 დეკემბრის კანონი №5624 - სსმ I, №48, 27.12.2007წ., მუხ.414
საქართველოს 2015 წლის 20 მარტის კანონი №3339 - ვებგვერდი, 31.03.2015წ.*

I. ზოგადი470
 II. ცალკეული შემთხვევები.....471

I. ზოგადი

1 1279-ე მუხლი თითქმის სიტყვასიტყვით იმეორებს 1275-ე მუხლში ჩამოთვლილ შემთხვევებს, თუ როდის შეიძლება მეურვეობისა და მზრუნველობის დაწესება.¹ რადგანაც კანონში ერთი და იმავე შინაარსის ნორმების არსებობა დაუშვებელია, 1279-ე მუხლი უნდა გაუქმდეს ან 1275-ე მუხლი უნდა შეიცვალოს იმგვარად, რომ იქ აღარ იყოს მითითებული იგივე ჩანაწერი, რაც 1279-ე მუხლშია. 1279-ე მუხლის არსებობა

¹ შენგელია/შენგელია, საოჯახო სამართალი, მეორე გამოცემა, 2011, გვ. 355.

გამართლებული იყო 2007 წლამდე, როდესაც იგი არ ემთხვეოდა რომელიმე სხვა მუხლით გათვალისწინებულ შინაარსს. 1275-ე მუხლის ძველი რედაქციით მოითხოვებოდა, რომ ბავშვი ყოფილიყო მშობლის მზრუნველობის გარეშე დარჩენილი, მშობლების გარდაცვალების, მშობლებისათვის მშობლის უფლების ჩამორთმევის, მშობლების ქმედუუნაროდ ცნობის, ავადმყოფობის ან სხვა მიზეზით. 1279-ე მუხლი კი მიუთითებდა, რომ მზრუნველობის ან მეურვეობის დასაწესებლად ბავშვი ან ფაქტობრივად არ უნდა ცხოვრობდეს მშობლებთან ერთად, ან თუ მათთან ერთად ცხოვრობს, მათ უნდა ჩამოერთვათ მშობლის უფლება.² მართალია, ასეთ დროსაც რთული იქნებოდა ამ ორი მუხლის ერთმანეთისგან გამიჯვნა, მაგრამ ეს შეუძლებელი მაინც არ იქნებოდა, რადგანაც ისინი, საბოლოო ჯამში, განსხვავებულ წინაპირობებს ითვალისწინებდნენ. მაგრამ 2007 წელს განხორციელებული ცვლილებებით 1275-ე მუხლის ჩანაწერი შეიცვალა და უკვე ამომწურავად მიეთითა, თუ როდის შეიძლება მეურვეობისა და მზრუნველობის დაწესება. კანონი უკვე აღარ ითვალისწინებდა ისეთ მითითებას, როგორცაა „ან სხვა მიზეზით“. ამით არასაკმარისი გახდა მზრუნველობის ფაქტობრივი არარსებობა და მოითხოვება რომელიმე კონკრეტული გარემოების არსებობა, რომელიც კანონშია მითითებული. პრობლემურია ის, რომ ნაცვლად 1279-ე მუხლის გაუქმებისა, კანონმდებელმა ამ მუხლშიც იგივე ჩაწერა, რაც 1275-ეში.

კრიტიკას იმსახურებს ასევე 1279-ე მუხლის მოქმედი რედაქციის სათაური. ის არის ზედმეტად აბსტრაქტული,³ რადგანაც მუხლი შეეხება არა მთლიანად მეურვეობისა და მზრუნველობის დაწესებას, არამედ მხოლოდ ჩამოთვლის იმ შემთხვევებს, როდესაც შეიძლება მათი დაწესება.

2

II. ცალკეული შემთხვევები

1279 ა) მუხლი ეხება შემთხვევას, როდესაც სასამართლო მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს აცნობებს ბავშვის ორივე მშობლი-

3

² შენგელია, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1279, გვ. 309.

³ ფრაი, კ./სირდაძე, ლ., კანონის ნორმების დასათაურება, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, 4/2019, 13.

სთვის მშობლის უფლებებისა და მოვალეობების შეზღუდვის ან ჩამორთმევის შესახებ. აღნიშნულ ნორმას რამდენიმე ხარვეზი გააჩნია. პირველ რიგში, დაუშვებელია, მეურვეობისა და მზრუნველობის დანესების წინაპირობა იყოს ის, რომ „სასამართლომ აცნობა“ ვინმეს რაიმე მათი დანესება უნდა მოხდეს, როდესაც ფაქტობრივად შეიზღუდა მშობლების უფლებები ან მოვალეობები. ვინ აცნობებს ამის შესახებ ორგანოს, არ აქვს მნიშვნელობა. გარდა ამისა, არასწორია მითითება, რომ ორივე მშობლის უფლებები უნდა იყოს შეზღუდული ან ჩამორთმეული. შესაძლოა ერთ მშობელს ჩამოერთვას ეს უფლება, ხოლო მეორე ვერ ახორციელებდეს ბავშვზე ზრუნვას სხვა რაიმე საფუძვლით - მაგალითად, იმის გამო, რომ გარდაცვლილია. ასეთ დროს იმაზე საუბარი, რომ ორივე მშობელს უნდა ჩამოერთვას მშობლის უფლება, არასწორია. იხ. ამასთან დაკავშირებით დამატებით მუხ. 1275 მე-16 ველი.

- 4** 1279 ბ) მუხლი გამოყოფილია ცალკე, რადგანაც აქ კანონმდებელი აღარ მოითხოვს, რომ მშობლის უფლების *შეჩერების* შესახებ სასამართლომ „აცნობოს“ მზრუნველობის ორგანოს. სხვა მხრივ, საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით, გამართლებული იქნებოდა ქვეპუნქტების გაერთიანება.
- 5** გ) ქვეპუნქტი იმეორებს იმავე შეცდომას, რასაც ა), უთითებს რა ორივე მშობლის გარდაცვალების საჭიროებაზე. თუ მეორე მშობელს ისედაც არ აქვს მშობლის უფლება ან მუხლში დასახელებული სხვა რაიმე საფუძვლით არ ახორციელებს ზრუნვას ბავშვზე, მაშინ აქაც საკმარისია, რომ გარდაიცვალოს მხოლოდ ერთი მშობელი - ის, რომელიც ახორციელებდა ზრუნვას. პრობლემა არის ის, რომ გ) ქვეპუნქტი უთითებს მხოლოდ გარდაცვალებაზე და არა გარდაცვლილად გამოცხადებაზე⁴. ეს მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ხარვეზია, მაგრამ ასეთ შემთხვევებში შესაძლებელია 1275-ე მუხლის ჩანაწერის გამოყენება.
- 6** დ) ქვეპუნქტი ერთადერთი ჩანაწერია 1279-ე მუხლში, რომელიც არ გვხვდება 1275-ში. ამ ქვეპუნქტის ფარგლებში არ აქვს მნიშვნელობა, თუ რა საფუძვლით უწყდება მეურვეს უფლებამოსილება - ხდება ეს მისი ნებით თუ ნების გარეშე, რაიმე დარღვევის გამო თუ - არა. როდესაც ბავშვი რჩება მეურვის გარეშე, საჭიროა მას თავიდან დაენიშნოს იგი.

⁴ *Fritsche, I./Katzenstein, H./Lohse, K.*, in Kaiser/Schnitzler/Friederici/Schilling, BGB - Familienrecht, 4. Auflage 2021 § 1773 Rn. 5.

გარდაცვლილად გამოცხადებაზე არ საუბრობს არც დ) ქვეპუნქტი. მსგავსად გ) ქვეპუნქტისა, ამ შემთხვევაშიც უმჯობესი იქნება, თუ გარდაცვლილად გამოცხადების შემთხვევა ცალკე გამოიყოფა ამავე ქვეპუნქტში.

2015 წელს განხორციელებული ცვლილებებით 1279-ე მუხლიდან ამოღებულ იქნა მითითება, რომ ბავშვს მეურვე უწესდება, თუ მისი მშობლები ქმედუუნაროებად არიან აღიარებული. კანონმდებელმა ჩათვალა, რომ, რადგანაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გაუქმდა პირის ქმედუუნაროდ გამოცხადების შესაძლებლობა, შეუძლებელია ბავშვს ჰყავდეს მშობელი, რომელიც იქნება ქმედუუნარო. ეს არასწორია. საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ საქართველოს კანონის 23-ე მუხლით, ფიზიკური პირის ქმედუუნარიანობა განისაზღვრება იმ ქვეყნის სამართლით, რომელსაც ეს პირი განეკუთვნება. შედეგად, შესაძლოა, ბავშვს, რომელიც არის საქართველოს მოქალაქე, ჰყავდეს მშობელი, რომელიც ქმედუუნაროდაა აღიარებული იმ სამართლის მიხედვით, რომელიც ქვეყნის მოქალაქეცაა ის. ეს მშობელი საქართველოშიც ქმედუუნარო იქნება. მაგალითად, თუ გარდაიცვლება ბავშვის მეორე მშობელი, რომელიც იყო საქართველოს მოქალაქე და გააჩნდა ქმედუუნარიანობა, ბავშვი რჩება ქმედუუნარიანი მშობლის გარეშე. საერთაშორისო კერძო სამართლის 54 | 1 მუხლის მიხედვით მეურვეობის დაწესება უნდა მოხდეს ქართული სამართლის მიხედვით. ამავე მუხლის 1-ლი ნაწილის მე-2 წინადადებით, იგივე იქნებოდა სახეზე, ბავშვი რომც არ ყოფილიყო საქართველოს მოქალაქე. მეურვეობის დაწესების სამართლებრივი საფუძვლის მოძებნა რთულია. პირველ რიგში, დასაფიქრებელია, ხომ არ შეიძლება 1279-ე მუხლის ანალოგიით გამოყენება. აქ პრობლემურია იმის გადანყვეტა, არის თუ არა სახეზე საკანონმდებლო ვაკუუმის შემთხვევითობა. კანონმდებელმა 2015 წელს საგანგებოდ ნაშალა ამ მუხლიდან ქმედუუნარობაზე მითითება. მაგრამ კანონმდებლის მიზანი არ ყოფილა განხილულ შემთხვევაში მეურვეობის დაწესების აკრძალვა, არამედ მიზანი იყო სამოქალაქო კოდექსის ნორმების კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოყვანა⁵. იმაში კი არაფე-

7

⁵ იხ. განმარტებითი ბარათი „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონპროექტზე (07-3/415/8), ხელმისაწვდომია:

რია არაკონსტიტუციური, თუ მეურვეობა დაუწესდება ბავშვს, რომელიც დარჩა ქმედუნარიანი მშობლის მზრუნველობის გარეშე. ამიტომ მიჩნეულ უნდა იქნეს, რომ განხილული შემთხვევა კანონმდებელს უბრალოდ გამოორჩა, რაც ხსნის გზას ანალოგიის გამოყენებისკენ. მაგრამ პრობლემურია იმ ქვეპუნქტის შერჩევა, რომლის გამოყენებაც მოხდებოდა ანალოგიით. არც ერთი ცალკეული შემთხვევა, რომელიც 1279-ე მუხლშია დასახელებული, არ არის პირდაპირ შედარებადი მშობლის ქმედუნაროდ გამოცხადებასთან. ამიტომ ანალოგიით გამოყენებულ უნდა იქნეს ზოგადად 1279-ე მუხლი.

- 8** ე) და ვ) ქვეპუნქტებიც იმეორებენ 1275-ე I მუხლის შინაარსს და ამით გაუმართლებელ საკანონმდებლო ტავტოლოგიას წარმოადგენენ.

<https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/64346?>, უკანასკნელად ნანახია: 31.12.2020.

მუხლი 1280. მხარდამჭერის (მხარდამჭერების) დანიშვნა

1. სასამართლო, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის შესახებ, ვალდებულია იმავე გადაწყვეტილებით დანიშნოს მხარდამჭერი (მხარდამჭერები), განსაზღვროს მხარდაჭერის ფარგლები და მხარდამჭერის (მხარდამჭერების) უფლება-მოვალეობები. ეს გადაწყვეტილება მისი კანონიერ ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს 3 დღისა ეგზავნება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მხარდაჭერის მიმღების საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

2. მხარდამჭერად შეიძლება დანიშნოს პირის ოჯახის წევრი, ნათესავი, ახლობელი ან სპეციალისტი, რომელიც აკმაყოფილებს ამ კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს.

3. მხარდამჭერის არჩევისას სასამართლო ითვალისწინებს მის პიროვნულ თვისებებს, მხარდამჭერის მიერ მისთვის დაკისრებული მოვალეობის შესრულების უნარს, მხარდამჭერისა და მხარდაჭერის მიმღების ურთიერთდამოკიდებულებას, მხარდაჭერის მიმღების ინტერესებს და ნებას, ხოლო მხარდაჭერის მიმღების არასრულწლოვანების შემთხვევაში – აგრეთვე მისი მშობლის მითითებას.

4. პირი მხარდამჭერად შეიძლება დანიშნოს მხოლოდ მისი თანხმობით.

5. თუ მხარდამჭერის ამ მუხლის მე-2 ნაწილში აღნიშნული პირობისაგან არჩევა ვერ მოხერხდა, სასამართლო მხარდამჭერად ნიშნავს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს უფლებამოსილ პირს, ხოლო თუ მხარდაჭერის მიმღები სპეციალიზებულ დაწესებულებაშია მოთავსებული – ამ დაწესებულების წარმომადგენელს.

საქართველოს 2015 წლის 20 მარტის კანონი №3339 - ვებგვერდი, 31.03.2015წ.

I. ზოგადი	476
II. მხარდაჭერის მიმღებად ცნობის პროცედურა.....	477
1. განცხადების წარდგენაზე უფლებამოსილი პირი.....	477
2. განცხადების შინაარსი.....	477
3. ექსპერტიზა	478
4. საქმის განხილვა.....	478

5. გადანყვეტილების შინაარსი	479
6. დროებითი მხარდამჭერის დანიშვნა	479
ა) გადანყვეტილების მიღება დროებითი მხარდამჭერის დანიშვნის შესახებ	479
ბ) დროებითი მხარდამჭერის შერჩევა	480
გ) მიმართვაზე უფლებამოსილი პირი	480
III. მხარდამჭერის შერჩევა	481
1. სავარაუდო მხარდამჭერ პირთა წრე	481
2. პირველი რიგის კანდიდატები (1280 II მუხლი)	481
ა) სოციალური კავშირის უპირატესობა	481
ბ) რიგითობა 1280 II მუხლის შიგნით	482
3. მეორე რიგის კანდიდატები (1280 V მუხლი)	482
ა) 1280 V მუხლის სუბსიდიარულობა	482
ბ) დამატებითი წინაპირობები	483
გ) რიგითობა 1280 V მუხლის შიგნით	483
4. გამოსადეგობა და თანხმობა	484
ა) გამოსადეგობა (1280 II, III მუხლები)	484
(1) ზოგადი კრიტერიუმები	484
(2) მხარდამჭერის ინტერესებთან შესაბამისობა	485
(3) მხარდამჭერის ნების გათვალისწინება	485
(4) მშობლის მითითება	486
(5) სასამართლოს ვალდებულება კრიტერიუმების შემოწმებისას	486
ბ) თანხმობა	486
(1) 1280 II მუხლში დასახელებულ პირთა თანხმობა	486
(2) 1280 V მუხლში დასახელებულ პირთა თანხმობა	487
5. რამდენიმე მხარდამჭერის დანიშვნა	487

I. ზოგადი

- 1** 1280-ე მუხლი ადგენს მხარდაჭერის დანიშვნის წესსა და წინაპირობებს, მაგრამ არასრულად. მუხლის შინაარსი ნაწილობრივ განვრცობილია სსკ-ის XLIV¹¹ თავით. პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობა სასამართლოს ავალდებულებს, იმავე გადანყვეტილებით დანიშნოს მხარდამჭერი და განსაზღვროს მხარდაჭერის ფარგლები და მხარდამჭერის უფლება-მოვალეობები. მხარდაჭერის დაწესებისა და მხარდამჭერის დანიშვნის წინაპირობაა პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობა. შედეგად, განსხვავებით მეურვეობა-მზრუნველობისგან, ერთმანეთისგან გამიჯნულია მხარდაჭერის დაწესება და (კონკრეტული) მხარდამჭერის დანიშვნა. ამ მხრივ არაფერს ცვლის ის, რომ ორივე მათგანი ერთი და იმავე გადანყვეტილებით უნდა მოხდეს.

II. მხარდაჭერის მიმღებად ცნობის პროცედურა

1. განცხადების წარდგენაზე უფლებამოსილი პირი

მხარდაჭერის მიმღებად ცნობის პროცედურას განსაზღვრავს სსკ-ის XLIV¹¹ თავი. პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობისთვის, პირველ რიგში, აუცილებელია სასამართლოსადმი განცხადებით მიმართვა. განცხადების შეტანაზე უფლებამოსილი პირები არიან თავად ის პირი, რომელსაც სურს, მიიღოს მხარდაჭერა, მისი ოჯახის წევრი, კანონიერი წარმომადგენელი, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო, ფსიქიატრიული ან სპეციალიზებული დანესებულება.

2

ერთი შეხედვით, პრობლემურია, რამდენად უნდა იყოს მხარდაჭერის მიმღებად ცნობისთვის განცხადებით მიმართვაზე უფლებამოსილი თავად ის პირი, ვისაც სურს მხარდაჭერის მიღება. მაგალითად, 2015 წლის 20 მარტის საკანონმდებლო ცვლილებამდე არსებული რედაქციის მიხედვით, ფსიქიკური აშლილობის გამო პირის ქმედუნარიოდ აღიარების შესახებ განცხადება არ შეიძლებოდა თავად ამ პირს შეეტანა. აღნიშნული წესის შეცვლა გამართლებულია იმდენად, რამდენადაც მხარდამჭერის მიმღებად აღიარება არ აკარგვინებს პირს ქმედუნარიანობას და მას მით უფრო არ უნდა წაერთვას სასამართლოსთვის განცხადების წარდგენის შესაძლებლობა. აღნიშნულისაგან დამოუკიდებელია შემთხვევები, როდესაც პირს ობიექტურად არ შეუძლია ნების გამოვლენა - სასამართლოსთვის მიმართვა - ან არსებობს საპროცესო ქმედუნარიანობის გამომრიცხველი რაიმე გარემოება.

3

2. განცხადების შინაარსი

პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის შესახებ განცხადებაში უნდა იყოს მითითებული სფერო, რომელშიც პირი საჭიროებს მხარდაჭერას; ფაქტები და გარემოებები, რომლებიც ამყარებს განმცხადებლის მოთხოვნას; ასევე მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს ფაქტს, რომ პირს აქვს მყარი ფსიქიკური, გონებრივი ან ინტელექტუალური დარღვევები, რომელთა სხვადასხვა დაბრკოლებასთან ურთიერთქმედებაც ხელს უშლის პირის საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრულყოფილ მონა-

4

ნილეობას. მათი არსებობის შემთხვევაში, განმცხადებელმა ასევე უნდა წარადგინოს ფსიქიატრის, ფსიქოლოგისა და სოციალური ექსპერტის დასკვნები პირის ფსიქიკური მდგომარეობის და სოციალური ადაპტაციის შესახებ.

3. ექსპერტიზა

- 5** სასამართლოს მიერ განცხადების წარმოებაში მიღებისთანავე სასამართლო ნიშნავს ექსპერტიზას „ფსიქოსოციალური საჭიროებიდან გამომდინარე ექსპერტიზის ჩატარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. ფსიქოსოციალური საჭიროებიდან გამომდინარე ექსპერტიზა მოიცავს სამედიცინო-ფსიქიატრიული, ფუნქციური, ფსიქოლოგიური, სოციალური ადაპტაციისა და სხვა ასპექტების შეფასებას. ექსპერტიზის ჩატარების ძირითადი ამოცანაა პირის გონებრივი/ინტელექტუალური დარღვევის ხარისხის დადგენა და, აქედან გამომდინარე, პირის მხარდაჭერის თავისებურებების განსაზღვრა.

4. საქმის განხილვა

- 6** პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის შესახებ საქმე სასამართლოში განხილვა მხარდასაჭერი პირისა და მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წარმომადგენლის სავალდებულო მონაწილეობით. თუ პირს, რომელსაც უნდა დაენიშნოს მხარდაჭერა, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლია, დაესწროს სასამართლო სხდომას, მისი მონაწილეობა უზრუნველყოფილი უნდა იქნეს კომუნიკაციის ელექტრონული ან სხვა საშუალების გამოყენებით. საბოლოოდ, თუკი სასამართლო მტკიცებულებათა (მათ შორის, ფსიქოსოციალური საჭიროებიდან გამომდინარე ექსპერტიზის დადებითი დასკვნის) შეჯერების შედეგად დაადგენს, რომ პირს ესაჭიროება მხარდაჭერა, მიიღებს გადაწყვეტილებას პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის შესახებ, რაც წარმოადგენს მხარდამჭერის დანიშვნის საფუძველს.

5. გადაწყვეტილების შინაარსი

აღსანიშნავია, რომ საპროცესო კოდექსი შეიცავს იმ საკითხთა ჩამონათვალს, რომელთა განსაზღვრაც უნდა მოხდეს სასამართლოს გადაწყვეტილებით, თუმცა საპროცესო კოდექსში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, რომ გადაწყვეტილებაში უნდა მიეთითოს მხარდამჭერი პირის ვინაობა. მიუხედავად ამისა, აღნიშნული მაინც გადაწყვეტილების სავალდებულო კომპონენტად უნდა იქნეს მიჩნეული, რადგანაც სამოქალაქო კოდექსის 1280 | 1 მუხლი შეიცავს სავალდებულო დათქმას მხარდამჭერის დანიშვნის შესახებ.

7

6. დროებითი მხარდამჭერის დანიშვნა

ა) გადაწყვეტილების მიღება დროებითი მხარდამჭერის დანიშვნის შესახებ

გადაწყვეტილების გამოტანამდე საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულია დროებითი მხარდამჭერის დანიშვნა. აღნიშნული გაგებულ უნდა იქნეს, როგორც დროებითი უზრუნველყოფის ღონისძიება. დროებითი მხარდამჭერი ინიშნება განმცხადებლის მოთხოვნის საფუძველზე იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმის წარმოების დასრულებამდე მხარდასაჭერ პირს შესაძლოა მხარდაჭერის გარეშე შეუქცევადი ზიანი მიაღგეს. დროებითი ღონისძიების გამოყენება უზრუნველყოფს მხარდასაჭერი პირის ინტერესების დაცვას და იცავს მას შესაძლო ზიანისაგან. თუმცა, ბუნდოვანია, რას ნიშნავს შეუქცევადი ზიანი და კონკრეტულ შემთხვევაში როგორ უნდა განისაზღვროს ის. დროებითი მხარდაჭერის ინსტიტუტი გამოყენებული უნდა იქნეს მაშინ, როდესაც ალბათობის მაღალი ხარისხით არის მოსალოდნელი მხარდასაჭერი პირის ინტერესებისთვის ზიანის მიყენება. აქცენტი უნდა გაკეთდეს არა ზიანის შექცევადობასა ან შეუქცევადობაზე, არამედ ზიანის დადგომის სავარაუდოობის ხარისხზე. სასამართლომ დროებითი მხარდაჭერის დანიშვნისას უნდა გამოიყენოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებისთვის დადგენილი დასაბუთების სტანდარტი. კერძოდ, ფაქტობრივი გარემოებებისა და მტკიცებულებების გამოკვლევა არ უნდა მოხდეს სრულყოფილად, რაც გამართლებულია დროებითი ღონისძიების მიზნებით.

8

ბ) დროებითი მხარდამჭერის შერჩევა

- 9** ასეთივე სტანდარტით უნდა მოხდეს თავად დროებითი მხარდამჭერის შერჩევა. სრულყოფილი გამოკვლევა საჭირო არ არის, მაგრამ არ შეიძლება ასეთად დაინიშნოს ის, ვინც, თავისი პიროვნული უნარებიდან და მახასიათებლებიდან გამომდინარე, აშკარაა, რომ ვერ შეასრულებს მხარდამჭერის უფლება-მოვალეობებს. ვინაიდან მხარდამჭერი ინიშნება პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის შემდეგ, შესაძლოა, განხილვის ეტაპზე ვერ იქნეს მოძიებული სავარაუდო მხარდამჭერი. ამასთანავე, სხვადასხვა პიროვნების თვისებების სრულყოფილი გამოკვლევა და ერთი კონკრეტული პირის შერჩევა გარკვეულ დროსთან არის დაკავშირებული. დროში გაჭიანურება კი დროებითი ღონისძიების გამოყენებას არაეფექტიანს ხდის და აზრს უკარგავს. საქმე განსაკუთრებით რთულდება, როდესაც განმცხადებელი არ ითხოვს, თავად დაინიშნოს მხარდამჭერად, არამედ მხოლოდ პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობას ითხოვს. ასეთ დროს, თუკი აშკარაა, რომ სხვა პირის მოძიება ხანგრძლივ ვადასთანაა დაკავშირებული, სასამართლომ დროებით მხარდამჭერად უნდა დაინიშნოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს უფლებამოსილი პირი, ხოლო თუ მხარდაჭერის მიმღები სპეციალიზებულ დანესებულებაშია მოთავსებული – ამ დანესებულების წარმომადგენელი.

გ) მიმართვაზე უფლებამოსილი პირი

- 10** დროებითი მხარდამჭერის დანიშვნის წინაპირობაა განმცხადებლის მოთხოვნა, რის შემდეგაც სასამართლომ უნდა შეაფასოს ამ ღონისძიების გამოყენების საჭიროება. თუმცა, მართებული იქნებოდა, დროებითი მხარდაჭერის დანიშვნის მოთხოვნა შეეძლოს ასევე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ან თავისი ინიციატივით სასამართლოს. ეს კი განპირობებულია იმით, რომ მხარდაჭერის მიმღებად ცნობის საქმისწარმოება მთლიანად მხარდაჭერის მიმღების ინტერესების დაცვას ემსახურება. სასამართლოს ყოველმხრივ უნდა შეეძლოს გამოარკვიოს თითოეული დეტალი იმის მიუხედავად, რას ითხოვს ან რა გარემოებებია წარდგენილი განმცხადებლის მხრიდან. თუ სასამართლო დროებითი მხარდამჭერის დანიშვნას საჭიროდ მიიჩნევს, ამის უფლება მას უნდა ჰქონდეს *ex officio*.

III. მხარდამჭერის შერჩევა

მას შემდეგ, რაც სასამართლო მივა დასკვნამდე, რომ პირი საჭიროებს მხარდაჭერის მიღებას, მან უნდა შეარჩიოს კონკრეტული პირი, რომელსაც დაეკისრება მხარდაჭერის განევის მოვალეობა. ამისათვის საჭიროა სათანადო მხარდამჭერის შერჩევა. პირი შეიძლება მიჩნეულ იქნეს სათანადო მხარდამჭერად, თუ იგი, ერთი მხრივ, განეკუთვნება 1280 II, V მუხლებით განსაზღვრულ პირთა წრეს და, მეორე მხრივ, გააჩნია ის პიროვნული მახასიათებლები, რომლებიც განერილია 1280 III მუხლში. ძალაში რჩება 1283-ე მუხლი, რომელიც განსაზღვრავს, თუ ვინ არ შეიძლება დაინიშნოს მხარდამჭერად.

1. სავარაუდო მხარდამჭერ პირთა წრე

სამოქალაქო კოდექსი მკაცრად განსაზღვრავს იმ პირთა წრეს, რომელთაგან უნდა შეირჩეს მხარდამჭერი. ამ პირებს ან უნდა ჰქონდეთ კავშირი მხარდამჭერის მიმღებთან (იყვნენ მისი ოჯახის წევრები, ნათესავები ან ახლობლები - 1280 II მუხლი), ან საკუთარი პროფესიიდან გამომდინარე უნდა იყვნენ გამოსადეგი ამ ვალდებულების კისრებისთვის (სპეციალისტი - 1280 II, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს უფლებამოსილ პირი ან იმ სპეციალიზებული დაწესებულების წარმომადგენელი, რომელშიც მოთავსებულია მხარდაჭერის მიმღები - 1280 V).

1280-ე მუხლში მოცემულია რიგითობა, რომლის მიხედვითაც უნდა შეირჩენ პირები მხარდამჭერებად და განისაზღვროს, რომელ მათგანს მიენიჭოს უპირატესობა.

2. პირველი რიგის კანდიდატები (1280 II მუხლი)

ა) სოციალური კავშირის უპირატესობა

პირველი რიგის კანდიდატებად მიჩნეულ უნდა იქნენ 1280 II მუხლით განსაზღვრული პირები (მათ შორის, სპეციალისტიც). ივარაუდებ-

ბა, რომ მათ მხარდასაჭერ პირთან არსებული მჭიდრო სოციალური კავშირის გამო ან საკუთარი სპეციალობიდან გამომდინარე, ყველაზე კარგად შეუძლიათ გაართვან თავი ვალდებულებას. თუმცა, საჭიროა, რომ ისინი აკმაყოფილებდნენ შემდეგ ორ წინაპირობას: რეალურად იყვნენ გამოსადეგი ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად და განაცხადონ თანხმობა.

ბ) რიგითობა 1280 II მუხლის შიგნით

- 15** 1280 II მუხლის ფარგლებში რიგითობა არ არსებობს. გამომდინარე იქიდან, რომ მხარდამჭერი არ ახორციელებს მხარდასაჭერ პირზე ზრუნვას ისე, როგორც ამას აკეთებს მეურვე ან მზრუნველი, გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს მათ შორის არსებული სოციალური კავშირის ხარისხს - მაგალითად, მნიშვნელობა არ აქვს, მხარდამჭერი პირი არის ოჯახის წევრი, მეგობარი თუ უბრალოდ სპეციალისტი. გადამწყვეტია, რომ ისინი აკმაყოფილებდნენ ზემოაღნიშნულ წინაპირობებს (გამოსადეგობისა და თანხმობის ელემენტებს).

3. მეორე რიგის კანდიდატები (1280 V მუხლი)

ა) 1280 V მუხლის სუბსიდიარულობა

- 16** 1280 V მუხლი სუბსიდიარულია 1280 II მუხლთან მიმართებით. თუ ვერ ხერხდება მხარდამჭერის შერჩევა პირველი რიგის კანდიდატებიდან, გამოყენებულ უნდა იქნეს 1280 V მუხლი, რომელიც განსაზღვრავს მეორე რიგის კანდიდატთა ჩამონათვალს. თუ რა საფუძვლით ვერ ხერხდება 1280 II მუხლში დასახელებულ პირთაგან შერჩევა, არ აქვს მნიშვნელობა. მთავარია, რომ არ არსებობდეს არც ერთი ოჯახის წევრი, ნათესავი, ახლობელი ან სპეციალისტი, რომელსაც შეეძლებოდა და სურვილი ექნებოდა ეკისრა ეს ვალდებულება. ანუ, სხვაგვარად რომ ითქვას, თუ ერთ-ერთი მათგანი განაცხადებს უარს, ჯერ უნდა შემოწმდეს, ხომ არაა სხვა კანდიდატი იმავე რიგის პირთა წრიდან, რომელსაც ექნებოდა მხარდამჭერად ყოფნის შესაძლებლობა და სურვილი და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა იქნეს გამოყენებული 1280 V მუხლი.

ბ) დამატებითი წინაპირობები

გარდა იმისა, რომ, უპირველესად, გამორიცხული უნდა იყოს **1280 II** მუხლით გათვალისწინებული პირის დანიშვნის შესაძლებლობა, **1280 V** მუხლის გამოსაყენებლად საჭიროა ასევე დამატებითი წინაპირობების დაკმაყოფილება. ერთი მხრივ, ძალაში რჩება **1283-ე** და **1280 III** მუხლები. **1283-ე** მუხლის შემთხვევაში მოცემულ კონტექსტში ყველაზე მნიშვნელოვანია **გ**) და **დ**) ქვეპუნქტების არარსებობა. გამოსადეგობის შემონიშნება **1280 III** მუხლის მიხედვით კი მნიშვნელოვანია **1280 V** მუხლის ფარგლებშიც, რადგანაც შესაძლოა, კონკრეტულ შემთხვევაში მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს კონკრეტული უფლებამოსილი პირი ან სპეციალიზებული დანესებულების წარმომადგენელი გამოუსადეგარი იყოს, რომ გაუწიოს მხარდაჭერა მოცემულ პირს. ამის მიზეზი კონკრეტულ შემთხვევაში შესაძლოა იყოს, მაგალითად, ამ ორ პირს შორის არსებული ურთიერთობა. ბუნებრივია, სასამართლომ ასეთი შემთხვევების არსებობის შესაძლებლობაც უნდა გაითვალისწინოს და შეამოწმოს, არის თუ არა კონკრეტულ შემთხვევაში **1280 V** მუხლით გათვალისწინებული პირი გამოსადეგი მოვალეობის შესასრულებლად. ზოგადად კი ივარაუდება, რომ მას ამის უნარი გააჩნია.

1280 V მუხლის შემთხვევაში მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს უფლებამოსილი პირის ან სპეციალიზებული დანესებულების წარმომადგენლის თანხმობის სავალდებულოობასთან დაკავშირებით იხ. ქვემოთ.

იმისათვის, რომ პირს მხარდაჭერად დაენიშნოს სპეციალიზებული დანესებულების წარმომადგენელი სავალდებულოა, რომ ის დანიშვნის მომენტში მოთავსებული იყოს ამ დანესებულებაში. მხედველობაში არ მიიღება პირის განთავსება ასეთ დანესებულებაში მხოლოდ ხანმოკლე ვადით, რადგანაც ეს წინააღმდეგობაში მოვიდოდა ეფექტიანი მხარდაჭერის უზრუნველყოფის მიზანთან.

გ) რიგითობა 1280 V მუხლის შიგნით

როდესაც პირი სპეციალიზებულ დანესებულებაშია მოთავსებული, **20**

შესაძლოა პრობლემური იყოს საკითხის გადანყვეტა, მას მხარდამჭერად უნდა დაენიშნოს ამ დანესებულების წარმომადგენელი თუ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს უფლებამოსილი პირი. ასეთ დროს აღიარებულ უნდა იქნეს რიგითობა 1280 V მუხლის შიგნით. თუ პირი ხანგრძლივი ვადითაა მოთავსებული სპეციალიზებულ დანესებულებაში, ბუნებრივია, მის ინტერესებშია, თუ მას მხარდაჭერას გაუწევს ამავე დანესებულების წარმომადგენელი. თუ შესაძლებელია ასეთი წარმომადგენლის შერჩევა, რომელიც იქნება გამოსადეგი და განაცხადებს თანხმობას, იკისროს ეს პასუხისმგებლობა, მაშინ სწორედ ის უნდა დაინიშნოს მხარდამჭერად.

- 21** თუ პირი მოთავსებულია სპეციალიზებულ დანესებულებაში, მაგრამ შეუძლებელია წარმომადგენლის დანიშნვა მის მხარდამჭერად გამოსადეგობის ან თანხმობის არარსებობის გამო, მხოლოდ ამ შემთხვევაში უნდა დაენიშნოს მას მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს უფლებამოსილი პირი მხარდამჭერად. აღნიშნული გამართლებულია იმ გარემოებით, რომ სპეციალიზებულ დანესებულებაში მოთავსებული პირის მიმართ ამავე დანესებულების წარმომადგენელი ბევრად უფრო ეფექტიანად განახორციელებს მხარდაჭერას.

4. გამოსადეგობა და თანხმობა

ა) გამოსადეგობა (1280 II, III მუხლები)

(1) ზოგადი კრიტერიუმები

- 22** 1280 II მუხლით, მხარდამჭერი უნდა აკმაყოფილებდეს კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს. 1283-ე მუხლით გათვალისწინებული ნეგატიური და 1280 III მუხლით გათვალისწინებული პოზიტიური წინაპირობები ქმნიან იმ მოთხოვნათა ერთობლიობას, რომლებიც განსაზღვრავენ მხარდამჭერის გამოსადეგობას. გამოსადეგობა უნდა შემოწმდეს როგორც 1280 II მუხლით, ისე 1280 V მუხლით გათვალისწინებული პირების შემთხვევაში, რადგანაც მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ უფლებამოსილი პირის ან სპეციალიზებული დანესებულების მიერ წარმომადგენლის წარდგენა ავტომატურად არ ნიშნავს ამ პირის შესაბამისობას მხარდამჭერის სტატუსთან. ამრიგად, ორგანოსა და

დანესებულების მიერ განსაზღვრული პირი სასამართლომ ამ შემთხვევაშიც უნდა შეაფასოს გამოსადეგობის კრიტერიუმების მიხედვით და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა მიიღოს პირის მხარდამჭერად დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილება.

1280 III მუხლი თითქმის ემთხვევა **1282 II მუხლს**. ისევე, როგორც მეურვისა და მზრუნველის¹ შერჩევისას, მხარდამჭერის შერჩევისასაც, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მის თვისებებსა და კავშირს მხარდასაჭერ პირთან. მხარდამჭერის მიერ მისთვის დაკისრებული მოვალეობის შესრულების უნარი არის მთავარი ფილტრი, რომელიც უნდა იქნეს გამოყენებული გამოსადეგობის შესამოწმებლად, ხოლო პიროვნული თვისებები და მხარდამჭერის მიმღებთან არსებული გამოკიდებული არის დამატებითი კრიტერიუმები აღნიშნული საკითხის გადასაწყვეტად და საუკეთესო კანდიდატის შესარჩევად. **23**

(2) მხარდამჭერის ინტერესებთან შესაბამისობა

განსხვავებით **1282 II მუხლისგან**, **1280 III მუხლი** უთითებს მხარდამჭერი პირის ინტერესებსა და ნებაზე. ინტერესები წარმოადგენს ობიექტურ კრიტერიუმს. მისი ხაზგასმით აღნიშნვა **1280 III მუხლში** არაფრისმომცემია, რადგანაც თავისთავად ცხადია, რომ მხარდამჭერის შერჩევა სწორედ მხარდამჭერის მიღების ინტერესებს ემსახურება. ამ მუხლში დასახელებული კრიტერიუმებიც - პიროვნული თვისებები, მოვალეობის შესრულების უნარი, ურთიერთდამოკიდებულება - სწორედ მხარდამჭერის მიმღების ობიექტური ინტერესების განსაზღვრასა და მათი დაცვის უზრუნველყოფას ემსახურება. **24**

(3) მხარდამჭერის ნების გათვალისწინება

რაც შეეხება ნებას, აღნიშნული წარმოადგენს სუბიექტურ ელემენტს. მასში არ მოიაზრება (გარიგებისმიერი) ნების გამოვლენა, არამედ მხარდამჭერის მიმღების სუბიექტური სურვილი. **25**

¹ იხ. ამასთან დაკავშირებით **1282-ე მუხლის** კომენტარი.

(4) მშობლის მითითება

- 26** მშობლის მითითება მხედველობაში მიიღება, რადგანაც ის ეხმარება სასამართლოს დაადგინოს მხარდამჭერის მიმღები არასრულწლოვნის ინტერესები და ნება. რადგანაც თავად მხარდამჭერის მიმღებიც არ ავლენს ნებას, მშობლის როლიც არ წარმოადგენს ნების გამოვლენის ნამდვილობის უზრუნველყოფას, არამედ შემოიფარგლება მხოლოდ ინფორმაციის მიწოდებით, რათა სასამართლომ უკეთ შეაფასოს სამართლებრივი მდგომარეობა.

(5) სასამართლოს ვალდებულება კრიტერიუმების შემოწმებისას

- 27** განსხვავებით 1280 II, III მუხლებში დასახელებული სხვა კრიტერიუმებისგან, სასამართლო არ არის ვალდებული გაითვალისწინოს მხარდამჭერის სურვილი ან შესაბამის შემთხვევაში მისი მშობლის მითითება, თუმცა უნდა არსებობდეს რაიმე განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გარემოება, რომელიც ამართლებს აღნიშნული სურვილის/მითითების არგათვალისწინებას. კერძოდ, ასეთ პირს არ უნდა ჰქონდეს მოვალეობათა შესრულების უნარი ან მისი მხარდამჭერად დანიშვნის შეთხვევაში ზიანი უნდა ადგებოდეს მხარდამჭერის მიმღების ინტერესებს.

*ბ) თანხმობა**(1) 1280 II მუხლში დასახელებულ პირთა თანხმობა*

- 28** მხარდამჭერი აღიჭურვება არა მხოლოდ უფლებებით, არამედ ასევე რიგი ვალდებულებით. მეურვეობისა და მზრუნველობის დარად, დაუშვებელია მხარდაჭერის მოვალეობა დაეკისროს 1280 II მუხლით გათვალისწინებულ იმ პირს, რომელსაც ეს არ სურს. ამიტომ აუცილებელია ამ პირის თანხმობა. თუკი პირი სასამართლოს მიმართავს განცხადებით პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის შესახებ და ამავე განცხადების მოითხოვს მის დანიშვნას მხარდამჭერად, შემდგომში მხარდამჭერად დანიშვნაზე ამ პირის ცალკე თანხმობის მიღების საჭიროება აღარ არსებობს.

(2) 1280 V მუხლში დასახელებულ პირთა თანხმობა

პრობლემურია თანხმობის მოთხოვნა, როდესაც მხარდამჭერად უნ- **29**
და დაინიშნოს 1280 V მუხლით გათვალისწინებული პირი. აქ აუცილებე-
ლია სპეციალიზებულ დანესებულების წარმომადგენელსა და მეურვე-
ობისა და მზრუნველობის ორგანოს უფლებამოსილ პირს შორის განს-
ხვავებული მიდგომა. სპეციალიზებული დანესებულების წარმომადგე-
ნლის კომპეტენციაში არ შედის მხარდაჭერის მოვალეობათა შესრუ-
ლება. ამიტომ დამატებით ვალდებულებების დაკისრებისთვის საჭი-
როა მისი თანხმობა.

რაც შეეხება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს უფლება- **30**
მოსილ პირს, მისი სამსახურებრივი მოვალეობაა, მათ შორის, მხარდა-
ჭერის განევა. მიუხედავად ამისა, შესაძლოა არსებობდეს კონკრეტუ-
ლი შემთხვევა, როდესაც მას არ სურს კონკრეტული პირის მიმართ იკი-
სროს მხარდაჭერის განევის ვალდებულება (მაგალითად, განქორწინე-
ბული ცოლის ან ქმრის მიმართ). ასეთ დროს მეურვეობისა და მზრუნ-
ველობის ორგანოს უფლებამოსილ პირსაც უნდა ჰქონდეს უარის თქ-
მის უფლება. საბოლოოდ, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს
უფლებამოსილი პირის თანხმობის სავალდებულოობის საკითხი შემ-
დეგნაირად უნდა გადაწყდეს: ფორმალურად ყოველთვის საჭიროა,
რომ კონკრეტულმა პირმა განაცხადოს თანხმობა. მას, როგორც წესი,
სამსახურებრივი მოვალეობიდან გამომდინარე გააჩნია ვალდებულე-
ბა, განაცხადოს თანხმობა ან თქვას უარი მნიშვნელოვანი საფუძვლით.

5. რამდენიმე მხარდამჭერის დანიშნვა

შესაძლებელია პირს დაენიშნოს რამდენიმე მხარდამჭერი, თუკი აღ- **31**
ნიშნული უზრუნველყოფს მისი ინტერესების უკეთეს დაცვას.

მუხლი 1281. მეურვის ან მზრუნველის დანიშვნა

1. მეურვის ან მზრუნველის მოვალეობათა განსახორციელებლად მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოები ნიშნავენ მეურვეს ან მზრუნველს.

2. მეურვე ან მზრუნველი შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ მათი თანხმობით.

3. მზრუნველის შერჩევა სრულწლოვანი ქმედუნარიანი პირისათვის, რომელსაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლია დამოუკიდებლად დაიცვას თავისი უფლებები და შეასრულოს თავისი მოვალეობები, შეიძლება მხოლოდ სამზრუნველო პირის თანხმობით.

4. მეურვე ან მზრუნველი შეიძლება დანიშნულ იქნეს გარდაცვლილი მშობლების მითითებისამებრ ნოტარიულად დამონმებული დოკუმენტის (ანდერძის) საფუძველზე.

*საქართველოს 2007 წლის 18 დეკემბრის კანონი №5624 - სსმ I, №48, 27.12.2007წ., მუხ.414
საქართველოს 2020 წლის 15 ივლისის კანონი №6989 – ვებგვერდი, 28.07.2020წ.*

I. დანიშვნა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ.....	488
1. ზოგადი	488
2. ორგანოს გადანყვეტილება, როგორც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი	491
3. მეურვისა და მზრუნველის დანიშვნა წინაპირობების არარსებობისას.....	492
II. თანხმობა მეურვეობისა და მზრუნველობის დაწესებისთვის	494
1. მეურვისა და მზრუნველის თანხმობა.....	494
2. სრულწლოვანი სამზრუნველო პირის თანხმობა.....	495
III. გარდაცვლილი მშობლების ნება.....	495

I. დანიშვნა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ

1. ზოგადი

1 1281-ე მუხლი განსაზღვრავს, თუ ვინ არის უფლებამოსილი, დანიშნოს მეურვე და მზრუნველი.¹ მეურვეობა და მზრუნველობა შეიცავენ

¹ *შენგელია*, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1281, გვ. 313.

მნიშვნელოვან საჯაროსამართლებრივ ელემენტებს.² სამეურვეო თუ სამზრუნველო პირსა და მეურვე-მზრუნველს შორის არ იდება ხელშეკრულება, არამედ ურთიერთობა წარმოიშობა კანონის საფუძველზე. მაგრამ, როგორც წესი, ეს კანონისმიერი ურთიერთობა წარმოიშობა მეურვეობისა და მზრუნველობის დანესების შემდეგ და არა *ipso jure*, ავტომატურად კანონის საფუძველზე, როდესაც მოცემული იქნება მატერიალური წინაპირობები.³ იხ. ამასთან დაკავშირებით 1275-ე მუხლის კომენტარი.

საქართველოში არასრულწლოვნისთვის მეურვისა თუ მზრუნველის დანიშვნას მთლიანად ახორციელებს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანო, განსხვავებით გერმანიისგან, სადაც მეურვესა და მზრუნველს ნიშნავს სასამართლო⁴. გერმანული *Jugendamt* თავად არ აწესებს მეურვეობას ან მზრუნველობას, არამედ მას აქვს ვალდებულება, მიმართოს სასამართლოს და შეატყობინოს, რომ საჭიროა მეურვის დანიშვნა.⁵

გერმანიაში მეურვეობის დანესებისთვის საჭიროა ჯერ მისი დადგენა გსკ-ის 1774-ე პარაგრაფის მიხედვით, შემდეგ მეურვის *შერჩევა* გსკ-ის 1779-ე პარაგრაფის შესაბამისად და ბოლოს მეურვის დანიშვნა გსკ-ის 1789-ე პარაგრაფით.⁶ დადგენაც და დანიშვნაც ხორციელდება სასამართლოს მიერ. მეურვეობის დადგენით ხდება სასამართლოს მიერ მეურვის დანიშვნის საჭიროების აღიარება და ეს გადაწყვეტილება უხ-

² იხ. ამასთან დაკავშირებით 1275-ე მუხლის კომენტარი.

³ *Kemper, R.*, in *Schulz/Hauß, Familienrecht*, 3. Auflage 2018, § 1774 Rn. 1.

⁴ *Fritsche, I./Katzenstein, H./Lohse, K.*, in *Kaiser/Schnitzler/Friederici/Schilling, BGB - Familienrecht*, 4. Auflage 2021 § 1774 Rn. 1.

⁵ იგივე ვალდებულება აქვს სხვა ოფიციალურ ორგანოებსაც, რომლებიც შეიტყობენ ბავშვის მშობლის მზრუნველობის გარეშე დარჩენას. მაგალითად, სასამართლოს (§ 22 a FamFG), პროკურატურას (§ 70 JGG) და ა. შ. § 1894 I-ის მიხედვით, მეურვის მემკვიდრეები ვალდებული არიან, დაუყოვნებლივ შეატყობინონ სასამართლოს მეურვის გარდაცვალების შესახებ. სასამართლო ვალდებულია ასევე, რეაგირება მოახდინოს კერძო პირების მიერ მიწოდებულ ინფორმაციაზე; *Spickhoff*, in *Münchener Kommentar BGB*, 8. Auflage 2020, § 1774 Rn. 6.

⁶ *Budzikiewicz*, in *Jauernig, Bürgerliches Gesetzbuch*, 18. Auflage 2021, § 1774 Rn. 1; *Fritsche, I./Katzenstein, H./Lohse, K.*, in *Kaiser/Schnitzler/Friederici/Schilling, BGB - Familienrecht*, 4. Auflage 2021 § 1774 Rn. 2.

სნის გზას სასამართლოს, გაატაროს ის საჭირო ღონისძიებები, რომლებიც აუცილებელია ბავშვის ინტერესების დასაცავად, სანამ მოხდება კონკრეტული პირის მეურვედ დანიშვნა.⁷ სადავოა, საჭიროა თუ არა მეურვეობის დადგენისთვის სასამართლოს განჩინება. ამ მოსაზრების მომხრეები მიუთითებენ სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპზე⁸ და სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების უზრუნველყოფის ვალდებულებაზე.⁹ მონინააღმდეგეთა¹⁰ აზრით, არ არის საჭირო ფორმალური გადაწყვეტილების გამოტანა განჩინების სახით, არამედ საკმარისია, სასამართლომ დაიწყოს იმ ქმედებების განხორციელება, რომლებიც ადასტურებენ, რომ მას საჭიროდ მიაჩნია მეურვის დანიშვნა, მაგალითად, დაიწყოს მეურვის შერჩევა. ეს უკანასკნელი მოსაზრება მოძველებულად არის მიჩნეული.¹¹ მეურვეობის დადგენის შესახებ გამოტანილ უნდა იქნეს განჩინება და ის უნდა ჩაბარდეს პროცესის მონაწილეებს,¹² მათ შორის მეურვეობის საჭიროების მქონე პირსაც. მეურვეობის დადგენა და მეურვის დანიშვნა შეიძლება ერთი გადაწყვეტილებითაც მოხდეს.¹³

- 4** საქართველოში მეურვეობისა და მზრუნველობის დადგენა და მეურვის დანიშვნა ერთმანეთისგან არ იმიჯნება. 1279-ე და 1281-ე მუხლების სათაურები არაფრის მთქმელია, რადგანაც ნორმათა შინაარსი არ შეესაბამება სათაურებს (შდრ. 1279-ე მუხლის კომენტარი). მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო არ გამოსცემს ცალკე აქტს, რომლითაც დაადგენდა, რომ არსებობს მეურვეობისა თუ მზრუნველობის დანესების საჭიროება და შემდეგ ცალკე აქტით მოხდებოდა მეურვისა და მზრუნველის დანიშვნა, არამედ ეს ორივე ხორციელდება ერთი სამართალწარმოების ფარგლებში. ამიტომ საქართველოში - განსხვავებით

⁷ *Spickhoff*, in *Münchener Kommentar BGB*, 8. Auflage 2020, § 1774 Rn. 2.

⁸ BVerfGE 101, 397 = NJW 2000, 1709.

⁹ *Fritsche, I./Katzenstein, H./Lohse, K.*, in *Kaiser/Schnitzler/Friederici/Schilling*, *BGB - Familienrecht*, 4. Auflage 2021 § 1774 Rn. 1.

¹⁰ *Zimmermann*, in *Soergel, Kommentar BGB*, 13. Auflage 2000, § 1774 Rn. 4.

¹¹ *Spickhoff*, in *Münchener Kommentar BGB*, 8. Auflage 2020, § 1774 Rn. 4.

¹² *Drews Rpfleger* 1981, 13.

¹³ *Kemper, R.*, in *Schulze, Bürgerliches Gesetzbuch*, 10. Auflage 2019, § 1774 Rn.1.

გერმანიისგან - ტერმინები დადგენა და დანიშვნა შეიძლება სინონიმებად იქნეს გამოყენებული. დადგენასა და დანიშვნას¹⁴ შორის გამიჯვნის საფუძველს არ იძლევა არც 1282-ე მუხლი. მიუხედავად იმისა, რომ ამ მუხლით ცალსახადაა გამოკვეთილი გარდამავალი პერიოდი და ამ პერიოდში, მუხლის მესამე ნაწილით, პირზე ზრუნავს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო, ეს ყველაფერი მაინც ერთი სამართალწარმოების ნაწილია და მისი სამართლებრივ საფეხურებად დაყოფა არც აქ არ ხდება. აღნიშნული გარდამავალი პერიოდი არსებობს განცხადების განხილვის დანყებასა და გადაწყვეტილების გამოტანას შორის და არა ერთი გადაწყვეტილებიდან მეორე გადაწყვეტილებამდე. 1282 III მუხლი წარმოადგენს მხოლოდ დროებით ღონისძიებას მეურვეობის დანესების სამართალწარმოების დანყებიდან მის დასრულებამდე.

მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ მეურვეობისა და მზრუნველობის დანესებას აქვს კონსტიტუციური მოქმედება.¹⁵ მეურვისა და მზრუნველის უფლებები და მოვალეობები წარმოიშობა მხოლოდ მათი დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ. მეურვეობისა და მზრუნველობის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებების დეკლარატორული თუ კონსტიტუციური მოქმედების შესახებ იხ. 1302-ე და 1304-ე მუხლის კომენტარი.

5

2. ორგანოს გადაწყვეტილება, როგორც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი

მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს გადაწყვეტილებით ხდება შესაბამისი კანონისმიერი¹⁶ სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობა და მეურვისა თუ მზრუნველის აღჭურვა უფლებებითა და ვალდებულებებით. გადაწყვეტილება მიემართება კონკრეტულ პირებს - ერთი მხრივ, პირს, რომელიც საჭიროებს მეურვეობას ან მზრუნველობას

6

¹⁴ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ინიცირებულ ვერსიაში გამოყენებული იყო ასევე ტერმინი „მეურვეობის დანიშვნა“, რაც შემდეგ შეიცვალა „მეურვის დანიშვნით“.

¹⁵ Spickhoff, in Münchener Kommentar BGB, 8. Auflage 2020, § 1774 Rn. 1.

¹⁶ იხ. ამასთან დაკავშირებით ზემოთ.

და, მეორე მხრივ, მეურვეს ან მზრუნველს და მათ მიმართ სამართლებრივი მოწესრიგება გააჩნია.¹⁷ მეურვეობისა და მზრუნველობის მარეგულირებელი ნორმების საჯაროსამართლებრივი ბუნება¹⁸ საკმარისია იმის აღიარებისთვის, რომ სამოქალაქო კოდექსის აღნიშნული მუხლები წარმოადგენენ (სამოქალაქო სამართლებრივის გარდა) ადმინისტრაციული კანონმდებლობის ნაწილს. ნებისმიერი სხვაგვარი გადანყვეტა აზრს დაუკარგავდა სამოქალაქო კოდექსის იმ მუხლებს, რომლებიც პირდაპირ ადგენენ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს - როგორც ადმინისტრაციული ორგანოს - უფლებამოსილებას, დანიშნონ მეურვე ან მზრუნველი. შესაბამისად, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს გადანყვეტილება წარმოადგენს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს. დაინტერესებულ პირს¹⁹ შეუძლია მისი გასაჩივრება ადმინისტრაციული წესით.

3. მეურვისა და მზრუნველის დანიშვნა წინაპირობების არარსებობისას

7 1281 | მუხლით მეურვისა თუ მზრუნველის დანიშვნისთვის აუცილებელია შესაბამისი მატერიალურსამართლებრივი წინაპირობების არსებობა. მეურვეობა და მზრუნველობა შეიძლება შეცდომით დაწესდეს ისეთ შემთხვევებში, როდესაც ეს მატერიალური წინაპირობები რეალურად არ არსებობს. ასე, მაგალითად, როდესაც ბავშვს ჰყავს მშობელი, მეურვე ან მზრუნველი, რომელიც ზრუნავს მასზე; პირი რომელსაც ენიშნება მეურვე, არ არის 7 წელზე ნაკლები ასაკის, ან პირი, რომელსაც ენიშნება მზრუნველი, სინამდვილეში სრულწლოვანია; ან ასეთი პირი გარდაცვლილია.

8 გერმანიაში ასეთ დროს სადავოა მეურვეობის დადგენასა და მეურვის დანიშვნის შესახებ გადანყვეტილების სამართლებრივი ძალა. როდესაც საქმე ეხება მხოლოდ მეურვეობის დადგენას და მეურვე ჯერ

¹⁷ *Spickhoff*, in Münchener Kommentar BGB, 8. Auflage 2020, § 1774 Rn. 8.

¹⁸ BVerfGE 10, 328 = NJW 1960, 811; *Spickhoff*, in Münchener Kommentar BGB, 8. Auflage 2020, § 1773 Rn. 1.

¹⁹ *Veit*, in Staudinger BGB, Neubearbeitung 2014, § 1774 Rn. 18.

კიდევ არ არის დანიშნული, გაბატონებული მოსაზრების თანახმად,²⁰ ასეთ დროს სასამართლოს გადანყვეტილება მეურვეობის დადგენის შესახებ მაინც იქნეს სამართლებრივ ძალას, მაგრამ მეურვეობა დასრულებულად მიიჩნევა იმ მომენტიდანვე, როდესაც ეს გადანყვეტილება იქნა მიღებული. აღნიშნული შეხედულების მიმდევრები უთითებენ გსკ-ის 1882-ე პარაგრაფზე, რომელიც განსაზღვრავს მეურვეობის დასრულებას მისი დაწესებისთვის საჭირო წინაპირობების გაუქმებისას. რადგანაც კანონი საუბრობს დასრულებაზე, ე. ი. გარკვეულ ლოგიკურ მომენტში მეურვეობა მიჩნეულ უნდა იქნეს კიდევ დადგენილად.²¹ მეორე მოსაზრების²² თანახმად, თუ არ არსებობს მეურვეობის დადგენის მატერიალური წინაპირობები, მაშინ სასამართლოს გადანყვეტილება უსაგნოა და არ გააჩნია არავითარი სამართლებრივი მოქმედება. გსკ-ის ის ნორმები, რომლებიც მიუთითებენ მეურვეობის დასრულებაზე, ანალოგიით უნდა იქნეს გამოყენებული იმ შემთხვევებზე, როდესაც მეურვეობა, მართალია, ფორმალურად დადგინდა, მაგრამ, რეალურად, არ შეიძლება ასეთად იქნეს მიჩნეული მატერიალური წინაპირობების არარსებობის გამო.²³ შესაბამისად, ორივე მოსაზრება შედეგობრივად ემთხვევა ერთმანეთს და მათ შორის არსებითი განსხვავება არ არსებობს. მოწინააღმდეგეთა²⁴ შეხედულების საპირისპიროდ, სწორია მოსაზრება, რომ სამართლებრივი ძალა არ ექნება მეურვის დანიშვნის შესახებ გადანყვეტილებას²⁵.

საქართველოში მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს გადანყვეტილება ექვემდებარება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნამდვილობის წინაპირობებს. გარდა ბათილობის

9

²⁰ BayObLG 5.9.1962 – BReg 1 Z 141/62, MDR 1963, 53; *Kemper, R.*, in Schulz/Hauß, Familienrecht, 3. Auflage 2018, § 1774 Rn. 4; *Saar*, in Erman, Handkommentar zum BGB, 15. Auflage 2017, § 1774 Rn. 5; *Zimmermann*, in Soergel, Kommentar BGB, 13. Auflage 2000, § 1774 Rn. 8.

²¹ *Gernhuber/Coester-Waltjen*, Familienrecht, 6. Aufl. 2010, § 70 Rn. 23.

²² *Spickhoff*, in Münchener Kommentar BGB, 8. Auflage 2020, § 1882 Rn. 6; *Veit*, in Staudinger BGB, Neubearbeitung 2014, § 1882 Rn. 5.

²³ *Spickhoff*, in Münchener Kommentar BGB, 8. Auflage 2020, § 1774 Rn. 9.

²⁴ RGRK-BGB/Dickescheid Rn. 10; *Zimmermann*, in Soergel, Kommentar BGB, 13. Auflage 2000, § 1774 Rn. 9; *Saar*, in Erman, Handkommentar zum BGB, 15. Auflage 2017, § 1774 Rn. 5.

²⁵ *Spickhoff*, in Münchener Kommentar BGB, 8. Auflage 2020, § 1774 Rn. 9.

ფორმალური საფუძვლებისა, თუ სახეზე არაა მატერიალური წინაპირობები, რომლებიც სამოქალაქო კოდექსითაა გათვალისწინებული მეურვეობისა და მზრუნველობის დაწესებისთვის, ორგანოს შესაბამისი გადაწყვეტილება მიჩნეულ უნდა იქნეს *ex tunc* მოქმედებით ბათილად. მეურვისა თუ მზრუნველის არასწორი დანიშვნით წარმოშობილი ზიანი უნდა ანაზღაუროს სახელმწიფომ.²⁶

II. თანხმობა მეურვეობისა და მზრუნველობის დაწესებისთვის

1. მეურვისა და მზრუნველის თანხმობა

- 10** 1281 II მუხლით, მეურვისა და მზრუნველის დანიშვნისთვის საჭიროა მათი თანხმობა.²⁷ აღნიშნული ეხება როგორც არასრულწლოვნის მეურვესა და მზრუნველს, ისე სრულწლოვნის მზრუნველს. 1288-ე მუხლით, მეურვისა და მზრუნველის საქმიანობა არ არის ანაზღაურებადი. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ მათ ამოძრავებდეთ ალტრუისტული მოტივები. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში მოხდება სათანადო მზრუნველისა თუ მეურვის შერჩევა. ამიტომ კანონმდებლის მხრიდან ყველა შემთხვევაში მათი თანხმობის მოთხოვნა გამართლებულად უნდა იქნეს მიჩნეული.
- 11** ამ მიდგომისგან განსხვავდება გერმანული გადაწყვეტა. გსკ-ის 1786-ე პარაგრაფი შეიცავს ამომწურავ²⁸ ჩამონათვალს, თუ როდის აქვს უფლება პირს, უარი თქვას მეურვეობაზე. ეს გამართლებულია იმით, რომ მეურვის არჩევას წინ უძღვის სასამართლოს მხრიდან მისი ფუნდამენტური შერჩევის პროცესი.²⁹ მეურვეობაზე უსაფუძვლოდ უარის თქმა წარმოშობს შესაბამისი ბრალეული³⁰ დაყოვნებით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას.

²⁶ *Zimmermann*, in *Soergel, Kommentar BGB*, 13. Auflage 2000, § 1774 Rn. 1.

²⁷ *შენგელია/შენგელია*, საოჯახო სამართალი, მეორე გამოცემა, 2011, გვ. 358.

²⁸ *Veit*, in *Staudinger BGB, Neubearbeitung* 2014, § 1786 Rn. 5.

²⁹ იხ. ამასთან დაკავშირებით *Spickhoff*, in *Münchener Kommentar BGB*, 8. Auflage 2020, § 1779 Rn. 1 ff.; *Budzikiewicz*, in *Jauernig, Bürgerliches Gesetzbuch*, 18. Auflage 2021, § 1779 Rn. 1 ff.; *Bettin*, in *BeckOK BGB*, 57. Ed. 1.2.2021, § 1779 Rn. 1 ff.

³⁰ *Spickhoff*, in *Münchener Kommentar BGB*, 8. Auflage 2020, § 1787 Rn. 6.

2. სრულწლოვანი სამზრუნველო პირის თანხმობა

1277 I 2 მუხლის შესაბამისად, სრულწლოვან პირს მზრუნველი უნესდება მისი თხოვნით. შესაბამისად, გადამწყვეტია მისი სურვილი.³¹ სწორედ ამ პრინციპის გაგრძელებაა 1281 III მუხლი. პირს უნდა ჰქონდეს არჩევანი, თავად გადაწყვიტოს, ვინ დაეხმარება მას საკუთარი უფლებების დაცვაში, თუკი ის ამას თავად ითხოვს. აღნიშნულის ანალოგიით გამოყენება მე-16 მუხლის შემთხვევაზე არ შეიძლება, რადგანაც საქმე არ ეხება შემთხვევით საკანონმდებლო ვაკუუმს.

12

III. გარდაცვლილი მშობლების ნება

1281 IV მუხლი უთითებს მეურვის ან მზრუნველის გარდაცვლილი მშობლების ანდერძის საფუძველზე დანიშვნის შესაძლებლობაზე.³² ეს მუხლი (განსხვავებით გსკ-ის 1776-ე პარაგრაფისგან) ადგენს მხოლოდ შესაძლებლობას და არა ვალდებულებას, გათვალისწინებულ იქნეს მშობლების არჩევანი. მაგრამ ეს შესაძლებლობა ამ ჩანაწერის გარეშეც არსებობდა, მაგალითად, 1282 II მუხლით ან ზოგად პრინციპებზე დაყრდნობით. შესაბამისად, 1281 IV მუხლი, საბოლოო ჯამში, არაფერს ცვლის. 1281 IV და 1282 II მუხლებში ჩანაწერი, მამკვიდრების სურვილის გათვალისწინებასთან დაკავშირებით, ერთდროულად იქნა შეტანილი სამოქალაქო კოდექსში 2007 წელს. საინტერესოა, რატომ გადაწყვიტა კანონმდებელმა, ორივე მუხლში ერთი და იმავე შინაარსის ნორმები გაენერა. თანაც ისე, რომ ერთი მათგანი ადგენს გათვალისწინების „შესაძლებლობას“, მეორე კი „ვალდებულებას“. გსკ-ის 1776-ე პარაგრაფი ადგენს მშობლის ნების გათვალისწინების სავალდებულობას,³³ როდესაც ის გამონახულია ანდერძში ან საანდერძო ხელშეკრულებაში. 1282 II მუხლის შესატყვისი გსკ-ის 1779 II მუხლი კი საუბრობს გარდაცვლილი მშობლების სავარაუდო ნების³⁴ გათვალისწინე-

13

³¹ *შენგელია/შენგელია*, საოჯახო სამართალი, მეორე გამოცემა, 2011, გვ. 359.

³² იქვე, გვ. 360.

³³ იხ. ამასთან დაკავშირებით, მაგ., *Hoffmann, B.*, Die Auswahl eines Vormunds durch das Familiengericht – materiell-rechtliche Vorgaben, FamRZ 2014, 1084.

³⁴ BGH ZEV 2013, 519; *Spickhoff*, in Münchener Kommentar BGB, 8. Auflage 2020, § 1779 Rn. 7.

ბის შესაძლებლობაზე. ამის საპირისპიროდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ორ მუხლში ერთი და იმავე შინაარსის ნორმის განწერა აზრს მოკლებულია.

- 14** მართალია, მშობლის ნებას, 1281 IV მუხლით, არ აქვს სავალდებულო ხასიათი და მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანომ მშობლების მიერ დასახელებულ პირს უფლებამოსილება ავტომატურად არ უნდა მიანიჭოს, თუმცა მშობლის ნებას მაინც ენიჭება გარკვეული უპირატესობა შერჩევის ზოგიერთ სხვა კრიტერიუმთან შედარებით. იხ. ამასთან დაკავშირებით 1282-ე მუხლის კომენტარი.
- 15** მშობლების მიერ მეურვის დასახელება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსთვის არ წარმოშობს ვალდებულებას, რომ მეურვედ ან მზრუნველად შეარჩიონ სწორედ ეს პირი და, მით უფრო, არ წარმოუშობს დასახელებულ პირს ვალდებულებას, განაცხადოს თანხმობა მეურვეობასა თუ მზრუნველობაზე.³⁵
- 16** მეურვისა და მზრუნველის დასახელება შეუძლიათ მშობლებს როგორც ცალ-ცალკე, ისე ერთობლივად.³⁶ აზრთა სხვადასხვაობისას მოქმედებს იმ მშობლის ნება, რომელიც უფრო გვიან გარდაიცვალა. ეს წესი ძალაში რჩება მაშინაც, როდესაც გარდაცვლილმა მშობელმა უფრო გვიან განსაზღვრა, თუ ვინ უნდა ყოფილიყო მეურვე.³⁷ პრობლემურია ერთობლივი გარდაცვალების შემთხვევა, თუ მშობლებს სხვადასხვა პირი ჰყავთ ანდერძით განსაზღვრული. გერმანიაში ასეთ დროს, ერთი მოსაზრებით,³⁸ არ მოქმედებს არც ერთი მითითება. თუმცა ამის საპირისპირო მართებული შეხედულება³⁹ ორივე მითითებას ნამდვილად მიიჩნევს და განიხილავს როგორც პირთა წრეს, რომლიდანაც უნდა მოხდეს მეურვის არჩევა. საქართველოშიც ორივე მითითება სამართლებრივი ძალის მქონედ უნდა იქნეს მიჩნეული. მით უფრო, რომ ამ

³⁵ *Spickhoff*, in *Münchener Kommentar BGB*, 8. Auflage 2020, § 1776 Rn. 4.

³⁶ *Fritsche, I./Katzenstein, H./Lohse, K.*, in *Kaiser/Schnitzler/Friederici/Schilling*, *BGB - Familienrecht*, 4. Auflage 2021 § 1776 Rn. 5.

³⁷ *Zimmermann*, in *Soergel, Kommentar BGB*, 13. Auflage 2000, § 1776 Rn. 5.

³⁸ *Veit*, in *Staudinger BGB*, Neubearbeitung 2014, § 1776 Rn. 13; *Zimmermann*, in *Soergel, Kommentar BGB*, 13. Auflage 2000, § 1776 Rn. 5.

³⁹ *Spickhoff*, in *Münchener Kommentar BGB*, 8. Auflage 2020, § 1776 Rn. 7.

მითითებას არ აქვს სავალდებულო მოქმედება და კანონი მხოლოდ გათვალისწინების შესაძლებლობას ადგენს.

დასახელების უფლება აქვთ მშვილებლებსაც. თუ მშობლებს გარდაცვალების მომენტში შეჩერებული⁴⁰ ან ჩამორთმეული⁴¹ აქვთ ბავშვზე მზრუნველობის უფლება, მაშინ მათი მითითება აღარ მოქმედებს.⁴² მშობლებმა შეიძლება დაასახელონ როგორც კონკრეტული პირი, ისე პირთა განსაზღვრული წრე, საიდანაც უნდა მოხდეს მეურვისა თუ მზრუნველის შერჩევა.⁴³ დასახელება შეიძლება მოხდეს პირობადებულადაც.⁴⁴ მითითების გაუქმება მშობლებს ნებისმიერ დროს შეუძლიათ.⁴⁵ ერთ მშობელს შეუძლია შეცვალოს დასახელებული პირი მაშინაც კი, როდესაც მშობლებმა ის ერთობლივი ნების გამოვლენით დაასახელეს.⁴⁶

17

განსხვავებით გსკ-ის 1782-ე პარაგრაფისგან,⁴⁷ სამოქალაქო კოდექსი პირდაპირ არ შეიცავს ჩანაწერს, რომ მშობლებს შეუძლიათ ანდერძით *გამორიცხონ*, თუ ვინ დაინიშნოს მეურვედ. თუმცა ეს გამომდინარეობს 1284 IV მუხლის ტელეოლოგიური განმარტებიდან. მშობლის ნების სრულყოფილი გათვალისწინება მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, თუ მას ექნება არა მხოლოდ იმის შესაძლებლობა, რომ მიუთითოს, თუ ვინ სურს, დაინიშნოს მეურვედ ან მზრუნველად, არამედ ასევე, თუ დაასახელებს, ვინ არ დაინიშნოს ასეთად. ამიტომ 1284 IV მუხლის ჩანაწერი „*შეიძლება დანიშნულ იქნეს გარდაცვლილი მშობლების მითითებისამებრ*“ გულისხმობს არა მხოლოდ პოზიტიურ, არამედ ნეგატიურ მითითებასაც. რადგანაც მშობლების მითითების გათვალისწინება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსთვის სავალდებულო

18

⁴⁰ BayObLG Rpfleger 1993, 18.

⁴¹ OLG Brandenburg FamRZ 2013, 54.

⁴² Veit, in Staudinger BGB, Neubearbeitung 2014, § 1776 Rn. 5.

⁴³ Bettin, in BeckOK BGB, 57. Ed. 1.2.2021, § 1776 Rn. 2.

⁴⁴ BayObLGZ 28, 272.

⁴⁵ Spickhoff, in Münchener Kommentar BGB, 8. Auflage 2020, § 1776 Rn. 5.

განსხვავებული აზრისთვის იხ. OLG Hamm Rpfleger 1954, 99.

⁴⁶ Gernhuber/Coester-Waltjen, Familienrecht, 6. Aufl. 2010, § 70 Fn. 42.

⁴⁷ Ott, S., Familienrechtliche Anordnungen im Testaments- und Erbvertragsrecht, NZFam 2016, 930 ff.

არ არის, მით უფრო უპრობლემა ნეგატიური მითითების დასაშვებად მიჩნევა.

- 19** პირი, რომელიც არ უნდა გახდეს მეურვე ან მზრუნველი, შეიძლება იყოს განსაზღვრული ან განსაზღვრადი.⁴⁸ მშობლებს შეუძლიათ, მიუთითონ კონკრეტულ პირზე, ვინც არ სურთ მეურვედ ან მზრუნველად, ან განსაზღვრონ ზოგადი კრიტერიუმები, რომლებიც არ უნდა ახასიათებდეს ამ პირს. თუ ერთი მშობელი ასახელებს კონკრეტულ პირს, რომელიც უნდა დაინიშნოს მეურვედ ან მზრუნველად, ხოლო მეორე მშობელი უთითებს, რომ სწორედ ამ პირს არ უნდა მიენიჭოს ეს უფლებამოსილება, მაშინ აქაც გადამწყვეტია იმ მშობლის ნება, რომელიც უფრო გვიან გარდაიცვლება.⁴⁹

⁴⁸ *Hoffmann*, in BeckOGK, 2018, § 1782 Rn.13; *Götz*, in Palandt, Bürgerliches Gesetzbuch, 78. Auflage 2019, § 1782 Rn. 1.

⁴⁹ *Fritsche, I./Katzenstein, H./Lohse, K.*, in Kaiser/Schnitzler/Friederici/Schilling, BGB - Familienrecht, 4. Auflage 2021 § 1782 Rn. 6.

მუხლი 1282. მეურვის ან მზრუნველის დანიშვნის წესი

1. მეურვე ან მზრუნველი უნდა დაინიშნოს არა უგვიანეს ერთი თვისა იმ დროიდან, როდესაც მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსათვის ცნობილი გახდება მეურვეობის ან მზრუნველობის დანესების აუცილებლობა.

2. მეურვის ან მზრუნველის არჩევისას მხედველობაში მიიღება მისი პიროვნული თვისებები, დაკისრებული მოვალეობის შესრულების უნარი, ურთიერთდამოკიდებულება, რომელიც არსებობს მასა და სამეურვეო/სამზრუნველო პირს შორის, სამეურვეო/სამზრუნველო პირის ინტერესები, ასევე მშობლის ან მამკვიდრებლის მიზიძეება.

3. მეურვის ან მზრუნველის დანიშვნამდე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ეკისრება მეურვის ან მზრუნველის სათანადო სამართლებრივი ვალდებულებები სამეურვეო/სამზრუნველო პირის მიმართ.

საქართველოს 2007 წლის 18 დეკემბრის კანონი №5624 - სსმ I, №48, 27.12.2007წ., მუხ.414

I. ზოგადი	499
II. ვადა დანიშვნისთვის	500
III. მეურვისა და მზრუნველის შერჩევის კრიტერიუმები.....	502
1. შერჩევა.....	502
2. გასაჩივრება.....	506
IV. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ზრუნვის ვალდებულება, 1282 III ...	507

I. ზოგადი

1282-ე მუხლი ეხება სამ სხვადასხვა საკითხს, რომელთაგან არც ერთი არ არის მეურვის ან მზრუნველის დანიშვნის წესი, როგორც ამას მუხლის სათაური არასწორად¹ მიანიშნებს. ამის საპირისპიროდ, 1282-

1

¹ ფრაი, კ.სირდაძე, ლ., კანონის ნორმების დასათაურება, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, 4/2019, 12.

ე მუხლი განსაზღვრავს, თუ რა ვადაში უნდა დაინიშნოს მეურვე ან მზრუნველი, რა კრიტერიუმებით უნდა შეირჩინოს ისინი და რა რეჟიმი მოქმედებს სამართალწარმოების დასრულებამდე.

II. ვადა დანიშვნისთვის

- 2** 1282 I მუხლით, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს აქვს ერთი თვე, რათა დაასრულოს მეურვისა და მზრუნველის დანიშვნის სამართალწარმოება.² აქ იგულისხმება ყველა საჭირო მოქმედების შესრულება, მათ შორის, ბავშვის ასაკის დადგენა და მეურვისა და მზრუნველის შერჩევა. ვადის ათვლა იწყება იმ მომენტიდან, როდესაც ორგანომ შეიტყო მეურვისა თუ მზრუნველის დანიშვნის საჭიროების შესახებ.
- 3** 1282 I მუხლის მიზანია, დაიცვას სამეურვეო თუ სამზრუნველო პირის ინტერესები³ იმით, რომ რაც შეიძლება სწრაფად დაენიშნოს მას მეურვე ან მზრუნველი. მიუხედავად იმისა, რომ დანიშვნისთვის ვადა მკაცრად არის განსაზღვრული კანონმდებლის მიერ, ამ ვადის გადაცილებით მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო არ კარგავს უფლებას, დაინიშნოს მეურვე თუ მზრუნველი. უფრო მეტიც, თუ საჭიროება მოითხოვს, ორგანო ვალდებულიც კია, დაუთმოს მეტი დრო სამართალწარმოებას. რადგანაც გადამწყვეტია ბავშვის ინტერესები, თუ ერთ თვეში ვერ ხერხდება სათანადო კანდიდატის შერჩევა, ბუნებრივია, ორგანომ არ უნდა მიიღოს ნაჩქარევი გადაწყვეტილება მხოლოდ იმიტომ, რომ არ გადააცილოს კანონმდებლობით დადგენილ ვადას. ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე, უკეთესია, სრულყოფილად მოხდეს საკითხის შესწავლა. ბუნებრივია, მთელი ამ დროის განმავლობაში მოქმედებს 1282 III მუხლი, რომლის მეშვეობითაც აღარ ექმნება სამეურვეო ან სამზრუნველო პირის ინტერესებს იმნუთიერი საფრთხე.
- 4** მეურვის დანიშვნა დასაშვები უნდა იყოს ბავშვის დაბადებამდეც,⁴ თუ ცალსახაა, რომ იქნება ამის საჭიროება. მაგალითად, ასეთი იქნება

² *შენგელია*, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1282, გვ. 316.

³ იქვე.

⁴ *Bettin*, in BeckOK BGB, 57. Ed. 1.2.2021, § 1774 Rn. 2.

შემთხვევა, როდესაც ბავშვი უნდა დაიბადოს სუროგაციის გზით, ხოლო მისი ორივე ბიოლოგიური მშობელი ბავშვის დაბადებამდე გარდაიცვალა.⁵ აღნიშნული ემსახურება მიზანს, რომ ბავშვი არც ერთ მომენტში არ აღმოჩნდეს მზრუნველობის გარეშე.⁶ შედეგად, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს აღარ მოუწევს მეურვის ფუნქციების საკუთარ თავზე დროებით აღება⁷ და ბავშვზე დაბადებიდანვე მისი მეურვე იზრუნებს. აღნიშნული წინააღმდეგობაში არ მოდის ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის გამოცემის წესთან. ის შეიძლება გამოცემულ იქნეს პირობადებულად და არა განსაზღვრული, არამედ განსაზღვრადი პირის მიმართ.⁸ ის იმოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბავშვი დაიბადება და სახეზე ჯერ კიდევ იქნება ის მატერიალური წინაპირობები, რომლებიც საჭიროა მეურვეობის დასაწესებლად. აღნიშნული გადანყვეტა აუმჯობესებს ყველა მხარის სამართლებრივ მდგომარეობას: ბავშვი დაბადებიდანვე უზრუნველყოფილი იქნება მეურვეობით, მეურვეს უკვე შეუძლია განახორციელოს მეურვეობისთვის საჭირო ქმედებები, მზრუნველობის ორგანო აღარ იქნება ვალდებული, დროებით შეითავსოს მეურვის ვალდებულებები. გარდა ამისა, აღნიშნული აძლევს შესაძლებლობას დაინტერესებულ პირებს, გაასაჩივრონ გადანყვეტილება მეურვეობის დანესების შესახებ. როდესაც ბავშვი სუროგაციის გზით უნდა დაიბადოს, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს შეფასება, რომ მას დაბადებისას არ ეყოლება პირი, რომელიც განახორციელებს მასზე მშობლის მზრუნველობას, შეიძლება არასწორი იყოს. თუ აქტი გამოიცემა წინასწარ, ბავშვის დაბადებამდე, მაგალითად, ბავშვის ბიოლოგიურ მამას შეუძლია გაასაჩი-

⁵ სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის წესის მე-19 მუხლი მე-4 პუნქტის თანახმად, დაბადების სამოქალაქო აქტის ჩანაწერში ბავშვის მშობლად სუროგატი დედის მითითება დაუშვებელია.

⁶ *Kemper, R.*, in Schulz/Hauß, *Familienrecht*, 3. Auflage 2018, § 1774 Rn. 3.

⁷ *Spickhoff*, in *Münchener Kommentar BGB*, 8. Auflage 2020, § 1774 Rn. 13.

⁸ პირობადებული და განსაზღვრადი წრის მიმართ ინდაქტის გამოცემის შემთხვევა საკმაოდ ხშირია. მისი მაგალითებია: პირის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ გადანყვეტილების გამოტანა, როდესაც ჯერ არ არის შეწყვეტილი არსებულ თანამშრომელთან ურთიერთობა, მაგრამ ამ უკანასკნელმა წინასწარ განაცხადა თანამდებობის დატოვების შესახებ; მიღებულ იქნა გადანყვეტილება რეორგანიზაციის შედეგად განყოფილების გაუქმების შესახებ და წლის ბოლოს უნდა განთავისუფლდეს თანამდებობიდან ყველა ის თანამშრომელი, რომელიც ამ მომენტისთვის დასაქმებული იქნება განყოფილებაში.

ვროს იგი და ბავშვის დაბადებამდე გაუქმდება ასეთი აქტი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბავშვის დაბადების შემდეგ, დაინყებოდა მეურვეობის დანესების სამართალწარმოება და მის დასრულებამდე ბავშვზე იზრუნებდა არა მისი ბიოლოგიური მამა, არამედ ორგანო. ეს მამის უფლებების გაუმართლებელი ხელყოფა იქნებოდა. არ არსებობს მიზეზი, რატომ უნდა დაიცადოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანომ ბავშვის დაბადებამდე, როდასაც მას უკვე აქვს ინფორმაცია, რომ საჭირო იქნება მეურვის დანიშვნა. მოცემული გადანყვეტა შეესაბამება 1282 I მუხლის სიტყვასიტყვით განმარტებასაც, რომლის მიხედვითაც მეურვე უნდა დაინიშნოს მისი დანიშვნის საჭიროების შესახებ შეტყობიდან ერთი თვის ვადაში. მეურვეობის დასანიშნად ბავშვი უნდა იყოს ჩასახული.⁹ თუ ერთის ნაცვლად დაიბადება რამდენიმე ბავშვი, მეურვეობა გავრცელდება ყველა მათგანზე.¹⁰

III. მეურვისა და მზრუნველის შერჩევის კრიტერიუმები

1. შერჩევა

- 5** 1282 II მუხლი, 1281 IV მუხლთან ერთად, განსაზღვრავს იმ პოზიტიურ კრიტერიუმებს, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნეს მეურვისა და მზრუნველის შერჩევისას.¹¹ ნეგატიურ კრიტერიუმებთან დაკავშირებით, რომლებიც გამორიცხავენ მეურვეობის ან მზრუნველობის უფლების მინიჭებას, იხ. 1283-ე მუხლის კომენტარი.
- 6** მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანომ ჯერ უნდა განსაზღვროს ყველა ის პირი, რომლებიც შეიძლება გახდნენ ბავშვის მეურვე ან მზრუნველი და შემდეგ უნდა მოხდეს მათ შორის ისეთის ამორჩევა, რომელიც საუკეთესოდ შეძლებს უფლებამოსილების განხორციელებას. სავარაუდო მეურვისა და მზრუნველის შერჩევა უნდა მოხდეს 1283-ე მუხლში არსებული ნეგატიური წინაპირობებისა და 1281 IV მუხლის იმ კრიტერიუმის გამოყენებით, რომელიც „დაკისრებული მოვალეობის შესრულების უნარზე“ მიუთითებს. შედეგად, 1281 IV მუხლის

⁹ *Fritsche, I./Katzenstein, H./Lohse, K.*, in Kaiser/Schnitzler/Friederici/Schilling, BGB - Familienrecht, 4. Auflage 2021 § 1774 Rn. 10.

¹⁰ *Spickhoff*, in Münchener Kommentar BGB, 8. Auflage 2020, § 1774 Rn. 13.

¹¹ *შენგელია*, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1281, გვ. 313.

კრიტერიუმებს ახასიათებს გამოყენების რიგითობა. პირველ რიგში, უნდა მოხდეს მეურვის ან მზრუნველის ფუნქციების შესასრულებლად გამოსადეგი პირების შერჩევა და შემდეგ დანარჩენი კრიტერიუმების მიხედვით მათ შორის საუკეთესოს ამორჩევა.¹²

გამოსადეგობაში იგულისხმება ისეთი გარემოებები, რომლებიც შესაძლებელს ხდის ბავშვის აღზრდას, მისი პირადი და ქონებრივი უფლებების დაცვას. ასეთია, მაგალითად, ეკონომიკური მდგომარეობა, საცხოვრებელი პირობები, ბავშვზე ზრუნვისთვის საჭირო დროის არსებობა და სხვა მსგავსი გარემოებები.¹³ გამოსადეგობის განსაზღვრა უფრო მარტივია გამორიცხვის მეთოდით, ანუ უნდა შემოწმდეს, ხომ არ არსებობს რაიმე გარემოება, რომელიც მეურვის ან მზრუნველის მოვალეობების შესრულებას შეუძლებელს ხდის.¹⁴

ყველა გამოსადეგი პირის განსაზღვრის შემდეგ უნდა შეირჩეს მათ შორის საუკეთესო კანდიდატი. ეს უნდა მოხდეს 1281 IV და 1282 II მუხლის დანარჩენი კრიტერიუმების მეშვეობით. ამ კრიტერიუმებს შორის „სამეურვეო/სამზრუნველო პირის ინტერესების“ დასახელება ყოველგვარ აზრს მოკლებულია. ეს ინტერესები არათუ გათვალისწინებულ უნდა იქნეს მეურვისა და მზრუნველის პიროვნების შერჩევისას, არამედ სწორედ ესაა ამოსავალი წერტილი 1275-ე და ყველა მომდევნო მუხლისთვის. მეურვისა და მზრუნველობის ინსტიტუტი საერთოდ იმიტომ არსებობს, რომ დაცული იყოს სამეურვეო/სამზრუნველო პირის ინტერესები. შესაბამისად, 1282 II მუხლში მისი მოხსენიება და ერთ-ერთ კრიტერიუმად დასახელება არასწორია.

მეურვისა და მზრუნველის შერჩევისას, პირველ რიგში, უნდა შემოწმდეს ხომ არ არის სახეზე გარდაცვლილი მშობლების ნება. თუმცა ამ კრიტერიუმს იმიტომ კი არ ენიჭება უპირატესობა, რომ საკანონმდებლო ტავტოლოგიის შედეგად ის ორ მუხლში (1281 IV და 1282 II) წერია, არამედ იმიტომ, რომ მშობლის ნება საუკეთესო გზაა ბავშვის ინტერესების დასადგენად. მშობელმა ყოველთვის უკეთ იცის, რა არის შვილისთვის უმჯობესი და მას ყველა გარემოების შეფასება უკეთ შეუძლია,

¹² *Fritsche, I./Katzenstein, H./Lohse, K.*, in Kaiser/Schnitzler/Friederici/Schilling, BGB - Familienrecht, 4. Auflage 2021 § 1779 Rn. 1.

¹³ *Bettin*, in BeckOK BGB, 57. Ed. 1.2.2021, § 1779 Rn. 3.

¹⁴ *Spickhoff*, in Münchener Kommentar BGB, 8. Auflage 2020, § 1779 Rn. 5.

ვიდრე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ან თუნდაც სასამართლოს ან კანონმდებელს. თუ მშობლების მიერ დასახელებული პირი გამოსადეგია მეურვისა თუ მზრუნველის მოვალეობების შესასრულებლად, სწორედ ის უნდა იქნეს შერჩეული და დამატებით კრიტერიუმებს არ უნდა მიექცეს ყურადღება. განსაკუთრებით მწვავე შემთხვევებში ასეთი პირების დანიშნვა ისედაც გამოირიცხება, რადგანაც მათ ან არ აქვთ უნარი, შეასრულონ ეს ფუნქციები ან ეს არ შედის ბავშვის ინტერესებში. ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, ისინი არ შეირჩევიან. მაგრამ თუ ამ ორი კრიტერიუმიდან არც ერთი არ არის პრობლემური, მაშინ მშობლების მიერ დასახელებული პირის სხვასთან შედარება არ უნდა მოხდეს. თუნდაც სხვა პირს უკეთესი ეკონომიკური თუ სხვაგვარი პირობები ჰქონდეს, ეს ვერ გადაფარავს მშობლის ნებას.

10 თუ მშობლების ნება არ არის სახეზე, მაშინ ყველა იმ გამოსადეგი პირიდან, რომლებიც შერჩეულია მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ, მეურვე ან მზრუნველი უნდა შეირჩეს მასსა და ბავშვს შორის არსებული ურთიერთდამოკიდებულების გათვალისწინებით. ამ კრიტერიუმის განსაკუთრებული მნიშვნელობა გამომდინარეობს იქიდან, რომ ბავშვის ემოციური და პირადი ურთიერთობები წარმოადგენს მისი კეთილდღეობის ნაწილს.¹⁵ ამ კრიტერიუმის ქვეშ უნდა გაერთიანდეს როგორც ნათესაური, ისე პიროვნული კავშირი ბავშვსა და მეურვეს/მზრუნველს შორის. გერმანიაში, ერთი მოსაზრებით, უპირატესობა უნდა მიენიჭოთ ბავშვთან პიროვნულად დაკავშირებულ არანათესავ პირებს, რადგანაც გსკ-ის 1779 II 2 პარაგრაფში კრიტერიუმები ამ თანმიმდევრობითაა ჩამოთვლილი.¹⁶ ამას უპირისპირდება გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება,¹⁷ რომელიც ახლო ნათესავების (მაგალითად, ბებია-ბაბუის) მეურვეობა-მზრუნველობის უპირატეს უფლებას ოჯახის დაცვის კონსტიტუციური უფლებით ასაბუთებს. თუმცა, ამისათვის საჭიროა, რომ მათ რეალურად ჰქონდეთ ზრუნვის შესაძლებლობა და განსაკუთრებული საგამონაკლისო გარემოებების გამო არ იყოს აუცილებელი ბავშვის კეთილდღეობის დასაცავად მასზე მზრუნველობა/მეურვეობის მესამე პირებისთვის გადა-

¹⁵ *Spickhoff*, in Münchener Kommentar BGB, 8. Auflage 2020, § 1779 Rn. 8.

¹⁶ *Spickhoff*, in Münchener Kommentar BGB, 8. Auflage 2020, § 1779 Rn. 8.

¹⁷ BVerfG FamRZ 2009, 291.

ცემა. ნებისმერი შემთხვევაში, საბოლოოდ აღიარებულია, რომ არ არსებობს ვინმე, ვინც უკეთესი მეურვე/მზრუნველი იქნება, ვიდრე ახლო ნათესავი, რომელსაც აქვთ პიროვნული სიახლოვე ბავშვთან და შეუძლია ბავშვის აღზრდა.¹⁸ საქართველოში უპირობოა, რომ უპირატესობა უნდა მიენიჭოს ნათესაურ კავშირს. პირველ რიგში, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ გამოყოფს ცალ-ცალკე პიროვნულ და ნათესაურ კავშირს, არამედ აერთიანებს ორივე მათგანს „ურთიერთდამოკიდებულების“ ცნების ქვეშ. თუმცა, ასეც რომ არ იყოს, არასწორია ვარაუდი, რომ კანონმდებელს მუხლში ერთი კრიტერიუმის მეორის წინ დანერით მისთვის უპირატესობის მინიჭება სურდა. გარდა ამისა, როდესაც ხდება არჩევანის გაკეთება ნათესავსა და პიროვნული კავშირის მქონე პირს შორის, უკვე გავლილია გამოსადეგობის შემონმების ეტაპი, ხოლო ბავშვის ინტერესები ყველა ეტაპზე გასათვალისწინებელი საერთო საწყისია. საქართველოს კონსტიტუციის 5 IV 1, 30 I მუხლებით განმტკიცებულია ოჯახის განსაკუთრებული სტატუსი, ხოლო ბავშვის უფლებათა კოდექსის 5 II მუხლი პირდაპირ მიუთითებს, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესი მისი ოჯახში დარჩენაა.

თუ არსებობს თანაბარი ნათესაური სიახლოვის მქონე რამდენიმე პირი, პიროვნული თვისებები არის საბოლოო კრიტერიუმი, რომლითაც უნდა გადაწყდეს, თუ ვის მიენიჭება მეურვეობა ან მზრუნველობა. ამისგან განსხვავებით, ისეთი პიროვნული თვისებები, რომლებიც გავლენას ახდენენ მეურვეობის განხორციელების უნარზე, განეკუთვნება ზოგადად გამოსადეგობის კრიტერიუმს და თავიდანვე უნდა შემონმდეს.

მიუხედავად იმისა, რომ 1282 II მუხლი არ შეიცავს მითითებას სხვა კრიტერიუმების გათვალისწინების შესაძლებლობაზე, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანომ მაინც უნდა გაითვალისწინოს ყველა ის გარემოება, რომლებიც საკითხის გადასაწყვეტად მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს. მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი ბავშვის ინტერესების სრულყოფილად გათვალისწინება. ასეთი კრიტერიუმები

¹⁸ *Kemper, R.*, in Schulz/Hauß, *Familienrecht*, 3. Auflage 2018, § 1779 Rn. 4.

შეიძლება იყოს, მაგალითად, ბავშვისა და მეურვე-მზრუნველის კულტურული თუ რელიგიური კუთვნილება¹⁹, სასაუბრო ენა, საცხოვრებელი ადგილი (ქვეყანა) და სხვა.

13 და-ძმებს, მათ შორის, ნახევარ-და-ძმებს,²⁰ ნებისმიერ შემთხვევაში უნდა დაენიშნოთ ერთი და იგივე მეურვე.²¹

14 2007 წლამდე 1282 II მუხლი შეიცავდა მითითებას სამეურვეო და სა-მზრუნველო პირის სურვილის გათვალისწინების თაობაზე, იმდენად, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო. დღეს აღნიშნულ კრიტერიუმს რაიმე კონკრეტული მნიშვნელობა აღარ ენიჭება. გადამწყვეტია არა ბავშვის (სუბიექტური) სურვილი, არამედ მისი (ობიექტური) ინტერესი.

2. გასაჩივრება

15 გადამწყვეტილება მეურვის დანიშვნის შესახებ, როგორც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი,²² შეიძლება გასაჩივრდეს მათ შორის იმ საფუძვლით, რომ შერჩეულია არასათანადო მეურვე ან მზრუნველი. გასაჩივრება შეიძლება დაეფუძნოს როგორც სავალდებულო კრიტერიუმების არგამოყენებას ან მათ არასწორ შეპირისპირებას, ისე იმ ვარაუდს, რომ არჩეული პირი, რეალურად არ არის ამ მახასიათებლებით აღჭურვილი.²³

16 გასაჩივრების უფლება აქვს ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, თუმცა მისი მიზანი უნდა იყოს ბავშვის ინტერესების დაცვა. შესაბამისად, დაინტერესებულ პირად უნდა იქნეს მიჩნეული ის, ვისაც ბავშვთან არსებული ურთიერთობიდან გამომდინარე ობიექტური ინტერესი აქვს

¹⁹ *Fritsche, I./Katzenstein, H./ Lohse, K.*, in Kaiser/Schnitzler/Friederici/Schilling, BGB - Familienrecht, 4. Auflage 2021 § 1779 Rn. 14.

²⁰ KGJ 47, 10.

²¹ *Spickhoff*, in Münchener Kommentar BGB, 8. Auflage 2020, § 1775 Rn. 11; *Spickhoff*, in Münchener Kommentar BGB, 8. Auflage 2020, § 1779 Rn. 20.

²² იხ. ამასთან დაკავშირებით 1281-ე მუხლის კომენტარი.

²³ BayObLG FamRZ 1997, 1290.

ბავშვის კეთილდღეობის მიმართ.²⁴ გარდა თავად სამეურვეო ან სამზრუნველო პირისა,²⁵ ასეთად უნდა იქნენ მიჩნეული ის პირები, რომლებიც შესაძლოა შერჩეულ ყოფილიყვნენ მეურვედ ან მზრუნველად 1282 II, 1281 IV მუხლების სწორად გამოყენების შემთხვევაში და ბავშვის ნათესავეები.²⁶ გასაჩივრების უფლება აქვს იმ მშობელსაც, რომელის ზრუნვის უფლება შეჩერებულია²⁷, მაგრამ არა იმას, ვისაც ეს უფლება ჩამოართვეს^{28, 29}

IV. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ზრუნვის ვალდებულება, 1282 III

1282 III მუხლით, სანამ მოხდება მეურვისა თუ მზრუნველის დანიშვნის სამართალწარმოების დასრულება, მის ვალდებულებებს ასრულებს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო. ამით ეს ორგანო არ ხდება მეურვე ან მზრუნველი და 1282 III არ განეკუთვნება მეურვეობისა და მზრუნველობის წარმოშობის კანონისმიერ საფუძველს. არამედ ეს არის დროებითი ღონისძიება, რომელიც წარმოადგენს მეურვეობისა და მზრუნველობის დადგენის ნაწილს. 17

1282 III მუხლის მიზანს წარმოადგენს, მაქსიმალურად შემცირდეს ის პერიოდი, როდესაც ბავშვზე არ ზრუნავს არავინ. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ზრუნვის ვალდებულება უჩნდება მას შემდეგ, რაც შეიტყობს, რომ ბავშვი დარჩენილია მშობლის ზრუნვის გარეშე. მართალია, მანამდე ეს ვალდებულება არ წარმოიშობა, მაგრამ ძალაშია ორგანოს ზოგადი ვალდებულება, დაადგინოს ასეთი ბავშვის 18

²⁴ *Zimmermann*, in *Soergel*, *Kommentar BGB*, 13. Auflage 2000, § 1779 Rn. 16.

²⁵ რადგანაც არასათანადო მეურვისა თუ მზრუნველის დანიშვნით ირღვევა მისი უფლება, მიიღოს სრულყოფილი მეურვეობა ან მზრუნველობა; *Spickhoff*, in *Münchener Kommentar BGB*, 8. Auflage 2020, § 1779 Rn. 24.

²⁶ *Spickhoff*, in *Münchener Kommentar BGB*, 8. Auflage 2020, § 1779 Rn. 2, 5.

²⁷ *BayObLG NJW* 1965, 917.

²⁸ *BGH NJW* 1956, 1755; *OLG Braunschweig JFG* 4, 39.

²⁹ *Bettin*, in *BeckOK BGB*, 57. Ed. 1.2.2021, § 1779 Rn. 7.

არსებობის ფაქტი. თუ ორგანო გვიან იტყობს ამ ფაქტს, იგი ამით არ-
ღვევს სწორედ ამ ვალდებულებას (და არა უშუალოდ ზრუნვის ვალდე-
ბულებას).

მუხლი 1283. პირი, რომელიც მეურვედ, მზრუნველად ან მხარდამჭერად არ შეიძლება დაინიშნოს

მეურვედ, მზრუნველად ან მხარდამჭერად არ შეიძლება დაინიშნოს პირი:

ა) რომელსაც 18 წლის ასაკისთვის არ მიუღწევია;

ბ) რომელიც სასამართლომ მხარდაჭერის მიმღებად ცნო;

გ) რომელსაც მშობლის უფლება ჩამოერთვა ან შეეზღუდა მშობლის უფლებებისა და მოვალეობების შესრულებისათვის თავის არიდების გამო;

დ) რომელიც მეურვის, მზრუნველის ან მხარდამჭერის მოვალეობისაგან განთავისუფლებულია მისი არაჯეროვნად შესრულების გამო.

*საქართველოს 2007 წლის 18 დეკემბრის კანონი №5624 - სსმ I, №48, 27.12.2007წ., მუხ.414
საქართველოს 2015 წლის 20 მარტის კანონი №3339 - ვებგვერდი, 31.03.2015წ.*

I. ზოგადი	509
II. დანიშვნა 1283-ე მუხლის დარღვევით	510

I. ზოგადი

1283-ე მუხლში ჩამოთვლილია ის გარემოებები, რომლებიც დაკავშირებულია შესარჩევის პიროვნებასთან და გამორიცხავს მის დანიშვნას მეურვედ, მზრუნველად¹ ან მხარდამჭერად. აღნიშნული აკრძალვა ემსახურება სამეურვეო, სამზრუნველო და მხარდაჭერის მიმღები პირის ინტერესების დაცვას.

ნორმა შეიცავს აბსტრაქტულ აკრძალვას. როდესაც მოცემულია 1283-ე მუხლში დასახელებულ შემთხვევათაგან რომელიმე, ავტომატურად გამოირიცხება ასეთი პირის შესაბამისი უფლებამოსილებით

¹ შენგელია, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1283, გვ. 320.

აღჭურვის შესაძლებლობა. საქმე არ მიდის იმის შეფასებამდე, კონკრეტულ შემთხვევაში რამდენად შეძლებს პირი შეასრულოს მეურვის, მზრუნველის თუ მხარდამჭერის მოვალეობები. აქედან გამომდინარეობს ის, რომ ჩამონათვალის გავრცობა და ნორმის ანალოგიით გამოყენება დაუშვებელია. კანონმდებელი ამომნურავად ჩამოთვლის აბსტრაქტული გამოორიცხვის საფუძვლებს. ყველა სხვა შემთხვევაში კონკრეტულად² უნდა შეფასდეს, რამდენად გამართლებულია პირის დანიშვნა/მისი უფლებამოსილების ძალაში დატოვება.

II. დანიშვნა 1283-ე მუხლის დარღვევით

- 3 თუ სახეზეა 1283-ე მუხლით გათვალისწინებული რომელიმე შემთხვევა, მაგრამ პირი მაინც დაინიშნება მეურვედ, მზრუნველად ან მხარდამჭერად, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს შესაბამისი გადაწყვეტილება თავიდანვე ბათილია, სასამართლოს გადაწყვეტილებას კი არ ექნება სამართლებრივი შედეგი.³
- 4 თუ 1283 ბ)-დ) მუხლში მითითებული საფუძველი წარმოიშობა მოგვიანებით, მას შემდეგ, რაც პირი აღიჭურვება შესაბამისი უფლებამოსილებით, იგი ნაკისრი მოვალეობისგან არ თავისუფლდება ავტომატურად,⁴ არამედ ამისათვის საჭიროა კონსტიტუციური მოქმედების მქონე აქტის/გადაწყვეტილების გამოცემა.
- 5 არასწორად დანიშნული პირის მიერ გამოვლენილი ნება ბათილია.⁵ პირის არასწორად დანიშვნით გამონვეული ზიანისთვის პასუხს აგებს

² შდრ. მაგ., *Kemper, R.*, in *Schulze, Bürgerliches Gesetzbuch*, 10. Auflage 2019, § 1780 Rn. 1.

³ *RGSt 45, 311*; *Gernhuber/Coester-Waltjen*, *Lehrbuch des Familienrechts*, 6. Aufl. 2010, § 70 Rn. 29; *Spickhoff*, in *Münchener Kommentar BGB*, 8. Auflage 2020, § 1780 Rn. 1.

⁴ *BayObLG NJW 1961, 1865*; *Fritsche, I./Katzenstein, H./Lohse, K.*, in *Kaiser/Schnitzler/Friederici/Schilling*, *BGB - Familienrecht*, 4. Auflage 2021 § 1780 Rn. 3.

⁵ *Spickhoff*, in *Münchener Kommentar BGB*, 8. Auflage 2020, § 1780 Rn. 6.

მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო/სახელმწიფო.⁶ თავად ამ პირის პასუხისმგებლობის საკითხი უნდა გადაწყდეს ზოგადი ნორმებისა⁷ და არა 1300-ე მუხლის შესაბამისად.⁸

მუხლი 1284. (ამოღებულია)

საქართველოს 2015 წლის 20 მარტის კანონი №3339 - ვებგვერდი, 31.03.2015წ.

მუხლი 1285. (ამოღებულია)

საქართველოს 2007 წლის 18 დეკემბრის კანონი №5624 - სსმ I, №48, 27.12.2007წ., მუხ.414

⁶ *Bettin*, in BeckOK BGB, 57. Ed. 1.2.2021, § 1780 Rn. 2.

⁷ *Zimmermann*, in Soergel, Kommentar BGB, 13. Auflage 2000, § 1780 Rn. 3.

⁸ *Fritsche, I./Katzenstein, H./Lohse, K.*, in Kaiser/Schnitzler/Friederici/Schilling, BGB - Familienrecht, 4. Auflage 2021 § 1780 Rn. 5

მუხლი 1286. ქონების მეურვის დანიშვნა

1. ბავშვის ქონებრივი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად, საჭიროების შემთხვევაში, შეიძლება დაინიშნოს ქონების მეურვე, თუ ამას მოითხოვს:

ა) მშობლები;

ბ) მამკვიდრებელი, რომელიც ქონებას ბავშვს გადასცემს და დასახელებს რომელიმე პირს, გარდა მშობლებისა, რომელიც უნდა გახდეს ქონების მეურვე;

გ) მეურვე ან მზრუნველი.

2. თუ ქონება მდებარეობს მეურვის ან მზრუნველის საცხოვრებელი ადგილიდან შორს ან ქონების მეურვის დანიშვნა აუცილებელია, სამეურვეო/სამზრუნველო პირისათვის დანიშნული მეურვის/მზრუნველის გარდა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს შეუძლია დაინიშნოს ქონების მეურვე/მზრუნველი.

საქართველოს 2007 წლის 18 დეკემბრის კანონი №5624 - სსმ I, №48, 27.12.2007წ., მუხ.414

I. ზოგადი	512
II. ქონების მეურვის დანიშვნა უფლებამოსილი პირის მოთხოვნით, 1286 I.....	513
III. ქონების მეურვის დანიშვნა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ინიციატივით, 1286 II	513

I. ზოგადი

1 1286-ე მუხლის მიზანია ბავშვის ქონებრივი ინტერესების დაცვა. ქონების მეურვეს, განსხვავებით მზრუნველისა და მეურვისგან, არ გააჩნია არავითარი აღმზრდელობითი უფლებამოსილება. მას მხოლოდ არასრულწლოვანის კონკრეტული ქონებრივი უფლებების დაცვა ევალება.¹ თუმცა აღნიშნულიც წარმოადგენს მნიშვნელოვან ინსტრუმენტს.

¹ *შენგელია/შენგელია, საოჯახო სამართალი, მეორე გამოცემა, 2011, გვ. 364.*

ნტს ბავშვის უფლებების დასაცავად, რაც გარანტირებულია კონსტიტუციით, სამოქალაქო კოდექსით, ბავშვის უფლებათა კოდექსითა და სხვა სამართლებრივი აქტებით.

1286 I მუხლით ქონების მეურვე შეიძლება დაენიშნოს მხოლოდ არასრულწლოვანს, მაშინ, როდესაც **1286 II** მუხლი ასეთ შეზღუდვას არ ითვალისწინებს. **2**

II. ქონების მეურვის დანიშვნა უფლებამოსილი პირის მოთხოვნით, 1286 I

1286 I მუხლი ადგენს ქონების მეურვის დანიშვნას უფლებამოსილი პირის მოთხოვნის საფუძველზე. ასეთი შეიძლება იყოს, მათ შორის, ბავშვის მშობელიც. შესაბამისად, ქონების მეურვე არ ენიშნება მხოლოდ მზრუნველობის ან მეურვეობის ქვეშ მყოფ არასრულწლოვნებს, რაც ექვემდებარება ალნიშნული მუხლის კოდექსის ამ კარში მოქცევის ლოგიკურობას. **3**

გარდა უფლებამოსილი პირის მიმართვისა, ქონების მეურვის **1286-I** მუხლით დასანიშნად აუცილებელია, რომ არსებობდეს ამის ობიექტური საჭიროება. ორგანომ უნდა შეაფასოს, რამდენად რეალურია, მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმით საფრთხე შეექმნას ბავშვის ინტერესებს ან მათმა დაცვამ უფლებამოსილი პირისგან განსაკუთრებით დიდი ძალისხმევა მოითხოვოს. **4**

თუ ქონების მეურვე უნდა დაინიშნოს მამკვიდრებლის მოთხოვნით, მაშინ დამატებით ობიექტური საჭიროების შემოწმება აღარაა საჭირო. თუ არასრულწლოვანი მემკვიდრე იღებს ალნიშნულ სამკვიდროს, ქონების მეურვე ყველა შემთხვევაში უნდა დაინიშნოს. **5**

III. ქონების მეურვის დანიშვნა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ინიციატივით, 1286 II

1286 II მუხლი ითვალისწინებს შესაძლებლობას, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანომ საკუთარი ინიციატივით დანიშნოს ქონების **6**

მეურვე. თუმცა ეს დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც არასრულწლოვანი იმყოფება მეურვეობისა და მზრუნველობის ქვეშ.

- 7** 1286 II მუხლის შემთხვევაშიც ძალაში რჩება ობიექტური აუცილებლობის ელემენტი. ქონების მდებარეობა მეურვის ან მზრუნველის საცხოვრებელი ადგილიდან შორს წარმოადგენს ერთ-ერთი შემთხვევას, როდესაც ეს აუცილებლობა სახეზეა. ქონება „შორს“ მდებარეობს მაშინ, როდესაც ბავშვის ქონებრივი ინტერესების დაცვა მეურვე/მზრუნველის მხრიდან განსაკუთრებით დიდი ძალისხმევის გარეშე შეუძლებელია, თუმცა ეს შესაძლებელი იქნებოდა, აღნიშნული ქონება ტერიტორიულად უფრო ახლო მანძილზე რომ ყოფილიყო.

მუხლი 1287. მეურვისა და მზრუნველის უფლებები

მეურვესა და მზრუნველს უფლება აქვთ სასამართლო წესით მოითხოვონ მეურვეობასა და მზრუნველობაში მყოფი ბავშვების დაბრუნება ყველასაგან, ვინც მათ თავისთან ამყოფებს კანონიერი საფუძვლის გარეშე.

1287-ე მუხლი იცავს როგორც ბავშვის, ისე მეურვის/მზრუნველის ინტერესებს. მეურვის/მზრუნველის აღნიშნული უფლება გამომდინარეობს იქიდან, რომ ბავშვზე ზრუნვის განხორციელება შეუძლებელია, თუ იგი ფიზიკურად არ იმყოფება მათთან.¹ აღნიშნულ პრინციპს ეფუძნება ასევე სამეურვეო/სამზრუნველო პირთან ერთად ცხოვრების ვალდებულება. იხ. ამასთან დაკავშირებით 1291-ე მუხლი კომენტარი.

1287-ე მუხლით გათვალისწინებული უფლების ერთ-ერთი კერძო შემთხვევაა მოწესრიგებული 1305⁷ და მომდევნო მუხლებით.

¹ შენგელია, სკ-ის კომენტარი, ჟანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1287, გვ. 326.

მუხლი 1288. მეურვეობისა და მზრუნველობის შესრულება უსასყიდლოდ

მეურვისა და მზრუნველის მოვალეობები სრულდება უსასყიდლოდ.

- 1 1288-ე მუხლი აწესებს მეურვეობისა და მზრუნველობის უსასყიდლოდ შესრულების პრინციპს.¹ მეურვემ და მზრუნველმა, როგორც პირმა, რომელიც მზად არის, იკისროს მშობლისეული ზრუნვის განხორციელება, ეს მოვალეობა უნდა შეასრულოს ალტრუისტული მოტივით. როგორც არ ანაზღაურდება მშობლის ან მშვილებლის მიერ ბავშვზე ზრუნვა, ისე არ ანაზღაურდება მეურვის ან მზრუნველის მიერ იმავე საქმიანობის განხორციელება.
- 2 განსხვავებით გერმანული სამართლისგან, სადაც მეურვედ შერჩეულ პირს, როგორც წესი, არ აქვს უფლება, უარი თქვას ამ ვალდებულების შესრულებაზე² (გარდა რამდენიმე საგამონაკლისო შემთხვევისა³), საქართველოში მეურვის და მზრუნველის დასანიშნად აუცილებელია მათი თანხმობა.⁴ სწორედ ამით შეიძლება აიხსნას, რომ გსკ-ის 1836-ე პარაგრაფი და მეურვეობისა და მზრუნველების ანაზღაურების შესახებ გერმანიის კანონი, მართალია, მიუთითებს ზოგადად მეურვეობის განხორციელების უსასყიდლობაზე, მაგრამ მაინც ითვალისწინებს გარკვეულ შემთხვევებს, როდესაც ეს საქმიანობა ანაზღაურდება, ხოლო საქართველოს სამოქალაქო კოდექსი - მსგავს გამონაკლისებს არ შეიცავს. გერმანიაში მეურვის საქმიანობის ანაზღაურების წესის შემოღება უკავშირდება საკონსტიტუციო სასამართლოს 1980

¹ *შენგელია*, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1288, გვ. 328.

² იხ. ამასთან დაკავშირებით, მაგალითად, *Spickhoff*, in *Münchener Kommentar BGB*, 8. Auflage 2020, § 1785 Rn. 1 ff; *Bettin*, in *BeckOK BGB*, 57. Ed. 1.2.2021, § 1785 Rn. 1 ff; *Fritsche, I./Katzenstein, H./Lohse, K.*, in *Kaiser/Schnitzler/Friederici/Schilling, BGB - Familienrecht*, 4. Auflage 2021 § 1785 Rn. 1 ff.

³ გამონაკლისებისთვის იხ., მაგალითად, *Spickhoff*, in *Münchener Kommentar BGB*, 8. Auflage 2020, § 1786 Rn. 1 ff; *Bettin*, in *BeckOK BGB*, 57. Ed. 1.2.2021, § 1786 Rn. 1 ff; *Fritsche, I./Katzenstein, H./Lohse, K.*, in *Kaiser/Schnitzler/Friederici/Schilling, BGB - Familienrecht*, 4. Auflage 2021 § 1786 Rn. 1 ff.

⁴ იხ. 1281-ე მუხლის კომენტარი, მე-10 და მომდევნო ველები.

ნლის გადაწყვეტილებას.⁵ მაგრამ საქმე ისაა, რომ გსკ უკვე ითვალისწინებდა მეურვის მიერ განეული ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნას და სასამართლოს ჰქონდა უფლება მეურვეობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით დაემტკიცებინა მეურვის საათობრივი ანაზღაურება (თუ სამეურვეო პირს გააჩნდა რაიმე სახის ქონება). საკონსტიტუციო სასამართლომ აღიარა ასევე იმ პირის მიერ სახელმწიფოს მიმართ საათობრივი ანაზღაურების მოთხოვნა, რომელსაც დაავალეს რამდენიმე პირის მეურვეობა და ის ამ საქმიანობას ახორციელებს, როგორც მხოლოდ საკუთარი პროფესიის ნაწილს (მაგალითად, ადვოკატი, რომელიც მეურვეობას უწევს რამდენიმე არასრულწლოვანს). საკონსტიტუციო სასამართლოს ამ გადაწყვეტილებამ საბოლოოდ ნაშალა რეალური ზღვარი ხარჯებისა და საათობრივი ანაზღაურების მოთხოვნებს შორის.⁶ საქართველოში მსგავსი მსჯელობის გადმოტანა თავიდანვე გამორიცხულია, რადგანაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მეურვის ან მზრუნველის მიერ ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნას არ იცნობს, ხოლო 1288-ე მუხლი ამ საქმიანობის განხორციელების სრულ უსასყიდლოებაზე მიუთითებს.

იმ მეურვის ან მზრუნველის დასაცავად, რომელმაც, მართალია, თავის დროზე განაცხადა თანხმობა არასრულწლოვანზე უსასყიდლოდ ზრუნვაზე, მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ ეკონომიკურად აღარ შეუძლია ამ ვალდებულების შესრულების გაგრძელება, გამოიყენება 1299 II მუხლი. იხ. ამასთან დაკავშირებით 1299-ე მუხლის კომენტარი.

მეურვეობისა და მზრუნველობისგან განსხვავებით, შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ საქართველოს კანონის 75-ე მუხლით, მინდობით აღზრდელი იღებს აღსაზრდელის საქიროებების დაკმაყოფილებისთვის აუცილებელი ხარჯების⁷ ანაზღაურებას და სოციალურ დახმარებას. ეს შეიძლება აიხსნას იმით, რომ ასეთ დროს მინდობით აღზრდელი მოქმედებს, როგორც მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ „დასაქმებული“⁸ პირი. შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ საქართველოს კანონის 75 III მუხლით მას ეს

⁵ BVerfGE 54, 251.

⁶ Fröschle, in Münchener Kommentar BGB, 8. Auflage 2020, § 1836 Rn. 4.

⁷ Bettin, in BeckOK BGB, 57. Ed. 1.2.2021, § 1836 Rn. 12.

⁸ Klos, H. D., Schneider/Volpert/Fölsch, Gesamtes Kostenrecht 2. Auflage 2017, Vergütung des Betreuers, Vormunds und Verfahrenspflegers Rn. 164.

საქმიანობა ეთვლება შრომით სტაჟში და ბუნებრივია, იღებს კიდევ შე-საბამის ანაზღაურებას. მინდობით აღმზრდელის მსგავსად ანაზღაუ-რების მოთხოვნა მეურვისა და მზრუნველის საქმიანობისთვის გაუმა-რთლებელია, რადგანაც ამ საქმიანობათა შესრულება ეფუძნება განს-ხვავებულ სანყისებს. მეურვე და მზრუნველი ახორციელებს მშობლი-სეულ ზრუნვას და მასსა და ბავშვს შორის წარმოიშობა მჭიდრო საო-ჯახოსამართლებრივი ურთიერთობა, ხოლო მინდობით აღმზრდელი მოქმედებს როგორც მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მოვა-ლეობების უშუალო შემსრულებელი და ფაქტობრივად, როგორც ამ ორგანოს მიერ „დასაქმებული“.

- 5** მეურვის ან მზრუნველის მიერ ხარჯების დასაფარად სამეურვეო-/სამზრუნველო პირის ქონების არამართლზომიერად გამოყენების შე-მთხვევაში ამ უკანასკნელს გააჩნია იგივე მოთხოვნები, რაც ექნებოდა მშობლის მიმართ.⁹

⁹ ზოგადად, მეურვისა და მზრუნველის უფლებასთან დაკავშირებით, გამოიყენოს არასრულწლოვნის ქონება მისი აღზრდისთვის საჭირო ხარჯების დასაფარად, იხ. 1289-ე მუხლის კომენტარი, მე-7 ველი.

მუხლი 1289. მეურვის, მზრუნველისა და მხარდამჭერის მოვალეობები

1. მეურვე/მზრუნველი ვალდებულია იზრუნოს სამეურვეო პირის/სამზრუნველო პირის რჩენაზე, შეუქმნას მას აუცილებელი ყოფითი პირობები, უზრუნველყოს ის მოვლითა და მკურნალობით, დაიცვას მისი უფლებები და ინტერესები.

2. მხარდამჭერი ვალდებულია თვალყური ადევნოს მხარდაჭერის მიმღების მუდმივ სამედიცინო მომსახურებას, დაადგინოს მისი სურვილები/არჩევანი და დაეხმაროს მას შესაბამისი გადანყვეტილების მიღებაში, რაც გამოიხატება გადანყვეტილების მისაღებად აუცილებელი ინფორმაციის მხარდაჭერის მიმღებისათვის გასაგები საკომუნიკაციო ფორმით მიწოდებაში. მხარდამჭერი აგრეთვე ვალდებულია მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ დადგენილ ვადაში, რომელიც 6 თვეს არ უნდა აღემატებოდეს, აღნიშნულ ორგანოს მიაწოდოს სასამართლოს გადანყვეტილებით მისთვის განსაზღვრული მოვალეობების შესრულების შესახებ ინფორმაცია. ამ ინფორმაციაში მხარდამჭერი მიუთითებს მის მიერ მხარდაჭერის განწევასთან დაკავშირებულ თავისებურებებს.

*საქართველოს 2007 წლის 18 დეკემბრის კანონი №5624 - სსმ I, №48, 27.12.2007წ., მუხ.414
საქართველოს 2015 წლის 20 მარტის კანონი №3339 - ვებგვერდი, 31.03.2015წ.*

- I. მეურვისა და მზრუნველის მოვალეობები.....519
 - 1. აღზრდის ვალდებულება.....521
 - 2. უფლებების დაცვა.....521
- II. მხარდამჭერის მოვალეობები523
 - 1. სამედიცინო მომსახურების მეთვალყურეობა523
 - 2. გადანყვეტილების მიღებაში დახმარება524
 - 3. ინფორმირების ვალდებულება525

I. მეურვისა და მზრუნველის მოვალეობები

1289 I მუხლი ჩამოთვლის არასრულწლოვნის მეურვისა და მზრუნველის რამდენიმე მნიშვნელოვან ვალდებულებას.¹ მიუხედავად ამისა,

1

¹ შენგელია/შენგელია, საოჯახო სამართალი, მეორე გამოცემა, 2011, გვ. 367.

1289 I მუხლი მაინც არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს მეურვისა და მზრუნველის მოვალეობათა დამდგენ ძირითად ნორმად. ასეთს წარმოადგენს 1275 I მუხლი, რომელიც ადგენს, რომ არასრულწლოვანს მეურვე თუ მზრუნველი ენიშნება „ალსაზრდელად, პირადი და ქონებრივი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად“. სწორედ ამ ვალდებულებათა დაკონკრეტება ხდება 1289 I მუხლით. შესაბამისად, აქ არსებული ჩამონათვალის გავრცობა უპრობლემოდ შეიძლება. უფრო მეტიც, 1289 I მუხლში არსებული უზოგადესი ჩანაწერი „დაიცვას მისი უფლებები და ინტერესები“, ფაქტობრივად, აზრს უკარგავს ცალკეული ვალდებულებების ჩამოთვლას და მათ მხოლოდ ნაწილობრივ დაკონკრეტებას.

- 2 საბოლოოდ, მეურვისა და მზრუნველის მოვალეობები უნდა დაიყოს 1275 მუხლში დასახელებულ სამ სფეროდ და 1289 I მუხლიც 1275 I მუხლის პრიზმაში უნდა იქნეს ნაკითხული. ამასთან, თითოეული ვალდებულებიდან გამომდინარეობს ასევე მეურვისა და მზრუნველის უფლებაც, შეუფერხებლად განახორციელოს ამ ვალდებულებების შესასრულებლად საჭირო ქმედებები. იხ. ამასთან დაკავშირებით დეტალურად 1275-ე მუხლის კომენტარი.
- 3 ისევე, როგორც მშობელი, მეურვეც დამოუკიდებლად² ახორციელებს ბავშვზე ზრუნვას, მაგრამ ექვემდებარება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მხრიდან უფრო მკაცრ კონტროლს.³ ის არ ემორჩილება არავის, მათ შორის, არც ბავშვის ნათესავების მითითებებს.⁴
- 4 მიუხედავად მეტწილად ერთი და იმავე უფლებებისა და ვალდებულებებისა, მეურვის სამართლებრივი პოზიცია გამომდინარეობს არა კონსტიტუციურსამართლებრივი ან ბუნებითი სამართლის პოზიციებიდან, არამედ ბავშვის საუკეთესო ინტერესების უზრუნველყოფის მიზნიდან.⁵
- 5 1289 I მუხლი არ გამოიყენება სრულწლოვანი პირის მზრუნველზე. ასეთ დროს სამზრუნველო პირის პირადი და ქონებრივი უფლებების დაცვის ვალდებულება გამომდინარეობს 1275 II მუხლიდან.

² BGHZ 17, 116 = NJW 1955, 867; BGH DNotZ 1967, 322.

³ *Bettin*, in BeckOK BGB, 57. Ed. 1.2.2021, § 1793 Rn. 1.

⁴ RG JW 1912, 68; LG Kiel MDR 1955, 37.

⁵ *Spickhoff*, in Münchener Kommentar BGB, 8. Auflage 2020, § 1793 Rn. 6.

1. აღზრდის ვალდებულება

მეურვესა და მზრუნველს ეკისრებათ ბავშვის აღზრდის ვალდებულება.⁶ ეს მოიცავს ყველა იმ ასპექტს, რომელიც მშობლის მიერ ბავშვის აღზრდას განეკუთვნება.⁷ აქედან გამომდინარეობს მეურვის უფლება, მოსთხოვოს ბავშვს გარკვეული ქმედებების შესრულება ან მათგან თავის შეკავება, განსაზღვროს მისი საცხოვრებელი ადგილი, განათლების სფერო და ა. შ.⁸ ეს ყველაფერი უნდა განხორციელდეს ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე და იმავე ფარგლებში, რა ფარგლებშიც მშობლებს გააჩნიათ მოქმედების თავისუფლება. მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი მშობლისეული აღზრდის სათანადოდ ჩანაცვლება.

6

2. უფლებების დაცვა

გარდა აღზრდისა, მეურვე/მზრუნველი ვალდებულია, დაიცვას სამეურვეო/სამზრუნველო პირის პირადი და ქონებრივი უფლებები. ამას იგი, უპირველეს ყოვლისა, უზრუნველყოფს კანონიერი წარმომადგენლობის განხორციელებით. გარდა ამისა, მეურვესა და მზრუნველს აქვთ ვალდებულება, შეძლებისდაგვარად შეინარჩუნონ და გაზარდონ არასრულწლოვნის ქონება.⁹

7

1288-ე მუხლიდან გამომდინარე, არ ანაზღაურდება არც მეურვისა და მზრუნველის საქმიანობა საათობრივად და არც მათ მიერ გაღებული ხარჯები.¹⁰ მაგრამ ეს არ გამორიცხავს სამეურვეო/სამზრუნველო პირის ქონების გამოყენებას (მისი რეალიზაციის ჩათვლით – თუ ქონების შემოსავალი საკმარისი არ არის), როდესაც ეს აუცილებელია თა-

8

⁶ *შენგელია/შენგელია*, საოჯახო სამართალი, მეორე გამოცემა, 2011, გვ. 370.

⁷ *Veit*, in *Staudinger BGB, Neubearbeitung 2014*, § 1793 Rn. 2.

⁸ *Spickhoff*, in *Münchener Kommentar BGB*, 8. Auflage 2020, § 1793 Rn. 3.

⁹ *RG JW 1912*, 67; *BayObLGZ 22*, 146 = *JW 1923*, 517.

¹⁰ იხ. ამასთან დაკავშირებით 1288-ე მუხლის კომენტარი.

ვად არასრულწლოვნის რჩენისთვის და მეურვეს თავად არ გააჩნია საკმარისი თანხები.¹¹ აღნიშნული არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს არასრულწლოვნის ქონებრივი ინტერესების დარღვევად. ბავშვის ქონებრივმა ინტერესმა შეიძლება გარკვეულ შემთხვევაში უკან დაიხიოს მისი აღზრდის საჭიროებების წინაშე.¹²

9 მეურვეს/მზრუნველს ეკისრება არასრულწლოვნის პიროვნული და ქონებრივი უფლებების დაცვის ზოგადი მოვალეობა.¹³ მაშინაც კი, როდესაც არასრულწლოვანი არის კომპანიაში წილის მფლობელი, მეურვეს/მზრუნველს არ ევალება ისეთი სპეციალური ვალდებულებების განხორციელება, როგორებიცაა, მაგალითად, კომპანიის ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა.¹⁴

10 მეურვეს/მზრუნველს გააჩნია მფლობელობის უფლება სამეურვეო/სამზრუნველო პირის ქონებაზე.¹⁵ შესაბამისად, ისაა ვალდებული, უზრუნველყოს ამ ქონების დაცვა. გამოთხოვის უფლება განხორციელებადაც, მათ შორის, თავად სამეურვეო/სამზრუნველო პირის მიმართაც.¹⁶ თუ მეურვე/მზრუნველი სამეურვეო/სამზრუნველო პირს გადასცემს ნივთს, ეს უკანასკნელი, როგორც წესი, მიიჩნევა მჭერად.¹⁷ თუმცა, საგამონაკლისო შემთხვევებში - სამეურვეო/სამზრუნველო პირის პიროვნული განვითარების დონიდან გამომდინარე - შესაძლოა მან მოიპოვოს პირდაპირი მფლობელობა.¹⁸

¹¹ BGH MDR 1967, 473; BayObLG 1923, 517; Götz, in Palandt, Bürgerliches Gesetzbuch, 78. Auflage 2019, § 1793 Rn. 4; Zimmermann, in Soergel, Kommentar BGB, 13. Auflage 2000, § 1793 Rn. 5; Veit, in Staudinger BGB, Neubearbeitung 2014, § 1793 Rn. 17.

¹² KG JFG 13, 183 (187); JW 1938, 1169; LG Kiel MDR 1955, 37.

¹³ Spickhoff, in Münchener Kommentar BGB, 8. Auflage 2020, § 1793 Rn. 20.

¹⁴ Zimmermann, in Soergel, Kommentar BGB, 13. Auflage 2000, § 1793.

¹⁵ Bettin, in BeckOK BGB, 57. Ed. 1.2.2021, § 1793 Rn. 5.

¹⁶ BGHZ 12, 389 = NJW 1954, 918; Götz, in Palandt, Bürgerliches Gesetzbuch, 78. Auflage 2019, § 1793 Rn. 4.

¹⁷ Spickhoff, in Münchener Kommentar BGB, 8. Auflage 2020, § 1793 Rn. 19.

¹⁸ Zimmermann, in Soergel, Kommentar BGB, 13. Auflage 2000, § 1793 Rn. 5; Veit, in Staudinger BGB, Neubearbeitung 2014, § 1793 Rn. 18.

II. მხარდამჭერის მოვალებები

განსხვავებით 1289 I მუხლისგან, 1289 II მუხლი არის მხარდამჭერის მოვალებების დამდგენი ძირითადი ნორმა. იგი განსაზღვრავს ისეთ ვალდებულებებს, როგორცაა მხარდაჭერის მიმღების მუდმივი სამედიცინო მომსახურების მეთვალყურეობა; მხარდაჭერის მიმღების სურვილების დადგენა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებაში დახმარება; მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსათვის დადგენილ ვადაში ინფორმაციის მიწოდება მხარდამჭერის მოვალებების შესრულების შესახებ.

11

1. სამედიცინო მომსახურების მეთვალყურეობა

ზოგადად, მხარდამჭერის მოვალება მხარდაჭერის მიმღების მიმართ ამ უკანასკნელის სამართლებრივ საკითხებში დახმარებით შემოიფარგლება. მხარდამჭერის მოვალება არ არის მხარდაჭერილის მოვლა და მისი მატერიალური უზრუნველყოფა. ამას ადასტურებს მე-12 მუხლის ნორმატიული შინაარსიც, რომელიც მიუთითებს, რომ ფსიქოსოციალური საჭიროება განპირობებული უნდა იყოს ფსიქიკური ან ინტელექტუალური/გონებრივი დარღვევის სხვა დაბრკოლებებთან ურთიერთქმედების გამო და გართულებული უნდა იყოს ნების თავისუფლად გამოხატვა¹⁹ და სასამართლოს მიერ განსაზღვრულ სფეროებში გააზრებული გადაწყვეტილების მიღება. ნორმაში ნახსენებ ნების გამოხატვას არ შეიძლება სხვა შინაარსი გააჩნდეს, გარდა გარიგებისმიერისა. ამდენად, ხსენებულ ნორმაში საუბარია ნებაზე, რომელიც სამართლებრივი შედეგის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისკენ არის მიმართული და სწორედ ამ პროცესში დახმარებაა მხარდამჭერის მთავარი ფუნქცია. თუმცა, რიგ შემთხვევაში იგი შესაძლოა ვალდებულებული იყოს მხარდაჭერის მიმღების პატრონობაზე, როდესაც არსებობს აუცილებელი და გადაუდებელი საჭიროება, მაგალითად, თუკი მხარდა-

12

¹⁹ ტერმინოლოგიურად უფრო სწორია ნების გამოვლენა. ნების გამოვლენა გულისხმობს ნების როგორც ფორმირების, ისე მისი გამოხატვის პროცესს. მხარდამჭერმა კი რიგ შემთხვევაში შესაძლოა მონაწილეობა მიიღოს ასევე ნების ფორმირების ეტაპზეც.

ჭერის მიმღები ახორციელებს რაიმე მისთვის საზიანო ქმედებას, რომელიც შინაარსობრივად სამართლებრივი არ არის, თუმცა მხარდამჭერისთვის აშკარაა, რომ მას ნეგატიური შედეგი მოჰყვება. ასეთ დროს მხარდამჭერი ვალდებულია, აღკვეთოს მოსალოდნელი საფრთხე და დაიცვას მხარდაჭერის მიმღები. ამგვარი ვალდებულება კონკრეტულ ვითარებაში წარმოიშობა და ის არ გულისხმობს მხარდამჭერის მუდმივ კონტროლს. რა თქმა უნდა, მხარდამჭერი შესაძლოა ითავსებდეს მომვლელის ფუნქციასაც, თუმცა ეს არის მისი სრულიად სხვა საფუძვლით წარმომდგარი და ნაკისრი ვალდებულება და ამ თვალსაზრისით იგი განცალკევებულია მხარდამჭერის უფლება-მოვალეობებისაგან. ერთი შეხედვით, სამედიცინო მეთვალყურეობა შესაძლოა აღქმული იყოს, როგორც მხარდაჭერის მიმღების მოვლა-პატრონობა, თუმცა თავისი ხასიათით მუდმივი სამედიცინო მომსახურების მეთვალყურეობას გააჩნია უფრო მეტად სამართლებრივი შინაარსი და ის აუცილებელი გარეგნის (სამედიცინო მომსახურების) შესრულების კონტროლში გამოიხატება. ამას ადასტურებს ისიც, რომ საუბარია მუდმივ სამედიცინო მომსახურებაზე, რაც მიუთითებს მხარდაჭერის მიმღებისთვის აუცილებელ საჭიროებაზე. გარდა ამისა, ამ ტიპის მეთვალყურეობას მოვლა-პატრონობის იმდენად მინიმალური ხასიათი აქვს, რომ იგი ვერ გამოაცლის ამ მოქმედებას სამართლებრივ შინაარსს და კითხვის ნიშნის ქვეშ არ აყენებს მხარდაჭერის ძირითად არსს.

2. გადაწყვეტილების მიღებაში დახმარება

- 13** მხარდამჭერის ერთ-ერთი ვალდებულებაა, დაადგინოს მხარდაჭერის მიმღების სურვილები/არჩევანი და დაეხმაროს მას შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებაში, რაც გამოიხატება გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელი ინფორმაციის მიწოდებაში, მხარდაჭერის მიმღებისათვის გასაგები საკომუნიკაციო ფორმით.
- 14** როგორც ზემოთ აღინიშნა, მხარდამჭერის ყველა ფუნქცია მხარდაჭერის მიმღების სამართლებრივ უზრუნველყოფაში გამოიხატება. სწორედ ასეთი ხასიათი აქვს მხარდამჭერის რჩევასა და დახმარებას მხარდაჭერის მიმღების მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში. მხარდაჭერის ეს ვალდებულება მოცემულ ნორმაში ზოგადად არის განსაზღვრული და მისი დაკონკრეტებაა, მაგალითად, 1293 III მუხლი,

რომელიც ადგენს მხარდამჭერის მიერ გარიგების პირობების ჩამოყალიბებაში მონაწილეობისა და სამართლებრივი შედეგების სრულყოფილად აღქმის ვალდებულებას.

ნორმაში გადანაცვლებების მიღებაში დახმარება დაზუსტებულია, როგორც გადანაცვლებების მისაღებად აუცილებელი ინფორმაციის მხარდაჭერის მიმღებისათვის გასაგები საკომუნიკაციო ფორმით მიწოდება, რაც სრულებით ზედმეტია, ვინაიდან ბუნებრივია, რომ ნებისმიერი კომუნიკაცია, რომელიც მხარდამჭერსა და მხარდაჭერის მიმღებს შორის შეიძლება შედგეს, უნდა განხორციელდეს მხარდაჭერის მიმღებისთვის გასაგები საკომუნიკაციო ფორმით. მხარდამჭერის მხრიდან დახმარება თავისი არსით სწორედ ინფორმირებას გულისხმობს. არასწორი კომუნიკაციის გზით ინფორმირება კი ვერ ჩაითვლება ინფორმირებად და, შესაბამისად, ვერც დახმარებად. ამდენად, ჩანაწერი უსარგებლოა და ზედმეტად ტვირთავს ნორმას.

15

3. ინფორმირების ვალდებულება

მხარდამჭერი ვალდებულია, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ დადგენილ ვადაში (რომელიც არ უნდა აღემატებოდეს ექვს თვეს), მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიაწოდოს ინფორმაცია მის მიერ შესრულებული მოვალეობების შესახებ. კერძოდ, მხარდამჭერმა უნდა წარადგინოს ინფორმაცია, რომელშიც მითითებული უნდა იყოს მხარდამჭერის მიერ მხარდაჭერის განვევასთან დაკავშირებული თავისებურებები.

16

ამგვარი ვალდებულება გამართლებულია მხარდაჭერის ეფექტიანი უზრუნველყოფის მიზნებით. ეს ვალდებულება, ერთი მხრივ, ერთგვარი მასტიმულირებელია მხარდამჭერისთვის და გარკვეულწილად თვითშეფასების ფუნქციაც აკისრია. მეორე მხრივ კი, იგი უფრო ამარტივებს მზრუნველობისა და მეურვეობის ორგანოს ზედამხედველობას მხარდაჭერაზე.

17

მუხლი 1290. მეურვისა და მზრუნველის წარმომადგენლობითი უფლებამოსილება

მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ განსაზღვრული მეურვე და მზრუნველი, რომელიც დანიშნულ იქნა სამეურვეო/სამზრუნველო პირის კანონიერ წარმომადგენლად, განსაკუთრებული უფლებამოსილების გარეშე წარმოადგენს სამეურვეო/სამზრუნველო პირის უფლებებსა და ინტერესებს მესამე პირებთან ურთიერთობაში, მათ შორის, სასამართლოში.

(ძალადაკარგულია 1290-ე მუხლის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც შეეხება სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ აღიარებული პირის მეურვის მიერ სამეურვეო პირის უფლებებისა და ინტერესების წარმოდგენას მესამე პირებთან ურთიერთობაში, მათ შორის, სასამართლოში) - საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილება №2/4/532,533 – ვებგვერდი, 28.10.2014წ.

I. ზოგადი	526
1. ნორმის მიზანი.....	526
2. „უფლებების და ინტერესების წარმოდგენა“	527
II. კანონიერი წარმომადგენლობის შინაარსი.....	527
III. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება	528

I. ზოგადი

1. ნორმის მიზანი

- 1** 1290-ე მუხლი განსაზღვრავს მეურვისა და მზრუნველის კანონისმიერ წარმომადგენლობით უფლებამოსილებას.¹ ამ თვალსაზრისით, მეურვეობა და მზრუნველობა მნიშვნელოვნად განსხვავდება მხარდაჭერისაგან, რა დროსაც, მხარდამჭერი წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით არ არის აღჭურვილი და მისი ფუნქცია არა მხარდაჭერის მიმღების ნაცვლად ნების გამოვლენაში, არამედ მის სათანადო რჩევაში გამოიხატება.

¹ შენგელია/შენგელია, საოჯახო სამართალი, მეორე გამოცემა, 2011, გვ. 372.

2. „უფლებების და ინტერესების წარმოდგენა“

ნორმაში აღნიშნულია, რომ მეურვე და მზრუნველი წარმოადგენს „პირის უფლებებსა და ინტერესებს“ მესამე პირებთან ურთიერთობაში და ეს გამომდინარეობს მისი კანონიერი წარმომადგენლობითი უფლებამოსილებიდან. თუმცა, ზოგადად წარმომადგენლობა (როგორც გარიგებისმიერი, ისე კანონიერი) გულისხმობს არა უფლებებისა და ინტერესების, არამედ უშუალოდ პირის წარმოდგენას. წარმოდგენილის ინტერესების შესაბამისად მოქმედება კი წარმომადგენლის ვალდებულებაა.

2

II. კანონიერი წარმომადგენლობის შინაარსი

მეურვე და მზრუნველი სამეურვეო და სამზრუნველო პირის კანონიერი წარმომადგენლები არიან, რომლებიც კანონის და არა რაიმე ხელშეკრულების საფუძველზე ახორციელებენ კანონისმიერ წარმომადგენლობას. მეურვე ქმედუუნარო არასრულწლოვნის სახელით ავლენს ნებას, მზრუნველი კი აძლევს თანხმობას შეზღუდული ქმედუუნარიანობის მქონე არასრულწლოვანს გარიგების დასადებად.² მზრუნველს აქვს უფლება მისცეს სამზრუნველო პირს გარიგების დადების ნებართვა ან მოიწონოს უკვე დადებული გარიგება. მზრუნველს ასევე უფლება აქვს, სამზრუნველო პირის სახელით დადოს გარიგება.³

3

1290-ე მუხლი ასევე მიუთითებს სამეურვეო/სამზრუნველო პირის წარმოდგენას სასამართლოში. საპროცესოსამართლებრივ წარმომადგენლობას, რომელიც კანონიერი წარმომადგენლობიდან გამომდინარეობს, ანესრიგებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 101-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც, ქმედუუნარო მოქალაქის, აგრეთვე შეზღუდული ქმედუუნარიანობის მქონე მოქალაქის უფლებებსა და კანონით დაცულ ინტერესებს სასამართლოში იცავენ მათი მშობლები, მშვილებლები, მეურვეები და მზრუნველები, რომლებიც წარუდგენენ

4

² შენგელია, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1290, გვ. 334.

³ 1293-ე მუხლის ანალოგიტ გამოყენებასთან დაკავშირებით იხ. ამ მუხლის კომენტარი.

სასამართლოს თავიანთი უფლებამოსილების დამადასტურებელ დოკუმენტებს (სსკ-ის 101 I მუხლი). აღნიშნულ ნორმაში სამოქალაქო კოდექსის 1290-ე მუხლისაგან განსხვავებით უფლებებთან და ინტერესებთან მიმართებით სწორად არის გამოყენებული არა სიტყვა წარმოდგენა, არამედ დაცვა.

- 5 მეურვესა და მზრუნველს, როგორც კანონიერ წარმომადგენლებს აქვთ უფლება, სრულად განახორციელონ ის წარმომადგენლობითი უფლებამოსილება, რომლებიც აქვთ მშობლებს⁴ (კოდექსით დადგენილი შეზღუდვების გათვალისწინებით - მაგალითად, 1294-ე მუხლით გათვალისწინებული ნებართვის შემთხვევაში). შესაბამისად, ეს გულისხმობს, მაგალითად, არა მხოლოდ სასამართლოში, არამედ ნებისმიერ ადმინისტრაციულ ორგანოში წარმომადგენლობასაც.⁵

III. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება

- 6 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის №2/4/532, 533 გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი 1290-ე მუხლის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც შეეხებოდა სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ აღიარებული პირის მეურვის მიერ სამეურვეო პირის უფლებებისა და ინტერესების წარმოდგენას მესამე პირებთან ურთიერთობაში, მათ შორის, სასამართლოში. გადაწყვეტილების შედეგად, ფსიქიკური ან ინტელექტუალური დარღვევების მქონე პირები ამორიცხულ იქნენ ქმედუუნარო პირის სამართლებრივი ცნებიდან. კანონმდებელმა კი ამგვარ პირთა მიმართ ახალი ტერმინი - მხარდაჭერის მიმღები - დაამკვიდრა, ამასთანავე, შემოიღო მხარდაჭერის ინსტიტუტი.⁶ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შედეგად სამოქა-

⁴ *Spickhoff*, in Münchener Kommentar BGB, 8. Auflage 2020, § 1793 Rn. 22.

⁵ *Bettin*, in BeckOK BGB, 57. Ed. 1.2.2021, § 1793 Rn. 6; *შენგელია/შენგელია*, საოჯახო სამართალი, მეორე გამოცემა, 2011, გვ. 372.

⁶ ამასთან დაკავშირებით იხ. 1277¹ მუხლის კომენტარი.

ლაქო კოდექსის 1290-ე მუხლის მოქმედების სფეროს მიღმა დარჩა მხარდაჭერის მიმღები, რომელიც მანამდე მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით ტერმინ ქმედუუნაროს ცნების ქვეშ მოიაზრებოდა.

კონსტიტუციურ სარჩელებში მოსარჩელე მხარე სადავოდ ხდისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის იმ ნორმებს, რომლებიც არეგულირებდნენ სასამართლოს მიერ პირის ქმედუუნაროდ აღიარებასთან დაკავშირებულ პროცედურებს, მეურვის და მზრუნველის უფლება-მოვალეობებსა და ქმედუუნაროდ აღიარებულ პირთან დაკავშირებულ საკითხებს.⁷ **7**

მოსარჩელე მიუთითებდა კანონმდებლობის ხარვეზზე, რომელიც არ ითვალისწინებდა გონებრივი ჩამორჩენილობისა და სულიერი აშლილობის მქონე პირებს შორის არსებით განსხვავებას. რა შემთხვევაშიც ხსენებული პირები, ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინების გარეშე, სრულად იყვნენ მოკლებულნი შესაძლებლობას, დამოუკიდებლად მიეღოთ გადაწყვეტილება. **8**

ამასთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ ქმედუუნაროდ აღიარებულ პირებს და სხვა სრულწლოვან პირებს, რომელთაც არ აქვთ შეზღუდული გონებრივი შესაძლებლობები, ერთმანეთის თანაბრად აქვთ ყოფილი სამოქალაქო სასამართლებრივი გარიგებების დადების მოთხოვნილება და იმ გარიგებების დადების ნაწილში, რომელთა შინაარსის აღქმა და გაცნობიერება შეუძლიათ ქმედუუნარო პირებს, ეს პირები სხვა სრულწლოვან, ქმედუუნარიან პირებთან მიმართებით არსებითად თანასწორი სუბიექტები არიან.⁸ **9**

სასამართლომ მიუთითა, რომ სამოქალაქო კოდექსის 1290-ე მუხლის მიხედვით, ქმედუუნაროდ აღიარებულ პირს ერთმევა უფლება, წარმოადგინოს საკუთარი თავი მესამე პირებთან ურთიერთობაში, რაც წარმოადგენს ჩარევას ადამიანის პიროვნების თავისუფალი განვითარების მიხედვით, ქმედუუნაროდ აღიარებულ პირს ერთმევა უფლება, წარმოადგინოს საკუთარი თავი მესამე პირებთან ურთიერთობაში, რაც წარმოადგენს ჩარევას ადამიანის პიროვნების თავისუფალი განვითარების მიხედვით. **10**

⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილება №2/4/532,533 საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, ველი 6.

⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილება №2/4/532,533 საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, ველი 100.

რების უფლებაში. სასამართლოს აზრით, ვინაიდან პირი ფორმალურად განუსაზღვრელი ვადით ითვლება სამოქალაქოსამართლებრივი გარიგების დადების უნარის არმქონედ, პრაქტიკულად, სრულად ხდება დამოკიდებული თავის მეურვეზე და ერთმევა უფლება, დამოუკიდებლად მიიღოს მონაწილეობა სამოქალაქო ცხოვრების ყველა სფეროში, მათ შორის, ისეთშიც, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული მის ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებასთან, არსებობასა და განვითარებასთან.⁹

11 სასამართლოს განმარტებით, ყოველი შეზღუდული გონებრივი შესაძლებლობის მქონე პირის ფსიქიკური მდგომარეობა განსხვავებულია და შეუძლებელია კანონმდებლობით ქმედუნარიანობის შეზღუდვის ინდივიდუალური საჭიროებების დეტალურად განსაზღვრა. ასეთ შემთხვევებში, პირზე მზრუნველობის ინტერესებსა და მის პირად ავტონომიას შორის ბალანსის დადგენის მიზნით, აუცილებელია, პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება შეიზღუდოს ობიექტური საჭიროების შემთხვევაში გონებრივი შესაძლებლობების შეზღუდვის ხარისხიდან გამომდინარე.¹⁰

12 სასამართლომ გამოყო ის კრიტერიუმები, რომელსაც გონებრივი და ფსიქიკური დარღვევების მქონე სრულწლოვანი პირების სამართლებრივი დაცვა უნდა ემყარებოდეს. ესენია: 1. სამართლებრივი რეგულირების მოქნილობის პრინციპი, რაც გულისხმობს ისეთი სამართლებრივი ინსტრუმენტების გამოყენებას, რომლებიც უზრუნველყოფენ კონკრეტულ შემთხვევაში პირის ქმედუნარიანობის ხარისხის გათვალისწინებას; 2. ქმედუნარიანობის მაქსიმალური შენარჩუნების პრინციპი, რომელიც შეეხება პირის ქმედუნარიანობის ხარისხის ცვლილების შესაძლებლობას დროთა განმავლობაში. 3. დაცვითი ღონისძიების პირის ქმედუნარიანობის ხარისხთან თანაზომიერების პრინციპი, რომლის მი-

⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილება №2/4/532,533 საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, ველი 9.

¹⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილება №2/4/532,533 საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, ველი 27.

ხედვითაც, ქმედუნარიანობის შეზღუდვისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ქმედუნარიანობის შეზღუდვის კონკრეტული ვითარება და პირის საჭიროებები.¹¹

სასამართლოს მითითებით, შეზღუდული გონებრივი შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის კონკრეტული ხერხების განსაზღვრის პროცესში კანონმდებელმა უნდა შეიმუშავოს იმგვარი მექანიზმი, როგორც სასამართლოს მისცემს შესაძლებლობას, პირის ქმედუუნაროდ აღიარების პროცესში გათვალისწინოს მისი ნებელობითი და ინტელექტუალური დარღვევის ხარისხი სოციალური ცხოვრების კონკრეტულ სფეროებში და სწორედ ამის გათვალისწინებით უზრუნველყოს ამ პირის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა.¹²

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ „ჭკუასუსტობის“ ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებდა „ჭკუასუსტი“ პირის ქმედუუნაროდ მიჩნევას მისი ინდივიდუალური გონებრივი შესაძლებლობების გათვალისწინების გარეშე, არღვევდა კონსტიტუციის მე-2 თავით განმტკიცებულ სხვადასხვა უფლებას.

აღსანიშნავია, რომ გადაწყვეტილებაში სასამართლო მიუთითებს, რომ მეურვის კეთილსინდისიერების პრეზუმფცია ვერ გადაწონის პიროვნების თავისუფალი ნების გამოვლენის თუნდაც მცირე შესაძლებლობის უგულებელყოფას იმ შემთხვევაში, თუ პირს ასეთი უნარი არ აქვს დაკარგული.¹³ სასამართლო მოყვანილ მსჯელობაში არასწორ არგუმენტს იყენებს. კერძოდ, გონებრივი ან ფსიქიკური დარღვევების მქონე პირის მიერ ნების გამოვლენის შესაძლებლობის უგულებელყოფას არც ერთ შემთხვევაში არ გადაწონის მეურვის კეთილსინდისიერების პრეზუმფცია და ეს არც რომელიმე საკანონმდებლო ჩანაწერიდან

¹¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილება №2/4/532,533 საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, ველი 27.

¹² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილება №2/4/532,533 საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, ველი 39.

¹³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილება №2/4/532,533 საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, ველი 34.

არ გამომდინარეობს. მეურვის კეთილსინდისიერების პრეზუმფცია ისეთივე იდეალური პრეზუმფციაა, როგორც, მაგალითად, მოსამართლის კეთილსინდისიერების პრეზუმფცია. იგი განამტკიცებს ისეთ ვარაუდს, რომელსაც პრინციპული მნიშვნელობა აქვს, ანუ როგორ უნდა მოქმედებდეს მეურვე. თუკი პირი დანიშნულია მეურვედ, ივარაუდება კიდეც, რომ ის კეთილსინდისიერად მოქმედებს.

16 ასეთივე ხარვეზს შეიცავს სასამართლოს მსჯელობა უშუალოდ 1290-ე მუხლთან მიმართებითაც. კერძოდ, სასამართლო აღნიშნავს, რომ საკუთარი შინაგანი სამყაროს და გარესამყაროსთან ურთიერთობის შესახებ შეხედულებები იმდენად ინდივიდუალურია, რომ შეუძლებელია ასეთი შეხედულებების სრული თანხვედრა არსებობდეს, თუნდაც სოციალურად თუ ბიოლოგიურად ახლოს მყოფ ადამიანებს შორის. ამდენად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1290-ე მუხლის შესაბამისად, მოქმედი მეურვე, რამდენადაც კეთილსინდისიერად არ უნდა მოქმედებდეს ან რამდენადაც სოციალურად თუ ბიოლოგიურად ახლოს არ უნდა იყოს სამეურვეო პირთან, მისი ნების სრულფასოვანი ჩამნაცვლებელი ვერასოდეს გახდება.¹⁴ ის, თუ რამდენად საჭიროებს პირი ნების ჩანაცვლებას და რამდენად კეთილსინდისიერია მეურვე, ერთმანეთთან ნაკლები კავშირი აქვთ. კერძოდ, პირის ნებაში ჩარევა ხდება არა იმიტომ, რომ კანონმდებელს მეურვის კეთილსინდისიერების იმედი აქვს, არამედ იმიტომ, რომ ასეთ პირს ის ნების არმქონედ მიიჩნევს. სწორედ კანონმდებლის ეს შეხედულება იყო სასამართლოს მიერ შესაფასებელი - ანუ ის, თუ რამდენად იყო უფლებაში ჩარევისას პროპორციულობა დაცული. როდესაც პირს ობიექტურად სრულად აქვს ნართმეული შესაძლებლობა, გამოავლინოს ნება, ამ შემთხვევაში ივარაუდება, რომ მეურვე სწორედაც რომ ნების სრულფასოვანი ჩამნაცვლებელია.

¹⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილება №2/4/532,533 საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, ველი 35.

მუხლი 1291. სამეურვეო არასრულწლოვან პირებთან ერთად ცხოვრების მოვალეობა

1. მეურვე და მზრუნველი მოვალენი არიან იცხოვრონ სამეურვეო (სამზრუნველო) არასრულწლოვან პირთან ერთად. ცალკეულ შემთხვევაში მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ნებართვით შეიძლება მზრუნველისა და სამზრუნველო პირის ცალ-ცალკე ცხოვრება, თუ აღნიშნული ორგანო მივა იმ დასკვნამდე, რომ მათი ცალ-ცალკე ცხოვრება უარყოფით გავლენას არ მოახდენს სამზრუნველო პირის აღზრდაზე, მისი უფლებებისა და ინტერესების დაცვაზე.

2. მეურვე და მზრუნველი ვალდებული არიან საცხოვრებელი ადგილის გამოცვლის შესახებ აცნობონ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს.

3. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული მოვალეობა არ ეკისრება ქმედუნარიანი სრულწლოვნის მზრუნველს და სრულწლოვნის მხარდამჭერს, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

საქართველოს 2015 წლის 20 მარტის კანონი №3339 - ვებგვერდი, 31.03.2015წ.

I. არასრულწლოვანთან ერთად ცხოვრების ვალდებულება.....	533
II. მოვალეობები ცალ-ცალკე ცხოვრებისას.....	535
III. ინფორმირების ვალდებულება	536

I. არასრულწლოვანთან ერთად ცხოვრების ვალდებულება

1291 | 1 მუხლი აწესებს მეურვისა და მზრუნველის ვალდებულებას, იცხოვრონ სამეურვეო/სამზრუნველო არასრულწლოვან პირთან ერთად.¹ მართალია, მათ დამოუკიდებლად² შეუძლიათ შეარჩიონ საკუთარი და ბავშვის საცხოვრებელი ადგილი,³ მაგრამ აუცილებელია, რომ

1

¹ *შენგელია/შენგელია*, საოჯახო სამართალი, მეორე გამოცემა, 2011, გვ. 373; *შენგელია*, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1291, გვ. 335.
² *Spickhoff*, in Münchener Kommentar BGB, 8. Auflage 2020, § 1793 Rn. 6.
³ *Spickhoff*, in Münchener Kommentar BGB, 8. Auflage 2020, § 1793 Rn. 3.

ისინი ერთად ცხოვრობდნენ. თუ პირი არის რამდენიმე არასრულწლოვნის მეურვე ან მზრუნველი, ყველა მათგანი უნდა ცხოვრობდეს ერთად.

2 1291 I 1 მუხლის მიზანია არასრულწლოვნის ინტერესების აბსტრაქტული დაცვა. მეურვე და მზრუნველი, როგორც წესი, მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, სრულყოფილად განახორციელონ საკუთარი მოვალეობები, თუ იცხოვრებენ სამეურვეო/სამზრუნველო პირთან ერთად. აქ იგულისხმება ფაქტობრივი ცხოვრება და არა ერთი იურიდიული მისამართის ქონა. 1291 I მუხლს არ ენიშნა აღმდგეგმა ბავშვის მიერ დროებით სხვასთან სტუმრად ღამის გათევა, რადგანაც ეს არ ნიშნავს სხვაგან ცხოვრებას. ეს დასაშვებია 1291 1 II მუხლით გათვალისწინებული ნებართვის გარეშე. 1291 III მუხლით, სრულწლოვანი პირის მზრუნველი ან მხარდაჭერი, როგორც წესი, არაა ვალდებული, იცხოვროს ამ პირთან ერთად, რადგანაც ამ ვალდებულებათა შესრულებისთვის აბსტრაქტულად არ არის საჭირო ერთად ცხოვრება. ასეთი აბსტრაქტული ვალდებულება შესაძლოა დანესდეს სასამართლოს მიერ. გარდა ამისა, კონკრეტულ შემთხვევებში შესაძლოა წარმოიშვას სრულწლოვან სამზრუნველო ან მხარდაჭერის მიმღებ პირთან ცხოვრება, თუ სხვაგვარად შეუძლებელია ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

3 1291 I 2 მუხლი ითვალისწინებს გამონაკლისს ერთად ცხოვრების ვალდებულებიდან, როდესაც კონკრეტულ შემთხვევაში არ არის საჭირო 1291 I 1 მუხლით გათვალისწინებული აბსტრაქტული დაცვის გამოყენება. ცალ-ცალკე ცხოვრებისთვის საჭიროა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ნებართვა. მაგრამ ეს საკმარისი არ არის. ზოგადი პრინციპიდან და თავად ნორმის მიზნიდან გამომდინარე, გარდა ამისა, საჭიროა, რომ არასრულწლოვნის ინტერესებს რეალურად არ ადგებოდეს ზიანი. ნებართვის გაცემის საკითხი თითოეულ შემთხვევაში ინდივიდუალურად უნდა გადაწყდეს. მაგალითად, ცალ-ცალკე ცხოვრება შეიძლება დასაშვებ იყოს, როდესაც ბავშვი ცხოვრობს ბებიასთან, მაგრამ მეურვეობა მიენიჭება ბებიას მეზობელს, რომელიც არის ოჯახის ახლობელი. ასეთ დროს შესაძლოა არ იყოს საჭირო მეურვისა და სამეურვეო პირის ერთად ცხოვრება. იგივე წესი შეიძლება გავრცელდეს, როდესაც ბავშვი ცხოვრობს სკოლის/უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებელში საგანმანათლებლო დანესებულების შესაბამისი ზედამხედველობის ქვეშ.

მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ნებართვას აქვს კონსტიტუტიური მოქმედება. მტკიცების ტვირთი აწევს დაინტერესებულ მხარეს. მიმართვის უფლება აქვს როგორც მეურვეს, ისე პირს, რომელთანაც უნდა იცხოვროს არასრულწლოვანმა.

4

თუ სამეურვეო/სამზრუნველო პირისა და მეურვის/მზრუნველის ერთად ცხოვრება შეუძლებელია ისე, რომ არასრულწლოვანის ინტერესებს არ შეექმნას საფრთხე, შესაძლებელია მეურვეობის/მზრუნველობის გაუქმება 1299 II მუხლის საფუძველზე.

5

II. მოვალეობები ცალ-ცალკე ცხოვრებისას

თუ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო გასცემს ნებართვას, რომ არასრულწლოვანმა და მეურვემ/მზრუნველმა იცხოვრონ ცალ-ცალკე, აღნიშნული მაინც ისე უნდა განხორციელდეს, რომ ბავშვის ინტერესებს არ შეექმნას საფრთხე. მეურვემ და მზრუნველმა მაინც იმავე მოცულობით უნდა განახორციელონ საკუთარი უფლებები და მოვალეობები, როგორც ამას გააკეთებდნენ სამეურვეო/სამზრუნველო პირთან ცხოვრებისას.

6

მეურვეობისა და მზრუნველობის განხორციელება შეიძლება მხოლოდ პირადად.⁴ ამიტომ შეუძლებელია ამ ვალდებულებათა სხვაზე გადანდობა.⁵ აქედან გამომდინარეობს მეურვის/მზრუნველის ვალდებულება, მუდმივი პირადი კონტაქტი ჰქონდეს არასრულწლოვანთან.⁶ ეს ძალაში რჩება მაშინაც, როდესაც ეს პირები ცალ-ცალკე ცხოვრობენ. პირად კონტაქტში იგულისხმება ყველა ის ღონისძიება, რომლებიც საჭიროა ბავშვზე ზრუნვის ეფექტიანად განსახორციელებლად. მათ შორის, მაგალითად, ბავშვის საცხოვრებლის მონახულება⁷ და აგრეთვე მასთან ისეთ გარემოში შეხვედრა, რომელიც ხელს შეუწყობს არასრულ-

7

⁴ *Fritsche, I./Katzenstein, H./Lohse, K.*, in Kaiser/Schnitzler/Friederici/Schilling, BGB - Familienrecht, 4. Auflage 2021 § 1793 Rn. 8.

⁵ *Kemper, R.*, in Schulze, Bürgerliches Gesetzbuch, 10. Auflage 2019, § 1793 Rn. 1; *Veit*, in Staudinger BGB, Neubearbeitung 2014, § 1793 Rn. 28.

⁶ *Spickhoff*, in Münchener Kommentar BGB, 8. Auflage 2020, § 1793 Rn. 45.

⁷ *Spickhoff*, in Münchener Kommentar BGB, 8. Auflage 2020, § 1793 Rn. 47.

ლწლოვანთან ახლო ურთიერთობის ჩამოყალიბებასა და გაღრმავებას.⁸ მაშინაც კი, როდესაც ცალკე მცხოვრებ არასრულწლოვანს არ გააჩნია რაიმე კონკრეტული იმწუთიერი საჭიროება, რომელიც უნდა დააკმაყოფილოს მეურვემ/მზრუნველმა, ამ უკანასკნელს ეს ფაქტი მაინც არ ათავისუფლებს სამეურვეო/სამზრუნველო პირთან მუდმივი კონტაქტის ვალდებულებისგან. არასრულწლოვნის მდგომარეობის მუდმივი გადამოწმებაც ზრუნვის ნაწილია.

III. ინფორმირების ვალდებულება

- 8** 1291 II მუხლი აწესებს მეურვისა და მზრუნველის ვალდებულებას, აცნობოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს საცხოვრებელი ადგილის შეცვლის შესახებ. მუხლის მიზანია, ორგანომ ნებისმიერ დროს შეძლოს მეურვეობის/მზრუნველობის ზედამხედველობა.
- 9** გარდა ერთად ცხოვრებისა, შეტყობინების ვალდებულება ვრცელდება ასევე 1291 I 2 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებზე, როდესაც მერუვე/მზრუნველი და არასრულწლოვანი სხვადასხვა ადგილას ცხოვრობენ. ასეთ დროს მეურვემ/მზრუნველმა უნდა შეატყობინოს ორგანოს როგორც საკუთარი, ასევე ბავშვის საცხოვრებლის ცვლილების შესახებ. თუ სამეურვეო/სამზრუნველო პირი არ ცხოვრობს მეურვესთან/მზრუნველთან, მაშინ ის პირები, რომელთანაც ცხოვრობს არასრულწლოვანი, 1291 II მუხლის ანალოგიით, ვალდებული არიან აცნობონ საცხოვრებელი ადგილის ცვლილების შესახებ როგორც მეურვეს/მზრუნველს, ისე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს.

⁸ BR-Drs. 537/10, 5.

მუხლი 1292. მხარდამჭერის მოვალეობა მხარდაჭერის დანიშვნის საფუძვლის არარსებობისას ან შეცვლისას

მხარდამჭერი ვალდებულია სასამართლოს დაუყოვნებლივ მიმართოს შუამდგომლობით მხარდაჭერის ფარგლების შეცვლის/მხარდაჭერის გაუქმების შესახებ, თუ აღარ არსებობს ან შეიცვალა ის საფუძველი, რომლის გამოც მხარდაჭერის მიმღებს მხარდაჭერა დაუწესდა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მხარდაჭერის მიმღებმა ან მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანომ უკვე მიმართა სასამართლოს.

საქართველოს 2015 წლის 20 მარტის კანონი №3339 - ვებგვერდი, 31.03.2015წ.

I. ზოგადი	537
II. მიმართვის ვალდებულება	538
1. ვალდებულების წარმოშობა	538
2. მიმართვის ფორმა	539
3. ვალდებულების გამორიცხვა	539
III. განხილვის პროცედურა	539
IV. ზიანის ანაზღაურება ვალდებულების დარღვევისას	539

I. ზოგადი

1292-ე მუხლის მიზანია მხარდაჭერის მიმღების ინტერესების დაცვა რეალური საჭიროების ცვლილებისას მხარდაჭერის ფარგლების მათთან შესაბამისობაში მოყვანის გზით. ამ მიზნით 1292-ე მუხლი განსაზღვრავს მხარდამჭერის სავალდებულო მოქმედებებს მხარდაჭერის დანიშვნის საფუძვლის გაქრობის ან ცვლილების შემთხვევაში. როდესაც მხარდაჭერის მიღების საჭიროება მცირდება ან ქრება, ნორმა იცავს მხარდაჭერის მიმღებს მისი თავისუფალი განვითარების სფეროში უსაფუძვლო ჩარევისაგან. ხოლო როდესაც საჭიროება იზრდება, ასეთ დროს ნორმა უზრუნველყოფს სრულყოფილი მხარდაჭერის მიღებას. სწორედ ამიტომ, ნორმით დადგენილია მხარდამჭერის ვალდებულება, მიმართოს სასამართლოს მხარდაჭერის დაწესების გადასინჯვის მოთხოვნით, რაც ერთადერთი გზაა მხარდაჭერის ფარგლების რეალურ საჭიროებასთან შესაბამისობაში მოყვანისთვის.

1

- 2** მუხლის სათაური არასწორია, რადგანაც „მხარდაჭერის დანიშვნის“ ნაცვლად გამოყენებული უნდა იყოს „მხარდაჭერის დაწესება“. ერთი მხრივ, აღნიშნული წარმოადგენს ტერმინოლოგიურ უზუსტობას, რადგანაც ხდება „მხარდაჭერის დაწესება“ (1277¹, 1280 მუხლი) და „მხარდაჭერის დანიშვნა“ (1275 III) და არა - პირიქით. მეორე მხრივ, კონკრეტული მხარდაჭერის დანიშვნის საფუძველია მხარდაჭერის დაწესება. ნორმა ეხება არა კონკრეტული მხარდაჭერის დანიშვნის, არამედ ზოგადად მხარდაჭერის დაწესების საფუძვლის ცვლილებას. თავად მუხლის ტექსტში ტერმინი „მხარდაჭერის დაწესება“ სწორადაა გამოყენებული.

II. მიმართვის ვალდებულება

1. ვალდებულების წარმოშობა

- 3** მხარდაჭერის სასამართლოსადმი მიმართვის ვალდებულება მხარდაჭერის გაუქმების ან შეცვლის შესახებ წარმოიშობა მაშინ, როდესაც აღარ არსებობს ან შეიცვალა ის საფუძველი, რის გამოც მხარდაჭერა დაწესდა. მისადაგების ინსტიტუტის დარად, მოცემულ შემთხვევაშიც მხარდაჭერის გაუქმების მოთხოვნა არსებობს მაშინაც, როცა მხარდაჭერის დაწესების საფუძველები თავიდანვე არ არსებობდა. არაფერს ცვლის ის, რომ აღნიშნული მუხლში პირდაპირ არ არის განერილი. მოცემული გამომდინარეობს ზოგადი პრინციპიდან და ემსახურება მხარდაჭერის მიმღების ინტერესების უკეთეს დაცვას. რასაც ზემოაღნიშნული წინაპირობებისაგან (აღარ არსებობს ან შეიცვალა) ის განასხვავებს, რომ ასეთ დროს მხარდაჭერის საფუძველი დაწესების მომენტშივე არ არსებობდა და, შესაბამისად, მხარდაჭერის დაწესება თავიდანვე საფუძვლის გარეშე მოხდა. შესაბამისად, ეს შემთხვევა უნდა გაუთანაბრდეს შემთხვევას, როდესაც საფუძველი მოგვიანებით გაქრა.
- 4** არ არის აუცილებელი, მხარდაჭერმა ზუსტად იცოდეს, რომ მხარდაჭერის მიღების მდგომარეობა შეიცვალა. ამის სრულყოფილი გამოკვლევა სასამართლოს პრეროგატივაა. მხარდაჭერი ვალდებულია, განცხადებით მიმართოს სასამართლოს, როდესაც არსებობს გონივრული ეჭვი, რომ გარემოებები შეიცვალა.

2. მიმართვის ფორმა

ნორმაში მითითებულია, რომ მხარდამჭერმა სასამართლოს შუამდგომლობით უნდა მიმართოს, თუმცა საპროცესო კოდექსი მხარდაჭერის დაწესებისა და მხარდამჭერის დანიშვნასთან დაკავშირებით ყველგან განსაზღვრავს სასამართლოსათვის განცხადებით მიმართვას. ამდენად, მოცემული ნორმით გათვალისწინებულ შუამდგომლობაში იგულისხმება სსკ-ის 363²³-ე მუხლით განსაზღვრული განცხადება.

5

3. ვალდებულების გამორიცხვა

მხარდამჭერს მიმართვის ვალდებულება არ წარმოეშობა, თუ მხარდაჭერის მიმღებმა ან მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანომ უკვე მიმართა სასამართლოს იმავე მოთხოვნით. აღნიშნული პირდაპირაა განწერილი 1292-ე მუხლში, თუმცა ზოგადი პრინციპიდან გამომდინარე, ნორმაში ასეთი ჩანაწერის გარეშეც იგივე წესი იმოქმედებდა. თუ რომელიმე უფლებამოსილმა პირმა უკვე მიმართა სასამართლოს მხარდაჭერის ფარგლების შეცვლის/გაუქმების მოთხოვნით, ბუნებრივია, სხვა პირმა აღარ უნდა მიმართოს სამართლოს.

6

III. განხილვის პროცედურა

მხარდაჭერის გაუქმების/ფარგლების შეცვლის პროცედურას ადგენს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, რომლის მიხედვითაც, თუ არსებობს პირისათვის მხარდაჭერის ფარგლების შეცვლის საფუძველი, სასამართლოს უფლებამოსილი პირის განცხადებისა და კანონის შესაბამისად ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე გამოაქვს გადაწყვეტილება მხარდაჭერის ფარგლების შეცვლის შესახებ (სსკ-ის 363²³ | მუხლი) ან მხარდაჭერის გაუქმების შესახებ, თუ აღარ არსებობს პირისათვის მხარდაჭერის გაგრძელების საფუძველი (სსკ-ის 363²³ II მუხლი).

7

IV. ზიანის ანაზღაურება ვალდებულების დარღვევისას

როგორც ზემოთ აღინიშნა, მხარდაჭერის გაუქმების ან შეცვლის

8

მოთხოვნის შესახებ სასამართლოსადმი მიმართვა მხარდამჭერის ვალდებულებას წარმოადგენს. მის პასუხისმგებლობაში შედის, რომ უზრუნველყოფილი იყოს მხარდამჭერის ფარგლების შესაბამისობა მხარდამჭერის მიმღების რეალურ საჭიროებებთან. განურჩევლად იმისა, საქმე ფარგლების გაზრდას ეხება თუ შემცირებას, თუ მისი მხრიდან ამ ვალდებულების შეუსრულებლობამ მხარდამჭერის მიმღებს მიაყენა ზიანი, მისი ანაზღაურების საკითხი უნდა გადაწყდეს იმის მიხედვით, რამდენად შეეძლო თავად მხარდამჭერის მიმღებს, თვითონ მიემართა სასამართლოსთვის იმავე მოთხოვნით. თუ მხარდამჭერის მიმღებს თავადვე შეუძლია მოითხოვოს მხარდამჭერის ფარგლების შეცვლა/მისი გაუქმება, მაგრამ ამას არ აკეთებს, გაუმართლებელი იქნებოდა, მას ამით მიყენებული ზიანის ანაზღაურება მხარდამჭერისგან მოეთხოვა. მიუხედავად იმისა, რომ მხარდამჭერს აკისრია აღნიშნული ვალდებულება 1292-ე მუხლით, მხარდამჭერის ფარგლების რეალურ საჭიროებასთან მოყვანა, უპირველეს ყოვლისა, მაინც მხარდამჭერის მიმღების ინტერესებსა და საზრუნავს განეკუთვნება. ამიტომ, თუ მას ამის შესაძლებლობა ფაქტობრივად გააჩნია, უმოქმედობის გამო მოთხოვნის წაყენება მხარდამჭერისთვის აზრმოკლებული იქნებოდა.

- 9** განსხვავებულად უნდა გადაწყდეს შემთხვევა, როდესაც მხარდამჭერის მიმღებს თავად არ შეუძლია სრულყოფილად შეაფასოს საკუთარი მდგომარეობა და მხარდამჭერის ფარგლების ცვლილების საჭიროება. ასეთ დროს, თუ მხარდამჭერი ბრალეულად იკავებს თავს სასამართლოსთვის მიმართვისგან და ამით ზიანი ადგება მხარდამჭერის მიმღებს, მან ეს ზიანი უნდა აანაზღაუროს.

მუხლი 1293. მეურვისა და მზრუნველის თანხმობა, მხარდამჭერის მონაწილეობა გარიგების დადებისას

1. მეურვე სამეურვეო პირის კანონიერი წარმომადგენელია და მისი სახელით, მისი ინტერესებიდან გამომდინარე, დებს აუცილებელ გარიგებებს.

2. 7-დან 18 წლამდე არასრულწლოვანი ისეთ გარიგებას, რომლის დამოუკიდებლად დადების უფლებაც მას კანონით არ აქვს, დებს მზრუნველის თანხმობით.

3. მხარდამჭერი ვალდებულია მხარდაჭერის მიმღების მიერ გარიგების დადებისას დაეხმაროს მას გარიგების პირობებისა და სამართლებრივი შედეგების სრულყოფილად აღქმაში, თუ ეს სასამართლოს გადაწყვეტილებით არის განსაზღვრული.

4. გამონაკლის შემთხვევაში, თუ სასამართლო დაადგენს, რომ მხარდამჭერის მიერ მხარდაჭერის მიმღების ნების გამოვლენა 1 თვეზე მეტი ხნის განმავლობაში ობიექტურად შეუძლებელია და მის ნაცვლად გადაწყვეტილების მიღების აკრძალვა მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებს მხარდაჭერის მიმღებს, სასამართლო მხარდამჭერს უფლებას აძლევს, მხარდაჭერის მიმღების სახელით, მისი ინტერესებიდან გამომდინარე, დადოს აუცილებელი გარიგებები.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილება №2/4/532,533 – ვებგვერდი, 28.10.2014წ.

საქართველოს 2015 წლის 20 მარტის კანონი №3339 - ვებგვერდი, 31.03.2015წ.

I. ზოგადი	542
II. მეურვისა და მზრუნველის წარმომადგენლობითი უფლებამოსილება	542
1. მეურვისა და მზრუნველის წარმომადგენლობითი ფუნქცია	542
2. წარმომადგენლობის ფარგლები	543
ა) „აუცილებელი გარიგებები“	543
ბ) გარიგება, რომელთა დადებაც არ შეიძლება	543
III. მხარდამჭერის წარმომადგენლობითი უფლებამოსილება	543
1. გარიგების დადებაში დახმარება	543
2. წარმომადგენლობა	544

ა) წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შინაარსი	544
(1) გარიგებათა დადების უფლება	544
(2) აუცილებელი გარიგებები	544
ბ) უფლებამოსილების მინიჭების წინაპირობები	545
(1) მოქმედი რედაქცია	545
(2) ისტორიული ექსკურსი	545
გ) გარიგების დადება უფლებამოსილების გარეშე	546

I. ზოგადი

- 1293-ე მუხლი ადგენს მეურვის, მზრუნველისა და მხარდამჭერის ძირითად წარმომადგენლობით ფუნქციებს. აღნიშნული მუხლი თითქმის დაცლილია ამ ინსტიტუტების საჯაროსამართლებრივი ხასიათისგან და ემსახურება კერძოსამართლებრივი უფლებების განხორციელებას.
- 1293-ე მუხლში გაწერილი ურთიერთობები წარმოშობა კანონისა და არა გარიგების საფუძველზე.

II. მეურვისა და მზრუნველის წარმომადგენლობითი უფლებამოსილება

1. მეურვისა და მზრუნველის წარმომადგენლობითი ფუნქცია

- მეურვე და მზრუნველი სამეურვეო და სამზრუნველო პირის კანონიერი წარმომადგენლები არიან. მეურვე ავლენს ნებას ქმედუნარიანი არასრულწლოვნის სახელით. მზრუნველი აძლევს თანხმობას შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე არასრულწლოვანს.¹ მშობლის დარად, მზრუნველს აქვს უფლება მისცეს სამზრუნველო პირს გარიგების დადების ნებართვა ან მოინონოს უკვე დადებული გარიგება. მართალია, 1293 II მუხლი არ მიუთითებს სამზრუნველო პირის ნაცვლად ნების გამოვლენაზე, მაგრამ აღნიშნული უფლება მზრუნველს გააჩნია ნორმის ანალოგიით. სამზრუნველო პირის ინტერესების დაცვის მიზნით მას უნდა ჰქონდეს უფლება, არა მხოლოდ მიანიჭოს ნამდვილობა არასრულწლოვნის მიერ დადებულ მერყევად ბათილ გარიგებას, არამედ თავადაც გამოავლინოს ნება სამზრუნველო პირის სახელით. სხვაგვარად

¹ *შენგელია/შენგელია*, საოჯახო სამართალი, მეორე გამოცემა, 2011, გვ. 377.

სრულყოფილი კანონიერი წარმომადგენლობის განხორციელება შეუძლებელია.

2. წარმომადგენლობის ფარგლები

ა) „აუცილებელი გარიგებები“

1293 I მუხლი მიუთითებს მეურვის მიერ მხოლოდ აუცილებელი გარიგებების დადების უფლებაზე. აღნიშნული არ უნდა იქნეს გაგებული, თითქოს 1293 I მუხლი მეურვეს მხოლოდ გადაუდებელი გარიგებების დადების უფლებას ანიჭებს. არასრულწლოვნის ინტერესების სრულყოფილი დაცვისთვის აუცილებელია ნებისმიერი იმ გარიგების დადება, რომელიც შედის მის ინტერესებში - არა მხოლოდ ისეთის, რომელიც იცავს მის მდგომარეობას გაუარესებისგან, არამედ ისეთიც, რომელიც აუმჯობესებს მას. მაგალითად, კონკრეტული სათამაშოს ჩუქება შეიძლება არ იყოს 6 წლის ბავშვისთვის აუცილებელი, თუმცა ამის უფლება მეურვეს მაინც აქვს.

4

ბ) გარიგება, რომელთა დადებაც არ შეიძლება

მეურვესა და მზრუნველს აქვთ უფლება, დადონ ნებისმიერი გარიგება, რომელიც ემსახურება ბავშვის ინტერესებს და არ არის აკრძალული კანონით. აკრძალვებთან დაკავშირებით იხ. 1294-ე და მომდევნო მუხლის კომენტარები.

5

III. მხარდამჭერის წარმომადგენლობითი უფლებამოსილება

1. გარიგების დადებაში დახმარება

1293 III მუხლი კიდევ ერთხელ განსაზღვრავს მხარდამჭერის მოვალეობას, დაეხმაროს მხარდამჭერის მიმღებს გარიგების დადებაში. ამასთან დაკავშირებით იხ. ასევე 1275-ე, 1277-ე და 1289-ე მუხლების კომენტარი.

6

2. წარმომადგენლობა

ა) წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შინაარსი

(1) გარიგებათა დადების უფლება

- 7** 1293 IV მუხლი განსაზღვრავს გამონაკლისს იმ ზოგადი წესიდან, რომლის მიხედვითაც მხარდამჭერი გარიგებებში პირადად არ ავლენს ნებას. მართალია, მხარდამჭერის მოვალეობა მხარდამჭერის მიმღების ინფორმირება და დახმარებაა და არა გარიგებებში წარმომადგენლობა, თუმცა, როდესაც მხარდაჭერის მიმღების მიერ ნების გამოვლენა 1 თვეზე მეტი ხნის განმავლობაში ობიექტურად შეუძლებელია, სასამართლოს გადაწყვეტილებით მხარდამჭერს შესაძლოა მიენიჭოს, მხარდაჭერის მიმღების ინტერესებიდან გამომდინარე, მისი სახელით აუცილებელი გარიგებების დადების უფლებამოსილება. ეს შემთხვევა სხვა არაფერია, თუ არა მხარდამჭერისთვის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მინიჭება. შესაბამისად, ამ მუხლით გათვალისწინებული გარიგებების დადებისას წარმომადგენლობის ზოგადი წესები უნდა იქნეს გამოყენებული.

(2) აუცილებელი გარიგებები

- 8** ნორმა მხარდამჭერის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ფარგლებს შემოსაზღვრავს გარიგების აუცილებელი ხასიათით. აუცილებლობის კრიტერიუმი 1293 IV მუხლის შემთხვევაში განსხვავებულად უნდა განიმარტოს, ვიდრე მუხლის 1-ელ ნაწილში. მეურვის მიერ გარიგებების დადება ქმედუუნარო ბავშვის სახელით წარმომადგენს წესს და მეურვის დანიშვნის ერთ-ერთ ძირითად მიზანს. 1293 IV მუხლი კი საგამონაკლისო შემთხვევაა, როდესაც სრული ქმედუუნარიანი პირის მხარდამჭერს მხოლოდ განსაკუთრებული გარემოებათა გამო უნევს ამ მოვალეობის შეთავსება.
- 9** შესაბამისად, 1293 IV მუხლის გაგებით აუცილებელს განეკუთვნება ისეთი გარიგება, რომლის არდადებითაც მხარდაჭერის მიმღების ინტერესებს მნიშვნელოვანი ზიანი მიადგება. ამდენად, თუ რომელი გა-

რიგებაა აუცილებელი, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა დადგინდეს და სასამართლო გადაწყვეტილებით მისი წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელია.

ბ) უფლებამოსილების მინიჭების წინაპირობები

(1) მოქმედი რედაქცია

ნორმის მიხედვით, მხარდამჭერის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვა განპირობებულია ერთ თვეზე მეტი ხნის ვადით მხარდაჭერის მიმღების მიერ ნების გამოვლენის ობიექტური შეუძლებლობით. ერთი შეხედვით, ეს ჩანანერი ეხება ისეთ ვითარებას, როდესაც ნების გარეგანი გამოვლენაა შეუძლებელი, თუმცა მას უნდა გაუთანაბრდეს ასევე შინაგანი ნების ფორმირების შეუძლებლობის შემთხვევაც.

10

(2) ისტორიული ექსკურსი

საინტერესოა, რომ 2015 წელს ინიცირებული კანონპროექტის პირველად ვერსიაში² ხსენებული ნორმა შეიცავდა ჩანანერს, რომ ასეთ შემთხვევაში მხარდაჭერა წყდება და მხარდამჭერი ხდება მეურვე. სამართლებრივ ტერმინთა აღრევის თავიდან არიდების მიზნით, ჩანანერის ამოღება მიზანშეწონილად უნდა იქნეს მიჩნეული.

11

აღსანიშნავია, რომ კანონპროექტის განმარტებით ბარათში მხარდამჭერის მიერ ნების გამოვლენის საგამონაკლისო შემთხვევა მოხსენიებულია, როგორც ნების ჩანაცვლების სისტემა და ნების ჩანაცვლების უფლება.³ რაც არასწორი სამართლებრივი შესატყვისებია. არც გა-

12

² იხ. „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველო კანონის პროექტის (№ 07-3/415/8) ინიცირებული ვერსია, ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/64345?> (უკანასკნელად ნანახია 01.06.2021).

³ იხ. „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველო კანონის პროექტის (№ 07-3/415/8) განმარტებითი ბარათი,

ნხილულ შემთხვევაში და არც მზრუნველის/მეურვის მიერ ნების გამოვლენისას სახეზე არაა ნების ჩანაცვლება, არამედ პირის ნაცვლად ნების გამოვლენა, რაც სხვა არაფერია, თუ არა წარმომადგენლობითი უფლებამოსილება. „ნების ჩანაცვლება“ ტერმინოლოგიურად შეცდომაში შემყვანია და ქმნის ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებობს ორი ნება, რომელთაგან ერთი ანაცვლებს მეორეს, რაც რეალურად არ ხდება.

გ) გარიგების დადება უფლებამოსილების გარეშე

- 13** თუკი გარიგების დადების აუცილებლობა წარმოიშობა სასამართლოსადმი მიმართვამდე ან გადაწყვეტილების გამოტანამდე, მხარდამჭერს მაინც შეეძლება, დადოს ასეთი გარიგება, რაც უკვე დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების ან არაუფლებამოსილი წარმომადგენლის მიმართ მოქმედი ზოგადი წესებით უნდა გადაწყდეს.

ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/64346?>
(უკანასკნელად ნანახია 01.06.2021).

მუხლი 1294. მეურვისა და მზრუნველის უფლებამოსილებათა შეზღუდვა

მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წინასწარი თანხმობის გარეშე მეურვეს უფლება არა აქვს სამეურვეო პირის სახელით დადოს გარიგება, ხოლო მზრუნველს – სამზრუნველო პირის სახელით დათანხმდეს გარიგების დადებაზე, რომელიც შეეხება ქონების გასხვისებას, დაგირავებას, ათ ნელზე მეტი ვადით გაქირავებას, თხოვებას ან სხვა სავალო ვალდებულებათა გაცემას, თამასუქის, სამეურვეო ან სამზრუნველო პირის კუთვნილ უფლებებზე უარის თქმას, სამეწარმეო საზოგადოებაში პარტნიორად შესვლას, სესხის აღებას, ქონების გაყოფას, ან რომლებსაც შედეგად შეიძლება მოჰყვეს ქონების შემცირება.

- I. ზოგადი 548
 - 1. ნორმის მიზნები..... 548
 - 2. ანალოგიით გამოყენების დაუშვებლობა..... 549
- II. უფლებამოსილების შეზღუდვა..... 550
- III. ცალკეული გარიგებები..... 550
 - 1. ქონების გასხვისება..... 550
 - ა) ნებართვის გაცემა გასხვისებისთვის..... 550
 - ბ) გამიჯვნა 183 II და 186 11 მუხლებისგან..... 551
 - 2. დაგირავება..... 552
 - 3. გაქირავება, თხოვება, სხვა სავალო ვალდებულებათა გაცემა 552
 - ა) გაქირავება 552
 - ბ) თხოვება 553
 - გ) სხვა სავალო ვალდებულებათა გაცემა 553
 - 4. „თამასუქის“ 554
 - 5. უფლებებზე უარის თქმა 554
 - 6. ქონების შემცირება 554
- IV. სამართლებრივი შედეგები..... 555
 - 1. ნებართვის გარეშე დადებული გარიგება 555
 - 2. სასამართლოს ნებართვა 183 და 1286 1¹ მუხლების შესაბამისად..... 556
 - 3. გარიგების ბედი ნებართვის მიღების შემდეგ 556

I. ზოგადი

1. ნორმის მიზნები

- 1** 1294-ე მუხლის ძირითადი მიზანია სამეურვეო და სამზრუნველო პირის ქონებისა და ეკონომიკური ინტერესების დაცვა.¹ სწორედ ამიტომ ნორმა განსაზღვრავს იმ განსაკუთრებული ეკონომიკური მნიშვნელობის მქონე გარიგებების ჩამონათვალს, რომელთა დადების შესახებაც მეურვესა და მზრუნველს არ შეუძლიათ დამოუკიდებლად მიიღონ გადაწყვეტილება და საჭიროებენ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს თანხმობას.²
- 2** გარდა ამისა, ნორმა ემსახურება როგორც მეურვის/მზრუნველის, ისე მესამე პირთა ინტერესების დაცვას. მეურვისა და მზრუნველისთვის 1294-ე მუხლი წარმოადგენს საფუძველს, რითაც მას შეუძლია განსაკუთრებული ეკონომიკური მნიშვნელობის დადებისას მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიანდოს გარემოებების შემოწმება და გადაწყვეტილების მიღება, თუ რამდენად შეესაბამება კონკრეტული გარიგება ბავშვის ინტერესებს. თავის მხრივ, მესამე პირს გააჩნია მეტი ნდობა, რომ არ ხდება კონკრეტული მეურვის/მზრუნველის მხრიდან უფლების ბოროტად გამოყენება და გარიგების დადებამდე ოფიციალური ორგანოს მიერ შემოწმებულია მისი მიზანშეწონილობა.
- 3** თავის მხრივ, 1294-ე მუხლი ასევე წარმოადგენს ბერკეტს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსთვის, რომ უფრო ეფექტიანი კონტროლი განახორციელოს მეურვის/მზრუნველის საქმიანობაზე და გარიგების დადებამდე შეამოწმოს, რამდენად შეესაბამება ეს ბავშვის ინტერესებს.
- 4** 1294-ე მუხლის მეშვეობით კანონმდებელი ცდილობს არასრულწლოვნის ინტერესების დაცვას ხელყოფისგან არა მხოლოდ გარიგების დადების შემდეგ, არამედ მის დადებამდეც. როდესაც საქმე ეხება ეკონომიკურად განსაკუთრებით მნიშვნელოვან გარიგებას, შესაძლოა, მისი გაბათილება არ იყოს საკმარისი პირვანდელი მდგომარეობის სრულ-

¹ შენგელია, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1294, გვ. 342.

² შენგელია/შენგელია, საოჯახო სამართალი, მეორე გამოცემა, 2011, გვ. 379.

ლად აღდგენისთვის. განსაკუთრებულ შემთხვევებში ბათილი გარიგების დადებაც ბევრად უარეს მდგომარეობაში აყენებს პირს, ვიდრე მისი არდადება. ამიტომ 1294-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში წინასწარვეა შეცნობადი, რომ მეურვესა და მზრუნველს არ აქვს გარიგების დადების უფლება, თუ მას არ მიუღია თანხმობა. ამით მცირდება შემთხვევები, როდესაც მეურვე/მზრუნველი არასწორად აფასებს გარემოებებს და მიაჩნია, რომ გარიგება ბავშვის ინტერესებს შეესაბამება ან როდესაც მესამე პირი არასწორად ენდობა მეურვის/მზრუნველის განსჯას.

კანონმდებელი ცდილობს შემოსაზღვროს ის გარიგებები, რომლებიც საჭიროებენ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წინასწარ თანხმობას. ნებისმიერი გარიგებისთვის თანხმობის საჭიროების დაწესება იქნებოდა არათანაზომიერი ჩარევა ბავშვის უფლებებში, რადგანაც ზედმეტად გართულდებოდა ნაკლები ეკონომიკური მნიშვნელობის მქონე გარიგებების დადებაც.

5

2. ანალოგიით გამოყენების დაუშვებლობა

1294-ე მუხლის გავრცელება, მუხლში პირდაპირ დასახელებულის გარდა, სხვა გარიგებებზე ანალოგიის გზით დაუშვებელია. ერთი მხრივ, ის შეიცავს ინტერესების დაცვის აბსტრაქტული კონტროლის მექანიზმს. წინასწარ იკრძალება ნებისმიერი იმ გარიგების დადება, რომელიც განსაზღვრულია ამ მუხლით და მეურვეს/მზრუნველს არ გააჩნია თანხმობა. ყველა დანარჩენ შემთხვევაში ბავშვის ინტერესების დაცვა უნდა მოხდეს კონკრეტული კონტროლის გზით - თითოეულ ცალკეულ შემთხვევაში უნდა შეფასდეს, შეესაბამება თუ არა ეს გარიგება მის ინტერესებს.

6

გარდა ამისა, ანალოგიის გამოყენება შეენიანააღმდეგებოდა ნორმის განსაზღვრულობის პრინციპს. სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობისთვის აუცილებელია, რომ წინასწარ იყოს დადგენილი, თუ რომელი გარიგებები საჭიროებენ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს თანხმობას და რომლები - არა.

7

II. უფლებამოსილების შეზღუდვა

- 8** 1294-ე მუხლით იზღუდება მეურვისა და მზრუნველის მხრიდან ნებისმიერი ფორმით კანონისმიერი წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით სარგებლობა.³ ნორმა ვრცელდება ასევე სრულწლოვანი პირის მზრუნველზეც, ეხება რა სამზრუნველო პირის ქონებრივი ინტერესების დაცვას, რაც თანაბრად პრობლემურია როგორც არასრულწლოვნის, ისე სრულწლოვნის შემთხვევაში.

III. ცალკეული გარიგებები

1. ქონების გასხვისება

ა) ნებართვის გაცემა გასხვისებისთვის

- 9** 1294-ე მუხლით აკრძალულია ქონების გასხვისება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს თანხმობის გარეშე. მეურვესა და მზრუნველს თანხმობა სჭირდება როგორც ვალდებულებითი, ისე სანივთო გარიგების დადებისთვის. ორგანოს მიერ გაცემული თანხმობაც ორივე მათგანს მიემართება. მაშინაც კი, თუ ორგანო მხოლოდ ვალდებულებითი გარიგების დადებაზე გასცემს ნებართვას (მაგალითად, ნასყიდობაზე), ეს ნებართვა ავტომატურად გულისხმობს თავის თავში თანხმობასაც, ამ გარიგების შესასრულებლად დაიდოს სანივთო გარიგებაც.⁴
- 10** მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანომ უნდა შეამოწმოს, რამდენად შეესაბამება გასხვისება სამეურვეო/სამზრუნველო პირის ინტერესებს და ხომ არ ხდება მეურვის/მზრუნველის მხრიდან უფლების ბოროტად გამოყენება. ეს გულისხმობს, მათ შორის, გარიგების დადების აუცილებლობის, ხელშეკრულების პირობებისა და სანაცვლოდ მიღებული სარგებელის შეფასებას.

³ *შენგელია/შენგელია*, საოჯახო სამართალი, მეორე გამოცემა, 2011, გვ. 379.

⁴ RGZ 130, 148, 150; BayObLG Rpfleger 1985, 235; KG FamRZ 1993, 733 ff.; KG KGJ 24 A 238, 239; RJA 3, 59; KGJ 28 A 6, 7.

ბ) გამიჯვნა 183 II და 186 11 მუხლებისგან

როდესაც უნდა გასხვისდეს არასრულწლოვანის უძრავი ან 1000 ლარზე მეტი ღირებულების მოძრავი ნივთი, 183 II და 186 11 მუხლებით კანონმდებელი მოითხოვს სასამართლოს თანხმობას. კანონპროექტის ინიცირებულ ვერსიაში⁵ საუბარი იყო „გასხვისებაზე“ და არა „განკარგვაზე“, მაგრამ პარლამენტის შიდა განხილვების შედეგად, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული სანივთოსამართლებრივი ნორმების ფარგლებში მხოლოდ „განკარგვა“ მოქცეულიყო.

თუ კანონიერი წარმომადგენელია მეურვე ან მზრუნველი, 1294-ე მუხლი ძალაში რჩება 183 II და 186 11 მუხლების გვერდით. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსგან უნდა იქნეს მოპოვებული თანხმობა 1294-ე მუხლში დასახელებული გარიგების დადებაზე, რომელიც ავტომატურად გულისხმობს როგორც სანივთო, ისე ვალდებულებითი გარიგების დადების ნებართვას. მაგრამ უძრავი ან 1000 ლარზე მეტი ღირებულების მოძრავი ნივთის განკარგვის შემთხვევაში დამატებით საჭიროა ასევე სასამართლოს ნებართვა. 1294-ე მუხლით გათვალისწინებული ნებართვის მიღება არ ათავისუფლებს მეურვეს/მზრუნველს 183 II და 186 11 მუხლებით გათვალისწინებული ნებართვის მიღებულის ვალდებულებისგან.⁶

განკარგვაზე თანხმობის გაცემამდე სასამართლომ უნდა შეამოწმოს, რამდენად შეესაბამება ამ გარიგების დადება სამეურვეო/სამზრუნველო ბავშვის ინტერესებს. სასამართლომ ასევე უნდა შეამოწმოს, არსებობს თუ არა ნამდვილი ვალდებულებითი ურთიერთობა საკუთრების გადასაცემად და ხომ არ არსებობს საპასუხო შესრულების ვერმიღების საფრთხე.⁷ სასამართლოს შეუძლია პირობადებულადაც გაცეს ნებართვა, მაგალითად, თუ ჯერ არ არის დადებული ვალდებულებითი გარიგება, მიუთითოს, რომ საკუთრების გადაცემა დასაშვებია, თუ დაიდება ნამდვილი ვალდებულებითი გარიგება.

⁵ იხ. საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ (№ 07-3/282/9), მუხლი 1, პუნქტი 2, 3.

⁶ გერმანულ სამართალში მსგავს პრობლემასთან დაკავშირებით იხ. KG KGJ 28 A 6, 7; 38 A 219, 223; OLGE 33, 363; BayObLG FamRZ 1977, 143.

⁷ KG KGJ 38, 223; *Kroll-Ludwigs*, in *Münchener Kommentar BGB*, 8. Auflage 2020, § 1821 Rn. 19.

კანონმდებლის გადაწყვეტა, რომ ერთდროულად ემოქმედა 1294-ე და 183, 186 11 მუხლებს, პრობლემურია. თუ კანონმდებელი აუცილებელ საჭიროებად მიიჩნევდა უძრავი ან 1000 ლარზე მეტი ღირებულების მოძრავი ნივთის განკარგვისთვის სასამართლო კონტროლის დანესებას, უმჯობესი იქნებოდა, თუ ასეთი ნივთების გასხვისება მთლიანად დაექვემდებარებოდა მხოლოდ სასამართლო კონტროლს და დამატებით მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ნებართვა არ იქნებოდა საჭირო.

2. დაგირავება

1294-ე მუხლით, მეურვესა და მზრუნველს ნებართვა სჭირდებათ ასევე სამეურვეო/სამზრუნველო პირის ქონების „დაგირავებისთვის“. 1294-ე მუხლი ანალოგიით ვერ გავრცელდება იპოთეკაზე. „დაგირავების“ იპოთეკად განმარტებაც შეუძლებელია. მაგრამ პრობლემური იქნებოდა, რომ ნებართვა საჭირო ყოფილიყო გირავნობისთვის და არა იპოთეკისთვის. ერთადერთი გზა აღნიშნული ვაკუუმის აღმოსაფხვრელად არის, თუ იპოთეკა მოექცევა იმ გარიგებათა ქვეშ, რომლებსაც „შეიძლება მოჰყვეს ქონების შემცირება“ და რომლებიც ასევე საჭიროებენ ნებართვას მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსგან.⁸

3. გაქირავება, თხოვება, სხვა სავალ ვალდებულებათა გაცემა

ა) გაქირავება

- 11** 1294-ე მუხლი კრძალავს ნივთის სამეურვეო/სამზრუნველო პირის ნებართვის გარეშე 10 წელზე მეტი ვადით გაქირავებას.⁹ 10 წელზე ნაკლები ვადით დადებული ქირავნობის ხელშეკრულება არ საჭიროებს წინასწარ ნებართვას, თუმცა 10 წელზე ნაკლები ვადით დადებული კონკრეტული გარიგებაც, რა თქმა უნდა, უნდა შეესაბამებოდეს ბავშვის ინტერესებს.

⁸ იხ. ამასთან დაკავშირებთ ქვემოთ.

⁹ *შენგელია*, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1294, გვ. 342.

ბ) თხოვება

აკრძალვა ვრცელდება ასევე თხოვებაზეც,¹⁰ თუმცა, კანონის ტექსტი ბუნდოვანია შემდეგი თვალსაზრისით: გაურკვეველია, სასმართლოს ნებართვა საჭიროა ნებისმიერი თხოვებისთვის თუ მხოლოდ 10 ნელზე მეტი ვადით დადებული თხოვებისთვის. ნებისმიერი ვადით თხოვებისთვის ნებართვის საჭიროება შეიძლება დაეფუძნოს იმ არგუმენტაციას, რომ განსხვავებით გაქირავებისგან, ის უსასყიდლოა და არასრულწლოვნის ინტერესების დაზიანების უფრო მეტი საფრთხე არსებობს. მაგრამ ნორმის ტექსტიდან ცალსახად არ გამომდინარეობს, რომ ნებისმიერი ვადით თხოვების დადებას სჭირება ნებართვა. იმ პრინციპის გათვალისწინებით, რომ იმ ნორმის შინაარსი, რომელიც აწესებს ნებართვის საჭიროებას, უნდა იყოს რაც შეიძლება ზუსტად განსაზღვრული, ეს ნორმა ყოველთვის ვინროდ უნდა განიმარტოს. ამიტომ, რადგანაც კანონმდებელი მკაფიოდ არ მიუთითებს, რომ ქირავნობისგან განსხვავებით თხოვება ნებისმიერი ვადით საჭიროებს ნებართვას, არჩევანი უნდა გაკეთდეს განმარტების მეორე - უფრო ვინრო - ალტერნატივაზე. თხოვებაც (და „სხვა სავალო ვალდებულებათა გაცემა“) მაშინ იქნეს ეკონომიკურად ისეთ დიდ მნიშვნელობას, რომ საჭიროა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ჩართვა, როდესაც ის გაიცემა 10 ნელზე მეტი ვადით.

12

გ) სხვა სავალო ვალდებულებათა გაცემა

კანონმდებელი ასევე მიუთითებს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წინასწარი თანხმობის საჭიროებაზე „სხვა სავალო ვალდებულებათა გაცემისას“. მოცემული ჩანაწერი მოიცავს ყველა იმ ვალდებულებით გარიგებას, რომელთა საფუძველზეც შეიძლება წარმოიშვას რაიმე სახის სავალო ურთიერთობა. ამ გზით კანონმდებელს უფრო მაღალ დონეზე აჰყავს სამეურვეო და სამზრუნველო პირთა დაცვის სტანდარტი და 1294-ე მუხლით დადგენილ წესს ავრცელებს არა მხოლოდ უშუალოდ მუხლში დასახელებულ ხელშეკრულებებზე, არა-

13

¹⁰ იქვე.

მედ სხვა ისეთ გარიგებებზეც, რომლებიც წარმოშობენ მსგავს სავალო ურთიერთობებს.

4. „თამასუქის“

- 14** 1294-ე მუხლში კანონმდებელი მიუთითებს „თამასუქის“, თუმცა თავს იკავებს სახელზმნის გამოყენებისგან და არ აკონკრეტებს, თუ თამასუქის რა არის აკრძალული. ტექსტი სამოქალაქო კოდექსის ინიციირებულ ვერსიაშიც ამგვარად იყო წარმოდგენილი.¹¹ სავარაუდოდ, საქმე ეხება ბეჭდვის შეცდომას. მითითებული უნდა იყოს „თამასუქის ან სხვა სავალო ვალდებულებათა გაცემა“. ამით თამასუქის ნაწილიც ნათელი იქნებოდა და ისიც, თუ რა იგულისხმება „სხვა სავალო ვალდებულებებში“ (იხ. ამასთან დაკავშირებით ზემოთ).
- 15** ნორმის ტექსტის შესწორებამდე განმარტების გზით უნდა განისაზღვროს, რომ აკრძალულია თამასუქის გაცემა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს თანხმობის გარეშე.

5. უფლებებზე უარის თქმა

- 16** სამეურვეო ან სამზრუნველო პირის კუთვნილ უფლებებზე უარის თქმა საჭიროებს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს თანხმობას,¹² მაშინ, როდესაც 1296-ე მუხლით ჩუქების დადება საერთოდ აკრძალულია. უმჯობესია, თუ კანონმდებელი ერთსა და იმავე მიდგომას გაავრცელებს ორივე შემთხვევაზე.

6. ქონების შემცირება

- 17** კანონმდებელი მიუთითებს, რომ აკრძალულია ნებართვის გარეშე გარიგების დადება, „რომლებსაც შედეგად შეიძლება მოჰყვეს ქონების

¹¹ იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ინიციირებული ვერსია, მუხლი 1266.

¹² შენგელია, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1294, გვ. 343.

შემცირება“.¹³ გრამატიკული შეცდომა („რომლებსაც“ ნაცვლად სიტყვისა „რომელსაც“) გამოწვეულია იმით, რომ ინიციირებულ ვერსიაში¹⁴ გამოყენებული იყო სიტყვა „გარიგებები“. ის შემდეგ გადაკეთდა „გარიგებად“, თუმცა „რომლებსაც“ უცვლელი დარჩა. აღნიშნული მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც უდავოდ დგინდება, რომ „რომლებსაც“ მიემართება გარიგებებს და არა სხვა რაიმეს. კანონმდებელი ცდილობს აკრძალოს იმ გარიგებების დადება, რომლებმაც შეიძლება ქონების შემცირება გამოიწვიოს.

ბუნდოვანია, თუ რომელი გარიგებებია ისეთი, რომლებმაც შეიძლება ქონების შემცირება გამოიწვიოს. ის, რომ აქ არ იგულისხმება ქონების უსასყიდლოდ გაცემა აშკარაა, რადგანაც ჩუქებას ეხება 1296-ე მუხლი, ხოლო უფლებაზე უარის თქმა უკვე გათვალისწინებულია 1294-ე მუხლით. ასეთმა ღია ჩანაწერმა იმ მუხლში, რომელიც ადგენს, თუ რომელი გარიგება არის ნებართვასავალდებულო, შესაძლოა საფრთხე შექმნას ნორმის განსაზღვრულობის მხრივ.

მხოლოდ იმიტომ, რომ კანონმდებელი პირდაპირ მიუთითებს „დაგირავებაზე“ და არ საუბრობს იპოთეკაზე, იპოთეკის ხელშეკრულებისთვის ნებართვის საჭიროება შეიძლება გამოყვანილ იქნეს სწორედ ამ ჩანაწერზე მითითებით - იპოთეკას შეიძლება მოჰყვეს ქონების შემცირება. თუმცა ეს ერთადერთი გარიგებაა, რომელიც ცალსახაა, რომ შეიძლება მოექცეს ამ ჩანაწერის ქვეშ. სხვა გარიგებებისთვის არ არსებობს რაიმე მკაფიო ხელმოსაჭიდი, თუ რა პრინციპით უნდა გავრცელდეს მათზე 1294-ე მუხლი და ამიტომ ნებართვა მათთვის საჭიროდ არ უნდა იქნეს მიჩნეული.

IV. სამართლებრივი შედეგები

1. ნებართვის გარეშე დადებული გარიგება

ნებართვის გარეშე დადებული გარიგება მერყევად ბათილია. მართალია, კანონმდებელი საუბრობს წინასწარი ნებართვის საჭიროება-

¹³ იქვე.

¹⁴ იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ინიციირებული ვერსია, მუხლი 1266.

ზე, მაგრამ მეურვეს/მზრუნველს არ უნდა წაერთვას უფლება, გარიგების დადების შემდეგ მიმართოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს და მოითხოვოს მისი მოწონება. თუ გარიგება შეესაბამება ბავშვის ინტერესებს, არ არსებობს მიზეზი, რატომაც ორგანომ უარი უნდა თქვას უკვე დადებული გარიგების მოწონებაზე და მის ნამდვილად ქცევაზე. თუ ორგანო არ მოიწონებს გარიგებას (ან მეურვე/მზრუნველი არ მიმართავს მას ნებართვისთვის), გარიგება რჩება ბათილი.

2. სასამართლოს ნებართვა 183 და 1286 1¹ მუხლების შესაბამისად

21 თუ სასამართლო გასცემს ნებართვას ნივთზე საკუთრების გადაცემისთვის, მაგრამ მანამდე ეს გარიგება არ არის მოწონებული მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ, აღნიშნული გარიგება მაინც მიჩნეულ უნდა იქნეს ნამდვილად. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ნებართვის არარსებობა სწორდება სასამართლოს გადანყვეტილებით. ნესით, სასამართლომ უნდა შეამოწმოს, არსებობს თუ არა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს თანხმობა და არარსებობის შემთხვევაში უარი თქვას საკუთრების გადაცემისთვის თანხმობის გაცემაზე. მაგრამ თუ იგი ამ ვალდებულებას არ ასრულებს და არ ამომჩებს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ნებართვის არსებობა-არარსებობას, აღნიშნული ტვირთად არ უნდა დაანვეს არც მეურვეს/მზრუნველს და არც გარიგების მეორე მხარეს.

3. გარიგების ბედი ნებართვის მიღების შემდეგ

22 ნებართვის მიღება არ ნიშნავს, რომ გარიგება ყველა შემთხვევაში ნამდვილი იქნება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შემთხვევა, როდესაც გარიგება რეალურად არ შეესაბამება ბავშვის ინტერესებს, მაგრამ ორგანო (შეცდომით) მაინც გასცემს ნებართვას. აღნიშნული გარიგება მაინც უნდა გაბათილდეს, რადგანაც მეურვეს/მზრუნველის მიერ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელება ბავშვის ინტერესების შესაბამისად დამოუკიდებელი წინაპირობაა გარიგების და-

სადეზად. შესაბამისად, ამ წინაპირობის არარსებობისას, გარიგება ბათილია. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს შეცდომა მას ნამდვილად ვერ აქცევს. თუმცა ზიანი, რომელსაც ამ გარიგების ბათილობა იწვევს, უნდა ანაზღაუროს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანომ და არა მეურვემ/მზრუნველმა (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეურვეს/მზრუნველს შეჰყავს შეცდომაში მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო).

მუხლი 1295. მალფუჭებადი ქონების გასხვისების წესი

მალფუჭებადი ან ისეთი ქონება, რომელიც თავისი ხასიათის მიხედვით გასაყიდად არის განკუთვნილი, შეიძლება გაიყიდოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ნებართვის გარეშე.

მუხლი 1296. ჩუქების დაუშვებლობა სამეურვეო პირის სახელით

სამეურვეო (სამზრუნველო) პირის სახელით ჩუქების ხელშეკრულების დადება არ შეიძლება.

I. ჩუქების აკრძალვა.....	558
II. ტელეოლოგიური რედუქცია.....	559
III. ბავშვის ინტერესებში მყოფი ჩუქების დასაშვებობა	560
IV. სამართლებრივი შედეგი	561

I. ჩუქების აკრძალვა

- 1** 1296-ე მუხლით აკრძალულია თითქმის ყველა სახის ჩუქების ხელშეკრულების დადება სამეურვეო ან სამზრუნველო პირის სახელით.¹ მუხლის მიზანია არასრულწლოვნის ქონების დაცვა საპასუხო შესრულების გარეშე გასხვისებისგან.²
- 2** აკრძალულია როგორც რეალური ჩუქება, ისე ჩუქების დაპირება.³ 1296-ე მუხლი ვრცელდება ასევე შერეულ ჩუქებაზე⁴ და იმ შემთხვევაზე, როდესაც ჩუქება უნდა მოხდეს სამეურვეო/სამზრუნველო პირის და მეურვე/მზრუნველის თანასაკუთრებიდან.⁵ აკრძალვა ვრცელდება

¹ *შენგელია/შენგელია*, საოჯახო სამართალი, მეორე გამოცემა, 2011, გვ. 382.

² OLG Frankfurt BeckRS 2015, 13193 Rn. 11; *Kemper, R.*, in Schulz/Hauß, Familienrecht, 3. Auflage 2018, § 1804 Rn. 1; *Bettin*, in BeckOK BGB, 57. Ed. 1.2.2021, § 1804 Rn. 1.

³ *Kroll-Ludwigs*, in Münchener Kommentar BGB, 8. Auflage 2020, § 1804 Rn. 4.

⁴ OLG Hamm NJW-RR 1992, 1170; OLG Frankfurt a. M. FGPrax 2008, 18 f.

⁵ RGZ 91, 40.

როგორც მეურვეზე, რომელიც სამეურვეო პირის სახელით დებს გარიგებას, ისე მზრუნველზე, რომელიც აცხადებს თანხმობას გარიგებაზე ან უშუალოდ დებს მას სამზრუნველო პირის სახელით.⁶ ასეთი ჩუქების მოგვიანებით მოწონების უფლება არც თავად სამეურვეო/სამზრუნველო პირს არ აქვს და მან ქმედუნარიანობის მოპოვების შემდეგ *ex nunc*-მოქმედებით⁷ თავიდან უნდა გააჩუქოს ნივთი.⁸

თუ მეურვე ან მზრუნველი საკუთარი სახელით დებს ჩუქებას და გააჩუქებს ბავშვის საკუთრებას, მაშინ ის მოქმედებს, როგორც არაუფლებამოსილი გამსხვისებელი.⁹ რადგანაც ასეთ დროს, **187 II 1** მუხლით, ისედაც გამორიცხულია საკუთრების კეთილსინდისიერად მოპოვება, ასეთ შემთხვევებში **1296-ე** მუხლით დაცვა აღარაა საჭირო და ის არ გამოიყენება.

3

II. ტელეოლოგიური რედუქცია

1296-ე მუხლში არ არის მითითებული რაიმე გამონაკლისი, თუ რა სახის ჩუქების დადება შეიძლება, თუმცა სრული აკრძალვა წინააღმდეგობაში მოვიდოდა როგორც მუხლის მიზანთან, ისე კონსტიტუციით გათვალისწინებულ ძირითად უფლებებთან.

4

ამ პრობლემის გადაჭრა გერმანული გამოცდილების გათვალისწინებით¹⁰ შესაძლებელია ტელეოლოგიური რედუქციის გამოყენებით. შედეგად, ნორმა უნდა გავრცელდეს მხოლოდ იმ შემთხვევებზე, როდესაც ბავშვის ქონებას რეალური ზიანი ადგება. თუ არ არსებობს საფრთხე, რომ ნივთის გაჩუქებით ბავშვის ქონება რეალურად შემცირდება, მაშინ არც **1296-ე** მუხლით დაცვის საჭიროება არ არსებობს.¹¹ ასეთ დროს გადამწყვეტია, სავარაუდოდ, მოისურვებს თუ არა ბავშვი მომავალში ქონების ამ ნაწილით სარგებლობას თუ ნივთს მისთვის

5

⁶ *შენგელია*, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1296, გვ. 345; *Kroll-Ludwigs*, in *Münchener Kommentar BGB*, 8. Auflage 2020, § 1804 Rn. 2.

⁷ RGZ 91, 40BayObLG Rpfleger 1988, 23; OLG Hamm FamRZ 1985, 207.

⁸ OLG Stuttgart FamRZ 1969, 40.

⁹ *Kroll-Ludwigs*, in *Münchener Kommentar BGB*, 8. Auflage 2020, § 1804 Rn. 3.

¹⁰ *Kroll-Ludwigs*, in *Münchener Kommentar BGB*, 8. Auflage 2020, § 1804 Rn. 1.

¹¹ BGH NJW 2012, 1956.

ობიექტურად საბოლოოდ აქვს დაკარგული თავისი ეკონომიკური ღირებულება.¹² თუ სამეურვეო/სამზრუნველო პირისთვის ნივთს დაკარგული აქვს ეკონომიკური ღირებულება, მაშინ მისი გაჩუქება, მართალია, იქნება ჩუქება 524-ე მუხლის, მაგრამ არა 1296-ე მუხლის გაგებით.¹³

- 6** მიუხედავად იმისა, რომ, განსხვავებით გსკ-ის 1804-ე პარაგრაფისგან, 1296-ე მუხლი არ შეიცავს სპეციალურ მითითებას, ნებადართულად უნდა იქნეს მიჩნეული ასევე ჩუქება, რომელიც ხორციელდება რაიმე სოციალური ვალდებულების¹⁴ შესასრულებლად.

III. ბავშვის ინტერესებში მყოფი ჩუქების დასაშვებობა

- 7** 1296-ე მუხლი, ისევე, როგორც, ზოგადად, მეურვეობა-მზრუნველობის ინსტიტუტი, ემსახურება ბავშვის ინტერესების დაცვას. ამიტომ, თუ ჩუქება შედის ბავშვის ინტერესებში, მეურვეს უნდა ჰქონდეს ასეთი გარიგების დადების უფლება. როდესაც ნივთის გაჩუქებით მიიღწევა ბავშვის ინტერესების დაცვის მიზანი, ბუნებრივია, დაუშვებელია, აიკრძალოს ამ ჩუქების დადება იმ დასაბუთებით, რომ ეს ეწინააღმდეგება ბავშვის ინტერესებს. მაგალითად, ცალკეულ შემთხვევებში, შესაძლოა ბავშვის კონკრეტული ნივთის მიმართ არსებულმა ეკონომიკურმა ინტერესმა უკან დაიხიოს მისი აღზრდის ინტერესის წინაშე. ასეთი იქნება, მაგალითად, შემთხვევა, როდესაც ბავშვს სურს, აჩუქოს მეგობარს თავისი მრავალი სათამაშოდან ერთ-ერთი. ასეთ დროს ჩუქების გაბათილება და ნივთის დაბრუნება ან თუნდაც ჩუქების დადების აკრძალვა არ ემსახურება არავითარ დაცვის ღირს ინტერესს და პირიქით, ხელს უშლის მეურვისა და მზრუნველის მხრიდან აღმზრდელობითი საქმიანობის განხორციელებას. თუმცა ყოველი ასეთი გარიგების დადება რეალურად უნდა ემსახურობდეს ბავშვის ინტერესებს.

¹² OLG Nürnberg BeckRS 2013, 12984, *Braeuer, M.*, Wohnungsrecht nach Umzug ins Pflegeheim, FamFR 2013, 406.

¹³ OLG Nürnberg BeckRS 2013, 12984.

¹⁴ ამასთან დაკავშირებით იხ. *Kroll-Ludwigs*, in *Münchener Kommentar BGB*, 8. Auflage 2020, § 1804 Rn. 13.

IV. სამართლებრივი შედეგი

ჩუქება, რომელიც იდება 1296-ე მუხლის აკრძალვის მიუხედავად, ბათილია,¹⁵ რადგანაც მეურვესა და მზრუნველს არ აქვთ ასეთი გარიგების ფარგლებში წარმომადგენლობის უფლება.¹⁶ ბათილია როგორც ვალდებულებითი ჩუქების დაპირება, ისე სანივთო გარიგება,¹⁷ რომლითაც გადაეცემა პირს საკუთრება.¹⁸ შემძენის ნდობა, რომ მეურვეს ჰქონდა ნივთის გასხვისების უფლება, დაცული არ არის.¹⁹

8

¹⁵ შენგელია, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1296, გვ. 346; *Kroll-Ludwigs*, in *Münchener Kommentar BGB*, 8. Auflage 2020, § 1804 Rn. 11.

¹⁶ OLG Frankfurt BeckRS 2015, 13193 Rn. 16.

¹⁷ KG FGPrax 2012, 145 f.

¹⁸ OLG Frankfurt BeckRS 2015, 13193 Rn. 12.

¹⁹ *Fritsche, I./Katzenstein, H./Lohse, K.*, in *Kaiser/Schnitzler/Friederici/Schilling, BGB - Familienrecht*, 4. Auflage 2021 § 1804 Rn. 3.

მუხლი 1297. მეურვისა და მზრუნველის მხრიდან წარმომადგენლობის დაუშვებლობა

მეურვესა და მზრუნველს, მათ მეუღლეებსა და ახლო ნათესავებს უფლება არა აქვთ დადონ გარიგება სამეურვეო (სამზრუნველო) პირთან, აგრეთვე არ შეიძლება, რომ ისინი იყვნენ ამ პირის წარმომადგენლებად გარიგების დადებისას ან სასამართლოში საქმის წარმოებისას სამეურვეო (სამზრუნველო) პირსა და მეურვის ან მზრუნველის მეუღლესა და მათ ახლო ნათესავებს შორის.

I. ზოგადი	562
II. საკუთარ თავთან გარიგების დადების აკრძალვა	563
III. გარიგება მეურვის/მზრუნველის მეუღლესთან ან ახლო ნათესავთან	566
IV. საპროცესო წარმომადგენლობა	567
V. სამართლებრივი შედეგები	567

I. ზოგადი

- 1** ნორმის მიზანია მეურვისა და მზრუნველის კანონიერი წარმომადგენლობის უფლების შეზღუდვის გზით არასრულწლოვნის დაცვა¹ სავარუდო ინტერესთა კონფლიქტისას.² 1297-ე მუხლით ხდება არა არასრულწლოვნის ინტერესების ან სამოქალაქო ბრუნვის კონკრეტული ფაქტობრივი დაცვა, არამედ მის და მეურვის/მზრუნველის ინტერესების შორის სავარაუდო წინააღმდეგობის აბსტრაქტული გამორიცხვა.³ 1297-ე მუხლის გავრცობა ან ანალოგიით გამოყენება დაუშვებელია.⁴ კანონმდებელი ამომწურავად ჩამოთვლის, როდის არის საჭირო აბსტრაქტული დაცვა. სხვა ყველა შემთხვევაში უნდა შემოწმდეს, ხომ არ მოხდა ბავშვის უფლებების კონკრეტული დარღვევა.⁵

¹ *შენგელია/შენგელია*, საოჯახო სამართალი, მეორე გამოცემა, 2011, გვ. 383; *შენგელია*, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1297, გვ. 346.

² *Spickhoff*, in *Münchener Kommentar BGB*, 8. Auflage 2020, § 1795 Rn. 1.

³ BGHZ 21, 231 = NJW 1956, 1433; BGHZ 50, 11 = NJW 1968, 936; BGH FamRZ 1961, 475 = BeckRS 1961, 31182806; BGHZ 193, 1 Rn. 12 = NJW 2012, 1731.

⁴ *Spickhoff*, in *Münchener Kommentar BGB*, 8. Auflage 2020, § 1795 Rn. 1.

⁵ BGH 12.2.2014 – XII ZB 592/12, FamRZ 2014, 640 Rn. 14.

1297-ე მუხლით, ერთი მხრივ, კიდევ ერთხელ არის განმტკიცებული საკუთარ თავთან გარიგების დადების აკრძალვა და, მეორე მხრივ, ხდება 114-ე მუხლის გავრცობა პირთა უფრო ფართო წრეზე.⁶ **2**

მზრუნველს არა მხოლოდ ეკრძალება, დადოს გარიგება სამზრუნველო პირის სახელით, არამედ მას ასევე ეკრძალება, მოიწონოს მის მიერ დადებული მერყევად ბათილი გარიგება, თუ სახეზეა 1297-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევა.⁷ **3**

1297-ე მუხლის დანაწესისთვის თავის არიდება იმ გზით, რომ მეურვემ/მზრუნველმა სხვა პირს მიანიჭოს წარმომადგენლობითი უფლებამოსილება, დაუშვებელია.⁸ **4**

1297-ე მუხლი სრულად ვრცელდება სრულწლოვან პირზეც, რომელსაც დანიშნული ჰყავს მზრუნველი. **5**

II. საკუთარ თავთან გარიგების დადების აკრძალვა

1279-ე მუხლი, უპირველეს ყოვლისა, კრძალავს არასრულწლოვნის სახელით მეურვის ან მზრუნველის მიერ გარიგების დადებას, როდესაც ის თავადაა მეორე მხარე ან მეორე მხარის წარმომადგენელი.⁹ აკრძალვა ეხება მხოლოდ გარიგებებსა და არა გარიგებისმავარ მოქმედებებს, როგორცაა, მაგალითად, გაფრთხილება.¹⁰ 1279-ე მუხლი გამოიყენება საჯაროსამართლებრივ ურთიერთობებშიც,¹¹ განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მეურვის ან მზრუნველის მიერ საჯარო ორგანოს წინაშე ნების გამოვლენა უშუალო გავლენას ახდენს თავად მის სამართლებრივ პოზიციაზე, რადგანაც გადამწყვეტია არა ის, თუ ვის უნდა მიუვიდეს ნება, არამედ ვის მიემართება იგი.¹² **6**

⁶ *Fritsche, I./Katzenstein, H./Lohse, K.*, in Kaiser/Schnitzler/Friederici/Schilling, BGB - Familienrecht, 4. Auflage 2021 § 1795 Rn. 1.

⁷ KG KGJ 45, 237.

⁸ *Spickhoff*, in Münchener Kommentar BGB, 8. Auflage 2020, § 1795 Rn. 17.

⁹ BGH NZI 2017, 854.

¹⁰ *Spickhoff*, in Münchener Kommentar BGB, 8. Auflage 2020, § 1795 Rn. 4.

¹¹ BayObLG DNotZ 1974, 226; OLG Hamm Rpfleger 1974, 310.

¹² *Dickescheid*, in RGRK-BGB, 12. Auflage 1999, § 1795 Rn. 4.

- 7** სადავოა, უნდა ჰქონდეს თუ არა მეურვეს ან მზრუნველს უფლება ბავშვის სახელით თქვას უარი სამკვიდროზე მაშინ, როდესაც თვითონაა მომდევნო რიგის მემკვიდრე. ერთი მოსაზრებით,¹³ ეს დასაშვები უნდა იყოს, რადგანაც აქ მეურვეს თუ მზრუნველს არ მიემართება ეს ნების გამოვლენა და ის მემკვიდრეობას იღებს არა ამ ნების გამოვლენით, არამედ კანონით. მაგრამ ეს გადაწყვეტა არასწორია. მართებულია მეორე მოსაზრება,¹⁴ რომლის მიხედვითაც, ასეთ შემთხვევებზეც უნდა გავრცელდეს 1297-ე მუხლი. ამას უნდა გაუთანაბრდეს შემთხვევა, როდესაც ხდება ანდერძის შეცილება. ასეთ დროს მიიჩნევა, რომ ნების გამოვლენა მიემართება მას, ვინც მოიპოვებს რაიმე უფლებას ანდერძით მემკვიდრეობის საფუძველზე. იგივე პრინციპი უნდა იქნეს შენარჩუნებული ზემოხსენებულ შემთხვევაშიც.
- 8** 1297-ე მუხლი არ გამოიყენება, როდესაც მეურვე/მზრუნველი და სამეურვეო/სამზრუნველო პირი ხელშეკრულების არა სხვადასხვა,¹⁵ არამედ ერთსა და იმავე მხარეს დგანან და ეს კანონიერი წარმომადგენელი ორივე მათგანისთვის ავლენს ნებას მეორე მხარის წინაშე.¹⁶
- 9** აკრძალულია მეურვის/მზრუნველის მიერ არასრულწლოვნის სახელით ნების გამოვლენა საზოგადოების (მათ შორის, არც კაპიტალური ტიპის¹⁷) დასაფუძნებლად, თუ თავად ეს მეურვე/მზრუნველიც თანადამფუძნებელია.¹⁸ არასრულწლოვნის ხმის მიცემის უფლების განხორციელება მეურვე/მზრუნველის, როგორც წარმომადგენლის, მიერ გამორიცხებულია, როდესაც საკითხი ეხება იმ საწარმოს ფუნდამენტურ საკითხებს, რომელშიც ეს წარმომადგენელი თავადაცაა პარტნიორი. ასეთად შეიძლება მიჩნეულ იქნეს, მაგალითად, წესდების ცვლილება.¹⁹ იგივე ითქმის ხმის მიცემის უფლების გამოყენებაზე, როდესაც უნდა გადაწყდეს სამეურვეო/სამზრუნველო პირის პარტნიორად დანიშვნა

¹³ Rpfleger 1983, 482.

¹⁴ Spickhoff, in Münchener Kommentar BGB, 8. Auflage 2020, § 1795 Rn. 6.

¹⁵ RGZ 89, 373; Dickescheid, in RGRK-BGB, 12. Auflage 1999, § 1795 Rn. 4.

¹⁶ BGHZ 50, 10 = NJW 1968, 936.

¹⁷ Leptien, in Soergel, Kommentar BGB, 13. Auflage 1999, § 181 Rn. 19.

¹⁸ Spickhoff, in Münchener Kommentar BGB, 8. Auflage 2020, § 1795 Rn. 8.

¹⁹ BGH NJW 1961, 724.

საწარმოში, სადაც მეურვე/მზრუნველი უკვე არის პარტნიორი.²⁰ თუმცა 1297-ე მუხლით არ არის აკრძალული საერთო კრებებში მონაწილეობის მიღება და ხმის მიცემა სამეურვეო/სამზრუნველო პირის სახელით, მაშინაც კი, თუ მეურვე/მზრუნველი თავადაც პარტნიორია.²¹

მეურვესა და მზრუნველს უფლება აქვთ შეუზღუდავად გადარიცხონ თანხა სამეურვეო/სამზრუნველო პირის ერთი ანგარიშიდან მეორეზე, რადგანაც აქ საქმე ეხება სამართლებრივად ნეიტრალურ გარიგებას.²² დასაშვებია ასევე თანხის შეუზღუდავი გადარიცხვა სამეურვეო/სამზრუნველო პირის ანგარიშიდან მეურვე/მზრუნველის ანგარიშზე, თუ ამ უკანასკნელმა სამართლებრივი საფუძვლის (ჩუქების) გარეშე განათავსა ეს თანხა ამ თავდაპირველ ანგარიშზე. ამით მეურვე/მზრუნველი ასრულებს მხოლოდ სამეურვეო/სამზრუნველო პირის ვალდებულებას, დააბრუნოს უსაფუძვლოდ მიღებული.²³

10

1297-ე მუხლი მოიცავს დაუნერგელ²⁴ გამონაკლისებს, როდესაც ნებადართული უნდა იყოს სამეურვეო/სამზრუნველო პირის სახელით გარიგების დადება. ესენია შემთხვევები, როდესაც გარიგება იდება უკვე არსებული ვალდებულების შესასრულებლად²⁵ და თუ გარიგებით არასრულწლოვანი მხოლოდ სამართლებრივ სარგებელს²⁶ იღებს.

11

²⁰ BayObLG NJW 1959, 989.

²¹ OLG Nürnberg MittBayNot 2018, 333; *Dickescheid*, in RGRK-BGB, 12. Auflage 1999, § 1795 Rn. 4.

²² *Spickhoff*, in Münchener Kommentar BGB, 8. Auflage 2020, § 1795 Rn. 10.

²³ BGH NJW 2004, 2517 = FamRZ 2004, 1349, *Madaus, S.*, „Weigerungsrecht“ der Bank nach Überweisungsaufträgen in Vertretungsfällen nur bei konkretem Verdacht auf Missbrauch zulasten des Kontoinhabers, EWIR 2004, 1023.

²⁴ *Fritsche, I./Katzenstein, H./Lohse, K.*, in Kaiser/Schnitzler/Friederici/Schilling, BGB - Familienrecht, 4. Auflage 2021 § 1795 Rn. 8.

²⁵ OLG München FamRZ 2012, 740; BayObLG Rpfleger 1981, 303; *Spickhoff*, in Münchener Kommentar BGB, 8. Auflage 2020, § 1795 Rn. 19.

²⁶ BGHZ 59, 240 = NJW 1972, 2262; BGH NJW 2005, 415.

III. გარიგება მეურვის/მზრუნველის მეუღლესთან ან ახლო ნათესავთან

- 12** 1297-ე მუხლი კრძალავს მეურვისა და მზრუნველის მეუღლის ან ახლო ნათესავების მიერ გარიგების დადებას სამეურვეო/სამზრუნველო პირთან.²⁷ პირთა წრის გაფართოებით ხდება საკუთარ თავთან გარიგების დადების აკრძალვის გავრცობა. გარიგების დადების აკრძალვა გულისხმობს როგორც პირადად, ისე ნებისმიერი წარმომადგენლის მიერ დადების აკრძალვას. ამიტომ ნორმაში დამატებით მითითება, რომ მეურვე/მზრუნველი არ შეიძლება იყოს წარმომადგენელი სამეურვეო/სამზრუნველო პირსა და მეურვის/მზრუნველის მეუღლეს ან ნათესავებს შორის ხელშეკრულების დადებისას, ზედმეტია.
- 13** აკრძალულია ყველა იმ გარიგების დადება, რომლის დადებაც დაუშვებელი იქნებოდა თავად მეურვესთან ან მზრუნველთან.
- 14** 1297-ე მუხლით არ გამოირიცხება მეურვისა თუ მზრუნველის უფლება, იყოს წარმომადგენელი სამეურვეო/სამზრუნველო პირის მხარეს, როდესაც უნდა მოხდეს მეუღლის ან ნათესავების მიერ გამოვლენილი ნების მიღება (მაგალითად, ხელშეკრულებიდან გასვლისას).²⁸
- 15** აკრძალვა ეხება ასევე ნებისმიერ გარიგებას, რომელიც არ იდება მეურვის/მზრუნველის მეუღლესთან ან ნათესავთან, მაგრამ ამით იცვლება მათი სამართლებრივი მდგომარეობა.
- 16** ნორმა ეხება მეურვის ან მზრუნველის მხოლოდ *იმჟამინდელ* მეუღლეს, რომელთანაც იმყოფება მეურვე/მზრუნველი ქორწინებაში გარიგების დადების მომენტში.²⁹ განქორწინების შემდეგ მეურვის/მზრუნველის ყოფილ მეუღლესთან გარიგების დადება დასაშვებია, რადგანაც აღარაა სახეზე 1297-ე მუხლის წინაპირობები.³⁰

²⁷ *შენგელია/შენგელია*, საოჯახო სამართალი, მეორე გამოცემა, 2011, გვ. 383.

²⁸ BayObLG FamRZ 1977, 141 (143); *Zimmermann*, in Soergel, Kommentar BGB, 13. Auflage 2000, § 1795 Rn. 26.

²⁹ *Bettin*, in BeckOK BGB, 57. Ed. 1.2.2021, § 1795 Rn. 3.

³⁰ OLG Stuttgart NJW 1955, 1722; BGH LM Nr. 4; FamRZ 1958, 178; OLG Düsseldorf FamRZ 1965, 223.

ისევე, როგორც თავად მეურვესთან/მზრუნველთან გარიგების დადებისას, აქაც დასაშვებია ისეთი გარიგების დადება, რომლითაც სრულდება უკვე ნაკისრი ვალდებულება ან სამეურვეო/სამზრუნველო პირი მხოლოდ სარგებელს იღებს.³¹

17

IV. საპროცესო წარმომადგენლობა

1297-ე მუხლი მიუთითებს, რომ მეურვე ან მზრუნველი არ შეიძლება იყოს სამეურვეო/სამზრუნველო პირის საპროცესო წარმომადგენელი, როდესაც დავა მიმდინარეობს მეურვის/მზრუნველის მეუღლესთან ან ახლო ნათესავთან.³² აკრძალვა უნდა გავრცელდეს იმ შემთხვევებზეც, როდესაც დავის მეორე მხარე თავად მეურვე ან მზრუნველია. კანონმდებელმა სპეციალური მითითება ამასთან დაკავშირებით არ ჩათვალა საჭიროდ, რადგანაც თავისთავად ცხადია, რომ პირი ვერ იქნება სასამართლო დავის ორივე მხარეს.³³ თუმცა საპროცესო წარმომადგენლობის აკრძალვაზე მითითება მთლიანად ზედმეტია, რადგანაც ეს ისედაც გამომდინარეობს გარიგების დადების აკრძალვიდან.³⁴ თუ პირს არ შეუძლია იყოს წარმომადგენელი ორ პირს შორის გარიგების დადებისას, მაშინ მას არ შეუძლია იყოს საპროცესო წარმომადგენელი ამავე პირებს შორის არსებული სასამართლო დავის ფარგლებში.

18

V. სამართლებრივი შედეგები

1297-ე მუხლით აკრძალული გარიგებების დადებისთვის სამეურვეო/სამზრუნველო პირს უნდა დაენიშნოს ქონების მეურვე.³⁵ თუ გარი-

19

³¹ *Spickhoff*, in Münchener Kommentar BGB, 8. Auflage 2020, § 1795 Rn. 32 f.

³² *შენგელია/შენგელია*, საოჯახო სამართალი, მეორე გამოცემა, 2011, გვ. 384.

³³ BayObLG FamRZ 1982, 1135; OLG Dresden 2010, 1995; OLG Karlsruhe NJW-RR 2016, 1158 *Veit*, in Staudinger BGB, Neubearbeitung 2014, § 1795 Rn. 48; *Spickhoff*, in Münchener Kommentar BGB, 8. Auflage 2020, § 1795 Rn. 40.

³⁴ *Kemper, R.*, in Schulze, Bürgerliches Gesetzbuch, 10. Auflage 2019, § 1795 Rn. 7.

³⁵ *Bettin*, in BeckOK BGB, 57. Ed. 1.2.2021, § 1795 Rn. 7.

გება იდება 1297-ე მუხლის აკრძალვის მიუხედავად, მაშინ იგი არის მე-რყევად ბათილი.³⁶ იგი შეიძლება ნამდვილი გახდეს მოწონების შემდეგ. მოწონების უფლება აქვს ქონების მეურვეს (თუ იგი დანიშნულია) ან თავად სამეურვეო/სამზრუნველო პირს, სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ.³⁷ თავად მეურვეს ან მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მოწონების უფლება არ აქვს.³⁸

- 20** მეურვე ან მზრუნველი, რომელიც 1297-ე მუხლის აკრძალვის მიუხედავად, დებს გარიგებას, როგორც სამეურვეო/სამზრუნველო პირის კანონიერი წარმომადგენელი, მოქმედებს როგორც *falsus procurator*.³⁹
- 21** მეურვის/მზრუნველის მეუღლისა და ნათესავების მიერ სამეურვეო/სამზრუნველო პირთან დადებული გარიგების კონვერსია მათ სასარგებლოდ მეურვესთან/მზრუნველთან დადებულ გარიგებად დაუშვებელია.⁴⁰

³⁶ *Budzikiewicz*, in *Jauernig, Bürgerliches Gesetzbuch*, 18. Auflage 2021, § 1795 Rn. 8.

³⁷ *Fritsche, I./Katzenstein, H./Lohse, K.*, in *Kaiser/Schnitzler/Friederici/Schilling, BGB - Familienrecht*, 4. Auflage 2021 § 1795 Rn. 9; BGHZ 65, 126 = NJW 1976, 104.

³⁸ BGHZ 21, 234 = NJW 1956, 1433; BGH FamRZ 1961, 475 = BeckRS 1961, 31182806; RGZ 71, 162; BayObLG Rpfleger 1977, 440; *Spickhoff*, in *Münchener Kommentar BGB*, 8. Auflage 2020, § 1795 Rn. 43.

³⁹ RGZ 68, 40; RG JW 1924, 1862.

⁴⁰ BGH NJW 1962, 1395 = FamRZ 1962, 464; *Spickhoff*, in *Münchener Kommentar BGB*, 8. Auflage 2020, § 1795 Rn. 44.

მუხლი 1298. მეურვისა და მზრუნველის მოქმედებათა გასაჩივრება

მეურვისა და მზრუნველის მოქმედება შეიძლება გაასაჩივროს დაინტერესებულმა პირმა, მათ შორის სამეურვეო (სამზრუნველო) პირმაც, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოში სამეურვეო (სამზრუნველო) პირის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

I. საჩივრის საჯაროსამართლებრივი ხასიათი	569
II. საჩივრის წარმდგენი პირი	570
III. ქმედება, რომელიც შეიძლება გასაჩივრდეს	571
IV. პარალელური ნორმები	572

I. საჩივრის საჯაროსამართლებრივი ხასიათი

1298-ე მუხლი განამტკიცებს მეურვეობისა და მზრუნველობის საჯაროსამართლებრივ ხასიათს.¹ მეურვე და მზრუნველი ახორციელებს რა, ფაქტობრივად, სახელმწიფოს ვალდებულებას, იზრუნოს მშობლის გარეშე დარჩენილ ბავშვზე, ამ ვალდებულებათა არასათანადო შესრულება ექვემდებარება გასაჩივრებას.² რადგანაც მეურვისა და მზრუნველის შერჩევასა და დანიშვნაზე პასუხისმგებელი მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოა და სწორედ ის ახორციელებს მათზე კონტროლს, ბუნებრივია, რომ მათი ქმედება სწორედ ამ ორგანოში უნდა გასაჩივრდეს.

1

საჩივარში არ იგულისხმება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი საჩივარი ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2 I ი), 179-ე მუხლების გაგებით. ასეთი საჩივარი წარდგენილი უნდა იყოს ადმინისტრაციული ორგანოს წინააღმდეგ. 1298-ე მუხლის შემთხვევაში კი ის მიემართება მეურვის ან მზრუნველის ქმედებას. ეს უკანასკნელნი არ წარმოადგენენ ადმინისტრაციულ ორგანოს.

2

ამის საპირისპიროდ, 1298-ე მუხლში დასახელებული საჩივარი გაგებულ უნდა იქნას, როგორც განცხადება ზოგადი ადმინისტრაციული

3

¹ მეურვეობისა და მზრუნველობის როგორც საჯარო, ისე კერძოსამართლებრივ ბუნებასთან დაკავშირებით იხ. 1275-ე მუხლის კომენტარი.
² *შენგელია*, სკ-ის კომენტარი, *ჭანტურია* (რედ.), 2000, მუხ. 1298, გვ. 348.

კოდექსის 77-ე მუხლის მიხედვით. ის წარმოადგენს ოფიციალურ მიმართვას ადმინისტრაციული ორგანოსადმი, რათა მან დაიწყოს წარმოება საკუთარი ზედამხედველობის ფარგლებში. შესაბამისად, 1298-ე მუხლში მოხსენიებული საჩივარი უნდა აკმაყოფილებდეს, სულ მცირე, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლის ფორმალურ მოთხოვნებს.

II. საჩივრის წარმდგენი პირი

- 4** 1298-ე მუხლი საჩივრის შეტანის უფლებას ანიჭებს ნებისმიერ დაინტერესებულ პირს.³ ნორმა პირდაპირ მიუთითებს, რომ ასეთი შეიძლება იყოს, მათ შორის, სამეურვეო პირიც. დღევანდელი რეგულაციით, სამეურვეო პირი შეიძლება იყოს მხოლოდ 7 წლამდე ასაკის. მცირეწლოვნისთვის საჩივრის წარმდგენის უფლების მინიჭება პრობლემურია, რადგანაც ეს მისთვის, ფაქტობრივად, შეუძლებელია.
- 5** ბავშვის უფლებათა კოდექსის 75 I მუხლით გარანტირებულია ბავშვის უფლება, პირადად მიმართოს ადმინისტრაციულ ორგანოს, საკუთარი უფლებების დაცვის მიზნით. ამავე კოდექსის 69 IV ბ) მუხლით კი ადმინისტრაციული განცხადების ფორმა უნდა იყოს ადაპტირებული. მაგრამ 7 წლამდე ბავშვისთვის განცხადების ფორმის ადაპტირება შეუძლებელია და, შესაბამისად, შეუძლებელია მისი სამართლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება კანონში არაფრისმომცემი ჩანაწერის გაკეთებით, რომ მას აქვს უფლება, თავად წარადგინოს საჩივარი. უფრო მეტიც, 7 წლამდე ბავშვის იმედად ყოფნა, რომ საჭიროებისას იგი შეიტანს განცხადებას ადმინისტრაციულ ორგანოში, უკვე ავტომატურად წარმოადგენს მისი უფლებების დარღვევას. ამიტომ კანონმდებლის მხრიდან ასეთის დაშვება მიზანშეუწონელია და უმჯობესი იქნებოდა, თუ 1298-ე მუხლიდან მითითება სამეურვეო პირზე ამოღებულ იქნება.
- 6** 7 წლამდე პირის მიერ საჩივრის წარმდგენის ფაქტობრივი შეუძლებლობის კომპენსირება უნდა მოხდეს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მხრიდან ზედამხედველობის განხორციელებით 1305¹-ე და

³ შენგელია, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1298, გვ. 349.

მომდევნო მუხლების შესაბამისად. მხოლოდ აღნიშნული წარმოადგენს ეფექტიან მექანიზმს ბავშვის ინტერესების დასაცავად.

სამეურვეო პირის მიერ საჩივრის წარდგენის ქვეშ ვერ მოექცევა შემთხვევა, როდესაც პირი, რომელსაც რეალურად არ აქვს სამეურვეო ასაკი, ასაჩივრებს არასწორად დანიშნული „მეურვის“ ქმედებას. ასეთ დროს მეურვეობა შეწყვეტილია ავტომატურად,⁴ კანონის საფუძველზე და ასეთ პირს არ შეიძლება ეწოდოს „სამეურვეო“ პირი.

7

III. ქმედება, რომელიც შეიძლება გასაჩივრდეს

მიუხედავად იმისა, რომ 1298-ე მუხლი პირდაპირ მიუთითებს მხოლოდ მოქმედებაზე, საჩივარი შეიძლება ასევე დაეფუძნოს უმოქმედობას. სხვაგვარად რომ ითქვას, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოში შეიძლება გასაჩივრდეს როგორც მოვალეობათა არასათანადოდ შესრულება, ისე საერთოდ შეუსრულებლობა.⁵

8

გასაჩივრებას ექვემდებარება მეურვისა და მზრუნველის ნებისმიერი სახის ქმედება. ეს შეიძლება იყოს დაკისრებული აღზრდის ან პირადი და ქონებრივი უფლებების დაცვის ვალდებულების სათანადოდ შეუსრულებლობა. დარღვევა 1298-ე მუხლის ფარგლებში გამომდინარეობს, ერთი მხრივ, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს და, მეორე მხრივ, მეურვესა თუ მზრუნველს შორის არსებული შიდა ურთიერთობიდან. საჩივარი არ წარმოადგენს გზას, დაკმაყოფილებულ იქნეს მეურვისა და მზრუნველის მიმართ არსებული კერძოსამართლებრივი მოთხოვნები, რომლებიც წარმოიშვა მათი ქმედებით, არამედ ის არის მექანიზმი, რომლითაც ხდება მეურვისა თუ მზრუნველის იძულება, შეასრულოს ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ ნაკისრი საჯაროსამართლებრივი მოვალეობა.

9

საჩივრის წარდგენის საფუძველი შეიძლება გახდეს ასევე ის ქმედებაც, რომელიც, მართალია, არ აყენებს ზიანს სამეურვეო/სამზრუნვე-

10

⁴ იხ. ამასთან დაკავშირებით 1302-ე მუხლის კომენტარი.

⁵ *Fritsche, I.*, in *Kaiser/Schnitzler/Friederici/Schilling*, BGB - Familienrecht, 4. Auflage 2021 § 1833 Rn. 6.

ლო პირს, მაგრამ არღვევს სხვა დამცავ ნორმებს. მაგალითად, როდესაც მეურვე შეურაცხყოფას აყენებს ან აზიანებს ბავშვის ნათესაეებს ან ანადგურებს მათ ქონებას.

IV. პარალელური ნორმები

- 11** ძალაში რჩება 1305-ე მუხლი. ის შეიძლება გამოყენებულ იქნეს, მათ შორის, იმ შემთხვევაშიც, როდესაც მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს არ აქვს სათანადო რეაგირება 1298-ე მუხლის ფარგლებში წარდგენილი საჩივრის მიმართ. თუ მეურვე ან მზრუნველი არ ზრუნავს ბავშვზე, ეს ნიშნავს, რომ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოც არ ასრულებს საკუთარ ვალდებულებას, უზრუნველყოს ბავშვზე სათანადო ზრუნვის განხორციელება. ასეთ დროს სარჩელი შეიძლება წარდგენილ იქნეს პირდაპირ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიმართაც.
- 12** მეურვისა და მზრუნველის მიმართ არსებული კერძოსამართლებრივი ხასიათის მოთხოვნები წაყენებულ უნდა იქნეს პირადად მათ მიმართ ზოგადი წესის შესაბამისად.

მუხლი 1299. მეურვისა და მზრუნველის გათავისუფლება მათი მოვალეობებისაგან

1. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო მეურვესა და მზრუნველს მათი მოვალეობებისაგან ათავისუფლებს ბავშვის მშობლებისათვის მშობლის მოვალეობების სრულად აღდგენის ან ბავშვის გაშვილების შემთხვევაში.

2. მეურვე და მზრუნველი შეიძლება განთავისუფლდნენ თავიანთი მოვალეობისაგან, აგრეთვე პირადი თხოვნის საფუძველზე, თუ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო ცნობს, რომ ეს თხოვნა საპატიო მიზეზით არის გამოწვეული (ავადმყოფობა, მატერიალური მდგომარეობის შეცვლა, სამეურვეო ან სამზრუნველო პირთან შეუთვისებლობა და სხვ.).

საქართველოს 2007 წლის 18 დეკემბრის კანონი №5624 - სსმ I, №48, 27.12.2007წ., მუხ.414

- I. 1299 I მუხლი573
 - 1. განთავისუფლების სამართლებრივი ბუნება573
 - 2. განთავისუფლების შესახებ აქტის ბათილობა574
 - 3. ორგანოს ვალდებულებები აქტის უკანონოდ გამოცემისას.....575
- II. 1299 II მუხლი575
 - 1. განთავისუფლების წინაპირობები575
 - 2. განთავისუფლების სამართლებრივი ბუნება577

I. 1299 I მუხლი

1. განთავისუფლების სამართლებრივი ბუნება

მეურვე ან მზრუნველი სჭირდება ბავშვს, რომელიც არ იმყოფება ბიოლოგიური მშობლის ან მშვილებლის ზრუნვის ქვეშ. შესაბამისად, თუ ბავშვის მშობლებს აღუდგებათ მშობლის უფლებები ან მოხდება მისი გაშვილება, ის აღარ საჭიროებს მეურვესა და მზრუნველს. ამიტომ, მეურვეობა და მზრუნველობა წყდება და მეურვე და მზრუნველი თავისუფლდებიან ნაკისრი ვალდებულებებისგან.¹

1

¹ *შენგელია/შენგელია*, საოჯახო სამართალი, მეორე გამოცემა, 2011, გვ. 385; *შენგელია*, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1299, გვ. 350.

- 2** მუხლი ნაწილობრივ იმეორებს 1302 I გ) მუხლის შინაარსს, რომელიც მიუთითებს მეურვეობის შეწყვეტაზე მშობლისთვის უფლებების აღდგენის შემთხვევაში. 1302-ე მუხლი არ შეიცავს ჩანაწერს გაშვილებასთან დაკავშირებით, ხოლო 1304-ე მუხლი საერთოდ არ ასახელებს მზრუნველობის შეწყვეტის საფუძვლებს შორის არც მშობლის უფლების შეწყვეტას და არც გაშვილებას. რომ არ ყოფილიყო 1299 I მუხლი, საჭირო იქნებოდა 1302 I გ) მუხლის ანალოგიით გამოყენება.
- 3** 1299 I მუხლი საუბრობს მეურვისა და მზრუნველის მათი მოვალეობისგან განთავისუფლებაზე. რადგანაც საქართველოში მეურვეობის/მზრუნველობის შეწყვეტა და კონკრეტული მეურვის/მზრუნველის განთავისუფლება ერთმანეთისგან არ იმიჯნება, ბუნებრივია, 1299 I მუხლის ფარგლებშიც განთავისუფლება არის მეურვეობისა და მზრუნველობის შეწყვეტის ტოლფასი. ზოგადად, მშობლის უფლებების აღდგენა და გაშვილება სწორედ მეურვეობისა და მზრუნველობის შეწყვეტის საფუძვლებია და არა უბრალოდ რომელიმე კონკრეტული მეურვის/მზრუნველის გათავისუფლების. რადგანაც მეურვე და მზრუნველი თავიანთი მოვალეობებისგან თავისუფლდებიან ყველა შემთხვევაში, როდესაც წყდება მეურვეობა და მზრუნველობა, გაუგებარია, რა მიზანს ემსახურება მხოლოდ ორი შემთხვევის ცალკე მუხლში გამოტანა და 1302-ე და 1304-ე მუხლების არასრულყოფილად მონქსრიგება.
- 4** შეუძლებელია, მეურვეობა და მზრუნველობა შეწყდეს, მაგრამ ძალში დარჩეს მეურვისა და მზრუნველის უფლებამოსილება. ასეთ დროს ის სრულდება ავტომატურად, კანონის საფუძველზე. აქტს, რომელიც გამოიცემა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ მეურვისა და მზრუნველის განთავისუფლების შესახებ, აქვს მხოლოდ დეკლარატორული და არა კონსტიტუტიური ხასიათი.

2. განთავისუფლების შესახებ აქტის ბათილობა

- 5** ზოგიერთ შემთხვევაში, როდესაც რეალურად არ არის სახეზე 1299 I მუხლის წინაპირობები, შეიძლება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანომ არასწორად მაინც გამოსცეს აქტი მეურვისა თუ მზრუნველის განთავისუფლების შესახებ. მაგალითად, როდესაც მეურვეობისა

და მზრუნველობის ორგანო შეცდომით თვლის, რომ ბავშვის გაშვილების პროცესი დასრულებულია. ასეთ დროს გადანყვეტილება მეურვის ან მზრუნველის განთავისუფლების შესახებ მატერიალურად უკანონოა და შეიძლება გასაჩივრდეს ადმინისტრაციული წესით.

აქტის ბათილად ცნობის შედეგად აღდგება ის ურთიერთობა, რომელიც არსებობდა მის გამოცემამდე. მეურვესა თუ მზრუნველს, რომელიც არასწორად განთავისუფლდა ვალდებულებისგან, არ აქვს უფლება, უარი თქვას მისი სამართლებრივი მდგომარეობის აღდგენაზე. **1299 II** მუხლით, საჭიროა საპატიო მიზეზი, რომ მეურვე ან მზრუნველი განთავისუფლდეს. ადმინისტრაციული ორგანოს შეცდომა და განთავისუფლების შესახებ აქტის არასწორად გამოცემა არ არის საპატიო მიზეზი, რომელსაც შეიძლება იგი დაეყრდნოს.

3. ორგანოს ვალდებულებები აქტის უკანონოდ გამოცემისას

უკანონო აქტის გამოცემიდან მის ბათილად ცნობამდე პერიოდში (ან სანამ ბავშვზე ზრუნვა რეალურად დაეკისრება სხვა პირს) ბავშვი რჩება რეალური ზრუნვის გარეშე. ასეთ დროს მოქმედებს **1282 III** მუხლი. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ეკისრება ვალდებულება, შეასრულოს მეურვისა და მზრუნველის ვალდებულებები ამ დროის განმავლობაში.

მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ეკისრება პასუხისმგებლობა ასევე თავისი შეცდომისთვის. ის ზიანი, რომელიც მიადგა ბავშვს, მეურვეს/მზრუნველს ან სხვა პირს იმით, რომ მეურვისა თუ მზრუნველის უფლებამოსილება არასწორად შეწყდა, უნდა აანაზღაუროს ადმინისტრაციულმა ორგანომ.

II. 1299 II მუხლი

1. განთავისუფლების წინაპირობები

საპატიო მიზეზის არსებობისას, მეურვესა და მზრუნველს უფლება **9**

აქვთ, მიმართონ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს და მოითხოვონ მოვალეობებისგან განთავისუფლება 1299 II მუხლის საფუძველზე.² ამ მუხლის მიზანი არის მეურვისა და მზრუნველის ინტერესების დაცვა. სწორედ ამიტომ აუცილებელი მოთხოვნაა, სახეზე იყოს მათი მხრიდან მიმართვა. ისეთ შემთხვევაში, როდესაც მეურვისა და მზრუნველისათვის უფლებამოსილების შეწყვეტა გამომდინარეობს ბავშვის ინტერესიდან, მეურვისა და მზრუნველის მიმართვა საჭირო არ არის. არამედ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს შეუძლია თავისი ინიციატივით ჩამოართვას მათ ეს უფლება. სხვაგვარი მიდგომა შეენი-ნააღმდეგებოდა კონსტიტუციით, სამოქალაქო კოდექსითა და ბავშვის უფლებათა კოდექსით გარანტირებულ ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის ვალდებულებას.

- 10** საპატიო მიზეზად უნდა იქნეს მიჩნეული ის გარემოებები, რომლებიც მნიშვნელოვნად ამცირებს ან გამორიცხავს მეურვისა და მზრუნველის გამოსადეგობას. რამდენიმე მაგალითი დასახელებულია თავად მუხლში, თუმცა ეს ჩამონათვალი არ არის ამომწურავი. გადამწყვეტია, რომ მეურვესა და მზრუნველს არ მოეთხოვებოდეთ, შეცვლილი გარემოებების პირობებშიც გააგრძელონ ნაკისრი ვალდებულების შესრულება. ასეთ დროს შესაძლებელია მისადაგების ინსტიტუტის კრიტიკიუმების მოშველიება. მეურვისა თუ მზრუნველის მოვალეობების შესრულების გაგრძელებაზე უარის თქმა დასაშვებია, თუ პირი არ განაცხადებდა ამაზე თანხმობას, მას რომ სცოდნოდა გარემოებების სამომავლო ან უკვე არსებული ცვლილების შესახებ. თუ არ არსებობს საპატიო მიზეზი, მეურვის ან მზრუნველის მხრიდან მოვალეობების შეწყვეტის მოთხოვნა დაუშვებელია. მეურვისა და მზრუნველის ხშირი შეცვლით ზიანდება ბავშვის უფლებები. გარდა ამისა, ამის დაშვება გამოიწვევდა პირთა მიერ მეურვეობასა და მზრუნველობაზე თანხმობის გაცხადების არასერიოზულობას. პირს, რომელიც თანხმდება ამ პასუხისმგებლობას, უნდა ჰქონდეს სურვილი, ბოლომდე განახორციელოს ის. დაუშვებელია, მისთვის უფლების მიცემა, განაცხადოს თანხმობა იმ იმედით, რომ ნებისმიერ დროს იტყვის მასზე უარს, როდესაც აღარ

² *შენგელია/შენგელია*, საოჯახო სამართალი, მეორე გამოცემა, 2011, გვ. 386; *შენგელია*, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1299, გვ. 350.

ენდომება მოვალეობების შესრულება. თანხმობა მეურვეობასა თუ მზრუნველობაზე არის მბოჭავი და მისგან გათავისუფლება საპატიო მიზეზის გარეშე დაუშვებელია.

2. განთავისუფლების სამართლებრივი ბუნება

მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს გადანაცვეტილებას, განთავისუფლდეს მეურვე ან მზრუნველი მოვალეობებისგან 1299 II მუხლის შესაბამისად, აქვს კონსტიტუციური მოქმედება. სანამ არ გამოიცემა შესაბამისი აქტი, პირის მოვალეობები ჯერ კიდევ ძალაშია. საჭიროებიდან გამომდინარე (საპატიო მიზეზის გათვალისწინებით) მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს შეუძლია, დაუყოვნებლივ განთავისუფლოს მეურვე თუ მზრუნველი. ასეთ დროს წყდება მეურვეობა-მზრუნველობაც და ის თავიდან უნდა დანესდეს. ახალი მეურვის/მზრუნველის დანიშვნამდე მოქმედებს 1282 III მუხლი. მაგრამ მეურვისა და მზრუნველის დაუყოვნებლივ განთავისუფლება არის უკიდურეს შემთხვევაში გამოსაყენებელი საშუალება. რამდენადაც ეს შესაძლებელია, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანომ უნდა გადაავადოს მოქმედი მეურვისა და მზრუნველის უფლებამოსილების შეწყვეტა ახლის შერჩევა-დანიშვნამდე.

11

მუხლი 1300. მოვალეობათა არასათანადოდ შესრულების შედეგები

1. მეურვის ან მზრუნველის მიერ დაკისრებული მოვალეობის არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო გადააყენებს ან გაათავისუფლებს მეურვეს ან მზრუნველს მისი მოვალეობის შესრულებისაგან.

2. თუ მეურვე (მზრუნველი) ანგარების მიზნით გამოიყენებს მეურვეობას (მზრუნველობას), ან სამეურვეო (სამზრუნველო) პირს დატოვებს ზედამხედველობისა და აუცილებელი დახმარების გარეშე, ის პასუხს აგებს კანონით დადგენილი წესით.

3. მხარდამჭერის მიერ მისთვის დაკისრებული მოვალეობის არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო რეაგირებას ახდენს ამ კოდექსის 1305⁵ მუხლის შესაბამისად.

საქართველოს 2015 წლის 20 მარტის კანონი №3339 - ვებგვერდი, 31.03.2015წ.

I. უფლებამოსილებისგან გათავისუფლება	578
1. უფლებამოსილებისგან განთავისუფლება, როგორც უკიდურესი საშუალება	578
2. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.....	579
3. მეურვეობის/მზრუნველობის შეწყვეტა.....	579
4. „გადაყენებისა“ და „გათავისუფლების“ ურთიერთმიმართება.....	580
II. მეურვის/მზრუნველის პასუხისმგებლობა	580
1. ზოგადი	580
2. პასუხისმგებლობის შემთხვევები	581
3. პასუხისმგებლობის პერიოდი	582
III. 1300 III მუხლი	582

I. უფლებამოსილებისგან გათავისუფლება**1. უფლებამოსილებისგან განთავისუფლება, როგორც უკიდურესი საშუალება**

- 1** 1300 I მუხლი ითვალისწინებს მეურვისა და მზრუნველისთვის მისი ნების საწინააღმდეგოდ უფლებამოსილების შეწყვეტას, თუ იგი არასა-

თანადოდ ასრულებს თავის მოვალეობებს.¹ არასათანადოობაში იგულისხმება ნებისმიერი ისეთი ქმედება, რომელიც არღვევს ბავშვის ინტერესებს. თუმცა ეს დარღვევა არ უნდა იყოს უმნიშვნელო ხასიათის. გადამწყვეტ კრიტერიუმად აქაც მიჩნეულ უნდა იქნეს თავად ბავშვის ინტერესები. საბოლოო ჯამში, მეურვეობისა და მზრუნველობის ჩამორთმევა ბავშვისთვის უმჯობესი უნდა იყოს, ვიდრე მისი შენარჩუნება.

მეურვეობისა და მზრუნველობის ჩამორთმევა არის უკიდურეს შემთხვევაში გამოსაყენებელი ზომა. მას არ უნდა ჰქონდეს რეპრესიული ხასიათი და არ უნდა იქნეს გამოყენებული, როგორც მეურვის/მზრუნველის სანქცია ჩადენილი ქმედებისათვის. უფლებამოსილების ჩამორთმევის მიზანია, რომ არასრულწლოვანს დაენიშნოს ახალი მეურვე/მზრუნველი, რომელიც სათანადოდ იზრუნებს მასზე.

2

2. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი

მეურვეობისა და მზრუნველობის ჩამორთმევა (მსგავსად მისი დანესებისა²), ხდება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო ვალდებულია, დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება, განსაკუთებით, ამ უკიდურესი ზომის გამოყენების აუცილებლობა. ორგანოს გადაწყვეტილებას აქვს კონსტიტუტიური მოქმედება. ორგანოსთვის მიმართვის უფლება აქვს ნებისმიერ დაინტერესებულ პირს. თავის მხრივ, ორგანოს შეუძლია ნებისმიერ დროს დაინყოს სამართალწარმოება საკუთარი ინიციატივით.

3

3. მეურვეობის/მზრუნველობის შეწყვეტა

რადგანაც ქართულ სამართალში მეურვეობის/მზრუნველობის დადგენა და მეურვე/მზრუნველის დანიშნვა ერთმანეთისგან არ იმიჯნება,³ მეურვისათვის/მზრუნველისათვის უფლებამოსილების შეწყვეტის

4

¹ შენგელია/შენგელია, საოჯახო სამართალი, მეორე გამოცემა, 2011, გვ. 386; შენგელია, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1300, გვ. 351.

² იხ. ამასთან დაკავშირებით 1281-ე მუხლის კომენტარი.

³ იხ. ამასთან დაკავშირებით 1281-ე მუხლის კომენტარი.

შემდეგ მეურვეობისა თუ მზრუნველობის ახალი მეურვის/მზრუნველის დანიშვნა იწვევს მეურვეობა/მზრუნველობის თავიდან დაწესებას. გარდამავალ პერიოდში ბავშვზე ზრუნვის ვალდებულება ეკისრება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს (1282 III). თუ სახეზეა მეურვის/მზრუნველის მხრიდან ვალდებულების ისეთი დარღვევა, რომელიც იძლევა უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველს, მას ეს უფლებამოსილება დაუყოვნებლივ უნდა ჩამოერთვას. თუ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო დააყოვნებდა გადაწყვეტილების მიღებას ახალი მეურვის/მზრუნველის შერჩევამდე, აღნიშნული საფრთხეს შეუქმნიდა ბავშვის ინტერესებს.

4. „გადაყენებისა“ და „გათავისუფლების“ ურთიერთმიმართება

- 5 1300 I მუხლის ფარგლებში „გადაყენებასა“ და „გათავისუფლებას“ შორის განსხვავება არ არსებობს. ამიტომ კანონში ალტერნატივის სახით ორი სხვადასხვა ტერმინის გამოყენება არასწორია. აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო კოდექსის ინიცირებული ვერსია⁴ შეიცავდა მითითებას მხოლოდ გადაყენების შესახებ. ალტერნატივის სახით „განთავისუფლება“ კი დამატებულ იქნა, პროექტის პირველი მოსმენით განხილვამდე.⁵

II. მეურვის/მზრუნველის პასუხისმგებლობა

1. ზოგადი

- 6 1300 II მუხლი წარმოადგენს კანონმდებლის მცდელობას, მიუთითოს მეურვისა და მზრუნველის პასუხისმგებლობაზე, მათ მიერ ვალდებულების დარღვევისას. მაგრამ ეს მცდელობა წარუმატებელი აღმოჩნდა, რადგანაც 1300 II მუხლიდან არავითარი სამართლებრივი მო-

⁴ იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ინიცირებული ვერსია, მუხლი 1272.

⁵ იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის პირველი მოსმენით განხილული ვერსია, მუხლი 1272.

წესრიგება არ გამომდინარეობს. არაფრის მომცემია ზოგადი მითითება „პასუხს აგებს კანონით დადგენილი წესით“, რადგანაც ნებისმიერი პირი ისედაც აგებს პასუხს კანონით დადგენილი წესით.

2. პასუხისმგებლობის შემთხვევები

1300 II მუხლი არ გამოდგება არც მეურვისა და მზრუნველის პასუხისმგებლობის შემოსაზღვრად. მიუხედავად იმისა, რომ ეს ნორმა ასახელებს მხოლოდ ორ შემთხვევას, როდესაც მეურვეს/მზრუნველს დაეკისრება პასუხისმგებლობა, ეს არ ნიშნავს, რომ კანონმდებელს სურდა, ეს პირები გაეთავისუფლებინა პასუხისმგებლობისგან სხვა შემთხვევებში. შეუძლებელია, რომ ეს კანონმდებლის ნება ყოფილიყო. მეურვეობისა და მზრუნველობისას ამოსავალი პრინციპია არასრულწლოვნის ინტერესების დაცვა. ეს კი შეუძლებელია, თუ მეურვე და მზრუნველი არ აგებდნენ პასუხს საკუთარი ვალდებულებების დარღვევით გამომწვეული ზიანისთვის. ვალდებულების დარღვევა შეიძლება გამოიხატოს არა მხოლოდ უფლებამოსილების ანგარებით გამოყენებაში ან ბავშვის მზრუნველობის გარეშე დატოვებაში, არამედ ნებისმიერ ქმედებასა და უმოქმედობაში,⁶ რომელიც წარმოადგენს მეურვეობისა და მზრუნველობის არაჯეროვან განხორციელებას.⁷ თუმცა ამ შემთხვევებში არ დგება 1300 II მუხლის ანალოგიით გამოყენების საკითხი. პირველ რიგში, თავად 1300 II მუხლიც არ არის პასუხისმგებლობის დამდგენი ნორმა და, გარდა ამისა, არ არსებობს საკანონმდებლო ვაკუუმი. მეურვესა და მზრუნველს, რომელიც განზრახ ან გაუფრთხილებლობით⁸ არღვევს არასრულწლოვნის მიმართ არსებულ კანონისმიერ ვალდებულებას, პასუხისმგებლობა დაეკისრება, როგორც წესი, დელიქტური წესით. ამასთან, ბრალის განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იქნეს მეურვის/მზრუნველის ცხოვრებისეული გამოცდილება.⁹

⁶ *Fritsche, I./Katzenstein, H./Lohse, K.*, in Kaiser/Schnitzler/Friederici/Schilling, BGB - Familienrecht, 4. Auflage 2021 § 1833 Rn. 6.

⁷ *Kroll-Ludwigs*, in Münchener Kommentar BGB, 8. Auflage 2020, § 1833 Rn. 3.

⁸ *Bettin*, in BeckOK BGB, 57. Ed. 1.2.2021, § 1833 Rn. 5.

⁹ BGH FamRZ 1964, 199; RG JW 1911, 1016.

3. პასუხისმგებლობის პერიოდი

- 8 მეურვეს/მზრუნველს შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა იმ ქმედებისთვის, რომელიც მან განახორციელა მეურვეობის/მზრუნველობის დაწყებიდან¹⁰ მის დამთავრებამდე.¹¹ პასუხისმგებლობა დგება მაშინაც, როდესაც მეურვე/მზრუნველი აგრძელებს ბავშვის წარმომადგენლობის განხორციელებას მეურვეობის/მზრუნველობის დასრულების მიუხედავად.¹²

III. 1300 III მუხლი

- 9 ზედმეტია ასევე 1300 III მუხლიც, რადგანაც 1305⁵ მუხლი გამოყენებადია ამ მითითების გარეშეც.

¹⁰ *Kroll-Ludwigs*, in Münchener Kommentar BGB, 8. Auflage 2020, § 1833 Rn 5.

¹¹ RG DR 1940, 726.

¹² RG JW 1938, 3116; *Kroll-Ludwigs*, in Münchener Kommentar BGB, 8. Auflage 2020, § 1833 Rn 5; *Bettin*, in BeckOK BGB, 57. Ed. 1.2.2021, § 1833 Rn. 3.

მუხლი 1301. მზრუნველის/მხარდამჭერის მოვალეობისაგან განთავისუფლება სამზრუნველო პირის/მხარდამჭერის თხოვნით/მოთხოვნით

1. სრულწლოვნის მზრუნველი შეიძლება განთავისუფლდეს თავისი მოვალეობისაგან სამზრუნველო პირის თხოვნით. ასეთ შემთხვევაში მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს შეუძლია სამზრუნველო პირს მასთან შეთანხმებით მზრუნველად სხვა პირი დაუნიშნოს.

2. თუ მხარდაჭერის მიმღებს სურს, მხარდამჭერი თავისი მოვალეობისაგან განთავისუფლდეს, იგი შესაბამისი მოთხოვნით მიმართავს სასამართლოს. ასეთ შემთხვევაში სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანამდე მხარდამჭერს უჩერებს უფლებამოსილებას და მისი მოვალეობების შესრულებას აკისრებს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს სპეციალურად უფლებამოსილ პირს (რომელზედაც ვრცელდება მხარდამჭერისთვის კანონით დადგენილი უფლებები და მოვალეობები).

საქართველოს 2015 წლის 20 მარტის კანონი №3339 - ვებგვერდი, 31.03.2015წ.

I. მზრუნველის განთავისუფლება.....	583
1. 1301 I მუხლის მიზანი	583
2. ორგანოს გადაწყვეტილება.....	584
3. მზრუნველობის შეწყვეტა	584
4. ახალი მზრუნველის დანიშვნა.....	585
II. მხარდამჭერის განთავისუფლება	585

I. მზრუნველის განთავისუფლება

1. 1301 I მუხლის მიზანი

1301 I მუხლის მიზანია სამზრუნველო პირის ინტერესების დაცვა. არა მხოლოდ მზრუნველობის დაწესება და მზრუნველის შერჩევა ხდება სრულწლოვანი პირის თანხმობით, არამედ მას 1301 I 1 მუხლი ანიჭებს უფლებას, ნებისმიერ დროს შეწყვიტოს არსებული სამართლებ-

1

რივი მდგომარეობა მზრუნველობის გაუქმებით ან მზრუნველის შეცვლით.¹

2. ორგანოს გადაწყვეტილება

- 2** მზრუნველის გათავისუფლების შესახებ განცხადების ადრესატია მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო. ნების გამოვლენა თავად მზრუნველის წინაშე არ არის საჭირო. სამზრუნველო პირის განცხადებას არ სჭირდება მზრუნველის თანხმობა/მოწონება. ურთიერთობა წყდება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანისთანავე. ეს გადაწყვეტილება წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომელიც შეიძლება გასაჩივრდეს ადმინისტრაციული წესით. გასაჩივრების უფლება აქვს დაინტერესებულ პირს. ასეთი შეიძლება იყოს თავად სამზრუნველო პირი ან მზრუნველიც, მაგალითად, როდესაც დარღვეულია ფორმალური კანონიერების წინაპირობები ან აქტი გამოიცა შეცდომით, როდესაც არ იყო სახეზე სამზრუნველო პირის მხრიდან მიმართვა.
- 3** მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს გადაწყვეტილებას აქვს კონსტიტუციური მნიშვნელობა. მის გამოცემამდე სამზრუნველო პირის მიერ დამოუკიდებლად დადებული გარიგებები არის მერყევად ბათილი. მათი მოწონების უფლება აქვს ახალ მზრუნველს ან თუ მისი დანიშვნა არ ხდება, თავად ყოფილ სამზრუნველო პირს.

3. მზრუნველობის შეწყვეტა

- 4** რადგანაც ქართული სამართალი არ ასხვავებს მზრუნველობის დადგენასა და მზრუნველის დანიშვნას შორის, მზრუნველის გათავისუფლებით სრულდება არსებული მზრუნველობა. ახალი მზრუნველის დანიშვნით დგინდება ახალი მზრუნველობა, წარმოიშობა ახალი კანონისმიერი ურთიერთობა ახალ მზრუნველსა და სამზრუნველო პირს შორის. შესაძლოა ძველი მზრუნველის გათავისუფლება და ახლის დანიშ-

¹ შენგელია, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1301, გვ. 354.

ვნა მოხდეს ერთი და იმავე გადაწყვეტილებით და ისინი დროში ერთმანეთს დაემთხვეს. მიუხედავად ამისა, აღნიშნული მაინც არ უნდა იქნეს გაგებული ისე, თითქოს ძველი სამართლებრივი ურთიერთობა არ შეწყვეტილა.

4. ახალი მზრუნველის დანიშვნა

მზრუნველის გათავისუფლების შემთხვევაში არ არის სავალდებულო, დაინიშნოს ახალი და დაწესდეს ახალი მზრუნველობა. თუ ეს სურს სამზრუნველო პირს, მაშინ საჭიროა მისი თანხმობა არა მხოლოდ მზრუნველობის გაგრძელებაზე, არამედ იმაზეც, თუ ვინ უნდა დაინიშნოს ახალ მზრუნველად.

5

II. მხარდამჭერის განთავისუფლება

1301 II ნაწილი განსაზღვრავს მხარდამჭერის მიმღების სურვილით მხარდამჭერის გათავისუფლებას თავისი მოვალეობისაგან. ამისათვის საჭიროა, მან მოთხოვნით მიმართოს სასამართლოს. სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანამდე მხარდამჭერს უჩერებს უფლებამოსილებას და მისი მოვალეობების შესრულება ეკისრება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს. მხარდამჭერის მიმღების სურვილი და სასამართლოსადმი მიმართვა წარმოადგენს ერთადერთ წინაპირობას მხარდამჭერის გათავისუფლებისთვის.

6

ერთი შეხედვით, შესაძლოა პრობლემური იყოს მხარდამჭერის მიმღების სურვილის წინაპირობად გამოყენება ყოველგვარი დასაბუთების მოთხოვნის გარეშე. თუმცა ამგვარი წესის მიზანი ეფექტიანი მხარდამჭერის უზრუნველყოფაა. კერძოდ, მხარდამჭერის ფუნქცია მხარდამჭერის მიმღების ინფორმირება და რჩევაა, რა დროსაც მნიშვნელოვანია მხარდამჭერის მიმღების ნდობა და მისი სუბიექტური დამოკიდებულება მხარდამჭერის მიმართ. თუკი მხარდამჭერის მიმღებისთვის არაკომფორტულია მხარდამჭერთან ურთიერთობა და არ სურს, რომ მან გაუწიოს მხარდამჭერა, უნდა შეეძლოს კიდევ, ნებისმიერ დროსა და შემთხვევაში ამის შესახებ მიმართოს სასამართლოს.

7

- 8** ჩანანერში „თუ მხარდაჭერის მიმღებს სურს“, მოიაზრება მხოლოდ გაცნობიერებული სურვილი. თუკი მხარდაჭერის მიმღების სურვილი გაცნობიერებული არაა და მისი მხარდამჭერის მოვალეობისაგან განთავისუფლების მოთხოვნა გაუაზრებელია, სასამართლომ ამგვარი მოთხოვნა არ უნდა დააკმაყოფილოს.

მუხლი 1302. მეურვეობის შეწყვეტის საფუძვლები

1. მეურვეობა შეწყდება:

- ა) თუ გარდაიცვალა სამეურვეო პირი;
- ბ) თუ არასრულწლოვანმა სამეურვეო პირმა 7 წლის ასაკს მიაღწია;
- გ) თუ სამეურვეო არასრულწლოვანი პირის, რომელსაც არ შესრულებია შვიდი წელი, მშობელს აღუდგა მშობლის უფლებები და მოვალეობები;
- დ) (ამოღებულია - 20.03.2015, №3339).

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში მეურვეობა შეწყდება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს გადაწყვეტილებით.

საქართველოს 2007 წლის 18 დეკემბრის კანონი №5624 - სსმ I, №48, 27.12.2007წ., მუხ.414
საქართველოს 2015 წლის 20 მარტის კანონი №3339 - ვებგვერდი, 31.03.2015წ.

1302-ე მუხლი არეგულირებს მეურვეობის შეწყვეტას¹ კანონის საფუძველზე.² მუხლის 1-ლი ნაწილი ჩამოთვლის იმ შემთხვევებს, რა დროსაც ავტომატურად³ წყდება მეურვეობა. ეს შემთხვევები უკავშირდება იმ გარემოებების გაქრობას, რომლებიც საჭიროა მეურვეობის დასადგენად. მეურვეობის შეწყვეტასთან ერთად მეურვე ამ პოზიციიდან თავისუფლდება რაიმე დამატებითი გადაწყვეტილების გარეშე.⁴ მეურვეობასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობები წყდება *ipso iure*, მათ შორის, მეურვის ზრუნვის ვალდებულება და წარმომადგენლობითი უფლებამოსილებაც.⁵

1

¹ *შენგელია*, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1302, გვ. 355.

² *Spickhoff*, in Münchener Kommentar BGB, 8. Auflage 2020, § 1882 Rn. 3.

³ *Kemper, R.*, in Schulze, Bürgerliches Gesetzbuch, 10. Auflage 2019, § 1882 Rn. 1.

⁴ *Bettin*, in BeckOK BGB, 57. Ed. 1.2.2021, § 1882 Rn. 1.

⁵ *Spickhoff*, in Münchener Kommentar BGB, 8. Auflage 2020, § 1882 Rn. 5.

- 2** 1302 II მუხლით, მეურვეობის შეწყვეტისას მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო გამოსცემს შესაბამის გადანყვეტილებას. მაგრამ ამ გადანყვეტილებას აქვს მხოლოდ დეკლარატორული⁶ და არა კონსტიტუტიური მოქმედება. მისი გამოცემა ემსახურება მხოლოდ სამართლებრივ სიცხადეს.⁷
- 3** 1302 I მუხლის ჩამონათვალი არ არის ამომწურავი. ერთი მხრივ, მეურვეობის შეწყვეტის სხვა საფუძვლები განერილია ამავე თავის სხვა მუხლებში, მეორე მხრივ კი, საკანონმდებლო ვაკუუმის არსებობის გამო უნდა მოხდეს 1302 I მუხლის ანალოგიით გამოყენება.
- 4** 1302 I ა) მუხლის ანალოგიით, მეურვეობა კანონის საფუძველზე უნდა შეწყდეს არა მხოლოდ სამეურვეო პირის გარდაცვალებისას,⁸ არამედ გარდაცვლილად გამოცხადებისასაც.⁹ თუმცა იგივე არ ითქმის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებაზე.¹⁰
- 5** 1302 I გ) მუხლის გამოყენება ანალოგიით შესაძლებელია იმ შემთხვევებში, როდესაც მშობლის უფლება არ აღუდგება მშობელს, არამედ ხდება ბავშვის შვილად აყვანა. ასეთ დროსაც აღარ არსებობს მეურვეობის გაგრძელების საჭიროება, რადგანაც ბავშვზე მშვილებელი ახორციელებს ზრუნვას.
- 6** 1302 I ბ) მუხლის შემთხვევაში მეურვეობა სრულდება და მის ადგილას წარმოშობა მზრუნველობა. იხ. ამასთან დაკავშირებით 1303-ე მუხლის კომენტარი.

⁶ *Spickhoff*, in Münchener Kommentar BGB, 8. Auflage 2020, § 1882 Rn. 3.

⁷ *Fritsche, I./Katzenstein, H./Lohse, K.*, in Kaiser/Schnitzler/Friederici/Schilling, BGB - Familienrecht, 4. Auflage 2021 § 1882 Rn. 1.

⁸ BayObLGZ 19, 126; KG KGJ 51, 49 = RJA 16, 181.

⁹ *Spickhoff*, in Münchener Kommentar BGB, 8. Auflage 2020, § 1882 Rn. 11.

¹⁰ *Kemper, R.*, in Schulz/Hauß, Familienrecht, 3. Auflage 2018, § 1884 Rn. 1.

მუხლი 1303. მეურვეობის შეწყვეტა სამზრუნველო ასაკისათვის მიღწევის გამო

თუ სამეურვეო არასრულწლოვანმა პირმა მიაღწია შვიდი წლის ასაკს, მაშინ მეურვეობა წყდება და მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს სპეციალური გადაწყვეტილების გარეშე მეურვე ხდება მზრუნველი.

I. ზოგადი 589
 II. მზრუნველობის წარმოშობა კანონის საფუძველზე 590
 III. წარმოშობის წინაპირობები..... 590
 IV. შეცდომა არასრულწლოვნის ასაკში..... 591
 V. ერთი და იგივე პირი მეურვედ და მზრუნველად..... 591

I. ზოგადი

1303-ე მუხლი არეგულირებს იმ შემთხვევას, როდესაც სამეურვეო პირი მიაღწევს სამზრუნველო ასაკს.¹ ასეთ დროს მეურვეობა ავტომატურად უნდა გადაიქცეს მზრუნველობად.² სამოქალაქო კოდექსის ინიცირებულ ვერსიაში მეურვეობის მზრუნველობად გარდაქმნის ასაკად მითითებული იყო 14 წელი,³ მაშინ, როდესაც, მეურვე 15 წლამდე პირებს⁴ ენიშნებოდათ. სავარაუდოდ, აცდენა ტექნიკურ შეცდომას უნდა მიეწეროს, რადგანაც შეუძლებელია მას რაიმე რაციონალური გამართლება მოეძებნოს. საბოლოოდ, სამოქალაქო კოდექსი იქნა მიღებული იმ რედაქციით, რომლითაც სამზრუნველო ასაკის დაწყებად განისაზღვრა 7 წელი და სწორედ ეს ასაკი მიეთითა 1303-ე მუხლშიც.

1

1303-ე მუხლი ნაწილობრივ იმეორებს 1302 I ბ) მუხლის შემადგენლობას, უთითებს რა მეურვეობის შეწყვეტაზე 7 წლის ასაკს მიღწევისას. აღნიშნული საკანონმდებლო ტავტოლოგიის საჭიროება არ არსებობს, რადგანაც, მეურვეობის შეწყვეტის საფუძველები განერილია

2

¹ შენგელია/შენგელია, საოჯახო სამართალი, მეორე გამოცემა, 2011, გვ. 389.

² შენგელია, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1303, გვ. 357.

³ იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ინიცირებული ვერსიის 1275-ე მუხლი.

⁴ იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ინიცირებული ვერსიის 1248-ე მუხლი.

1302-ე მუხლით, მეორე მხრივ კი, 1303-ე მუხლის მიზანი საერთოდ არ არის მეურვეობის შეწყვეტის წინაპირობების მოწესრიგება.

II. მზრუნველობის წარმოშობა კანონის საფუძველზე

- 3** 1303-ე მუხლი შეიცავს მზრუნველობის წარმოშობის შემთხვევას არა მისი დადგენით, არამედ კანონის საფუძველზე.⁵ მიუხედავად იმისა, რომ ამ ურთიერთობის წინაპირობაა, დადგინდეს მეურვეობა, აღნიშნული მაინც არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს დადგენის გზით მზრუნველობის წარმოშობად. რადგანაც ქართველი კანონმდებელი, ზოგადად, ასხვავებს მეურვეობასა და მზრუნველობას შორის, უნდა გაიმიჯნოს მათი წარმოშობის მომენტიც და არ შეიძლება ითქვას, რომ მზრუნველობა წარმოიშვა მეურვეობის დადგენით. მზრუნველობის წარმოშობა ხდება დამოუკიდებელად, კანონის საფუძველზე.

III. წარმოშობის წინაპირობები

- 4** მზრუნველობის 1303-ე მუხლით წარმოშობის წინაპირობაა ნამდვილი მეურვეობის არსებობა. თუ გადაწყვეტილება მეურვეობის დადგენის შესახებ გაუქმდება, უქმდება ასევე მოგვიანებით, კანონის საფუძველზე წარმოშობილი მზრუნველობაც. შესაბამისად, თუ პირს სურს მოითხოვოს მზრუნველობის გაუქმება, განსხვავება უნდა გაკეთდეს იმის მიხედვით, თუ რას აფუძნებს იგი საკუთარ მოთხოვნას. თუ მისი პრეტენზია შეეხება იმ წინაპირობების არარსებობას, რომლებიც საჭიროა მეურვეობის ან მზრუნველობის დაწესებისთვის,⁶ უნდა გასაჩივრდეს მეურვეობის დადგენის შესახებ არსებული გადაწყვეტილება. მეორე მხრივ, თუ პირი დავობს რაიმე გარემოების არსებობაზე, რომელიც იწვევს მზრუნველობის შეწყვეტას, მაშინ სწორედ ეს უნდა იყოს მისი მოთხოვნის საფუძველი.

⁵ იხ. ამასთან დაკავშირებით ვრცლად 1281-ე მუხლის კომენტარი.

⁶ გარდა სამზრუნველო ასაკის მქონე პირისთვის მეურვეობის დაწესების შემთხვევისა. იხ. ამასთან დაკავშირებით ქვემოთ, მე-5 ველი.

IV. შეცდომა არასრულწლოვნის ასაკში

1303-ე მუხლი ანალოგიით ვრცელდება ისეთ შემთხვევებზე, როდესაც პირს, რომელიც არის 7 წელს მიღწეული, შეცდომით ენიშნება არა მზრუნველი, არამედ მეურვე. 1303-ე მუხლის პირდაპირ გამოყენება შეუძლებელია, რადგანაც არ არსებობს სამეურვეო პირი, რომელმაც მოგვიანებით მიაღწია სამზრუნველო ასაკს. ასეთ შემთხვევებში მეურვეობის შესახებ გადაწყვეტილება არ უნდა გაბათილდეს, რადგანაც არ არსებობს მეურვეობის გაუქმებისა და მზრუნველობის დადგენის გზით დანესების საჭიროება. 1303-ე მუხლის ანალოგიით, ასეთ შემთხვევებში მეურვეობა „სრულდება“ მისი დანესებისთანავე და თავიდანვე ავტომატურად წარმოიშობა მზრუნველობა კანონის საფუძველზე. შესაბამისად, მეურვეობის გაუქმების მოთხოვნა დაუშვებელია.

როდესაც დაწყებულია მეურვის დანიშვნის შესახებ სამართალწარმოება და გადაწყვეტილების მიღებამდე არასრულწლოვანმა მიაღწია 7 წლის ასაკს ან აღმოჩნდა, რომ თავიდანვე იყო სამზრუნველო ასაკის, გამოტანილ უნდა იქნეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მზრუნველობის დანესების შესახებ. თუმცა, აღნიშნული მხოლოდ სამართლებრივ სიცხადეს ემსახურება. თუ ასეთ შემთხვევაში გამოტანილი იქნებოდა მეურვის დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილება, კანონის საფუძველზე 1303-ე მუხლის ანალოგიით, ის მაინც ავტომატურად დასრულდებოდა და წარმოიშობოდა მზრუნველობა.

V. ერთი და იგივე პირი მეურვედ და მზრუნველად

1303-ე მუხლით არა მხოლოდ, ზოგადად, მეურვეობა გადაიქცევა მზრუნველობად, არამედ კონკრეტული მეურვე ხდება მზრუნველი. ეს, ერთი მხრივ, ემსახურება პროცესის ეკონომიურობას, თუმცა მისი ძირითადი მიზანია ბავშვის ინტერესების დაცვა. არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებშია, რომ ვინც იყო მისი მეურვე, იგივე პირი დარჩეს მზრუნველადაც.

თუ პირს ჰქონდა შესაძლებლობა, ყოფილიყო მეურვე, მაგრამ არ შეუძლია იყოს მზრუნველი, მაშინ მისი უფლებამოსილება უნდა შეწყდეს ზოგადი წესების შესაბამისად.

მუხლი 1304. მზრუნველობის შეწყვეტის საფუძვლები**1. მზრუნველობა შეწყდება:**

- ა) თუ გარდაიცვალა სამზრუნველო პირი;
- ბ) თუ სამზრუნველო არასრულწლოვანმა პირმა მიაღწია სრულწლოვანებას;
- გ) თუ სამზრუნველო არასრულწლოვანი პირი დაქორწინდა;
- დ) სხვა სამზრუნველო პირების მიმართ – თუ მოისპო მიზეზი, რომელმაც გამოიწვია მზრუნველის დანიშვნა.

2. ამ მუხლის პირველ ნაწილში გათვალისწინებულ შემთხვევებში მზრუნველობა შეწყდება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს გადანყვეტილებით.

I. 1304 I მუხლი	592
1. ზოგადი	592
2. შეწყვეტა გარდაცვალებით	593
3. შეწყვეტა ქორწინებით	594
4. შეწყვეტა საჭიროების არარსებობისას	594
5. შეწყვეტა მშობლის უფლების აღდგენისას ან გაშვილებისას	595
II. 1304 II მუხლი	595

I. 1304 I მუხლი**1. ზოგადი**

- 1** 1304 I მუხლი, 1302 I მუხლის დარად, ჩამოთვლის მზრუნველობის შეწყვეტის შემთხვევებს.¹ 1302 I მუხლის მსგავსადვე, ეს ჩამონათვალი 1304 I მუხლშიც არასრულყოფილია. კანონმდებელი შეეცადა, 1304-ე მუხლში ის შემთხვევები გაეთვალისწინებინა, როდესაც მზრუნველობა

¹ შენგელია, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1304, გვ. 358.

წყდება იმ საფუძვლით, რომელიც დაკავშირებულია თავად სამზრუნველო პირთან და არა მზრუნველთან. თუმცა მან ვერ შეძლო ყველა ასეთი შემთხვევის გათვალისწინება.

ნორმის სტრუქტურა გაუმართავია. ა) ქვეპუნქტი შეიცავს წინაპირობას, რომელიც თანაბრად ვრცელდება როგორც არასრულწლოვან, ისე სრულწლოვან სამზრუნველო პირზე. შემდეგ ბ) და გ) ქვეპუნქტები ცალკე გამოყოფენ იმ შემთხვევებს, რომლებიც მხოლოდ არასრულწლოვანს შეიძლება დაუკავშირეს. დ) ქვეპუნქტი ამ ისედაც გაუმართავ სტრუქტურას მთლიანად შლის, რადგანაც შეიცავს ჩანაწერს: „სხვა სამზრუნველო პირების მიმართ“. ერთი შეხედვით, სხვა - ანუ სრულწლოვან - სამზრუნველო პირზე უნდა ვრცელდებოდეს მხოლოდ დ) ქვეპუნქტში მითითებული წინაპირობები, მაგრამ ეს ასე არაა, რადგანაც, როგორც აღინიშნა, მასზე ვრცელდება ასევე ა) ქვეპუნქტიც. საქმეს უფრო მეტად ართულებს ის, რომ, თავის მხრივ, დ) ქვეპუნქტში გათვალისწინებული შემთხვევა სულაც არ არის სრულწლოვან სამზრუნველო პირზე გამოსაყენებელი ექსკლუზიური წინაპირობა (იხ. ამასთან დაკავშირებით ქვემოთ, მე-6 ველი). ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ნორმა საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით დახვეწას საჭიროებს, რათა ნათელი იყოს, თუ ვის მიმართ შეიძლება იქნეს გამოყენებული თითოეული ქვეპუნქტი.

2

2. შეწყვეტა გარდაცვალებით

1304 I ა) მუხლი მიუთითებს მხოლოდ სამზრუნველო პირის გარდაცვალებაზე.² ის ვრცელდება როგორც არასრულწლოვან, ისე სრულწლოვან სამზრუნველო პირზე. იგივე წესი უნდა გავრცელდეს გარდაცვლილად გამოცხადებაზეც.³ ასეთ შემთხვევებში 1304 I ა) გამოყენებულ უნდა იქნეს ანალოგიით. ამის საპირისპიროდ, 1304 I ა) მუხლის შემთხვევას არ უთანაბრდება სამზრუნველო პირის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება.⁴

3

² *შენგელია/შენგელია*, საოჯახო სამართალი, მეორე გამოცემა, 2011, გვ. 391.

³ *Spickhoff*, in *Münchener Kommentar BGB*, 8. Auflage 2020, § 1882 Rn. 11.

⁴ *Kemper, R.*, in *Schulz/Hauß, Familienrecht*, 3. Auflage 2018, § 1884 Rn. 1.

3. შეწყვეტა ქორწინებით

- 4** 1304 I გ) მუხლი განსაკუთრებით პრობლემურია. ქართველი კანონმდებელი მიიჩნევს, რომ ქორწინებასთან ერთად არასრულწლოვანი პირი არა მხოლოდ გარიგებების დადებაში აღარ საჭიროებს დახმარებას, არამედ მას აღარ სჭირდება არც მშობლისეული ზრუნვა და აღზრდა. აღნიშნული მიდგომა არასწორია, რადგანაც აღზრდის საჭიროება უკავშირდება პირის ასაკობრივ განვითარებასა და არა ქორწინების ფაქტს ან გარიგებების დადების უნარს/უფლებას. მშობელი და მზრუნველი არ არიან მხოლოდ კანონიერი წარმომადგენლები, არამედ ასევე პასუხისმგებელი არიან არასრულწლოვნის აღზრდაზე. ქორწინებით მზრუნველობის საჭიროების გამორიცხვა ეწინააღმდეგება ამ პრინციპს.
- 5** მიუხედავად ამისა, შეუძლებელია კანონმდებლის პირდაპირი ჩანაწერისთვის თავის არიდება. ქორწინება წყვეტს მზრუნველობას. მართალია, **18** წლამდე პირის ქორწინება ქართული კანონმდებლობის შესაბამისად შეუძლებელია, მაგრამ პირმა შეიძლება იქორწინოს სხვა კანონმდებლობით დადგენილი წესით და ეს ნამდვილი იყოს საქართველოშიც.⁵ თუ მას მზრუნველი დანიშნული ჰყავს ქართული კანონმდებლობის შესაბამისად, სწორედ ამ დროს გამოიყენება **1304-ე** მუხლი.

4. შეწყვეტა საჭიროების არარსებობისას

- 6** მიუხედავად იმისა, რომ **1304 I დ)** მუხლი⁶ პირდაპირ მიუთითებს, რომ ეს ქვეპუნქტი გამოიყენება სრულწლოვანი სამზრუნველო პირის შემთხვევაში, აღნიშნული შეცდომაში შემყვანია. თუ აღმოიფხვრა ის საფუძველი, რის გამოც საჭირო იყო მზრუნველის დანიშვნა არასრულწლოვანი პირისთვის, ბუნებრივია, ამ შემთხვევაშიც უნდა შეწყდეს მზრუნველობა. მაგალითად, როდესაც მიტოვებულად აღიარებულ ბავშვს უწყდება ეს სტატუსი.

⁵ აღნიშნული დამოკიდებულია საერთაშორისო კერძო სამართლის ნორმებზე. **12 III** მუხლი ჯერ კიდევ ითვალისწინებს ქორწინებით ქმედუნარიანობის მოპოვების შესაძლებლობას.

⁶ *შენგელია/შენგელია*, საოჯახო სამართალი, მეორე გამოცემა, 2011, გვ. 392; *შენგელია*, სკ-ის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2000, მუხ. 1304, გვ. 359.

5. შეწყვეტა მშობლის უფლების აღდგენისას ან გაშვილებისას

განსხვავებით 1302 I მუხლისგან, 1304 I მუხლი არ შეიცავს მშობლისთვის უფლებამოსილების აღდგენაზე მითითებას. მუხლში არ არის მითითება არც გაშვილების შემთხვევაზე. ბუნებრივია, ასეთ შემთხვევებშიც უნდა შეწყდეს მზრუნველობა. ორივე ეს შემთხვევა შინაარსობრივად ექცევა 1304 I დ) მუხლში არსებული ჩანაწერის ქვეშ, რომელიც მიუთითებს იმ მიზეზის მოსპობაზე, რომელმაც გამოიწვია მზრუნველის დანიშვნა. პრობლემურია მხოლოდ ამ ქვეპუნქტში არსებული დათქმა, რომ იგი გამოიყენება მხოლოდ სრულწლოვანი პირის მიმართ. დ) ქვეპუნქტის ანალოგიით გამოყენების საკითხი არ დგება, რადგანაც ასეთ დროს მზრუნველობის შეწყვეტა შეიძლება დაეფუძნოს 1299-ე I მუხლს.

7

II. 1304 II მუხლი

1304 II მუხლის ჩანაწერი, რომ მზრუნველობა წყდება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს გადაწყვეტილებით, შეცდომაში შემყვანია. 1304 I ა), ბ) და გ) მუხლების შემთხვევებში მზრუნველობა წყდება კანონის საფუძველზე, ავტომატურად. ორგანოს გადაწყვეტილებას აქვს მხოლოდ დეკლარატორული ხასიათი.

8

ამის საპირისპიროდ, 1304 I დ) მუხლის ფარგლებში არსებულ შემთხვევებში, რომლებიც უკავშირდება შეფასებით კრიტერიუმებს (მაგალითად, სრულწლოვანი სამზრუნველო პირის ჯამრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებას), ორგანოს გადაწყვეტილებას აქვს კონსტიტუტიური მოქმედება და მზრუნველობა ძალაში რჩება აქტის გამოცემამდე.

9

მუხლი 1304¹. მხარდაჭერის შეწყვეტის საფუძვლები

1. მხარდაჭერა შეწყდება, თუ:

ა) მხარდაჭერის მიმღები გარდაიცვალა;

ბ) მიზეზი, რომლის გამოც მხარდაჭერა დაწესდა, აღარ არსებობს.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მხარდაჭერა შეწყდება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს გადაწყვეტილებით, ხოლო იმავე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში – სასამართლოს გადაწყვეტილებით.

საქართველოს 2015 წლის 20 მარტის კანონი №3339 - ვებგვერდი, 31.03.2015წ.

I. ზოგადი

1 1304¹ მუხლი განსაზღვრავს მხარდაჭერის შეწყვეტის საფუძვლებს. ესენია მხარდაჭერის მიმღების გარდაცვალება ან იმ მიზეზის გაქრობა, რის გამოც მხარდაჭერა დაწესდა. ა) ქვეპუნქტის მიზანია სამართლებრივი გარკვეულობის უზრუნველყოფა, ხოლო ბ) ქვეპუნქტის - მხარდაჭერის მიმღების ინტერესების დაცვა.

II. გადაწყვეტილებათა შეწყვეტის შესახებ

1. 1304¹ I ა) მუხლი

2 მხარდაჭერის მიმღების გარდაცვალების გამო მხარდაჭერის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო. მისი გადაწყვეტილება უკვე წარმოშობილ ფაქტს აფორმებს და დეკლარატორული ხასიათისაა.

3 მოცემულ შემთხვევაში პრობლემურია ის, რომ მხარდაჭერის დაწეს-

სების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო, ხოლო მისი შეწყვეტის შესახებ - ადმინისტრაციული ორგანო. მიუხედავად იმისა, რომ გარდაცვალება ისეთი ფაქტია, რომელიც შეფასებას არ საჭიროებს და ორგანოს გადაწყვეტილება, როგორც ზემოთ აღინიშნა, დეკლარატორული ხასიათისაა, მოცემული საკანონმდებლო გადაწყვეტა არასწორია და ეწინააღმდეგება სამართლის ზოგად პრინციპებს. სასამართლოს მიერ დაწესებული მხარდაჭერის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება, წესით, ისევ სასამართლოს უნდა გამოჰქონდეს.

1304¹ | ა) მუხლი ანალოგიით გამოყენებულ უნდა იქნეს მხარდამჭერის მიმღების გარდაცვლილად გამოცხადების, მაგრამ არა უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების შემთხვევაში. **4**

როდესაც გარდაიცვლება მხარდამჭერი, ასეთ დროს არ წყდება მხარდაჭერა. პირს სასამართლომ უნდა დაუნიშნოს ახალი მხარდამჭერი. შესაბამისად, **1304¹ | ა)** მუხლი ანალოგიით არ გამოიყენება. **5**

2. 1304¹ | ბ) მუხლი

მხარდაჭერის დანიშვნის საფუძვლის გაქრობის გამო მხარდაჭერის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო. ამ გადაწყვეტილებას აქვს კონსტიტუციური მოქმედება და უნდა დაეფუძნოს შეცვლილ გარემოებათა შეფასებას. **6**

მუხლი 1305. მეურვეობისა და მზრუნველობის საკითხების გასაჩივრება სასამართლოში

მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს გადაწყვეტილება მეურვის (მზრუნველის) დანიშვნის, გადაყენებისა და განთავისუფლების შესახებ, აგრეთვე მეურვეობისა და მზრუნველობის ყველა სხვა საკითხი დაინტერესებულ პირს შეუძლია გაასაჩივროს სასამართლოში.

თავი მესამე

**მეურვის, მზრუნველისა და მხარდამჭერის
საქმიანობაზე ზედამხედველობა**

*საქართველოს 2011 წლის 21 ივნისის კანონი №4870 - ვებგვერდი, 06.07.2011წ.
საქართველოს 2015 წლის 20 მარტის კანონი №3339 - ვებგვერდი, 31.03.2015წ.*

მუხლი 1305¹. მეურვის, მზრუნველისა და მხარდამჭერის საქმიანობაზე ზედამხედველობა

1. მეურვის/მზრუნველის საქმიანობაზე ზედამხედველობას ახორციელებს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო სამეურვეო პირის/სამზრუნველო პირის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

2. მხარდამჭერის საქმიანობაზე ზედამხედველობას ახორციელებს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო მხარდაჭერის მიმღების საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ზედამხედველობის მიზანია მხარდამჭერის მიერ სასამართლოს გადაწყვეტილებითა და საქართველოს კანონმდებლობით მისთვის განსაზღვრული მოვალეობების შესრულების კონტროლი, მხარდაჭერის მიმღების უნარების განვითარების შეფასება და შესაბამისი რეაგირება.

3. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო ვალდებულია შეამოწმოს მხარდამჭერის მიერ განხორციელებული მოქმედებების

სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილ ფარგლებთან შესაბამისობა გეგმური შემოწმებით, რომელიც ტარდება ამ კოდექსის 1305² მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული პერიოდულობით, მხარდამჭერის მიერ მისთვის დაკისრებული მოვალეობების შეუსრულებლობასთან დაკავშირებით მიღებული ნებისმიერი ინფორმაციის შემოწმებით და ფაქტობრივი ზედამხედველობით.

4. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო ვალდებულია ზედამხედველობა გაუწიოს მხარდამჭერის მიმღებთან დადებული საქორწინო ხელშეკრულების შესრულებისას მხარდამჭერის მიერ თავისი მოვალეობების განხორციელებას.

5. მეურვის, მზრუნველისა და მხარდამჭერის საქმიანობაზე ზედამხედველობის განხორციელების წესი და პირობები განისაზღვრება ამ კოდექსითა და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით.

საქართველოს 2011 წლის 21 ივნისის კანონი №4870 - ვებგვერდი, 06.07.2011წ.

საქართველოს 2015 წლის 20 მარტის კანონი №3339 - ვებგვერდი, 31.03.2015წ.

მუხლი 1305². მეურვის, მზრუნველისა და მხარდამჭერის მიერ თავიანთი მოვალეობების შესრულებაზე ზედამხედველობის განხორციელების პერიოდულობა

მეურვის, მზრუნველისა და მხარდამჭერის მიერ თავიანთი მოვალეობების შესრულებაზე ზედამხედველობას მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო ახორციელებს:

ა) 6 თვეში ერთხელ;

ბ) სასამართლოს მიერ განსაზღვრული პერიოდულობით;

გ) თავისი ინიციატივით, შემხვედრი აუცილებლობიდან გამომდინარე, თუ არსებობს ინფორმაცია მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ჩარევის საჭიროების შესახებ.

საქართველოს 2011 წლის 21 ივნისის კანონი №4870 - ვებგვერდი, 06.07.2011წ.

საქართველოს 2015 წლის 20 მარტის კანონი №3339 - ვებგვერდი, 31.03.2015წ.

მუხლი 1305³. მხარდამჭერის საქმიანობაზე ფაქტობრივი ზედამხედველობა

1. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო ვალდებულია ამ კოდექსის 1289-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ინფორმაციის საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში, თავისი ინიციატივით განახორციელოს მხარდამჭერის საქმიანობაზე ფაქტობრივი ზედამხედველობა.

2. მხარდამჭერის საქმიანობაზე ფაქტობრივი ზედამხედველობის განხორციელების ფორმა და მოცულობა განისაზღვრება შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით.

*საქართველოს 2011 წლის 21 ივნისის კანონი №4870 - ვებგვერდი, 06.07.2011წ.
საქართველოს 2015 წლის 20 მარტის კანონი №3339 - ვებგვერდი, 31.03.2015წ.*

მუხლი 1305⁴. ზედამხედველობის შედეგების შესახებ დასკვნა

1. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ განხორციელებული ზედამხედველობის შედეგები აისახება ზედამხედველობის შედეგების შესახებ დასკვნაში.

2. ზედამხედველობის შედეგების შესახებ დასკვნა შეიძლება იყოს დადებითი ან უარყოფითი.

3. ზედამხედველობის შედეგების შესახებ დასკვნა დადებითია, თუ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო ნებისმიერი ფორმის ზედამხედველობის განხორციელების შედეგად დაადგენს, რომ მეურვე/მზრუნველი/მხარდამჭერი კეთილსინდისიერად ასრულებს სასამართლოს გადანყვეტილებით ან/და საქართველოს კანონმდებლობით მისთვის განსაზღვრულ მოვალეობებს.

4. ზედამხედველობის შედეგების შესახებ დასკვნა უარყოფითია, თუ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო ნებისმიერი ფორმის ზედამხედველობის განხორციელების შედეგად დაადგენს, რომ მეურვე/მზრუნველი/მხარდამჭერი კეთილსინდისიერად არ ასრუ-

ლებს/ვერ ასრულებს სასამართლოს გადაწყვეტილებით ან/და საქართველოს კანონმდებლობით მისთვის განსაზღვრულ მოვალეობებს ან მხარდაჭერის გაწევისას შეინიშნება გარკვეული ხარვეზები და აუცილებელია ამ კოდექსის 1305⁵ მუხლით დადგენილი წესით რეაგირება.

5. ზედამხედველობის შედეგების შესახებ დასკვნის თაობაზე ინფორმაცია შეიტანება ამ კოდექსის 1305⁶ მუხლში აღნიშნულ მონაცემთა ბაზაში.

საქართველოს 2015 წლის 20 მარტის კანონი №3339 - ვებგვერდი, 31.03.2015წ.

მუხლი 1305⁵. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს რეაგირება მეურვის/მზრუნველის/მხარდამჭერის მიერ სასამართლოს გადაწყვეტილებით ან/და საქართველოს კანონმდებლობით მისთვის განსაზღვრული მოვალეობების შეუსრულებლობაზე/არაჯეროვნად შესრულებაზე

თუ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო დაადგენს, რომ მეურვე/მზრუნველი/მხარდამჭერი არ ასრულებს/არაჯეროვნად ასრულებს სასამართლოს გადაწყვეტილებით ან/და საქართველოს კანონმდებლობით მისთვის განსაზღვრულ მოვალეობებს, არღვევს სამეურვეო პირის/სამზრუნველო პირის/მხარდაჭერის მიმღების უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, მას უარყოფითი დასკვნა გამოაქვს და მოქმედებს შემდეგნაირად:

ა) თუ მეურვის/მზრუნველის/მხარდამჭერის მოქმედებების ინტენსივობა ადმინისტრაციული ან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის არასაკმარისია:

ა.ა) სოციალური მუშაკის მეშვეობით ეხმარება მეურვეს/მზრუნველს/მხარდამჭერს, რათა მან უკეთ გააცნობიეროს და შეასრულოს თავისი მოვალეობები;

ა.ბ) თავისი მოვალეობისაგან ათავისუფლებს მეურვეს/მზრუნველს;

ა.გ) მიმართავს სასამართლოს მხარდამჭერის თავისი მოვალეობისაგან განთავისუფლების მოთხოვნით. ასეთ შემთხვევაში სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანამდე მხარდამჭერს უჩერებს უფლებამოსილებას და მისი მოვალეობების შესრულებას აკისრებს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს სპეციალურად უფლებამოსილ პირს (რომელზედაც ვრცელდება მხარდამჭერისთვის კანონით დადგენილი უფლებები და მოვალეობები);

ბ) მეურვის/მზრუნველის/მხარდამჭერის მოქმედებების ინტენსივობის შესაბამისად მოქმედებს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსითა და სისხლის სამართლის კანონმდებლობით დადგენილი წესებით.

საქართველოს 2015 წლის 20 მარტის კანონი №3339 - ვებგვერდი, 31.03.2015წ.

მუხლი 1305⁶. მეურვეობის/მზრუნველობის/მხარდაჭერის ზედამხედველობის მონაცემთა ბაზა

1. მეურვეობის/მზრუნველობის/მხარდაჭერის ზედამხედველობის შედეგების ასახვის მიზნით იქმნება შესაბამისი მონაცემთა ბაზა.

2. მონაცემთა ბაზაში შეიტანება:

ა) მეურვეობის/მზრუნველობის დაწესების შესახებ მონაცემები;

ბ) მხარდაჭერის დაწესების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების მონაცემები;

გ) სამეურვეო პირის/სამზრუნველო პირის/მხარდაჭერის მიმღების და მეურვის/მზრუნველის/მხარდამჭერის პირადი მონაცემები;

დ) მეურვის/მზრუნველის/მხარდამჭერის თავისი მოვალეობისაგან განთავისუფლების, მისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ მონაცემები;

ე) მეურვეობის/მზრუნველობის/მხარდაჭერის შეწყვეტის შესახებ მონაცემები;

ვ) მხარდაჭერის მიმღების მიერ ქონებრივი უფლებების განხორციელების შესახებ მონაცემები;

ზ) მხარდაჭერის მიმღებთან დადებული საქორწინო ხელშეკრულების დარღვევის შესახებ მონაცემები;

თ) სტაციონარში მოთავსებულ მხარდაჭერის მიმღებთა შესახებ ინფორმაცია;

ი) ზედამხედველობის შედეგების მოკლე აღწერა;

კ) სხვა მონაცემები, რომლებიც ეხება სამეურვეო პირს/სამზრუნველო პირს/მხარდაჭერის მიმღებს და რომლებიც, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს გადანყვეტილებით, მნიშვნელოვანია მეურვის/მზრუნველის/მხარდამჭერის საქმიანობაზე ზედამხედველობის განსახორციელებლად.

თავი მეოთხე

არამართლობიერად გადაადგილებული ან არამართლობიერად დაკავებული ბავშვის დაბრუნების და ბავშვთან ურთიერთობის უფლებები

საქართველოს 2015 წლის 20 მარტის კანონი №3339 - ვებგვერდი, 31.03.2015წ.

მუხლი 13057. ამ თავში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

ამ თავში გამოყენებულ ტერმინებს, ამავე თავის მიზნებისათვის, აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) კონვენცია – „ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ“ ჰააგის 1980 წლის 25 ოქტომბრის კონვენცია;

ბ) ცენტრალური ორგანო – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფი;

გ) ბავშვი – 16 წლამდე ასაკის პირი;

დ) განმცხადებელი – ნებისმიერი პირი ან ორგანო, რომელიც ცენტრალურ ორგანოს ან სასამართლოს მიმართავს შუამდგომლობით/სარჩელით არამართლობიერად გადაადგილებული ან არამართლობიერად დაკავებული ბავშვის დაბრუნებასთან ან ბავშვთან ურთიერთობის უფლების გამოყენებასთან დაკავშირებულ საკითხებზე;

ე) მეურვეობის უფლება – უფლება, რომელიც შეეხება ბავშვზე მზრუნველობას და ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრას. ამ თავის მიზნებისათვის ჩაითვლება, რომ პირი ან ორგანო ახორციელებს მეურვეობას, თუ ბავშვი, ჩვეულებრივ, ცხოვრობდა საქართველოში ან კონვენციის ხელშემკვრელ სახელმწიფოში მის არამართლობიერ გადაადგილებამდე/დაკავებამდე და მეურვეო-

ბას ეს პირი ან ორგანო რეალურად ახორციელებდა ინდივიდუალურად ან ისინი ახორციელებდნენ ერთობლივად, საქართველოს ან კონვენციის ხელშემკვრელი სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად, სადაც ბავშვი, ჩვეულებრივ, ცხოვრობდა გადაადგილებამდე/დაკავებამდე;

ვ) ბავშვთან ურთიერთობის უფლება – უფლება, რომელიც გულისხმობს ბავშვთან ნებისმიერი სახის კომუნიკაციას, მათ შორის, განსაზღვრული დროით ბავშვის ისეთ ადგილას წაყვანას, რომელიც არ არის მისი ჩვეული საცხოვრებელი ადგილი;

ზ) ბავშვის არამართლზომიერი გადაადგილება – პირისათვის ან ორგანოსათვის ინდივიდუალურად ან მათთვის ერთობლივად მიკუთვნებული იმ მეურვეობის უფლების დარღვევა, რომელიც უზრუნველყოფილი იყო იმ სახელმწიფოს კანონმდებლობით, სადაც ბავშვი, ჩვეულებრივ, ცხოვრობდა უშუალოდ არამართლზომიერ გადაადგილებამდე, და რომელიც ბავშვის გადაადგილების დროისათვის რეალურად გამოიყენებოდა ინდივიდუალურად ან ერთობლივად ან/და ამგვარად გამოყენებული იქნებოდა, რომ არა მისი არამართლზომიერი გადაადგილება, ამასთანავე, ბავშვი ამ სახელმწიფოდან კონვენციის ხელშემკვრელ სახელმწიფოში მეურვეობის უფლების მქონე პირის ან ორგანოს ნებართვის გარეშე გადაადგილდა და მისი მოთხოვნის შემდეგ ბავშვის ქვეყანაში დაბრუნება არ ხდება;

თ) ბავშვის არამართლზომიერი დაკავება – პირისათვის ან ორგანოსათვის ინდივიდუალურად ან მათთვის ერთობლივად მიკუთვნებული იმ მეურვეობის უფლების დარღვევა, რომელიც უზრუნველყოფილი იყო იმ სახელმწიფოს კანონმდებლობით, სადაც ბავშვი, ჩვეულებრივ, ცხოვრობდა უშუალოდ არამართლზომიერ დაკავებამდე, და რომელიც ბავშვის დაკავების დროისათვის რეალურად გამოიყენებოდა ინდივიდუალურად ან ერთობლივად ან/და ამგვარად გამოყენებული იქნებოდა, რომ არა მისი არამართლზომიერი დაკავება, ამასთანავე, ბავშვი ამ სახელმწიფოდან კონვენციის ხელშემკვრელ სახელმწიფოში განსაზღვრული ვადით, მეურვეობის უფლების მქონე პირის ან ორგანოს ნებართვის შედეგად გადაადგილდა, თუმცა ამ ვადის გასვლის შემდეგ, მეურვეობის უფლების მქონე პი-

რის ან ორგანოს მოთხოვნის მიუხედავად, ბავშვის ჩვეული საცხოვრებელი ადგილის ქვეყანაში დაბრუნება არ ხდება.

საქართველოს 2015 წლის 20 მარტის კანონი №3339 - ვებგვერდი, 31.03.2015წ.
საქართველოს 2020 წლის 10 ივნისის კანონი №6053 – ვებგვერდი, 19.06.2020წ.

I. ზოგადი606
II. სამოქალაქო კოდექსში ინტეგრაციის მიზანი და დეფინიციები607

I. ზოგადი

1 არამართლზომიერად გადაადგილებული ან არამართლზომიერად დაკავებული ბავშვის დაბრუნებისა და ბავშვთან ურთიერთობის უფლებების სამოქალაქო ასპექტების განსაზღვრა უკავშირდება „ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ“ ჰააგის 1980 წლის 25 ოქტომბრის კონვენციის ქართულ რეგულატორულ სივრცეში ინტეგრაციას. მიუხედავად იმისა, რომ კონვენცია საქართველოსთვის ძალაშია 1997 წლის 01 ოქტომბრიდან,¹ შესაბამისი დამატებები სამოქალაქო კოდექსსა² და სამოქალაქო საპროცესო კოდექსში³ მხოლოდ 2011 წელს განხორციელდა.

2 სტრუქტურული თვალსაზრისით, სამოქალაქო კოდექსის განსახილველი თავი დამოუკიდებელი ნორმატიული აქტის მსგავსად არის კონსტრუირებული და კოდექსის სხვა თავებისგან განსხვავებით თვითმყოფად ტერმინთა განმარტებას მოიცავს, თუმცა, გარდა აღნიშნულისა, არამართლზომიერად გადაადგილებული ან არამართლზომიერად დაკავებული ბავშვის დაბრუნებისა და ბავშვთან ურთიერთობის უფლებების განსაზღვრისთვის კანონმდებელი მხოლოდ კონვენციის შესაბამისი დანაწესების სელექციური სიტყვათწყობის ცვლილებით შემოიფარგლა.

¹ COM/2017/0357 final - 2017/0148 (NLE).
² საქართველოს 2011 წლის 21 ივნისის კანონი №4870.
³ საქართველოს 2011 წლის 21 ივნისის კანონი №4869.

II. სამოქალაქო კოდექსში ინტეგრაციის მიზანი და დეფინიციები

ჰააგის კონვენციის უმთავრესი მიზანი, როგორც საერთაშორისო სამართლებრივი მექანიზმი, არის არამართლზომიერად გადაადგილებული ან დაკავებული ბავშვის სწრაფი დაბრუნება კონვენციის სხვა ხელშემკვრელი სახელმწიფოდან და ხელშემკვრელი სახელმწიფოს ბავშვზე მეურვეობისა და ურთიერთობის შესახებ კანონების ეფექტიანი შესრულება.⁴ უშუალოდ კონვენცია არ შეიცავს მეურვეობაზე უფლების მომწესრიგებელ ინსტრუმენტებს, იგი აღნიშნულს სრულად მიანდობს ბავშვის ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი სახელმწიფოს მართლწესრიგს. თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ კონვენცია განსაზღვრავს სასამართლოს ან ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებას უარი განაცხადოს ბავშვის დაბრუნებაზე ხელშემკვრელ სახელმწიფოში ბავშვის საუკეთესო ინტერესის შესაბამისად, რათა თავიდან იქნეს აცილებული ყოველგვარი რისკი, რომელიც ბავშვის ფსიქიკურ ან ფიზიკურ მდგომარეობას საფრთხეს უქმნის. აღნიშნულთან დაკავშირებით, სასამართლოს უნევს წყალგამყოფი ხაზის ფრთხილად გავლება, ბავშვის ინტერესსა და კონვენციით განსაზღვრულ მოთხოვნას შორის ბავშვის დაბრუნების შესახებ.⁵

3

არამართლზომიერად გადაადგილებული ან არამართლზომიერად დაკავებული ბავშვის დაბრუნების და ბავშვთან ურთიერთობის უფლებების სამოქალაქო კოდექსში იმპლემენტაცია განპირობებულია ეროვნული კანონმდებლობისთვის შესაბამისი დეფინიციების შექმნით. განმცხადებელი, რომელიც ბავშვის, 16 წლამდე ასაკის პირის, დაბრუნებაზე განაცხადებს ამ დანაწესის მიხედვით შესაძლოა იყოს ნებისმიერი პირი, რომელიც ცენტრალურ ორგანოს ან სასამართლოს მიმართავს შუამდგომლობით/სარჩელით, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ კონვენცია უშუალოდ ასეთ ფორმულირებას სასამართლოსთან მიმართებაში არ შეიცავს და იგი მიუთითებს მხოლოდ ცენტრალური ორგანოსთვის მიმართვაზე (მუხლი 8). თავის მხრივ, ნებისმიერი პირის მოსარჩელედ გამოსვლა, წინააღმდეგობაში მოვიდოდა კონვენციის მე-3 მუხლთან,

4

⁴ *Pérez-Vera*, Explanatory Report, in 3 Hague Conference on Private International Law, Madrid 1981, 428-429.

⁵ *Sylvester v. Austria*, nos. 36812/97 & 40104/98, (2003) 37 E.H.R.R. 17.

გამომდინარე იქიდან, რომ ბავშვის გადაადგილება ან დაკავება ითვლება არამართლზომიერად, როდესაც ეს უფლება ირღვევა მეურვეობის უფლების მქონე პირის ან ორგანოს წინაშე. მნიშვნელოვანია, რომ მეურვე და მეურვეობის უფლების დამრღვევი, ანუ პირები, ვინც ბავშვს არამართლზომიერად გადაადგილებენ ან არამართლზომიერად აკავებენ, თითქმის ყოველთვის არიან მშობლები.⁶ დანაწესით განსაზღვრულ ცენტრალურ ორგანოს წარმოადგენს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.

- 5** ბავშვის არამართლზომიერი გადაადგილება და ბავშვის არამართლზომიერი დაკავება დაკავშირებულია მეურვეობის უფლების დარღვევასთან, რომელიც, თავის მხრივ, ბავშვის არამართლზომიერი გადაადგილებისა და დაკავების მიზნებისთვის გულისხმობს ბავშვზე მზრუნველობას და ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრას, ხოლო მეურვედ ითვლება ის პირი ან შესაბამისი ორგანო, რომელიც ბავშვის მიმართ აღნიშნულ მეურვეობის უფლებას ფაქტობრივად ახორციელებდა ბავშვის არამართლზომიერად გადაადგილებამდე.

⁶ *Pérez-Vera*, Explanatory Report, in 3 Hague Conference on Private International Law, Madrid 1981, 431-432.

მუხლი 1305⁸. არამართლზომიერად გადაადგილებული/დაკავებული ბავშვის დაბრუნება ან ბავშვთან ურთიერთობის უფლების გამოყენება

1. პირი ან ორგანო, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ამტკიცებს, რომ მას აქვს მეურვეობის უფლება იმ ბავშვის მიმართ, რომელიც არამართლზომიერად იქნა გადაადგილებული საქართველოდან კონვენციის ხელშემკვრელ რომელიმე სახელმწიფოში ან არამართლზომიერად იქნა დაკავებული კონვენციის ხელშემკვრელი ერთ-ერთი სახელმწიფოს ტერიტორიაზე, უფლებამოსილია მიმართოს ცენტრალურ ორგანოს და მოითხოვოს ბავშვის დაბრუნების შესახებ შუამდგომლობის კონვენციის ხელშემკვრელი იმ სახელმწიფოს ცენტრალურ ორგანოში გადაგზავნა, სადაც ბავშვი არამართლზომიერად იქნა გადაადგილებული/რომლის ტერიტორიაზედაც ბავშვი არამართლზომიერად იქნა დაკავებული.

2. პირი ან ორგანო, რომელიც ამტკიცებს, რომ მას აქვს იმ ბავშვთან ურთიერთობის უფლება, რომელიც კონვენციის ხელშემკვრელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე იმყოფება, უფლებამოსილია მიმართოს ცენტრალურ ორგანოს და მოითხოვოს ბავშვთან ურთიერთობის უფლების გამოყენების შესახებ შუამდგომლობის კონვენციის ხელშემკვრელი იმ სახელმწიფოს ცენტრალურ ორგანოში გადაგზავნა, რომლის ტერიტორიაზედაც ბავშვი იმყოფება.

*საქართველოს 2015 წლის 20 მარტის კანონი №3339 - ვებგვერდი, 31.03.2015წ.
საქართველოს 2020 წლის 10 ივნისის კანონი №6053 – ვებგვერდი, 19.06.2020წ.*

I. ზოგადი609
II. ბავშვის დაბრუნების მოთხოვნა610
III. ბავშვთან ურთიერთობის უფლება611

I. ზოგადი

კონვენციის მიზნებიდან გამომდინარე სავალდებულოა ცალკე გამოიყოს ტერიტორიულობის პრინციპი არამართლზომიერად გადაად-

გილებული/დაკავებული ბავშვის დაბრუნების ან ბავშვთან ურთიერთობის უფლების გამოყენებისას. გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული საერთაშორისო სამართლებრივი მექანიზმი უშუალოდ განსაზღვრავს წევრი ქვეყნებისთვის უფლების აღსრულების შესაძლებლობებს, დიფერენცირებული უნდა იყოს, ერთი მხრივ, ეროვნული პროცედურა, რომელიც არის ბავშვის ძირითად ადგილსამყოფელ სახელმწიფოში წარმოშობილი მოთხოვნის აღსრულებისკენ მიმართული და, მეორე მხრივ, პროცედურა, რომელიც სხვა წევრ ქვეყანაში წარმოშობილი უფლების განხორციელების შესაძლებლობას შექმნიდა. განსახილველი დანაწესი სწორედ საქართველოს ტერიტორიაზე წარმოშობილი უფლების აღსრულებისთვის ქმნის საფუძველს.

II. ბავშვის დაბრუნების მოთხოვნა

- 2** მოცემული დანაწესი გამოყოფს საქართველოდან არამართლზომიერად გადაადგილებული/დაკავებული ბავშვის დაბრუნებისა და ბავშვთან ურთიერთობის უფლების აღსრულების მექანიზმს. დანაწესის პირველი ნაწილი უფლებადარღვეული მეურვეობის უფლების მქონე პირისთვის ან ორგანოსთვის ქმნის უფლებამოსილებას ცენტრალური ორგანოს მიმართვისთვის უშუალოდ ბავშვის დაბრუნების თაობაზე. თავის მხრივ, ცენტრალური ორგანოს როლი განპირობებულია არამართლზომიერად გადაადგილებული/დაკავებული ბავშვის დაბრუნების ან ბავშვთან ურთიერთობის უფლების გამოყენების სპეციფიკით, გამომდინარე იქიდან, რომ სწორედ ცენტრალურ ორგანოს გააჩნია ყველა ის საჭირო რესურსი, რომელიც აუცილებელია არამართლზომიერად გადაადგილებული ან არამართლზომიერად დაკავებული ბავშვის საქართველოში დაბრუნების საქმის მართვისა და კოორდინაციისთვის. ასევე, ბავშვის სწრაფი დაბრუნებისთვის კონვენციის სხვა ხელშემკვრელი სახელმწიფოდან და ხელშემკვრელი სახელმწიფოს ბავშვზე მეურვეობისა და ურთიერთობის შესახებ კანონების ეფექტიანი შესრულებისთვის.

III. ბავშვთან ურთიერთობის უფლება

იდენტური პროცედურით არის გადანყვეტილი იმ პირის ან ორგანოს უფლების აღსრულების შესაძლებლობა, რომელსაც არამართლზომიერად გადაადგილებულ/დაკავებულ ბავშვთან აქვს ურთიერთობის უფლება, კონკრეტულად კი, პირმა ან ორგანომ, რომელსაც აქვს ბავშვთან ურთიერთობის უფლება და დაინტერესებულია ამ უფლებით, უნდა მიმართოს ცენტრალურ ორგანოს და მოითხოვოს ბავშვთან ურთიერთობის უფლების გამოყენების შესახებ შუამდგომლობის გადაგზავნა კონვენციის იმ ხელშემკვრელ სახელმწიფოს ცენტრალურ ორგანოში, სადაც ბავშვი არამართლზომიერად გადაადგილებული ან დაკავებულია.

3

მუხლი 1305⁹. საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ბავშვის დაბრუნება ან ბავშვთან ურთიერთობის უფლების გამოყენება

1. პირი ან ორგანო, რომელიც ამტკიცებს, რომ მას აქვს მეურვეობის უფლება იმ ბავშვის მიმართ, რომელიც არამართლზომიერად შემოვიდა საქართველოს ტერიტორიაზე კონვენციის ხელშემკვრელი რომელიმე სახელმწიფოდან ან არამართლზომიერად იმყოფება საქართველოში, უფლებამოსილია ბავშვის დაბრუნების შესახებ შუამდგომლობით/სარჩელით მიმართოს ცენტრალურ ორგანოს ან სასამართლოს.

2. პირი ან ორგანო, რომელიც ამტკიცებს, რომ მას აქვს იმ ბავშვთან ურთიერთობის უფლება, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე იმყოფება, უფლებამოსილია ბავშვთან ურთიერთობის უფლების გამოყენების შესახებ შუამდგომლობით/სარჩელით მიმართოს ცენტრალურ ორგანოს ან სასამართლოს.

3. „არამართლზომიერად გადაადგილებული ან არამართლზომიერად დაკავებული ბავშვის დაბრუნების ან ბავშვთან ურთიერთობის უფლების განხორციელების შესახებ მიმართვიანობის (რეფერიების) და აღსრულების პროცედურებს“ ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.

საქართველოს 2015 წლის 20 მარტის კანონი №3339 - ვებგვერდი, 31.03.2015წ.

საქართველოს 2020 წლის 10 ივნისის კანონი №6053 – ვებგვერდი, 19.06.2020წ.

1 საქართველოს ტერიტორიაზე არამართლზომიერად მყოფი ბავშვის დაბრუნებისთვის ან ბავშვთან ურთიერთობის უფლების აღსასრულებლად პირი ან ორგანო, რომელსაც გააჩნია ასეთი უფლება და დაინტერესებულია ამ უფლებით, უფლებამოსილია შუამდგომლობით მიმართოს საქართველოს ცენტრალურ ორგანოს ან სასამართლოს.

2 მნიშვნელოვანია, რომ მაშინ, როდესაც ბავშვი საქართველოს ტერიტორიიდან არის არამართლზომიერად გადაადგილებული, სამოქალაქო კოდექსი უთითებს პირის ან ორგანოს უფლებაზე, მიმართოს შუამ-

დგომლობით ბავშვის საქართველოში დაბრუნების თაობაზე ან ბავშვთან ურთიერთობისთვის მხოლოდ ცენტრალურ ორგანოს, ხოლო ისეთ შემთხვევაში, როდესაც ბავშვი საქართველოს ტერიტორიაზე არამართლზომიერადაა გადაადგილებული ან დაკავებული, უფლების მქონე პირს ან ორგანოს შეუძლია შუამდგომლობით მიმართოს როგორც ცენტრალურ ორგანოს, ისე სასამართლოს.

ბიბლიოგრაფია

- არისტოტელე**, ნიკომაქეს ეთიკა, თამარ კუკავას თარგმანი, 2003.
- ბექაია, მზია**, ოჯახის განვითარების სოციალური პრობლემები, 1980.
- მაისურაძე, დავით**, განკარგვით ხელყოფის კონდიქცია ქართულ და გერმანულ სამართალში, „შედარებითი სამართლის ჟურნალი“, 8/2020, გვ. 12-31.
- ნადარეიშვილი, გიორგი**, ძველი ქართული საოჯახო სამართალი, 1996.
- რუსიაშვილი, გიორგი**, გამიჯვნის პრინციპი ქართულ სანივთო სამართალში, „შედარებითი სამართლის ჟურნალი“, 1/2019, გვ. 20-36.
- რუსიაშვილი, გიორგი**, კაზუსები სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, 2015.
- ფრაი, კასპარ / სირდაძე, ლადო**, კანონის ნორმების დასათაურება, „შედარებითი სამართლის ჟურნალი“, 4/2019, გვ. 10-21.
- ქურდაძე, შალვა / ხუნაშვილი, ნინო**, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, 2015.
- შენგელია, რომან / შენგელია, ეკატერინე**, საოჯახო სამართალი, 2011.
- ჩიკვაშვილი, შალვა**, საოჯახო სამართალი, 2004.
- ჭანტურია, ლადო (მთ. რედ.)**, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი I-IV, 1999-2002.
ციტ.: ავტორი, სკ-ის კომენტარი, ნიგნი, წელი, მუხ., გვ.
- Alston, Philip / Parker, Stephen / Seymour, John**, Children, Rights and the Law, 1992.
- Alston, Philip / Tobin, John**, Laying the Foundations for Children’s Rights, 2005.

Altman, Scott, A Theory of Child Support, *International Journal of Law Policy and the Family*, vol. 17, № 1, 2003, pp. 173-210.

American Law Reports, 1948.

Aquinas, Thomas, *Summa Theologica*, 1968.

Archard, David, *Children, Family and the State*, 2003.

Arneil, Barbara, Becoming versus Being: A Critical Analysis of the Child in Liberal Theory, in: **Archard, David / Macleod, Colin, M.** (ed.), *The Moral and Political Status of Children*, 2002, pp. 70-93.

Avellar, Sarah/Smock, Pamela J., The Economic Consequences of the Dissolution of Cohabiting Unions, *Journal of Marriage and Family*, vol. 67, № 2, 2005, pp. 315-327.

Baur, Fritz, Zivilprozessuale Fragen zum Gleichberechtigungs- und zum Familienrechtsänderungsgesetz 1961, *FamRZ* 1962, 508.

Becker, Mary E., Maternal Feelings: Myth, Taboo, and Child Custody, *Southern California Review of Law and Women's Studies*, vol. 1, 1992, p. 133 ff.

Betson, David / Evenhouse Eirik / Reilly, Siobhan / Smolensky, Eugene, Trade-Offs Implicit in Child-Support Guidelines, *Journal of Policy Analysis and Management*, vol. 11, № 1, 1992, pp. 1-20.

Blair, Joan, Honor Thy Father and Thy Mother - But for How Long? - Adult Children's Duty to Care for and Protect Elderly Parents, *University Of Louisville Journal of Family Law*, vol. 35, № 4, 1996-97, pp. 765-782.

Bradbury, Bruce, The Price, Cost, Consumption and Value of Children, *Social Policy Research Centre Discussion Paper*, № 132, 2004, p. 17 ff.

Braeuer, M., Wohnungsrecht nach Umzug ins Pflegeheim, *FamFR* 2013, 406.

Brinig, Margaret F. / Crafton, Steven M., Marriage and Opportunism, *The Journal of Legal Studies*, vol. 23, № 2, 1994, pp. 869-894.

Bueren, Geraldine Van, *The International Law on the Rights of the Child*, 1995.

- Byrd, Catherine Doscher**, Relative Responsibility Extended: Requirement of Adult Children to Pay for Their Indigent Parent's Medical Needs, *Family Law Quarterly*, vol. 22, № 1, 1988, pp. 87-102.
- Campbell, Tom**, The Rights of the Minor: As Person, As Child, As Juvenile, As Future Adult, *International Journal of Law and the Family*, vol. 6, № 1, 1992, pp. 1–23.
- Canaris, Claus-Wilhelm**, Verstöße gegen das verfassungsrechtliche Übermaßverbot im Recht der Geschäftsfähigkeit und im Schadensersatzrecht, *JZ* 1987, 998.
- Cassetty, Judith**, *Child Support and Public Policy*, 1978.
- Chambers, David L.**, *Making Fathers Pay: The Enforcement of Child Support*, 1979.
- Day, Priscilla**, The Abandonment Defense to a Claim for Parental Support, *Contemporary Legal Issues*, vol. 11, 2000, p. 380 ff.
- Dethloff, Nina**, *Familienrecht*, 32 Aufl., 2018.
- Diederichsen, Uwe**, Die allgemeinen Ehwirkungen nach dem 1. EheRG und Ehevereinbarungen, *NJW* 1977, 217.
- Eekelaar, John**, Family Law and Social Control in: *Eekelaar, John/Bell, John* (ed.), *Oxford Essays in Jurisprudence*, 1987, p. 136 ff.
- Eekelaar, John**, The importance of thinking that children have rights, *International Journal of Law and the Family*, vol. 6, № 1, 1992, p. 234 ff.
- Eidenmüller, Horst**, Der Auskunftsanspruch des Kindes gegen seine Mutter auf Benennung des leiblichen Vater, *JuS* 1998, 789.
- Erman, Walter Alexander** (Begr.), *Handkommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch*.
 306.: 336, in: *Erman BGB*, Aufl., §.
- Finch, Janet**, *Family Obligations and Social Change*, 1989.
- Fortin, Jane**, *Children's Rights and the Developing Law*, 2003.

- Fottrell, Deidre**, *Revisiting Children's Rights: 10 years of the UN Convention on the Rights of the Child*, 2000.
- Freeman, Michael**, *The Rights and Wrongs of Children*, 1983.
- Furstenberg, Furstenberg F. Jr./Nord, Christine Winqvist/Peterson, James L., Zill, Nicholas**, *The Life Course of Children of Divorce: Marital Disruption and Parental Contact*, *American Sociological Review*, vol. 48, №5, 1983, pp. 656-658.
- Garrison, Marsha**, *Autonomy or Community? An Evaluation of Two Models of Parental Obligation*, *California Law Review*, vol. 86, № 1, 1998, pp. 41-117.
- Gaul, Friedhelm**, *Die Neuregelung des Abstammungsrechts durch das Kind-schaftsrechtsreformgesetz*, *FamRZ* 1997, 1441.
- George, Rolf**, *Who should bear the cost of children?*, *Public Affairs Quarterly*, vol. 1, № 1, 1987, pp. 1-42.
- Gernhuber, Joachim / Coester-Waltjen, Dagmar**, *Familienrecht*, 6. Aufl., München 2010.
- Giampetro, Andrea**, *Mathematical Approaches to Calculating Child Support Payments: Stated Objectives, Practical Results and Hidden Policies*, *Family Law Quarterly*, vol. 20, № 3, 1986, pp. 373-391.
- Goode, William J.**, *Women in Divorce*, 1956.
- Goodman, Max A./Oberman, I. Allan/Wheat, Penny L.**, *Rights and Obligations of Child Support*, *Southwestern University Law Review*, vol. 7, 1975, p. 36 ff.
- Griffin, James**, *Do Children Have Rights?* in: *Archard, David/ Macleod, Colin, M.* (ed.), *The Moral and Political Status of Children*, 2002, pp. 19-30.
- Guggenheim, Martin**, *What's Wrong with Children's Rights?*, 2005.
- Harris, N.**, *Social Security and the UN Convention on the Rights of the Child in Great Britain*, *Journal of Social Security Law*, vol. 7, 2000, p. 9 ff.
- Harris-Short, Sonia/Miles, Joanna**, *Family Law Text, Cases, and Materials*, 2011.

- Hart, Herbert Lionel Adolphus**, Bentham on Legal Rights in: Simpson A., Oxford Essays in Jurisprudence, 1973, p. 192 ff.
- Hau, Wolfgang / Poseck, Roman** (Hrsg.), Beck'scher Online-Kommentar, 3000: *ဒုတိယ*, in BeckOK BGB, Edition, §, Rn.
- Hofmann, Werner**, Zum Erwerb einzelner Gegenstände durch einen Ehegatten für das Gesamtgut der Gütergemeinschaft, FamRZ 1972, 117.
- Holdsworth, William Searle**, A History of English Law, vol. III, 1923.
- Houlgate, Lourence**, Ethical Theory and the Family in: **Meyers, Diana Tietjens/Kipnis Kenneth/Murphy, Cornelius F., Jr** (ed.), Kindred Matters: Rethinking the Philosophy of the Family, 1993, p.
- Huber, Peter / Scherer, Holger**, Die Neuregelung zur Ächtung der Gewalt in der Erziehung, FamRZ 2001, 797.
- Jackson, Emily/Wasoff, Fran/Maclean, Mavis/Dobash, Rebecca Emerson**, Financial Support on Divorce: The Right Mixture of Rules and Discretion?, International Journal of Law and the Family, vol. 7, № 2, 1993, pp. 230-254.
- Jacobson, Robin M.**, Note, American Healthcare Ctr. v. Randal: The Renaissance of Filial Responsibility, South Dakota Law Review, vol. 40, 1995, p. 518 ff.
- Janzen, Ulrike**, Das Kinderrechteverbesserungsgesetz, FamRZ 2002, 785.
- Jauernig, Othmar** (Hrsg.), Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch 3000: *ဒုတိယ*, in Jauernig, Bürgerliches Gesetzbuch, Aufl., §, Rn.
- Keamey, Mary Kate**, The New Paradigm in Custody Law: Looking at Parents With a Loving Eye, Arizona State Law Journal, Arizona State Law Journal, vol. 28, 1996, p. 543 ff.
- Keiser, Dagmar / Schnitzler, Klaus / Friederici, Peter / Schilling, Roger** (Hrsg.), Bürgerliches Gesetzbuch: BGB, Band 4: Familienrecht, 2021.
3000: *ဒုတိယ*, in Kaiser/Schnitzler/Friederici/Schilling, BGB - Familienrecht, Aufl., §, Rn.
- Kelly, Simon/Harding, A**, The Financial Impact of Divorce in Australia, 2005.

- Kenneth, G.**, Family Law - Berryhill v. Rhodes: Attempts to Circumvent Child Support Obligations through Private Child Support Agreements Violate Public Policy, University of Law Review, vol. 32, 2002, p. 767 ff.
- Klein, Michael**, Wegweiser zur Auseinandersetzung einer Gütergemeinschaft, FuR 1995, 165.
- Kline, Terrance A.**, A Rational Role for Filial Responsibility in Modern Society?, Family Law Quarterly, vol. 26, № 3, 1992, pp. 195-210.
- Klos, Hans Dieter**, Vergütung des Betreuers, Vormunds und Verfahrenspflegers, in Schneider, Norbert / Volpert, Joachim / Fölsch, Peter (Hrsg), Gesamtes Kostenrecht, 2. Aufl., 2017.
- Krause, Hardy D.**, Child Support Enforcement: Legislative Tasks for the Early 1980s, Family Law Quarterly, vol. 15, № 4, 1982, pp. 349-370.
- Lee, Art**, Singapore's Maintenance of Parents Act: A Lesson to Be Learned from the United States, Loyola of Los Angeles International and Comparative Law Review, vol. 17, 1995, p. 671 ff.
- Löhnig, Martin**, Anfechtung der Vaterschaft durch den leiblichen Vater, NJW 2015, 1105.
- Löhnig, Martin**, Verbrauchergeschäfte mit Ehegatten - zum Verhältnis Verbraucherschutz und Schlüsselgewalt, FamRZ 2001.
- Löhnig, Martin**, Vermögensbezogene Informationspflichten unter getrennt lebenden Ehegatten und vorzeitiger ausgleich des Zugewinns bei vorzeitiger Aufhebung der Zugewinnngemeinschaft, NZFam 2015.
- Lüderitz, Alexander / Dethloff, Nina**, Familienrecht, 28. Aufl., 2006.
- Luther, Christoph**, Vom Ende der Schlüsselgewalt, FamRZ 2016, 271.
- MacCormick, Niel**, Children's Rights: A Test-Case for Theories of Right in: MacCormick N., Legal Right and Social Democracy: Essays in Legal and Political Philosophy, 1982, p. 163 ff.

- Maccoby, Eleanor E/Mniookin, Robert H.**, *Dividing The Child: Social And Legal Dilemmas Of Custody*, 1992.
- Maclean, Mavis/Eekelaar John**, *The Obligations and Expectations of Couples Within Families: Three Modes of Interaction*, *Journal of Social Welfare and Family Law*, vol. 26, № 2, 2004, pp. 117-130.
- Madaus, Stephan**, „Weigerungsrecht“ der Bank nach Überweisungsaufträgen in Vertretungsfällen nur bei konkretem Verdacht auf Missbrauch zulasten des Kontoinhabers, *EWiR* 2004, 1023.
- Mercer, Kathryn**, *The Ethics of Judicial Decision-Making Regarding Custody of Minor Children: Looking at the „Best Interest of the Child“ and the „Primary Caretaker“ Standards as Utility Rules*, *Idaho Law Review*, *Idaho Law Review*, vol. 33, 1997, p. 389 ff.
- Millar, Jane/Warman, Andrea**, *Family Obligations in Europe*, 1996.
- Morrison, Wayne** (ed.), *Blackstone’s Commentaries on the Laws of England*, vol I, 2001.
- Oldham, J. Thomas**, *Lessons from the New English and Australian Child Support Systems*, *Vanderbilt Journal of Transnational Law*, vol. 29, № 4, 1996, pp. 691-734.
- Pakula, Matthew**, *A Federal Filial Responsibility Statute: A Uniform Tool to Help Combat the Wave of Indigent Elderly*, *Family Law Quarterly*, vol. 39, № 3, 2005, pp. 859-877.
- Palandt, Otto** (Begr.), *Palandt-Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch*
 80. Aufl.: 2017, in *Palandt, BGB-Kommentar*, Aufl., §, Rn.
- Pérez-Vera, Elisa**, *Explanatory Report*, in *3 Hague Conference on Private International Law*, 1981.
- Pollock, Frederick/Maitland, Frederic William**, *The History of English Law*, 1898.
- Pollock, Linda**, *Parent-Child Relations in: Kertzer, David I/Barbagli, Marzio, Family Life in Early Modern Times 1500–1789: the History of the European Family*, 2001, pp. 191-220.

Pottage, Alain, Proprietary Strategies: The Legal Fabric of Aristocratic Settlements, *Modern Law Review*, vol. 61, № 2, 1998, pp. 162-187.

RGRK-BGB – Das Bürgerliche Gesetzbuch mit besonderer Berücksichtigung der Rechtsprechung des Reichsgerichts und des Bundesgerichtshofs, Kommentar, hrsg. von Mitgliedern des Bundesgerichtshofes
ꠁꠗꠒ.: *ꠑꠑꠒꠗꠗꠗ*, in RGRK-BGB, Aufl., §, Rn.

Riemer, Martin, Mutter ohrfeigt Tochter - 75 Euro Geldstrafe, *ZJJ* 2005, 403.

Riesenfeld, Stefan A., The Formative Era of American Public Assistance, *California Law Review*, vol. 43, № 2, 1955, pp. 175-233.

Rittner, Christian / Rittner, Natascha, Rechtsdogma und Rechtswirklichkeit am Beispiel so genannter heimlicher Vaterschaftstests, *NJW* 2005, 945.

Ross, Alison E., Taking Care of Our Caretakers: Using Filial Responsibility Laws to Support the Elderly Beyond the Government's Assistance, *The Elder Law Journal*, vol. 16, 2008, pp. 168-209.

Säcker, Franz Jürgen / Pixecker, Roland / Oetker, Hartmut / Limperg, Bettina (Hrsg.), Münchener Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch
ꠁꠗꠒ.: *ꠑꠑꠒꠗꠗꠗ*, in MüKo BGB, Aufl., §, Rn.

Schaeffer, Nora Cate, Principles of Justice in Judgments About Child Support, *Social Forces*, vol. 69, № 1, 1990, pp. 171.

Schulze, Reiner (Schriftleitung), Kommentar zum Bürgerlichen.
ꠁꠗꠒ.: *ꠑꠑꠒꠗꠗꠗ*, in Schulze, Bürgerliches Gesetzbuch, Aufl., §, Rn.

Schulz, Werner / Hauß, Jörn, Handkommentar zum Familienrecht.
ꠁꠗꠒ.: *ꠑꠑꠒꠗꠗꠗ*, in Schulz/Hauß, Familienrecht, Aufl., §, Rn.

Schwab, Dieter, Die verbotene Kinderehe, *FamRZ* 2017, 1369.

Schwenzer, Ingeborg, Grundlinien eines modernen Familienrechts aus rechtsvergleichender Sicht, *RabelsZ* 2007, 705.

Scott, Elisabeth S./ Scott, Robert E., Marriage as Relational Contract, *Virginia Law Review*, vol. 84, № 7, 1998, pp. 1244-1334.

- Sheldon, Sally**, "Sperm bandits", Birth Control Fraud and the Battle of the Sexes, Legal Studies, vol. 21, № 3, 2001, pp. 460-480.
- Silbaugh, Katharine B.**, Marriage Contracts and the Family Economy, Northwestern University Law Review, vol. 93, № 1, 1998-1999, p. 65 ff.
- Soergel, Hans-Theodor** (Begr.), Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch mit Einführungsgesetz und Nebengesetzen.
 ၅၀၆.: ၁၅၆၇၇၇, in: Soergel BGB, Aufl., §, Rn.
- Spitko, Gary E.**, Reclaiming the „Creatures of the State“: Contracting for Child Custody Decisionmaking in the Best Interests of the Family, Washington And Lee Law Review, vol. 57, № 4, 2000, pp. 1139-1212.
- Sreenivasan, Gopal**, A Hybrid Theory of Claim-Rights, Oxford Journal of Legal Studies, vol. 25, №2, 2005, pp. 257-274.
- Staudinger, Julius von** (Begr.), Großkommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch.
 ၅၀၆.: ၁၅၆၇၇၇, in Staudinger BGB, Aufl., §, Rn.
- TenBroek, Jacobus**, California's Dual System of Family Law: Its Origin, Development, and Present Status, Part I, Stanford Law Review, 1964, pp. 257-317.
- Tiedtke, Klaus**, Gesamthand- und Gesamtschuldklage im Güterstand der Gütergemeinschaft, FamRZ 1975, 538.
- Thompson, David**, I Am Not My Father's Keeper: Families and the Elderly in Nineteenth Century England, Law and History Review, vol. 2, № 2, 1984, pp. 266-286.
- Wacke, Andreas**, Änderungen der allgemeinen Ehwirkungen durch das 1. EheRG, FamRZ 1977, 505.
- Wallerstein, J./Dorothy, S.**, Huntington, Bread & Roses: Nonfinancial Issues Related to Fathers' Economic Support of Their Children Following Divorce, in: Cassetty, Judith (ed.), The Parental Child Support Obligation: Research, Practice and Social Policy, 1982.
- Weitzman, Lenore J.**, The Divorce Revolution: The Unexpected Social and Economic Consequences For Women And Children in America, 1985.

Wellenhofer, Marina, Das neue Gesetz zur Klärung der Vaterschaft unabhängig vom Anfechtungsverfahren, NJW 2008, 1185.

Yee, Lucy Marsh, What Really Happens in Child Support Cases: An Empirical Study of Establishment and Enforcement of Child Support Orders in the Denver District Court, Denver Law Journal, vol. 57, № 1, 1979, pp. 21-68.

Young, A., Absent Parent Child Support: Cost-Benefit Analysis, 1975.